ნოდარ ტაბიძე

გაკვალული

ბათუმი
2010

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ტაბიძე

გარასკვლავი

თბილისი
2010

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დის — ლიანას და ძმის — ვასილის ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს

ISBN 978-9941-9088-9-7

წიგნში გაშუქებულია საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ადრეული პერიოდი. გამოვლენილია არაერთი უცნობი ნაწარმოები და ბიოგრაფიული ფაქტი. განსხვავებულად არის კვალიფიცირებული ბევრი რამ. ავტორი გალაკტიონის ხასიათისა და პოეტური განწყობილების საიდუმლო კუნძულების აღმოჩენას ესწრაფვის, ყურადღებას ამახვილებს შემოქმედის ფორმირების განმსაზღვრელ პირობებსა და მიზეზებზე. არკვევს პოეტისა და საზოგადოების ურთიერთობას, აანალიზებს ლირიკულ შედევრებს...

K274.705

Нодар Табидзе – Галактион

В книге освещен ранний период жизни и творчества народного поэта Грузии, академика Галактиона Васильевича Табидзе. Выявлен ряд неизвестных произведений и также биографические факты. Многое квалифицировано по новому. Автор стремится открыть тайные островки поэтического настроя и характера Галактиона Табидзе, заостряет внимание на условиях и причинах определяющих формирование творчества, исследует взаимоотношения поэта и общества.

Nodar Tabidze – GALAKTIONI

The early period of the creative life of Academician Galaktion Tabidze, the founder of modern Georgian poetry, Peoples Artist, is elucidated in the book. Anumber of unknown works and biograpical facts are brought to light. Many points are discussed in a novel way.

The author focuses the reader's attention on the conditions and causes determining the formation of the Poet, as well as on the relations between the Poet and Society.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე წიგნი მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას. უპირველეს ყოვლისა, მასში ფიქსირებულია გალაკტიონის უცნობი თხზულებები: ლექსები, ეტიუდები, დღიურები და ა. შ. ეს რამდენიმე ათეული ახალი ნაწარმოები ზრდის ჩვენს წარმოდგენას XX საუკუნის ქართული პოეზიის ფუძემდებელზე. ისინი გაანალიზებულია საფუძვლიანად და მეფე-პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის მრავალ მხარეს ჰფენს შუქს.

მეორე თავისებურება: ავტორი გალაკტიონთან ცხოვრობდა. მისი ყოველდღიური ყოფის მხილველი და განმცდელი გახლდათ. წიგნში ბევრი ისეთი ეპიზოდი და დეტალია გაცოცხლებული, რომელიც მგოსნის ბუნებას მეტი დამაჯერებლობით წარმოაჩენს.

რაც მთავარია, ავტორი, არა მხოლოდ ქვეტექსტებით, არამედ სახოვნად გადმოგვცემს ჩანაფიქრს,გი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევებზე დაყრდნობით აწარმოებს კვლევას, ცდილობს, გენიოსის ცხოვრება ობიექტურად, შელამაზების გარეშე წარმოაჩინოს.

ამ წიგნს, იმედია მოყვება მეორე, მესამე ტომები და, ჩვენც შეგვეძლება განვაცხადოთ,რომ გალაკტიონოლოგიამ ახალ საფეხურს მიაღწია.

გიორგი ტაბიძე

ზღურბლზე სათქმელი

„Человек есть тайна.
Ее надо разгадать...“

Ф. Достоевский

დიდი პიროვნება თავის ორბიტაში გვაქცევს და გვთანგავს. ამიტომ არცთუ იშვიათად ვაფერადებთ სინამდვილეს. ბევრი რამის წინაშე ვხუჯავთ თვალს, ძვირფას ადამიანს სიკეთე-სათნოების ზღუდეს ვავლებთ და იმას კი არ დაგიდევთ, მოცემულ შემთხვევაში ზუსტია თუ არ ჩვენეული მეტრი. ასე და ამრიგად, თანდათანობით იქმნება გარკვეული ბარიერები, რომელთა გადალახვა შემდეგ მკრეხელობად ითვლება. გენიოსი კი სრულებითაც არ საჭიროებს მოწყალებას. პირიქით,ამდაგვარი მიდგომით ხელოვნურად ვხერგავთ მისი შინაგანი სამყაროსაკენ მიმავალ ბილიკებს.

გალაკტიონი გენიოსი იყო და მისი ცხოვრება შეფერადებას კი არ საჭიროებს, არამედ ახსნას. გალაკტიონოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ფაქტთა კონსტანტაცია. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი და არც იმან უნდა შეგვაშფოთოს, რომ გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოვლენათა განსხვავებულ ინტერპრეტაციას. საბოლოოდ ჭეშმარიტება იმარჯვებს. სწორედ ეს აპირობებს მავანთათვის მიუღებელი ზოგიერთი ფაქტის გამომზეურებას.

ჩვენი ძირითადი მიზანი მხოლოდ უცნობი მასალების გამომზეურება როდია. ფაქტები და სიტუაციები გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს უწყობდნენ თუ აშკარად განსაზღვრავდნენ გალაკტიონის ფენომენს. სოფელმა, ოჯახმა, ნათესავებმა, სასწავლებელმა და ა. შ. ღრმა ანაბეჭდი გააკეთეს გალაკტიონის სულში და უზარმაზარი როლი შეასრულეს მისი, როგორც მხატვრის,მოაზროვნისა და მოქალაქის ჩამოყალიბებაში. მაგრამ ეს სრულიადაც არ იძლევა იმის უფლებას, დავივიწყოთ მთავარი – პიროვნების ბუნება, ღვთით მომადლებული ნიჭი. იყო თუ არა გალაკტიონის ხასიათში, ვთქვათ, ეჭვიანობის, მარტოსულობის, სამყაროს გამორჩეულად ხილვის მძლავრი იმპულსები? და თუ იყო,რამდენად ტრანსფორმირდებოდნენ ისინი სინამდვილესთან მიმართებაში, რამ განსაზღვრა გალაკტიონის ინტელექტუალური ზრდა და პოეტური ნერვის გამახვილება,

როგორ შეფასებას იმსახურებს პირველი ნაბიჯები... და, საერთოდ, როგორი იყო გალაკტიონის, როგორც ქართული ლექსის ახალი მესიის, მოვლინება?

შევეცდებით, ამ და სხვა მსგავს კითხვებზე გავცეთ პასუხი.

იმასაც დავსძენთ, რომ გალაკტიონის ლირიკული ბუნება ყოველთვის არ ემთხვევა მის ბიოგრაფიულ მონაცემებს. მაგრამ ამ უკანასკნელის გათვალისწინება მაინც აუცილებელია პირველის შესამეცნებლად.

კარდინალურმა ცვლილებებმა, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში მოხდა, ლიტერატურის ისტორიის არაერთი დებულების გადასინჯვა-გადაფასება გამოიწვია. ბევრი ლირიკული შედევრი ახლებურ წაკითხვას მოითხოვს. ორიგინალურ მიდგომას საჭიროებს ისეთი პრობლემებიც, როგორიცაა: გალაკტიონი და რევოლუცია, გალაკტიონი და სიმბოლიზმი თუ სხვა.

ვცდილობთ, ამ კუთხითაც გავამახვილოთ ყურადღება.

„სადღაც შრიალებს ჭაობი ჭყვიშის“

„ცვრიან ბალახზე თუ
ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული?!“

გალაკტიონი

ბედი სოფლისა მშობლის ბედსა ჰგავს. მისი დიდება სახელოვან შვილებს მოაქვთ. გალაკტიონი და ტიციანი რომ არა, ჭყვიშის არსებობა უცხოთაგან ორიოდე თავგამოდებულ ტურისტს თუ ეცოდინებოდა. საქართველოშიაც ბევრისთვის ალბათ არაფრის მთქმელი იქნებოდა ეს სახელი. დღეს კი ყველამ უწყის, რომ XX საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის.

გალაკტიონმა არა მხოლოდ უკვდავყო ჭყვიში, არამედ თითქმის გაალეგენდა. პოეტური სურნელით გაჟღინთა მისი ჰაერი, რომანტიკული ფერებით გაულამაზა პეიზაჟი, უცნაურ-ამაღლებული ხილვები და ასოციაციები შეუწყვილა სინამდვილეს...

...აქ ღამლამობით დგება წაქცეული ცამეტი სვეტი და ცეკვავს სამეფოდ ნაქარგი ქოში...

...აქ ვარსკვალავების თოვლი ცას შელეკია და ნანაობს ატმის შტოზე მთვარის ჩრდილი...

...აქ ქარი ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის და ზამთარს ბილიკი დაუტანია...

ჭყვიში – ყოფით-ეთნოგრაფიული და ჭყვიში – პოეტური – ორივე შესაცნობია. პირველი ქმნის მეორეს და მეორე ამაღლებს პირველს. ამიტომაც საჭიროებს იგი საგანგებო შესწავლას.

ახლა ძნელია გალაკტიონისდროინდელი ჭყვიშის ზოგიერთი მხარის თუ ნიუანსის აღდგენა. გაქრა სოფლის დასავლეთით მდებარე უბნები. ძველი საფოსტო გზა რიონმა მოაშვავა. თელებისა და კოპიტების ხეივანი გაიკაფა. მეზობელი სოფლებიც აიყარა. ეს ძირითადად ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოხდა. რიონის პირას ბილიკ-ბილიკ მიმავალს ეული ბროწეულის ბუჩქი ან ქვევრების ნამსხვრევები თუ შეგახსნებს, რომ აქ „მამალი ყიოდა და ძაღლი ყეფდა“. ახლა ჭყვიშს არ სერავს თემშარა. თითქმის არაკინ სარგებლობს ბორნით. ვანის რაიონი საჯავახოს ხიდით უკავშირდება სამტრედიას.

მეორე მხრივ, ახალმა საუკუნემ ფერი უცვალა სოფელს – გაალამაზა, გაამდიდრა და გააჯანსაღა.

დიახ, ძნელია ძველი სურათის აღდგენა, მაგრამ გადმოცემებით, პრესაზე დაყრდნობით თუ პოეტთა ჩანაწერებით მაინც ხერხდება XIX საუკუნის მიწურულის ჭყვიშზე მკაფიო წარმოდგენის შემუშავება.

ჭყვიში, პირველ რიგში, გვაინტერესებს როგორც სარკმელი, საიდანაც დაინახა მომავალმა მგოსანმა სამყარო და შეიმეცნა სინამდვილე.

როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ტოპონიმი ჭყვიში მეგრულ-ჭანური წარმომავლობისაა და „წყალ“ ფუძეს უკავშირდება.

გალაკტიონი სხვაგვარ ახსნას იძლევა. „ჭყვიში – ნიშნავს მწყერს (მეგრ.). ამ არემარეში დარჩენილია მეგრული გვარები“.

ეს ეტიმოლოგიური გაშიფვრა ზუსტი არ არის. მწყერს მეგრულად „ჭყორი“ ჰქვია. ფონეტიკური მსგავსება უთუოდ შეინიშნება და ალბათ ამას ეყრდნობოდა მგოსანი. მაგრამ მთავარი შეიძლება სხვა იყოს. ხომ არ იგრძნობა მშობლიური სოფლის სახელის გაპოეტურობისაკენ სწრაფვა?

ჭყვიში დასავლეთ საქართველოში მდებარეობს (ვანის რაიონი), იმერეთ-გურია-სამეგრელოს საზღვრის მახლობლად, იგი რიონის მარცხენა ნაპირზე, დაცემულ ვაკეზეა გაშენებული, ზღვის დონიდან სამოცი მეტრის სიმაღლეზე.

აქ ოდესღაც არგონავტებს ჩამოუვლიათ. ამ ნაპირებს ახსოვთ მედეას სევდნარევი ღიმილი და იასონის გახელებაც. ბევრი რამ ახსოვთ...

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვანში, ჭყვიშიდან 8 კილომეტრით დაშორებულ ქალაქში, V-II საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრება დუღდა და გადადუღდა. არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მოპოვებულმა იშვიათმა ქინძისთავებმა, ოქროს დიადემებმა, ყელსაბამებმა თუ სხვა უნიკალურმა ნივთებმა მითი რეალობად აქცია; – თურმე კოლხეთის სიძლიერე და სიმდიდრე პოეტთა ფანტაზიის ნაყოფი კი არ ყოფილა, არამედ სინამდვილე.

როგორც ჩანს, მითრიდატის შემოსევების შემდეგ ვანი მოისრა. შემოგარენიც გავერანდა...

პატარა გალაკტიონი არაერთხელ ყოფილა მოწმე გაოგნებაში გადასული ჩურჩულისა: – თურმე ვანში, ახვლედიანების გორაზე ბარის ყოველ დარტყმაზე ოქრო და ვერცხლი ამოდისო.

ყოველივე ეს აცეცხლებდა ცნობისმოყვარეობას, საიდუმლოში წვდომის დაუოკებელ სურვილს უჩენდა ყმაწვილს. მერე ბევრი რამ გაითავისა პოეტმა, ჰომეროსსა და სოფოკლეს დაეწაფა, ევრიპიდეს და სტრაბონს ჩაულრმავდა... ეამაყებოდა, რომ მის მშობლიურ ფაზისს ჯერ კიდევ 26 საუკუნის წინათ უმღერა ჰესიოდემ.

ძველი საქართველოს ანალებში უმეტესად ლეჩხუმის ჭყვიში ფიგურირებს. ვახუშტი ბაგრატიონი რამდენჯერმე იხსენებს მას. იმერეთის, რიონისპირა[1] ჭყვიში, როგორც ჩანს, ნაკლებ როლს

[1] იმერეთში არსებობდა სხვა ჭყვიშიც – კულაშისა და ხუნჯილორის მახლობლად (გაზ. „დროება“, 188, №198).

ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში.

როდის ჩაეყარა საფუძველი გალაკტიონის მშობლიურ სოფელს? ამის დადგენა ჭირს. 1578 წლის ერთ დოკუმენტში „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“ ნახსნებია ჭყუში. „მართებს ჭყუშს გოგნიასა სვანიძესა ზუთხი ცხრა“[1].

სავარაუდოა,ეს იყოს ის სოფელი,რომელმაც შემდეგ ქართულ მწერლობას ორი ბუმბერაზი მისცა.

ჭყვიში ფიქსირებულია სოლომონ პირველის „შეწირულების წიგნშიც“, რომელიც 1773 წლით თარიღდება“[2].

გამორიცხული არ არის, რომ აქაც გალაკტიონის სოფელი იგულისხმებოდეს.

ადრე ჭყვიშსა და მის შემოგარენში თითო-ოროლა გლეხი თუ ბინადრობდა და მეგრელი მწყემსები აზამთრებდნენ საქონელს. სოფელს შემორჩა მოგონება: გამოქცეულ ყმას აქ უპოვნია თავშესაფარი, საუკუნოვანი მუხის ფულუროში შეუხიზნია ჯალაბი და აი, ერთხელ კულაშელი თავადი – ნადირობის ტრფიალი და თავაწყვეტილი მოქეიფე – მიქელაძე გადაყრია ოჯახის უფროსს. ჭყვიშელს მუხის ფულუროში მიუპატიჟებია საპატიო სტუმარი, თავანკარა ღვინით, ზუთხითა და მწყერით გამასპინძლებია. უზომო ყოფილა თავადის გაოცება. ლოცვაც აღუვლენია: ღმერთო, ნუ მოშლი საქართველოში ღვინისა და მიწის სიყვარულსო.

სისხლსავსე ცხოვრება არსებითად XIX საუკუნიდან იწყება.

1803 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ წყალობის წიგნი უბოძა ხონის მახლობლად მდებარე სოფელ ივანდიდის მკვიდრს გიორგი ტაბიძეს: „...გიბოძეთ შნ, ხონის წმინდის გიორგის ეკლესიის ყმას მღუდელს ტაბიძეს გიორგის და შენს ძმებს იესეს, ბეჟანიკას და გაბრიელას და სხუათა შვლთა და მომავალთა სახლისა თქნისათა, ესრეთ და ესე ვითარად რომე ადგილზედ ნაკლები კცი იყავით და მრავალგზის გვეევედრეთ ადგილის ბოძებისათს და ჩნ ვისმინეთ ვედრება თქნი და თქნის მღუდელმთავრის მთავარეპისკოპოსის ანტონის დასტურით ხონის წმინდა გიორგის ეკლესიისათუს ჭყვიშურის ადგილის წყალობა გიყავით და დაგასახლეთ,ყუმურის ღელე რომ რიონშიდ ჩაერთვის იმ ადგილზედ, გიბოძეთ შნი საყოფი სამოსახლო სამამულე და საყანე ჭალისთავიანათ პაატეის ლომინის ფშანი რომ ჩამოჰყვება კაპნარის თავიანათ და ისევ ეკლესიას უნდა ემსახურო, რლიც მისი ბეგარა გემართა და მეფობისა ჩნისა წარსამართებლად და სლისა ჩნისა საოხად ამაღლებას დღეს ცხუარი უნდა დაჰკლათ და მღუდელს უნდა აწირვინოთ და სხუა სათხოვარი ჩნგნ და

[1] ქართული სიმართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 432.

[2] იქვე, ტ. III, 1970, გვ. 318.

ჩვენის მოხელისაგან თქნ არა გეთხოს რა...“[1].

ამ სიგელიდან ზოგი რამ გაუგებარია თანამდროვე მკითხველისათვის. დღეს ვერცერთი ჭყვიშელი ვერ ბეტყვის, რას ნიშნავს „პაატეის ლომინას ფშანი“, „კანარი“ და სხვ.

ისევ გალაკტიონმა უნდა გვიშველოს ერთ პატარა ჩანაწერში, რომელსაც მრავლისმაუწყებელი სათაური აქვს – „მეფის ჭალა (ისტორიული რომანი)“ – გალაკტიონი მიუთითებს: ბაბუაჩემისაგან გამიგონია: ხუთასი ქცევა მიწა აჩუქა სოლომონ მეორემ ჩვენს წინაპრებსო. პაატა განთქმული მონადირე ყოფილა. რიონიდან კილომეტრნახევრის მოშორებით ტყეში ლოგინი ჩაუდგამს. „ჰქონდა თან თოფი. უმიზნებდა და ჰკლავდა ირმებს“. ამიტომაც დაერქვა ამ ადგილს „პაატეის ფშანი“. გალაკტიონი იმასაც აღნიშნავს, რომ ჭყვიშის შემოგარენი ადრე ძალზე „ჩაჟამული“ იყო. იმერეთის მეფეები დამნაშავეებს აქ ასახლებდნენო.

ამრიგად, გიორგიმ საფუძველი ჩაუყარა ტაბიძეების[2] ახალ ფუძეს. გენეალოგიური ხეც ასე განიტოტა:



---

[1] სარგის კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, 1921, გვ. 141-142.

[2] პროფესორი ფრიდონ სიხარულიძე წერილში, „ქართულ საგვარეულოთა შესწავლისათვის“ მიუთითებს: „ტაბიძე – ძე სუფიქსით გაფორმებულ ასეთ საგვარეულოს უნდა ნიშნავდეს ფთაბაძე.

მიგრაციის შემდეგ ეს საგვარეულო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჯერ-ჯერობით ორ დიდ შტოდ გაყოფილად (თებიძე, ტაბიძე) გვესახება“ (გაზ. „ალორძინება“, 2002, №7).

გიორგის შემდეგ ჭყვიშში სხვებიც ჩამოსახლდნენ და აჩქარდა სოფლის მაჯისცემა. დასავლეთ საქართველოში ეროვნული ფეხმოკიდებას რიონზე ნაოსნობის გაცხოველება მოჰყვა.

კ. ბოროზდინი იგონებს XIX საუკუნის 50-იანი წლების ამბებს. „...მაისის 23, როცა მე სტუმრად ვიყავი გეგიძესთან, მისი სახლის აივანზე იჯდა რამდენიმე მგზავრი, ფოთში მიმავალი. ლაპარაკობდნენ მეორე დღისთვის ნავის დაქირავების შესახებ. ამ დროს შორი-ახლოდან ზარბაზნის დაცლის ხმა მოისმა. ნეტავ, რა ამბავი უნდა იყოს? აქ ზარბაზანს რა უნდოდა?

თვალის დახამხამებაში გამოვცვივდით ნაპირზე და დავინახეთ პირველი და სრულიად მოულოდნელი ორთქლმავალი გემი, რომელიც დიდის ხმაურით მიაპობდა რიონის ტალღებს"[1].

მაგრამ ვიდრე ცეცხლის გემები ამოუყვებოდა რიონს, მანამდე ბრტყელძირა კოლხური ნავებით მოცურავდნენ ვაჭრები, უმეტესად ბერძნები, და ჭყვიშამდე აღწევდნენ. სოფლის ყურეში, რომელსაც წისქვაძისფონი ეწოდება, გაჩნდა დუქნები და სავაჭრო ფარდულები. საჩინოს თემიდან, რომელიც გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობის პროდუქთა სიუხვით, აქეთკენ მოედინებოდა სიმინდითა და აბრეშუმის პარკით დატვირთული ურმები. მოჰქონდათ კაკლის ხეები და ათასგვარი ნედლეული. მერე იტვირთებოდა უზარმაზარი ნავები და თავქვე ფრთისა თუ ყულევისაკენ მიცურავდნენ.

ჭყვიში პატარა სამდინარო ნავსადგურად იქცა. ამ გარემოებამ, ცხადია, გავლენა მოახდინა სოფელსა და მის მცხოვრებლებზე.

ფოთი-თბილისი რკინიგზის გაყვანის შემდეგ რიონზე ნაოსნობა შეწყდა და ჭყვიშმაც დაკარგა გარკვეული უპირატესობა. მაგრამ დიდი სოფლის სახელი მაინც შეინარჩუნა XIX საუკუნის მიწურულამდე.

გალაკტიონის დაბადების წელს აქ ორას კომლზე მეტი ცხოვრობდა: ტაბიძეები, ბახტაძეები, წიქვაძეები, ბერეკაშვილები, ნანაძეები, კოპალეიშვილები, ბაღდავაძეები, კიკაბიძეები, ლეჟავები, ქაჯაიები, მამფორიები, ფარცხალაძეები, ცაგარეიშვილები და ა. შ.

სხვათა შორის, ივანდიდთან კავშირი მთელი საუკუნე არ გაწყვეტილა. გალაკტიონი არაერთგზის ყოფილა მოწმე იმისა, თუ როგორ აიბარგებოდნენ ტაბიძეები და ჩარდახიანი ურმებით მამა-პაპათა სალოცავების მოსანახულებლად მიეშურებოდნენ. იმასაც იგონებდა, რომ ერთი ივანდიდელი „მაკვესართვალებიანი" მოხუცი ყოველ გიორგობას გატენილი ხურჯინითა და სავსე

---

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861, 1934. გვ. 302-303.

ტიკით მობრძანდებოდა ჭყვიშს.

ჭყვიში ქუთაისის მაზრაში შედიოდა და სამტრედიის საბოქაულოს ექვემდებარებოდა. თავაპირველად მას დამოუკიდებელი საზოგადოება ჰქონდა, შემდეგ კი ტობანიერს შეუერთეს.

საფიქრებელია, ადმინისტრაციული გაერთიანება მოსახლეობის შემცირებამაც გამოიწვია. ადრე ჭყვიში და მისი შემოგარენი, როგორც უბატონო მხარე, ბევრს იზიდავდა, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. გლეხობამ უფრო მწვავედ განიცადა მალარიისა და ადიდებული რიონის რისხვა. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ და დაბა სამტრედიის შექმნამ დააჩქარეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სოფლიდან წასვლა.

„ივერიის" პუბლიცისტი ვლადო ბზვანელი 1897 წელს წერდა: „ს. ჭყუშიდგან, რომელიც შეადგენს ტობანიერის საზოგადოებას, გადასახლდა ეწერის საზოგადოებაში 30-ზედ მეტი მცხოვრებელი. ამ გვარად დაშორდნენ თავის საზოგადოებას რვა-ათი ვერსის მანძილით. დღეს ისინი მეტად გაჭირვებულნი არიან, რადგან ვერ მიეწერნენ იმ საზოგადოებას, სადაც დასახლდნენ, და თავიანთი საზოგადოებაც დაუშორდათ, იმათთვის არც წირვა-ლოცვაა და არც სასწავლებელი"[1].

მეორე გაზეთის კორესპონდენტი არ კმაყოფილდება ფაქტის კონსტანტაციით და იმ მიზეზსაც გახაზავს, რამაც განაპირობა ჭყვიშელღა გადასახლება სამტრედიის მოსაზღვრე სოფელ ციცხში.

აქ სამოცი კომლია და ყველანი რიონგაღმიდან არიან გამოხიზნულნი, მათი აყრა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. „მკითხველს ეხსომება, რომ 1895 წელს დიდი წყალდიდობა იყო ქვემო იმერეთში. ამ წყალდიდობამ ყველანი ააწიოკ-დააწიოკა, მათ შორის ჭყუშელებიც. რიონი, რომელიც გვერდზე ჩაუდის ჭყუშს, მცხოვრებთა კარ-მიდამოს საშინლად ავერანებდა და იმ წყევლა-კრულვით მოსაგონებელმა წელმა ხომ სულ ბოლო მოულო ჭყუშელებს. აი, ამისათვის რამდენიმე კომლი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მამა-პაპური კარ-მიდამო და გადასახლებულიყო სხვა მხარეს, რადგან მათთვის ხელმისაწვდომი იყო და თან კარგადაც ემხრობოდათ ძველი სახნავ-სათესის მუშაობა. ამის გამო იყიდეს თითო ნაკვეთი მიწა ციცხში და დაესახლნენ იქ. ახლად დასახლებულთ თანდათან ემატებიან მეზობლები, რის გამოც ციცხის ცარიელი

[1] გაზ. „ივერია", 1897, №216.

მიწები, რომელზედაც ტურა-მგელის მეტი არა დადიოდა-რა. დღეს მცხოვრებლებით არის მოფენილი. აქაური მცხოვრებნი შეუერთდნენ ეწრის საზოგადოებას და თანაც ააშენეს საკუთარი ხის ეკლესია"[1].

ეს ცნობები იმიტომაც მოვიტანეთ,რომ,ჯერ ერთი,გვეჩვენებინა ჭყვიშის მოსახლეობის შემცირების ტენდენცია. მეორეც, ხაზი გაგვესვა იმ გარემოებისათვის, რომ გადასახლებულნი კავშირს არ წყვეტდნენ ძველ მეზობლებთან,ნათესავებთან,ხოლო მისვლა-მოსვლა და მჭიდრო ურთიერთობა გარკვეულად უწყობდა ხელს ჭყვიშში ახალი ცხოვრების შემოჭრა-დამკვიდრებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჭყვიშზე დიდ გავლენას ახდენდა სამტრედია. აქ მოდიოდნენ ბაზრობაზე, ზოგი აქვე იწყებდა სამსახურს. სამტრედიიდან მიემგზავრებოდნენ ფოთში, ბათუმში,ქუთაისსა თუ თბილისში. აქ უფრო ღრმად ეცნობოდნენ ბურჟუაზიულ ყოფასა და ურთიერთობას.

1892 წლის გაზ. „ივერიაში" ვკითხულობთ: „ვისაც რკინის გზით უვლია, უეჭველია შენიშნავდა, რომ სამტრედია ერთი საუკეთესო სადგურთაგანია. დღეს აქ საკმაოდ ბევრი ხალხი ტრიალებს, დიდი ვაჭრობაც იციან, ირგვლივ დიდძალი მოსახლეობაა და რამდენიმე დიდი სოფელიც- აკრავს ზედ. ამ ოცის, ოცდახუთის წლის წინად – კი იმ ადგილას,საცა დღეს რკინის გზის სადგური და ამდენი სხვა შენობაა გამოჭიმული, თითქმის გაუვალი ტყე იყო; მონადირე თუ შევიდოდა შიგ, თორემ მგზავრს, ვაჭარს და საქმის კაცს აქ რა უნდოდა"[2].

1897 წელს სამტრედიაში ორას ორმოცდაათამდე საწარმოდაწესებულება იყო. სახელოსნო, დუქანი, მაღაზია, აფთიაქი, სამკითხველო, წიგნის საავაჭრო და სხვა[3].

კაპიტალისტური ცხოვრება მოურიდებლად ანგრევდა ჯებირებს. სამტრედია ძალუმად იზიდავდა ბედის მაძიებლებს და მათ შორის ჭყვიშელებსაც. ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ გალაკტიონისათვის მახლობელი იყო სამტრედია. მას აქ არაერთი ლიტერატურული საღამო გაუმართავს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ პოეტის ბავშვობის, ყრმობისა და სიჭაბუკის ხანა აღსავსეა ამ ქალაქთან დაკავშირებული შთაბეჭდილებებითა და მძაფრი განცდებით. ალბათ ამ სიახლოვემ, ღრმა სიყვარულმა გაუჩინა უკვე სახელმოხვეჭდილ პოეტს სურვილი, სამტრედიას

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903, №2093.

[2] გაზ. „ივერია", 1892, №78.

[3] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1897, №291.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგალაკტიონო დარქმეოდა.

მოგვიანებით გალაკტიონი წერდა:

„შენთვის არავის უძღვნია ლექსი,
რომ ვერ გამჩნევენ ალბათ ბედია.
შენ ხომ სახელად ატარე დაბა –
თან მხოლოდ დაბა და სამტრედია.
წინათ ბორბლები დილიჟანსების
გაიძახოდნენ: ტობა, საჩინო.
ეხლა კი მინდა უზარმაზარი
შენში ქალაქი აღმოვაჩინო.
ინდუსტრიული დროის სიმბოლო!
ინდუსტრიული დროის რეფლექსი!
პოეზიისთვის ჩემგან პირველად –
აღმოჩენილი: ქალაქი-ლექსი!“

ჭყვიშზე გადიოდა სამტრედია-ვანის საფოსტო გზა – საჩინოს თემის ძირითადი არტერია. ყოველდღე ზანზალიკების წკარუნით ჩაიქროლებდა დილიჟანსი გალაკტიონის ეზოს წინ, ჭრიჭინით ჩაივლიდნენ დატვირთული ურმები. გარემოს აცოცხლებდა ჩალვადრების ჩვეული სიმღერა.

კვირაში ერთხელ კულაშელი მეწვრილმანის ჯაგლაგი ცხენი გამოჩნდებოდა ორღობეებში და გაჰკიოდა ისაკა: საპონი, გუნდა, მიხაკი, ფართალი...

შემოდგომაზე ჩარჩების შემოსევა იწყებოდა. გზისა პირას ჩალის ქოხებს დგამდნენ და კაპიკიან ტარანსა თუ ქინძისთავეში ოცდახუთ ტაროს ძალავდნენ ბავშვებს.

სოფელი ეკონომიკურად ღონივრად გამოიყურებოდა. „ჭყვიშელი გლეხი საზოგადოდ შეძლებულია. ძვირად ჰნახავთ აქ გლეხს, რომელსაც ოდა არ ედგას. ოდის აშენება თითქმის ავადმყოფობადა აქვთ აქაურებს გარდაქცეული. იშოვნის ოცს,ოცდა-ხუთს თუმანს თუ არა,მაშინვე ეშურება ოთხ-ხუთ თვალიანის სახლის აშენებას“[1].

შემოსავლის ძირითადი წყარო სიმინდი იყო. „ძნელად მოიპოვება იმისთანა კომლი, რომელმაც, რაც უნდ ცუდი მოსავლიანი წელიწადი შეხვდეს, ასი-ორასი ფუთი სიმინდი არ გაყიდოს ყოველ წელს. არიან იმისთანებიც, რომელნიც ოთხას ფუთამდის ჰყიდიან“[2].

გლეხები ხელს იმართავდნენ აგრეთვე აბრეშუმის პარკით. ეს საქმე,როგორც ჩანს,სარფიანი იყო,რაც დასტურდება ერთი კერძო

[1] გაზ. „ივერია“, 1892, №62.

[2] იქვე.

ბარათითაც. გალაკტიონის დედას ფული უთხოვია მაზლისთვის. პასუხად იუსტინე წერს: „...დღეს იმისთანა ვიწროობა მაქვს, რომ ვერაფერს ვერ გიხერხებ, სხვაგან რომ ვიშოვიდე გისეხხებდი და ისე გამოგიგზავნიდი. მარა როგორც მე არ მაქვს, ეგონებ, არც სხვას უნდა ქონდეს. ჯერ აბრეშუმი არ შემოსულა და ისე ფული, ხომ იცი, საიდან უნდა შემოვიდეს ჩვენში. ჩემი შემოსავალიც ამაზეა დამოკიდებული...“

ჭყვიში გამორჩეული იყო იმით, რომ აქ არცერთი თავადი არ ცხოვრობდა. ალბათ ესეც აპირობებდა მოსახლეობის ყოფასა და ურთიერთობაში სილაღე-სითამამეს.

პატარა გალაკტიონი დაკვირვებით ადევნებდა თვალს სოფლის ცხოვრებას. მის გონებაში ღრმად იბეჭდებოდა სოფლის სურათები, ყოფითი დეტალები და სიტუაციები, რომლებიც შემდეგ პირდაპირ თუ ირიბად თავს იჩენს მის შემოქმედებაში.

რა შეიძლება ითქვას ჭყვიშის გარემოსა და ლანდშაფტზე, როგორც გალაკტიონის ხასიათისა და ბუნების განმსაზღვრელ ერთ-ერთ წინა პირობაზე?

...ცენტრალურ გზას პატარ-პატარა შუკები ერთვის. შუკის ორივე მხარეს არცთუ დიდი ეზოები ბროწეულის ღობეებს მოუმწყვდევიათ, ჭიშკართან კაკალი ან თუთა შრიალებს. სახლის წინ გაფენილ მოლს ომბალო მოძალებია. უკან მუხის ბოძებზე შემდგარი სასიმინდეა. მოშორებით ხურმისა და ტყემლის ხეებზე ქათმები იბუდებენ.

ჩარღელებით შემოკავებულ ბოსტანში კეკერა მხალი, პრასი და ჭყიმა ხარობს, დიდი თეთრი გოგრები ძლივს იმაგრებენ თავს ისლიან სახურავზე.

საკმარისია წარმოწვიმოს და ტბორებით ივსება ეზოები. მერე მზე გამოანათებს და ადის ოხშივარი მიდამოს. ბოლავს ხავსმოკიდებული ყავრები, შრება აივანზე გამოფენილი ღამით დანესტიანებული ქვეშაგებელი.

სოფელსა და მის შემოგარენში უამრავი ფშანია. წუიან კოღოები და ბობოქრობს მალარია. „მღერის გომბეშო გაუმშრალი და ოქროპირი“ მდინარის პირას, გუბერებში, ეზოში. მას მოძახილს აძლევს ხეზე შესკუპული ვასაკა.

აქ ანწლი და ჭიაფერა კაცის სიმაღლისა იზრდება. შემოდგომით ღობის გასამაგრებლად ჩასობილი ტირიფის სარი გაზაფხულზე ტანშეფოთლილი ხეა.

ტიციანი წერს: „ტროპიკული გვიმრები, ლიანები, ჭადრებისა და ალვის ხეების ხშირი რიგები და ალაგ-ალაგ ჭაობიანი სახნავების ფართო არე ჩემს გონებაში აცოცხლებდნენ მაინ რიდისა და

ალექსანდრე დიუმას რომანების გმირებს... განსაკუთრებით დამამახსოვრდა მზის ჩასვლა რაიონისპირა ველებზე, როდესაც მზე ცეცხლმოდებულ მეწამულ პალიასტომის ტბაში ჩავშეებრდა ხოლმე და ცას სანახევროდ კოღოები ჰფარავდნენ"[1].

ციებისაგან გატანჯული ჭყვიშელ ქალს, რომელსაც შუბლი მხლის ფოთლებით შეუხვევია, პოეტი ქეთევან წამებულს ადარებს.

სოფელს რიონი აძლევს რიტმს. იგი მოწყალეც არიც და დაუნდობელიც. მოაქვს შლამი და ანოყიერებს სახნავ-სათესებს. მას უმადლიან თევზს, შეშას, საშენ რიყის ქვებს... გვიან გაზაფხულზე გაბოროტებაც იცის. ნაპირებიდან გადმოვა. მოხვეტს ყველაფერს, რისი მოხვეტაც კი შეუძლია, დატოვებს ხაშმს და გაილალება.

დავესესხებით „სამშობლოს" ერთ კორესპონდენციას.

„26 ივნისს, გათენებისას, შეიქნა ხალხში გულ შემზარავი კივილი, აბა, წყლის დანახვაზე ერთი მეორეს გასძახოდნენ: თავს უშველეთ ხეებზე გასვლით. აგერ დედა ადვიძებს თავის პატარა შვილებს და ბავშვებით ხელში გარბის ხეებისაკენ. აკვანი დღესაც ბევრ ალაგას არის ხეებზე ჩამოკიდებული"[2].

და შემდეგ:

„ამრიგათ განელო თითქმის ერთი დღე-ღამე. ხალხი მშიერ-მწყურვალე ხეებზე იყო შებუდრული, უმწეოთ დარჩენილი შეყურებდნენ ყველაფერს"[3].

წყალდიდობამ სოფელი გაანადგურა. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათი იყო. მაგალითად, 1922 წლის 16 ოქტომბერს ტიციანი მეულლეს სწერდა: „ჩვენი სოფელი რიონს სულ გაუფუჭებია".

რიონთან დაკავშირებული დეტალები ყოველდღიურ ყოფაში ძალუმად შემოიჭრა. მაგალითად, იტყოდნენ: ხე იმოდენა იყო, ერთი ნავი შეშა ავიდაო. ან მავანმა და მავანმა ერთი ნავი სიმინდი გაყიდაო, ნავმა საზომი ერთეულის ფუნქცია შეიძინა.

სხვათა შორის, გალაკტიონისათვის რიონი უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი მდინარე – მეგობარი და ცხოვრების სიმბოლო, სანუკვარი ფიქრების აღმძვრელი და მესაიდუმლე, ტკბობის საგანი და „მემატიანეც". ამიტომაც ამბობს:

„სიტყვით რაც ძველებრ
ხატავს კარგს, ფაქიზს,

---

[1] ტ. ტაბიძე, თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, 1966, გვ. 1.

[2] გაზ. „სამშობლო", 1915, №119.

[3] იქვე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვამეტყველებ
მშვენიერ ფაზისს.
მონად ვარ, მიწად
მისი ქნარისა,
სინარნარისა
და სიკისკასის"[1].

აქ ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე უნდა შევჩერდე.

გალაკტიონი ხშირად ესაუბრება მდინარეს. გთხოვთ, ამ ფრაზას ფიგურალურ გამოთქმად ნუ მიიჩნევთ. იგი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

დიახ, გალაკტიონის ურთიერთობა წყალთან განსაკუთრებულია. მას ეხერხება ტალღებთან უბნობა. ამას მხოლოდ ინტუიციას ნუ მივაწერთ.

დღეს უკვე დადგენილია, რომ წყალს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უნარი და რომ დრო და სივრცე სულაც არ ქმნიან ამ შემთხვევაში წინაღობას. სწავლულებისათვის ისიც ცნობილია, რომ წყლის ენერგეტიკული სიძლიერე დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში განსხვავებულია.

„...წყალს, ქიმიური ფორმულის (H_2O) გარდა, გააჩნია მისტიკური თვისებები – იგი ფიქრობს, აზროვნებს, ინფორმაციის მატარებელია და, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, გააჩნია სმენაც. ცნობილმა მუსიკოსმა და პროფესორ-მედიკოსმა სერგეი სურმაჯანმა ჩვეულებრივ წყალს მოასმენინა მუსიკა და აღმოაჩინა ის, რომ მუსიკა ხელს უწყობს წყალში ჰიდროქსინის (წყლის შემადგენელი დამუხტული ნაწილი) მომატებას. სხვა მეცნიერებმა კი უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ლაბორატორიებში დააფიქსირეს შემდეგი: წყლის კრისტალები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ კლასიკურ, ხალხურ და თანამედროვე მუსიკაზე. ულტრაიისფერი სხივებით გადაღებულ კადრებში გამოჩნდა წყლის კრისტალებზე რიტმული მოძრაობა.

მუსიკის ტაქტის მიხედვით წყლის კრისტალები ემოციას ვიზუალურად გადმოსცემენ – სასიამოვნო ჰანგების დროს ესთეტიკურ ცოცხალ ნახატს ქმნიდნენ, ხოლო მძიმე, დაძაბული მუსიკის მოსმენისას ერთმანეთზე ეჯახებოდნენ და ჰანიკურად მოძრაობდნენ. უფრო მეტიც, წყალს შეუძლია თავისი თვისებების შეცვლის შესახებ ინფორმაცია გადასცეს სხვა წყალს, რომელიც მისგან შორი მანძილით არის დაშორებული"[2].

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XI, გვ. 305.

[2] იგორ დოლიძე, რატომაა წყალი სკანდალური საიდუმლოს მატარებელი?, ჟურნ. „ფენომენი", 2005, №8, გვ. 7.

ცხადია,პოეტს ყოველმხრივ გაცნობიერებული არ აქვს წყლის საიდუმლო ბუნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რიონისაგან-იგი არა მხოლოდ ენერგიას იღებს, არამედ ინფორმაციასაც.

დავუბრუნდეთ განშტოების სათავეს.

სოფლის ცენტრში ხის ეკლესია დგას. წირვიდან გამოსულნი ცაცხვის დაკოჟრებულ ფესვებზე ჩამოსხდებიან, ნაწილიც მიწაზე მოირთხამს ფეხს და ყვებიან თავიანთი გაჭირვებისა და დალხინების ამბებს. მერე სიმღერას წამოიწყებენ და ეფინება მიდამოს იმერულ-გურული ჰანგები. პატარა გალაკტიონსაც გული იქეთ მიუწევს. გაირინდება, თვალებს მილულავს და არა მხოლოდ რიტმს, არამედ ხედავს კიდეც სიმღერას.

ზოგჯერ შეკრებილთ მღვდელი ან მასწავლებელი შეემატება და საუბარიც სხვა კალაპოტს იღებს. გლეხებს არიგებენ, ურჩევენ, უხსნიან.

შაბათ საღამოს ჯარიანობა ეწყობა. „...შეიკრიბებოდნენ გოგო-ბიჭები ცაცხვის ქვეშ ეკლესიის გალავანში და აწრიალდებოდა გარმონი, რომელსაც აქ „მუზიკა“ ჰქვიოდა.

ყველაზე უფრო მეტიჩარა გოგო მოიღერებდა ყელს და იტყოდა შაირს, სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა ქუთაისელი ექიმი: ხეჩინოვი, ნაზაროვი, მგონი სამსონ თოფურიაც,– ვიზედაც ეს ქალბატონი არ აპირებდა გათხოვებას, და დაათავებდა:

...მე წავყვები გომართელსო,
გული მტკივა, მომარჩენსო!

– შენ რაც გტკივა, ბიძია, კი ვიცი, მაგრამ გომართელს სად აქვს შენი მორჩენის თავი,– იტყოდა შეჭალარავებული სოფრონა, რომელიც ფაენივით გაჩნდებოდა ცაცხვებთან და ნავსი თვალით ათვალიერებდა შუკებში წამოზრდილ ახალგაზრდობას“[1].

გალავნის აღმოსავლეთით დუქნებია, აქ ჩერდება დილიჟანსი. აქვე ისვენებენ მეურმეები და ჩალვადრები. ურემს ქვეშასადგამზე შეაყენებენ. ცხენებს საპალნეს ჩამოხსნიან და თხრილის პირას მირეკავენ. წაიხემსებენ და ზოგჯერ თვალსაც მოატყუებენ.

მომავალი პოეტი მძაფრად განიცდიდა ყველაფერს. ჭყვიშის ბუნება – განსაკუთრებით შემოდგომისა და ზამთრის პეიზაჟები – მასში გაუცნობიერებელ სევდას ბადებდნენ, ფიქრისა და ოცნებისაკენ უბიძგებდნენ.

სწავლულები ამბობენ,რომ ადამიანის ორგანიზმი მშობლიური მიწის ატომებისაგან შედგება, რომ პიროვნებასა და მშობლიურ გარემოს შორის ქიმიურ ელემენტთა მუდმივი ცვლაა, რაც პატრიოტიზმის საფუძველი და ინდივიდის მეობის ერთ-ერთი

[1] ტ. ტაბიძე, თხზ., ტ. 3, გვ. 43.

განმსაზღვრელი ფაქტორია.

გალაკტიონიც ჭყვიშის ატომებით, მისი ხმებით, ფერებითა და სევდით ღრმად არის გაჯერებული. იგი მთელი არსებითა და სულით ეჯაჭვება მშობლიურ გარემოს, რაც კარგად წარმოჩინდება პოეზიაში. გალაკტიონის შემოქმედება უთუოდ დავალებულია ჭყვიშისგან. ეს სოფელი არცთუ იშვიათად იყო პოეტური ხილვა-აფეთქების წყარო და ობიექტი.

აბსურდი იქნებოდა იმის თქმა, რომ გალაკტიონი, როგორც მწერალი, არსებითად ვიწრო მშობლიურმა ბუნებამ და გარემომ შექმნა. იმ წიაღში ასობით სხვამაც აახილა თვალი, მაგრამ მასავით არავის გაუშლია ფრთები. გალაკტიონი იმიტომაც არის გალაკტიონი, რომ გასაოცარი, უღრმესი ხილვები და შეგრძნებები ჰქონდა, მისი გული სეისმოლოგიური სიზუსტით აღნუსხავდა უმცირეს ძვრებსაც და ეს მაშინ, როცა სხვები დედამიწის შებარბაცებასაც კი ვერ გრძნობდნენ. ამ თანდაყოლილი ნიჭის გამახვილებას უთოდ შესამჩნევად შეუწყო ხელი რიონის სანახებმა და ყმაწვილობის დროინდელმა დაკვირვება-შთაბეჭდილებებმა. ბუნება არა მარტო ტკბობის წყარო იყო მისთვის, არამედ განწყობილებათა მიზეზი თუ საბაბი, მძლავრი იმპულსების წარმომშობი, ლირიკულ გამძაფრებათა სათავე, სტრიქონებში განცდათა დაურვების საფანელი...

ჩვენ ვერ შემოვიფარგლებით იმის აღნუსხვით, თუ რამდენჯერ არის ფიქსირებული გალაკტიონის ლირიკაში მშობლიური ტოპონიმები, როგორი სტრიქონები უძღვნა პოეტმა ჭყვიშის, შუამთის თუ საპაიჭოს სანახებს. როგორ იგონებს იგი ბავშვობისა და ყრმობის ეპიზოდებს. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხებია, რამეთუ იგი ნიადაგისა და ნაყოფის ცნობილი დილემის გადაჭრის წინა პირობაა. მაგრამ ამით დაკმაყოფილება პრობლემის პროკრუსტეს სარეცელზე მოთავსებას დაემსგავსებოდა, საოცრად დაკნინდებოდა და პროვინციულ ხასიათს მიიღებდა გალაკტიონის პოეზიის ჩვენთვის საინტერესო ნაკადი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და აგრეთვე ძნელსაკვლევიც, თუ მშობლიურმა გარემომ რა გავლენა მოახდინა გალაკტიონის პოეტურ ფორმირებაზე. შეიძლება ლექსში სრულიად არ იხსენიებოდეს საჩინოს თემი თუ ტობანიერის ჭადრები, მაგრამ იგი სწორედ „სოფლური“ განწყობილებითა და შთაბეჭდილებებით იყო შთაგონებული.

გაგვიჭირდებოდა იმის თქმა, რომ გალაკტიონი საგანგებო გამოცალკევებით იხსენიებდა მშობლიურ სოფელს. მოგონებათა მოვანების ჟამს, ჩვეულებრივი საუბრისას თუ სერობისას ბევრის

მხილველი მგოსანი მისთვის ნიშანდობლივი ნახევარტონებით, უეცარი შეყოვნებებითა და მოცახცახე კილოთი ყვებოდა მრავალი ქალაქისა და სოფლის ამბავს. და მაინც, თუ შეპირისპირებაზე მიდგება საქმე, მის მოგონებებში პირველობის პალმას ისევ ქუთაისი და პეტერბურგი ისაკუთრებენ. (თბილისი განცალკევებით დგას გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. იგი არა მოგონებების, არამედ ყოველდღიური განცდის საგანი იყო).

აღნიშნული ფაქტის ერთი გარემოებით ახსნა სწორი არ იქნებოდა. შეიძლება იმანაც იქონია გავლენა, რომ გალაკტიონი დიდხანს არ ცხოვრობდა ჭყვიშში და არც ხშირი სტუმარი იყო მისი. ალბათ იმანაც, რომ თავი „სრულიად საქართველოს ძედ" გამოაცხადა, იმანაც, რომ მგოსანი გულის ძაფებით ენასკვებოდა ყოველ ახალ ადგილს... ამიტომაცაა შინდისი,ყვარელი თუ ბათუმი ესოდენ მახლობელი მისთვის... ეს,რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პოეტმა ზურგი შეაქცია მშობლიურ სოფელს.

გალაკტიონისათვის ძვირფასი იყო ჭყვიში და მისი მოსაზღვრე სოფლები. იგი არაერთხელ დასდგომია ნათესავებთან თუ ნაცნობ ჩალვადრებთან ერთად დედულეთის გზას. ჭყვიშიდან აღმოსავლეთისაკენ გაუტევდნენ და ერთ საათში შუამთას მიადგებოდნენ. შემდეგ სამხრეთისაკენ აუხვევდნენ და იწყებოდა აღმართ-დაღმართები, ყუმურზე გადებული ბოგირები, ფერად-ფერადი კორდები და შექუჩული კორომები.

ზოგჯერ ტობანიერის მუხნარს გვერდს აუვლიდნენ და დასავლეთის შარას გაჰყვებოდნენ. ნასერალის ჩასახვევთან შეჩერდებოდნენ. გალაკტიონს განსაკუთრებით უყვარდა ეს ადგილი. უზარმაზარ სამიჯნე ქვაზე გარკვევით იკითხებოდა: „მეფემან სოლომონ გაენათს შევსწირე" (ესე მიწანი). პატარა ბიჯის წარმოსახვაში ასოების მიღმა ფერადი სურათები ცოცხლდებოდა XVIII საუკუნის იმერეთი,ოქროს ჩარდახი,ბრძენი ხელმწიფე, ფანტასტიკური გელათი და...

გზად მიქელეფონში შეისვენებდა. აქ მამიდა ეგულებოდა – გერმანე გიორგაძეზე გათხოვილი მორცხვი და კეთილი ტერეზა. გალაკტიონს გამორჩეულად უყვარდა უფროსი მამიდაშვილი გიორგი და ეს სიყვარული ბოლომდე შეინარჩუნა. სევერიანე კეკელიძის (გალაკტიონის მამიდაშვილის – – ოლღას მეულლის) ოჯახში ახლაც სათუთად ინახავენ გალაკტიონის მიერ გიორგისადმი მიძღვნილ წიგნს ძვირფასი წარწერით.

ცოტა კიდევ და საოცნებო საპაიჭოც. ადეიშვილების წაბლის ოდა ფართო აივნითა და ლამაზი რიკულებით თითქოს გულში ჩასაკრავად იწვევს. 19 წლის გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია:

„ეს ადგილი მთიანია, კარგი ჰაერით და ნათესავებიც კარგი ხასიათისანი მყვანან იქ“.

იმერეთის ამ პატარა კუთხემ მძლავრად შეარხია პოეტის სული და ფესვი გაიდგა „მშვენიერ წიგნებში“. მოგვიანებით შეთხზულ ერთ ლექსში გალაკტიონი ამბობს:

„სადაც არ უნდა ვლიდეს
ეს საჰაერო გემი,
მაინც ფაზისის კიდეს
უვლის ოცნება ჩემი.

სადაც მგზნებარე ბავშვი
ქარის პირისპირ ვქროდი;
ველად, ყანაში, ნაგში
მღერდა ზვირთების შფოთი“.

მაინც როგორ არის დახატული მშობლიური სოფელი? მოვიგონოთ ცნობილი ლექსი „ომნიბუსით“.

„ეზოს ახსოვს ყოველ წუთის
შარაგზა და გადაღმა.
ისევ იქ დგას ჩრდილი თუთის,
ცაცხვები კი გადახმა.
და ტირიფიც მაღლარ მტევნით!
სასაცილო ტირიფი,
გადახრილი ზედმიწევნით,
მსუბუქი და ირიბი.
დაფენილი, თითქო ომში,
ფშანია თუ ჟალტამი?
ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი.
ალუბლები ისე ჰქრიან –
სუვდიანნი სიონი,
და სახელად რიონს ჰქვიან
ისევ იგი რიონი.
ისევ ჩნდება მწყერით ველი,
ღალღა თვალს ეცეცება.
ღამღამობით მოდის მგელი
და საქონელს ეცემა.
დარჩენილი მინდვრად ჩალა,
დანისლული კოპიტი.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VII, გვ. 162.

განადგურდა მეფის ჭალა,
ჩრდილი შემოდგომით"...!

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ჭყვიშში, მას არ გაუმნელდება ამ ლექსში იქაური ლანდშაფტის დანახვა. უფრო მეტიც, აქ ჩანს გალაკტიონის ეზოც: გზის პირად ჩამწკრივებული ტირიფები იზაბელათი[2], კამურითა და ალადასტურით გადაბარდნილი. კომშების რიგი და ბალახებში მიმოფანტული ყვითელი ნაყოფი. ცოტა მოშორებით ბუბუნა კოპიტები, სახლის გვერდით კი დიდი თუთა. გადაკვეთ შარას და ჟალტამში ჩაფლული ბილიკი რიონთან მიგიყვანს. გზად მწყერი აგიფრინდება და შენს ხედვას მეფისჭალისკენ გაიტაცებს.

ლექსში ირეკლება კონკრეტული ამბები, რომელთა მომსწრე გალაკტიონი ყოფილა. (ეს ფიქსირებულია მის დღიურებშიაც). ღამღამობით მგლები რაიონის ტოტს გადმოსცურავდნენ და კუნძულ ხვილიფზე საქონელს გლეჯდნენ.

გალაკტიონი არა მარტო ხედავს, არამედ განიცდის. ჩვენ გვესმის რომანტიკოსის გულის ფეთქვა. მგოსანი მშობლიური სოფლის ტიპურ მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას და სურათის ჩარჩოსაც აფართოებს, რაც საბოლოოდ გრძნობათა განზოგადოების საფუძველიც ხდება. ესეც ხელს უწყობს ლექსის მასშტაბურობას და განცდის კონკრეტული საფუძვლის ფართოდ გააზრებას. ამიტომაც არის, რომ ჩვეულებრივმა მკითხველმა ამ ლექსში შეიძლება ვერ ან არც დაინახოს ჭყვიში (ეს არცაა მისთვის მთავარი). მას პოეტური განწყობილება ხიბლავს და არა ფაქტურა.

ვიმეორებთ: ლექსში ჩანს გალაკტიონის მშობლიური სოფელი, მაგრამ არა ეთნოგრაფიულ-პუბლიცისტური სიზუსტით. სოფლის რეალიებს შენარჩუნებული აქვს კონტურები, ამასთანავე მინიჭებული აქვს გლობალურობის ფუნქციაც. ამიტომაც არის ხსენებული ნაწარმოები ესოდენ ღრმა, ტევადი და მომხიბვლელი.

ხედვისა და წერის ამგვარი მანერა ნიშანდობლივია გალაკტიონისათვის. იგი უმეტეს შემთხვევაში არ ასახელებს სოფელს, მაგრამ ისეთ მომენტებსა და დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც მშობლიური გარემოს ხატს იძლევა. ეს შემთხვევითად არ უნდა მივიჩნიოთ. იგი პოეტის კონცეფციის,

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 330-331.

[2] ვაზის ამ ამერიკულ ჯიშს, ჩვენში „ადესას" უწოდებენ. როგორც თედო სახოკია შენიშნავს, „ალბათ იმიტომ, რომ ქ. ოდესიდან მოუტანიათ" (თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 231).

სტილის ერთ-ერთი მეტყველი გამოხატულებაა. გალაკტიონს სოფელი აინტერესებს, როგორც მიზეზი თუ საბაბი ლირიკული განცდისა. ყმაწვილური მოგონებები, ბავშვობისდროინდელი ეპიზოდები მისთვის საშენი მასალაა, მაგრამ არა მხოლოდ მასალა. ამგვარი მიდგომა, როგორც ითქვა, ფართო განზოგადობის საფუძველს ქმნის და მასშტაბურობას უწყობს ხელს. გავიხსენოთ ქართული ლირიკის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში „ჭარხალი".

„ეზოში ყეფდა ბამბურა შურა,
ეზოში მწვანე ჰყვაოდა ბაო,
ვაზის ბარდებში სცურავდა სურა,
შენ ბანცალებდი, ბურულო ცაო.

ბობრი ბელავდა კახამბალს, ჟოლას,
ბირკვილს ბატები ქარმა მორეკა,
ცა წამოიწყებს მსხვილ წვიმის სროლას
და აბლაბუდას კრებს ბობორიკა.

ჟეერი, ჟალტამი! მოჭრილი სამხარს,
ნახირი მოდის საღამო დროის,
უცებ მოჰყვება ჭარხალი ხარხარს
და ქალი ჰკივის იმ „დოი-დოი"-ს.

ეკვეთა ქარი ბურდებსა და რტოს,
უცებ აშფოთდა ისლი, ნელტები.
ო, სიყმაწვილე! აწი არასდროს
იმგვარად აღარ ამეტყველდები"[1].

სიყმაწვილისას სამყაროს აღქმა ამაღლებული განწყობილებით ხდებოდა, რასაც კონკრეტული სურათები აპირობებდა. ამრიგად, სოფლის პეიზაჟს ღრმა დატვირთვა მიეცა. იგი ადრინდელი შთაბეჭდილების პოეტური დასაბუთებისთვის არის მოშველიებული. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც იმჟამინდელი სევდის საფუძველზეც მიგვანიშნებს.

სოფლის სურათი რომანტიკულად არის წარმოსახული და მკითხველისთვისაც აშკარაა, რომ ობიექტის სიმშვენიერემ განსაზღვრა განცდის მომხიბვლელობა. პოეტმა სიყმაწვილე თვალწარმტაც ხატებსა და ტკბობას შეუწყვილა. ამიტომაც განიცდება ასე მძლავრად მისი დაკარგვა.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 331-332.

ჩანაფიქრის გამოსახატავად ზუსტი გზა და საშუალებები თუ ვერ მოიძებნა, ეფექტი სუსტდება. განცდა რომ გადამდები იყოს, მას, უპირველეს ყოვლისა, სიწრფელე და ბუნებრივობა უნდა ახასიათებდეს. ლექსი პოეტური ლოგიკურობით უნდა გამოირჩეოდეს. ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტურას (ამ ტერმინს ფართო გაგებით ვხმარობთ).

გალაკტიონი ამ მიზნით ზოგჯერ სოფლის, ჭაბუკობისდროინდელ მოგონებებს მიმართავს და საუკეთესოდ აღწევს მიზანს. ლექსში „როგორც მენავემ ძველი სანავე" პოეტი განახლების ქარის სუნთქვას გრძნობს და სასიამოვნო ცვლილებებს ჭვრეტს. ამიტომაც ნატრობს:

„ნეტა ამ ნავში დამაძინა და
გამომაღვიძა ასი წლის გარე –
მანახვა: რა მხრით, როგორ ინათა
და როგორ ნათობს აქ მზე და მთვარე"[1].

სურვილისა და განწყობილების სიწრფელე, ბუნებრიობა შეპირობებულია ლექსის წინა სტროფების შინაარსითაც.

„როგორც მენავემ ძველი სანავე,
ვით გულმა გული და მკლავმა მკლავი,
ისე პირველი ნახვისთანავე
ვიცანი ჩვენი მდინარის ნავი.

ჩემი ყრმობის ხნის, დიდი ხნის წინედ
ამ ნაპირებმა, სავსემ მწვანეთი,
იცოდა, საჭვე, რა გულმოდგინედ
დავიმეგობრეთ ჩვენ ერთმანეთი"[2].

მშობლიური ადგილების ამგვარად წარმოსახვამ, მოგონებებმა გზა მოუჭრეს ყალბ პათეტიკას. სურვილისა და მისი გამომწვევი მიზეზის ოსტატურმა გადაჯაჭვამ ლექსი შინაგანად გაამთლიანა. ჩემთვის გასაგებია გალაკტიონის ნაწარმოებთა არაერთი ქვეტექსტი. მისი ლექსების კითხვისას ზოგჯერ ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს გულდაგულ ვჭვრეტდე, თუ საიდან იღებს სათავეს პოეტის განწყობილება და როგორ ნივთდება იგი.

ლექსს „მოდის ჭალების სული მცურავი" ყოველთვის ჭყვიშში გადავეკავარ. რატომღაც მგონია, რომ იგი დედის წერილითაა შთაგონებული. ტაბიძეების საგვარეულო არქივიც ასეთი დასკვნისაკენ მიბიძგებს. „ფიქრიდან განუშორებელი

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ. ტ. IV, გვ. 34.

[2] იქვე გვ. 33.

შვილისადმი“ გაგზავნილ ბარათებში დედა დაჟინებით იმეორებს: ჩამოდი სოფლად, ნუთუ არ გენატრება აქაურობა?! მე ვხედავ: მეურნეობა ნადგურდება, რიონიც გვიტევს...

მგოსანი თითქოს სევდიანად დასცქერის ამგვარ ბარათებს და იბადება სტრიქონები:

„შენ არ იგონებ ეზოებს, ფაცხებს,
არ გახსენდება დიდი შარაგზა,
შენ არ დაუწყებ საუბარს ცაცხვებს,
აღარ გაუბამ მთებს ლაპარაკსა.
არ გაგონდება ჩვენი თუთები,
არ გაგონდება ჩვენი ფშანები,
არც შორი სახლი ნასათუთები,
არც ღრუბლიან დღის კაეშანები“[1].

ლექსში გაცოცხლებულია ჭყვიშის პეიზაჟი.

„მდინარემ წყალი შემოადიდა,
კოპიტებთან დგას ზვირთი წყალისა.
დაფარულია მთელი მინდორი,
თანდათან მღვრიე რიონი მოდის,
მოაქვს ხაბო და ნასიმინდარი,
მოაქვს ამინდი წვიმის და შფოთის,
მოაქვს ხეები, მოაქვს მორები,
მოაქვს ჭალების სული მცურავი,
მოუახლოვდა სახლებს მორევი,
მდინარის რისხვა და სამდურავი“[2].

ტაბიძიანთ ეზოს სასაფლაო ეკვრის. აივნიდან დადუმებული სამეკლო მოჩანს. მიტოვებული საფლავები, მიწაში ჩაკარგული ქვები, გაძარცული ცაცხვები და შემოდგომის ირიბი წვიმა აღიზიანებს წარმოსახვას. პეიზაჟი სულის სიმებს ათრთოლებს და ისევ ტივტივდება ყოფნა-არყოფნის დილემა. ცხოვრების წარმავლობით გამოწვეული განცდა ლექსს ემოციური შინაარსით ტვირთავს და მძაფრ ინტონაციებს მატებს.

„სადღაც შრიალებს ჭაობი ჭყვიშის,
შარასთან ორი ძველი ცაცხვია;
იქ ბევრი დარდის და ბევრი შიშის
გადამტან გულთა ფერფლი აწყვია.
ხსოვნაც არაა, გამქრალა ნიში;
რა სიშიშვლეა, რა სისაწყლეა!“[3]

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ. ტ. I, გვ. 332.

[2] იქვე გვ. 332-333.

[3] იქვე, ტ. VII, გვ. 42.

ამჟამად ჩვენს ყურადღებას ლექსის ღრმა პოეტური შინაარსი კი არ იპყრობს, არამედ მისი შემაპირობებელი სოფლური დეტალების ხაზგასმა. ცხადია, აქ სოფლის გარკვეული სურათი ჩანს, მაგრამ არა სქემატურ-დეკორატიულად. ბუნება დრამატული განცდის გამოვლენის საბაბი და ფონია.

თავისთავად ძალზე ლამაზი და მომხიბვლელი სოფლის სურათი, თუ იგი პოეტის სულით არ არის გაშუქებული, ნაკლებ დაგვაკმაყოფილებს. გალაკტიონის ლირიკაში სწორედ მგოსნის განცდებთან შეწყვილებული და რამდენადმე ავტონომიადაკარგული სოფელი ჩანს.

„მახსოვს ზაფხული ტობანიერის,
ჩვენი მდინარე და მეფის-ჭალა,
დედა სათუთად შლის „ივერიას“,
მდინარის ქარი ჰქრის ჩალა-ჩალა“[1].

ეს სურათი ასოციაციების წყებათა წყებას ბადებს. მესამე ტაეპში ბევრი რამ არის ჩატეულ-ჩაქსოვილი. აქ იგრძნობა ის კულტურული ატმოსფერო, რომელიც ტაბიძეების ოჯახში სუფევდა; ის სიყვარული ილიასა და ქართული მწერლობისადმი, რომელსაც სათავე სტეფანე ტაბიძემ დაუდო. ან როგორ ნათლად ჩანს გალაკტიონის დედა – კრძალვითა და გატაცებით რომ ფურცლავს ჟურნალ-გაზეთებს, ლიტერატურის სიყვარულს რომ ულვივებს შვილებს.

სხვა რიგისაა მეოთხე ტაეპი. აქ წმინდა ჭყვიშური პეიზაჟი შეიცნობა: რიონისპირა ჭალებს მზე ძლიერ აჭერს და სილანარევი ნიადაგიდან, ავარდნილი ბუღი მდინარეს ამოყოლილ ქვენა ქართან ერთად სიმინდის ღეროებს აშიშვლებს. სხვაგან სიმწვანეა, აქ კი ჩალა ხმიანობს. მესამე და მეოთხე ტაეპები ერთმანეთს ავსებენ. ლექსი დინამიკური და ტევადი ხდება.

„არც ის ზაფხული არსებობს ახლა,
არც მეფის-ჭალა, არც ის მდინარე,
სულ სხვა დროებამ ხმა აღიმაღლა
და გზა წაშალა მონანინარე“[2].

განა აქ ფაქტის ფიქსაციაა მთავარი? ზემოთ მოტანილ სტრიქონებში პოეტის წუხილია გამჟღავნებული და შეცდომა იქნებოდა, იგი კონკრეტული პეიზაჟის ცვალებადობით აგვეხსნა. აქ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ.-VI, გვ. 188.

[2] იქვე გვ. 188.

უფრო ღრმა აზრია ჩაქსოვილი. ურვა განაპირობა ახალგაზრდობის, სიყმაწვილის დაკარგვამაც. და მით უფრო ხმიანობს ეს დარდი მკითხველის სულში, რამდენადაც იგი ლირიკული გმირის ნათელ მოგონებებთან არის დაკავშირებული. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ლექსში ნაღველი ყველაფერს როდი ახშობს. წუხილი და სიხარული ურთულეს კონტრაპუნქტად იწნება. „სხვა გზა", „ფართო ჰორიზონტი", სოციალური ცხოვრების გარდაქმნაზე მიგვანიშნებს და პოეტის აღტაცებას ამჟღავნებს. ერთი სიტყვით, ლექსში შორიდან დანახული დეტალები კი არ ენასკვება ერთურთს, არამედ პოეტის მიერ განცდილი და ამაღლებული.

ზოგიერთ ლექსში სოფელი და ცალკეული საგნები გალაკტიონის პოეტური აფეთქებებისა და ყმაწვილური გატაცებების მესაიდუმლე-თანაზიარად გვევლინებიან. ასეთ შემთვევაში უტყვის ამეტყველებიდან მომდინარე მძლავრი ეფექტი იქმნება და ნაწარმოები დიდი შინაგანი შუქით ნათდება.

„ადგილები, სადაც დღის მაბრმავებდა მყობადი,
შარა სანაპიროზე და მაისის „ნობათი",
მახსოვს მისი დღეები სამშაბათი, შაბათი,
სანაპირო და ჩემი ჩაბალახი, ნაბადი.
ფაზის სანაპიროზე ცივის ცვარით ნაბანი,
ჩემი ყრმობის ლექსების მოთაყვანე ლაფანი"[4].

მშობლიური სოფელი და მასთან დაკავშირებული ამბები ყველაზე ვრცლად „მშვიდობის წიგნში" აისახა. პოეტი დიდ ადგილს უთმობს ფაზისის ადიდებისა და მდინარისპირა სოფლის (იგულისხმება ჭყვიში – ნ. ტ.) გასაჭირის აღწერას. ცხადია, ფიქსირებული სურათები პოემის დედააზრის გაშლისა და სიუჟეტის განვითარებისათვის არის მოხმობილი.

გალაკტიონი უშუალოდ ხილულსა და განცდილს აღწერს. კითხულობთ პოემას და თითქოს ცხადლივ ხედავთ, თანდათან როგორ ივსება კალაპოტი. მოქუხს მღვრიე მდინარე და ზანზარებს ირგვლივ ყველაფერი. ტალღები ხან საბძლის კარს აატივტივებს, ხან კიდევ მორებს შეახეთქებს ურთიერთს. შუა მდინარეში ზოგჯერ გიდელ-კალათებიც ამოყურყუმალავდება. დუქმორეული სტიქიონი ყველაფერს წალეკვით ემუქრება. ხალხი ნაპირზე გამოფენილა. შიშჩამდგარი თვალებით გასცქერიან პირმორღვეულ სივრცეს.

მერე ნავებს მოხსნიან და ნაპირზე ამოათრევენ.

მდინარე უფრო და უფრო ზვავდება. ერთი მტკაველი რჩება

---

[4] გ. ტაბიძე, თხზ. ტ. VI, გვ. 235.

ხაბოს თავამდე. შეძრწუნებულნი შინ გარბიან და იწყება ქათმების კრიახი, გოჭების ჭყვირილი, საქონლის ბღავილი, ოჩოფეხებზე შემდგარ სასიმინდეებში უთავბოლოდ ყრიან ყველაფერს.

მდინარე კალაპოტიდან გადმოდის, სისისით ავსებს წყალი ფშანებსა და ეზოებს.

მაკრინე სხვენზე ეზიდება ბარგს.

— აბესალომ, წიგნები მომაწოდე!

— გატუნია, ფრთხილად ამოდი, შვილო!

და იზნიქება დირეებზე გადებული შქერის წნელით დალობილი ჩელტები ზანდუკებისა და ხალმების სიმძიმისაგან.

წყალი ტაბიძეების ქოხშიაც შემოიჭრება, კერიას გადაუვლის, ნაცარს ააფუებს, ფიჩხის ნამწვავებს აატივტივებს. მერე ყუჩდება.

მაკრინე მუხის გრძელი კიბით დაბლა ეშვება. საქონელს უნდა მიუგდოს ყური, გადის წუთები, საათები... მოსაწყენია. გატუნია სახურავიდან ყავარს აძრობს და დატბორილ სოფელს გასცქერის...

ყველაფერი ღრმად იბეჭდება გონებაში.

და აი, ათეული წლების შემდეგ ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილებები პოემაში ცოცხლდება. წარსულის განცდა ძალზე მძაფრია და გალაკტიონი ლირიკულ გადახვევებშიც ამჟღავნებს თავის ენებათა ღელვას.

„იყო კარგი ტყე,
და ალარ არის!
მე და შენ კი, ჰე,
ამ არე-მარეს
რამდენი წამი
გვახსოვს სიამის...
ის დრო და ჟამი
წაყვა სიზმარეთს!"[1]

„მშვიდობის წიგნის" სიძლიერეს ისიც აპირობებს, რომ მასში ძალზე რელიეფურად არის დახატული ცალკეული პასაჟები, რომელთა წყარო ჭყეიშია. გალაკტიონი ყვებოდა ხოლმე: როცა ადიდებული რიონი ეზოებს დატბორავდა, სოფელს ნავები არ ეოფნიდა და ზოგიერთი ახალგაზრდა საწნახელს გამოაცურებდა. ძნელი იყო საწნახელით წონასწორობის დაცვა. ყირავდებოდა ეს უცნაური „ხომალდი" და გაბედული მესაჭეც თავიდან ბოლომდე ილუმპებოდა. ეს სურათები თითქმის პირდაპირ არის გადმოტანილი „მშვიდობის წიგნში". პოეტი მსუბუქი იუმორით აღწერს ეროდეს ფათერაკს.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XI, გვ. 150-151.

მსგავსი მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა. მთავარი ის არის, რომ პოეტი უხვად იყენებს სიყრმისას მეხსიერებაში ჩაბეჭდილ ჭყვიშურ ეპიზოდებს ნაწარმოებთა საშენ მასალად.

აქვე უნდა გავიხსენოთ ის ვირტუოზული სახეები, ტროპები, რომლებიც მშობლიური ადგილების ხილვითა და შთაბეჭდილებები არის პირობადებული. სინამდვილე მძლავრ მეტამორფოზს განიცდის პოეტის სულიერ ქურაში, ახალ სიცოცხლეს იძენს და ისე გვეძლევა, მაგრამ, მიუხედავად ამ სირთულისა, ზოგჯერ მაინც ხერხდება „საწყისი პოზიციის", განცდათა საბაბის თუ მიზეზების წარმოსახვა-მიკვლევა.

„სალამოს ხანად ჩალანდრის ცხენი
მე მაგონებდა გორებს შორეულს,
ფშანში ლანდივით დაცქერდნენ ხენი
ბინდის მეგობარს მოუშორებელს"[1].

სოფელი საინტერესოა არა მხოლოდ როგორც ასახვის ობიექტი, როგორც კონკრეტული ლექსის თემა, არამედ სხვა მხრივაც. კერძოდ, იმ თვალსაზრისით, თუ როგორი გავლენა იქონია მან ინდივიდის ფორმირებაზე, ე. ი. ჩვენ გვაინტერესებს სოფლისაგან პირობადებული ხასიათ-განწყობილების შედეგი.

ცნობილია, მდიდარი ბიოგრაფია პოეტური ინდივიდუალობის ერთ-ერთი წინა პირობაა. რა თქმა უნდა, ყოველივე ინდივიდუალური არ გადატყდება პოეტურ პრიზმაში, მაგრამ ისიც ფაქტია,რომ მრავლის ხილვა,განცდა,გააზრება აფართოებს ლირიკის ჩარჩოებს და ზრდის უშუალობას.

გალაკტიონის ბიოგრაფია ჭყვიშიდან იწყება. ჭყვიში და იმერეთი ხელს უწყობენ მისი თვისებების, ჩვევების გამოკვეთას. ცხადია, გეოგრაფიულ გარემოს პოეტური ხასიათის ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ვერც სულ უარვყოფთ მის როლს.

შემთხვევითი არაა გალაკტიონის ლექსებში შემოდგომის ხმები და განწყობილებები.

უცნაური შემოდგომა იცის ჭყვიშში.

ნოემბერი წვიმაში იხრჩობა და ტირის ორლობეში ქალის ნაფეხური...

ქარი ბებერი ვაშლის ტოტს კედელს მიახლის, მცირე ხნით გაარინდებს და ფხაჭნით ჩააცურებს, თითქოს ზღურბლთან წაქცეული მგზავრი სადგურს ითხოვს. მერე მთელი ძალით ეცემა სახლს, ღრიჭოდ დარჩენილ კარებში შემოიჭრება, ააფუთფუთებს

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XI, გვ. 170.

იქაურობას და ჭუჭტურანიდან გაიპარება.

ნედლ შეშას ისევ დააყრიან კერიას და ჯორკოს ცეცხლთან მიახოხებენ.

შემოდგომა სულშიც ეონავს. გინდა გაიქცე, გაიქცე; სულს მზით სავსე ლურჯი მონტევიდეო სწყურია, მაგრამ გზა არსით არის.

იხრჩობა ნოემბერი წვიმაში და ტირის ორღობეში ქალის ნაფეხური.

ბურუსი დასწოლია მდინარეს. მდუმარებას მოუცავს მეფისჭალა. გაძარცული და თავდახრილი ხეები თითქოს გაზაფხულის ცოდვებს ინანებენ. თალხი მომატებია საფლავის ქვებს. სულს ზარავს ფეხმოტეხილი სამრეკლოს ყელგამოჭრილი სიშავე. კვლავ უკრავს წვიმა ყავრის კლავიშებზე და ნელა იწვის ნედლი შეშა. სევდა გულს ადნობს. საშველი არ არის, არ არის, არ არის.

იხრჩობა ნოემბერი წვიმაში და ტირის ორღობეში ქალის ნაფეხური...

ამ დროს ზოგჯერ სატრფოს სახე გაიელვებს და მისი სიშორე თუ დუმილი კიდევ უფრო აბნელებს არეს.

ვფიქრობთ,ასეთი განწყობილება უნდა შეიცნობოდეს ლექსში „შრიალებს ჩალა“.

„შემოდგომაა... შრიალებს ჩალა,
აჩალეს ჩალა, ზიდავენ შეშას,
როგორ აფიქრებს სამშობლო ჭალა
ჭაობის ვარდებს, დასილულ ნეშოს.
შემოდგომაა... დაყრუვდა შარა,
მოვიდა წვიმა, დამძიმდა ზვინი;
მოვა თუ არა, მოვა თუ არა? –
ოხვრით კითხულობს ცეცხლის შიშინი“[1].

ბუნება გთანგავს, როცა სული სოციალური მიზეზებით არის შეწუხებული და ამას ემატება გარემოს სევდიანობაც, ლექსში მინორული ნოტები უფრო იკვეთება, უფრო მელერი ხდება.

წვიმა ყველგან წვიმაა,მაგრამ მისგან მომდინარე შთაბეჭდილება განსხვავებულია, რაც არა მხოლოდ სუბიექტის განწყობილებით, არამედ გარემოს თავისებურებებითაც არის პირობადადებული. სხვაგან შეიძლება, წვიმის წვეთები მეყსეულად იკარგებოდეს მიწაში. ჭყეიშში კი იგი ტბორებს ქმნის, ტბორში წვეთთა ცვენა ძალზე თვალსაჩინოა, წვეთის გზაც გაგრძელებული. წვიმის

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 295.

შედეგი ძალზე რელიეფურად ჩანს და გამორიცხული არ არის, რომ სევდიან განწყობილებას ნაწილობრივ ესეც აძლიერებდეს, რეზულტატი უფრო გამაღიზიანებელი იყოს.

დიახ, აქ დროდადრო ხმელეთი თითქოს იკარგება. წყალი შუკებში, წყალი ბილიკებზე, წყალი ეზოებში... ქოხებიც კი წყლიანია. ასე გგონი, შენი სხეულიც წყლისგან შედგება. ყველაფერი იდუმალებით არის მოცული.

მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ წვიმის წვეთების მონოტონური დაცემა იწვევს დაღლილობის განცდას. მაშასადამე, ბუნება გარკვეულ შემთხვევაში რეალურად ქმნის მოშვებულობის საფუძველს და ყოველივე ეს ირეკლება განმცდელის შემოქმედებაში.

რიონისპირა შემოდგომა; ქარის კვნესა და სახურავიდან დაცურებული სისოვლე ალბათ ყველა მგრძნობიარე ბავშვს უბიძგებს სევდისაკენ, მოწყენილობისაკენ. გალაკტიონის სიდიადე კი ისიცაა, რომ ეს იმპულსები დიდ სათქმელს დაუკავშირა, პოეზიის სფეროში გადაიტანა, ცალკეულ შტრიხებს გააზრებული დატვირთვა მისცა და სისტემის გამოხატვის ფუნქცია დააკისრა.

სულ სხვაგვარია ჭყვიშში გაზაფხული... თითქოს ლამაზი ქალი იჩქითად გაშიშვლდა... ყელმოღერებული მდინარე და ატკრციალებული სახურავი. აფეთქებული ატამი და დილის ცვარი... ამპარტავანი მამალი რძიანას ჩრდილს კენკავს. გადაპენტილი ტყემალი ქარის დაბერვაზე ისე ხრის ქეჩოს, თითქოს თეთრი იორდა აწყვეტას ლამობს... თუმცა, უმჯობესია გალაკტიონს მოვუსმინოთ:

„გაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს
ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი,
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს
ფეხებს გისუსხავს ეს უხვი ცვარი.

კარგია, როცა რიეტრაჟი მოსდებს
სიმინდს და ხეებს ნამების ლიელივს;
საკმარისია შეეხო ტოტებს
და ნამი თავით კოჭამდე გიელის.

შორით კი ხვამლი მოსჩანს ცისფერი,
როსმე ის ჩემი იყო ზმანება.
გაიელის თვალწინ იგი სიზმარი
და რაღაც მწარედ დამენანება![4]

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. IV, გვ. 129.

ჭყვიშის, იმერეთის გარემო ბადებს სილბოსა და სინარნარეს, თრთოლვასა და მუსიკალობას. გალაკტიონის პოეზიაშიც ხომ აშკარად მძლავრობს ეს ნიშნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონი ხშირად ახსენებს ალუჩას: „მზეზე ყვაოდა სოფლად ალუჩა“, „ალუჩა შვიდი წლის ბავშვი“, „შეკიდებიან მთვარეს – როგორც მძიმე მტევნები, თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები“, „ფშვენდა ალუჩა“, „საღამოხანად სოფლად ალუჩის აშრიალება კი ნუ გგონია“ და სხვ. არც ისაა შემთხვევითი, რომ ლირიკული გმირის სახელად ალუჩას ირჩევს. ყოველივე ეს ჭყვიშიდან მოდის.

მაისში ეზოს ალუჩების ქოლგა ეხურა... მერე დამსკდარი მარცვლებიდან მზედ იღვრებოდა... მერე მუჭა-მუჭა აგროვებდნენ და ივლისის მიწურულს არაყს ხდიდნენ.

ალუჩა ჭაბუკი გალაკტიონისთვის უბიწოების, სინათლისა და სიმშვიდის სიმბოლო იყო. ასეთადვე დარჩა ბოლომდე.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ კიდევ რამდენიმე გარემოებაზე, რომელთა როლი გალაკტიონის ხასიათის ფორმირებასა და მისი პოეზიის გარკვეული მხარეების შექმნაში უთუოდ საცნაურია.

პატარა გალაკტიონს უყვარდა მდინარის პირას ჯდომა. შეეძლო საათობით ეცქირა კავკასიონის მწვერვალებისთვის, რომლებიც ხან ირისის, ხან კიდევ დაბინდული ქლიავის ფერს გადიკრავდნენ. ისინი მეოცნებე ბავშვში შორეულისა და მიუწვდომლის განცდას ბადებდნენ... ხოლო სილურჯიდან კრეისერივით ამოზიდული ხვამლის მთა ტკივილამდე აღიზიანებდა მის წარმოსახვას. მრავალთათვის ჩვეულებრივ მთებს გალაკტიონი ზღაპრულ სამყაროდ აღიქვამდა. იქ სიწმინდე და სიმაღლე იყო. იქ მდუმარებას ამირანის კვნესა კაწრავდა. იქ ყველაფერი ერთმანეთში ზავდებოდა და ყველაფერი ერთმანეთს ცვლიდა.

გალაკტიონი წერდა:

„ვიგონებ ყრმობას;
შორს, ძლიერ შორს,
ჭალების გალმა,
კავკასიონის
ქლდოვანი მთის
მოჩანდა ფერდი.
საღამოობით –
ვით ხომალდი
ასწიოს ნალმმა –
მზით ენთდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქრებოდა
ტიტანის მკერდი.
ბავშვობიდანვე
ის სიშორე
მტანჯავდა ერთი –
ლაჟვარდოვანნი
მიტაცებდნენ
ნაქერალები
და ვკითხულობდი,
ვვოცნებობდი,
ვმღერდი, თუ ვსწერდი –
მდევდნენ, მეძახდნენ,
მიზიდავდნენ
ის მწვერვალები"[1].

ზოგჯერ მდინარის შეტორტმანება გამოარკვევდა მეოცნებეს და მზერას მოლიცლიცე ნაფოტი მიიტაცებდა. ბავშვი გონების თვალით მიჰყვებოდა ნაფოტს: ჭაკანი, შუახი, ძველი სამტრედია, საჯავახო, ორპირი... მერე შორს ფოთია. იქ მდინარე ზღვაში შეაცურებს ნაფოტს. და მძაფრდებოდა წარმოსახვა. ისევ იქმნებოდა ეფემერული სურათები.

საღამო ხანს კი გვიმზე გადაყუდებულ ბიჭუნას ბაზრიდან მობრუნებული ჩალვადრები წყალს თხოვდნენ. მერე იქვე ჩაიმუხლებდნენ და დაბერტყავდნენ ფარსაგი ამბებით სავსე ხურჯინებს. ბიჭი უსმენდა და უსმენდა...

შთაბეჭდილებები,ფიქრები ღლიდა და დიდხანს ვერ იძინებდა. მატარებლის შორეული კივილი ბუსუსებს აყრიდა ღამეს. ოდნავ ისმოდა ბორბლების ხმაური, ან იქნებ არც ისმოდა და მას ეჩვენებოდა? მატარებელი სადღაც მიიჩქაროდა და ბავშვიც სერავდა მსოფლიოს...

რიონისპირა სანახებში ქარი მეფობს. იგი წლის ნებისმიერ დროს ქრის და ყმაწვილის სულში ანაბეჭდს აკეთებს.

მახსენდება შემოდგომის ერთ-ერთი საღამო. გალაკტიონს ამაღლებული განწყობა აქვს, მუშტაიდის ბაღში შევიარეთ. განაპირა ხეივანში ბილიკიც არ ჩანს. წითელ-ყვითელ ხალიჩაზე მივაბიჯებთ. გალაკტიონი ფეხით მიათამაშებს ფოთლების გროვას. დროდადრო ჩერდება და ქარის ჩურჩულს უგდებს ყურს, მერე იხრება, ფოთლების გროვას თოვლის გუნდასავით მუჭში ასირსალებს და ხეზე შემომჯდარ ბეღურას ესვრის. გაოცება შემნიშნა.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. IX, გვ. 132-133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ფოთლებით არასდროს გიგუნდავია?

– არა.

– ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი ასე.

მცირე პაუზა და აგრძელებს:

– მხოლოდ ქვა არ უნდა ნადო ფოთლების გუნდაში.

გარინდება. გონება სხვაგან ქრის.

– ო,როგორი ქარი იცის ჩვენთან. ალვის ხეებიც კი სხვაგვარად ხრიან თავს. ახლა რიონისპირა ტყეების გუგუნს არ იკითხავ?!

ვუსმენ და მახსენდება უკვდავი სტრიქონები: „ქარი ქანაობს ქარად“,„ქარი არხევს ზვარის სამოსს“,„ქარი მირეკავს ღრუბელთა გედებს“, „და შლიდა ბაირაღებს თმაგაწეწილი ქარი“, „რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი“...

ქარი...

ქარი...

ქარი...

და პოეტის მოულოდნელი ამოოხვრა: „ოჰ, სიცოცხლეც უეცარი ქარია“.

გალაკტიონის პოეზია წარმოუდგენელია ქარის გარეშე. ის არა მხოლოდ განცდის საგანია, არამედ ფილოსოფიური ჩაფიქრებისაც. რაც მთავარია,მხატვრული სახის,ტროპის შექმნის საბაბი და საფუძველია.

„ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები
და წავალ ქარში,როგორც მოცარტი,
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“[1].

ეს უკვე ზეპოეზიაა. მუსიკის, ფერის უჩვეულო შერწყმა გათრობს და გამალლებს.

რაც შეეხება „ქარი ჰქრის“,იგი არა მხოლოდ ლექსია,არამედ ქართული ენის უდიადესი და მოუხელთებელი სილამაზის განფენაა.

გარემო უკრავდა სულის მგრძნობიარე სიმებზე და იბადებოდა მოტივები, განწყობილებები, ნოტები, ფერები, ესოდენ რომ აცალკევებს გალაკტიონის ლირიკას მრავალთა პოეზიისაგან.

სხვათა შორის, რამდენადმე განსხვავებულია ჭყონიშის ტიციანისეული აღქმა. ტიციანი უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს სოფლის სპეციფიკის გამოვლენის გარეგნულ მხარეზე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივ დეტალებზე მალარია, ფშანი,გომბეშო და ა. შ. რა თქმა უნდა,ამ შემთხვევაშიაც ჭყონიშთან დაკავშირებულ საგნებსა თუ მოვლენებს პოეტის სულიერი განწყობილების გამოხატვის ფუნქცია ეკისრებათ. მაგრამ ისეთი

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 276.

შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ტიციანთან მეტად შეინიშნება სვლა სოფლიდან განწყობილებისაკენ. გალაკტიონთან კი უფრორე – განწყობილებიდან სოფლისაკენ.

ამასთანავე მათ ბევრი აქვთ საერთო. ეს საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს. და ამჯერად სიტყვას არ ვაგრძელებთ, მაგრამ ერთ პარალელზე მაინც ღირს შეჩერება.

გავიხსენოთ გალაკტიონის „მამული“.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“[1].

ახლა ტიციანს მოვუსმინოთ:

„მესმის ყანებში გადაბმული გრძელი ნადური,
მოაქვს დილიჟანსს კრენდელები და „ნაკადული“.
მოიმღერიან შარაგზაზე ჩალანდარები
და შიშველ ფეხებს აქ ეკალიც არ ეკარება“[2].

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები ძალზე მეტყველია. ისინი განსხვავებულად, ორიგინალურად ამჟღავნებენ პოეტთა განცდას. აშკარაა ხელწერათა თავისთავადობა. სხვათა შორის, ყოველდღიურ ყოფაშიაც სხვაგვარი იყო მათი დამოკიდებულება ჭყვიშისა და ჭყვიშელებისადმი. ტიციანი უფრო ხშირად ჩადიოდა სოფელში და მეტად იზიარებდა მეზობელთა ჭირსა თუ ლხინს. საკმარისი იყო, რომელიმე პროვინციელი ნათესავი თბილისს აღმოჩენილიყო, რომ უმალ ექცეოდა ტიციანის მზრუნველობის ქვეშ.

გალაკტიონთან თითქმის არავინ მოდიოდა თხოვნით. იცოდნენ, ამაოდ დაშვრებოდნენ. გალაკტიონს ნამდვილად არ ხელეწიფებოდა ამ მხრივ ფრთების გაშლა. იგი სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა. ვინმეს შეწუხება,თუნდაც სარეკომენდაციო ბარათის დაწერა,უკიდურესად უძნელდებოდა. ამიტომაც ყოველგვარ გზას მიმართავდა, ზოგჯერ ბავშვურ, გულუბყრვილო ილეთებსაც კი იყენებდა თავის დასაღწევად.

ერთხელ სოფლიდან მელიტონ წიქვაძე გვეწვია ვაჟებითურთ. მანქანის შეძენა სურდათ. (მაშინ ეს პრობლემა იყო). გალაკტიონი დუმილით უსმენდა. პასუხი ყოვლად მოულოდნელი და კომიკური აღმოჩნდა.

– აბა, მე სად შემიძლია. ერთი საწყალი კაცი ვარ, ყურს არავინ მიგდებს. ნოდარ, იქნებ შენ დაეხმარო!

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 283.

[2] ტ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 105.

კიდევ ერთ გარემოებაზე გვმართებს ყურადღების გამახვილება. საქმე ისაა, რომ სწორედ ჭყვიშმა, იმერეთმა მისცა საშუალება გალაკტიონს გაემდიდრებინა ლექსიკა. მხედველობაში გვაქვს დიალექტების გამოყენება. გალაკტიონმა კარგად იცის, რომ კუთხური გამოთქმები სალიტერატურო ენის სიძლიერის წყაროა და ხშირადაც ესესხება მათ. ისიც ცხადია, რომ ჩანაფიქრის საუკეთესოდ გამოხატვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგნის აღქმისა და გათავისების ბუნებრივი გარემო.

„ჭარხალში" პოეტს გამოყენებული აქვს ათზე მეტი დიალექტური ერთეული: ჟოლა, ბირკვილი, ბობორიკა, ჟალტამი, ბურდუ და სხვ. ისინი ტექსტში ორგანულად არიან ჩაწნული და მნიშვნელოვნად ათვალსაჩინოებენ იმერული პეიზაჟის კოლორიტს. მათ მოჯარებას საგრძნობლად განაპირობებს აგრეთვე პოეტის განწყობილების უშუალოდ და ეფექტურად წარმოჩენის სურვილი.

ლექსში „ქებთა ქება ნიკორწმინდას" მოხმობილია სიტყვა „რამდი". როგორც მ. ალავიძე წერს, „რამდი" იმერიზმია და ნიშნავს „როდემდის". მაშასადამე, სტროფში:

„რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ჟღერს ქვის ჰარმონია –
დარდობს რამდი დარი"[1].

მეოთხე სტრიქონი გაგებული უნდა იქნეს ასე: „სანამდის კარგი დარია".

იმერიზმმა ხელი შეუწყო ალიტერაციას და, საერთოდ, ლექსის ჟღერადობის გაძლიერებას. გალაკტიონი რომ საგანგებო ინტერესს იჩენდა კუთხური გამოთქმებისა თუ მეტყველებისადმი, ამის დასტურია „ლექსიკოლოგიური ჩანაწერებიც". აქ ფიქსირებულია „დაბურსალობს", „ჯიქურა", „ბობორიკა კაცი", „ჩაჩნებივით აიკირკლებიან", „მეშარავები", „მეპარასკევე ურია", „ადადღანდა", „გამოპრუტუნებული", „კვატი-კვატი" და სხვ. ბევრი მათგანი სწორედ მშობლიურ სოფელში გაუგონია და დაუმახსოვრებია.

სიტყვამ მოიტანა და იმასაც დავსძენ, რომ გალაკტიონი იყენებს არა მხოლოდ იმერიზმს, არამედ გურულ, ხევსურულ, რაჭულ და სხვა დიალექტებსაც. მათ ეკისრებათ ხან კოლორიტის მეტი სიძლიერით გადმოცემა, ხან პოეტური ჟღერადობის გაძლიერება, ხან კიდევ განწყობის ბუნებრიობის ჩვენება და ა. შ.

ამრიგად, ჭყვიში მრავალმხრივ აირეკლა გალაკტიონის პოეზიაში. სოფელმა ხელი შეუწყო მგოსნის შინაგანი ხმის

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VI, გვ. 57.

გამოკვეთას, პალიტრის გამდიდრებას და მუსიკალური ფრაზების დახვეწას.

ამ თავის დასასრულს პოეტის ერთ კერძო ბარათს დავესესხები. მასში არა მხოლოდ ჭყვიში ჩანს, არამედ სოფლისადმი გალაკტიონის დამოკიდებულებაც, მისი გულის ფეთქვა. „მე არასდროს, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში იმდენი ჩუმი და მყუდრო ბედნიერება არ გამომიცდია, რამდენიც ეხლა, სოფელში ყოფნის დროს. წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტვინვასა და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი, თვალუწვდენელი მინდვრები, იქით კიდევ მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ახლა მინდვრებზე სულ სიმინდია დათესილი. ალაგ-ალაგ გაუვალი ტყეებია, მათ სიგრილეში დასვენებას და ოცნებობას არა სჯობს-რა. ჩვენი სახლის მახლობლათ, სულ ორმოც საჟენზე, მდინარე რიონი ჩამოდის. მე და ტიტე დღეში სამჯერ ვბანაობთ ხოლმე შიგ, დილას, შუადღისას და საღამოს, ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია. შეღამებისას გავალთ რიონს გაღმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ, ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს; მაგრამ ყველაზე უფრო ვიგონებთ ჩვენს ტრფიალებს. ტიტე მიამბობს მოსკოვის ამბებს, მე ვუამბობ ქუთაისისას. ხანდახან გამოდის, რომ ქუთაისის ამბები ჯობნებია მოსკოვისას, რადგან მე უფრო მეტ ტყუილებს ვამბობ, ვინემ ტიტე. ტიტე გულზე სკდება.

მთვარე ამ დროს მაღლა სივრცეზეა ასული; ნიავი ქრის, რიონის ზვირთების ბუტბუტი არღვევს მყუდროებას.

შემდეგ მივსეირნობთ ნავით. ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოო რამაა ნავით სეირნობა მთვარიან ღამეს"[1].

ღირს ამ წერილის ხელმეორედ გადაკითვა და წარმოსახვისთვის სადავეების მიშვება.

შებინდბუნდება... ხემ ჩიტები მოისხა... რიონის პირას სიმშვიდემ დაივანა. ეს განსაკუთრებით მაშინ შეიგრძნობა, როცა შეშინებული ტყის ქათამი გადიჭახჭახებს.

ტიტემ დოქი შეანჯღრია.

– ფარსაგი ამბავია, ღვინო სწორედ მაშინ მთავრდება, როცა წყურვილი ყელს გიკაწრავს.

გალაკტიონი ღიმილით დასძენს:

– კერიასთან გავაგრძელოთ.

– ამ გაგანია ზაფხულში?

– ცეცხლი არ გვინდა, სინათლეს და ნაპერწკლებს ღვინით სავსე ჯამები ისედაც გადმოაფრქვევენ.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 507-508.

გაყუჩება...

მერე ტიტე თხმელის პატარა ტოტებს ამტვრევს და ნავის თავში, ღუზასთან ყრის. წიგნებს ფრთხილად დებს. გალაკტიონი მძლავრად აწვება საჭეს... შხეილი. ტალღა კეჩოს ეხეთქება, კიდევ ორიოდე ბიძგი და ნავი შუა მდინარეშია. საჭე ფსკერსაც ვერ წვდება. აქ წყალი სამ საჟენზეა.

ნავი თავქვე მიცურავს. ოცნებებში ჩაფლული ბიძაშვილები გაყუჩებულან.

ოდნავ აღწევს და თითქოს არც აღწევს სოფლის ხმაური. კვამლი გაფერმკრთალდა. მეწამული მთვარე ცაცხვის კენწეროზე გარჩენილა. გადმოხრილი ზღვლეჭის ფოთლები წყლის ზედაპირზე იეროგლიფებით წერს სიყვარულის ამბავს.

გალაკტიონი ჩაფიქრდება:

საყვარელ ხელებს შეშლილივით დაევწაფები,
ბროლის თითები, მზისგან საესე ალისფერ ღვინით,
მე დამათრობენ:
გაეგებები,
გაეენაბები!

ტიტეს ჩაფიქრება:

ნეტავ ვის აწონებს ისია ახლა თავს?
სულში ვაშლის ხე ვიღაცამ დარგო,
სიყვარულისთვის ნუ მემდურები.
... მგონი ძლიერ შევტყოპეთ...

დაუბრუნდეთ ზემო მოტანილ ბარათს.

ადრესატი ოლღა ოკუჯავაა. ეს მნიშვნელოვნად განაპირობებს წერილის ტონს და ზოგიერთი დეტალის აქცენტირებას. საგნების გამორჩევა და აღქმა ხომ განწყობილების შესაბამისად ხდება. მთავარი მაინც ისაა, რომ ბარათში სოფლის რეალური სურათებია მოცემული, კოლხური სუნთქვა იგრძნობა.

ნურც იმას დავივიწყებთ,რომ ჭყვიში არცთუ იშვიათად ქარიშხალთან შებმით დაღლილი მეზღვაურის ერთადერთი ნავსაყუდელი იყო.

„ო, სიხარულო,
დედავ, აქაა,
რაც ჩემი გულის
ალერსადაა –
ბავშვობა, ყრმობა,
სიწმინდე, ძმობა,
კვლავაც ერთობა
წიგნად და გზადა“[1].

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XI, გვ. 305.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიონის სანაპირო

„არ მოსწრებიხარ შენ მშობელ მამას“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გაშალა ველი ნელმა ნიავმა,
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის
ვენახში“.

გალაკტიონი

გენიოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ბევრი რამ არის ამოსაცნობი. ერთი შეხედვით უცნაური ან მარტივი, როგორც ჩანს, ზოგჯერ სრულიად არ არის ამგვარი. ამიტომაც იშრიტება თაობათა ენერგია, ჟინი და ინტერესი ინდივიდის საიდუმლოებათა ამოსახსნელად.

ახლა ბევრს წერენ გენებზე, მემკვიდრეობით თვისებებზე და არცთუ უსაფუძვლოდ. პიროვნების ფსიქოლოგია და ხელწერა წინაპართა ბუნებითაც არის დადდასმული. ჯიში მაინც ჯიშია.

ჩვენ შორს ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ გალაკტიონის ფენომენი მხოლოდ ოჯახური გარემოთი და მემკვიდრეობითი ნიშნებით იყოს განსაზღვრული, მაგრამ არც ის იქნებოდა მართალიეს მნიშვნელოვანი მხარეები საერთოდ უგულებელგვეყო. ამიტომაც საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას ნათესავთა წრეზე, მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში ნათესაობა მეგობრობასა და სულიერ თანაზიარობას ეწყვილება.

გალაკტიონის წინაპრები, როგორც მამის, ასევე დედის მხრივ, სასულიერო წოდებას ეკუთვნოდენ, ძველ საქართველოში კი ინტელექტუალურ ცხოვრებას სწორედ ამ სფეროს წარმომადგენლები წარმართავდნენ. ტიციანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გრძელია ჯამი, მღვდელმსახურობს რაც ჩემი გვარი“. ტაბიძეების გვარში კი მღვდელმსახურება შერწყმული იყო მწიგნობრობასთან. გალაკტიონი სიამაყით აღნიშნავს: „ჩემი წინაპრები – მამის მხრით იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული XIV საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით, თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური, შეუცვლელობით უერთგულესი მღვდელმსახურება. ერთი წინაპართაგანი, რომელსაც იცნობს ქართული მწიგნობრობის ისტორია, XVII საუკუნეში მიიწვია დედოფალმა ანნამ თავისი მდიდარი წიგნთსაცავის მოსაწესრიგებლად. ის იყო საუკეთესო მცოდნე ბერძნულისა და

არაბული ენების. სთარგმნიდა პლატონის დიალოგებს, და ეხლაც ხშირად მხვდება ეს თარგმანები ინტიმური ზედწარწერებიდან: „მათს უმაღლესობას, დედოფალს ანნას – სვიმეონ ტაბიძისგან“ ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების შერვაშიძეთა გვარიდან – ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად, ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზის, გურულისა და იმერელის“[1].

ვინ იყო ეს სვიმეონ ტაბიძე? რა აქვს მას საერთო XIX საუკუნის 30-80-იან წლებში მოღვაწე სვიმონ ტაბიძესთან, რომელიც გურულად იწოდება და რომლის ხელითაც აიწყო 1841 წელს პეტერბურგში „ვეფხისტყაოსანი“ („მესტამბე სვიმონ ტაბიძე ბეჭდვაზედ იყო მცდელია“)[2].

რაც შეეხება გვარის მწიგნობრულ ინტერესებს, ამის ხაზგასასმელად სულაც არ არის აუცილებელი შორეული წარსულის გახსენება. შეიძლება გალაკტიონის უფროსი ნათესავების მაგალითითაც დავკმაყოფილდეთ.

პ ა პ ა

პოეტის პაპა სტეფანე აგრძელებდა წინაპრების ხაზს. იგი კარგად იცნობდა როგორც სასულიერო, ასევე საერო ლიტერატურას. ჰქონდა მრავალი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. სტეფანე ფეხს უწყობდა ეპოქას. ორივე ვაჟს საფუძვლიანი განათლება მისცა.

შვილებისადმი გაგზავნილ ბარათებში სტეფანე წარმოჩინდება არა მხოლოდ მზრუნველ და მოყვარულ მამად, არამედ გონიერ მოძღვრადაც, რომელიც ზნეობრივ სიმტკიცეს, სულიერ სიხარტაკესა და საზოგადო საქმისადმი თავდადებას ქადაგებს. დაგესესხოთ ერთ კერძო ბარათს, რომელიც იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ძველი დროის სურნელებას გვაგრძნობინებს. იგი 1884 წლის 13 იანვრით თარიღდება. „საყვარელო შვილო ვასილი! შენს მშვიდობას ღმერთს ვსთხოვ და კარგად ყოფნას. ამას გარდა, ჩვენს ანბავს თუ იკითხავ, ყველანი ერთობლივ მშვიდობით ვართ, მხოლოდ ერთი ეს მაწუხებს, რომ შენს ანბავს

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 276.

[2] მინაწერი „ვეფხისტყაოსანზე“. 1884 წელს ს. ტაბიზეს ილია ჭავჭავაძისათვის მიუძღვნია ლექსი: „მათს ბრწყინვალებას თავადს ილია ჭავჭავაძეს მიერთვას მცირე ლექსი“ (იხ. „ილიას ავტოგრაფები“, 1951, გვ. 202).

ვერ ვტყობილობთ ერთი ხანია. მე წერილი გამოგიგზავნე. მოგივიდა თუ არა, არ ვიცი, შვილო. ვერაფერი შევიტყვე. ახალი ანბავი ეს არის – დადუხაშვილი გამოცვალეს უჩიტელობისაგან და ვიღაც სხვა მოვიდა – გურული. თუმც მშვიდობით ხარ, ჭკვიანი იყავი, სირცხვილი არ ნახო. ხო იცი, ქვეყანა რა მლანძღავია კაცისა. მუყაითათ იყავი, ფაქიზად შეინახე თავი, ცუდათ არავინ შეგნიშნოს. თუ მამაშვილობა გწამდეს, რამე ფერათ თქვენი ამბავი მალე ხანში მაცოდინე. ამ სადღესასწაულოთ მოგელოდი, მარა... კარგი ინებე, რომ არ ჩამოდი. ამისთვის, რომ ცუდი ამინდები იყო, არც იუსტინე ყოფილა აქ.

მ. შ. მ. ს. ტაბიძე".

სტეფანე სოფლის თავკაცი იყო და არაერთ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი. ამაზე მეტყველებს შემდეგი უცნობი „განაჩენიც". „ჩვენ ქვემორე ამაზედ ხელის მომწერელნი ქუთაისის მაზრის, ტობანიერის საზოგადოების და სოფელსა ჭყვიშის წმიდის გიორგის ეკლესიის მრევლი მოწოდებულ ვიქმნენით ადგილობითი მღვდლის სტეფანე ტაბიძის მიერ, რომლისგან გამოგვეცხადა საეკლესიო-სამრევლო სკოლის დაარსებაზედ ჩუენს ეკლესიაზედ თანახმად გამოცემულის წესდებისა, უწმინდესის სინოდის უმაღლესად დამტკიცებულისა. შემდეგ წესდების გამოცხადებისა და მწყემსობრივი შთაგონებისა ჩუენ მრევლთა მოვახდინეთ რჩევა შესახებ სამრევლო სკოლის დაარსებისა და შენახვისა და დავადგინეთ ამნაირათ, რომ გაიხსენეს სკოლა ჩვენს ეკლესიაზედ, მახლობლივ, იმ პირობით, რომ სამრევლო სკოლის სახლის აშენება თვითონ ადგილობრივმა მღვდელმა სტეფანე ტაბიძემ იტვირთოს თავის ხარჯით. და თუ ვინმე თავის სინდისით შეუეწევით, ეს მოიხმაროს მღვდელმა სკოლის მებელის მოსაწყობად, ხოლო რაიც შეეხება სკოლის შენახვას, ვტვირთულობთ ჩუენ მრევლი ამ რიგათ, რომ, ვისაც ბოვში კი გვეყოლება სკოლაში, მასწავლებელს ვაძლიოთ თვიურად ექსექვსი შაური სწავლის გასამრჯელოთ და როცა დავათხოვოთ ბოვ'ში სწავლას, არავითარი ხარჯი არ მოგვეთხოვოს მშობლებს და თავისუფალი გავხდეთ, გარდა იმისა, თუ ვისმეზედ რაც ანგარიში დარჩება მასწავლებელთან გასასწორებელი. და არც მასწავლებლის ნებადაუკითხველათაც ბოვში გამოვიყვანოთ სკოლიდგან. ეს არის ჩუენი პირობა და სრულს თანხმობას ვაცხადებთ ყუელა პირნი ამ პირობით სკოლის გახსნაზედ, რასა ზედა ხელს ვაწერთ".

სტეფანე ტაბიძე საკუთარი ხარჯით აგებს სკოლის შენობას.

ქველმოქმედება მაშინ, როცა პიროვნება ეკონომიკურად არ ყელყელაობს,აშკარად მეტყველებს მის მაღალ მისწრაფებებსა და მოყვასისადმი უანგარო სამსახურზე. პედაგოგის გასამრჯელოც მოკრძალებულია, მეზობელ სოფელ დიხაშხოში ყმაწვილებს თვიურად ორმოც კაპიკს ახდევინებდნენ[1].

როგორც ჩანს, ჭყვიშის სკოლის მესვეურთათვის მთავარია არა შემოსავალი, არამედ ბავშვების მიზიდვა-აღზრდა.

საყურადღებოა ისიც, რომ ს. ტაბიძე წინასწარ უჭრის გზას იმ მშობლებს, რომლებსაც უმჯობესად მიაჩნდათ, ბავშვი მეურნეობაში დაესაქმებინათ, ვიდრე სკოლაში ეტარებინათ.

კიდევ ერთი შტრიხი სტეფანეს ხასიათისა. იგი ცხოვრებაზე გულაღრენილი, სევდით შეპყრობილი და მეოცნებე ყოფილა. უკმარისობის გრძნობა. მუდამ სდევდა თურმე ამიტომაც ზოგიერთებმა ბუსლუნაც კი შეარქვეს.

სტეფანე 1894 წელს გარდაიცვალა დაბუნებრივიაგალაკტიონს არ ემახსოვრებოდა იგი. მაგრამ პაპის მიერ დამკვიდრებული წესი და კანონი ღრმად იყო ფესვგადმული ოჯახში. წიგნისადმი სიყვარული თითქმის რელიგიურ მოწიწებამდე იყო აყვანილი. დედა ხშირად უკითხავდა პროკლეს (აბესალომს) და გალაკტიონს პაპის, მამისა თუ ბიძის პირად ბარათებს. ყმაწვილებიც უფროსებისადმი მოწიწებითა და პატივისცემით იმსჭვალებოდნენ.

მ ა მ ა

პოეტის მამას ვასილს წერა-კითხვა ოჯახში შეუსწავლია. შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებიათ. ხსენებულ სკოლას დიდი ფუნცია ეკისრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ დოგმატიზმი ბატონობდა, ნიჭიერი ყმაწვილები მაინც ახერხებდნენ ცოდნის მიღებას. ბევრი მათგანი წიგნის ტრფიალით იმსჭვალებოდა. მათ უძლიერდებოდათ სამყაროს შეცნობისა და „წყველა-კრულვიანი“ საკითხის გარკვევის სურვილი. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში არაერთმა საზოგადო მოღვაწემ მიიღო განათლება.

ვასილს წარჩინებით დაუმთავრებია ეს სკოლა. გონებაგახსნილ და კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდას უარი უთქვამს მღვდლობაზე და პედეგოგის ეკლიან გზას დასდგომია. მას კარგად ჰქონია შეცნობილი,რომ მასწავლებლობა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ანაფორას მეტი მატერიალური სარგებლობის

[1] გაზ. „შრომა“, 1883, №2.

მოტანა შეეძლო,მაგრამ არჩეული გზიდან მაინც არ გადაუხვევია. მისი მოქმედება ღრმა რწმენას ეყრდნობოდა. საქართველოს განახლებას ახალგაზრდობის აღზრდას უკავშირებდა. ამიტომაც იყო, რომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, 10 წელიწადზე მეტი, ოჯახიდან მოწყვეტილმა, მახლობლების სითბო-ზრუნვას მოკლებულმა სხვა გარემოცვაში, დაძაბულ შრომაში გაატარა.

თავდაპირველად ვანის საზოგადოების სოფელ დიხაშხოს სამრევლო სკოლაში მასწავლებლობდა. დღევანდელ მკითხველს ნამდვილად გაუძნელდება იმის წარმოსახვა, თუ რა პირობებში უხდებოდა ვასილს პედაგოგიური საქმიანობა. დავესესხოთ მისსავე კორესპონდენციას: სკოლის შენობა იყო „...ისლით დახურული უპოლო, უბუხრო და პატარა, სიგრძით ოთხი არშინ ნახევარი და სიგანით ორი არშინი და ჩარექი“.

ამას ვასილი ოფიციალურად,საქვეყნოდ წერს და უფლება არა გვაქვს არ ვენდოთ. მკითხველს ადვილად შეუძლია დაასრულოს სურათი. ამისთვის სრულიადაც არ არის საჭირო გამორჩეული ფანტაზია.

წარმოგვიდგენია, როგორი იქნებოდა მეცადინეობა ზამთრის სუსხიან დღეებში, როცა ისლით დახურულ ქოხში კვამლი გასავალს ვერ პოულობს, კარის გაღება კი შეუძლებელია, როცა მიწის იატაკზე წვიმის წვეთები პატარა ღრმულებს აკეთებს და შეგირდი ქალამნის წვერით ავლებს ხაზებს.

მეორეს თვალი ზემოთ გაუპარებია. შეტკეჩილი დირე ქარის დაბერვაზე დაკრილულ კბილებს აჩენს. ბიჭს პირში თითი ჩაუდვია და გული უწუხს: ააგლეჯს თუ ვერ ააგლეჯს ქარი გამჭვარტლულ დირეს ქერქის ნარჩენს.

სიცივისაგან აკანკალებული შეგირდები სახელოთი ცხვის იწმენდენ და ერთი სული აქვთ, როდის გაანთავისუფლებს „უჩიტელი“ ამ საპყრობილისაგან.

1883 წლის შემოდგომიდან ვასილი მუხურში გაამწესეს. ეს ხუთასკომლიანი სოფელი შორაპნის მაზრაში, ტყიბულის მახლობლად მდებარეობს. გალაკტიონი წერდა:

„სამოცდათი წლის წინ მუხურას
აქ მამაჩემი აგზნებდა ქურას.
სწავლისას ჰქონდა პატარა შკოლა
და მოწაფენი თითო-ოროლა“[1].

საბოლოოდ ვასილი მშობლიურ ჭყვიშს დაუბრუნდა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მასწავლებლობა. 1891 წლის

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VII, გვ. 173.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონის მამა ვასილ ტაბიძე

ნახ. უჩა ჯაფარიძისა

26 თებერვალს (ძვ. სტ.), ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. „ივერიაში“ ვკითხულობთ: „განსვენებული მეტად საპატიოსანი ადამიანი იყო თავისის ხასიათით და სათნოებით. მისი მოღვაწეობა სამასწავლებლო ასპარეზზედ ყოველად უანგარო იყო. მის გულში არც ერთხელ არ გაუვლია რც ერთს დაბალსა და ქვენა გრძნობას. ის იყო აღვსილი მხოლოდ ერთის აზრით: თავისი წვლილი შეეტანა გლეხ-კაცის განათლების საქმეში. გლეხებიც ეხედავდნენ მის ასეთს ღირსებას და ამისათვის, რა დროსაც უნდა მისულიყავით მის სკოლაში, ყოველთვის სავსე იყო მოსწავლე ბავშვებით. განსვენებული სკოლაში მასწავლებლობას არ სჯერდებოდა. ყოველ კვირა – უქმე დღეს მოვიდოდა სასაფლაოზედ და უკითხავდა ხალხს სხვა-და-სხვა ქართულ წიგნს, რომლითაც მდიდარი იყო მისი ბიბლიოთეკა“[1].

ვასილი გულისყურით ეკიდებოდა საქმეს და საზოგადოების პატივისცემაც დაიმსახურა. იგი შეგირდებზე ზრუნვაში ატარებდა დღეებს. ცდილობდა, ახალი სახელმძღვანელოებით მოემარაგებინათ ყმაწვილები და პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებით ჩაეტარებინა გაკვეთილები. ამ მხრივ უთუოდ საგულისხმოა შედეგი ბარათი.

„საყვარელო ძმაო იუსტინე! პდ შენს მშვიდობას და წარმატებას უფალს ვსთხოვ. სხვათა შორის ჩვენს ამბავს იკითხავ. ჩვენ შინაურნი და გადაღმოულნი ყველანი მშვიდობით ვართ. ჩემზედ იწერები: ვასილ, როგორ ხარ. მე ძრიელ კარგათ ვარ – არავითარს სისუსტეს არა ვგრძნობმ მხოლოდ ამ ზამთარს ბრჭყალებს შესაფერი წამალი უნდა ვუშოვო, რადგან მეტად მჭიდროთ ჩამსჭიდებია. სხვა არა მიშავს რა საგრძნობლად სისუსტე ჩემში ინიშნების ზაფხულის თვეებში: ივლისში და აგვისტოში სხვა დროებაში ძრიელ ნაკლებად შესამჩნევი ხდება სისუსტე. სხვა, ეხლა ჩემი კერძო საჭიროება მინდა აღვნიშნო: მოგეხსენება, რომ ჩვენ გვაქვს საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რომელზედაც ცნობა კიდეც წარდგინდა ვისდამიცა ჯერ იყო. ამ სკოლის მოწაფეებთა შორისაა იმისთანა მოწაფენი, რომელნიც მზად არიან მომზადებულნი მეორე ოტდელენიისათვის და მომზადებულნი არიან რუსულად სასწავლოდ და კიდეც დავაწყებინე. ჩემდა და ჩემ მოწაფეებთა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, ერთი ხელის შემშლელი გარემოება. შემოიღეს, როგორც სახალხო სკოლებში, აგრეთვე მათი წაბაძვით სამრევლო სკოლებში სასწავლო წიგნი Русское слово для грузинской школы. изд. Гогебашвили.

ვერსად ეს წიგნი ვერ ვიპოვე საყიდლად. ქუთაისში

[1] გაზ. „ივერია“, 1892, №62.

ჭილაძეების მაღაზიაში არ არის. ბევრის ხვეწნით და მუდარით თავს ვერ შეგაწყენ: სამ მანეთს გიგზავნი. ამით მიყიდე წიგნები ზემოაღნიშნული, შვიდი ეგზემპლარი და მერვეც მისი რუკუვოსდტვოც,თუ იქნება დაბეჭდილი. ფასი თითოეული ეგზ. 50 კ. იკითხეთ გრიქუროვის მაღაზიაში და რაც შეიძლება დაჩქარებით გამოგზავნე. შეგირდები მიცდებიან, საშობოოთ უსათუოდ უნდა ჩამოხვიდე და იმედია შემდგომ წიგნაკებს თან იქონიებთ: კარაბად სამზარეულო წიგ. კალენდარი საქართველოსი გუნიას გამოცემული, აგრეთვე რამე სასარგებლო გამოცემები. ქადაგება ამვროსი ნეკრესელისა, თუმცა დიდი არაფერი საპიტნაო არის, მხოლოდ შემდეგში მწყემსის დროს ქადაგებისას მასალათ შესაძლოა დაისაჭიროს. იმასაც ვწერ, შესაძლოა ეს წიგნები „რუსკოე სლოვო“ ვერ იშოვოთ. Руководство კალანდარაშვილის გამოცემა მაინც გამომიგზავნე, თუ ძმა ხარ, არ დამალალატო. ან გრიქუროვის ან ჩარკვიანის მაღაზიაში როგორ ვერ იშოვით.

თქვენი სიამოვნების მოწადე ვასილ. სტ. ტაბიძე.

P. S. მღვდელმა გიორგი გიორგაძემ რომ გთხოვათ ადგილის თაობაზედ საქმე საჩივრისა, გთხოვს ის საქმე, ამ მოკლე დროში შემატყობინო.

7 ნოემბერი, 1888 წელსა“.

ვასილი ლიტერატურის ტრაფიალი ყოფილა, რაზედ მეტყველებს მისი ბიბლიოთეკა. აქ თავმოყრილია „ვეფხისტყაოსანი“, „არსენას ლექსი“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, ა. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, ა. ფურცელაძის „ქიტესა“, ნ. ნიკოლაძის „ერობა“, ს. მგალობლიშვილის „ორი მოთხრობა“, ცახელის „შალვას თავგადასავალი“, ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ვ. გაბიჩვაძის „ქართული წერის დედანი“, ილ. დიდებულიძის „ქართული არითმეტიკული საანგარიშოები“, მ. ჯანაშვილის „მოკლე ისტორია“, ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარი“, გაბრიელ ეპისკოპოსის „ქადაგებანი“, „დაბადება“, „ეამნი“, და სხვა. აქვეა „ივერიის“, „იმედის“, „დროების“, „შრომისა“ და „ნობათის“ ნომრები.

წიგნები კატალოგიზირებულია. მაგალითად, შაქრო გულისაშვილის „ძველი დროის მეფეებზედ“ 117 ნომრით არის რეგისტრირებული, თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა“ 124-ით, ცახელის შალვას თავგადასავალი“ 132-ით და ა. შ. უმეტესობას ვასილის ბეჭედი-ტვიფრი უზის (ეს ბეჭედი ახლაც დაცულია საგვარეული არქივში).

წიგნთა გვერდებზე ალაგ-ალაგ იკითხება ვასილის ხელით მიწერილი: „დიდებულია“.

ჩვენთვის უცნობია,მისდევდა თუ არა ვასილი ლიტერატურულ საქმიანობას. პრესაში (გაზ. „შრომა“) მხოლოდ ერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული, რომელშიაც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის საკითხს განიხილავს. მაგრამ მის პირად ბარათებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ კალამი უჭრიდა.

რაც მთავარია, ვასილმა კიდევ უფრო გააღრმაა გვარში ფესვგადგმული სიყვარული ლიტერატურისადმი და შვილებს დიდი ბიბლიოთეკა დაუტოვა.

ოჯახიდან შორს ყოფნა, ავადმყოფობა, სოფლის უკუღმა ტრიალი დაღს ამჩნევდა ვასილის სულს. მის პირად წერილებში არცთუ იშვიათად გაიელვებს დრამატული ნოტები. მაგალითად, „ვარ გულდახშული უთქვენობით“, „მეკითხებიან, ვასილ, რათა ხარ ეგრე დაღონებულიო, ცუდი ამბავი ხომ არ მიგიღიათ სახლიდანო? მე პასუხს არ ვაძლევ არავის ამ კითხვაზედ. სახლში მინდოდა ეხლა წამოსვლა, ამ ოქტომბრის დამლევს, რომ ეგებ დარდები მომეცილებინა თავიდან, მაგრამ ველარ მომიხდა“. მეულლისადმი გაგზავნილ ერთ ბარათში ვკითხულობთ: „არ გეცოდები აი, მაკრინე, იმდენად დამივიწყე, რომ ერთი წერილი არ გამომიგზავნე ამ წიფობის თვეში. ამ უცხო ქვეყანაში ჩემს დიდ სიამოვნებას შეადგენას, როცა თქვენ წერილს მივიღებ, სად ვარ მერე დაკარგული? ამ გარემოებას მიხედვით ხშირ-ხშირად უნდა მიგზავნიდე წერილს. მაგრამ არავის არ ვახსოვარ, ყველასაგან დავიწყებული ვარ, ცოლისგანაც და დედმამისაგანაც“.

რა არის ეს? მხოლოდ მარტოობით გამოწვეული ურვა თუ სხვა მიზეზებით შეპირობებული ყვედრება? ამ ნოტებს აქვს თუ არა რაიმე საერთო გალაკტიონის დღიურებსა და ლექსებში ესოდენ ძალუმად გამომჟღავნებულ დრამატიზმთან?

გალაკტიონს დედის ნაამბობის მიხედვით შეუქმნია ვასილის პორტრეტი. მოგვყავს შემოკლებით: „საწყალი ძალიან ჩამოგავდა აბესალომს სახით: იმნაირი თვალ-წარბა, იმნაირივე ტუჩები, ხასიათიც ისეთი ჰქონდა; ხანდახან აბესალომი რომ შეხტება, გახალისდება რაღაცნაირად, სწორედ ისეთი იყო... ხუმრობა უყვარდა. მაღალი არ იყო მხოლოდ არც აბესალომივით, არც შენსავით. მე მგონია, ასე შენზე ცოტა დაბალი იყო. არ ამხელდა ავადმყოფობას. უკანასკნელად ფილტვების ანთებით გახდა ავათ: იწვა ჩვენს პატარა ოთახში. ყოველდღე მოდიოდნენ ექიმები და ფერშალი კონჩინოვი. უკანასკნელს ეთქვა: „არ მორჩება, მაგრამ თქვენ ცდას და მოვლას ნუ მოაკლებთ სულის დასამშვიდებლათო“. აბა, მე ამას ვინ გამიმხელდა? მთელი ათი დღე, ათი დღე და ღამე განუწყვეტლივ თავს ვადექი.

საწყალი ჩემი მამამთილი, რომელსაც ძალიან, უმცროს შვილზე უფრო, უყვარდა ვასილი, ყოველდღე ავადმყოფთან იყო. იჯდა დაღონებული. მოდიოდნენ ნაცნობები, ნათესაკები, გვირჩევდნენ: „ახალი კარგი ექიმია ჩამოსული, სამსონ თოფურია, ის თუ მოარჩენსო მხოლოდ“. ვასილი უარზე იყო: „ცოტათი მოვმჯობინდები, შემდეგ მე თვითონ გავსწევ ქუთაისშიო“, მაგრამ არავითარი მომჯობინება არ დაეტყო. უკანასკნელ საღამოს (მახსოვს, შაბათის საღამო იყო) იგი საწოლიდან წამოდგა, ფოსტლებში ფეხი შეადგა და ფანჯარასთან მივიდა. დიდხანს იცქირებოდა. ეზოში ბავშვს მოჰკრა თვალი: „მაკრინე, მაკრინე, შეხედე ბავში ეზოში ფეხშიშველა დადისო“. და ფანჯრიდან გამობრუნდა. დაწვა საწოლში და აღარ ამდგარა.

შელამდა. მე და ჩემი მამამთილი ისევ თავზე ვადექით, მაგრამ მამამთილი აივანზე გავიდა. ვასილი მე მომიბრუნდა. „ველარ მოვრჩებიო“ – მითხრა. „რას ამბობ“ – ელდანაკრავმა ვსთქვი. – „გული ნიუ გაგიტყდება, ყოჩაღად იყავი“ – განაგრძო მან, „ბავშვი წამოიზრდება, შენ კიდევ ისეთი ქალი ხარო, რომ უბედურებას არ დაიმჩნევ“. „ნუ ამბობ“,– ვეუბნებოდი მე. „შენ თუ არ იქნები, ერთი ბავშიც მეყოფოდა, სხვა რაღად მინდოდა“? როგორო, ჩამეძია, მე ძალიან მრცხვენოდა გამხელა, არავისთვის არ მეთქვა, მაგრამ მას ვუთხარი, რომ ორსულად ვიყავი: მას სახე გაუბრწყინდა: „არა გიშავს რა, იუსტინე (მაზლი) კარგი კაცია, შენ ნუ დაიმჩნევ“. ვამჩნევდი, რომ ღელავდა ახალი ამბის გაგონებით. „ეხლა წადი, მეორე ოთახში წადი“ – მეუბნებოდა ის ღონემიხდილი. მე არასგზით არ ვეთანხმებოდი. სახლიდან ბავშვის ტირილი შემოგვესმა: „არც ეხლა წახვალო„? – მითხრა მან. მე ავდექი...

უკანასკნელი მისი წამები ძალიან მშვიდობიანი იყო თურმე. მამამთილი თავს ადგა. მომაკვდავმა მოითხოვა ღვინო, საზოგადოდ ღვინოს არ ასმევდნენ, ეხლა კი ველარ დაუკავეს: ღვინო, ღვინო! გაიმეორა მან. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. დასცალა ზედიზედ რამდენიმე ჭიქა: „ეს გაუმარჯოს პატარა ადამიანს, რომელიც შვიდი თვის შემდეგ დაიბადებაო“ – სთქვა მან და... სულიც დალია...“[1]

აქ დახატული ვასილი ნაწილობრივ განსხვავდება იმ პიროვნებისაგან, რომელიც მშობლების, მეულლისა თუ ძმისადმი გაგზავნილ ბარათებში ჩანს. პირად წერილებში იგი წარმოგვიდგება ღრმად დაფიქრებულ, სევდიან, ზოგჯერ სასოწარკვეთილ ადამიანად. ერთგან წამოიძახებს კიდეც: „ყელჭირვება თუ შემხვდა, სიკვდილი აუცილებელია და ქეც მოვრჩები ამ წუთისოფელს“, თითქოს სიკვდილი ხსნის ერთადერთი გზა იყო.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 255-257.

ვასილი გალაკტიონის დაბადებამდე გარდაიცვალა. დედა ბევრს უამბოდა ბიჭებს მამაზე და მისი სახეც არა მხოლოდ რეალურ კონტურებს იძენდა, არამედ შარავანდედითაც იმოსებოდა. გალაკტიონისთვის იგი მარად საფიცარი პიროვნება იყო. სახელმოხვეჭილი პოეტი, როცა გადაწყვეტდა თავისი სიტყვისთვის მეტი დამარწმუნებულობა მიეცა, მამის სახელს მოიშველიებდა: „მამაჩემის ვასილის სულს ვფიცავარ“.

ლექსში „მუხურის გზებზე“ გალაკტიონი სიამაყითა და სიყვარულით იხსენიებს მამის დამსახურებას.

„მე შევხარი ძეგლს, რომელსაც სულდგმულივით გული უხურს,
მაგრამ არრაგვარი ძეგლი არ შთენია ეხლა მუხურს.
აქ ოდესმე კესარიელს, მიმომხილველს დროთა ბრუნვის,
გზად მოსდევდა ელვარება, მხნე მეექვსე საუკუნის.
და მშვენიერ იმერეთის უუძველეს ქალაქთ შორის
ის ადიდებს ძველ სარაპანს, ძველს როდოპოლს და მუხურისს,
მეცხრამეტე საუკუნეს აქ მოვიდა მამა ჩემი,
ის მოვიდა ხელში წიგნით და ახალი დასძრა გემი.
ის არ არის და სახელიც მისი არსად არ სწერია,
მხოლოდ ხალხი იგონებდა და ილიას „ივერია“.
„მამა“ ვამბობ და პასუხად მხოლოდ საქმე მხვდება მისი,
ახალ-ახალ გზებით მოდის ძველის-ძველი მუხურისი“.

დ ე დ ა

გალაკტიონის დედა მაკრინე გიორგის ასული ადეიშვილი ჭყეიშიდან თხუთმეტიოდე ვერსით დაშორებული სოფლიდან – საპაიჭოდან იყო. დაიბადა 1862 წელს მღვდლის ოჯახში. მამამისს დიდი ჯალაბობა ეხვია, შემოსავალი კი მცირე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, შვილებს იმ დროისათვის საკმაო განათლება მისცა. ვაჟი კოზმანი სკოლაში მიაბარა. ქალიშვილებს: მაკრინეს, მართას, ტერეზას, ეკატერინეს, ანასტასიას წერა-კითხვა, წამლების მომზადება და ხელსაქმე შეასწავლა.

1886 წლის 11 თებერვალს მაკრინემ ჯვარი დაიწერა ვასილ ტაბიძეზე.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მთელი სიმძიმე მაკრინეს დააწვა.

თუ რას წარმოადგენდა ეს ოჯახი, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1894 წლის 16 დეკემბრის გაყოფის წიგნი. ობლებს – პროკლესა და გალაკტიონს – საკუთრივ ერგოთ სახლი, სასიმინდე და ორ ქცევაზე ცოტა მეტი საყანე – ე. წ. შარაძენიძისეული ადგილი. ეს ყველაფერი 615 მანეთად იყო შეფასებული.



გალაკტიონის დედა მაკრინე ადეიშვილი
ნახ. უჩა ჯაფარიძისა

საზიაროდ დარჩა 1600 მანეთის ქონება: 15 ქცევა მიწა, ცაცხვის საწნახელი, თხმელის სასიმინდე, თოთხმეტი ჭური, ურემი, სამი მაგიდა, ორი პატარა სუფრა, სკამლოგინი, 4 ხალამი, 3 დოქი, 3 კიბე, 3 ზანდუკი, ძროხა, უშობელი, ჯორი და ა. შ. გაყოფის წიგნში ზუსტად არის ფიქსირებული ყველა ნივთი თუ საგანი. მხედველობიდან არ გამორჩენიათ საერთო ვალი: სტეფანე ტაბიძის დასაფლავებისას დახარჯული 82 მან. და მოჯამაგირის ხელფასი – 20 მან. ამ დროს ბელელში ჰქონიათ 450 ფუთი სიმინდი, რომელიც 180 მანეთად შეუფასებიათ.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დანაწილდა საზიარო ქონება. საერთო მფლობელობაში მიწის მცირე ნაკვეთი და ხეები დარჩა.

როგორც ვხედავთ, მაკრინე ტაბიძის ოჯახს შიმშილით სიკვდილი არ ელოდა, მაგრამ არც დალხინებით ყოფნა ეწერა.

მაკრინეს ხელს უწვდიდნენ დები და სიძეები, განსაკუთრებით თადეოზ ნამიჭეიშვილი, რომელიც ობლების მეურვე იყო. მაგრამ არც ნათესავები იყვნენ მდიდრები.

გამოუცდელმა ქალმა არაჩვეულებრივი სიმხნევე და შეუდრეკელობა გამოიჩინა.

მაკრინე მაღალ-მაღალი, თხელი და სანდომიანი სახის ქალი იყო, საოცრად მეტყველი და მომნუსხველი თვალებით. იცვამდა სადად და მოხდენილად. პატარა გალაკტიონი მას ხავერდის დედას ეძახდა, რადგან ხავერდის კაბა ემოსა. შემდეგაც ამგვარად მიმართავდა, მაგრამ უკვე ამ სიტყვამ ეპითეტის ფუნქცია შეიძინა. პოეტისათვის დედა სინაზის, სილამაზისა და ატალღების სიმბოლოდ იქცა.

ახალგაზრდა ქვრივს ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ მას კერია არ მიუტოვებია და არ გაუცივებია, მთელი სიცოცხლე შვილების აღზრდა-განათლებას, მათ ბედნიერებას შეალია. „ერთადერთი ჩვენი პატრონი დედა იყო, რომელიც გვიყვებოდა სხვადასხვა ამბავს, გვაცნობდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს და გვიკითხავდა მამის დანატოვარ წიგნებს". – წერს ავტობიოგრაფიაში პროკლე ტაბიძე.

ცხოვრებამ ბევრი რამ ასწავლა და მეურნეობასაც რიგიანად უძღვებოდა. მომთხოვნი იყო და ყაირათიანი – იგონებს გალაკტიონი. ხმელ ხეს მანამდე არ მოგვაჭრევინებდა, ვიდრე სანაცვლოს არ დავრგავდით. ეზო ყოველთვის დაწკრიალებული ჰქონდა. პარიზის გარეუბნებს, ულამაზეს ხეივნებს რომ ვათვალიერებდი, დედაჩემის ნათქვამი მახსენდებოდა, ხე ხეს შნოს მატებს, მაგრამ უნდა იცოდე როგორ მიურგო ერთი მეორესო.

უჭირდა მარტოხელა ქალს. სიმინდის მოყვანა, საქონლის

მოვლა, ვენახის დამუშავება, აბრეშუმის ჭიის გამოკვება... ყველაფერი ეს უამრავ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ნათესავებისადმი გაგზავნილ ბარათებში ხშირად გვხვდება ასეთი ფრაზები: „სტველი იწყება და იქნება მოჯამაგირე მიშოვოთ", „ბიჭი მომახმარეთ", „ქირით მუშას ვეძებ" და სხვ.

საქმე გამოულეველია. აი, უკვე სახურავიდან წვიმა ჩამოდის, ჭიშკრის კარბა დალპა, ღობე მოირღვა. მეფისჭალიდან სიმინდია გამოსატანი, გალაკტიონიც ფულს მოითხოვს: „...ის ფული არ მეყო, მიშველე, გამომიგზავნე ცოტა კიდევ... გამომიგზავნე დაჩქარებით, თუ მოახერხებ"[1].

რომელ ერთს გაართვას თავი?! ფათერაკიც იშვიათი როდია. „ამ სტველზე – სწერს მაკრინე უფროს ვაუს (პროკლეს) – უეცრად ურემი გადაგვიბრუნდა რიონში ჯილეზე... მადლობა ღმერთს, ურემი და ხარები მშვიდობით გადარჩენ, მე ამოვედი წყლიდან თუ არა, როგორც შაშიკორა ისე მევიქეცი... ახლა კარგათ ვარ. ჩემი ჯავრი არ ჩაიდო გულში, ჩემო ძვირფასო შვილო. შენი ხასიათის ამბავი რომ ვიცი, თვარა მეორეს ჩემი ჯავრი არა აქვს".

ჯაფასა და წვალებას ხშირად შედეგი არ მოაქვს. 1907 წელს გალაკტიონი ძმას ატყობინებს: „სტველი უკვე მოთავებულია სოფელში. ჩვენც მოვისტველეთ, მაგრამ რაღა ამისთანა მოსტველება: ორმოცი კონა ჩალა შეკრული საქონლებმა გაანიავეს ისე, რომ არაფერი, ერთი კონაც არ დარჩენილა, ორასი კონა ჩალა შარაძენისის სოულში სულ ერთიანად გააფუჭეს საქონლებმა, ერთი კონაც სახლში არ მოგვიტანია. სიმინდი მოზიარეებმა ზოგმა გარჩეული მოიტანა და ზოგმა გაურჩეველი. ესენი ყველა სახლში დაყარეს და როდესაც გადავარჩიეთ, მთელი გოდრები ვნახეთ დამპალი და გაოხრებული. ვაშლმა სულ ერთიანად ჩამოიარა. უწინ ტოტები ვერ უძლებდა და ეხლა სულ სამ-სამი კაკალი მოვკრიფეთ, თითო ხეზედ. ასეთია ჩვენი ზარალი წრეულს".

ოჯახის ეკონომიკური სივიწროვე თითქმის ყველა ბარათიდან ჟონავს... დავესესხოთ კიდევ ერთ წერილს: გალაკტიონს ორი გამოყვა. მოსამზადებლად ფულია საჭირო. დედა შეშფოთებულია. „ეს ერთი კვირაა ვიტანჯები დარდებით... რანაირათ რა გავახერხო ასეთ უცფათ, რა გავყიდო, რაც მქონდა შესალევი ადგილი. ჩვენი საცხოვრებელი ადგილები რიონმა რიყეთ აქცია. აქეთ მქონდა ცოტა სარჩო მიწა. ნახევარი დაწინდრებული მაქვს. გავყიდი, თუ სასესხებლად ვერ ვიშოვნე".

გულს არ იტეხდა მაკრინე. მართლაც რომ, ებრძოდა

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 491.

წუთისოფელს. ნაირ-ნაირ საშუალებას ეძებდა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დამით საკერავ მანქანას უჯდა და მწირ შეკვეთებს ასრულებდა. კერვა კი ეხერხებოდა. გალაკტიონი იგონებს: ერთ წვეულებაზე დედაჩემს აზნაურ შარაძენიძის ქალები ენახა. უკანასკნელი მოდის მიხედვით შეკერილი კაბები ეცვათ თურმე. დედაჩემს სწრაფად გადაუღია თარგი და მეორე დღეს მსგავსი კაბით მოვლენია საზოგადოებას.

მაკრინეს დღიურში ვხვდებით ასეთ ჩანაწერებს: „შემოვიდა საკერავის ფასად“: სამი აბაზი, ოთხი აბაზი, მანეთი, სამი აბაზი, ათი შაური, ექვსი შაური, მანეთი და ა. შ.

მაკრინე მკურნალიც იყო. საჩინოს თემსა და გურიაში სახელგანთქმული ექიმბაშებისაგან შეუსწავლია ეს საქმე. კარაბადინსაც მარჯვედ იყენებდა. ეზოს ერთ ყურეში სამკურნალო ბალახები მოაშენა. კარგი სააფთიაქო ხელსაწყოები შეიძინა, რომელთა ნაწილი დღესაც დაცულია.

სოფიო ტაბიძე მოგვითხრობს – მახსოვს,დედაჩემი და ტიციანი ყანაში წავიდნენ. ტიციანი დიდი ალესილი დანით ჭრიდა ჩალას. აუცდა თურმე და მარცხენა ხელზე იშვლიპა. შადრევანივით იფეთქა სისხლმა. დედაჩემმა სასწრაფოდ გამოარბენინა ბავშვი შინ. შეევედრა ბიცოლაჩემს: – მიშველე რამე.

ბიცოლამ წამალი შეამზადა და ჭრილობაზე დაადო. სულ მალე იარა მოუშუშდა, მაგრამ კვალი მაინც დარჩა.

– გადმოდი, შვილო ტიტე. ერთი ორჯერ კიდევ დავადოთ მალამო და ხაზიც გაქრებაო,– უთხრა მაკრინე ბიცოლამ.

– არ მინდა, ბიცოლა, დარჩეს კვალი, მემახსოვრება.

და მართლაც,დარჩა ლურჯი ზოლი. შემდეგ ტიციანი ამბობდა ჩემი სენტიმენტალობა, თორემ დამეჯერებინა ბიცოლასათვის, რად მინდოდა ეს ხაზიო.

ახლა მოვუსმინოთ ტატიანა ცინცაძეტაბიძისას: ვერიჩკა ბალდავაძის უფროსი ვაჟი ვახტანგი მდინარე ყუმურში გადამხტარა და ბოთლის ნამსხვრევებზე გაუპია თავი. ექიმებმა ჭრილობა მოურჩინეს, მაგრამ საშინელი ხორცმეტი ამოიზარდა, რომელსაც ლპობა შეეპარა. ბიჭი იღუპებოდა.

ვერიჩკამ ჩემს დედამთილს მოაკითხა. მაშინ ის დრო იყო, როცა ხალხურ მედიცინას დევნიდნენ. შვილებსაც დედა გაფრთხილებული ჰყავდათ, თავი შეეკავებინა ექიმობისაგან. როცა მაკრინემ ბიჭი ნახა, ყოველგვარი მოსალოდნელი უსიამოვნება დაივიწყა და წამლობას შეუდგა. სულ მალე ვახტანგი აბსოლუტურად განიკურნა.

მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, მკურნალობა

შემოსავლის წყაროდ არ გაუხდია. ღრმად სწამდა, რომ ავადმყოფისადმი დახმარება საზოგადოებრივი ვალია, ხელის ამამაღლებელი და გამაფაქიზებელი საქმე.

სოფელიც უმადლოდა, ზოგს ძღვენს მოართმევდა, ზოგიც ყანაში წაეხმარებოდა და ა. შ.

მაკრინე კარგად იცნობდა ლიტერატურას. გატაცებული იყო ხალხური პოეზიით. შემონახულია მის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშები, რომელთაგან აღსანიშნავია „არსენას ლექსის" იმერული ვარიანტი. იგი ასე იწყება:

„არსენა ოძელაშვილი ვა რა ბიჭია დელია.
წელში წვრილი, ბეჭში ფართო, თეძოში უფრო სქელია.
ბარათაშვილის გოგოსა აღარ შეაშვა ხელია.
ბარათამ კაცი გაგზავნა ორი და სამი მღვდელია..."

ჩანს, მაკრინე თავადაც თხზავდა შაირებს. გალაკტიონს ფიქსირებული აქვს ლექსი, რომელიც დედამისს გამოუთქვამს[1].

თავიდათავი მაინც ის არის, რომ მაკრინე პოეზიის სიყვარულით ზრდიდა შვილებს.

გალაკტიონის დედა კარგად უკრავდა ჩონგურზე, სასიამოვნო ხმა, უტყუარი და მახვილი სმენა ჰქონია. ვაჟებსაც ასწავლიდა სიმღერას. ჭყვიშელები იგონებენ: მიმწუხრის ჟამს დედა და შვილები აივანზე დასხდებოდნენ. მაკრინე სიმებს ჩამოკრავდა და ეფინებოდა რიონის ჭალებს სასიამოვნო ჰანგები.

მაკრინე აბესალომს სწერდა: გალაკტიონს „ბავშვები შობის წინა შაბათს დაეთხოვა, მაგრამ ქუთაისს შეჩერებულიყო და ტიტე და ის ერთად მოვიდნენ. აქ რაკი მარტო იყო თუ რაღაც, მოწყენილი იყო. ეს მეც მწყინდა და ახალ წელიწადს საღამოს მათი ხათრიზა მეც გამოვიცვალე ხასიათი და რავაც იყო გამოფხიზლდა. მერმეთ, მე მთხოვა ჩონგური ამიწყვეო".

ასეთი შემთხვევები ხშირი იყო. გალაკტიონს ძლიერ უყვარდა დედის სიმღერა. ზოგჯერ საათობით უსმენდა ჩონგურის კვნესას. დაჟინებით თხოვდა დედას, დაკვრა არ შეეწყვიტა. ამ დროს სხვა სამყაროში გადადიოდა პოეტი. დავესესხოთ მის ერთ ჩანაწერს: „ჩონგურზე უკრავს ქალი. მე გატაცებით ვუგდებ მას ყურს. სოფელს სძინავს. ყოველივე ღამის სიბნელეშია გახვეული. ამ ბნელს, მყუდრო, ჩუმ გარემოზე უცბად ამოდის მთვარე და გააშუქებს ჩემს აივანს, ქართულ რიკულებიან აივანს – და ქალს, მუხლებზე ჩონგურით. მთვარის ნათელზე შეგიძლიათ გაარჩიოთ ეს ქალი. ეს – დედაჩემია. ა, გატუნია, მეუბნება იგი – კარგად დამიგდე ყური. შენ გაგიგონია, რომ ჩონგური კი არ მღეროდეს,

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 271.

ლაპარაკობდეს, იმეორებდეს პირდაპირ, სწორედ იმას, რასაც შენ ამბობ, რასაც შენ მღერი? აი, მაგალითად: ჩე-მი ქმა-რი, სად წა-ვი-და? დედა მღერის – ჩე-მი ძმა-ნი სად წა-ვი-და? ჩამოჰკრავს სიმს, ერთს, მეორეს. ჩონგური ბგერა-ბგერით იმეორებს იმასვე, რასაც მღერის დედა...

დედაჩემი გადადებს ჩონგურს... მე ისევ ბურუსში რომ ვარ, დედა მარდად სდგება და მესმის ეხლა პროზაული!

– ხვალ ადრე უნდა ავდგეთ, საქონელი გაღმა გავიყვანოთ, წისქვილზე ვინმე უნდა გავგზავნოთ.

– რა გვეშველება, რა გვეშველება, სიმინდი მოსატეხია, ჩალა ასაჩეხია, დავიძინოთ, დავიძინოთ, ჩემო გატუნია! რა გვემღერება, რა გვეჩონგურება?..“[1]

ჩონგურთან და სიმღერასთან დაკავშირებით მაკრინე ბევრ რამეს უამბობდა ვაჟებს და, რაც მთავარია, ეს მონათხრობი მათი სულის გაფაქიზებას ემსახურებოდა. სწორედ დედის ნაამბობი დაედო საფუძვლად გალაკტიონის ბრწყინვალე მინიატურას „ციცინოს ჩონგური“.

ერთ გარემოებაზეც გვმართებს ყურადღების გამახვილება. სოფელში გაზრდილი, კლასიკურ განათლებას მოკლებული ქალი ევროპული პუნქტუალობით წერს დღიურებს, მოკლედ აღნიშნავს უმთავრეს მოვლენებს. მაგალითად, „1886 წლის 2 სექტემბერი – მომიყვანეს სახლში. 24 სექტემბერი – ქურდები მოგვიხტნენ და ჩემი ზანდუკი მომპარეს, რომელიც დამტვრეული ვიპოვე. 28 სექტემბერი – მოვიდნენ თათეოზი და ეკატერინე ჩემს სანახავად, 1887 წლის 3 მარტი – წავედი ქუთაისში საკერავი მაშინის საყიდლად და მივეცი ორი თუმანნახევარი. 10 სექტემბერი – ვასილი დაეთხოვა სამსახურს, მასწავლებლობას და მომიტანა 9 თუმანი. 12 სექტემბერი – ჩემმა მულმა კალინიკემ ჯვარი დაიწერა“ და სხვ. დღიურების წერა მაკრინემ შვილებსაც შეაყვარა. გალაკტიონისათვის დღიური ყველა მეგობარზე ძვირფასი იყო. ერთგან იგი სინანულით წერს: „დავიწყებული მქონდა ის დიდი სარკე საკუთარი, თავისივე ცხოვრებისა, რომელსაც „დღიური“ ეწოდება. მე მსურს ვესაუბრო თავისივე თავს ჩემს ბედკრულ ცხოვრებაზე“. პოეტი დღიურს ანდობდა ფიქრებსა და განცდებს. ამ დროს იგი განსაკუთრებით გულწრფელი და გულღია იყო, სხვა საკითხია – რამდენად მართალი. ხშირად, რასაც პირად ურთიერთობაში, საუბრებში ვერ ამეღავნებდა, იმას თამამად გამოხატავდა დღიურებში. ვისაც გალაკტიონის ყოველდღიური ცხოვრებისათვის დაკვირვებით უდევნებია თვალი და, ამასთანავე,

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 224-225.

იმ პერიოდის ჩანაწერებსაც გაცნობია, იგი შეიძლება გაოცდეს, იმდენად გამომრიცხავია ზოგჯერ პირადი საუბრის და დღიურის ტენდენციები. ადამიანთა თუ მოვლენათა შეფასება ერთიანად იშვიათად რადიკალურად განსხვავებულია.

დედამ ვაჟები აკურატულობას შეაჩვია. ყველა ბარათის, დოკუმენტის, ჩანაწერის დაცვას ავალებდა, თვითონაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ვაჟების ხელნაწერებს; აგროვებდა და ზანდუკში ფაქიზად ინახავდა.

ამ ჩვენთვისაც უნდა ვუმადლოდეთ ტაბიძეების, განსაკუთრებით გალაკტიონის არქივის სიმდიდრეს.

მაკრინე გარდაიცვალა 1935 წელს. გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია „დავკარგე დედა და მასთან ერთად დავკარგე იმედი, ნუგეში, თანამგრძნობი... უდედოდ ცხოვრება ვერ წარმომედგინა, მაგრამ ვაი... დავტოვე ჭყვიში და მასთან ერთად დავტოვე დედის ახლადშეზვინული საფლავი... წუხელის ძილში ვწუხდი, რომ უკვე აღარავისთვისა ვარ ისე ძვირფასი, როგორც ვიყავი ჩემი დედისათვის... ვწუხდი, რომ ჩემი მომხრე, თანამგრძნობი და დამცველი არავინ არის-მეთქი. ამ დროს ჩემი ოთახის ფანჯარას დედაჩემი მოადგა: – გატუნია, შვილო, რამ დაგაღონა, ბიჭო! შენ, შვილო, ყველასთვის ხარ საჭირო და თუ დაგჭირდა, დამცველი და თანამგრძნობნიცა გვყავს. გაიხსენე შენი ლექსი, შენი ჭირიმე: „ო, ნანა, ნანა...". დედაჩემი გაქრა, გამომეღვიძა, მაშინვე ავდექი, ავიღე ჩემი ლექსთა კრებული და მოვძებნე ლექსი „ო, ნანა, ნანა..." დედაჩემი, ალბათ, ამ სიტყვებს გულისხმობდა:

„კედლით გიმღერის ექვსი მგოსნის ძვირფასი ქნარი:
რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას,
წერეთელს, ჭავჭავაძეს სურთ დაგიჭირონ მხარი.
და კიდევ დედაშენის ნანა არ გიცავს განა?"[1]

დედა სულიერ წონასწორობას უნარჩუნებდა, ამხნევებდა და ძალას მატებდა გალაკტიონს.

როგორც ითქვა, მაკრინემ პირადი ბედნიერება მსხვერპლად შესწირა შვილებს. მისი მთავარი საზრუნავი პროკლესა და გალაკტიონის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდა იყო. თავად ბევრ რამეს იკლებდა, ოღონდ ყმაწვილებს ხელი არ შეშლოდათ სწავლაში და მიაღწია კიდეც საწადელს. გალაკტიონმა ძალზე მართებულად დაახასიათა მაკრინე: „რა ვუყოთ, თუ ღარიბები ვართ, სამაგიეროდ, სადაა იმისთანა პატიოსანი და შეურცხვენელი ოჯახი, როგორიც ჩვენი ოჯახია? თუ ერთი დედა დაიტრაბახებს, რომ შვილები ამიზრდია, მით უმეტეს, შენ გმართებს ეს. შენოდენა

[1] გ. ტაბიძე. თხზ., ტ. XII, გვ. 339-340.

საქმეებს, დედაჩემო, მარტო ზღაპრებში გაგონილი ძველი გმირი ქალები თუ სძლევდნენ, თვარა ახლა სადაა ამისთანა ქალები?"

მაკრინეს განსაკუთრებით აღელვებდა უმცროსი ვაჟის ბედი, რაც თვით გალაკტიონის ხასიათით იყო შეპირობებული. მომავალი პოეტი ბავშვობიდანვე გამორჩეული ყოფილა, ბევრს იგი უცნაურადაც კი მიაჩნდა.

მაკრინეს წერილები უმთავრესად ასე იწყება: „ფიქრიდან განუშორებელო და სხვა და სხვა ნაირათ სადარდებელო შვილო ჩემო გალაკტიონ". ან „ფიქრიდან განუშორებელო და სხვა და სხვა მოგონებით ჩემო დამტანჯველო საყვარელო შვილო გალაკტიონ, შენი სახელის ხსენებას ენაცვლოს შენი დედა". ეს არ არის მხოლოდ სიღარიბით თუ შვილის შორს ყოფნით გამოწვეული განცდა. მაკრინე არასდროს ამგვარად არ ეხმიანებოდა უფროს ვაჟს, რომელიც ზუსტად იმგვარ პირობებში იყო, როგორშიაც გალაკტიონი (პროკლესადმი მიმართვები ასეთია: „ყოველ მინუტში ტკბილად მოსაფიქრებელო ძვირფასო შვილო ჩემო აბესალომ" ან „ფიქრიდან განუშორებელო ძვირფასო და მეტად საყვარელო შვილო ჩემო აბესალომ").

საქმე ის არის, რომ გალაკტიონი ამ ცხოვრების დინებას არ მიჰყვებოდა. იგი ხშირად ეთიშებოდა და ზოგჯერ უპირისპირდებოდა კიდეც სინამდვილეს. ყოველდღიური წვრილმანი მას ნაკლებ აღელვებდა. საგნებსა და მოვლენებს საკუთარი არშინით ზომავდა და ეს მავანთა და მავანთა შეშფოთებას იწვევდა.

დედა წუხს,რომ გალაკტიონი ბარათის გამოგზავნას აგვიანებს, სოფელში იშვიათად ჩამოდის, ზოგიერთ საგანს არ სწავლობს, სამსახურზე ნაკლებად ზრუნავს და ა. შ. გალაკტიონისთვის კი ყოველივე ეს მთავარი როდია. კარგად ამბობს ერთგან: „...მე ჩემი საქმე მაქვს. ეს საქმე მწერლობაა, კალამია. რაკი თავიდანვე ამ გზას დავადექი, არასდროს ამ გზიდან არ გადავუხვევ და ჩემსას მაინც გავიტან. ჩემზე ნუ დარდობ,დედაჩემო! რასაკვირველია, შენ მე სულელად მთვლი, სხვები კი ჩემს მდგომარეობას შენატრიან: მთვლიან ნიჭიერ კაცად, პატივს მცემენ და სხვა და სხვ".

ეს თვითდახასიათება 22 წლის გალაკტიონს ეკუთვნის.

მაკრინე კარგად გრძნობდა გალაკტიონის პოეტურ ნიჭს, ამაყობდა კიდეც შვილის ლიტერატურული წარმატებებით,მაგრამ ეს მაინც ვერ უნელებდა შიშს, რომ გალაკტიონმა შეიძლება ფეხი წაიმტვრიოს, რადგან ცხოვრების ფხა აკლია.

მაკრინეს წერილები სავსეა საყვედურით:

„ეცადე, შვილო, არ გამირონიო ნაშრომი და არ დეიღუპო

თავი. ჭკუით იყავი... შენ არ იცი, მე საწყალს, რა შრომით და რა წვალებით ნაზარდი მყავხარ და ეხლა რა დროს ღალატია... აჰა, შვილო, წელიწადნახევარი გაჭირვება მაქანა, მერმეთ შენც აბესალომთან იქნები".

„არ გახსოვს არავინ, არც ნათესავი და არც ოჯახი... რა გიჭირდა. მოსულიყავი და გაგემხიარულებინა შენი საწყალი დედის გული და შენი ძმის. ეს შენც კი უნდა იცოდე, როცა თქვენ ორივეს ერთად დაგინახავთ, მაშინ გამითენდება დღესასწაული... არა, შე კაცო, რატომ მომაკლებ წუთისოფელს, რა დამიშავებია შენთვის".

„წერილი შენგან არ მომსვლია. რატომ ხარ ასთე უგუნებო. ვისზე მერე? იფიქრე, შეიძლება როდესმე კიდევ დავრჩე საჭირო, როდისმე, თუ ვიცოცხლე, მარა მე რა მაცოცხლებს. კაცო, წერილი რომ გამოგიგზავნე იქით კვირაებში, მიიღებდი უთუოდ, მაგიერი წერილი რატომ არ მომწერე..."

„ჩამოდი და შემახედე შენთვის. მაინც ავადმყოფათ ვარ და შენ ნუღარ მომითავებ ხელს".

საყვედური გულის მომკვლელია, რადგან ჩივის ძვირფასი ადამიანი, რომელსაც ეჭვი იპყრობს... არავის, საკუთარ შვილსაც კი, არ ვჭირდებიო.

მოტანილი ციტატები წარმოაჩენენ მშრომელ, დაღლილ და შეშფოთებულ პიროფნებას, რომელიც საგანგებოდ უსვამს ხაზს თავის სისაწყლესა და სიდუხჭირეს. ყოველი წერილიდან გალაკტიონს ესმის ურვა, თვალწინ უდგება შავოსანი ქალის მწუხარე და ცრემლიანი სახე.

ამგვარი განწყობით დაწერილი ბარათები მუდმივი ფიქრისა და წუხილისკენ უბიძგებდა გალაკტიონს. იგი სტრიქონების მიღმა კონკრეტულ სურათებს, ეპიზოდებს, ამბებს სჭვრეტდა და ისედაც სევდიანს კიდევ უფრო ეწურებოდა გული. მას ხომ მეოთხედ ტონებში ესმოდა დედისა. მოგვიანებით წერდა:

„შავბნელი ღამე დააწვა ტყესა.
ო, დედა კვნესის;
მაგრამ ის კვნესა, სიკვდილის კვნესა,
მხოლოდ მე მესმის!"[1]

თუ როგორ მტკივნეულად განიცდიდა გალაკტიონი დედის საყვედურს, ეს ჩანს შემდეგი ბარათიდანაც: „შენმა წერილმა მე მომკლა! დედიკო! რატომ იწერები, რატომ იწერები, რომ მე შენთვის სანატრელი ვარ. არა, დედა, შენ გენაცვალე, ჩემზე ნუ

---

[1] გ. ტაბიძე. თხზ., ტ. IV, გვ. 49.

ფიქრობ. თუ არ მოკვდი, სწორედ ურცხვენელად, როგორც გინდა, გავატარებ ჩემს ახალგაზრდობას.

შენ იწერები „შენგან მოძულებული“! (!)

ძვირფასო დედა, შენ არ შეგფერის სთქვა: „შენგან მოძულებული“.

ო, ჩემო ძვირფასო დედა!..“[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, ოჯახური გარემო თალხ ფერებს სთავაზობს გალაკტიონს. საგულისხმოა შემდეგიც: დედა სოფლისაკენ უხმობს შვილს, მისგან ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვს. გალაკტიონს კი არ შეუძლია დაჰყვეს მშობლის ნებას. სოფლის მასწავლებლობა არ ხიბლავს პოეტს. იგი სხვაგვარ მომავალზე ოცნებობს, დიდი სივრცეების დაპყრობას ელტვის, მსოფლიო მორევში ტრიალს ესწრაფვის. ამიტომაც ჩნდება გარკვეული წინააღმდეგობა, სევდის კიდევ ერთი მიზეზი. გულწრფელი სურვილი – დედას ასიამოვნოს – ობიექტურად განუხორციელებელია და ეს ტანჯავს მოყვარულ შვილს.

სადაც არ უნდა ყოფილიყო, როგორ პირობებში, გალაკტიონს მუდამ თან ახლდა დედის სახება. მასზე ფიქრი არ ასვენებდა. ერთ ლექსში ამბობს:

„ილია მღერის – ვაჰმე!
ანდა რას ნიშნავს ნეტა:
ისე რა გავა ღამე –
არ დამენახვოს დედა.

შუბლზე მეხება ხელით
და ეგრძნობ, ციცია ტილო:
„შვილო, შუბლი გაქვს ცხელი,
რა გემართება, შვილო!“
იმ სამუდამო მხარეს,
ალბათ შენ ჩემზე სწუხარ,
დარდს ნუ ეძლევი მწარეს,
არ წაქცეულა მუხა“[2].

პოეტის ჩანაწერები მიგვანიშნებს, რომ მაკრინეს სახე არცთუ იშვიათად სევდიანად ასოცირდებოდა. დედის გახსენება ხშირად ტკივილს უახლებდა. ეს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ობიექტური მიზეზებით იყო მოტივირებული, მაგრამ ვერც გალაკტიონის ბუნებას დავიწყებთ. მთავარი კი ის არის, რომ ამგვარი წარმოსახვანი მგოსნის პოეტური ნერვის ათრთოლებას და გამახვილებას იწვევდა.

[1] გ. ტაბიძე, თხზ. ტ. XII, გვ. 492-493.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. III, გვ. 278-279.

არქივმა შემოგვინახა ერთი პატარა ჩანაწერი: „ბრმა მოხუცებული ქართველი ქალი... მას აცვია შავები. ხურავს შავი თავსაფარი დანაოჭებული, კბილებჩაცვენილი, საცოდავი, წელში მოხრილი იგი სდგას და მწარედ ტირის: სად წაიღო? სად წაიღო?“ ცრემლები გადმოდის თვალთაგან და მოხუცებული ხმით ტირის: „სად წაიღო? სად წაიღო?“ გარს ხალხი ახვევია და ყველა გულდათუთქული უგდებს ყურს, ყველას სახე ღრმა მწუხარებას გამოხატავს. „რა არის? რაშია საქმე?“ – ვკითხულობ, ერთი იქ მდგომთაგანი მიპასუხებს, რომ ვიღაცა პატარა ქალმა მოხუცებულ ქალს ხელიდან გამოგლიჯა ჯოხი და გაიქცა.

(რამდენი ბოროტი ბავშვია ქვეყანაზე?) მოხუცებული ქალი ტიროდა – „სად წაიღო ჩემი ჯოხი?“ ო, ღმერთო ჩემო! რა გულგამგმირავი სცენა იყო. რად გამახსენდა ამ დროს ჩემზე მტირალი დედა?“

დამეთანხმებით, მრავლისმთქმელი ჩანაწერია. მას შეიძლება ნიჭიერად შეთხზული მინიატურაც ვუწოდოთ.

არც მეორე მხარის დავიწყება ეგების. მაკრინა გალაკტიონისათვის არა მხოლოდ მშობელი, არამედ ამ სამყაროსთან დამაკავშირებელი მთავარი ძაფი, ძალა და იმედი იყო.

დედის გაჭირვებას თითქმის სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა გალაკტიონი. 1915 წელი. დაღლილი მგოსანი ბაკურიანში ისვენებს. იმერეთში უჩვეულო წყალდიდობაა და გალაკტიონიც მოსვენებას კარგავს.

„ძვირფასო დედა და ძმაო აბესალომ? პირველად ღმერთს ვთხოვ თქვენს ჯანმრთელსა და ხანგრძლივ სიცოცხლეს – თუ ჯერ კიდევ ცოცხალი ხართ. სწორედ 24 ივნისს ღამით მე გავედი ქუთაისიდან ბაკურიანში. ბაკურიანში კი არც გაზეთები მოდის, არც ბევრი მოაგარაკეებია. ასე რომ, წყალდიდობის ამბავმა მხოლოდ დღეს 1 ივლისს მოატანა აქ. მე პირდაპირ არ ვიცი, რა ვქნა. არაეითარი მოსვენება არ მექნება, სანამდის თქვენს ამბავს არ გავიგებ... არ ვიცი, როგორ დამეძინება ამაღამ... რაღაც საშინელ ამბებს ყვებიან აქ, ძვირფასო დედაჩემო! ამ წერილის მიღებისთანავე დასწერე წერილი და ყველაფერი შემომითვალე, რაც მოხდა და შენ, ძმაო აბესალომ, თუ ძმობა გწამს: დღესვე გამომიგზავნე წერილი, გესმის! დღესვე! დარწმუნებული იყავით, თუ მალე წერილი არ მომივიდა, ავად გავხდები, აი, ჩემი ადრესი: Бакуриани. Галактиону Табидзе.

ძმაო აბესალომ! პატიოსნებას გაფიცებ, თუმანი რომ დაგიჯდეს, დღესვე გამომიგზავნე წერილი. ამას არასოდეს არ დაგივიწყებ,

თუ ეხლა წერილი არ გამომიგზავნე“.

გალაკტიონი ხშირად ამბობდა: ჩემში ბევრია დედისეული. თვისებაო. ამგვარი აქცენტირება შემთხვევითი არ ყოფილა. მართლაც, ორივესათვის ნიშანდობლივია სინამდვილის მთრთოლვარე აღქმა; დრამატულის გამძაფრებული განცდა; არცთუ იშვიათად, შიშითა და ეჭვით ჭვრეტა პიროვნებისა და მოვლენისა; მუსიკის სიყვარული და, რაც მთავარია, პოეტური ხილვები. ასე რომ,გალაკტიონმა ბევრი რამ მიიღო მემკვიდრეობით დედისაგან.

ბ ი ძ ა

იმ პირთა შორის, რომლებმაც გავლენა მოახდინეს გალაკტიონზე, უნდა მოვიხსენიოთ პოეტის ბიძა, ტიციანის მამა – იუსტინე ტაბიძე.

იუსტინემაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისს მიაშურა. 1879 წლის 8 სექტემბრით დათარიღებულ ბარათში იგი დეტალურად აცნობს მშობლებს თავის შთაბეჭდილებებს – სემინარიაში ცხოვრების პირობებს და დასძენს: „მეთორმეტე საათამდი ვმეცადინეობო“.

ჭაბუკი ხარბად დაეწაფა წიგნებს, მას არც ნიჭი აკლდა და არც მუყაითობა. სოფელში სისტემატურად აგზავნიდა ბარათებს, რომლებშიაც არა მხოლოდ თავის პირად, არამედ თბილისის ამბებსაც იტყობინებოდა. ეს წერილები ჭყვიშელებისათვის გაზეთის როლსაც ასრულებდა. ისინი მრავალგვარი სიახლით, ინფორმაციით იყო აღსავსე. მაგალითად, „ჩვენს სემინარიასთან მოიყვანეს სტანციიდან რკინიგზა, რომელზედაც მოწყობილია დროგები, ცხენები უბია და ისე მიდის, რომ ვერ გადაუხვიონ-გადმოუხვიონ. როგორც პარახოდისთვის,ისე უნდა აიღო ბილეთი და შეხვიდე შით. ბილეთი ჩვენი სემინარიიდან სტანციამდის ღირს ორი შაური. ამ დენხანს ფაიტონში ორი შაურის მაგივრად მანეთს ვიხდიდით“.

1883 წლის 14 სექტემბრის წერილში ვკითხულობთ: „ეხლა ამბავი რომ ხდება ამ სემინარიაში, მიდღემჩი არ შესწრებია კაცი. გლეხი კაცის შვილები, ვინც იყო სახელმწიფო ხარჯზედ, სულ ყველა გამოაგდეს. იმერლებიდგან წლეულს მარტო შვიდი მიიღეს სემინარიაში, დანარჩენები დააბრუნეს“.

„...სემინარიაში ბერძნული გადააგდენ და მის მაგიერ

ქართული შემიიღეს“.

„აქეთ ახალი ამბავი ის არის, რომ ტფილისის ბავშვმ ჩვეულებრივ მდინარეები გაყინა და ძრიელი სიცივე დიწყო. როგორც გაზეთებში იწერებიან, რუსეთს ძლიერ დიდი ხეები მოელის ამ იანვრიდან ნემცებთან“.

სხვა ბარათებში კიდევ იმას აღწერს, თუ როგორ ეგებება სემინარია საპატიო სტუმრებს: მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს, უწინდელ მეფის ნაცვალს მიხეილს, ეგზარხოსს და ა. შ.

როგორც ირკვევა, სემინარიაში იუსტინე რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდების წრეში ტრიალებდა, ხარბად დაეწაფა არალეგალურ ლიტერატურას და არსებული წეს-წყობილებისადმი მტრულად განეწყო.

1886 წლის თებერვალში ინსპექტორს სემინარიის გამგეობისათვის წარუდგენია მოხსენება, რომელშიც ვკითხულობთ: „Небрежность по отношению к богосложунию замечена со стороны воспитанников Иосифа Лагиева (III кл.). Николая Гагунова (I кл.), Идетина Табидзе и Мих. Цхакая (VI кл.). Как этим, так и другим воспитанникам, допустившим более важные поступки, ректором семинарии делаемы были своевременно предостережения, а некоторые подвергнуты были карцерному заключению“[1].

ეს ის იოსებ ლადიაშვილია, რომელმაც ვერ აიტანა მრავალმხრივი უსამართლობა და 1886 წელს, 24 მაისს მოკლა სემინარიის რექტორი, რეაქციონერი ნუდეცკი. ამას მოჰყვა სემინარიის დარბევა და 34 მოსწავლის გამორიცხვა, მათ შორის იუსტინესიც.

პირველ ნომრად დასახელებულია მიხეილ ცხაკაია. „ყურწაგდებულია მოწაფის მოვალეობის ასრულებაში, უხეში და თავხედია, არაერთხელ შენიშნულია აკრძალული წიგნების კითხვაში და აშკარად ანტირელიგიური და ნაწილობრივი სოციალისტური მიმართულების ადამიანია, რომლის გავრცელებას ის ცდილობს განსაკუთრებით დაბალი კლასების მოწაფეებში“[2].

მეორე ნომრად დასახელებულია იუსტინე ტაბიძე. „... უხეში თავხედობამდე და მიმართულებით თავისი ამხანაგის ცხაკაის

---

[1] იხ. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951, გვ. 251.

[2] იქვე, გვ. 57.

მსგავსი"[1].

როგორც ჩანს, სემინარიიდან გარიცხვა ძლიერ განუცდია იუსტინეს. ამ ფაქტით შეშფოთებული ვასილი ამხნევებს ძმას: „რა გაეწყობა, ჭირს გაძლება უნდა, არ მომხდარიყო. ამისთანა ამბავი ხომ კარგი, რაკი მოხდა, კაცმა სისუსტეს თავი არ უნდა მისცეს. ქვეყანაზედ ყველაფერს უნდა ელოდებოდე საწყალი კაცი".

სემინარიიდან გამორიცხული იუსტინე ერთხანს სოფელშია, შემდეგ კი თბილისში, სასამართლო უწყებაში მუშაობს. სამსახურის გამო ხშირად მოგზაურობს კახეთში, ქიზიყში, ხევში თუ სხვაგან და დაწვრილებით ეცნობა ხალხის ყოფას.

1891 წლიდან ქუთაისშია, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. მამის თხოვნით ჭყვიშს უბრუნდება და ანაფორას იცვამს.

ასე და ამრიგად, გამოეთხოვა ლაჟვარდოვან ოცნებებს და მთლიანად ჩაეფლო სოფლის ორომტრიალში. ჭყვიშელთა თავკაცობა იკისრა და ღირსეულადაც ეწეოდა ჭაპანს. გლეხთა მრჩეველი და დამრიგებელი, მოსამართლე და გულშემატკივარი იყო. იუსტინე გულწრფელად და მთელი მონდომებით იღვწოდა თანასოფლელთა განათლებისათვის. ამაზე მეტყველებს „კოლხიდაში" გამოქვეყნებული კორესპონდენციაც.

1911 წლის 1 სექტემბერს ჭყვიშში ყრილობა გამართულა, რომელსაც უნდა გადაწყვიტა სკოლის შენობის განახლების საკითხი. სკოლის გამგემ „ღვდელმა ი. ტაბიძემ შემდეგი სიტყვებით მიმართა მრევლს: „დღეს მთელი ქვეყანა მიილტვის სწავლისაკენ,ისეთი სოფელი არ მოიპოვება,სადაც არ არსებობდეს სამრევლო, ნორმალური და სხვა უმდაბლესი შკოლები. თქვენ მარტო ერთადერთი მამაპაპური სამრევლო შკოლა გაქვთ, სადაც იზრდებიან ისევ თქვენი შვილები. ათი წელიწადია,რაც ეს შკოლა უნაკლოთ იყო, დღეს მას შეკეთება სჭირდება და არც ერთი თქვენთაგანი ამაზე ყურს არ აპარტყუნებს. საჭიროა შკოლას შემწეობა აღმოუჩინოთ"[2].

როგორც ჩანს იუსტინეს შეგონებამ და მცდელობამ გაჭრა.

ტიციანი ასე ახასიათებას მამას: „მთელ თავის სიცოცხლეში იგი თაყვანს სცემდა რუს სამოციანელებს – ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვს,დ. პისარევს და სიცოცხლის ბოლომდე ზეპირად ახსოვდა მთელი ნეკრასოვი. მაგრამ მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ცდებიდან არაფერი არ გამოვიდა – ბაბუაჩემის

[1] იხ. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951, გვ. 251.

[2] გაზ. „კოლხიდა", 1911, №168.

დაეინებით იგი იძულებული იყო სოფელში დაბრუნებულიყო და მღვდლობა დაეწყო"[1].

აქ გალაკტიონის მონათხრობიც უნდა მოვიტანოთ: — იუსტინე აღმერთებდა ილია ჭავჭავაძეს. მახსოვს, 1907 წელს ბიძაჩემთან ერთად მივემგზავრებოდი. რიონის სადგურზე იუსტინემ გაზეთი იყიდა. დახედა და ელდა ეცა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობას იუწყებოდნენ. ცრემლით აევსო თვალები. მთელი გზა ხმა არ ამოუღია. გადაშლილ გაზეთს უაზროდ ჩასცქეროდა.

იუსტინემ ილიას „ივერიაში" რამდენიმე პუბლიცისტური ნაწარმოები გამოაქვეყნა. პირველ კორესპონდენციაში ავტორი სოფელ ჭყვიშის ავ-კარგს აცნობს ფართო საზოგადოებას. მოსახლეობა შეძლებულია – წერს იგი – ბევრს ოდა უდგას, შემოსავლის ძირითადი წყარო სიმინდია. მართალია, ხარობს იზაბელა, ე. ი. „ადესა", მაგრამ, „იმისგან გამოწურული ღვინო ჭის წყლისაგან არაფრით განირჩევაო".

ავტორი იმასაც შენიშნავს, რომ პავა ცუდია. იუსტინე ყურადღებას ამახვილებს სკოლაზე, განათლების საკითხებზე, ქვეყნის წინსვლასა და ბოროტების აღკვეთის მთავარ საშუალებად „სწავლა-განათლებასა და მოზარდი თაობის კარგ გზაზედ დაყენებას" მიიჩნევს.

კორესპონდენცია ბევრ საინტერესო ფაქტს შეიცავს და მკითხველს მკაფიო წარმოდგენას უქმნის ჭყვიშზე.

მეორე ნაწარმოები ტობანიერს ეძღვნება. წინ არის წამოწეული სოფლის ორი ძირითადი სატკივარი. ვაზის დაავადება და გაუნათლებლობა. კორესპონდენცია ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ ფაქტების სიუხვით, არამედ მათი ანალიზით და კრიტიკული პათოსით.

ტობანიერი – წერს პუბლიცისტი – განთქმულია ღვინოებით, მაგრამ ამ ბოლო დროს ვაზს ავადმყოფობა გაუჩნდა და „მალე მოვა ის დრო, როცა აქაურებს ღვინო პირის გასასველებლად არ ექნებათ". ამგვარი დასკვნისაკენ ავტორს უბიძგებს მოსახლეობის უმოქმედობა. ჟურნალისტი მახვილს ძირითადად აზნაურების წინააღმდეგ მიმართავს. ისინი გლეხებზე ღონიერნი არიან, მეტად შეუძლიათ ვაზის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავენ. „ამისთანა უზრუნველნი, სწავლა-განათლების გულგრილად მაყურებელნი, არა ვგონებ, კიდევ იყვნენ სადმე ამ სოფელში. სამოც კომლამდის აზნაურობაა, და სიტყვამ მოიტანა შევნიშნოთ, რომ ვერც ერთს აზნაურს ვერ ჰნახავთ ამათში იმისთანას, რომელსაც არა თუ უმაღლესი, ან

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 2.

საშუალო სასწავლებელი, არამედ, ასე გასინჯეთ, სადმე მაინც ესწავლოს"[1].

პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები მათთვის საგანგებოდ დაარსებული გიმნაზიითაც კი არ სარგებლობენ. და ეს მაშინ, როცა სოფლის უბრალო მღვდლები თუ მედავითნენი ყველაფერს აკეთებენ, რათა მათმა შვილებმა განათლება მიიღონ.

ი. ტაბიძე მოგვითხრობს, რომ 1876 წელს ტობანიერში გაიხსნა სამინისტროს სკოლა. სწავლის საქმე კარგად წარიმართა, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. „მოგეხსენებათ, სწავლა-განათლების გლეხობისას, როგორც მის თვალის ამხელს და სიბეჩავის დამნახვებელს, ყოველთვის წინ ეღობებიან და გზას უკრავენ იმისთანა სულიერნი,
რომელთათვისაც გლეხ-კაცის გამოფხიზლება დიდი ზარალი და უბედურებაა. ამგვარ კაცთათვის გლეხი რამდენადაც გაუნათლებელი და უმეცარია, იმდენად კარგი გასათლელ-გასაფცქვნელია. ამისთანა სულიერნი ამ სოფელშიაც არიან და აი, როცა დაინახეს ამ ვაჟბატონებმა, რომ სკოლის დაარსებით მათს გაიძვერობას და გლეჯა-ფცქვნას საზღვარი ედებოდა, დაიწყეს ხალხში ქადაგება: რა საჭიროა გლეხ-კაცისათვის სწავლა, წერა-კითხვის ცოდნა. ეს ხომ მოცლილ კაცების საქმეაო. გლეხ-კაცისათვისა საჭიროა თოხი და ბარი და ამისი ხმარებაო"[2].

ხალხმა სკოლას ალმაცერად დაუწყო ცქერა, მასწავლებლებიც აიძულა გაქცეულიყვნენ. სახელმწიფო მაინც ახდევინებდა გლეხებს სკოლის ფულს და მათაც დაასკვნეს: დე, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. ისინი სკოლისაკენ შემობრუნდნენ და საქმეს კარგი პირი უჩანსო.

ჟურნალისტი დემოკრატიულ პოზიციაზე დგას, ხალხის ინტერესების დამცველია, საზოგადოების გამოფხიზლება-განათლებისათვის იბრძვის, ავტორი აშკარად ავლენს თავადაზნაურებისადმი მტრულ დამოკიდებულებას.

სწავლა-განათლების საკითხებს სხვა ნაწარმოებშიაც ეხება ი. ტაბიძე. ერთ-ერთ კორესპონდენციაში იგი საუბრობს ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელზე. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალ სკოლას. ამასთანავე კონკრეტულ შენიშვნებს გამოთქვამს პროგრამებთან დაკავშირებით. მისი აზით, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს „შეგნებულ სწავლებას ისეთის საგნებისას, როგორიც არის დედა-ენა, საქართველოს საეკლესიო

[1] გაზ. „ივერია", 1892, №89.

[2] გაზ. „ივერია", 1892, №89.

და სამოქალაქო ისტორია და ქართული მწერლობა"[1].

პუბლიცისტური ოსტატობით გამოირჩევა კორესპონდენცია „ქ. ქუთაისი". ავტორი დაკვირვებით არჩევს ფაქტებს, ისინი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, თვალშისაცემი და ძირითადი იდეის დასაბუთებისათვის ეფექტურია. მათი წარმოჩენითა და კომენტირებით ავტორს ბუნებრივად მივყავართ დასკვნამდე, რომ ქალაქის გამგეობა თავს ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. „რაც გინდა ბევრი ჩხირკო და ჰქექო, დიოგენის ფანარიც რომ თან იქონიო, აქ იმისთანა საკეთილო საქმეს ვერა ჰნახავთ, რომელიც სამოქალაქო თვითმმართველობას დაეწყოს და სანატრელად დაეგვირგვინებინოს. ყველგან და ყველაფერში რალაცნაირ უსულობას, უსიცოცხლობას და
დაუდევრობას, უთავბოლობას ამჩნევთ..."[2]

ფაქტთა განლაგება ეფექტურია. თავდაპირველად ავტორი ქუჩების კეთილმოწყობაზე ამახვილებს ყურადღებას. თვითმმართველობა მხოლოდ თბილისის ქუჩის მიმართ იჩენს გულისყურსო. ერთი წელიწადია, რაც მისი შეკეთება დაიწყეს, მაგრამ საქმეს ბოლო მაინც არ უჩანს. ალბათ ვერც დაამთავრებენ რემონტს, რადგან „შეაკეთებენ თუ არა ბოლომდის, ისევ თავიდგან დაიწყებენ და ამნაირად გამოვა „წაჯექ-უკუჯექობის" თამაში"[3].

კორესპონდენტი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქუჩების განათება უვარგისია. ქალაქი მოკლებულია საზოგადოებრივ საავადმყოფო-სამკურნალოს. ამ ფაქტებზე შედარებით ვრცელი და დასაბუთებული მსჯელობით, სარკასტული ჩანართებით პუბლიცისტს ადვილად გადაჰყავს მკითხველი თავის პოზიციაზე. ამიტომაც აუცილებლად არ თვლის სხვა ნაკლოვანებებზე დეტალურად შეჩერებას. იგი მხოლოდ ჩამოთვლის მათ. „ქალაქს აგრეთვე არა აქვს საკუთარი სასაფლაო, არ უვარგა სასმელი წყალი, ხოლო რაც შეეხება სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათ, როგორც, მაგალითად, თავშესაფარს უპატრონო ბავშვებისათვის პროფესიონალ სკოლებსა და სხვ., ესენი ხომ არ არიან და არ არიან"[4].

კორესპონდენციის მთავარ ღირსებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მასში საფუძვლიანად არის გაანალიზებული ფაქტები,

---

[1] გაზ. „ივერია", 1892, №213.

[2] იქვე, №111.

[3] იქვე, 1892, №111.

[4] იქვე.

მიზეზთა მიზეზია დაძებნილი. ავტორი მართებულად შენიშნავს: „უსამართლობა იქნებოდა ჩვენის მხრით, ყოველივე [illegible] აღნიშნული ნაკლულევანება ქალაქისა, ქალაქის გამგეობისა [illegible] საზოგადოდ საქალაქო თვით-მმართველობის დაუდევნელობასა და გულგრილობას მივაწეროთ. რასაკვირველია, იმასაც წილი უდევს ამ საქმეში, მაგრამ მასთან ერთად სხვა მიზეზებიც ჰმოქმედობს"[1].

ავტორი ასახელებს ყველაზე მთავარს. ეს არის ვაჭრობის დაცემა და ქალაქის შემოსავლის სიმცირე.

გამორიცხული არ არის, რომ ი. ტაბიძეს სხვა მასალებიც ჰქონდეს გამოქვეყნებული. ეს ვარაუდი გამოითქვა კიდეც[2].

მაგრამ განხილული ნაწარმოებებიც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: ი. ტაბიძე დემოკრატიულად განწყობილი, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იყო, რომელსაც კალამი უჭრიდა.

როგორც ჩანს, იუსტინესთვის უკვალოდ არ ჩაუვლია რევოლუციონერებთან კავშირს და ზაქარია ჭიჭინაძის წრეში ყოფნას.

გარდაიცვალა 1919 წელს:

იუსტინე სიტყვაძუნწი კაცი იყო. ერიდებოდა ემოციების გამჟღავნებას. საგანგებო გულგახსნილობას ძმისწულებთანაც არ იჩენდა. მაგრამ მისი ყოველი საუბარი პატარა ნათესავებთან, წარსულის გახსენება თუ ლიტერატურული მაგალითების მოხმობა – ყოველთვის დროული და შთამბეჭდავი იყო. პროკლე და გალაკტიონი ანგარიშს უწევდნენ ბიძის აზრს. იხიბლებოდნენ მისი ნაკითხობითა და გემოვნებით. იუსტინეს ბიბლიოთეკითაც ხშირად სარგებლობდნენ. ბიძა სიკეთისა და პატიოსნებისაკენ მოუწოდებდა ძმისწულებს, განათლებისა და მწიგნობრობისკენ ლტოლვას უღვივებდა მათ.

ბიძასთან ურთიერთობის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი აქ ვერ აღინუსხება. თუმცა ისიც საკითხავია, მომავალი პოეტისათვის რა უფრო მნიშვნელოვანი იყო: იუსტინეს ფხიზელი გამოხედვა და ერთოლელით წარმოთქმული „ბიჭო, გალაკტიონ", თუ ეკლესიაში

[1] გაზ. „ივერია", 1892, №111.

[2] ი. ტაბიძეს არ ეკუთვნის „ცნობის ფურცელში" 1902-1904 წლებში გამოქვეყნებული კორესპონდენციები. „ს. სვირი", როგორც ეს აღნიშნულია ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში. ამ პერიოდში იუსტინე ჭყეიშში ცხოვრობს. მას არავითარი კავშირი არა აქვს სვირთან.

წაკითხული ქადაგებანი ან ჩაფრების წინააღმდეგ აღმართული ჯვარი.

ყოველდღიური ურთიერთობის მდინარეში თანდათანობით იძირება უმნიშვნელო და რჩება ჭეშმარიტი ღირებულება, რომელსაც ზოგჯერ სახელსაც კი ვერ მოუძებნი.

მართლაც რომ, მაინც სხვა არის ყივილი სისხლისა, მაინც სხვა არის ნაღდი მირონი და სულის თანაზიარობა.

ალბათ ამ ქვეთავის ყველაზე კარგ დასასრულად გალაკტიონისადმი მიძღვნილი ტიციანის ლექსის სტრიქონები გამოდგება:

„ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი,
ერთად ლპებიან ჩვენ მამების კუბოს ფიცარი.
ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უემურები
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით...
გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი,
რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა.
ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი,
ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით“[1].

ძ მ ა

გალაკტიონს „მთელის გულითა“ და გასაოცარი სიფაქიზით უყვარდა უფროსი ძმა პროკლე, იგივე აბესალომი.

პროკლე მისთვის მეგობარიც იყო და მასწავლებელიც, მესაიდუმლეც და ქომაგიც. ძმამ დიდი ამაგი დასდო გალაკტიონის აღზრდას, მისი პოეტური ნერვის გამახვილებას და ლიტერატურულ წრთობას. გალაკტიონმაც კარგად იცოდა პროკლეს თანადგომის ფასი. ამიტომაც წერდა:

„ძმა დავკარგე, მერე რა ძმა — უკეთესი,
ერთადერთი,
გაჭირვების ხანაშია მე მიცავდა მისი მკერდი,
ნუგეშს მცემდა, მამხნევებდა, მარიგებდა, როცა
ვწერდი...
ეკლის ნაცვლად მისგან მქონდა აბრეშუმი და
ხავერდი.

მოვიდოდა ჩემთან ოდეს, მე ვიცოდი სული ძმისა,

---

[1] ტ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 105.

ჩემი მტერი მისად უჩნდა, მედგრად გამომტემი ხმისა,
დაფარული არა გვქონდა, პირდაპირი იყო მტრისა.
ვაი, მისმა დამკარგავმან, ცრემლი დამადინა ზღვისა"[1].

პროკლე 1889 წელს დაიბადა. წერა-კითხვა დედის ხელმძღვანელობით შეისწავლა. 8 წლისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. „სამმა მოწაფემ გავათავეთ მარტო პირველი რაზრიადითო" – სიამაყით სწერდა დედას.

1906 წელს მან სწავლა სასულიერო სემინარიაში გააგრძელა. წერილში „იშვიათი მასწავლებელი" იგი ასე ახასიათებს სემინარიის ატმოსფეროს: „ჰაერი შეხუთული იყო... გულისგამაწყალებელი ლოცვები, ღვთისმეტყველების მოსაწყენი გაკვეთილები, სულიერად გამოფიტული მასწავლებლები, ჯაშუშები, შავი ყორნები... ჩვენ კი სიცოცხლე გვწყუროდა"[2].

პროკლე ბეჯითად ჰკიდებს ხელს არა მხოლოდ სავალდებულო დისციპლინების, არამედ მხატვრული ლიტერატურის შესწავლასაც. იგი ერთნაირი გატაცებით ეკიდება როგორც ქართულ, ასევე რუსულ და ევროპულ მწერლობას. ცდილობს ღრმად ჩასწვდეს ნაწარმოებთა იდეას. მისთვის მხატვრული ტილო არა მხოლოდ ესთეტიკური ტკბობის წყაროა, არამედ მსოფლმხედველობითი პოზიციების გამრკვევი და ზნეობრივი წრთობის საშუალება. სიღარიბის გამო შესაძლებლობა არა აქვს საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა შექმნას. ამიტომაც სხვათა სამკითხველოების ხშირი სტუმარია. წაუკითხავს არ ტოვებს მეგობარ-ნათესავთა თუ ამხანაგთა მიერ შეძენილ მნიშვნელოვან წიგნებს.

მრავლისმთქმელია ლ. ტოლსტოისადმი გაგზავნილი მისი ბარათი. იგი 1907 წლის 14 აპრილს არის დაწერილი და არა მხოლოდ პროკლეს,არამედ მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის სულისკვეთებასაც გამოხატავს. ამასთან ხაზს უსვამს ლ. ტოლსტოისადმი მთავრობის დამოკიდებულებას.

«Многоуважаемый Лев Николаевич!

Давным давно о вас часто мне попадалось слышать: «Так говорит Лев Николаевич» - говорили между собою разсуждающие. Кто это Толстой – справшивал я товаришей и когда узнал, что он замечательный

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VI, გვ. 124.

[2] გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი", 1939, №79.

философ, стал жадно читать попадающиеся его сочинения. Помню, раз ко мне пришел инспектор, тогда я был в духомнов училище, увидев что я читаю, он бросилсы ко мне с криком: «Несчастный, что ты читаеш! Неужели не знаешь что развратныя книги этого автора могут погубить тебяы на всегда, на всю жизнь. Я возьму с собою эту книгу и предупреждаю тебя: если подобное дело повтлорится, то тебя выгоню из училища». Он взял с собою книгу и мне дали по поведению четверку.

Хотя, с тех пор до окончания училища (тогда я был в IV классе), я в руки не брал ваших сочинений, но никогда не мог догадаться: почему запрещали чтение этих книг?

Теперь я в семинарии много читал и слышал о ваших сочинениях, как о творениях великого мыслителя и очень желал познакомиться вашему учению. Но, к моему несчастью, у меня не было денег, чтобы покупать книги.

Теперь я, Многоуважаемый Лев Николаевич, обращаюсь к вам просьбою удовлетворить мое душевное чувство тем, что выслать мне по экземпляру ваших сочинений безплатно.

Прошу еще, если можно, написать мне письмо. Я этому буду очень рад я письмо сохраню до конца моей жизни»[1].

პროკლე სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ლ. ტოლსტოის თაყვანისმცემელი,მისი შემოქმედებით მოხიბლული და ანთებული.

სემინარიაში პროკლე დაუახლოვდა ვასილ ბარნოვს,რომელიც პედაგოგიკას ასწავლიდა (მოგვიანებით მან სიყვარულით გამთბარი წერილი უძღვნა ძვირფას აღმზრდელს).

პროკლე სკოლაში რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალს, მონაწილეობდა საქველმოქმედო კონცერტებში; ფართო საზოგადოებრივი ცხოვრებით ინტერესდებოდა. ამავე პერიოდში იწყებს იგი ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობას. პ. ტაბიძის სემინარიელი ამხანაგი ტერენტი ვეფხვაძე იგონებს, პროკლე გამოირჩეოდა სიბეჯითითა და წესიერებით. ძალზე გვიყვარდა ამხანაგებს, ადრევე გამოამჟღავნა მხატვრული გემოვნება და წერის ნიჭი. რადგან ნოველებსაც თხზავდა. მახსოვს, ერთხელ სემინარიიდან გავიპარეთ და სობინოვის კონცერტს დავესწარით. მეორე დღეს მაგრად მოგვცხეს,გადაყოლილი იყო გალაკტიონბზე. გარინდება იცოდა. შევარნჯღრევდით: „საით ქრის გონება შენი?“ კეთილი ღიმილით გვეტყოდა: „დედაჩემზე ვფიქრობრო“.

ახლა მოვუსმინოთ ალექსანდრე თვარაძეს... პროკლეს მერხის მეგობარს: „მისებრი კაცი ბევრი აღარ შემხვედრია ცხოვრებაში. აბესალომი ერთი იმათგანი იყო, ვისაც ცხოვრების ჭუჭყი

[1] რ. თვარაძე, გალაკტიონი, 1972, გვ. 36.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონის ძმა პროკლე (აბესალომ) ტაბიძე

რადაც სასწაულით არ ეკარება ხოლმე. რანაირ გარემოშიც უნდა მოხვედრილიყო, მისი სპეტაკი ზნეობა და ნათელი გონება არასოდეს აიმღვრეოდა"[1].

და ერთიც, პროკლეს ბიძაშვილი დავით ტაბიძე იგონებს: ბავშვობიდანვე ვოცნებობდი, რომ პროკლესნაირი ვყოფილიყავი, მასავით ჭკვიანი, განათლებული, მოწესრიგებული, თითით საჩვენებელი.

უმაღლესი სასწავლებელიც დავამთავრე, სკოლის დირექტორადაც დიდხანს ვმუშაობდი, ახლა აგერ მუზეუმის დირექტორის მოადგილე ვარ. ბევრი რამ ვნახე და განვიცადე, საწადელს კი მაინც ვერ მივწვდი. არა, ძმაო, სხვა კაცი იყო, სხვა მირონით ნაკურთხი.

1912 წელს პროკლემ სტუდენტის ხარისხით დაამთავრა სემინარია და რუსეთში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა. მაგრამ ამ ოცნებას ფრთები შეეკვეცა. ფულის შოვნა გაძნელდა. დედაც მარტოდმარტო იყო. გალაკტიონი ოჯახისთვის ვერ იცლიდა... მაკრინე ეაჯებოდა შვილს: ნუ გააცივებ კერიას, ძლიერ მიჭირს, ჩამოდიო... და აბესალომიც მასწავლებლობას იწყებს. ჯერ ჭოკნარში მსახურობს, შემდეგ დაფნარსა, შუამთასა, სამტრედიასა და თბილისში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას, იყო სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის დირექტორი.

პროკლე საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამოირჩეოდა. ხუთი წლის განმავლობაში თემსაბჭოს პრეზიდიუმის წევრად მუშაობდა. ხელმძღვანელობდა კულტურის სექციას, ასრულებდა კულტრწმუნებულის მოვალეობას. მისი ინიციატივით აშენდა შუამთის (ვანის რაიონი) საშუალო სკოლის დიდი კაპიტალური შენობა, გაიხსნა ბიბლიოთეკა. პროკლეს თაოსნობით არაერთხელ გამართულა პოეზიის საღამო, დისპუტი, ლიტერატურული გასამართლება. იგი საზოგადოების არა მხოლოდ განათლებისა და ზნეობის ამაღლებისათვის იღვწოდა, არამედ მისი ეკონომიკური მდგომარეობისა და ყოფის გაუმჯობესებისათვის.

უანგაროდ და ჩუმად იცოდა მოყვასისათვის ხელის გაწვდენა. ჭყეიშელები მისი კაიკაცობის დამადასტურებელ მრავალ ეპიზოდს იხსენებენ.

სოფელში კოლორიტული კაცი ცხოვრობდა – ქრისტეფორე ბაღდავაძე. ცხოვრობდა თითქმის ეულად, ისლით დახურულ ქოხში, უზარმაზარი ხეებით დაბურულ ეზოში. ძველი ყაიდის გლეხი იყო, ახირებული, ცივილიზაციისაგან რამდენადმე შორს მდგომი. 30-იან წლებშიც კი მშვილდისრით ნადირობდა და

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VI, გვ. 118.

ასანთს მამა-პაპურ კვეს-აბედს ამჯობინებდა. ბოლომდე კერძო მესაკუთრე დარჩა. მოხუცებულობაში მხედველობამ უმტყუნა – საგანთა კონტურებს ამჩნევდა მხოლოდ. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა, უკიდურესად ეჭვიანი, ჯაჯღანა და მოურიდებელი გახდა.

ერთ დღეს პროკლე ეწვია და სხვადასხვა ზომის სათვალეები მიუტანა. ქრისტეფორემ სათვალე მოირგო და ამოისუნთქა. კაცი გადახალისდა, ამაღლდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პროკლეზე მლოცველი იყო.

პროკლე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც შეჭირვებულის მოსვლას კი არ ელოდებიან, არამედ თავად მიდიან მასთან.

და მაინც... პროკლემ თავისი ცოდნა, ნიჭი და ენერგია ძირითადად ახალგაზრდობის აღზრდას შესწირა. ლექსში „აბესალომის ხსოვნას“ გალაკტიონი ამბობს:

„...შენ აღარ ხარ, მაგრამ შენს სიტყვებს საქმედ დაჰქარგავს
ის თაობა, დღეს რომ სწუხს მასწავლებლის დაკარგვას.

მოწაფეებს, შენს გამო გულწრფელად რომ სტირიან,
გრძნობებს, რომლის ფესვები ასეა ღრმა და ხშირია.

ესმით: როცა სულს ლევდი, მათთან საგასანდობლო,
შენი უკანასკნელი სიტყვა იყო: „სამშობლო“[1].

პედაგოგობა მისთვის მოწოდება იყო და მთელი გატაცებითაც ეძლეოდა. გალაკტიონისადმი გაგზავნილ ერთ ბარათში აღნიშნავდა: „არის კი წუთები, როდესაც ცხოვრება გიყვარს და სიხარულსა გრძნობ. ეს მაშინ, როცა გაკვეთილებზე ხარ. ხედავ, რანაირის გატაცებით გისმენენ, როგორ უბრწყინავთ თვალები, როცა ახალს რამეს იგებენ... მე მინდა მათ ავაცდინო ის წამება, რასაც ჩვენ განვიცდიდით. ოხ! რანაირად მოკლეს ჩვენში თვითშემოქმედება... სიხარული და სიყვარული!.. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ჩვენი მასწავლებლობა არაა საკმაოდ მომზადებული ახალი შკოლისათვის და თავიდათავი რაც არის: არაა გატაცება. ეს კი უმთავრესია ყოველი ადამიანის მოღვაწეობაში (გაკვრით: შენ რომ ასეთი გატაცება არ გქონდეს, უჰ, რა უმნიშვნელო ვინმე იქნებოდი)“[2].

---

[1] პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, მოთხრობები, ბარათები გალაკტიონს, 1997, გვ. 139-140.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 402.

მწერალი ანდრო თევზაძე იგონებს: „ბატონი პროკლეს გაკვეთილები სავსე იყო პოეტური ცეცხლითა და არტისტიზმით. არა მხოლოდ საფუძვლიანად ფლობდა, არამედ ღრმად განიცდიდა მასალას. ჩვენ მოწმენი ვიყავით მასწავლებლის შინაგანი წვისა. ზეპირად იცოდა ქართული და რუსული კლასიკური პოეზია. საათობით შეეძლო ესაუბრა გალაკტიონის შემოქმედებაზე.

არ მახსოვს, შეგირდებს გასწყრომოდა. ალბათ იმიტომაც, რომ სულგანაბული ვუსმენდით და დავალებასაც ყოველთვის ვუსრულებდით“.

პროკლეს პატივს სცემდნენ მოსწავლეები, მათი მშობლები. დავესესხოთ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ერთ ბარათს: „პატივცემულო ბ. პროკლე! მოგიკითხავთ და გისურვებთ ბედნიერებას და ნაყოფიერ მუშაობას. თქვენი წერილი მივიღე და მადლობას გიძღვნით იმ ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, რომელსაც ჩემს ბავშვებს მუდამ უჩენდით მანდ. ილუშა ეხლა მერვე ჯგუფში მინდა მოვათავსო, ისევ პროვინციაში. ვფიქრობ, ვანში გავგზავნო, თუ იქ არ დაიკეტა არსებული შკოლა. მიიღე გულწრფელი სალამი ჩემი მეუღლისაგან. მარად პატივისმცემელი კ. კეკელიძე“.

პროკლეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.

გარდაიცვალა 1948 წელს.

ეს უდიდესი ტრაგედია იყო გალაკტიონისთვის: თითქოს სამყარო შეინძრა, ფერი იცვალა, ყველაფერი ქარიშხალმა გადალეკა. გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია: „ამოვარდა ძლიერი ქარი. სახურავებს ლეწდა, ხეებს სტეხდა ქარი. არ მახსოვს, რომ ასეთი ამინდი ყოფილიყოს, რაც იყო 1948 წ. 2 ოქტომბერს დამით, პირველის ორ წუთზე, როდესაც გარდაიცვალა აბესალომი“[2].

მთელი დამე ბორგავდა. დილით ადრე გავიდა შინიდან და თვალებამღვრეული დაბრუნდა. მახსოვს, პანაშვიდებზე კუთხეში იყო მიკრუნჩხული, ცახცახებდა, მორცხვად და უგერგილოდ უწვდიდა ხელს თანამგრძნობლებს.

ტიროდა ბეთჰოვენი...

ტიროდა შოპენი...

გული უწუხდა გალაკტიონს.

– როდის დამთავრდება? მალიმალ მეკითხებოდა.

დასაფლავების დღეს ბარბაცით მიჰყვებოდა საყვარელი ძმის ცხედარს. გათხრილ საფლავთან დაიხარა. უკანასკნელად

ეამბორა და კუბოში კონვერტი ჩაუდო, რომელშიც სისხლით და ცრემლით დაწერილი ლექსი იდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცარიელდა მზისქვეშეთი. გალაკტიონი ადგილს ვერ ეპოულობდა. სასმელს მიეძალა. ცდილობდა ღვინოში ჩაეკლა დარდი. თვენახევარი არ გამოფხიზლებულა.

მერმე ძმის პატივსაცემად წვერი მოუშვა და გაჩნდა კიდევ ერთი საფიცარი: „აბესალომის სულს გეფიცები".

ვიდრე ძმების ურთიერთობას ვრცლად შევეხებოდეთ, მანამდე მოკლედ მიმოვიხილავთ პროკლეს მხატვრულ და პუბლიცისტურ მემკვიდრეობას. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ გალაკტიონის ოჯახურ-ლიტერატურულ ატმოსფეროზე უფრო სრული წარმოდგენა შეგვექმნას. ძმათა მეგობრობას ადულებდა ლიტერატურისადმი საერთო სიყვარულიც. პროკლე იგონებს: როცა არდადეგებზე ქუთაისიდან სოფლად ვბრუნდებოდით, მთელი გზა – ბორნიდან მოყოლებული სახლამდე – რითმების ძიებით ვიყავით გატაცებული. ვერსიფიკაციულ ვარჯიშში თავდაპირველად მე ვიმარჯვებდი. კარგად მახსოვს, პირველად 1906 წელს დამჯაბნა. შემდეგ კი საერთოდ ვერ ვუბამდი მხარს.

პროკლემ გალაკტიონზე ადრე დაიწყო მწერლობა.

1907 წელს გაზეთ „ისარში" (№43) ს. შანშიაშვილისა და შ. დადიანის ნაწარმოებების გვერდით დაიბეჭდა პროკლეს მიერ თარგმნილი „წვიმა". გალაკტიონი აღტაცებულია ამ ფაქტით: „ძმაო აბესალომ, წავიკითხე „ისარის" 25 თებერვლის ნომერი, ძალიან გამეხარდა, როდესაც ფელეტონში მოქცეული პატარა ამბავი წავიკითხე. ერთგან ქვევით შენი სახელი და გვარი იყო მიწერილი".

აქედან მოყოლებული პროკლეს მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

„გთხოვთ, თქვენი მოთხრობები და ყოველნაირი მასალა მოგვაწოდოთ, აგრეთვე გთხოვთ, ჩვენს აგენტათ იყო და გაავრცელო ჩვენი ჟურნალი". – სწერდა „ნაკადულის" რედაქტორი მარიამ დემურია.

„მე თქვენს ნაწარმოებებს დიდი სიხარულით დავსტამბავ ყოველთვის". – პირდებოდა ჟურნალ „ცხოვრების" რედაქტორ-გამომცემელი რომანოზ ფანცხავა.

მოგვაწოდეთ მასალა „განათლებისათვის" – სთხოვდა ლუარსაბ ბოცვაძე. სხვათა შორის, ლ. ბოცვაძესა და პ. ტაბიძეს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. 1916 წელს პროკლე ლ. ბოცვაძეს სწერდა:

„პირველად გისურვებთ წარმატებებს ყოველ საქმეში. ეს

ყველაზე უფრო საჭიროა, რადგან ძალზე გამრავლდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თვითონ ძალიან ცოტას აკეთებენ და სხვებს კი ხელს უშლიან საზოგადო საქმეების კეთებაში. ფვალს ვადევნებ თქვენს უანგარო მოღვაწეობას. ვკითხულობ თქვენს წერილებს და ვფიქრობ, სწორედ გმირი უნდა იყო ადამიანი, რომ ამდენ ხელისშემშლელს გაუმკლავდე. გაივლის ხანი და ისტორია პირუთვნველ მსჯავრს გამოიტანს... გიგზავნით ხელნაწერს. ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ ამდენ ხანს ვერაფერი მოგაწოდეთ. ეხლაც მეტწილად მოთხრობებს ვწერ, ვთანამშრომლობ გაზეთ „სამშობლოში" და ამ უკანასკნელ ხანს ჟურნალ „ცხოვრებაშიც" გავაგზავნე ორი მოთხრობა, რომლის რედაქტორისაგან აღმაფრთოვანებელი წერილი მივიღე. ვგონებ, მივაგენი ჩემს მოწოდებას. ვეცდები ხშირ-ხშირად მოგაწოდოთ მოთხრობები. თქვენ ხომ პირველი იყავით, რომელმაც ჩემი ნაწერი მოათავსეთ „განათლებაში".

დავუბრუდნეთ „წვიმას". ეს ესკიზი კარგად ამეღავნებს პ. ტაბიძის სულიერ განწყობილებას. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ 1907 წელი დაცემის ხანაა. პრესა გაივსო დეკადენტური, უიმედობის შემცველი ნაწარმოებებით. ასეთ ვითარებაში „წვიმა" ერთგვარ გამოწვევადაც კი ჟღერს. ამ ალეგორიული ესკიზის ლაიტმოტივი ასეთია: წვიმა, რეაქცია ვერ წალეკავს ყველაფერს, საბოლოოდ თავისუფლება გაიმარჯვებს.

„წვიმა მოდის და მოდის. ისმის ერთნაირი მოსაწყენი მგლოვიარე სიმღერა. გეგონება, არასოდეს არ შესწყდება და ადამიანი მზის სხივებს ვერ ეღირსება, მაგრამ ჩვენ იმედით ვცხოვრობთ. ცა გაიწმინდება და ბრწყინვალე მზის სხივები მოეფინება დედამიწას.

მზე კიდევ ამოვა და გაანათებს ჩვენს დაღლილ სახეებს. ჩვენ მივაპყრობთ თვალებს ზეცას და ვიმღერებთ სიმღერას – სიმღერას გამარჯვებისას".

1909 წელს „ჯეჯილში" იბეჭდება ნაწყვეტი ნ. გოგოლის ცნობილი მოთხრობისა „ძველი დროების მებატონენი". ტერენტი ვეფხვაძე გადმოგვცემს: მე და აბესალომმა გადავწყვიტეთ გამოვხმაურებოდით გოგოლის იუბილეს. მე ბიოგრაფიული ნარკვევი დავწერე, აბესალომმა კი „ძველი მებატონეები" თარგმნა. ჩემი მასალა ხელმოწერილია, აბესალომისა კი არა. ამან გამოიწვია ის, რომ ერთმა ბიბლიოგრაფმა აბესალომიდ ნაშრომიც მე მომაკუთვნა.

პროკლეს უთარგმნია იდეურად და მხატვრულად ძლიერი ნაწილი, კერძოდ, ათანასე ივანეს ძისა და პულხერია ივანეს

ასულის ღორმუცელობის, სულიერი დაკნინების ამსახველი ეპიზოდი.

 პ. ტაბიძის თარგმანებიდან აღსანიშნავია „ნაკადულში“ გამოქვეყნებული „რადაა ზღვა მარილიანი?“ ეს ზღაპარი ბავშვებს ჩაგრულისა და კეთილისადმი სიმპათიას, ძუნწისა და ბოროტისადმი სიძულვილს უღვივებს.

პროკლე ტაბიძის შემოქმედებიდან ყველაზე ღირებული მაინც ორიგინალური მოთხრობები, ნოველები და ესკიზებია. ისინი „განათლების“, „ნაკადულის“, „ცხოვრების“, „თავისუფლების“, „სამშობლოსა“ და „წითელი ვარსკვლავის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა. უმეტესობა შეთხზულია 10-იან წლებში. 20-იანი წლებიდან პროკლე მთლიანად პედაგოგიურ საქმიანობას ეძლევა და მწერლობას თითქმის ჩამოშორდა. 1923 წელს იგი გალაკტიონს სწერდა: „გიგზავნი ორ პატარა ესკიზს, თუ გინდ მინიატურას და მოათავსე ან შენ ჟურნალში ან „ლომისში“ და ის ნომერი უსათუოდ გამოაგზავნე“[1].

როგორც ჩანს, ესენი იყო უკანასკნელი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მან დასაბეჭდად წარადგინა. შემდგომ დროდადრო კვლავ იმარჯვებდა კალამს, უმეტესად საბავშვო მოთხრობებს წერდა, მაგრამ მათი გამოქვეყნება არ უცდია. ისინი პირად არქივს შემორჩა[2].

ახალგაზრდა მწერლის ლიტერატურულ ინტერესებსა და მხატვრულ ოსტატობაზე უფრო მკაფიო წარმოდგენა რომ შეგვექმნას, საგანგებოდ შევჩერდებით მოთხრობაზე „ორი თვის ჯამაგირი“.

სამრევლო სკოლის მასწავლებელმა პირველი ჯამაგირი – 50 მანეთი აიღო და ქალაქს ესტუმრა. ბევრი რამის შეძენა სურს, უპირველს ყოვლისა, პალტოსი. აი, მაღაზიაში შედის. ჯერ ერთს მოისინჯავს, მერე – მეორეს, მოსწონს კიდეც, მაგრამ ეძნელება 30 მანეთის გადახდა.

„შენ, ჩემო ძმაო, ოცდაათი მანეთი ლილახანა გგონია! – ფიქრობს თავისთვის ივანე პატრეს ძე და ქვაფენილზე ნელა მიაბიჯებს. ის კი არ იცი, ერთი ხბოიანი ძროხის ფასია. არა, კარგი კი იყო ის სატიალო! მოდი, ვიყიდო? – აქ გაჩერდა მასწავლებელი.

---

[1] პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, მოთხრობები, ბარათები გალაკტიონთან, 1997, გვ. 197.

[2] პროკლე (აბესალომ) ტაბიძემ დაგვიტოვა დაუმთავრებელი „მოგონებები“. მცირე ნაწყვეტი ამ „მოგონებებიდან“ გამოქვეყნებული აქვს ვ. ქაჯაიას წიგნში „გამოჩენილი ქართველი პედაგოგები“, 1973, გვ. 83-84.

ვთქვათ, ვიყიდე – განაგრძობს ის ფიქრს – მერე, დაშრჩება ოცი მანეთი. ხუთი მანეთი ხარჯათ მინდა. დანარჩენიც დიასახლისს უნდა მივცე. არა, დავანებებ, ჩემო ძმაო, ისევ თავს, ხელი ჩაიქნია და გზას გაუდგა.

გაიარა რამდენიმე მანძილი და ისევ შეჩერდა. „რაც იქნეს, იქნეს! მოდი, ვიყიდი, ჰა! რას იტყვი, ჩემო ძმაო?“ თითქოს ვიღაცას დაეკითხა და წამოვიდა უკან იმ გადაწყვეტილებით, რომ უეჭველათ ეყიდა. ამ დროს მისთვის გარშემო არ არსებობდა არაფერი, გარდა იმ ყავისფერი პალტოსი, რომელიც მალე მისი საკუთრება შეიქნებოდა. ხალხი ქუჩებზე ჩვეულებრივ მიდ-მოდიოდა. მერე რა? აქცევდა განა ამას ყურადღებას ივანე პეტრეს ძე? სრულებითაც არა... ძნელია, როცა ადამიანის გონებას მარტო ერთი აზრი შებოჭავს და დაიმონებს.

მაღაზიის კარებთან რო მივიდა, გაშტერდა. „არა, რა მიმაჩქარებს, ჩემო ძმაო,– გაიფიქრა მან. – არა ჯობია, ისევ ავწონ-დავწონო ეს საქმე და ხვალ ვიყიდო? ხვალაც აქ არ ვიქნები? უბრალო საქმე ხომ არ არის სამი თუმანი?“

რასაკვირველია, უბრალო საქმე არ არის... – ეუბნებოდა რაღაც იდუმალი ხმა და ადასტურებდა მის ფიქრებს.

ამნაირ სულიერ ბრძოლას განიცდიდა იგი და, მართალი უნდა ვთქვა, კიდეც დაიღალა. ისე მოიქანცა, თითქო ხეები ეჭრას, ან მთელი დღის განმავლობაში ეთოხნოს“[1].

ღამე დუქანში გაათია, სადაც ნალოლიავები 5 თუმანი აწაპნეს. ცხოვრებისაგან დაბეჩავებულ ივანე ქინქლაძეს ჩივილიც ვერ გაუბედავს. „არა, ჩემო ძმაო, არაფერი არ იქნება. შეიძლება, კიდევ მე გამამტყუნონ: ტყუილს იგონებო. ხო შეიძლება? აქ ის შეჩერდა და განცხადების გასაკრავ სვეტს მიეყუდა.

„ხო შეიძლება? ხო შეიძლება?“ – ეკითხება ის თავის თავს...

„შეიძლება, რასაკვირველია, შეიძლება“ – ეუბნებოდა რაღაც ხმა. იგი მოტრიალდა და უკანვე წამოვიდა.

შუადღე გადასულია. მზე საშინლათ აცხუნებს და სულისთქმას უხუთავს სულდგმულთ. სოფლის პატარა მდინარეში ჩაყრილან კამეჩები და ნელა იცოხნებიან. ეზოებში, ხეების ჩრდილქვეშ, მოსახლეებს გაუშლიათ ფარდაგები და წამოწოლილან... ხეების ფოთლები საცოდავათ მოკრუნჩხულან... ჩიტების ხმა არსაიდან ისმის...

ამ დროს შარაგზაზე ჩქარი ნაბიჯით მიაბიჯებს ერთი მგზავრი, ჩექმები მტვერით აქვს შეფარული, შუბლიდან ოფლი

[1] პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, მოთხრობები, ბარათები გალაკ-ტიონთან, 1997, გვ. 77.

წურწურით ნამოდის. ხანდახან გაჩერდება. იფიქრებს, იფიქრებს და თვალები ცრემლებით აევსება: „ვაიმე, ჩემო თავო! ვაი, ვაი! რა მეშველება, მე საცოდავს". – ხმამაღლა წამოიძახებს იგი და ისევ ამოიგმინებს, რომ ადამიანს ეგონება, გულიც თან ამოატანაო.

ხომ იცანით! ეს ივანე პეტრეს ძე ქინქლაძეა, რომელმაც მატარებლის ფულის უქონლობისა გამო ოცი ვერსი ფეხით უნდა გაიაროს"[1].

ივანე საზოგადოების ერთი ნაწილის ტიპური წარმომადგენელია. მის უკან დგანან მერყევი, მშიშარა და პასიური ადამიანები, რომელთაც ბრძოლის უნარი დაუკარგავთ. ავტორს ებრალება თავისი გმირი, მაგრამ მაინც დასცინის, რადგან ივანეს მსგავსნი ცხოვრებას ამუხრუჭებენ, ფერსა და ძალას უკრაგავენ.

„ორი თვის ჯამარგიში" იგრძნობა სინამდვილისადმი ჩეხოვისებური მიდგომა. საერთოდ, იუმორისტული თუ სატირული ნაკადი მძლავრად იჩენს თავს პ. ტაბიძის ნაწარმოებებში, მაგალითად, „ოცნებასა და სინამდვილეში", „დაგუბებულ ნაღველში", „ჩემს მეგობარში" და ა. შ.

მოტანილი ციტატები ნაწილობრივ მაინც გვიქმნის წარმოდგენას პ. ტაბიძის წერის მანერაზე. მისი ფრაზა ლაკონიური და ტევადია. ავტორი მოქმედებაში გვიჩვენებს პერსონაჟს. გაურბის ვრცელ აღწერებსა და ბიოგრაფიულ შენაკადებს. ცდილობს, რამდენიმე შტრიხით შექმნას პორტრეტი, აზრთა ჭიდილის ფონზე გამოკვეთოს ხასიათი.

სოციალური მოტივი სხვა ნაწარმოებებშიაც დომინირებს, მაგრამ მათში ყურადღება მდიდართა და ღარიბთა აშკარა შეტაკებაზე, კლასობრივ ბრძოლაზე როდი მახვილდება. ავტორს აინტერესებს „პატარა ადამიანის" შინაგანი სამყარო, ფსიქოლოგია და ამ გზით ცდილობს სინამდვილის სურათის შექმნას, ვითარების დახასიათებას.

პროკლე ტაბიძის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია სატრფიალო მოტივსაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „განცდანი" და „ფარაონის კარისკაცის სასახლეში".

პ. ტაბიძის საყვარელი ჟანრია ესკიზი. იგი საშუალებას აძლევს მწერალს უკეთ გამოავლინოს მძაფრი ლირიკული პათოსი. ლირიზმი კი, როგორც ჩანს, მისთვის სინამდვილისადმი დამოკიდებულების გამჟღავნების ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი „ფორმაა". ამის დადასტურებაა „ავადმყოფის ფიქრები" და „საით?" ისინი გამოირჩევიან განცდების ანალიზით და ექსპრესიულობით,

[1] პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, მოთხრობები, ბარათები გალაკტიონთან, 1997, გვ. 80.

ამასთანავე ავტორის სულიერი კოლიზიების იმგვარად ჩვენებით, რომ მკითხველს „დასწრების ეფექტი შეექმნას“.

პროკლე ტაბიძის საბავშვო მოთხრობებიდან აღსანიშნავია „მამლაყინწას თავგადასავალი“,რომელიც 1916 წელს გამოქვეყნდა „ნაკადულში“. ხოლო 1963 წელს გადმობეჭდეს კრებულში „გაფანტული მძივები“. როგორც ამ წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, აბესალომ ტაბიძის მოთხრობა გამოირჩევა ჰუმანიზმით. „მკითხველს რომ ჰგონია მოვლენათა განვითარების დასასრული უსიამოვნების მომგვრელი იქნებაო, მოულოდნელად ისეთი სხივი შემოიჭრება ნაწარმოებში, რომ უცებ ფანტავს გულისტკივილის მომგვრელ განწყობილებას“[1].

პ. ტაბიძის მხატვრულ შემოქმედებაში ნათლად ჩანს XX საუკუნის 10-იანი წლების ქართული ლიტერატურის ტენდენციები. ერთიც. მასში ბევრი რამ არის ავტობიოგრაფიული და გარკვეულ დახმარებას გაუწევს გალაკტიონის ცხოვრება-მოღვაწეობის შემსწავლელთ.

პროკლე ტაბიძის პუბლიცისტიკა არ გამოირჩევა თემატიკური მრავალფეროვნებით. ავტორი არსებითად პედაგოგიკის, სწავლა-აღზრდის საკითხებს ეხება. ჯერ კიდევ ადრე, 1915 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „მასწავლებლის დღიური“ მან ყურადღება სწორედ განათლების საკითხებზე გაამახვილა და ეს შემთხვევითი არ ყოფილა. პროკლეს ღრმად სწამდა, რომ განათლება საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა. „როცა ოთხმოცი წლის გიოტე სარეცელზე იწვა და ელოდა უკანასკნელ წუთს, ხმამაღლა წამოიძახა: „მეტი სინათლე“. დიახ, მეტი გონებრივი სინათლე, მეტი ზნეობრივი სინათლე! აი, სად არის ხსნა!“[2]

ახალგაზრდა მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თვითმპყრობელურ რუსეთში პედაგოგები უმძიმეს პირობებში იმყოფებიან. „ამაზე მეტი დაცინვა და მასხრათ აგდება განათლებისა კიდევ იქნება? ლაქია, ნოქარი, დარაჯი მეტი უზრუნველყოფილია, ვინემ მასწავლებელი“[3].

ლოგიკურად ასკვნის ავტორი, რომ მასწავლებლის ეკონომიკური ხელმოკლეობა დაღს ასვამს მთელს მის საქმიანობას და საბოლოოდ ქვეყნის წინსვლასაც. „თუ მასწავლებელი თავის სულიერ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, თუ მას ტანთ არ

---

[1] „გაფანტული მძივები“, 1963, გვ. 6.

[2] ჟურნ. „განათლება“, 1915, №1, გვ. 49.

[3] იქვე, გვ. 50.

აცვია, კუჭი შიმშილით უხმება, აბა, როგორ შეიძლება შკოლაში კმაყოფილების ატმოსფეროს შეჰქმნას? ის დაღვრემილია, მწუხარეა და ეს დავრემილობა, მწუხარება როგორც ელექტრონი ისე გადადის მოწაფეებზე და მეფდება შკოლაში უხალისობა, მოწყენილობა"[1].

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ჭეშმარიტმა პედაგოგმა მაინც არ უნდა დაყაროს ფარ-ხმალი. პ. ტაბიძის აზრით, სახალხო მასწავლებლობა მეფის რუსეთში პიროვნების სულიერი სიმაღლისა და სიწმინდის გამოცდაა. ვინც უძლებს ამ გამოცდას, იგი გმირია. მასწავლებელი ბედნიერია, თუ მის მიერ ჩაყრილი თესლი კეთილ ნაყოფს გამოიღებს, თუ მისი მოსწავლეები ქვეყნის სამსახურში ჩადგებიან, ეს თვალსაზრისი ნათლად არის გამოხატული მოთხრობის ფინალში.

პედაგოგის მოწოდებისა და, საერთოდ, სწავლა-აღზრდის საკითხებს ეხება. პ. ტაბიძე წერილში „აკაკი – მოწაფე და იმ დროის სკოლა". ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ძველი სკოლის მავნე ჩვევებს: მასალის „დაზუთხვას", შეგირდების გაროზგვას და სხვა. იგი ახასიათებს აკაკის მასწავლებლებს: საპეგას, პოზანოვსკის და დასძენს: „განა ასეთი ადამიანების ადგილი სულით ავადმყოფთა თავშესაფარი არ არის? მაგრამ დახეთ ისტორიის ირონიას! ისინი გვევლინებიან როგორც აღმზრდელები მომავალი თაობისა. ძალაუნებურად უნდა წამოძახო ცეზარის სიტყვები: „O tempora, O mores!"[2].

პ. ტაბიძის ნაშრომებიდან საგულისხმოა „ყურადღება და ინტერესი სწავლის საქმეში", რომელიც 1914 წლის „განათლებაში" დაიბეჭდა. ავტორი ძირითადად ეყრდნობა პროფესორ შ. რიბოს „ყურადღების ფსიქოლოგიას", პროფ. ჩელპანოვის „ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს", პ. სოკოლოვის „პედაგოგიურ ფსიქოლოგიას", შ. ჩიტაძის „ინტერესს სწავლაში" და ახასიათებს ყურადღებასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა თუ მომენტებს: რა არის ყურადღება, მისი სახეები, აპერცეპცია და ინტერესი და სხვ. მაგრამ ამ წერილის ძირითადი მიზანი თეორიული საკითხების გარკვევა არ არის, არამედ პედაგოგებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა. ამიტომაც გამახვილებულია ის მხარეები, რომელთა გათვალისწინება მართებთ მასწავლებლებს მოწაფეთა ინტერესის გასაღვივებლად და ყურადღების მობილიზაციისათვის.

წერილი გამოირჩევა აზრის მკაფიობითა და მეტყველი მაგალითებით.

[1] ჟურნ. „განათლება", 1915, №1, გვ. 50.

[2] იქვე, №5-6, გვ. 411.

რევოლუციამ კარდინალური ცვლილებები მოიტანა მრავალ სფეროში და, ცხადია, განათლების სისტემაშიც. გაჩაღდა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და მასობრივი განათლებისათვის. გაიხსნა ახალი სკოლები, ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის კურსები, გაუმჯობესდა სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და ა. შ. მაგრამ ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობოდა პედაგოგთა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. სწორედ ამ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება პ. ტაბიძემ 1924 წელს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილში „სკოლების გამგეთა მომზადების საჭიროება". ავტორი მდგომარეობის შეუფარავ დახასიათებას იძლევა. „სამწუხაროდ, ჩვენი სკოლები აივსო ისეთი ელემენტებით, რომელთაც მასწავლებლობაზე ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვთ. ყველა, ვისაც „იოლი სამსახური" უნდა, მასწავლებლის ჭურჭში ეხვევა, თითქო მართლაც „იოლი" იყოს ეს საქმე და არ თხოულობდეს დიდ მომზადებას, დიდ შრომას"[1].

პუბლიცისტი მართებულად მიუთითებს, რომ პედაგოგისათვის მხოლოდ თეორიული ცოდნა არ კმარა, მას მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია უნდა ეკავოს. ახალი სკოლა ახალი იდეებით შეიარაღებულ კადრებს მოითხოვს. ამიტომაც აუცილებელია სისტემატური წრთობა. მართალია, ზაფხულობით ყალიბდება მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, მაგრამ ეს არ კმარა.

პ. ტაბიძის აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანა სკოლის გამგეთა მომზადებაა. ამ დებულებას იგი იმითაც ასაბუთებს, რომ თანამედროვე პირობებში გამგეს უდიდესი ფუნქციები ეკისრება. „სწავლის მსვლელობა ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პედაგოგი უდგია სათავეში სკოლებს. გამგე ესწრება ამხანაგების მეცადინეობას, აწყობს სანიმუშო გაკვეთილებს, აძლევს შენიშვნებს მასწავლებელთ, აცნობს მათ ახალ გზებს. აი სწორედ ამ პასუხისმგებელ პირთა საჭირო მომზადებისაკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ძალღონე"[2].

ავტორი არ კმაყოფილდება საკითხის დასმით. იგი მიუთითებს, თუ რომელ თემებსა და პრობლემებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, როდის უნდა მოეწყოს გადასამზადებელი კურსები, ვის უნდა მიენდოს ლექციების წაკითხვა და ა. შ.

აშკარად ჩანს საქმის საფუძვლიანი ცოდნა. იგრძნობა, რომ

[1] გაზ. „კომუნისტი", 1924, №165.

[2] იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბალაკტიონი დედასთან და ძმასთან

ავტორისათვის აღძრული საკითხი სისხლხორცეულია. ეგი გულწრფელად არის დაინტერესებული მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესებით.

მეორე წერილიც – „ჩვენი სკოლის ტკივილები" პრობლემურია. აქაც მძლავრობს კრიტიკული პათოსი. „ჩვენი დღევანდელი სკოლის შესახებ – წერს პ. ტაბიძე – ხშირად გაიგონებთ საყვედურს მშობელთაგან. „ვერ წარმომიდგენია – ამბობს მშობელი – მეოთხე განყოფილებიდან ვარ გამოსული და ჩემ შვილზე მეტი ვიცი, თუმც მან ცხრაწლედი დაამთავრა. კითხვით ცუდად კითხულობს, წერით ისე საძაგლათ სწერს, კაცი ვერაფერს გაიგებს; არც ქართული იცის ხეირიანად და რუსულათ კი, რომ გადააკვდე, სიტყვასაც ვერ ამოაღებინებო. თქვენ გენაცვალეთ,მითხარით ერთი ისეთს რას ასწავლით,რომ მე ვერ მივმხვდარვარ და ვერ ვხედავ". გულწრფელნი თუ ვიქნებით, ამ სიტყვებში ჭეშმარიტების ნასახს უეჭველად დავინახავთ"[1].

ავტორი არ ფარავს სკოლის სატკივარს. ამასთანავე მდგომარეობის განმაპირობებელ მიზეზებსაც იკვლევს. პ. ტაბიძის აზრით, ხარვეზები, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია პედაგოგთა მოუმზადებლობით. მეორე მიზეზი ცუდად შედგენილი პროგრამებია. ისინი საშუალო დონის მასწავლებლებისათვისაც კი გაუგებარია. ამიტომ ხშირად არც კი იყენებენ სოფლის სკოლებში.

პუბლიცისტი გულისტკივილით აღნიშნავს იმასაც, რომ პროგრამები და სახელმძღვანელოები შეუთავსებელია. ჯერ კიდევ არ არსებობს სტაბილური სახელმძღვანელოები. მასწავლებელი და მოსწავლეებიც იძულებულნი არიან სხვადასხვა წიგნით იხელმძღვანელონ. ყოველივე ეს იწვევს არევ-დარევას და საგნის არასათანადო სიღრმით ათვისებას.

ასევე საგულისხმოა წერილი „ქართული ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის". ავტორი შენიშნავს, რომ ლიტერატურის რიგიანად სწავლება შეუძლებელია პოეტიკის საფუძველთა ცოდნის გარეშე. მაგრამ, სამწუხაროდ, პოეტიკის სახელმძღვანელო ქართულად არ არსებობს. ამიტომაც ზოგიერთი მასწავლებელი ლექსიკონებს მიმართავს, ზოგი გაზეთებში გაბნეულ ცნობებს კრებს, სხვები კიდევ რუსულიდან თარგმნიან, „...ნაწილი კი, როცა ამას ვერ ახერხებს, სრულებით არ გადის ამ საგანს, ანდა ისე ჰკვეცავს, რომ მისგან არაფერი რჩება"[2].

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1929, №194.

[2] გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი", 1939, №65.

ავტორი მოითხოვს პოეტიკის სახელმძღვანელოს დროულად შედგენასა და გამოცემას. ასევე გასაზიარებელია მისი მოსაზრება პროგრამასთან დაკავშირებით. გეგმით გათვალისწინებულია ზოგიერთი ისეთი თხზულების სწავლება"... რომელიც ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება. მაგალითად, ახუნდოვის, სუნდუკიანის, სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებები პროგრამაში შეტანილია, მაგრამ ქართულად არაა გამოცემული. ეს ნაწარმოებები ან პროგრამიდან უნდა იქნეს ამოღებული (სინამდვილეში ასეცაა: ვფიქრობთ, არც ერთ სკოლაში არ გადიან ახუნდოვსა და სუნდუკიანს), ანდა უსათუოდ გამოიცეს ქართულ ენაზე"[1].

პ. ტაბიძის გადაუდებელ ამოცანად სახავს აგრეთვე მეთოდური მითითებებისა და განმარტებების დაბეჭდვას. ბევრ არსებით საკითხთან დაკავშირებით ხშირია აზრთა სხვადასხვაობა. როგორ ვასწავლოთ ესა თუ ის ნაწარმოები, რამდენი საათი დაეთმოს ტექსტს? არცთუ იშვიათად ამ კითხვებზე ზუსტი პასუხი არ მოგვეპოვება და მასწავლებელთა „თვითმოქმედებას" ზიანი მოაქვს.

მართებულია ავტორის შემდეგი დებულებაც: ზოგიერთი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე კრიტიკული მასალა არ არსებობს, ზოგის შეფასებისას კი საპირისპირო მოსაზრებებია გამოთქმული, რაც პედაგოგთა გაორებას იწვევს. ამიტომაც აუცილებელია არსებული ხარვეზების სასწრაფოდ გამოსწორდება.

1948 წელს პ. ტაბიძე კვლავ შეეხო სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემის საკითხს. „ზარია ვოსტოკაში" გამოაქვეყნა სტატია „საჭიროა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო". ავტორი აღნიშნავს, რომ პროგრამის მიხედვით ზედა კლასებში XX საუკუნის ქართულ მწერალთა შემოქმედებას თვალსაჩინო ადგილი ეთმობა. მაგრამ მათ შესახებ ლიტერატურა მწირზე მწირია. პედაგოგი იძულებულია დიდი დრო დაკარგოს პრესაში გაბნეული მასალების მოსაძიებლად, ხოლო როცა ეს არ ხერხდება, თავად კისრულობს კრიტიკოსობას. ყოველივე ამას კუსტარულობამდე მივყავართ.

საგულისხმოა შემდეგი მოსაზრება:

„В нынешнем году исполняется 40 лет литературной деятельности поэта Галактиона Табидзе. Произведения Табидзе широко известны. Школьники знают их с малых лет. А вот полноценного критического разбора творчества этого поэта, серьезной книги, доступной для

---

[1] გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი", 1939, №65.

учащихся и для педагогов, нет"[1].

რეკომენდაცია ასეთია: გამოცდილი ლიტერატურათმცოდნეებისა და მასწავლებლებისაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეადგენს ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს: „Необходимость в таком учебнике назрела уже давно"[2].

პ. ტაბიძის წერილებში იგრძნობა მოვლენებისადმი მასშტაბური მიდგომა და დასკვნების ფართო განზოგადება. ამის დადასტურებაა „პედაგოგიური ორგანოს გამოცემის შესახებ".

ირკვევა, რომ 20-იანი წლების დასაწყისში ეს საკითხი მტკივნეულად იდგა. როგორც ავტორი წერს, 1923 წელს ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა ჟურნალ „განათლების მოამბეს", მაგრამ მისი არსებობა ხანმოკლე გამოდგა. თბილისშიაც დაარსდა „ახალი სკოლისაკენ". იგი „...სავსეა ათასგვარი დაპირებებით და იმედებით. ველოდით. როგორც განცხადებიდან სჩანდა. ყოველ ორ თვეში გამოვიდოდა და ამით წინ წასწევდა მასწავლებლობას. მოტყუვდით. მას მერე ცხრა თვეა, რიგით მეხუთე ნომერი უნდა გამოდიოდეს და მეორესაც ველარ ველირსეთ"[3].

პუბლიცისტი სამართლიანად კითხულობს – რა ხდება? თუ ერთი კაცი – ლ. ბოცვაძე – ათი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ბეჭდავდა „განათლებას", განა დღეს ამდენმა პედაგოგმა ერთ ჟურნალს ვერ უნდა მოვუაროთ?

აქ არა მხოლოდ წუხილი ჩანს, არამედ ადრესატთა თავმოყვარეობის გაღიზიანებისა და დარაზმვა-ამოქმედების სურვილიც.

პ. ტაბიძე მოცემულ სიტუაციაში უპირატესობას ანიჭებს გაზეთს, რადგან იგი ჟურნალზე უფრო ოპერატიულია და ამასთანავე მეტი ორგანიზატორული ფუნქციით ხასიათდება.

ავტორის აზრით, ქართული პედაგოგიური გაზეთი უნდა იყოს „შკოლა ი ჟიზნის" ტიპისა. ასეთი გამოცემა ხელს შეუწყობს პედაგოგთა დაოსტატებას, უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული საკითხების გადაჭრას და, საერთოდ, სახალხო განათლების აღმავლობას.

სტატია გამოირჩევა სიმწვავითა და დებულებათა არგუმენტაციით.

ზემო განხილული წერილები უფლებას იძლევა, დავასკვნათ:

პ. ტაბიძე მოაზროვნე, შემოქმედი პედაგოგია, რომელიც მთელი

---

[1] „Заря Востока", 1948, №208.

[2] იქვე.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1924, №222.

არსებით არის დაინტერესებული სწავლა-აღზრდის საკითხებით და ცდილობს თავისი მოკრძალებული წვლილიც შეიტანოს საერთო საქმეში.

აღსანიშნავია, რომ პ. ტაბიძე თეორიული მოსაზრებების მტკიცე დამცველი იყო პრაქტიკაში.

არცთუ იშვიათად ძმათა კავშირი მხოლოდ ნათესაურ გრძნობებს ემყარება, ინტელექტუალური დონისა და საზოგადოებრივი ინტერესების სხვაობა მათ გარკვეულად თიშავს. ეს გამორიცხულია გალაკტიონისა და პროკლეს ურთიერთობაში. ამ უკანასკნელის განათლება, ფართო ერუდიცია, ქვეყნის სატკივარის გულთან მიტანა და, რაც მთავარია, ლიტერატურული ინტერესები აპირობებდა ძმათა იდეურ და საზოგადოებრივ თანადგომას.

აქ დაეესესხები პროკლეს ერთ ბარათს, რომელშიაც ნათლად ჩანს ავტორის მთრთოლვარე სული და ძმების პოეტური ბუნება. „...გული ვერ შორდება იმ გარემოს, სადაც აღეზარდეთ და სადაც ესოდენი რამ გამოვცადეთ. სულ უბრალო რამ... – ოთახზე ბავშვური ზელით ამოყვანილი: „ეს ვოთახი ეკუთვნის გალაკტიონს" და ვერ წარმოიდგენ, როგორ მოქმედებს ეს ჩემზე... „Лишняя сантиментальность!" წამოიძახებს პროზაიკი. მაგრამ ჩვენ კი ვერასოდეს ვერ ვიტყვით ასე, რადგან, არ ვიცი, რა მიზეზით (აღზრდა თუ მემკვიდრეობა) მეტად მგრძნობიარენი ვართ..."[1]

ახლა უფრო კონკრეტულად იმ გავლენაზე, რომელიც პროკლემ (აბესალომმა) გალაკტიონზე მოახდინა.

ოჯახში სამნი იყვნენ: დედა და ორი ვაჟი. უჭირდათ მატერიალურად, უჭირდათ სულიერადაც. მარტონი დარჩნენ ცხოვრების ეკლიან გზაზე, სადაც უანგარო ხელგაწვდომას მტაცებლური ინსტინქტები სჯობნიდა, გამხნევებას – შური, კეთილ ღიმილს – ირიბი შემოხედვა.

დედამ ვაჟები ქუთაისში დატოვა და თავად სოფელში დაბრუნდა. მძიმე ტვირთი დააწვა პროკლეს. არა მხოლოდ საკუთარ თავს, ძმასაც უნდა მოუაროს. როგორც დედა ამბობს, „გალაკტიონი უცნაური ბავშვია", მეტი ალერსი და სხვაგვარი მიდგომა უნდა. პროკლეც თავგადადებულია. იგი ლუკმას იკლებს და უმრწმესს აწვდის. ყოველმხრივ იბრძვის, რათა ეკონომიკური მდგომარეობა გაუუმჯობესოს. სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის – ალექსანდრე როჟდესტვენსკისადმი 1899 წლის დეკემბერს წარდგენილ თხოვნაში პროკლე აღნიშნავს:

[1] პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, მოთხრობები, ბარათები გალაკტიონთან, 1997, გვ. 140.

მამის სიკვდილის შემდეგ არსებობის სახსარს მოკლებულნი აღმოჩნდით. ახლა კიდევ უფრო გაგვიჭირდა, რადგან ჩემი ძმაც სასწავლებლად ქუთაისს ჩამოვიდა. გთხოვთ ფულად დახმარებას.

არც თუ იშვიათად პასუხი დადებითი იყო და პროკლეც აღებულ კაპიკებს ძმას ახმარდა. დედისადმი გაგზავნილ ბარათებში ხშირია ასეთი თუ მსგავსი ფრაზები: „გალაკტიონის მასწავლებელს ვესაუბრე“,„გალაკტიონს პოლსაპოჟკები ვუყიდე“, „გალაკტიონი ექიმთან მყავდა“, „იწერებოდი, პალტო იყიდეო, მაგრამ რანაირად ვიყიდო, როდესაც გალაკტიონს საჭმელი სჭირდება და ბინის ფულიც უნდა“. ან კიდევ: „ეხლა აქ რომ ჩამოვედი, გალაკტიონს ფული უსესხებია – სახლის ქირა და ის გადავუხადე, ხუთი მანეთი. სადილის ვალი აქვს ორი მანეთი და ისიც უნდა გადავუხადო“.

პროკლე მხოლოდ მატერიალურად როდი ეხმარება ძმას. უხსნის გაკვეთილებს, შველის ამოცანების გადაწყვეტაში, არიგებს და მფარველობს. დედაც დამშვიდებულია, როცა ძმები ერთად არიან. იგი დიდ იმედს ამყარებს აბესალომზე, სჯერა მისი. „აჰა, აბესალომ, შენ დაგენაცვლოს შენი დედა, მიეც შემწეობა, დაეხმარე, რაც შენგან შეიძლება, შვილო. რაკი შენ მაგას თავზე ადგახარ, მე მეტი საჯავრო არ უნდა მქონდეს. კი მართალია, ცოტა თუ მართლა დაუჯერებელი კაციკითაა, მარა რაცხანაირათ შეუწყე ხელი, რომ არც იმას შეაძულო თავი და არც შენი თავი გაიფუჭო. ისე დაეხმარე, რაიმე ურჩიე, მალიმალ ნახე, რავაც ჯობდეს მისთვის, იმ ჭკუაზე დააყენე. აჰა, შენ იცი, თუ რამე საშველი დაგვადგა, თვარა გლახათაა ჩვენი საქმე. იმეცადინეთ, შვილებო, რაც შეიძლებოდეს“. ან კიდევ: „აბესალომ, თუ ძმი დედაშვილობა გაქვს და თუ ჩემი სიყვარული გაქვს,ჩემი თხოვნა გაიგონე, გალაკტიონს ნუ გაუწყრები, ნურც ამხანაგებში შეარცხვენ, როცა მარტო იყვეს, მაშინ დაარიგე, იქნებ რაიმე შეისმინოს. ისე შენ არ იცი,მაგას რომ ნამეტანი ხშირი გაწყრომა არ უხდება. მაგი ნამეტანი გაწყრომით თლათ ჩერჩეტდება. იგი ჯერ კიდევ შეუჩვეველია, შენს მეტი მაგას ვინ ყავს. გულს ნუ წაუხდენ, ეცადე რამენაირად. იქნება კარგი ყოფაქცევით და კარგი ხელშეწყობით გამოკეთდეს. ამ დათხოვნის შემდეგ ამეცადინე, იქნებ გამოაკეთოს რაცხაფრად ის ცუდი ნიშნები. უშველე, დაეხმარე რამენაირად. უფროსი ძმა თავზე ადგიხარ და მაგი ჩემდა ჯავრად უნდა იყოს ასე?!“

პროკლე მძიმე მდგომარეობაშია. ყველაფერს ვერ მისწერს დედას. იცის,რომ გალაკტიონის მარცხი სიცოცხლეს უნახევრებს მშობელს. არადა,მაკრინე,როცა სხვა გზებით იგებს გალაკტიონის

ჩამორჩენას, საყვედურით იკლებს უფროს ვაჟს: რატომ ადრე არ მაცნობე ყველაფერი, მეტი ყურადღება მიაქციე გალაკტიონს და ა. შ.

პროკლე, ერთი მხრივ, გალაკტიონს ამხნევებს, ბეჯითობისაკენ მოუწოდებს, მეორე მხრივ, დედას ანუგეშებს. მაკრინე ძლიერ წუხს – გალაკტიონი გამოცდაზე არ დაუშვიათ. პროკლე ცდილობს, დაძაბული ვითარება განმუხტოს: „...მაგრამ, დედაჩემო, გალაკტიონი დამნაშავე არ არის. მთელი წლის განმავლობაში სულ ავადმყოფობდა და გაკვეთილებს აკლდებოდა. მაინც რომ გადასულიყო, ის სემინარიაში ვერ ისწავლიდა და ეხლა რომ დაითხოვეს, ერთთავად უკეთესიცაა, რადგან სხვა სასწავლებელში გზას მონახავს. კიდევ კარგი, რომ ჯერ სალდათობა არ უწევს და ყოფა-ქცევაში ხუთი აქვს. მე რამე გზას ვეწევი და გიმნაზიისათვის მოვამზადებ“.

პროკლეც თავს არ ზოგავს, მაგრამ სასურველ მიზანს ყოველთვის ვერ აღწევს. როცა ძმები ერთად არ არიან, უფროსი ერთი წუთითაც არ ივიწყებს უმცროსს. იცის, რომ გალაკტიონს ხშირი შეხმიანება, დარიგება, სითბო, ნუგეში სჭირდება და ეს დარიგება-დამოძღვრა მთელი სიცოცხლე გრძელდება, მაშინაც კი, როცა გალაკტიონი საქართველოს სახალხო პოეტი და აკადემიკოსია.

1906 წელი. „ჭკუით იყავი და ზნეობას ყურადღება მიაქციე“, „რაც ბავშვობაში შეგეზრდება, ის სიბერემდის შეგრჩება“, „შენ ეხლა, იცოდე, კარგი მეცადინეობა გმართებს, რომ იმავე კლასში არ დარჩე, რადგან მესამე კლასში ძნელი საგნებია. სხვა, წიგნებს ბევრს ნუ წაიკითხავ, ცოტა წაიკითხე და რაც წაიკითხო, გულმოდგინეთ და დაკვირვებით. შინაარსი და კარგი აზრები წიგნიდან ცალკე რვეულში ჩასწერე“...

1907 წელი. „...რა ღმერთი გიწყრება, შე კაცო! მაგ მესამე კლასში დარჩენას ხომ არ აპირობ. მათემატიკაში რომ ორი გქონია და ყოფაქცევას რომ იფუჭებ, რას ფიქრობ? დედაჩემი გულგახეთქილი მოვიდა სახლში. ნუთუ არ გებრალება, როდესაც ის უკანასკნელ გროშებს შენზედ ხარჯავს და შენ იმედსაც კი არ უმართლებ!“ „კარგად იმეცადინე და თავიდათავი ყოფაქცევა არ გაიფუჭო“.

1911 წელი. „დედა როგორ დატოვე? ხომ არ უშოვია მოსამსახურე? შენებურად ხომ არ გიწყენინებია და ისთე არ მიგიტოვებია. ვინ იცის, ეხლა წერილის გაგზავნას იქნება ისთე იმადლები, როგორც რომ დიდ რამეს? სირცხვილია. ჩქარ-ჩქარა წერილი გაუგზავნე, იცოდე“...

1913 წელი. „იცი, გალაკტიონ, შენ როდესაც გაქვს ფული, ბავშვივით იცი ფლანგვა, სულ არ გაუფრთხილდები. [illegible] შემდეგ კი გაჭირვებაში ცხოვრობ. ეხლა, თუ რაიმე დაგრჩა [illegible] ლამაზი სუფთა ტანისამოსი, პრასტინა, საცვლები“...

1921 წელი. „ტიტემ სახლში ორჯერ გამოგზავნა წერილი და ხუთჯერ ტელეგრამითაც აცნობა თავისი მდგომარეობა. შენ კი ერთი წერილიც ძალიან გაგიჭირდა! ყოჩაღ!“

1922 წელი. „ერთი წელიწადი კი გადის, ვგონებ, რაც შენგან წერილი არ მიმიღია. მე მაინც ამას ყურადღებას არ ვაქცევდი და წერილს წერილზე ვაგზავნიდი – ვინძლი რამენაირად შემერყია შენი ასეთი გულგრილობა და გამებედვინებინა კალმის ხელში აღება. მაგრამ არ იქნა და არა. უკანასკნელად სიმონს გამოვატანე წერილი. არ მახსოვს, ნაშობევს იყო ვგონებ. დავაბარე – არ მოცილდე, სანამ სამაგიერო წერილი არ გამოგატანოს-თქო. გავიხედეთ და ცარიელი მოვიდა. გალაკტიონი კი იქნებოდა, წერილი გემოეტანებინა. მართალი გითხრა, ძალიან გულმოსული ვარ, მაგრამ ყველაფერს დავივიწყებ, თუ იერუსალიმელი ბერივით შეინანებ ცოდვას და ერცელი შინაარსის წერილს მომწერ“.

1923 წელი. „მეტი სიფხიზლე არაყი და ღვინო ეს ეშმაკის სულია, დიდების წასართმევად მოგზავნილი და სახელის დასამდაბლებლად შემოპარული. აი, აქ გჭირია თავის დაჭერა.

ხუმრობა საქმე ხომ არ არის ახლის თქმა, ჟურნალის გაძღოლა და დაჭერილი პოზიციის შენარჩუნება. არა, ეს დიდი საქმეა და ბრძოლაში იგებს, ვინც ჩაფიქრებულია, ვინც დინჯია და მაგარი ნერვების პატრონია და გამბედავია ამასთანავე“.

1924 წელი. „ოთხი წელიწადია არ ჩამოსულხარ. ნუთუ მაშინ ჩამოხვალ, როცა ავადმყოფობას ან სიკვდილს გაიგებ ჩვენსას? არ გრცხვენია? ნუთუ მე არ უნდა შემეძლოს ორი დღითაც მივატოვო სახლი და დედა და შენ კი მთელი წლობით შეგიძლია ასე მოიქცე. ჩადი უეჭველად სახლში“.

1928 წელი. „შუდამ გამარჯვებული ხარ და აწიც გამარჯვებული იქნები! შენ – დარწმუნებული ვარ – გაიმარჯვებ ჩვენს მტერზეც (ღვინოზე). ოღონდ შენ მოისურვე, ოღონდ შენ ეს (დედამ რომ იცის, ისე) „გულში ამოიოჭე“.

ყოველდღე გამონახე სერიოზული საქმე. ან წიგნის წაკითხვა, ან ლექსის დაწერა, ან კინოფილმი და სხვა... არც ერთ კრებაზე ან საღამოზე დალეული არ წახვიდე“.

1936 წელი. „დისკუსია ფორმალიზმსა და ფუტურიზმზე უთუოდ დამთავრებული იქნება დღეს. აი ეს არის წავაკითხე გაზეთში გამოსვლა შენს წინააღმდეგ. გაზეთი ამას „ყოველთ

მიულებლად, დაუშვებლად და უნაყოფოდ“ ნათლავს.

არ გაგიკვირდეს! ლენინის ორდენი, რომელიც შენს მკერდს ამშვენებს... მოსვენებას არ მისცემს და არა ერთს და ორს ააწკმუტუნებს შენს წინააღმდეგ... გულში ცეცხლი უტრიალებთ და რით დააქრონ, თუ არა შხამისა და ლერწოს გადმონთხევით. ძალიან კარგი იქნებოდა იმათთვისაც მიეცათ ორდენი, რომელზედაც დიდი ასოებით იქნებოდა წარწერა: „შური“.

„ერიდე მაგ ოხერ სასმელებს, რომელმაც ჩვენი სიცოცხლე ასე მოშხამა და მოწამლა. არაფერი გაკლია: დიდება, სახელი, ქონება – უმაღლეს მწვერვალზე ხარ ასული, მტრებს შურით თვალები უბრმავდებათ და ისარგებლე ამით... ნუ იკლავ თავს მაგ შხამით“...

1938 წელი. „იცოდე, ერთ კვირაში რაიმე კარგი ლექსი „კომუნისტში“ უნდა იქნეს.

1945 წელი. „თბილისსი უთუოდ დიდი სიცივეები იქნება, თუ ძმა ხარ, თავს მოუფრთხილდი, არ გაცივდე“.

1948 წელი. „გელით, გალაკტიონ! გელით, რომ მოკლე ხნით დაისვენო და სასურველად იმუშაო. ჩემი სურვილი, ოცნება, იდეალი – შენი კარგად ყოფნაა“.

დამრიგებლურ კილოსა და სასაყვედურო ინტონაციებს ბუნებრივად იღებს გალაკტიონი. მხოლოდ დედას და ძმას აქვთ უფლება ამგვარად შეეხმიანონ.

ერთად თავმოყრილი ეს შეგონებები შეიძლება სურათს ამუქებდეს. მაგრამ ისინი ისე გულწრფელად და ბუნებრივად არის ჩართული ბარათებში, რომ გალაკტიონი შეურაცხყოფილად არ გრძნობს თავს ამ დარიგებებისა თუ ყვედრების გამო.

რაც მთავარია, პროკლე მხოლოდ ამ გზით არ მოქმედებს. იგი ძმას აცნობს თავის მდგომარეობას, გეგმებს, საზოგადოებრივ ვითარებას. ეს გულახდილობის ატმოსფეროს ქმნის. ურთიერთობას ადუღაბებს და შეგონებებსაც სიწრფელეს მატებს. მხედველობაში მისაღებია წერილების ინფორმაციული ხასიათი და აღმზრდელობითი ღირებულებაც. აი, ნაწყვეტიც 1907 წლის წერილიდან: „აქ, თბილისში დიდი ამბავი იყო. ილია ჭავჭავაძე გაასვენეს. მე ჩემს დღეში იმდენი ხალხი არ მინახავს. პროცესია მთელს ვერსტზე იყო. მგალობელნი და გვირგვინები – უთვალავი. გვირგვინი ჩვენც ვიყიდეთ. იცი, რამდენი სიტყვები წარმოთქვეს?! მთელი წიგნი იქნება, რომ კაცმა ყველა დაწეროს. სილოვანი[1], ვაჟა-

[1] სილოვანი – სილოვან ხუნდაძე (1860-1928).

ფშაველა, ფხა[1], Bazoon-ი[2], აკაკი, მაქედან გიმნაზიელი ქორჟოლიანი და ბევრნი სხვანი სიტყვების თქმით დაიღალნენ. ბევრი ცრემლებიც რომ დაიღვარა!!! ვგონებ, საქართველოში ასეთი პატივით ერთი კაციც არ დამარხულა. სიონში მიცვალებული ორ დღეს ესვენა და ამ ხნის განმავლობაში უთვალავი ხალხი ტრიალებდა, მისთვის რომ თვალი მოეკრათ, დიდებული კაცისათვის, ყველას უნდოდა მისი ნახვა...“[3]

პროკლე ხელს უწყობდა ძმას ლიტერატურულ საქმიანობაში. რედაქციებში მიჰქონდა მისი ნაწერები, მოლაპარაკებას აწარმოებდა გამომცემლებთან, მასალებს აგროვებდა პოემებისა და ციკლებისათვის (ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და ცნობების შეკრება-დამუშავება) და ა. შ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ სხვადასხვა გზით და საშუალებით ულვიეებდა და უმძაფრებდა ლიტერატურული საქმიანობისადმი ინტერესს. „როგორ შეეგუე მასწავლებლობას, რას აკეთებ, რას შერები?.. რატომ არაფერს წერ, რა ამბავია?.. კვირის ნომერი წაიკითხე? რაღაც ტიტეზედაც იყო დაწერილი. დამატებაში გრიშაშვილის ლექსის ბოლოც წაიკითხე. რანაირად წააგავს შენი ლექსის ბოლოს „მსურს ნაღველი“[4].

„აბა, ჩემო გალაქტიონ, შენებურად ვეფხვივით დატრიალდი და ლამაზ მარგალიტებად ჩამოსხმული სიტყვებით აღადგინე შოთას სახე და ქაჯების შემმუსვრელთ ქება შეასხი.

ყოველი დღე ველი და ვიცდი“[5].

პროკლე გრძნობს ძმის მძიმე მდგომარეობას, სულიერ მარტოობას. ცდილობს გაამხნევოს, გაუადვილოს ყოფა. მან კარგად იცის, რომ გალაკტიონის არსებობა მწერლობაა და ამიტომაც ხშირ-ხშირად შეახსენებს თავის ძირითად მოვალეობას, მოუწოდებს ინტენსიური მუშაობისაკენ. ამგვარ ბარათებს გალაკტიონისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი წონასწორობას უნარჩუნებდნენ და აღაგზნებდნენ კიდეც. გალაკტიონი კიდევ უფრო მეტი გატაცებით ებრძოდა სიტყვას. საკმარისია დააგვიანოს პროკლეს ბარათმა, და გალაკტიონი

[1] ფხა – იაკობ ფანცხავა (1867-1955).

[2] Bazoon – მიხაკო წერეთელი (1878-1965).

[3] პროკლე (აბესალომ) ტაბიძე. მოთხრობები, ბარათები გალაკტიონთან, 1997, გვ. 104.

[4] იქვე. გვ. 109.

[5] იქვე. გვ. 148.

მოსვენებას კარგავს. „ძმაო აბესალომ, როგორ ხარ! წერილს რად არ იწერები? შენი წერილი მეტად ძვირფასი რამ იქნება ჩემთვის. საშინელ ყრუ სოფელში ჩამოვვარდი. აბა შენ იცი, თუ წერილს მომწერ". და აბესალომიც სწრაფად ეხმიანება, ყოველთვის აგრძნობინებს, რომ იგი მარტო არაა.

გალაკტიონი ღრმად განიცდიდა ძმის სათუთ დამოკიდებულებას, ზრუნვას, თავდადებას და ბავშვივით მინდობილი იყო მასზე. უჩვეულო სიყვარულითაც პასუხობდა. აი, რას სწერდა გალაკტიონი 1911 წელს უფროს ძმას: „გამამხნევებელი წერილი მომწერე, თორემ ლამის გავნადგურდე. ვრცელი წერილი მომწერე, თუ ძმა ხარ, დახურული შენა ხარ ერთადერთი ჩემი იმედი".

ალბათ, არავის ისე ზუსტად არ დაუხასიათებია გალაკტიონი, როგორც პროკლეს. იგი რძალს – ოლია ოკუჯავას სწერდა: „უმთავრესი ის არის, რომ მას ისე ვერ გავზომავთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. „პოეზია უპირველეს ყოვლისა" და გარეშე პოეზიისა, ოცნებისა და მაღლა-მაღლა ფრენისა, მას არაფერი აინტერესებს. დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრინავს, მხოლოდ სასაცილოა, როდესაც ძირს ეშვება და ჩვეულებრივ ადამიანის სახეს იღებს. ამიტომ, დაო, ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, თუ იგი გვიყვარს! 7 წელიწადია სახლში არ ყოფილა. 7 წელიწადია დედა არ უნახავს, მაგრამ რა ვქნათ, მაინც ლმობიერი უნდა ვიქნეთ, მაინც უნდა გვიყვარდეს ეს უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი!.."[1]

დასასრულს კიდევ ერთ ბარათს დავესესხებით. იგი 1938 წლის 8 იანვარს არის დაწერილი და კარგად ამჟღავნებს ძმისადმი პროკლეს ზრუნვას, მის უძირო სიყვარულსა და შეშფოთებას. სწორედ ამგვარ ბარათზე ითქმის, სისხლით და ცრემლით არის დაწერილიო.

„შენ გძინავს... არ მინდა გაგაღვიძო და ისე მივდივარ... მაგრამ ვაი ასეთ ხასიათს, ეხლა მე რომ ვარ. ფიქრები, მწარე ფიქრები არ მასვენებს. შენ თუ ასე განაგრძე, აუცილებლად დავიღუპებით. გალაქტიონ, რა უნდა ქნას კაცმა, თუ რამე გითხარი, გული მოგდის, თუ ვინმემ სასარგებლოდ დაილაპარაკა და გირჩია, შენ გულისწყრომას საზღვარი არა აქვს – ჩემი მტერიაო. არ გრცხვენია? მე ხომ მტერი არა ვარ შენი. ვიცი, შეგიძლია თავის დაჭერა. მე დარწმუნებული ვარ, შენ შესძლებ თავის შემაგრებას, მაგრამ არ ინდომებ და თავს იღუპავ, მტრებს ახარებ!..

რა სიამოვნებით ვისმენდი იუბილეზე რომ ამბობდი, წიგნის

[1] პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, მოთრობები, ბარათები გალაკტიონთან, 1997, გვ. 156.

გამოცემაზე და სხვა.

ასე თუ გაგრძელდა,იუბილეი კი არა,შეიძლება კავშირიდანაც კი გამოგრიცხონ. რატომ შეები ამას?

აი, დღევანდელი შემთხვევაც. სახლის კიბეს მოვუახლოვდი, ოთხი რუსის ქალი ვიშვიშებენ და იძახიან: Ой бедный, ой бедный. სული შემეხუთა. რა ამბავია? – შევეკითხე. ისინი სიბრალულით კიბისკენ იყურებიან და მეუბნებიან: Ой Галактион Табидзе. თავზარდაცემული ამოვვარდი და კიბეზე გაშხლართული დაგინახე. ჯიბიდან გასაღები ამოგიღე. შენ არც კი გაგიგია. ამ დროს მეზობელი დიასახლისი გამოვიდა, მომეხმარა და ამოგიყვანეთ. საბედნიეროდ,ცუდი სიტყვა არაფერი წამოგცდენია. პირიქით, ხელზე გინდოდა გეკოცნა მადლობის ნიშნად.

ძლივს გაგხადე და დაგაწვინე. ძილში საშინლად ხრიალებდი... გახველებდა... ეკვდებიო,– იძახდი.

გალაქტიონ, შეიბრალე თავი, ნუ დათვრები. იცოდე, რომ მერე შენ ჭკუაზე არა ხარ და ქვეყნის სასაცილოდ და შესაბრალისად ხდები...

კიდევ ბედნიერება, რომ ნაშუადღევის ოთხი საათი იყო... დამე რომ ყოფილიყო, კაცი არ შემოგხედავდა. გაგძარცვავდნენ, წაგართმევდნენ პალტოს,ფეხსაცმელებს,ფულებს,მიგატოვებდნენ. გაცივდებოდი და სამუდამოდ დაიდუპებოდი.

რატომ შეები ამას, რატომ? ნუთუ ისე დაღუპული ვართ, რომ თავს ანგარიშს ვერ აძლევ?.. აბა, თუ ძმა ხარ, შენი ჭირიმე, გალაქტიონ, გამოიჩინე გმირობა, აჩვენე ქვეყანას, რომ შენ შეგიძლია უღვინოთაც ცხოვრება! ნუ ჩაიდებ ჯიბეში ფულს. და თუ მაინც და მაინც ვერ გაძლებ, სახლში მოიტანე და დალიე...

სხვათა შორის, ჯიბეები შარვლის და პალტოსი გახეული გქონია და მოეკერე...

ბლუზა გიყიდე. არ ვიცი, როგორი იქნება. თუ ის საქმე მოგვარდა,იცოდე,საუკეთესო კოსტიუმი ჩემს თავზე იყოს... რაღაც ქაღალდი შემხვდა. ლომბარდში ბეჭედი და სხვა რაღაცეები დაგირავებული გქონია, გამოიყიდე აუცილებლად. ხვალ არის ვადა. შემდეგ ნივთს არ დაგიბრუნებენ.

წერილი უსათუოდ მომწერე...

მშვიდობით!

ნეტა თუ ისეთი ბედნიერები ვიქნები, რომ დვინოს არ გაეკარო"[1].

---

[1] პროკლე (აბესალომ) ტაბიზე. მოთხრობები, ბარათები გალაქტიონთან. 1997, გვ. 149-150.

ეს წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. იგი არა მხოლოდ ემოციების აღმძვრელია, არამედ ძალზე დამაფიქრებელიც. მისი უკომენტარებოდ დატოვებას შეიძლება ზოგიერთი მკითხველის ფიქრთა არასწორი კალაპოტით წარმართვა მოჰყვეს.

დიახ, გალაკტიონი ღვინოს ეძალება, ეძალება და თვრება უგონოდაც, მაგრამ შედეგი უმიზეზოდ როდი არსებობს.

მწერლობისაგან შორს მდგარ დილეტანტს ეჩვენება, რომ ლექსის შეთხზვა მსუბუქი, იოლი საქმეა. მისი აზრით, ჯანმრთელობის შელახვას მხოლოდ მძიმე და გაბმული ფიზიკური შრომა იწვევს. იგი არ ითვალისწინებს იმ უზარმაზარ ფიზიკურ დატვირთვას, რაც შემოქმედებითი პროცესის თანმხლებია.

ჭეშმარიტი პოეტი ჯვარზე გაკრული ქრისტეა. სიტყვასთან ჭიდილი, გრძნობათა დაურვება და უმაღლეს ესთეტიკურ სახეებში გამოხატვა არცთუ იშვიათად გადაწვას იწვევს.

გალაკტიონი არა მარტო წერდა, არამედ უმძაფრესად განიცდიდა, რასაც შეუძლებელი იყო უკვალოდ ჩაევლო. დიდი შემოქმედებითი ტანჯვის შემდეგ დროებითი განმუხტვის, განტვირთვის, ძალთა აღდგენის აუცილებლობა ჩნდება. გალაკტიონი ნაწილობრივ ღვინოშიაც ეძებდა ჭრილობათა დაამების საშუალებას. სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია ეს გზა. ამ შემთხვევაში სუბიექტურმა თვისებებმა იძალეს. ყველა შემოქმედი ხომ თავისებურად იკრებს ძალებს. გასათვალისწინებელია მეორე გარემოებაც. 1937 წლის რეპრესიებმა უმძიმესი ანაბეჭდი გააკეთეს პოეტის სულში. ჩნდება შიშის გრძნობაც, რომლის დაძლევას არცთუ იშვიათად ღვინით ცდილობს.

ამ ორი გარემოების გათვალისწინება აუცილებლად გვმართებს. და მაინც: განმსაზღვრელად მათ ვერ მივიჩნევთ. ღვინოსადმი მიდრეკილება სიყმაწვილიდანვე დაჰყვა გალაკტიონს და ავადმყოფობად ექცა. ალკოჰოლთან ბრძოლაში გალაკტიონი უძლური აღმოჩნდა, მით უფრო, რომ გარემოებაც მის საზიანოდ მოქმედებდა.

ბარემ ისიც ვიკითხოთ, რამდენად საფუძვლიანია მოსაზრება, თითქოს გალაკტიონი უმეტესად შეზარხოშებული თხზავდა.

მე არ მახსოვს, რომ გალაკტიონი მთვრალი მიჯდომოდეს სამუშაო მაგიდას. როცა ავადმყოფის ციკლი იწყებოდა, კაბინეტის კარი საგულდაგულოდ იგმანებოდა. თავადაც არ შედიოდა სამუშაო ოთახში. შეუძლებელიც იყო რაიმე ლიტერატურული საქმიანობა, რადგან ღვინო განწყობილებას კი არ უმაღლებდა, არამედ პოეტური ნერვის დაჩლუნგებას იწვევდა. ორი ჭიქა

შამპანური ისე მოქმედებდა გალაკტიონზე, როგორც ჯანმრთელ კაცზე ორი ბოთლი. ეს იყო ძალზე მრუმე დღეები, ბახუსის თანამგზავრობა კვირაობით გრძელდებოდა. არ არსებობდა თუნდაც ერთდღიანი გამოფხიზლება. ადრიან გაღვიძებული ამღვრეული თვალებითა და აკანკალებული ხელებით მოითხოვდა სასმელს. გადაკრავდა და თითქოს მშვიდდებოდა, მდგომარეობიდან თავის დახსნის ნაღდი გზა საავადმყოფოზე გადიოდა. განიკურნებოდა და მთელი გატაცებით გადაეშვებოდა პოეზიის საუფლოში. ამ დროს წვეთ სასმელს არ იკარებდა. მაგრამ, საუბედუროდ, ეს არცთუ დიდხანს გრძელდებოდა. დემონი კვლავ ააფარფატებდა ფრთებს. გულრგილად მოექცეოდნენ გალაკტიონს, აწყენინებდნენ, გააჯავრებდნენ და ისიც კვლავ მიეძალებოდა სასმელს. მე არ შემიძლია ვამტკიცო, ბახუსი მასტიმულირებელი იყო თუ არა ახალგაზრდა პოეტისათვის. ის კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სიცოცხლის მიმწუხრს მთვრალი გალაკტიონი სერიოზულ ლიტერატურულ საქმეს შეჭიდებული არ მინახავს.

ერთადერთი შემთხვევა მაგონდება, როცა მობარბაცემ არა მაგრამ საკმაოდ აღგზნებულმა თაბახი შემომიტანა:

„ნეტავ ეხლა რად არ ვარ ბავშვი,
ჩემი ჭალების ექროდე ამბავში
ფაზისდა ზედა.
გარეშემო ტყეა და გუგუნია,
„გამიცივდები, ო, გატუნია“,
მეძახის დედა...“

მეორე სტროფში ის აზრია გატარებული, რომ დღეს მას სხვა დედა დაეინებით ჩასძახის – „გაცივდი, მოკვდი!“

საერთოდ, კაცმა რომ თქვას, ლეგენდა იმის თაობაზე, რომ გალაკტიონი ბახუსს მიმართავდა შემოქმედებითი მუშაობის პროცესში, ლიტერატურულ შრომას გაიოლებულად წარმოაჩენს. ჭეშმარიტი პოეზია უზარმაზარი ტკივილის, ჯაფისა და სიამოვნების შერწყმაა. ვისაც გალაკტიონის ხელნაწერები უნახავს, დამეთანხმება, რომ მისი შედევრები არა მხოლოდ ნიჭის, არამედ ტიტანური შრომის ნაყოფიც არის.

დიახ, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ღრმა და სერიოზულ მუშაობაზე, თორემ ლექსის ისეთ ვირტუოზს, როგორიც გალაკტიონი იყო, შეღვინიანებულსაც არ გაუჭირდებოდა ექსპრომტის შეთხზვა, თუ ამბის გალექსვა, თანაც არა მხოლოდ ქართულად. აი მაგალითიც:

Света
Света, Света
Голубого цвета.
Можно помечтать с ней
При то и по эта,

Поймять ли поэта,
Дорогая Света?
О, тогда с просветом
Минет это лето!

ისიც ცხადია, რომ ამგვარ ნაწარმოებებში მეტ-ნაკლებად მაინც ირეკლება პოეტის ნიჭი და გამოცდილება.

ჩვენს ხელთ სწორედ ასეთი „განწყობილების" ჟამს დაწერილი ლექსია.

გალაკტიონი სკოლაში მიუწვევიათ. იგი გადაკრულშია. ჩანს, ვიღაც უბირმა შეკადრა – რატომ სვამო. ან იქნებ მოსწავლეებში ატყდა ჩურჩული: – ნახე, ნახე, მთვრალია!

გალაკტიონს არ გამოპარვია ეს ჩოჩქოლი და პირდაპირი თუ ირიბი საყვედური. ზის პრეზიდიუმში და მოჩვენებითი ყურადღებით უსმენს მომხსენებელს. ფიქრით კი სხვაგანაა. მერე იღებს „კარანდაშს" და წერს, დროდადრო ორატორს ყასიდად უქნევს თავს, თან სტრიქონებს ხაზავს.

ეს ლექსი არ წაუკითხავს გალაკტიონს, არც არავისთვის უჩვენებია. დარბაზიდან გამოსულმა ფურცელი გადახია და დერეფნის კუთხეში მიყარა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა სათუთად აკრიფა ნახევები, დააწება და საგულდაგულოდ შეინახა, იგი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა მაია კილაძე-ჟღენტმა გადმომცა. ლექსი მომაქვს თვალსაჩინო კუპირებით:

„რად სვამ ღვინოს? რად სვამ ღვინოს?
ყოველ წუთში მეკითხები.
იცი ჩემი გულის დარდი,
იცი ჩემი გულის ხმები?
რომ სვედიანს, დამწვარს, დაგულს
ერთხელ ტკბილად დამეძინოს,
გეფიცები მხოლოდ მისთვის
ვეწაფები მე ამ ღვინოს.
და ღვინისგან განაჟღენთსა
განა მესმის მაშინ, რამე?
ვის რა უნდა, თუ კი ერთხელ
ღვინით გული დავიამე.

რომ მეწვევა მწვავე ფიქრი
და გულს მიღრღნის სევდა მწველი,
ვეწაფები მაშინ ღვინოს,
ღვინო არის ჩემი მხსნელი.
და გთხოვთ კელავაც ნულარ მკითხავთ –
რად სვამ ღვინოს, რად სვამ ღვინოს
თქვენც გადაჰკართ, გამოსცალეთ,
თუ გსურთ ტკბილად დაგეძინოთ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავანებოთ თავი იმას, გალაკტიონი მხოლოდ ერთი მიზეზით ხსნის ღვინისაკენ ლტოლვას. მაგრამ ეს მიზეზიც ხომ თავისთავად მეტად ბევრის მთქმელია. არსებითი ისიცაა, რომ ბოლო სტროფში პოეტი ფართო განზოგადებას ახდენს, სოციალური უსამართლობის მსხვერპლად სხვებსაც მიიჩნევს და სინამდვილიდან გაქცევისაკენ მოწოდებაც ამით არის შეპირობებული.

ხსენებული ლექსი დაიწერა როგორც ფარული გამოწვევის პასუხი. მაშასადამე, შინაგანად გულისხმობს ადრესატს. მაგრამ პოეტს ხომ არავისთვის გადაუცია იგი?

ცნობილია, რომ გალაკტიონი ყოველ სტრიქონს, ყოველ ჩანაწერს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. მაშ რატომ გასწირა ეს ლექსი?

გასწირა კი? ნუ ავჩქარდებით.

ლექსს საჯაროდ ვერ წაიკითხავდა. არადა საზოგადოებას აუცილებლად უნდა გაეცნო იგი. ამიტომაც ჯიბეში კი არ ჩაიდო, ან ჭუჭაში კი არ მოისროლა, არამედ სწორედ სკოლის დერეფანში გადახია, თანაც მაშინ, როცა მის ყოველ ქესტს თვალს ადევნებდნენ. იცოდა, ნახევებს უთუოდ აკრეფდნენ. აკი ასეც მოხდა.

გენიოსის პატარა ეშმაკობა?!

ან იქნებ სულაც არ იყო ასე?!

სხვათა შორის, გალაკტიონი ძალზე კარგად გრძნობდა ლოთობის დამანგრეველ ძალას. აკი ამბობს: „გულის ჟანგი ღვინოს სვამს პირველად, მაგრამ ორიოდე ყანწის შემდეგ ღვინო აბითურებს ჟანგს. დალევს კაცი ღვინოს და გადმოიღვრება ჟანგი, გამჟღავნდება ყველა საიდუმლო. დალევ ღვინოს და დატრიალდებიან მთები, აირევიან ღრუბლები (მთებო, ღრუბლებო, რა მოგივიდათ, ღვინოს მე ვსვამ და თქვენა თვრებით?). ასეთია ღვინის ძალა: ის რომ ტურას ხახაში ჩაასხა, მგელს წააქცევს..."[1]

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 317.

ყოველივე ზემოთქმული ცალმხრივად არ უნდა გავიგოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გალაკტიონის ზოგიერთ ლექსში ღვინო სიწმინდესა და სილამაზეს, მზეს ეწყვილება ამ მხრივ უინტერესოდ არ გვეჩვენება „ყვავილები და ღვინო“, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა.

ფაქტია, რომ გალაკტიონი ძალუმად ეტანებოდა სასმელს და ამან დასაბამი მისცა ნაირგვარ თქმულებებს. საზოგადოების დიდ ნაწილს გალაკტიონი ვერ წარმოედგინა თვინიერ ღვინისა, ხოლო შეზარხოშებული პოეტი შემოქმედებითი აღტკინების გარეშე. ამ მხრივ ტიპურია ერთი საახალწლო მილოცვა – „გოზინაყი“, რომლის ავტორია დონ-ბაზილი (ვ. პატარაია).

გალაკტიონ ტაბიძეს

„უნუგეშო მხარეში, რესტორანის არეში,
ღვინის სიმხურვალეში მეჭედება გენია,
ძლიერ მოსაწყენია, ფხიზლად სთვალო დღენია,
გულის მომალხენია პოეტების თარეში...
ლურჯა ცხენზე მჯდარია, ჩემი სულის არია“[1].

აქ ერთ ლეგენდასაც გავიხსენებ, რომელიც სხვაგანაც მაქვს ფიქსირებული.

...გალაკტიონი ლუდის ჯიხურთან შეჩერებულა. ჭიქები არყით აუვსია და სხვებისთვის მიუწოდებია. თავად კი არყით დაუსველებია ხელი და თითები წვერში შეუცურებია...

– მთვრალი ვეგონები ხალხო, – ჩაუქირქილებია.

ჰყვებიან ამ ამბებს... ზოგი აშკარა აღტაცებით, ზოგიც წუხილით, ზოგიც მხრების აჩეჩვით...

მსგავსი რამ არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორც აღვნიშნეთ, სიფხიზლეში გალაკტიონი ჭირივით გაურბოდა არაყს. მის სუნსაც კი ვერ იტანდა. მობარბაცე ნაცნობს თვალს რომ მოჰკრავდა, ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა.

ამიტომაც ეუწოდე ამ ამბავს ლეგენდა... მაგრამ ეს ლეგენდა უკუსაგდები როდია. იგი კარგად გამოხატავს საზოგადოების დამოკიდებულებას პოეტისადმი. ხალხი ვერ იმეტებს სათაყვანებელ მგოსანს, არ სურს უსახურ პოზაში იხილოს იგი. სმასაც თვითგადარჩენის მიზეზით ხსნის.

ეს არის უდიდესი სიყვარულის გამოვლენა. მსგავსი

---

[1] გაზ. „ტრიბუნა“, 1923, №384.

მასალებისადმი, იქნებ ეს გალაკტიონისადმი მიწერილი ანეკდოტი, მახვილსიტყვაობა თუ პოეტის ცხოვრების შელამაზებული ეპიზოდი, საგანგებო ყურადღება გვმართებს. ისინი უნდა შეიკრიბოს.

რადგან გალაკტიონის ხასიათს შევეხეთ, მოდით, აბესალომის ზემოთ განხილულ წერილს დავუბრუნდეთ. მისი შინაარსი იმდენად გვაფიქრიანებს და გვაღელვებს, რომ სხვა საკითხებს უკან ვწევთ ან ვივიწყებთ კიდეც. არადა, ზოგი რამ სრულიადაც არ იმსახურებს ამგვარ მიდგომას.

დამეთანხმებით, ბევრი ჩვენგანი მსგავს ბარსთს ნაკუწებად აქცევდა, ყოველმხრივ შეეცდებოდა მისი კვალის დაფარვას, რადგან ადრესატი ფაქტობრივად კომპრომენტირებულია, ჩვეულებრივ მოკვდავთ კი არ გვსურს ნირწამხდარი ეჩანდეთ.

გალაკტიონი სხვაგვარად იქცევა. საგულდაგულოდ ინახავს ძმის წერილს, ისტორიის საკუთრებად ხდის.

უცნაურია?!

ფაქტი ახსნას მოითხოვს. ეს კი ძალზე ძნელია.

რა ამოძრავებდა ამ შემთხვევაში გალაკტიონს?

იქნებ ეს ტრადიციის გამოვლენაა, ბავშვობიდან შესისხლხორცებული წესის დაცვა – ყოველი ბარათი და ჩანაწერი ზანდუკს ჩაკეტოს...

იქნებ ამ ბარათს იმიტომაც უფრთხილდებოდა, რომ ხლურბლზე ჭოჭმანის ქამს ფარად იფაროს, ძალა მოიკრიბოს და ფსკერზე არ დაეშვას...

იქნებ ამ შემთხვევაში ძმასთან ფარული შეპაექრებაც ჩანდეს – ეგრე იოლად ნუ განსჯი და ეგრე სასტიკად ნუ განმიკითხავ...

იქნებ ეს წერილი ცხოვრებისეული უკულმართობის მეტყველ დოკუმენტად დაგვიტოვა...

იქნებ თვითგვემისათვის შემონახული ბარათია და მას პატივმოყვარეობისაგან განკურნების ფუნქციაც ეკისრებოდა...

იქნებ ეს გენიოსის თვითდაჯერების გამოკრთომაა – ყოფითი ამბები ნაკლებ მაფიქრებს, ჩემი შემოქმედების მზის ქვეშ ჩრდილები ქრება...

იქნებ... იქნებ... იქნებ...

შორს წაგვიყვანდა ამგვარი ჩამოთვლა. ერთი კია, პაჭიჭს წვერი შემოერღვა და მოაზროვნე კაცი გორგალს გაჰყვება.

მკითხველმა გვაპატიოს ეს გადახვევა.

ამრიგად, ოჯახურმა წრემ არსებითი გავლენა მოახდინა გალაკტიონზე. პოეტს მემკვიდრეობით გადაეცა მთრთოლვარე სული და მოვლენების მძაფრად აღქმის უნარი. გვაროვნულმა ტრადიციამ თვალსაჩინოდ განსაზღვრა გალაკტიონის ლიტერატურული მიდრეკილებანი... ნათესავთა სულიერი სიფაქიზე, კეთილშობილება და, საერთოდ, კულტი პატიოსნებისა, გალაკტიონს არა მხოლოდ ზღუდეებს უმართავდა, რომელთა გადალახვის უფლება არ ჰქონდა, არამედ იმ კალაპოტსაც უჩვენებდა, რომლითაც უნდა წარმართულიყო მისი ცხოვრება და შემოქმედება.

„წინაპარის ცრემლები
გულზე ხშირად გედინა,
გულმა ძველი ემბლემა
ლალით მოაჭედინა“[1].



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VII, გვ. 54.

„ვიგონებ ყრმობას“

„არ ვემდური სიყმაწვილეს,
ის ხომ კარგი მახსოვს“.

„ჩემი ბავშვობის ჩანგი
კვლავ ხმებს იგონებს
გრძნეულს“.

გალაკტიონი

გალაკტიონი დაიბადა 1891 წლის 17 ნოემბერს![1]

გამხიარულდა მგლოვიარე ფუძე. ჩამოვიდნენ მაკრინეს ნათესავები, მეზობლებმა მოსანახულებელი მოართვეს ოჯახს და გაიშალა შუა ცეცლთან სუფრა. მოხუცი სტეფანე ხშირ-ხშირად შეაღებდა პატარა ოთახის კარს და სიყვარულით დასცქეროდა გალურსულ ბიჭუნას. უდროოდ გარდაცვლილი ვასილის სიცოცხლეს უკვე ორი ვაჟი აგრძელებდა.

---

[1] დაბადების თარიღთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა დღესაც გრძელდება, ზოგი 1892 წელს ასახელებს, ზოგიც ორივეს. მაგალითად, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ფიქსირებულია: დაიბადა 5(17) XI, 1891 ან 6(18) XI. 1892. ამგვარი აღრევა არცაა მოულოდნელი. პოეტის ბიოგრაფიულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „დავიბადე 1892 წელს, მამის, სახალხო მასწავლებლის გარდაცვალებიდან შვიდი თვის შემდეგ–“ ეს თვალსაზრისი ბატონობდა ათეული წლების მანძილზე და ინერციის ძალა დიდი აღმოჩნდა.

მართებულია 1891 წელი და აი, რატომ.

1892 წლის 21 მარტის „ივერიაში“ აღნიშნულია: „წარსულის თვის 26 შესრულდა ერთი წელიწადი მას აქეთ, რაც სიკვდილმა გამოაცალა ამ სოფელს (ჭყვიშს – ნ. ტ.) ხელიდგან ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი, ვ. ტაბიძე. განსვენებული იყო ადგილობრივის მღვდლის შვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურს-შესრულებული. ამას კჭონდა ამ სოფელში თავის ხარჯით გამართული სკოლა და დიდის გულ-მოდგინებით ეწეოდა მასწავლებლობის უღელს“.

აქ მოხსენებული ვასილ ტაბიძე გალაკტიონის მამაა. როგორც ირკვევა, იგი 1891 წლის 26 თებერვალს გარდაიცვალა. ამ ცნობის სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგანაც კორესპონდენციას ხელს აწერს იუსტინე ტაბიძე, ვასილის ძმა.

ცხადია, თუ ვასილ ტაბიძე 1891 წლის 26 თებერვალს გარდაიცვალა, გალაკტიონი ვერ დაიბადებოდა 1892 წელს, არა თუ ნოემბერში, არამედ იანვარშიც კი.

სოფელ ჭყვიშის წმინდა გიორგის ეკლესიის 1892 წლის „შეტრიჩესკი წიგნში“ გალაკტიონის დაბადების დღედ ჩაწერილია 5 ნოემბერი, მონათვლის დღე კი – 3 იანვარი. ეს ორი თარიღი ერთი წლისა როდია, რისთვისაც ყურადღება არ მიუქცევიათ და შეცდომაც აქედან მომდინარეობს. 1892 წლის 3 იანვარს მოუნათლავთ 1891 წლის 5 ნოემბერს დაბადებული ბავშვი. რეგისტრაცია გვიან მომხდარა.

გალაკტიონმა ადრე აიდგა ფეხი და ერთთავად აივანზე იყო. რიკულებს ჩაფრენილი გულდასმით აკვირდებოდა ყველაფერს.

რატომ ყივის მამალი?

რატომ სეირნობენ ჩრდილები?

ღამეს სად ათევს ქარი?..

მერე თავის აღმოჩენებს უფროს ძმას უზიარებდა.

წამოიზარდა და ეზოს არც ერთ კუნჭულს არ ტოვებს მოუჩხრეკავს. ეზოში კი, რომელიც ნახევარ ქცევას არ აღემატება, ბევრი რამ არის საინტერესო. ჩრდილოეთით, ცენტრალური გზის გაყოლებით, ბროწეულების ღობესთან კომშებია ჩარიგებული, ბიძის კარ-მიდამოსაკენ მიმავალ შუკას ალუჩების მწკრივი გასდევს. სასაფლაოს გასწვრივ თუთები და კაკლის ხეები შრიალებენ. აღმოსავლეთით, სადაც პაპის მიერ აგებული სკოლაა, კოპიტები ბუბუნებენ. ვაშლის ხეებს ტოტები ერთმანეთში გადაუხლართავთ და ალაგ-ალაგ ცის დანახვაც კი ჭირს.

მოგვიანებით პოეტი წერდა:

„მე მახსოვს სახლი რიონის პირად
მის ლამაზ ეზოს ვიგონებ ხშირად
თუთის ხეებით შემორგულ ეზოს.
(სუფთას, წყნარს) და უმიზეზოს
ეხლაც წინ მიდგას ლანდი ხეების
ცაცხვების, ერცელი, სიმაღლეების...“[4]

ეზოს შუაგულში ძველიმერული წაბლის ხის სახლი დგას. დიდ დარბაზს მიწის იატაკი აქვს. დირეედან ნაჭაა ჩამოშვებული. კერიის თავთან კეცებია ახუხულებული, იქვე ჯორკოებია. დიდი ხის კიბით სხვენზე ასვლა შეიძლება. აქ შქერის წნელით დაღობილ ჩელტებზე, ლობიოს ფუჩეჩში მაკრინე ზამთრობით ვაშლსა და მსხალს ინახავს. დარბაზი ღარიბულად გამოიყურება. აღმოსავლეთის კედელს თითქმის ნახევრამდე გაბმული საძმო ტახტი გასდევს, რომელზედაც ქვეშაგებელია აკეცილი. დასავლეთით, კუთხეში სიმინდის საფშვენია გიდელითა და კალათებით. მახლობლად არყის სახდელი ქვაბი დგას. ჩრდილოეთის კედელზე კარადები ჰკიდია, რომლებშიც ჯამ-ჭურჭელია შელაგებული. იქვე ხალმები და დოქებია. ორი გრძელი ტაბლა გვერდიგვერდ აუყუდებიათ...

დარბაზს სამხრეთით პატარა ოთახი და რიკულებიანი აივანი აკრავს ხის იატაკითა და ჭერით[2].

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XI, გვ. 483.

[2] ახლა სახლი შებრუნებით დგას. ბოკონებიც რიყის ქვის ნაცვლად ბეტონით არის ამოშენებული.

სახლი რომელშიაც დაიბადა და გაეშვიობის
წლები გაატარა გალაკტიონმა

ამ ოთახში იძინებენ დედა და შვილები. ორი ტახტი, ხაწერი მაგიდა, ზანდუკები და თაროები. იქვე საკერავი მანქანაა და წამლების ყუთი. კედელზე ჩონგური ჰკიდია. აივანზე გრძელი სკამლოგინია. ოთახი და აივანი მიწიდან ორი არშინის სიმაღლეზეა. კიბედ წისქვილის ქვა გამოუყენებიათ. ამ მოუკოდავი ბორბლის კრიჭა მიწითაა ამოვსებული და ნაწვიმარზე პატარა გალაკტიონი მასზე ბასკური ლურსმნით უცნაურ ფიგურებს ხატავს. სხვათა შორის,ეს წისქვილის ქვა ორიგინალურად აისახა პოეტის შემოქმედებაში, მას კერიის, ეზოს, მამულის სიყვარულის გამოხატვაც დაეკისრა.

„გასაფრენად მზა
შეეცქეროდი ცას,
მაგრამ ჰკრავდა გზას
ეს წისქვილის ქვა.

გაეცქეროდი ვრცელს,
ფაზის ჭალა-ველს,
მაგრამ მება ყელს
ეს წისქვილის ქვა“[1].

სახლის უკან ჩამოხურული ფარდულია, სადაც ურემი დგას.

გალაკტიონისთვის ყველა ნივთი თუ საგანი ნაცნობია და ამავე დროს საიდუმლოებით მოცული. ძმები ბროწეულის ყვავილისაგან ჩიბუხებს აკეთებენ. მერე ქვაზე დანაყილ ჯიჯლაყასა და კლერტას ჭიაფერით ღებავენ – დედას ბაძავენ, თითქოს წამალს ამზადებენ. მოსწყინდებათ და ადესის მსხვილ ლერწებს ჩამოეკონწიალებიან. ქანაობს საქანელა და იწყება მოგზაურობა უცხო მხარეში.

სამყაროს საზღვრები თანდათან ფართოვდება. გალაკტიონი ადვილად აღებს ჭიშკარს და ეზოსგან შორს მიდის. შარაგზის გადაღმა სტეფანეს მიერ გაშენებული ხეივანია, მერე ფშანი, საყანეები და რიონის ტოტი. თუ ამ უკანასკნელს გადასცურავ, ზღაპრულ კუნძულზე მოხვდები. აქ სამ კვდარატულ კილომეტრზე რიყეც არის და უდაბნოც, აბიბინებული მდელოც და ბუჩქნარიც, ტყეც და სახნავ-სათესიც. რიონის ძირითადი ტოტიდან გამომდინარე ნაკადულები ჩხრიალებენ. ალაგ-ალაგ სათავეები დასილულა და მიტოვებულ კალაპოტებში ტბორები გაჩენილა. მზე გუბეებს ათბობს და პატარა ბიჭებიც მანამდე ნეტარებენ, ვიდრე ვინმე მოწიფული არ დაიფრენს – დაიხაშმებითო.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VI, გვ. 206-207.

„ზაფხულობით სიცხე ალკოჰოლივით აბრუებდა ადამიანს და მოდარაჯე თვალი ჰაერში მართლაც იგრძნობდა ალკოჰოლურ დუღილს. და იმ ჰაერით სუნთქვა ალკოჰოლიანი სასმელის სმასა ჰგავდა“[1].

გალაკტიონს განსაკუთრებით უყვარდა სადამო რიონის პირას. პატარა ბიჭი დედასთან ერთად იჯდა ხაბოს კიდეზე და ელოდებოდა, როდის გადმორეკდნენ გალმიდან ძროხებს. აქ მთელი სოფელი იყრიდა თავს, უმეტესად ქალები და ბავშვები. და იყო კისკისი, ფუჩუნი, ხვაშიადის გამხელა. ბავშვები კენჭაობას და დანასობიას თამაშობდნენ. მერე ნაპირთან მოწითლდებოდა ნახირი და ატყდებოდა ყიჟინა: ჰო-ჰო-ჰო... ნელა შემოტოპავდნენ ძროხები მდინარეში, აცურდებოდნენ, მხოლოდ თავები ჩანდა, ლამაზი სანახავი იყო. თითქოს რქებით მოჰქონდათ

მზე. მაკრინე თავის წაბულას ბაწარს ჩააბამდა და ბილიკ-ბილიკ გაუყვებოდნენ შინისაკენ.

გალაკტიონის თვალწინ იცრიცებოდა დღე. ფერი ფერს ენაცვლებოდა და უფრო რბილი, საამო ხდებოდა პეიზაჟი. ერთ დაუმთავრებელ ლექსში პოეტი ამბობს:

„მზე ჩამავალი მწვერვალებს ნაღმივით წითლავს.
მზე უალერსებს ღრუბელთა გუნდს – ლამაზს, მომხიბლავს.
ფაზისი წყნარად მოდუდუნებს და უზრუნველი ტკბილსა სიმღერას ჩამჩურჩულებს ნიავი ნელი“.

ეს ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილებებითაც არის მოტივირებული.

პატარა გალაკტიონი ბუნების ენას სწავლობდა. მისი თვალი შეუმჩნეველის შემჩნევას ცდილობდა. ემოციები მძლავრზე მძლავრი იყო, მაგრამ ყმაწვილი ბევრ რამეში ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდა. იგი არსებითად სილამაზესა და სიმშვენიერეს ჭვრეტდა.

როცა მუხლი გაიმაგრა და მკლავში ძალა იგრძნო, ვაშლის ხე ამოიჩემა. კენწეროსკენ მიცოცავდა. ხე მაღალზე მაღალი იყო და ყმაწვილის თვალწინ ზღაპრული სანახები ფერადოვნებდა: შორით კავკასიონი, ახლო – მძლავრი რიონი. მთა-ბარს ისე აჩნდა ნაოჭები, ვით საფლავის ქვას ეპიტაფია. აქედან უკეთ ჩანდა, თუ როგორ იზმორებოდა ზაფხულის შუადღე და როგორ მიერეკებოდა მობალახე ღრუბლებს უხილავი მწყემსი. ჯერ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 271.

გაოცება დაეუფლა სამყაროს უსახრულობის შემცნობს, მერე შორეულში საოცნებოს აღმოჩენა სცადა და აფრები გაშალა...

ჩვეულად ექცა: უკმარისობის გრძნობის მოძალებისას სიმაღლეს ელტვოდა. დიდხანს იჯდა ორ ტოტს შუა გარინდებული და მიწიერ ყოფას მოწყვეტილი:

„ხშირად ავსულვარ უმაღლეს ხეზე
როგორ დავმთვრალვარ იმ სიმაღლეზე
აღმოსავლეთით ვით ლურჯი ბინდი
თავამდე მიდის ლურჯი სიმინდი
დასავლით როგორც სიწითლე ბინდი
მზით იფინება ჟრჟოლა სიმინდის...“[1]

ერთიცაა: გარკვეულად აღიზიანებდა, როცა სახლს, ეზოს ზემოდან დასცქეროდა. და ეს მაშინ, როცა ქვემოდან დანახული იგივე პეიზაჟი ამშვიდებდა, როგორც მოლზე სირბილი თუ რიკულებისათვის ხელის შეხება.

რატომ ხდება ასე?

ახსნა გვიან, მოწიფულობისას ჰპოვა.

პირველ შემთხვევაში უჩვეულო სიტუაციიდან ხდებოდა აღქმა, რაც დაძაბულობას იწვევდა. მეორე შემთხვევაში აღქმას ბუნებრიობა და არა ძალდატანება განსაზღვრავდა. ეს კი დამშვიდების წინა პირობაა.

რიონს ბავშვობიდანვე დაუმეგობრდა. დედაც არ უშლიდა მდინარეზე წასვლას. მოსურნე იყო მეტი დამოუკიდებლობა და გაბედულება გამოეჩინა გულჩახვეულ ყმაწვილს.

ჭყვიშში წყლის კულტი არსებობდა. დიდი თუ პატარა მენავე და მებადური იყო. ეს გასაგებიცაა. სოფლის ცხოვრება მდინარეზე იყო გადაბმული. გალაკტიონიც ბრწყინვალედ ცურავდა და მესაჭეობდა. მარტოდმარტოს გაჰყავდა ნავი ადიდებულ რიონში.

პატარა აბესალომსა და გალაკტიონს თავი მოსწონთ ანკელარებით. ლარები თვით დედამ დაუწნა. ექვსმეტრიან თოკებს ყოველ არშინზე ჩამობმული აქვს ორი მტკაველა სიგრძის კონები, რომელთა ბოლოებში კულაშელი მეწავილმანისაგან ნაყიდი ანკესებია მიმაგრებული.

შებინდებისას თანატოლები გამოუვლიან. ღობის ძირას მიწას მოჩიჩქნიან, ანკესებზე ჭიაყელებს წამოაგებენ და მდინარისკენ მოკურცხლავენ. ანკელარს თხელი წყალი უნდა. ეს კარგად იციან ბიჭებმა და ხაბოებს ერიდებიან, რიყიან დამრეც ადგილებს

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XI, გვ. 484.

ირჩევენ. ლარს ორივე ბოლოში გრძელ ქვებს მიამაგრებენ. ერთს ნაპირთან ჩააგდებენ კოჭებამდე წყალში, მეორეს კი მდინარის შუაგულისკენ ისვრიან. მერე ნაპირზე ჯოხს ჩასობენ ან ქვებს შეაქუჩებენ, რათა ადვილად იპოვონ მდინარის ფსკერზე გაწოლილი ანკელარი.

რიჟრაჟზე ფრთხილი სტვენა აღვიძებს აბესალომსა და გალაკტიონს. ალაგესთან ჩაცუცქული ბიჭები ელიან. სწრაფად გადაიცვამენ ძმები და ნახევრად მძინარენი,ოდნავ აკანკალებულნი ყანაში გაკვალულ ბილიკს დაადგებიან.

სიმინდის ფოთლები სატევარივით ბასრია, ღამის ნამიც ბლომად ჩასდგომიათ ღეროებში. ბიჭებს ამჯერად არც კისერში ჩავარდნილი წვეთები აკრთობთ და არც ფეხის თითებში გაბლანდული გლერტა.

და აი ყანაც მთავრდება. წინ ცისფერად გახელილი მდინარეა – ფიქრიანი და საიდუმლოებით სავსე. მსუბუქი ნისლი დასწოლია რიონს. ოდნავ ინაკვთება ტყის ჰორიზონტი. ფაზისი ჩვეულებრივზე ნაკლებ ხმაურობს. ამაზე ითქმის, ალბათ, ერთი პირი წყალსაც ჩაეძინებაო.

გალაკტიონი პირველი შედის წყალში. სიცივისაგან აჟრჟოლებს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს. ნელ-ნელა მიყვება დინებას და თავმოკაკული ჯოხით მდინარის ფსკერზე გაწოლილ ანკელარს ეძებს. ცოტაც და ჯოხი ლარს ედება. ოდნავ წევს მაღლა და გრძნობს, როგორ დაჰკრა მესამე კონაზე თევზმა. ნაპირი აჩოჩქოლდა:

– ფრთხილად, არ გაგექცეს.

ვერ გაარჩევ ჩურჩულებენ თუ ჩახლეჩილი ხმით იძახიან ბიჭები.

გალაკტიონი უფრო მაღლა წევს ლარს. მოშორებით ისევ დაჰკრა თევზმა. მერე აბესალომიც შედის წყალში. კონის ბოლოსაკენ ხელს მიაცოცებს. თევზი გაყუჩებულია. ჩანს, მთელი ღამე იომა და დაიღალა. მაგრამ საკმარისია ოდნავ შეეხონ და წყალი ადუღდება. აბესალომი ლაყუჩებში ჩაავლებს ხელს. ახლა კი ვერ გაექცევა. მერე წყლიდან ამოაქვს და ანკესს აძრობს. მტკაველნახევრიან წვერას ნაპირზე ისვრის.

სხვა ანკელარებსაც არ გაუცრუებიათ იმედი. ბედნიერნი არიან ბიჭები. კავზე აცმული ნახევრადცოცხალი თევზებით შინისაკენ მიიჩქარიან.

მკითხველო, ამ ჩანახატს ფანტაზიის ნაყოფად ნუ მიიჩნევთ. იგი აბესალომის მონათხრობაზეა აგებული.

დამეთანხმებით, გალაკტიონის შემოქმედებაში მდინარეს

უდიდესი ადგილი უკავია. იგი არა მხოლოდ ასახვის საგანია, არამედ განცდის უკეთ გამოვლენის საფუძველი, ასოციაციების საბაბი, შედარებათა საყრდენი და ა.შ.

არაერთხელ უთქვამს, დაუწერია კიდეც, რომ ზღვის თემა ქართულ ლიტერატურაში დაიკარგა. რუსთაველის შემდეგ მას საფუძვლიანად არავინ შეხებიაო. და თავად იკისრა ამ ხარვეზის შევსება. „ოქრო აჭარის ლაქვარდში" და „ზღვა ახმაურდა" ამის საუკეთესო დადასტურებაა.

ვერ გეტყვით, იცნობდა თუ არა გალაკტიონი ნიკო მარის კონცეფციას ტოპონიმ „იბერიის" „ტობიდან" წარმოშობის შესახებ. ტობი ტბას ნიშნავს და, მაშასადამე, იბერია წყალთან დაკავშირებული ქვეყანა არის. ჩვენს კულტურასაც პროიბერიულ კულტურაში უდევს სათავეო.

ერთი კი ცხადია: წყალი ყოველთვის იყო გალაკტიონისათვის დაუოკებელი სიყვარულის საგანი; ისე აღიქვამდა, როგორც ცოცხალ არსებას.

სხვათა შორის, არც ის უნდა იყოს უინტერესო, რომ საკუთარ გვარს წყალს უკავშირებდა – აბა გაიხსენე: ტბა, ტაბაწყური, ტაბახმელა, ტბეთი, ტაბიძე... და ჩამოთვლას აგრძელებდა.

მოგვიანებით გალაკტიონის ნაუბარი მძაფრად ამოტივტივდა ჩემი მეხსიერებიდან. ენათმეცნიერებს, ვთხოვე კომენტარი. მათ არ გაიზიარეს გალაკტიონის მოსაზრება, მაგრამ ამჯერად ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. გალაკტიონისათვის მთავარი იყო პოეტური ასოციაციები და არა ეტიმოლოგიური სიზუსტე. მის მსჯელობაში წყლისადმი თაყვანისცემაც კი ჩანდა.

საერთოდ, რიონისპირა ჭალები და მდინარე ძლიერ იზიდავდა გალაკტიონს. დილიდან საღამომდე წყალში ეყარნენ ბიჭები. დასილულ მორებს იღებდნენ, ცურვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შეიკრიბებოდნენ ბიძაშვილები, პროკლე, გერასიმე, აკაკი, გალაკტიონი და ტიტე. მოხსნიდნენ ნეკერჩხლის ძირზე მიბმულ ნავს და ხვილიფში გავიდოდნენ. კუნძულზე მაყვალს კრეფდნენ, წკნელს ჭრიდნენ, ლაქაშისაგან კარვებს აგებდნენ, ხეებზე დაცოცავდნენ და ხავსის ბურთს დასდევდნენ. ეს იყო ჰარმონიული შერწყმა ბუნებასთან, ბავშვობის ყველაზე საამო დღეები, რომელთაც აღტაცებით იგონებდა სახელგანთქმული პოეტი.

– გიბანავია წვიმიან ამინდში? – მკითხა ერთხელ გალაკტიონმა. – ზაფხულის წვიმა კენკავს მდინარის პირს. უცნაური შეგრძნებაა. თითქოს გაორებული ხარ. რიონი თბილია. მთელი ტანით გრძნობ სილბოსა და სიამეს. სახეზე კი გამაღიზიანებლად გჩხვლეტს

წვიმა. ხსნა ერთია – უნდა დაყვინთო. შენც ასე იქცევი და კვლავ გრძნობ მთლიანობას.

სხვათა შორის, გალაკტიონის მოგონებებში მოვლენათა პოეტური შეფასება მძლავრობს. ზოგიერთები, როცა ბავშვობას იხსენებენ, ჭარბად იყენებენ დიალექტს, რაც წარსულთან მიახლოების მიზნით ხდება. გალაკტიონი იშვიათად მიმართავს ამ გზას. მისთვის მთავარია არა საგანი თავისთავად, როგორც განყენებული ერთეული, არამედ როგორც პოეტური ასოციაციის წყარო და ფართო განზოგადების საფუძველი.

რა თქმა უნდა, მის ლექსებში გვხვდება იმერიზმები. მაგრამ მათი ფუნქცია კოლორიტის ჩვენებით არ შემოიფარგლება. ისინი პოეტის განცდა-განწყობის რელიეფურად გამჟღავნებას, ბგერის ესთეტიკას თუ ფრაზის კეთილხმოვანებას ემსახურება.

პატარა გალაკტიონისათვის დღესასწაული იყო ბაზრობაზე წასვლა. დილაადრიან მოჯამაგირე ურემს გამართავდა. პროკლე და გალაკტიონი კოფოზე დასკუპტებოდნენ. უკან დედა მოკალათდებოდა და გაუყვებოდნენ სამტრედიის გზას. ბაზარში მილეთის ხალხი ირეოდა. ყაფანში სიმინდი, ღომი და ლობიო იყიდებოდა. მეორე მხარეს ხილი იყო დახვავებული. მოშორებით წნელით ფეხებშეკრული გოჭები ყვიროდნენ. მეთუნეებს თავიანთი ნახელავი გამოეფინათ. ყავრის საპალნეზე ჩამომსხდარი მთიელები მუშტრებს ელოდნენ. დუქნების წინ, ვიწრო დახლებზე წულები და ნაირფერი ქსოვილები ელაგა. სამიკიტნოდან ხარჩოს დამათრობელი სურნელი და არღნის ტირილის ხმა მოდიოდა. საქონლის სიუხვე და ნაირგვარობა თვალს ჭრიდა გალაკტიონს. მისთვის ნიშანდობლივი თვისება – საგნების მიღმა მოვლენების ჭვრეტა – ამჯერადაც ძალუმად მჟღავნდებოდა. ამიტომაც კიდევ უფრო საინტერესო ჩანდა ბაზარი.

ერთხელ დედამ მეურმე გააფრთხილა – ბაზრის შესავალთან დამელოდეო. ბიჭებს ხელი ჩაჰკიდა და რკინიგზის სადგურში მიიყვანა. უზარმაზარი ცეცხლის ეტლი ქშინავდა და ნაპერწკლებს ისროდა. გადაბმული ოთახებიდან ხალხი ჩამოდიოდა. ბიჭები გაოცებული შესცქეროდნენ ორთქლმავალსა და ვაგონებს. დედა უხსნიდა, რომ ამ ლამაზ სახლებს ადამიანები ქალაქიდან ქალაქში გადაჰყავს. შთაბეჭდილება უზარმაზარი იყო. გალაკტიონს ოცნებად გადაექცა მატარებლით მგზავრობა.

ყმაწვილი ყველაფრისადმი დიდ გულისყურს იჩენდა, ღრმად იბეჭდავდა გონებაში ცხოველ სურათებს, ეპიზოდებს. ბევრ რამეს გულით ეცნობოდა. თავიდანვე ამჟღავნებდა აპერცეპციის ნიჭს.

ზამთარში, როცა გრძელი ღამეების მოსაკლისება ჭირდა,

სახლიკაცები ხან ერთთან იკრიბებოდნენ, ხან მეორესთან.

ღადარში კვახი იწვებოდა. ოთხფეხა დაბალ ტაბლაზე არყით სავსე ჩარეჭიანი ბოთლი ყელყელაობდა. მჭადი და ყველი, ზოგჯერ დიასახლისი მჟავე კეჟერა მხალს შემატებდა ხუფრას და გაგიხარიან...

პატარები კერიის ერთ მხარეს ჩაცუცქდებოდნენ. ხის კოვზით, უფრო ზუსტად, გათლილი ყავრის ნატეხით კვახის გულს ფხეკდნენ და უფროსებს უსმენდნენ.

სხარტ გამოთქმებს,აფორიზმებს გონებაში იბეჭდავდა პატარა გალაკტიონი.

– ნალდი წვიმა ისაა,თავსაგირგალში რომ გაატანს და სარის წვერს დაასველებს.

– ვაშლი მტერს დაუბელე,მსხალი კი მოყვარეს.

– გაზაფხულზე თუ რიონმა გადმოიარა, გვეშველება; ღრმა ხნულის გავლება არ მოგვიწევს.

– ყანა რომ გაგიმეჩხერდეს,ბელელს ჭერი აუმაღლეო.

– პეტრიას ფიცრები დაკრილვია. აბა, რა ეგონა, ახალ მთვარეზე რომ მოჭრა ხეები. და ა. შ. და ა. შ.

ეს იყო თავისებური სკოლა,ბუნების საიდუმლოების შეცნობა, ხალხურ სიბრძნესთან ზიარება.

გულიანად ხარხარებდა პატარა გალაკტიონი, როცა წლებმოყრილი მამაკაცების ცოცხალ ტყუილს ისმენდა. ამ მხრივ მართლაც შეუდარებელი იყო ევგენი ტაბიძე.

ერთხელ ასეთი რამ მოყვა:

– ამას წინათ ჩემი ნაცნობი პრისტავი დავპატიჟე სათევზაოდ. იმ მამაცხონებულს არყის წრუპვა უყვარს. ეს ქე იცით ყველამ. ჰოდა, ჩემი ორნახადით სავსე კვარტი ჩავაცურე აბგაში. ვიდრე ბადეს გავშლიდი, შევეკითხე: – ხომ არ გადაგვეკრა-მეთქი. თვალები გაუბრწყინდა. დავუსხი,გადახუხა და გაცოფდა კაცი. – უჰ... მიშველე! – იძახის და ხელს მიშვერს. მე კი დასაყოლებელი შინ დამრჩენია. რა გზა ჰქონდა საწყალს. მოიღლიტა მუნდირიდან სპილენძის ღილი და გადაუძახა ჟანგიან ხახაში. მეორეც მიაყოლა. ამოისუნთქა, ძლივს გადავრჩიო...

მაგი რაა, ყვება მეორე...

გალაკტიონს იზიდავდა მოზრდილთა საზოგადოება. ალბათ იმიტომაც, რომ უფროსთა სიახლოვეს უხვ და საინტერესო ინფორმაციას კენკავდა.

ერთხანს გიგო ტაბიძეს მიეკედლა. მიზეზიც ჰქონდა. ეს კაცი პატარა თავით, მოკლედ შეჭრილი ხშირი წვერითა და ტუნუკის მსგავსი სამოსით აიეტის ამალას ჩამორჩენილ მხედარს მიაგავდა. ბევრი რამ იცოდა გიგომ,მაგრამ სათქმელს ბოლომდე

არასდროს ამბობდა, ეს კი ძლიერ აღიზიანებდა ცნობისმოყვარე ყმაწვილს.

ერთხელ, როცა გალაკტიონი სოფლის ამბებს აცოცხლებდა, გიგოც გაიხსენა:

— უცნაური კაცი იყო. ირიბად გახედავდა ქოხის კარს და იტყოდა: „ხვალ წვიმა იქნება". ან ხელს გადაუსვამდა თოხის ტარს და მეუღლეს გასძახებდა: „ქალო, სარეცხს მიხედე, გაწვიმდება".

მისი დიაგნოზი არასდროს გაცუდებულა. ვერაფრით მივაკვლიე გასაღებს და ჯადოქრობაც კი დავწამე.

კარგად მახსოვს: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი. არდადეგებზე სოფელში ჩავედი. უკვე ბევრი მქონდა წაკითხული და გააზრებული. გიგოს გულთმისნობა კი კვლავ გამოცანად რჩებოდა.

სანახავად გადავედი. მომესიყვარულა. მეც გავთამამდი და ვკითხე:

— ბიძია გიგო, თქვენი ბარომეტრი ისევ მუშაობს?

— ბარომეტრი რაია?

ავუხსენი და მზერა თოხის ტარზე გადავიტანე.

— აბა, ჩამოჯექი,— თქვა და ყალიონში სურნელოვანი თუთუნი ჩატენა.

— თოხის ტარი ბეოლისაა. ხის გულს ცილაც გაჰყვა. ცილა კი სწრაფად იყლინთება ნესტით და ტარიც ოდნავ იღუნება. ახლა კარსაც დაუკვირდი. ბაძოები მუხისაა, ფიცარი ცაცხვის. ცაცხვი ადრე გრძნობს ტაროსის შეცვლას და იფრანგება...

სოფელი ბრძენი ხალხით იყო სავსე. ხუმრობა უყვარდათ. ზოგიც ისეთ კვიმატ სიტყვას გტყორცნიდა, ხერხემალში გადაგტეხდა. ბევრი ხატოვნადაც მეტყველებდა.

ერთხელ ცაცხვის ქვეშ შეკრებილთ ლევარსი ბალდავაძე შემოუერთდა. შეფერთხილი ჩანდა. რა დაგემართაო, შეეკითხნენ.

— ეჰ, ტილი უკვე ჯურთან მიცოცდა. — თქვა და ხელი ჩაიქნია.

ვერაფერი გავიგე. მერე დედამ ამიხსნა: გლეხკაცის აზრით, ადამიანს დაბადებისთანავე ფეხზე ტილი შეაღოლდება. მერე თანდათან მიცოცავს ზევით და როცა ყურში შეძვრება, სიცოცხლესაც წერტილი დაესმება.

გალაკტიონი ხშირად იხსენებდა ივანე ბერეკაშვილს, რომელსაც სოფელში სწავლული კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ლექსებსაც წერდა თურმე. იგი დუქნების ზემოთ, ქვაჩაყრილის მახლობლად ცხოვრობდა. უყვარდა ჭიშკართან კოპიტების ჩეროში ჯდომა და გამელელ-გამომველელთან შეხმიანება. უამრავი ლექსი, ანდაზა, გამოცანა იცოდა. ეშმაკურად მოწკურავდა თვალებს და იტყოდა:

ერთ ალაგსა თესლი ვთესე, მწვანით იყო შემოსილი,
შევყავ ხელი, ამევიღე, ეკლით იყო შემოსილი.

— აბა, ვინ გამოიცნობს?

და იწყებოდა ბავშვების ჟივჟივი. ბოლოს ხელს აწევდა და სიჩუმეში ძახილი ნიშანივით გაისმოდა: — კიტრი!

გალაკტიონმა მოიგონა: — ერთხელ ასეთი გამოცანა გვითხრა:

გეკითხედე, — შავი იყო, მიეედი და მკვდარი იყო;
ფეხში ხელი წავატანე, ნაცოხარი ამეიღო.

— მაკრატელი! ყველას დავასწარი მე.

თავზე ხელი გადამისვა და ატმები მაჩუქა.

სხვათა შორის, ეს ივანე ბერეკაშვილი ცნობილი მთქმელი გახლდათ. მისი რეპერტუარის ერთი ნაწილი, დაფიქსირებული ბ. ბახტაძისაგან, პეტრე უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაშია“ შეტანილი.

ბევრი, ბევრი რამ იყო საგულისხმო და მნიშვნელოვანი. ბავშვობაში ერთ-ერთი გაქცევის ჟამს, მახსოვს, 1905 წლის ამბებს იხსენებდა, თხრობა მოულოდნელად შეწყვიტა და

— მოდი, დაწერე ჩვენი სოფლის ისტორია.

მივხვდი. ეს მოწოდება კი არ იყო, არამედ წუხილი, რომ თავად ვერ მოიცალა ამისთვის. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მისი პოეზია ხომ ჭყვიშის ისტორიაცაა. ვეჭვობ, სხვამ უკეთ შესძლოს ამ სოფლის წარმოჩენა.

მაკრინეს ღმერთი სწამდა და რელიგიურ წესებსაც ზუსტად იცავდა. მაგრამ შორს იდგა ფანატიზმისაგან. დედამ ლოცვები შეასწავლა შვილებს, ხშირად შეახსენებდა ათ მცნებას. უხაროდა, როცა მისი ვაჟები მღვდელს ღვთისმსახურებაში ეხმარებოდნენ. მაგრამ შვილების აღზრდისას მხოლოდ რელიგიას არ ეყრდნობოდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას, ისტორიას და განსაკუთრებით მიმდინარე ცხოვრებიდან აღებულ მაგალითებს.

დედა გვერდით მოისვამდა ბიჭებს და ზღაპრებს, თქმულებებს, ლექსებს უამბობდა, წიგნებს უკითხავდა. გალაკტიონს დიდ სიხარულს ჰგვრიდა „კვალისა“ და „ჯეჯილის“ ნომრების ფურცვლა. ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე წერა-კითხვას ისწავლიდა, იგი გაფაციცებით დასცქეროდა „ჯეჯილის“ თავფურცელს: ჩიხტიკოპით მორთულ ლამაზ ქალს ბავშვები შემოხვევია. პატარები ფარდაგზე სხედან. ერთი კალთას ჩაბღაუჭებია. ორნი კიდევ უკან დგანან. დედას წიგნი გადაუშლია და პატარებს უკითხავს. შორს მთებია. მაღალ მწვერვალზე კოშკი ჩანს. მდინარე, ყვავილები... ეს ყველაფერი წარმოსახვას უმძაფრებდა

და სიამეს ჰგვრიდა ყმაწვილს.

ასევე ხიბლავდა „კვალის“ სატიტულო წარწერა, ნახატი სათაური. ამ სურათზე ბევრი რამ არის გამოსახული. წინა პლანზე გუთნეული ჩანს, უკან – სასახლე, უფრო შორს – მთაზე აღმართული ციხე-დარბაზი. მარჯვნივ ზღვაა აფრიანი ხომალდით. ნაპირს რკინიგზა მიჰყვება, რომელიც გვირაბში იკარგება. მხარმარცხნივ ნაკადული მოჩუხჩუხებს. მთის ძირას გზა მიიკლაკნება. კორდზე მონასტერია. შორს დათოვლილი მწვერვალები და ამომავალი ცხრათვალა მზე ჩანს.

გალაკტიონს საათობით შეეძლო ეცქირა ამ სურათებისთვის. მის თვალწინ ზღაპრული ქვეყანა ცოცხლდებოდა. ფანტაზია შორს მიაქროლებდა. მერე ნომრებს ფურცლავდა და დედას კითხვებით არ ასვენებდა:

ეს კაცი ვინ არის?

– ბაგრატ დიდი!

ესა?

– ივანე კერესელიძე!

ესა?

– ფერდინანდ ლესპესი!

ესა?

– ეიფელი და ა. შ.

წერა-კითხვა დედამ ასწავლა. ნელა და ლამაზად გამოჰყავდა ასოები. წერდა სილაზე, ნაცრით დაფარულ კერიაზე, ქაღალდზე და უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ჩამწკრივებული ასოების ცქერა. სწორედ ამ დროს გაჩნდა ოთახის კედელზე პირველი დიდი წარწერა: „ეს ოთახი ეკუთვნის გალაკტიონს“.

ერთხანს სოფლის სკოლაში დადიოდა. ეს პატარა ფიცრული სახლი ტაბიძეების ეზოს ყურეში იდგა. ყოველდღე წკრიალებდა ზარი და გალაკტიონი სიხარულით გარბოდა სკოლისაკენ. ყველას სჯობდა წერასა და კითხვაში, ბევრი ლექსი იცოდა და გაკვეთილებზე თამამად გრძნობდა თავს.

სოფლის სკოლას ცოდნის თვალსაზრისით ბევრი არაფერი მიუცია ყმაწვილისათვის, მთავარი ის იყო, რომ საზოგადოებაში ყოფნასა და წესრიგს შეაჩვია.

იმ მცირე მოგონებებიდან, რომლებიც თავისუფალია საიუბილეო განწყობილება-ზეწოლისაგან და სინამდვილით გამოირჩევა,აღსანიშნავია უფროსი ძმის – პროკლეს მონათხრობი. პატარა გალაკტიონი გაუბედავი ყოფილა, თუმცა ამას ნაკლებ ამჟღავნებდა. უყვარდა თავის გამოჩენაც. ტოლ-ამხანაგებში პირველობას ჩემულობდა და, როცა ეს არ გამოუვიდოდა, ჩუმად ჩამოსცილდებოდა მოთამაშეებს. შინაურობაში მომთხოვნი

და ჟინიანი ყოფილა. რამ განაპირობა ხსენებული თვისებები? ეს საგანგებო შესწავლის საგანია. ერთი კი ცხადია, უმამობა, სიღარიბე და მარტოობა ანაბეჭდს ტოვებდა ბავშვის სულში.

გალაკტიონს გადაუფურცლავი არ დარჩენია სპოჯახო ბიბლიოთეკის არც ერთი წიგნი. შეეძლო მთელი დღე ჩაკეტილიყო პატარა ოთახში და თავაუღებლივ ეკითხა. სჩვეოდა ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა,. ეს იყო უბედნიერესი წუთები, საათები. ყმაწვილი სხვათა სიხარულითა და წუხილით ცხოვრობდა. მოგვიანებით წერდა: „კვალის" იმავე წლის ნომერში მე შევხვდი მშვენიერ წერილს ქრისტეფორ კოლუმბის მოგზაურობისა და ამერიკის აღმოჩენის შესახებ. პირველად იქიდან გავიგე, თუ რატომ არა ჰქვია ამერიკას მისივე აღმომჩენელის კოლუმბის სახელი, არამედ მეორე მოგზაურის ამერიგო ვესპუჩის სახელი, რის გამო <u>ცრემლებსა ვღვრიდი</u> კოლუმბის საზარელ ბედზე, ესპანეთის დედოფლის იზაბელას გულგრილობაზე"[1].

ამ ციტატიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები. აქ ჩანს გალაკტიონის მთრთოლვარე ბუნება. არაფერი ავიწყდებოდა და ათეული წლების შემდეგ ამოტივტივებულ ძველ სურათებს პირვანდელი სიძლიერით განიცდიდა.

მახსოვს: სამკურნალო კომბინატში იწვა. მესამე და მეოთხე სტუმრობისას დიმილით შემხვდა. კრიზისს გაევლო და კარგ გუნებაზე იყო. მაგიდაზე დიკენსი ედო. წიგნით ჩემი დაინტერესება რომ იგრძნო, ტომი ხელში აიღო და თქვა:

– ახლახან მომიტანეს.

მერე თვალები მოწკურა და მკითხა:

– ვინ არის დიკენსის რომანების მთავარი გმირი?

ვიგრძენი, ეს გამოცდა არ იყო. საერთოდ, არ მახსოვს, რომ მახლობლებთან გალაკტიონს ოდესმე ეცადოს საკუთარი უპირატესობის ხაზგასმა-დემონსტრირება (განათლებისა და ნაკითხობის სფეროში). ყოველთვის თავმდაბალი და სადა იყო.

ამჯერადაც მისთვის ჩემი პასუხი კი არ იყო არსებითი, არამედ საკუთარი დაკვირვების გამჟღავნება. ამიტომაც პასუხს არც დალოდებია.

– ცეცხლი, ცეცხლი, ჩემო ნოდარ!

ოდნავ თეატრალურად წარმოსთქვა და ვრცელი ნაწყვეტიც მოაყოლა რუსულად. კიდევ ორიოდე მაგალითი გაიხსენა და ჩაფიქრდა.

<u>მინდოდა</u> მისივე სიტყვები გამემეორებინა: „დიკენსის

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 333.

გმირებივით ცეცხლთან ჩაფიქრება". მაგრამ გალაკტიონს ჩემთვის არ ეცალა. იგი ბოლთას სცემდა და ძველ შთაბეჭდილებებს აცოცხლებდა. ეს უდიდეს სიამეს გვრიდა.

მივხედოთ ძირითადს.

დედას ძალზე კარგად ესმოდა განათლების მნიშვნელობა. უსწავლელი გალაკტიონი დაიჩაგრებოდა. მეორე მხრივ, იმასაც გრძნობდა, რომ ორი შვილის გაზრდა ქუთაისში მარტოხელა ქალს ძალზე გაუჭირდებოდა. ბიჭების შორს ყოფნა კიდევ უფრო ჩაამუქებდა მის ერთფეროვან ცხოვრებას; მარტოობა და სევდა დაულრღნიდა გულს, მაგრამ მსხვერპლის გაღება აუცილებელი იყო და გალაკტიონიც ქუთაისის გზას გაუყენა.

დამთავრდა ტკბილი და უდარდელი ბავშვობა.

„მდინარე ლურჯი
და დილის ცვარი...
ჭალა,
რიონი,
ნავი,
ბელტები.
ნუთუ არასდროს იმგვარად
აღარ ამეტყველდები.
ოჰ,
ჩემო კარგო
მშვიდო ბავშვობავ,
დავსცხრე სჯობია...
მდინარე ლურჯი
და დილის ცვარი".

აქვე უნდა ითქვას, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებები, პატარაობისას მოსმენილი და განცდილი თავს იჩენს პოეზიაში. ყრმა გალაკტიონი დამსწრე და ხშირად მონაწილეც იყო შაბათ-კვირაობით გამართული ლხინისა,რომელიც ეკლესიის გალავანში იმართებოდა. აქ სიმღერასა და ცეკვა-თამაშს გაშაირება თუ საინტერესო ამბების თხრობა ენაცვლებოდა. გალაკტიონს არა ერთი ხალხური ლექსი და თქმულება მოუსმენია, რომელთა უმეტესობას ხანდაზმულობის ჟამსაც ზუსტად იხსენებდა. ფოლკლორმა თვალსაჩინო გავლენა მოახდინა გალაკტიონზე. ხალხურობა, უპირველეს ყოვლისა, ხალხის სულისკვეთების, მისწრაფების, მისი აზრისა და ფსიქოლოგიის გამჟღავნებაში გამოიხატება. და თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ გალაკტიონის შემოქმედებას, იგი უთუოდ გამორჩეულია. მაგრამ ამასთანავე გალაკტიონის პოეზიაში უხვად გვხვდება ხალხური მოტივები, სახეები, ცალკეული გამონათქვამები და ა. შ. ამ მხრივ

აღსანიშნავია „ქართული სიმღერები“, რომელსაც ბავშვობის დროინდელი, სოფლური შთაბეჭდილებები უდევს საფუძვლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქალსა კაბა შეუკერავს.
მას ნიავი სხივით ფერავს.
მაგრამ კაბა ვერ ჩაუცვამს,
დამიძახეთ, მე გიშველით,
ხომ ვერ იქლი ტანშიშველი?“

ან კიდევ:

„ქალმა თქვა, რომ ვერ წავყვები
ვერც აზნაურს, ვერც თავადებს:
არც ვაჭრებს არ ვეთანხმები,
ათასნაირ ვალს დამადებს.
მე წავყვები გომართელსა,
წამალს მომცემს, მომარჩენსა“.

შაირები ცნობილ ექიმსა და ლიტერატორზე, ივანე გომართელზე, როგორც ტიციან ტაბიძე აღნიშნავს, ძალზე გავრცელებული ყოფილა ჭყეიშში. მათ ყოველ ჯარიანობაზე მღეროდნენ ცაცხვების ქვეშ თავმოყრილი გოგოები.

გალაკტიონიც მოცემულ შემთხვევაში ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებებიდან ამოდის.

ასე რომ, ყრმობისას გალაკტიონმა ბევრი რამ შეიმეცნა, რაც შემდეგ ლექსთა საფუძველი თუ ასოციაციის საბაბი გახდა.

დამატებით ერთ გარემოებაზე გავამახვილებ ყურადღებას. როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონის ეზო სასაფლაოს ეკვროდა.

დილით სამარის გაჭრას იწყებდნენ. ზოგჯერ ბარს თავის ქალა და ვერცხლის სამკაულები ამოყვებოდა. გულგრილი მესაფლავენი იზომებდნენ კიდეც ზემოთ ამოყრილ ბარძაყის ძვლებს. მერე ღვინიან ხელადას მოიყუდებდნენ და ყოფნა-არყოფნის საკითხებზე მსჯელობდნენ. ამოზვინულ მიწასთან ჩაცუცქული ბიჭები გაფაციცებით უსმენდნენ უფროსებს.

ნაშუადღევს პროცესია წივილითა და მოთქმით უახლოვდებოდა სასაფლაოს. ზარი თანდათან ძლიერდებოდა. მიცვალებულის ნათესავები სახეს იხოკდნენ. მერე მღვდელი კვლავ აღავლენდა ლოცვას და კუბოს ნელ-ნელა ჩააცურებდნენ სამარეში. ყრუდ მოისმოდა ფიცარზე ბელტების დაცემის ხმა. ეს წუთი გამანადგურებელი იყო. ნახევარ საათში სასაფლაო ცარიელდებოდა და გულისმომკვლელი სიჩუმე ისადგურებდა. სწრაფი კონტრასტი აცოფებდა ყმაწვილს. თავდაპირველად შიში და ძრწოლა ეუფლებოდა. მერე გონებას ძალას ატანდა და მოძალებულ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობდა.

ყოველ შაბათ-კვირას მეორდებოდა ეს სცენები. კაცმა რომ თქვას,ამ გარდაუვალობას თითქოს უნდა შეგუებოდა გალაკტიონი.

მაგრამ ასე არ მოხდა. იგი ყოველ ზარს ავადმყოფურად განიცდიდა. უფრო მეტიც, ბავშვობის დროინდელი შთაბეჭდილებები ღრმად ჩაბეჭდოდა გონებაში, ხშირად ტივტივდებოდა და არა მხოლოდ ძველ სევდას აახლებდა,არამედ უცნაურ ფიქრებსაც წარმოშობდა, პოეტური განზოგადების სურვილს ბადებდა.

„არ არის რამე უფრო მტანჯველი,
როდესაც კუბოს მიყვები ქარში;
„დარჩი“,– ქვითინებს ჰაერში მარში,
მაგრამ ვერავის ქვეყნად ვერ შველი;
ეს იყო მაშინ, ეს იყო მაშინ,
როცა მე ბავშვი ვიყავ“[1].

ნამდვილად არ არის შემთხვევითი გალაკტიონის შემოქმედებაში სასაფლაოს ხშირი ხსენება. ეს ნაწილობრივ ყრმობისდროინდელ შთაბეჭდილებებთანაც არის დაკავშირებული.

და მაინც: ყმაწვილის ცხოვრებაში გაცილებით მეტი იყო კაშკაშა დღეები, ვიდრე დათალხული. ამიტომაც ამბობს: „მე მქონდა ძალიან კარგი, უდარდელი ბავშვობა“[2].

გალაკტიონიც თავისი ბავშვობიდან მოდის. სამყაროს ხილვა, პირველი შთაბეჭდილებები მძლავრია. მახსოვრობას შემორჩა უკონტურო და უწახნაგო სურათები – აღსავსე მხიარული ფერებითა და მოციმციმე წერტილებით.

ბავშვობის წლები გალაკტიონისთვის ბუნებასთან შერწყმისა და უზრუნველობის ხანა იყო, რომელმაც გაუხუნრად შეინარჩუნა ეს თვისებები და შემდეგში მგოსნის ცხოვრების სხვა პერიოდებთან შეპირისპირების საფუძველი გახდა. ბავშვობა, როგორც დაკარგული ბედნიერება, სევდის ერთ-ერთ მიზეზადაც იქცა.

„გაფრინდა ბავშვობის დღეები,
მინდვრები, ჭალები, ტყეები.
უეცრად მოვიდა შავებით
სხვა ბავშვი შორეულ დაბიდან.
მწუხარე ფერხულში ჩავებით
და თვალი ცრემლებმა დაბინდა.
ბალახი, მდინარე, ხეები,
დღეები, ბავშვობის დღეები“[3].

არიან შემოქმედნი, რომელთათვის მიუღებელია გარემომცველი სამყარო, ამიტომაც განილტვიან მისგან. ზოგი ისტორიულ წარსულში ინთქმება, ზოგიც იდეალურ მერმისს შეფოფინებს, ზოგი კიდევ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 284.

[2] გ. ტაბიძე,. თხზ., ტ. XII, გვ. 277.

[3] იქვე, ტ. I, გვ. 297.

ბავშვობაში გარბის. მაგრამ აქ ერთი საშიშროება ჩნდება, რომელსაც ბევრი ვერ აღწევს თავს. ეს არის ცხოვრების მიამიტურ, ბავშვურ სამყაროდ წარმოსახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონთან სხვაგვარადაა. „დღენი მშვენიერი სიყმაწვილისა“ არსებულს კიდევ უფრო მძაფრად და კრიტიკულად შეაცნობინებს; არცთუ იშვიათად ისინი ფილოსოფიური ჩაფიქრების საბაბი ხდება.

„მე ვიგონებ ვნებას სიყმაწვილის დროს,
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“

- -

„შემოსილნო გამჭვირვალე ბლონდებით,
ყრმობის ქარნო, ნეტა რად მაგონდებით?“



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 15.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 343.

„ქუთაისო! მშვენება შენი“

„ამ დღეებს მისდევს ჩუმი განდობა,
ფერფლდება თვალთა ბანოვანება
და ასე მჭკნარი ახალგაზრდობა
ნუთუ არავის არ ენანება?“

გალაკტიონი

1900 წელს გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში ჩარიცხეს. ამ სკოლაში გატარებული წლები სავსეა შუქ-ჩრდილების მონაცვლეობით, მოლრუბლული დღეებითა და არცთუ ხანმოკლე ფეიერვერკებით. ეს არის ფიქრისა და ძიების, მოპოვებისა და გადასინჯვის პერიოდი. ეს არის სამყაროსათვის თვალის გასწორების ხანა.

დრომ ბევრი წაიღო. ახლა ჭირს არათუ მეორეხარისხოვანი, არამედ ზოგიერთი არსებითი ვითარების,სიტუაციის გაცოცხლება, მაგრამ რვა წლის ეპოპეისათვის თვალის გადევნება მაინც ძალგვიძს;

მით უფრო, რომ ჩვენს მიერ მიკვლეული მასალები ამ მხრივ ფრიად მეტყველი აღმოჩნდა.

კარგად გვესმის, რომ სასულიერო სასწავლებელზე მსჯელობისას საგანგებო სიფრთხილე გვმართებს, რადგან მისი მიზანი და კონკრეტული შედეგი არცთუ იშვიათად განსხვავებულია. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან არაერთმა გაავლო კვალი სამამულო კულტურისა თუ მეცნიერების სფეროში. ცხადია, ეს სხვადასხვა ძალის გადაჯაჭვის შედეგია, მაგრამ ვერც იმას დავივიწყებთ,რომ სასულიერო სასწავლებელი მაორგანიზებელი ბირთვის როლს ასრულებდა.

. რას წარმოადგენდა ამ პერიოდის ქუთაისი?

ვინც ჩვენი ერის ისტორიას იცნობს, მისთვის აშკარაა, რომ XX საუკუნის დამდეგის ქუთაისში მძლავრად სცემდა კულტურული ცხოვრების ძარღვი. ეს პატარა საგუბერნიო ქალაქი,ერთი შეხედვით,უმნიშვნელო და მიყუჩებული,არსებითად ტონს აძლევდა ქართულ საზოგადოებრივ აზრს. ამისი ხაზგასმა აუცილებელია, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას იმ გარემოზე,რომელშიაც გალაკტიონს მოუხდა ცხოვრება.

ვიწრო ქუჩები. ეზოებიდან გამოქცეული კაკლის ხეები და ბრიწეულებით ახანძრებული ღობეები, ქვაფენილებში

გალაკტიონის ადრინდელი ჩანახატები

ამოზრდილი ბალახი და დახვეტილი ჭიშკრის წინა მოედნები. ერთი ნიჭიერი რუსი ლიტერატორის სიტყვებით რომ ვთქვათ, XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის სახლები რეალისტური იქნებოდნენ თეატრისათვის, მაგრამ ქალაქისათვის კი მეტისმეტად თეატრალურნი იყვნენ.

მწვანეში ჩაფლული შემოგარენი სოფლურ იერს აძლევდა ქუთაისს, თანაც რომანტიკულს. უცხოს შეიძლებოდა ისეთი შთაბეჭდილებაც კი შექმნოდა, რომ ქალაქი საკუთარ ნაჭუჭშია ჩაკეტილი. მაგრამ საკმარისი იყო დაკვირვებით გაცნობოდი მის ყოფას, რომ გეგრძნო მფეთქავი პულსი. ქუთაისის მკვიდრნი მსოფლიო ცხოვრების ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი და დიდ მიზნებს ისახავდნენ. ქუჩებსა და ბულვარში ხშირად შეხვდებოდი ევროპამოვლილ დარბაისლებს, პეტერბურგისა თუ მოსკოვის უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს; ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსა და მაღალი ჩინის მოხელეებს.

ამ დროს ქალაქში მრავალი გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა. იბეჭდებოდა წიგნები და ბროშურები. გახსნილი იყო სამკითხველო-ბიბლიოთეკები (ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ კ. ბალმონტი აღტაცებული დარჩა ქალაქის ბიბლიოთეკით). ასე რომ, დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ მსოფლიო ლიტერატურის განვითარებისათვის ედევნებინათ თვალი. ქუთაისში მძლავრი თეატრალური კოლექტივი მოქმედებდა. ქალაქში მრავლად იყო სკოლები: სასულიერო სასწავლებელი, სათავადაზნაურო და კლასიკური გიმნაზიები თუ სხვა.

არსებითი მაინც ის არის, რომ ქუთაისს, განსხვავებით ბევრი სხვა ქალაქისაგან, არა იმდენად მრეწველნი და ვაჭარნი აძლევდნენ ფერს, რამდენადაც ინტელიგენტები. აქედან გამომდინარე, მოწინავე ახალგაზრდებში კულტურული ინტერესები მძლავრობდა.

ვერც იმას დავივიწყებთ, რომ მოვლენების სწრაფი მონაცვლეობა ნაკლებად შეიმჩნეოდა და ქუთაისელებიც ღრმად და საფუძვლიანად ითვისებდნენ იმას, რაც ქალაქში ხდებოდა. ერთი სიტყვით, ქალაქის რომანტიკული სახე და მძლავრი ინტელექტუალური ცხოვრება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა პოეტური აფეთქებისათვის.

პატარა გალაკტიონს გაუჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება, მაგრამ დედა გვერდით ჰყავდა და ამხნევებდა. მაკრინემ ოთახი დაიქირავა არქიელის გორაზე და შვილებს თავს დასტრიალებდა. გალაკტიონს არ უძნელდება სწავლა. იგი დამოძღვრილ-დამუხტული მიდის სკოლაში. მან იცის, რომ ცოდნას უნდა ეზიაროს.

ეს არის მისი თავიდათავი მიზანი. ამიტომაც ჩაჭიროკიტების სახელმძღვანელოებს, თავს უფლებას ვერ აძლევს ან ნაკლებ აძლევს სასწავლებელში არსებული ხარვეზები განაზოგადოს. ამ პირველი მოსამზადებელი კლასის მოსწავლის რვეულებიც ბავშვური ხელით გამოყვანილი ლამაზი ასოები. გალაკტიონს კარნახში ერთადერთი შეცდომა მოსვლია და მასწავლებელს 4 პლუსით დაუწერია. მეორე ნამუშევარი 4-ზეა შეფასებული; ასევე მესამე და მეოთხე, ერთი ან ორი შეცდომა. გალაკტიონი ბევრითობს. პირველი საკლასო ნამუშევრები ავტორის ნიჭსა და გულისხმიერებაზე მეტყველებენ.

ვითარება თითქოს ნორმალურია, მაგრამ დრო და დრო სოფელი მოაგონდება და სევდა შემოაწვება. ახლა იქ კამურს ქარვის ფერი ედება,ბროწეული სიცილით კვდება. მიწა მოფენილია კომშითა და ვაშლით. ბიჭები ნიგვზობანას თამაშობენ.

დედას უჭირს შვილების მიტოვება,არადა სოფლად მეურნეობა ნადგურდება. ასე თუ გაგრძელდა, შიმშილით დაიხოცებიან. მაკრინე იძულებულია ჭყვიშს დაუბრუნდეს. გალაკტიონს უფროსი ვაჟის პროკლეს (აბესალომის) ანაბარა ტოვებს. მოიღრუბლა გალაკტიონი. უფრო განცალკევდა და მეცადინეობას უკლო. ზოგჯერ გაკვეთილის მომზადებაც კი ავიწყდება. შედეგმაც არ დააყოვნა. იგი III მოსამზადებელში ჩარჩა. გასაგებია,თუ როგორ ააფორიაქებდა ეს მარცხი ოჯახს,როგორ დაღრღნიდა გალაკტიონს. საჭირო იყო შინაგანი სიმტკიცე.დიდი ძალისხმევა, რათა ყმაწვილს სასო არ წარკვეთოდა, ხელი არ ჩაექნია სწავლაზე. გალაკტიონმა შესძლო წონასწორობის აღდგენა.

საერთოდ, პოეტის ცხოვრებაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ იგი უზარმაზარ ფარულ ენერგიას ფლობდა. არაერთხელ ჩავარდნილა ურთულეს მდგომარეობაში, ყოფნა-არყოფნის ზღურბლზეც მდგარა და გაჭირვებიდან თავდაღწეული სულ მოკლე ხანში ფენიქსისებრ განახლებული წარმოჩენილა.

საიდან ჩნდებოდა ეს ზებუნებრივი ძალა? რა აპირობებდა მკვდრეთიდან აღდგომას? ეს საგანგებო კვლევის საგანია. ჩვენ მხოლოდ ფაქტს ვაფიქსირებთ და იმასაც გავხაზავთ, რომ ცხოვრებამ პირველი მკაცრი გამოცდა სწორედ 1903 წელს მოუწყო.

დავუბრუნდეთ სკოლის პერიოდს.

გალაკტიონის კლასელი გენდი მიხელიძე იგონებს: „ქუთაისში ჩამოსვლის პირველ წლებში გალაკტიონი დიდად არ გამოირჩეოდა თავისი ამხანაგებისაგან, გარდა იმისა, რომ მას უყვარდა განმარტოებით დგომა. დაახლოებული ამხანაგები, მით უმეტეს მეგობრები, ბევრი არ ჰყავდა. მეტად გულჩახვეული იყო,

არ უყვარდა თავისი გულისნადების გამოაშკარავება, დადიოდა ნაფიქრებული, თითქოს რადაც დიდად აწუხებსო. წუხილით კი მართლაც აწუხებდა – თავისი ობლობა...“[1] ბავშვურად მგრძნობიარე და მოაზროვნე ყმაწვილს არ შეუძლია გულგრილი დარჩეს მიმდინარე პროცესებისადმი. გონებრივ მომწიფებასთან ერთად სკეპტიციზმი მატულობს. გალაკტიონი უკმაყოფილოა სქოლასტიკით, სასწავლებელში გამეფებული მკაცრი რეჟიმით, თავისუფლების მოტრფიალე სული ლაქვარდებისაკენ მიილტვის.

გალაკტიონს ახალი ინტერესები უჩნდება. მხატვრულმა ლიტერატურამ ზღაპრული სამყაროს კარი გახსნა და სახელმძღვანელოებმაც ფერი დაკარგეს, გახუნდნენ, გაფერმკრთალდნენ. შემონახულია პოეტის მოსწავლეობისდროინდელი რვეული, რომელშიაც ჩამოთვლილია 1905 წელს მის მიერ წაკითხული ნაწარმოებები. დასახელებულია 46 წიგნი. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჭაბუკი წაუკითხავს არ ტოვებს ქართულად გამოსულ არც ერთ მნიშვნელოვან თხზულებას. აქ ფიქსირებულია „ბეჟანიანი“, ნ. ბარათაშვილის „თხზულებანი“, დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“, ა. წერეთლის „ნათელა“,„თორნიკე ერისთავი“,თხზულებათა I ტომი, ი. გოგებაშვილის „საარაკო თავგადასავალი...“, „ასპინძის ომი“, „მოსავლის მცველნი“,„ხატის მიზეზით“, ა. ყაზბეგის „მოძღვარი“, „ციცია“ და სხვა, ნ. ლომოურის „ქაჯანა“, „ალი“, ანტონ ფურცელაძის „ვაი მართალთა“, „სამთა თავგადასავალი“, მელანიას „ბნელი“, მ. ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია“, 1893 წლის „კვალი“, სერვანტესის „დონ კიხოტი“ და სხვა.

გალაკტიონი ყოველთვის უღრმავდება წაკითხულს. ლოგიკურ დასკვნას აკეთებს და მსჯავრი გამოაქვს. მოკლე რეცენზიის წერა წესად შემოიღო. მაგალითად, ს. მგალობლიშვილის „ღამის მეცხრე ცეცხლ“ ასე ახასიათებს: „...უწინარეს ყოვლისა, მასში ხშირად შეხვდებით კუპლეტებს ბუნების აღწერილობისას, რომლის ასე მკვეთრად დახატვა, არ ვიცი, რომ ვინმემ შესძლოს. შესანიშნავია აგრეთვე ენა...“

გალაკტიონი აღტაცებულია ა. ყაზბეგის მოთხრობებით. სამაგიეროდ, იწუნებს ვოდევილს „დილა ქორწილის შემდეგ“. „ამასში ცხადად ჩანს ავტორის უხეირობა პიესების წერაში. მაინც და მაინც ჯერ არც „არსენა“ მოეწონება კაცს და „დილა ქორწილის შემდეგ“ ხომ მთლად.

აი როგორ აფასებს იგი 1906 წელს გამოცემულ ი. ევდოშვილის ლექსებსა და პოემებს: „ევდოშვილი სამართლიანად

[1] ჟურნ. „მნათობი“, 1962, №11, გვ. 174.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროსკ რენანი
ავტორი „ესოდენი ბიბლია"

ლევმონტოვი.
ბატონ შესანშეული ბოეტი.

ბალაკტიონის ნახატები

არის ნაწოდები „პროლეტარიატის მგოსნად“. მისი ჩანგი აგებულია ბედით ჩაგრულ დასთა ნიადაგზედ, ამასთანავე ძველი მწერლობის ზედგავლენობის მგოსანია ევდოშვილი; მისი პოემები „სისხლი აიღო“, „ელენე“, „ლეკი ისმაილი“ ნამდვილად მთიელების ცხოვრებიდან არის ამოღებული. ხშირად შეგხვდებათ მათში მთიულური ენა. ძველი მწერლების ზედგავლენითვე უნდა იყოს დაწერილი ლექსები: „ყორნის ბრალია“, „დედის მოთქმა“ და სხვები. შესანიშნავი არიან ლექსები: „ქარიშხალი“, „როცა ვარდს სძინავს“, „ჩემს მერცხალს“, „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ და სხვები.

გალაკტიონს მოკლე ანოტაციები შეუდგენია რუსულად წაკითხულ წიგნებზეც. ესენია: ა. პუშკინის „პუგაჩოვის ისტორია“, ლ. ტოლსტოის „აღდგომა“, ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები“, ჰ. იბსენის „ექიმი შტოკმანი“ და სხვა. ისინი რუსულადაა დაწერილი.

გალაკტიონი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მნიშვნელოვან აზრებსა და გამოთქმებზე. 1905 წელს დღიურში ჩაუწერია: „სადაც ხალხია, იქ კვნესაც არის“ (ნეკრასოვი). „ჩვენ უნდა ვშვათ ჩვენი მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“ (ჭავჭავაძე), „ყოველი წუთი თავისუფალი დროისა ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს“ (კონფუცი) და ა. შ. მხატვრული ლიტერატურა არა მხოლოდ აფართოებს გალაკტიონის თვალსაწიერს, არამედ სიტყვის ძალასა და ნიუანსს აგრძნობინებს, საკუთარი პოეტური ძალების გამოცდისაკენ უბიძგებს.

ამ პერიოდში გალაკტიონი გატაცებულია ხატვითაც. მის საკლასო რვეულებში ჩნდება მ. ლერმონტოვის, ი. ტურგენევის, ი. ჭავჭავაძის, მ. გურიელის, ი. ევდოშვილისა და სხვათა სახეები. ეს არის საქრესტომათიო პორტრეტების რეპროდუქციები. ზედმეტია საუბარი ორიგინალურ გააზრებასა თუ დეტალთა თავისებურებებზე. ხსენებული ფაქტი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ხაზს უსვამს ლიტერატურით გალაკტიონის საფუძვლიან გატაცებას. ამ პორტრეტებზე მუშაობისას მომავალი მგოსანი არა მხოლოდ ხელოვნის სახეს გამოკვეთს, არამედ მის შემოქმედებასაც იაზრებს და ლიტერატურისადმი თაყვანისცემას გამოხატავს.

გაცილებით საინტერესოა პეიზაჟები და კომპოზიციები, რომლებიც ლიტერატურულ ნაწარმოებთა ეპიზოდების, სცენების დასურათებას წარმოადგენს.

პატარა გალაკტიონს თხზვის შინაგანი მოთხოვნილებები უძლიერდება. დაგუბებული გრძნობა და აზრი სადინარს ეძებს და ჭრელდება ფურცლები ლექს-მოთხრობებით. იგი მთლიანად

შთანთქა სიტყვაკაზმულმა მწერლობამ. პოეტური ინტერესების გაღრმავებასთან ერთად გალაკტიონის აკადემიური წარმატებაც კლებულობს. რა თქმა უნდა, მხედველობაში მისაღებია სხვა გარემოება და მიზეზებიც. 1903-1904 სასწავლო წელი გალაკტიონმა ასეთი ნიშნებით დაამთავრა: საღმრთო სჯული – 3 1/2, რუსული ენა – 4/4 1/2, ქართული ენა – 3 1/2, არითმეტიკა – 4, სლავური საეკლესიო გალობა – 5, ქართული საეკლესიო გალობა – 4, სუფთა წერა – 4, ყოფაქცევა – 5.

ახალი სასწავლო წლიდან მდგომარეობა უარესდება. აი, ნოემბერ-დეკემბრის შეფასებანი: საღმრთო სჯული – 3, რუსული ენა – 4/4, ქართული ენა – 4, არითმეტიკა – 3, სლავური საეკლესიო გალობა – 4, ქართული საეკლესიო გალობა – 3, სუფთა წერა – 4, ყოფაქცევა – 4.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ ქართულ ენაში აღწევს წარმატების, დანარჩენ დისციპლინებში კი თითქმის ერთი ბალით ნაკლებს იღებს.

ახლა ვნახოთ, როგორ დაამთავრა გალაკტიონმა 1906-1907 სასწავლო წელი. საღმთო სჯული – 4, რუსული ენა – 4, ქართული ენა – 4, ლათინური ენა – 3, სამოქალაქო და საეკლესო ისტორია – 4, გეოგრაფია – 4, არითმეტიკა – 4, სლავური საეკლესიო გალობა – 4, ქართული საეკლესიო გალობა – 4. ეს ძალზე კარგი ნიშნებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1906 წლის ნოემბერ-დეკემბერში არითმეტიკაში – 2, რუსულ ენასა, გეოგრაფიასა და სლავურ საეკლესიო გალობაში სამები ჰქონდა. ფაქტია, ნიჭიერი გალაკტიონი, როცა გულს უდებს მეცადინეობას და სხვა გარემოებაც ხელს არ უშლის, სასურველ ნიშნებს იღებს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიაში ნოემბერ-დეკემბერში – 4, იანვარ-თებერვალში – 2, საბოლოოდ კი – 4 გამოყვა. ზოგიერთი საგანი სულაც არ ეპიტნავება, მაგრამ იძულებულია თავს ძალა დაატანოს, რიგიანად ისწავლოს. სამაგიეროდ, მოხიბლულია ქართული ენის გაკვეთილებით, რომლებსაც მელიტონ ჩოგოვაძე უტარებს. 1907 წლის 1 თებერვალს დღიურში ჩაუწერია: „მიყვარს ქართული ენის გაკვეთილები, რამდენ უცნობ რამეს ვიგებ მელიტონ იესეს ძის მონათხრობიდან: დღეს მან დაამთავრა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ კითხვა თავისი დამატებებითა და შენიშვნებით. პირდაპირ მომხიბვლელია მისი ახსნა. როგორ დადის ოთახში, ხელების როგორი უცნაური ქნევით გამოხატავს სათქმელს. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს დავწერ“.

მ. ჩოგოვაძე განათლებული და ალღოიანი პედაგოგი

გახლდათ. დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ლიტერატურის შესწავლას. ამიტომაც უკითხავდა მოსწავლეებს ლ. არდაზიანისა თუ გ. წერეთლის მოთხრობებს. ეს არ იყო ტექსტის უბრალო გაცნობა. მასწავლებელი მახვილ შენიშვნებს, ღრმა განმარტებებსა და საფუძვლიან დასკვნებს აწვდიდა შეგირდებს. რაც მთავარია,აზროვნებას ასწავლიდა ახალგაზრდებს,ანალიზის უნარს უვითარებდა. ამიტომაც მოსწონდათ მისი გაკვეთილები. საგულისხმოა, რომ მ. ჩოგოვაძემ შექსპირის „მაკბეტი" გააცნო კლასს. ეს არჩევანი მასწავლებლის ნიჭსა და ალღოზე მიუთითებს. „მაკბეტი" ხომ უბადლო ენით აქვს ნათარგმნი ი. მაჩაბელს. ოსტატს სურდა ქართული სიტყვის, ფრაზის ძარღვსა და სიმშვენიერეს ჩასწვდომოდნენ ახალგაზრდები. იგი თემებსაც ორიგინალურს ურჩევდა მოსწავლეებს,მაგალითად,,,უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა" და ა.შ.

გალაკტიონი აღფრთოვანებული იყო მელიტონ ჩოგოვაძით; „მე მახსოვს ქართული ენის გაკვეთილები სას. სასწავლებელში. მახსოვს და არ დამავიწყდება მელ. იესეს ძე ჩოგოვაძე, ღრმად მცოდნე სამშობლოს ლიტერატურისა და ქართული ენის შეუდარებელი მასწავლებელი... მეგობრულად, ამხანაგურად გვეპყრობოდა და ეს იყო მიზეზი, რომ მთელი სასწავლებელი უსაზღვრო სიყვარულით ეგებებოდა ყოველს გაკვეთილს ქართული ენისას. ჩვენ მიედიოდით მის გაკვეთილზე დაუზარებლად. გვეშინოდა, არ გამოგვრჩენოდა ძვირფასი მასწავლებლის ერთი სიტყვაც კი".

მ. ჩოგოვაძემ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა გალაკტიონზე. მან ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა გალაკტიონის ნიჭი და სწორედ განსჭვრიტა მისი მომავალიც. ქართულის მასწავლებელი ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდა ჭაბუკს, ახალისებდა, უწონებდა ლექსებს. მას კარგად ესმოდა დამწყები პოეტისა და ეამაყებოდა კიდეც მისი შეგირდობა.

როგორც ჩანს,მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას სულის თანაზიარობაც განსაზღვრავდა.

მ. ჩოგოვაძე უდროოდ გარდაიცვალა, 1910 წლის 31 იანვარს. გალაკტიონმა ძალზედ მტკივნეულად განიცადა უფროსი მეგობრის დაღუპვა, კაცისა, რომელსაც იგი „უყვარდა და თავს ევლებოდა". მ. ჩოგოვაძე მისთვის მოქალაქის და პედაგოგის იდეალი იყო, ეტალონი, რომლითაც ზომავდა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს.

გალაკტიონმა გულწრფელად დაიტირა მელიტონ ჩოგოვაძე. „სემინარიის კედლებშივე გვესმის გულ-მოსაკლავი ხმა: მელიტონ

ჩოგოვაძე გარდაიცვალაო! გარდაიცვალა და სამუდამოდ დაიმარხა მასწავლებელი, რომლის მსგავსსაც, მე მგონი, ჩვენ ვერ ველირსებით.

ძვირასო მასწავლებელო! რას უშვები ამდენ მოსწავლეებს, საით უჩვენებ გზას? ნუთუ კვლავ უნდა ვქვითინებდეთ ჩვენს ყოფნაზე, რომ უბედურნი ვართ... რომ შველა არსაით არის?!"

პოეტი არაერთ ჩანაწერს აკეთებს დღიურში, საბოლოოდ კი თავის გულისტკივილს ლექსს ანდობს:

„მე ვინახულე სევდიანი შენი საფლავი...
ირგვლივ დუმილი გაშლილიყო გულ-მოსაკლავი.
ცის უდაბნოზე სევდიანი ცურავდა მთვარე...
ბევრი ვიტირე, ბევრი მწარე ცრემლი დავღვარე..."

საგულისხმოა, რომ მელიტონს ტიციანმაც უძღვნა ლექსი, რომელიც დაიბეჭდა კიდეც გაზეთ „ფონში". ხოლო კორნელი კეკელიძემ ასე გამოხატა ტკივილი: ღრმად დამწუხრებული ვარ პატიოსანი ადამიანის, დაუღალავი მუშაკის, დაუვიწყარი მეგობრის მელიტონ იესეს ძის უდროოდ გარდაცვალების გამო[1].

ახლად მიკვლეული მასალებით მტკიცდება, რომ მელიტონს მეგობრობა აკავშირებდა კალისტრატე ცინცაძესთან (სრულიად საქართველს კათოლიკოს-პატრიარქი 1932-1952 წლებში)[2].

ისინი თურმე ერთად სწავლობდნენ კიევის სასულიერო აკადემიაში. კალისტრატე ცინცაძის საკანდიდატო დისერტაცია იყო „საქართველოს ეკლესია სასანიდების პერიოდში" (265-570).

ან ნაშრომის პირველი თავი მელიტონ ჩოგოვაძეს გადაუწერია. რვეულის ყდაზე ვკითხულობთ: „ეს პირველი თავი თეთრად გადამიწერა პირველი კურსის სტუდენტმა მელიტონ ჩოგოვაძემ, რომელსაც ეკუთვნის ამ შავში ქართულად შეტანილი „შენიშვნები".

მეორე თავთან დაკავშირებით ანალოგიური სამუშაო ჩაუტარებია

მესამე კურსის სტუდენტის ილია ფერაძეს, ხოლო მესამე თავი გადაუთეთრებია მეორე კურსის სტუდენტს მელიტონ კელენჯერიძეს.

ჩანს, კიევის სასულიერო აკადემიის ქართველი სტუდენტები

---

[1] გაზ. „ფონი", 1910, №6.

[2] ამის შესახებ იხილეთ ჩვენს წიგნში „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე", თბ., 2008.

БИЛЕТЪ

Предъявитель сего, ученикъ 1го парал. класса Кутаисскаго Духовнаго Училища Галактіонъ Табидзе уволенъ въ домъ своей матери вдовы Макрины

въ селеніе Чквиши Кутаисскаго уѣзда Кутаисской губерніи отъ нижеписаннаго числа впредь по 1ое Января мѣсяца 1905 года.

Въ удостовѣреніе чего и данъ сей билетъ ему Г. Табидзе за надлежащей подписью и приложеніемъ казенной (Училищнаго Правленія) печати.

Г. Кутаисъ, мѣсяца Декабря „21" дня 1904 г.

Помощникъ Смотрителя А. Сиг[illegible]

№ 95

тип. киладзе и хеладзе кутаисъ.

ერთ გუნდად იყვნენ შეკრულნი, გულით და სულით იზიარებდნენ ურთიერთის ჭირსა და ლხინს.

მელიტონ ჩოგოვაძის შენიშვნები ფრიად საყურადღებოა. აი, ზოგიერთი მათგანი:

„შეიძლება მირიანი ქრისტიანობას მისთვის უწოდებს რომაელების სარწმუნოებას, რადგანაც რომის სახელმწიფოში გაჩნდა პირველად და, უმეტესად რომაელები აღიარებდნენ მას და არა მისთვის, რომ კონსტანტინე ქრისტიანი იყო. კონსტანტინე არც მერე მონათლულა, მაგრამ განა ქრისტიანი არ იყო".

„შენი ფიქრით, მაშინაც კაცებს სწირავდნენ მსხვერლად არმაზს?"

„წმინდანები არასოდეს არ გამოდიან მოთმინებიდან და არც ზიზღს გრძნობენ „негодования".

ეს და სხვა მინაწერებიც საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

სამწუხაროდ, ჩოგოვაძე გამონაკლისი იყო. სასწავლებელში ბევრი უღირსი პიროვნება მსახურობდა. რეჟიმიც მკაცრი იყო. ყოველდღიური წირვა-ლოცვა აუტანელი გახდა გალაკტიონისათვის და ისიც არცთუ იშვიათად იპარება ეკლესიიდან. „დღეს არ ვიყავი ლიტურგიაზე. სამაგიეროდ, მე და ჩემმა ბიძაშვილმა აკაკი ტაბიძემ გადავწყვიტეთ, საფიჩხიის სასაფლაოზე წავსულიყავით. ასეც მოვიქეცით. იქიდან ორივენი მოწამეთის მონასტერს ვესტუმრეთ. შემდეგ გელათში შევიარეთ". ეს დახშული ატმოსფეროდან გაქცევა როდია მხოლოდ. ექსკურსია გალაკტიონისათვის წყაროა შთაგონებისა, განცდებისა და ფიქრებისა, რომლებიც შემდეგ ლექსებში უნდა განივთდეს.

ასეთი გასეირნება იშვიათი არ ყოფილა. გალაკტიონს ხიბლავდა ქუთაისის აყვავებული შემოგარენი, ვარდის და ცაცხვის სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი, ლურჯი ზეცა და მოჩუხჩუხე სიო. როცა ქალაქიდან გასვლას ვერ ახერხებდა, გორაზე ავიდოდა, ძველი ციხის გალავნის ნანგრევზე ჩამოჯდებოდა, საიდანაც ხელისგულივით იკითხებოდა იმერეთის სანახები: სამხრეთ-დასავლეთით დაკლაკნილი მდინარე, რიონის ჭალები და პატარ-პატარა სოფლები ჩანდა. უფრო შორს კი გურია-აჭარის ქედი. ჩრდილოეთით ზვიადად აღმართულიყო კავკასიონის მწვერვალები...

სამხრეთი და ჩრდილოეთი... განსხვავებული ხედები და განსხვავებული შთაბეჭდილებები... ქვემოთ ოდნავ ხმაურობდა ქუთაისი, თითქოს იყო და არც იყო. აქ არავინ ურღვევდა მყუდროებას. მისი ოცნებაც ფრთებს შლიდა.

გალაკტიონმა გულით შეიყვარა ულამაზესი ქალაქი. ქუთაისი მისი პირველი სიყვარულისა და დიდი სიხარულის,

პირველი ლექსებისა და გამარჯვებების მოწმე იყო; მოწმეც და თანამგრძნობიც, შთამაგონებელიც.

შემდეგში, როცა სევდა შემოაწვებოდა, როცა ლაჟვარდი და სიმწვანე, სილბო და ხალისი მოენატრებოდა, ხშირად ქუთაისს გაიხსენებდა: „ეხლა ქუთაისი ყვავილების მორევში იქნება შთანთქმული... ოხ, რა კარგია ეხლა იქ ყოფნა". ამას 1910 წლის 24 მარტს წამოიძახებს.

ახლაც თვალწინ მიდგას გალაკტიონის გაცისკროვნებული სახე, როცა იგი ქუთაისსა და იქ გატარებულ წლებს იგონებდა. მწუხარე შემთხვევებს ნაკლებ იხსენებდა. ეს ალბათ იმიტომაც, რომ ქუთაისი მისთვის ახალგაზრდული ცხოვრების სიმბოლო იყო. ახალგაზრდობა კი, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს, მაინც საამოდ მოსაგონარია წლებით დახუნძლული ადამიანისათვის.

აცოცხლებდა მხიარულ, რომანტიკულ ამბებს, იხსენებდა ამხანაგთა უცნაურობებს, დროდადრო ირონიასაც გამოურევდა.

— გინახავს ბაგრატის ტაძარი, გადმოგიხედია არქიელის გორიდან? მსგავს სიმშვენიერეს ვერსად ნახავ, — ამბობდა იგი და ბავშვური აღტაცებით ინთებოდა.

გალაკტიონს სამუშაო ოთახში, თვალსაჩინო ადგილას ედო ყურძნისმტევნებიანი ქვა, ბაგრატის ტაძრის კაპიტელის ნატეხი. იგი ქართული ხელოვნებისა და სულის ამეტყველებად მიაჩნდა. და კიდევ იმიტომაც უყვარდა, რომ ქუთათურ შთაბეჭდილებებს უცხოველებდა.

მაინც რით სუნთქავს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე? ამაზე ძნელი არ არის პასუხის გაცემა, თუ გადავფურცლავთ დღიურს, რომელიც გალაკტიონს 1907 წელს უწარმოებია. იგი რუსულად არის დაწერილი და ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს. ერთი რამ წინასწარვე უნდა ითქვას. გალაკტიონი ფაქტების კონსტანტაციითა და მოკლე კომენტარებით კმაყოფილდება. გაურბის მოვლენების ლირიკულ შეფასებას და ემოციების პოეტურად გამჟღავნებას. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ამ დღიურს, გარდა ავტორისა, სხვა მკითხველიც ჰყავდა. (ერთგან გალაკტიონი აღნიშნავს კიდეც 27-31 მარტს დღიურში არაფერი ჩამიწერია, „იმიტომ, რომ იგი ვათხოვე გიმნაზიის V კლასის მოსწავლეს დ. ყიფშიძეს..."). არ არის გამორიცხული, რომ უფროსებსაც დაბადებოდათ მისი გაცნობის სურვილი. ამიტომაც ავტორი განსაკუთებულ გულღიობას არ იჩენს.

უპირველეს ყოვლისა, გალაკტიონი ყურადღებას ამახვილებს სასწავლებლის ცხოვრებაზე. რევოლუციის ტალღამ სკოლებშიაც ბევრი რამ შეცვალა. 30 იანვარს გალაკტიონს ჩაუწერია:

„უკვე 6 წელი გადის, რაც მე სასულიერო სასწავლებელში ვიზრდები და არ მინახავს ისეთი უწესობა, როგორიც წელს შეინიშნება. მოსწავლეები გამუდმებით ჩხუბობენ გაკვეთილებსა თუ შესვენებებზე, ისინი დაუნდობლად უსწორდებიან ყველას, ვინც მათ პირობებს არ ეთანხმება. დღეს, სხვათა შორის, 10 შეკატება იყო. გატეხეს ფანჯრის მინა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ მასწავლებლები და ზედამხედველები ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა ყოფაქცევას. ბევრს ეშინია ახირებული მოსწავლეების,ისინი კი სასულიერო სასწავლებელში მრავლადაა. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა შეგირდი მასწავლებელს სცემს. ერთმა მოსწავლემ რევოლვერით დაჭრა აღმზრდელი. სხვა კიდევ სიკვდილით ემუქრება თავის პედაგოგს და ა. შ. მალე ალბათ სასულიერო სასწავლებელი ყაჩაღთა ფუნდუკად გადაიქცევა. ის მოსწავლეები,რომლებიც 12 იანვარს დააპტიმრეს, გაათავისუფლეს, უკვე სკოლაში დადიან“.

ესენი იყვნენ: ა. ყიფშიძე,გ. ენუქიძე და შ. ჩიკვაიძე,რომლებიც ქალაქის ბაღში პროკლამაციების გავრცელებისათვის დააკავეს.

ზემომოტანილი ამონაწერიდან აშკარაა, რომ გალაკტიონი შორს დგას ანარქისტებისაგან. იგი არსებული ყოფის მეხოტბე როდია,მაგრამ უაზრო ალიაქოთსაც არ უჭერს მხარს. გალაკტიონი რომ ჭეშმარიტი რევოლუციისადმი სიმპათიურად არის განწყობილი, ეს ჩანს აფრასიონ მერკვილაძისადმი მიძღვნილი ჩანაწერებიდანაც. დღიურში მოთხრობილია მეამბოხის ბიოგრაფია. „წავიკითხე სამწუხარო ცნობა... ორ ამხანაგთან ერთად მოუკლავთ ცნობილი ატამანი აფრასიონ მერკვილაძე. განსვენებულმა ძალზე მოკლე დროში მოიპოვა დიდება. იგი თავისი რაზმით მოქმედებდა ზემო იმერეთში, ჭიათურის მახლობლად. უნდა ითქვას,რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამდე იგი უბრალო ყაჩაღი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ ვერ აიტანა არსებული ბოროტება და სემინარიის დამთავრებისთანავე ტყეში გაიჭრა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიიღო ატამანობა, შექმნა განსაკუთრებული არმია და მოქმედებდა უკანასკნელ დრომდე“.

გალაკტიონი დაინტერესებულია ა. მერკვილაძის რევოლუციური მოღვაწეობით. ეს ჩანს მეორე ჩანაწერიდანაც. „დღეს გავიგე,რომ ა. მერკვილაძის ამხანაგები,რომლებიც მასთან ერთად მოკლეს, იყვნენ გაჩეჩილაძე და ბოჭორიშვილი“.

დღიურში გამჟღავნებულია გალაკტიონის სიმპათიები სახალხო გმირებისადმი. ხსენებული ფაქტი ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიგვანიშნებს რევოლუციისადმი მის კეთილგანწყობაზე, მაგრამ

[illegible]

[illegible]!

[illegible]

[illegible]

[illegible]

ეს მაინც არ არის მოწინავე, შემტევ პოზიციაზე დგომა. ჭაბუკი გალაკტიონი თავისი ბუნებით პროტესტანტია და არა აშკარა, აქტიური მოქმედი. მოგვიანებით იგი წერდა: „1907-8 წლებ ძნელი იყო გარკვევა რევოლუციონური ცხოვრების რთულ პერიოდში. პოეტისათვის ძნელი იყო მიეცა სწორი პოლიტიკური შეფასება ყოველივე იმისათვის, რაც მაშინ ხდებოდა, მაგრამ მე ღრმად განვიცდიდი მაშინდელ ამბებს"[1].

16 წლის გალაკტიონი შესამჩნევ საზოგადოებრივ ინტერესებს ამჟღავნებს. ყურადღებას ამახვილებს ქალაქში ბომბის აფეთქებასა, ფოსტის გაძარცვასა, გაფიცვებსა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე. უთუოდ ბევრის მთქმელია პატარა ნახატი, რომელიც ამ პერიოდშია შექმნილი. სურათის მარჯვენა მხარეს ჩანს შენობა წარწერით: „Казенное правление". იქვე ხელებაწეული ნაფრებია. ერთი მათგანი გარბის კიდეც. მეორე მხარეს გამოსახულია კაცი ხელყუმბარით. ქვემოთ წარწერაა: „ფულის გატაცება ხაზინიდან. სამი ბომბის სროლა. მხატვარი გ. ტაბიძე".

გალაკტიონს დღიურში შეაქვს ამონაწერები პრესიდან. მას მართებულად მიაჩნია ი. ევდოშვილის მიერ გაზეთ „მიწის" კრიტიკა. ხსენებული გაზეთი მოუწოდებდა გლეხებს, ეზეიმათ 19 თებერვალი – ბატონყმობის გადავარდნის დღე. ი. ევდოშვილი „ახალ ცხოვრებაში" კიცხავს „მიწის" ხელმძღვანელებს. ნუთუ რედაქციამ არ იცის, რომ გლეხები ჯერაც არ არიან განთავისუფლებულნი?

საგულისხმოა, რომ გალაკტიონი ბოლშევიკურ გაზეთს „ახალ ცხოვრებას" კითხულობს და ი. ევდოშვილის თვალსაზრისს იზიარებს.

ამავე პერიოდში წერს ლექსს „ორი საეშმაკო".

„ერთხელ ვიტტეს ეშმაკებმა
სიზმარად ძილში მოაჩვენეს,
რომ იმათთვის საეშმაკო
მიეცა. ეს დააჩემეს.
ვიტტემაც ხომ იმავ ძილში
დააარსა საეშმაკო.
სწორედ კარგი გამოვიდა,
სანაქებო, საარაკო".

პოეტი სატირის ცეცხლით ბუგავს ხალხის მტრებს.

ეს ახალი მასალები უფლებას იძლევა მეტი დაჯერებით ვთქვათ, რომ გალაკტიონი თანაუგრძნობდა რევოლუციონერებს და, ამდენად, მათი დამარცხებით გამოწვეული წუხილი სრულიად

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 227-228.

ბუნებრივია. მაგრამ აქვე უნდა დავსძინო, რომ ეს არ იყო პოეტის სევდის ერთადერთი განმსაზღვრელი მიზეზი.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ და თვალი გავადევნოთ გალაკტიონის ხასიათის ჩამოყალიბებას.

ჭაბუკი თანდათანობით უფრო მეტად ამჟღავნებს გულჩათხრობილობას, განწყობილების წამიერ ცვლას. ზოგჯერ

უმიზეზოდაც ჩხუბობს. მერე გრძნობს თავის დანაშაულს და იტანჯება. „При заходе солнца я поссорился с И...м, но после совесть не оставила меня и я с ним скоро примирился. Я чувствовал какую-то радость".

ყურადღება მიაქციეთ ბოლო ფრაზას. იგი კარგად ავლენს მგრძნობიარე ჭაბუკის ბუნებას. გალაკტიონი მტკივნეულად განიცდის უნებლიე წაკინკლავებასაც კი. სხვას შეიძლება ყურადღება არ მიექცია ასეთი კონფლიქტისათვის, გალაკტიონი კი ვერ ისვენებს, შფოთავს და, როცა მდგომარეობა სწორდება, მშვიდდება.

ეს პატარა დეტალი გალაკტიონის მთრთოლვარე ნატურას წარმოაჩენს.

მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი არსებობს, რათა გალაკტიონი დრამატულად იყოს განწყობილი.

მატერიალური გაჭირვება სულს უხუთავს ამაყ პიროვნებას. ფეხსაცმელები დაეხა. სადაცაა ზამთარი დადგებაშას კი პალტო არ აქვს. ძმები იძულებულნი არიან თხოვნით მიმართონ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ლეონიდ სერგის ძე კალტიპინს: „უკიდურესი სიღარიბე გვაიძულებს ვეძიოთ თქვენი მოწყალება. გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ნუ დაგვტოვებთ თქვენი კეთილი ყურადღების გარეშე და გაგვიწიოთ მატერიალური დახმარება, რომლითაც თქვენ შეამსუბუქებთ დედაჩვენის უბედურ მდგომარეობას და შესაძლებლობას მოგვცემთ განათლება მივიღოთ თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში".

ასეთი თხოვნა ყოველთვის უშედეგოდ როდი რჩებოდა. მაგალითად, 1907 წელს გალაკტიონმა სასწავლებლიდან დახმარების სახით 5 მანეთი მიიღო.

მგრძნობიარე და პატიოსანი ყმაწვილი ვერ იტანდა მიკერძოებას, უსამართლობას. იგი აღშფოთებულია იმით, რომ ლათინური ენის მასწავლებელმა უფროსთა მოთხოვნის პასუხად დასასჯელად უდანაშაულონი წარადგინა, ხოლო ნამდვილ

ამრეკვებზე კრინტიც არ დაუძრავს. ამიტომაც წერს გალაკტიონი: „Никогда в своей жизни не забуду я сегодняшный день".

გალაკტიონი მძაფრად აღიქვამს მოვლენებს. პირველი შთაბეჭდილებები ძლიერია. შემდეგ მის გონებაში ყველაფერი ლაგდება, ხარისხდება, გრძნობათა მერიდიანში იცხრილება და რჩება ის, რაც მისი პოეტური სულისათვის მახლობელია, რაც მის შემოქმედებით ცხოვრებას უკავშირდება. დანარჩენი ფერმკრთალდება და დავიწყების ბლონდით იფარება. საჭიროა ნიავი, რომ ეს ბლონდი ააფრიალოს და კვლავ გამოჩნდეს ძველი ანაბეჭდები.

გალაკტიონი დაკვირვებით კითხულობდა დედისა თუ ძმის წერილებს, ღრმად განიცდიდა მონათხრობს, ზოგჯერ ტრაგიზმითაც იმსჭვალებოდა, მაგრამ არცთუ იშვიათად ფიქრები შორს გაიტაცებდა და უცხო სამყაროში დაასახლებდა.

აი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უკანასკნელი კლასის მოსწავლემ დედის ბარათი მიიღო. გაკრული ხელით, ძველი ყაიდის მიხედვით, უმძიმოდ და უწერტილოდ მისდევს ფრაზები ფრაზებს. დედა წუხს შვილის მდგომარეობის გამო. გალაკტიონი არაფერს იწერება. თბილისიდან, სადაც უფროსი ვაჟი სწავლობს, ბარათმა დაიგვიანა. მაკრიხე არიგებს უმრწმესს, ურჩევს, მოძღვრავს, გალაკტიონი კითხულობს წერილს. შემდეგ რინდდება. მაგიდაზე ლერმონტოვის წიგნია გადაშლილი, დედის წერილს ხელში ატრიალებს. ფურცლის ნახევარი თავისუფალია. ახლა იგი მხოლოდ ცარიელ კაბადონს ხედავს. ფანქარს იღებს და ჩნდება „დემონის" თარგმანი. გადახაზულია სიტყვები, ფრაზები... შემოქმედებითი წვა აშკარაა. პოეტი ამჯერად ვერ ამჩნევს დედის ხელით გამოყვანილ ასოებს. გვერდით ჩნდება შემდეგი სტრიქონები:

„მწუხარე სული განშორების და განკიცხვისა
ცოდვილს მიწაზედ, იქ, დემონი მიმოფრენავდა
და ფიქრნი ჯგუფად, წარსულ დროის მოგონებისა
იხატებოდნენ მის წინ ერთად და უცვლელადა"...

ამას მოსდევს მთელი თორმეტი სტრიქონი.

თარგმანი მოწაფური ვარჯიშის ნაყოფია, სუსტია, მაგრამ ამჟამად ეს კი არ არის მთავარი, არამედ გალაკტიონის თხზვის მანერა: ის, რომ მას შეეძლო ერთი სამყაროდან მეორეში უეცარი გადასახლება; გამოთიშვა ამ ცხოვრებისი რიტმიდან და პოეზიაში ჩანთქმა.

საილუსტრაციოდ მეორე მაგალითიც გამოგვადგება, რომელიც უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება. პროკლე

გალაკტიონს პატარა, ერთგვერდიანი ბარათით ეხმიანება. „შენგან გამოგზავნილი წერილი მივიღეთ. იწერები ორშაბათს ჩამოვალო და იმ დღესვე უნდა გავემგზავრო თბილისშიო. საკვირველია! „Скорый поезд“-ი ხომ არა ხარ, არ გაჩერდე ერთ დღეს? ამისთვის დედაჩემი გწერს, უსიკვდილოდ კვირას ჩამოდიო! აქაც მოსამზადებელი ბევრი გვაქვს!“ ამ ბარათს გალაკტიონი მშობლიურ ჭყვიშში გადაჰყავს. სოფლის სურათები ცოცხლდება, ასოციაციები იბადება... მაგრამ ეს მცირე ხანს გრძელდება. მალე პოეტი ფურცელს გადააბრუნებს და ცარიელ გვერდზე ჩნდება სტრიქონები:

„ტყვილა ვეძებდი მე შენს ალერსს, შენსა სიყვარულს,
ამაოდ ღვრიდი, გულქვა საცრფოვ, დამატკობობ ცრემლებს,
ტყვილა ოცნება მიხატავდა სოფელს ტკბილს და სრულს,
ბოლო მოელო ჩემს ნორჩ რწმენას, ჩვენს ტკბილ იმედებს.
მინახავს ვარდი, სასაფლაოს რომ ამშვენებდა.
დავმტკბარვარ, საცრფოვ, შენი ცქერით გულადგზნებული.
საფლავი იგი ჩემს ცხოვრებას მომაგონებდა,
ვარდი შენ იყავ, მასზედ ნაზად დაკონებული.
ოჰ, არ ვიცოდი, რომ ოცნება იწამლებოდა,
რომ შხამს ურევდნენ სიტკბოს ნაცვლად ჩემს სულს იჭვეულს.
ოჰ, არ ვიცოდი, რომ ცხოვრება სწრაფად დნებოდა,
ტყვილად ვეძებდი მე შენს ალერსს, შენსა სიყვარულს“.

ეს ორი მაგალითი გამონაკლისი როდია. ასე დაიწერა აგრეთვე „ლოცვა“ და სხვა ბევრიც.

დადგა 1907-1908 სასწავლო წელი. მას უნდა გადაეწყვიტა, მისცემდნენ თუ არა გალაკტიონს სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად რეკომენდაციას. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მონდომებაზე, ძველი „ცოდვებისაგან“ განთავისუფლებაზე. დედა და ძმაც დაბეჯითებით სთხოვენ, მეტი გულისყური გამოიჩინოს სწავლაში. გალაკტიონიც თითქოს მომზადებულია შინაგანად, მაგრამ ვითარება იძაბება. 22 სექტემბერს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მე-3 და მე-4 კლასების მოსწავლეებმა გაფიცვა მოაწყვეს. მეცადინეობა დროებით შეწყდა და გალაკტიონიც სოფლად მიდის. ცდილობს ყველაფერი არ გაუმხილოს დედას. შეიძლება მშობელმა ზოგი რამ ვერ გაუგოს, აფორიაქდეს, დაიტანჯოს. ეს კი არ სურს გალაკტიონს. კარგად ახსოვს, ორიოდე წლის წინ როგორ დატუქსა მაკრინემ. შემდეგშიც არაერთგზის შეუხსენებია: „შენ

რომ ინსპექტორს ენა შეუბრუნე, რომ გამახსენდება, ცეცხლი შემომეკიდებაო“.

ჭყვიშში შემოდგომა ბარბაცებს. გალაკტიონი ხეტარებს, გეგმებს აწყობს, მაგრამ „არ გასულს ორი დღე – წერს იგი ძმას, რომ მე ავად გავხდი. ავადმყოფობა ყვავილი აღმოჩნდა და ოცდასამ დღეს გაგრძელდა, რის შემდეგაც სრულიად გამოვჯანმრთელდი. არც დედაჩემს და არც სხვა ვინმეს ავადმყოფობა არ გადადებია. საკვირველია, რომ დედაჩემი ავადმყოფს თავზე მადგა, მიეკარა და მაინც არ დამართია“.

ყვავილმა სახე დაუკენკა პოეტს. დროთა განმავლობაში ღრმულები თანდათან გაქრა, მაგრამ მცირე კვალი სახადი ავადმყოფობისა მაინც დარჩა.

ოქტომბრის ბოლოს გალაკტიონი კვლავ ქუთაისს უბრუნდება და თავგამოდებით მეცადინეობს. სასწავლებელსაც წარმატებით ამთავრებს.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს იმ დასკვნამდე მიეყვანართ, რომ მოწაფეობის პერიოდშივე გალაკტიონში თავს იჩენს მარტოსულობა, „მეს“ წინ წამოწევა, გარემოსადმი სათუთი და მგრძნობიარე დამოკიდებულება. გალაკტიონი ვერ ეგუება არსებულს. მასში მძლავრობს საპროტესტო განწყობილება, რასაც ხშირად ფარულად და ქვეტექსტებით ამჟღავნებს. ისიც შესამჩნევია, რომ სხვადასხვა მოვლენისადმი რადიკალურად განსხვავებულ პოზიციას იკავებს. ერთი საერთოდ არ აინტერესებს, ან ნაკლებ აინტრესებს, მეორე მთელი არსებით იპყრობს.

ახლა კი თვალი გადავავლოთ გალაკტიონის ადრინდელ შემოქმედებას, გავარკვიოთ, როგორია მისი ლიტერატურული მისწრაფებები და ინტერესები.

ყველაზე ადრინდელი ლექსი 1903 წლით თარიღდება. ეს არის თექვსმეტსტრიქონიანი „ჩვენი ერი“, რომელიც ი. ჭავჭავაძის მიბაძვით არის დაწერილი:

„მართლაც მშვენიერია
ჩვენი კუთხე, ერია,
ბოროტების რომ იყვეს
ცოტა მდევნი-მტერია“.

ორიოდე ლექსზე დაყრდნობით ჭირს მრავალმხრივი და საბოლოო დასკვნის გამოტანა. ერთი კი ნამდვილად შეიძლება ითქვას: ყმაწვილი გალაკტიონი შეუმცდარი ალღოთი ირჩევს ოსტატებს; მისი შეგირდობა მოწონებას იმსახურებს.

1905 წლიდან გალაკტიონი უკვეინტენსიურად წერს. შემონახულია ამ პერიოდის 70-მდე ნაწარმოები: ლექსები, მოთხრობები, იგავ-

არაკები, შარადები და სხვა. უმეტესობა დამთავრებულია. ნაწილი საკმაოდ გარანდულია და გადათეთრებულიც. ჩანს, გალაკტიონი ყოველ დღე მუშაობს. მისთვის ლიტერატურული საქმიანობა სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა.

უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა დამწყები პოეტის კრედოზე. ლექსში „დაჰკა" გალაკტიონი მწერლის დანიშნულებას არკვევს. იგი დიდ სამოციანელებს ბაძავს.

როგორც ილია და აკაკი, გალაკტიონიც პოეტს ერის სამსახურს უსახავს მიზნად. საგულისხმოა, რომ იგი აუცილებლად თვლის ნაწარმოებში „სისხლის ჩანთხევას". ეს გულწრფელობისა და მოვლენებით არსებითად დაინტერესების მოთხოვნაა. ამ ლექსში პირველად იჩინა თავი იმ თვალსაზრისმა, რომლის მტკიცე დამცველი იყო იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

14 წლის გალაკტიონმა თავისი, როგორც პოეტის, მოწოდება სხვა ლექსშიაც გამოხატა. ეს არის „კალამი". აქაც შეუდრეკლობის, პირდაპირობის თეზისია განვითარებული.

ამ პერიოდის ნაწარმოებთა თემები კლასიკური ლიტერატურიდან არის ნასესხები. წერის მანერაც ორდინალურია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სამყაროს სერიოზულად შეცნობის გზაზე იგი ეს-ესაა პირველ ნაბიჯებს დგამს და აზრის მაღალი პოეტური გამოხატვის ოსტატობასაც ჯერ კიდევ არ არის ნაზიარები.

გალაკტიონის ცოდნა გარკვეულად შეზღუდულია. იგი უმთავრესად სკოლაში მოსმენილსა და შეთვისებულს ეყრდნობა. ეს კარგად ჩანს მოთხრობაში „გაზაფხული". „ყმაწვილებო! მე მსურს ხელში სუნიერი იათი მოგახაროთ ერთი რამ სასიხარულო ამბავი. სწორედ ისე, როგორც მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა მარიამს შვილის შობა. ეს ისე სასიხარულო იქნება თქვენთვის, როგორც მარიამისათვის გაბრიელის ხარება. ჩემში ეს ხარება ნიშნავს „გაზაფხულს".

ამონაწერი ყურადღებას იპყრობს არა იმდენად სტილური დაუხვეწაობით, რამდენადაც შედარების თავისებურებით. მაგალითი ბიბლიიდან შემთხვევითი არაა. იგი გალაკტიონის სულიერ სამყაროზეც მიგვანიშნებს.

ლიტერატურული გავლენა მძლავრად იგრძნობა ლექსში „საქართველო".

„რა რომ ვნახე შენი სახე,
კოკორ ვარდად გამოგსახე,
გრძნობა ისევ ამეყვავა,
გულს იმედი ჩაეისახე".

აშკარაა აკაკი წერეთლის ლექსიკის, რიტმის, ხელწერის

კვალი. მთელი ლექსი აგებულია იმ ცნობილი მოდელის მიხედვით, რომელიც აკაკიმ დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში და რაც გულისხმობს სამშობლოს წარმოსახვას სატრფოდ, ხნეულად, ტყვედ და ა. შ. გალაკტიონის ამ ლექსშიც მამული ვარდის სახითაა ნაჩვენები. პოეტს სიხარული მოჰგვარა ყვავილის ხილვამ, მაგრამ ეს სიხარული წამიერი გამოდგა.

„საკვირველად მომეჩვენა
ეკლებს შორის ვარდის რხევა,
ვთქვი, ნუგეშათ მომეევლინა,
დავიხარე ძირს, მისკენა.
დავაკვირდი და რას ვხედავ,
თან შევყვირე „ვაი, დედავ!“
კოკობს გველი მოხვეოდა
და ნაწილებს გლეჯდა, კენტდა“.

აკაკის ლექსებში ფინალი უმეტესად ოპტიმისტურია, გალაკტიონთან კი ეს არ შეინიშნება. არა გვგონია, რომ ამ შემთხვევაში მსოფლმხედველობრივ ფაქტთან გვქონდეს საქმე. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა ლექსი „იმედიც“.

გალაკტიონი ამ პერიოდში ა. წერეთლის უზარმაზარ გავლენას განიცდის. იგი დიდი მგოსნისაგან სესხულობს არა მხოლოდ თემებს, არამედ სახეებს, ფრაზებს, ტონს და ა. შ. ეს იმითაც აიხსნება, რომ გალაკტიონისათვის მახლობელია აკაკის პრობლემატიკა, საკითხთა წერეთლისეული გადაჭრა. აკაკი ლიტერატურული გემოვნების კანონმდებელია და გალაკტიონიც მის ფრთებქვეშ იზრდება.

დაუმთავრებელ მოგონებაში „აკაკის ნაკვალევზე“ გალაკტიონი წერდა: „მე ბავშვობიდანვე ღმერთს ვუდარებდი აკაკის. ეს აზრი თვით ჩემმა სოფელმა ჩამისახა, მშობლებმა, წიგნებმა“.

გალაკტიონისათვის უცხო არაა პატრიოტული მოტივი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეროვნული ტრაგედია ამჯერად ნაკლებ აქვს შეცნობილ-შეგრძნობილი. ყრმა პოეტი უშუალოდ ცხოვრებისეული გამოცდილებიდან როდი აკეთებს დასკვნას. მის ლექსებს ლიტერატურული შთაბეჭდილებები უდევს საფუძვლად. ამ შემთხვევაშიც იგი ილიასა და აკაკის ბაძავს. ამის დადასტურებაა „იმედი“. ხსენებულ ლექსში გალაკტიონი გავრცელებულ ხერხს მიმართავს – ბუნებისა და ქვეყნის შეპირისპირებას. რაგინდ ბნელი ღამე უნდა იყოს, წერს პოეტი, განთიადი მაინც დადგება, მაგრამ ის კი არ ვიცი, როდის გაუთენდება ჩემს მამულს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნუთუ იქნება, წყვდიადი
დიდ ნათლად გადაიქცევა
და მაშინ ერი მომავალს,
ვით მეფეს, მიეგებება.
შევნატრი ამ დღეს, ნეტა მათ,
ვინც ამ დღეს მოეწლინება,
ტანჯული იგრძნობს შვებასა,
მზის სხივი მოეფინება“.

„საქართველოსა“ და „იმედის“ გვერდით გალაკტიონი წერს „განთიადს“, რომელშიაც ბუნების ნატურალისტური აღწერაა. მასში პოეტურ გააზრებას ფაქტთა ჩამოთვლა ცვლის. უფრო კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „სიმღერა“, რომელშიც იგივე თემაა დამუშავებული. აი, სტროფი ამ ლექსიდან:

„ერთად გაბერეს გუდები,
სიმღერა იწყეს მტკბარია,
ყვინჩილა დილურს ბანს აძლევს,
იმას – თავჭრელი ვარია“.

„ერთად გაბერეს გუდები“ უკვე სახეა, მხატვრული გააზრება. მსგავსი რამ თითქმის არ გვხვდება ამ პერიოდის ლექსებში.

როგორც ჩანს, ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები უმეტესად ერთ ფოკუსში იყრის თავს. ეს სკოლაა. გასაგებია, რომ მესამე კლასის შეგირდისათვის სასწავლებელი თითქმის ყველაფრის მომცველი სამყაროა, რომელიც ავად თუ კარგად, მის ცხოვრებას ავსებს და აპირობებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ გალაკტიონი კრიტიკულად არის განწყობილი. ერთ ლექსში იგი აღწერს, თუ როგორ დაუგო მახე პატრა ნიკომ იეზუიტ მასწავლებელს და „გადააგდო დიდ წუმპეში“. ამით ავტორი თავის აქტიურ პოზიციას ამჟღავნებს.

დაუმთავრებელ მოთხრობაში „მიცვალებული“, რომელშიაც კარგად იგრძნობა გალაკტიონის დაკვირვების უნარი, ნაჩვენებია ყმაწვილების ტანჯვა სკოლაში.

უშუალობითა და გულწრფელობით ხასიათდება „წერილი რედაქციის მიმართ“. გალაკტიონი გამოხატავს იმ აღტაცებას, რასაც მას „ნაკადულის“ ნომრები ჰგვრის.

„რომ მივიღე „ნაკადული“,
გადავშალე ნელა-ნელა,
გულში ვიგრძენ სიხარული,
სიყვარულით ვიწყე ცქერა.
ნაზ ღიმილი მეკრა ტუჩზედ,
ხან ცვლიდა მას მწუხარება,

ხან მალხენდა მოთხრობები,
ხან ცრემლს მგვრიდა სხვისი ვნება“.

„ნაკადული“ გალაკტიონის უსაყვარლესი ჟურნალი იყო, რომელსაც თავიდან ბოლომდე გატაცებით კითხულობდა. ამ ლექსში გამოხატული განწყობილებაც პირდაპირ გულიდან მოდის. „წერილი რედაქციის მიმართ“ არამც და არამც არ ჩაითვლება ლიტერატურიშჩინის ნაყოფად. აქ უკვე გათავისებული მოვლენების კვალიფიკაცია მძლავრობს. სხვა საკითხია,როგროია ნაწარმოები მხატვრული თვალსაზრისით.

უფრო სრული წარმოდგენა რომ გვქონდეს 14 წლის გალაკტიონის შემოქმედებაზე, ერთ ლექსს მთლიანად მოვიტანთ:

„ნამი ბრჭყვიალებს
ობოლი – მწირი,
უფშტვენს, სისინებს
ნელი ზეფირი.
მაგრამ მე მაინც ვერ ვლირსებივარ
იმ სიტკბოების წუთსა ნეტარსა,
რომლის ძალითაც გულს ძალა ჰქონდეს
და წინმსვლელობა – მოქმედებასა.
უსტვენს ტოროლა,
გალობს ბულბული.
გამეფებულა
მთლად სიხარული.
მე კი ვერ ვპოვე ვერა-რა ქვეყნად:
ვერც მივაგენი იმ ტკბილსა წამალს,
რომლითაც ეხლა მაინც ვიგრძნობდი
სიხარულსა და სიტკბოებასა!!
მზე სხივებსა ჰფენს
ნაზი, ნარ-ნარი!!
გაღვიძებულა
ტყე, მთა და ბარი!!
გულს მაინც ვერ-რა გამიხალისებს,
ვერ ამიტაცებს ტკბილი რამ გრძნობა,
როცა მოძმე მყავს უბედობაში:
მაშინ მმართებს კი მხიარულება?!“

თვალს თუ გადავავლებთ 1905 წლის ნაწერებს,შევამჩნევთ,რომ გალაკტიონი დღითიდღე იზრდება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ივლისში დაწერილი მოთხრობა „ყაჩაღები“. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა თვეებში შეთხზული ნოველებისა და მინიატურებისაგან. „ყაჩაღების“ სტილი დახვეწილია. ტიპები


1906

გამოკვეთილი, მოქმედება ბუნებრივად ვითარდება. რაც მთავარია, ტენდენცია შენიღბულია, არ იგრძნობა ავტორის პუბლიცისტური ჩარევა, რითაც საკმაოდ არის დაღდასმული ადრინდელი მოთხრობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბოლოო დასკვნების გამოტანისას უნდა გავითვალისწინოთ, ჯერ ერთი, ის, რომ 14 წლის ყმაწვილის შემოქმედებასთან გვაქვს საქმე. მეორეც, განხილული ნაწარმოებები ხელის ერთი მოსმით არის დაწერილი. გადახაზული სიტყვები და გადაკეთებული ფრაზები შემდგომი გასწორების ნაყოფი კი არ არის, არამედ – თხზვის პროცესის პირველი ეტაპის ბუნებრივი ნიშნები. აშკარაა, რომ ამ ნაწარმოებებს არ დაბრუნებია გალაკტიონი. ამიტომაც მათი შეფასებისას გარკვეული სიფრთხილე გვმართებს. ისინი უმეტესად დამწყები პოეტის ინტერესების სფეროს გასაცნობად გამოდგება და არა პოეტური ოსტატობის საჩვენებლად. ცხადია, ეს მაინც არ იძლევა უფლებას, ისინი კვალიფიკაციის გარეშე დავტოვოთ.

1905 წელს გალაკტიონი ძალზე გატაცებულია ბუნებით. ამაზე მეტყველებს ლექსთა სათაურებიც: „გაზაფხული", „გაზაფხულის დილა", „ზამთარი", „განთიადი", „მერცხალი" და სხვა. საერთოდ, ნაკლებ ჩანს მარტოსულობის მოტივი. სუსტად იგრძნობა საკუთარი სულიერი სამყაროს მიმოხილვის აშკარა მცდელობა. „მეს" კვლევის ტენდენცია. ლექსებში აღწერა დომინირებს და არა პოეტური განსჯა. გალაკტიონი მოწაფური ერთგულებით მიჰყვება კლასიკოსებს. ხშირად მათი ნაწარმოებების ვარიაციებს გვაწვდის. მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგრძნობა ნიჭი. ამგვარი ვარჯიში აუცილებელ წინა საფეხურად წარმოგვიდგება თვითაღზრდის და პოეტური წრთობის გზაზე.

ვერ ვიტყვით, რომ ამ პერიოდში თხზვა გარდუვალობით იყოს პირობადადებული, რომ გალაკტიონს სხვაგვარად არ შეეძლო. სულიერი ტკივილის გამჟღავნება თითქმის არ იგრძნობა. უფრორე ეს არის ვარჯიში, რომელიც დიდ სიამოვნებას ჰგვრის ავტორს. გალაკტიონი წერს არა იმიტომ, რომ სათქმელი დაუგროვდა. არამედ სხვა მიზნით. ზოგჯერ დავალების შესრულებასაც კი ჰგავს მისი მოქმედება. სქელ რვეულში, რომელშიც დაფიქსირებულია განხილული ნაწარმოებები, ვკითხულობთ: „9 ოქტომბერს, როდესაც ქუთაისში ვიქნები, უნდა დავწერო საბავშვო კომედია „მეგობრები", რომელშიც უნდა გამოვხატო ერთმანეთის სიყვარულობის ძალა, ერთი რომელიმეს დაჩაგვრა რა შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვზე და სხვები... წიგნი უნდა იქნეს აკაკის „საყმაწვილო ამბების" ტოლი, 45 ფურცელი და

სივრცით „საუ. ბალის“ ოდენა“. მეორეგან ჩანიშნულია: „უნდა დავწერო ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ქრისტეს მცნებანი“, სისქით მსგავსი „მნათობის“, იმავე სიგრძით და სიგანით, 180 გვერდიანი“.

ეს არ უნდა იყოს დიდი განსჯიდან მომდინარე ლოგიკური მზადყოფნა, ყოველმხრივ გააზრებული თემის დამუშავების სურვილიტკივილისმომგვრელიგანცდებისაგანგანთავისუფლების ცდა. პატარა გალაკტიონისათვის,როგორც ჩანს,მთავარია წეროს და წეროს,რაც შეიძლება ბევრი. ამგვარ სურვილს კარგი შედეგი მოსდევს. ყმაწვილი თანდათან იმორჩილებს კალამს, იურვებს სიტყვას, ეუფლება ნაწარმოების აგების წესებს. უახლოვდება დიდი სამყაროს კარიბჭეს.

ახლა თვალი გავადევნოთ 1906 წლის ნაწერებს. გალაკტიონი უბრუნდება პოეტის დანიშნულების საკითხს. იგი ძველ ხაზს აგრძელებს, მხოლოდ ცალკეულ დეტალებს აზუსტებს. ამჯერად სიმართლისათვის ბრძოლა იწევს წინა პლანზე. ამასთანავე პოეტობა გამოცხადებულია „ცის ნიჭად ცხოველ-მყოფელად“ („კალამს“). მთლიანად მოვიტანთ „მუზას“.

„არ მსურს ამ ქვეყნად მე არც სიმდიდრე,
და არც განცხრომა, ტკბილი ცხოვრება,
მხოლოდ კი გვედრი შენ, ჩემო მუზავ,
მომცე სიმტკიცე, მომცე მხნეობა!..
მომეცი ძალა, რომ ბასრის კალმით
ვკიცხო საკიცხი და საძაგები
და პირუთვნელად ვამხილო მწარე,
სიბოროტე და თვით ბოროტება!
სანატრელია, რომ შეიმუსროს
ეს ჯოჯოხეთი (ცხოვრება მწარე)
და არ ვინალელი, მუზავ, თუ ხვედრი
ჩემი იქნება ცივი სამარე“.

1906 წლის ლექსებში მეტი სიღრმე და დაკვირვება შეინიშნება. უკვე მკაფიოდ იგრძნობა არა ფაქტებიდან, არამედ ფაქტებისაკენ სვლა. ამბავი, დეტალი მოხმობილია კონკრეტული იდეის დასასაბუთებლად.

საგულისხმო დასკვნისაკენ გვიბიძგებს იდენტური სათაურების მქონე ლექსების „ქრისტე აღსდგა“ შეპირისპირება. ერთი დაწერილია 1905, მეორე კი – 1906 წ. პირველში მხოლოდ და მხოლოდ ბუნების სურათია დახატული. აღდგომა სამყაროს გარეგნულ ფერიცვალებას უკავშირდება:

„აღდგომაა!.. ზარი გმინავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ტაძარს ეშურება.
განთიადიც ფერად დროშით
ნელად, ჩუმად ახლოვდება.
აღებულა მინდვრად თოელი,
მიწა გათბა, გადადარდა.
აგვიწვიმდა მახლობლად ტყე:
– ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
ჰა, იღვიძებს დედამიწა,
ბუნებამაც გაიბადრა.
მაღლა მთებმაც შექმნეს დრეკა:
– ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
მოგვაშუქა გაზაფხულმა,
მინდორ-ველი შეფერადდა,
ყმაწვილებო, მოგილოცავთ:
– ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!"

მეორე ლექსში იგრძნობა ფაქტის ორიგინალური გააზრება. აღდგომა საბაბია იმ იდეალების გამოსახატავად, რომლებიც ჭაბუკს ხიბლავს:

„ის გვაგონებს არ ქვეყნიურს
საოცნებო კუთხე-მხარეს,
სადაც უძლურ-დაცემულზედ
მტავრალთ გუნდი არ ხარხარებს.
სადაც თანასწორობაა,
არ იციან მტრობა, შური
სადაც ერთად იმყოფვიან
ღონიერი და უძლური".

ეს არსებულის კრიტიკა და დაგმობაა. აშკარაა, რომ პოეტს სათქმელი აქვს. გადადგმულია ნაბიჯი წინ. ბუნების სადა და გულუბრყვილო აღწერიდან „წყველა-კრულვიანი" საკითხის განხილვამდე მიედინართ.

ეროვნული პრობლემისადმი ინტერესი არც ამ წელს განელებია გალაკტიონს. ამაზე მეტყველებს „შემოდგომაც".

„გარდაიცვალა ბუნება,
აკვნესდა მთა და ბარია,
მაგრამ საშობლოს კვნესა კი
სხვებთან რა შესადარია?!"

ანალოგიური სულისკვეთებით არის დაწერილი „სულიკოს ხმაზედ", მაგრამ რაიმე პრინციპული სიახლე ძველი თემის გაშუქებისას არც ამჯერად იგრძნობა.

1906 წელს ჩნდება ახალი მოტივი, ბრძოლის მოტივი. პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონი – სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე

შინაგან ძალას შეიცნობს და „ცის ფრინველის“ წინააღმდეგ აღსდგება. ეს უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ გალაკტიონი საკუთარი სულის სიღრმეებისაკენ ილტვის, თავისი არსებობისა და მოვალეობის გარკვევას ლამობს. „ხმის ძალა“ სწორედ ამ ტენდენციით გამოირჩევა. ეს ხაზი შემდეგ ღრმავდება და წამყვან ადგილს იკავებს.

ეპოქა, რევოლუციური ატმოსფერო გავლენას ახდენს გალაკტიონზე. ძნელია იმის თქმა, თუ რა სიღრმით აქვს გათავისებული სოციალური საკითხი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ლექსთა დიდი ნაწილი ამ პრობლემას ეძღვნება.

„ღამეში“ წარმატებით არის გამოყენებული ძველი ხერხები. ბუნების სურათი შესრულებულია 14 წლის გალაკტიონისათვის ჩვეული მანერით, მაგრამ ამჯერად უფრო მძაფრად ვლინდება შეპირისპირება. მშვენიერი ღამე არ ატკბობს პოეტს, პირუკუ – ანაღვლიანებს კიდეც, რადგან

„თვალწინ მიდგება ჩვენი ცხოვრება,
მასთან ვადარებ და მისთვის ვტირი.
სატირალია ჩვენი ცხოვრება –
დაცემული და ყოველად წამხდარი“.

ლექსში „სიკვდილით დასასჯელის აღსარება“ გალაკტიონი გვიხატავს თავისუფლებისათვის წამებულ რაინდს, რომელიც შეუპოვრად ებრძოდა ბოროტებას, „მოსარჩლე იყო ჩაგრულებისა, დაცემულ მოძმის მწე და მფარველი“. ავტორი მისაბაძად სახავს ამგვარ ვაჟკაცს, რომლისთვისაც უცხოა შიში და გულგატეხილობა. იგი თამამად ადის სახრჩობელაზე, რადგან იცის, რომ კეთილ საქმეს ემსახურებოდა და მის მიერ ჩაბნეული თესლი ნაყოფს გამოიღებს.

„ამხანაგებო! უკანასკნელად,
ნება მომეცით, გითხრათ, „მშვიდობით!“
და მომიგონეთ მაშინ, როდესაც
გამარჯვებული ყველა იქნებით“.

„ალავერდში“ გალაკტიონი კვლავ უბრუნდება ამ თემას. პატივისცემით იხსენიებს დაღუპულთ და ერთგულებისაკენ მოუწოდებს თანამებრძოლებს.

„არ შეგვშვენის, დიდ მოძღვრებას
ავუქციოთ ყველამ გვერდი.
სიტყვა მივცეთ, ერთმანეთს არ
ვულალატოთ! – ალავერდი!“

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის თითქმის ყველა

ლექსი ოპტიმისტურია, განათებულია უკეთესი მერმისის შუქით. „სიმღერაში“ პოეტი ამბობს:

„ვერ შემაშინებს ეგ შენი
მოუსვენარი ღრიალი:
მოვა დრო, ყველას გარდაქმნის
გაზაფხულისა ციალი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტი საბრძოლო განწყობილებით აღანთებს საზოგადოებას:

„მაგრამ ოცნება არ ემარა, ძმებო!
დროა, რომ საქმეს მივყოთ ჩვენც ხელი,
და, რა ვგონიათ, არ დაიძლევა
მუდამ ძლიერი და უძლეველი?!“

საერთოდ, მაჟორული განწყობილება მძლავრად იჩენს თავს ამ პერიოდის ნაწერებში.

ამრიგად, 1906 წელს გალაკტიონის შემოქმედებაში ჩნდება ახალი მოტივი, მეტად აისახება რეალობა, მაგრამ პოეტი მაინც გაკვალული გზით მიდის. ჯერჯერობით არაფერი ავლენს მის გენიოსობას და მწერლობისადმი თავგანწირვას. ერთადერთი, რაც თვალში საცემია, ეს არის შეუნელებელი და გამუდმებული შრომა, ლიტერატურაში ჩანთქმა.

გალაკტიონი 1907 წელსაც ბევრს წერს, თვეში დაახლოებით 10-15 ლექსს. მათი უმეტესობა, როგორიცაა: „ჩემს სამშობლოს“, „აღსდეგ ჩაგრულო“, „ჩანგო“, „იაპონია“, „რუსეთი“ და სხვ., მხატვრულად სუსტია, თუმცა აქტუალურ თემებს ეძღვნება. ამ ნაწარმოებებშიც სამშობლოს სიყვარული და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლის სურვილია გამჟღავნებული. დაჩაგრული მამულის ხილვა სევდით ავსებს ჭაბუკ პოეტს. იგი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო მალე გამოფხიზლდება და გაჰფანტავს ბურუსს. გალაკტიონი ბევრ საკითხს ეხება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მას ჯერ კიდევ არ აქვს ერთიანი მყარი კონცეფცია. მისი მსოფლმხედველობა ფორმირების პროცესშია. იგი ზოგჯერ ურთიერთ საწინააღმდეგო აზრებსაც კი გამოთქვამს. ერთ შემთხვევაში თუ ბრძოლის მოთხოვნით გამოდის, მეორე შემთხვევაში მოთმინებისა და მიტევების თეზისს ავითარებს. ლექსში „ილ. ჭავჭავაძის ხსოვნას“ იგი ამბობს:

„მაგრამ, მკვლელო, არ მომკვდარა,
არ მომკვდარა სული მგოსნის
მოგიტევებს ვით ავაზაკს,
მოგეხვევა, გადაგკოცნის!“

აქ მყლვნდება საზოგადოების ერთი ნაწილის განწყობა. როგორც ცნობილია, ოლღა ჭავჭავაძემ თხოვნით მიმართა თბილისის გენერალ-გუბერნატორს: „სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა ჩემთვისა და მთელი საქართველოსათვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანურ გრძნობას, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მრწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი, და თავის უბედურ გზა-დაბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის ხსოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დასჯით დაიჩრდილება. ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოვრების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი. მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლოს განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს ჩემი ქმრის გვერდით და თითქო მხოლოდ იმისთვის დავრჩი ამ სოფლად, რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა – შეუნდო იმ უბედურ, გზადაბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა. ჩემი დღეები დათვლილია. ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძნო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთი-სოფელში, – შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა, ჯვარზე განრთხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმის მტრებისას, რამეთუ – „არა იციან რასა იქმან!“[1]

ეს თხოვნა დაიბეჭდა 1908 წლის 13 დეკემბრის „დროებაში“. გალაკტიონის ლექსი კიდევ უფრო ადრეა დაწერილი. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ საზოგადოებისათვის ადრევე ყოფილიყო ცნობილი ოლღა ჭავჭავაძის განზრახვა, სურვილი და გალაკტიონიც თანაუგრძნობს დიდი მწერლის ქვრივს.

სხვათა შორის, ოლღა ჭავჭავაძის თხოვნას აღტაცებაში მოუყვანია ლევ ტოლსტოი. ხოლო მწერალ ივანე გორბუნოვ-პოსადოვს ამასთან დაკავშირებით სპეციალური სტატიაც

[1] გაზ. „დროება“, 1908, №22.

კი დაუბეჭდავს „რუსსკოე ვედომოსტში“ – „ხინათლე აღმოსავლეთიდან მოდის“[1].

ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იმსახურებს ისეთ ლექსებ, რომლებშიაც ლირიკული გმირის ვნებათაღელვა შედარებით ვრცლად წარმოჩინდება. წინა პერიოდის ნაწარმოებებში პოეტის განცდები უმეტესად მიჩქმალული იყო. მოვლენების აღწერას, ვითარების ჩვენებას ეთმობოდა მთავარი ადგილი. ამჯერად კი გალაკტიონისთვის საინტერესოა არა ფაქტი თავისთავად, არამედ ამ ფაქტიდან მომდინარე შთაბეჭდილება.

მეორე სიახლე ისიცაა, რომ სევდის თუ ტრაგიკული განწყობის მიზეზად, სოციალური ან ეროვნული უბედურების გარდა, გამოცხადებულია სხვა, ვთქვათ, შინაგანი, ფილოსოფიური მომენტები. ამ მხრივ საეტაპოდ უნდა ჩაითვალოს „მაისის ღამე“. აქ პირველად გამომჟღავნდა შედარებით მკაფიოდ ის მოტივი, რომელიც შემდეგ წამყვან ადგილს იკავებს გალაკტიონის შემოქმედებაში:

„მიყვარს მე ღამე, ჩემის ფანჯრიდან
ცქერა, თუ როგორ კრთის ცაზედ მთვარე,
როგორ ბრჭყვიალებს იმისი გვერდით
ვარსკვლავი ეშხით – სახე მკრთოლვარე...“

დასაწყისი თითქოს ახალს არაფერს გვპირდება. მომდევნო სტროფებშიც გრძელდება ბუნების სიმშვენიერის აღწერა და მისით ტკბობის სურვილიც არის გამოხატული:

„მაგრამ არამც თუ ადარა ვტკბები,
პირიქით, ვტირი გარემოებით,
სულ სხვა ფიქრები მიდგება თვალწინ.
არ მახალისებს მაისის ღამე.
და მსურს ვიტირო, ვიტირო მუდამ,
ვიტირო ის დროც, რა დროც კი განველ!“

აქ უკვე მინიშნებულია, რომ გალაკტიონი თავისი წარსული ცხოვრების განჩხრეკითა ინტერესდება, საკუთარი სულის სიღრმეში იძირება; სევდის არა გარეგნულ, არამედ შინაგან მიზეზებს ეძებს.

1907 წელს გალაკტიონმა რამდენიმე პიესა დაწერა, რომელთაგან ყველაზე ღირებულია ორმოქმედებიანი „სურათები ცხოვრებიდან“. სხვათა შორის, იგი სცენაზეც წარმოადგინეს. გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია: „გუშინ, 30 მარტს, ჩემმა ამხანაგებმა გ. მიხელიძემ, ა. დევდარიანმა, ვ. გოგოძემ, მ. ყიფშიძემ,

[1] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, 1962, გვ. 563.

ჰ. ჩარკვიანმა და სხვებმა წარმოადგინეს ჩემი „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. სპექტაკლი საშუალო დონისა იყო. ძალიან კარგი იქნებოდა, ამხანაგებს რომ არ ეცინათ როლების შესრულებისას და ეთამაშათ გენადი მიხელიძის მსგავსად“.

ჩანს, სასწავლებელში გალაკტიონს მწერლად იცნობენ. მისი ნაწარმოებებით ინტერესდებიან, კითხულობენ, დგამენ...

„სურათები ცხოვრებიდან“ ურიგო შთაბეჭდილებას როდი ტოვებს. მდიდარი ვაჭრის – გაბრიელის სახე ნამდვილად დასამახსოვრებელია. ეს პერსონაჟი ინდივიდუალური ნიშან-თვისებების მატარებელია. როგორც სათაური მიგვანიშნებს, პიესაში თანამედროვე ცხოვრების სურათებია წარმოჩენილი, კერძოდ, რევოლუციის ეპოქაა ასახული.

გაბრიელი არ თანაუგრძნობს სოციალ-დემოკრატებს. აღშფოთებულია მათი მოთხოვნით: „ძირს თვითმპყრობელობაო“. „გაიძახიან ხელმწიფე არ გვინდა და ღმერთი არ გვინდაო. შეიგენით, შვილო, შეიგენით, რომ ხელმწიფე მიწიერი ღმერთია. აბა, მითხარით, რა იქნება უხელმწიფოდ, რა?!“ – ეუბნება გაბრიელი შვილებს: იასონსა და თამარს, რომლებიც აჯანყებულებს თანაუგრძნობენ. გაბრიელი ძველი ყაიდის კაცია. მისი აზროვნება და მსჯელობა ტიპურია.

მდიდარ ვაჭარს ბინაში შეუვარდებიან ყაჩაღები, ვითომ სოციალ-დემოკრატები. მოპკლავენ გაბრიელს და გაძარცვავენ ოჯახს. საბოლოოდ ირკვევა, რომ მომხრუდნი რევოლუციონერები არ ყოფილან.

რატომ აირჩია გალაკტიონმა ეს თემა? მწერალს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ქვეყნად ანარქია სუფევს. სოციალ-დემოკრატთა სახელს ბევრნი ეფარებიან და დიდი ზიანიც მოაქვს საზოგადოებისათვის.

ცოტა მოგვიანებით გალაკტიონი წერს ესკიზს: „ძველი და ახალი მებრძოლები“, რომელშიაც რევოლუციის თემას უბრუნდება. მას აღელვებს ის გარემოება, რომ ზოგიერთები მიეტმასნენ აჯანყებულებს, რათა ამღვრეულ წყალში თევზი დაეჭირათ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ისინი ხალხს განუდგნენ. გალაკტიონი სატირულ ფერებში გვიხატავს ასეთ პიროვნებებს. ესკიზს მოვიტანთ მთლიანად.

ძველი და ახალი მებრძოლი

„მაშინ, როდესაც აბობოქრებული ზღვა – ცხოვრება თავისი კალაპოტიდან გადმოჩქეფას ლამობდა, უკვე გამარჯვებულად ითვლებოდა, მაშინ...

***

სოფელში ყრილობა იყო. ტრიბუნაზე ხმამაღლა ახალგაზრდა გლეხი ლაპარაკობდა:

– აირჩიეთ წარმომადგენელი.

– შენ, შენ წარმომადგენლად!

– იყავი შენ! – არეულად ზრიალებდა ხალხი.

– მაშ, ვიქნები მე... მე მრწამს, რომ პირნათლად შევასრულებ ჩემს მოვალეობას – ვემსახურები ხალხს, ვიქნები მებრძოლი სიმართლისათვის. ვერ შემაშინებს ვერავითარი დაბრკოლება, ვერც ჩვენგან უკვე დამონებული ძალა. წინ, წინ! ამხანაგებო! მიეესალმოთ თავისუფლებას! – გრძნობით ათრთოლებული ხმით ლაპარაკობდა ორატორი.

მაგრამ მოულოდნელად ბედის ჩარხი უკუღმა გადატრიალდა. დამონებული დამმონებლად გადაიქცა.

***

ეხლა სოფელში „ერთობის ხალხის" უმეტესი ნაწილი რეაქციონერებად გადაიქცნენ, რაკი დაინახეს, რომ გამარჯვება იქით მხარეზეა. აბეზღებენ ხალხს მთავრობასთან. შველიან მათს დაჭერაში და უმეტესად კი თვითონაც არბევენ ხალხს, რადგანაც ზოგიერთნი მათგანი სტრაჟნიკებად ეკურთხნენ.

სად არის ეხლა ჩვენი ნაცნობი ორატორი – გლეხი, ანდა დაიცვა მან თავისი სიტყვა – იყოს ხალხის მომსახურე და სიმართლისთვის მებრძოლი? – დიახ, შეასრულა მან თავისი სიტყვა – იგი სტრაჟნიკია, ის ემსახურება ხალხს და იცავს სიმართლეს. როგორ, რანაირად?

აგერ ხალხი შეგროვილა აფიცრის ბრძანებით – მაგრამ, რადგან თვითონ ის არ არის, მის მოვალეობას ჩვენი ნაცნობი ორატორი – წარმომადგენელი ასრულებს.

– თქვენ, ეი, ვირებო! მოგვცემთ თუ არა დღესვე გადასახადს?

– ხალხში ჩოჩქოლია.

– რას გაჩუმდით ჰა? მხეცებო! – ღრიალებს სტრაჟნიკი.

– კი, ბატონო, მოგართმევთ, მოგართმევთ, მაგრამ დღეს კი ვერა, ცოტა მოგვითმინე და...

– როგორ? მაშ დღესვე არ იძლევით? ნუთუ თქვენ იმასაც არ მადლობთ მთავრობას, რომ ცუდი კაცები მოგაშორათ, არა ხართ მისი მადლობელნი?

– ჰოი, უმეცარნო, ვირნო! რად არ გვაძლევთ გადასახადს! ჰო,

ვნახოთ, ვნახოთ!

— კი, შენი ჭირიმე, მარა...

— გაჩუმდით, ვირებო! მე თქვენ გაჩვენებთ სეირს, ეხლავე! ხმამაღლა წამოიძახა სტრაუნიკმა და მათრახი ხელში მოქარგა. მას მიბაძეს სხვა სტრაუნიკებმა და... ცხელ-ცხელი მათრახები ხალხის ზურგს.

სტრაუნიკი კი ახლაც დარწმუნებულია, რომ თავისი სიტყვისათვის არც კი უმტყუნებია. ის ემსახურება ხალხს... იმგვარად თუმცა არა, მაგრამ აღფრთოვანებულ მოწოდებას განა უეცრად მოქნეული მათრახი არა სჯობია?

„ასე ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო!“

იმასაც დავსძენთ, რომ გალაკტიონი თვითმპყრობელობის დამხობის მომხრეა. ამიტომ უჭერს მხარს რევოლუციონერებს, მაგრამ ბევრ რამეში ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა. რევოლუციონერთა ცალკეულ

აქციებს არცთუ აღტაცებით ხვდება, პარტიული ბრძოლისაგან შორს დგას.

1908 წელსაც გალაკტიონი არსებითად სოციალური და პოლიტიკური საკითხებით არის გატაცებული. რევოლუციის დამარცხებას სრულიადაც არ გამოუწვევია განწირულების ტრაგიზმი. ფაქტები ღაღადებენ, რომ იგი ოპტიმისტურად არის განწყობილი. გალაკტიონს რევოლუციის დამარცხება დროებით მოვლენად მიაჩნია. სწამს, რომ საბოლოოდ თავისუფლება გაიმარჯვებს, მაგრამ ამისთვის საჭიროა ბრძოლა, მსხვერპლის გაღება.

ლექსში „ბარიკადაზე“, რომელიც იანვარშია დაწერილი, ის ამბობს:

„შეგობრებო, თვით განგებამ
ბედისწერად დაგვახატა,
რომ ჩვენ სისხლით შეიღებოს
დახლართული ბარიკადა!
დეე, მოგვხვდეს გულში ტყვია...
მოგველება მისით ბოლო,
მაგრამ მაინც ასრულდება
ჩვენი რწმენა და სიმბოლო!
რომ ასრულდეს, რაც განგებამ,

ბედისწერამ დაგვახატა:
შეიღებოს, შეიღებოს,
ჩვენი სისხლით ბარიკადა!"

ამავე თვალსაზრისს ავითარებს გალაკტიონი 20 აპრილით დათარიღებულ ლექსში „მაშ..."

„ნუ, ნუ დაკარგავთ სასოებას,
გრწამდესთ მომავლის სახე დიადი.
და მხოლოდ მაშინ ჩვენ მოგვაშუქებს
მზე შუქლიერი და განთიადი".

პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცხოვრებას იდეა აძლევს ფერს და სიძლიერეს. მის გარეშე დიდი საქმე ვერ გაკეთდება. ამიტომაც მოუწოდებს რევოლუციონერებს რწმენის სიმტკიცისა და შეურყვნელობისაკენ.

პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსი უფრო სევდიანია, მაგრამ არა ტრაგიზმის გამომხატველი. სრულად მოვიტანთ 20 აგვისტოს შეთხზულ „სიმღერას":

„მთიდამ ისმის შესაზარი მწუხარე ხმები.
მუდამ გულს ატოკებენ მათი ჰანგები,
დადუმებით იალბუზი ყურს უგდებს იმ ხმებს
და ის კვნესა მას სავსებით შორს, შორს
იტაცებს.
აგონდება მას წარსული დიდება ძველი,
აგონდება დაკარგული წმიდა სახელი,
გაფრენილი სიტკბოება და გაზაფხული.
სადღა არის ის სიცოცხლე და სიხარული!

ნაცვლად ისმის შესაზარი, მწუხარე ხმები.
ოჰ, რარიგად ატოკებენ გულს ის ჰანგები.
ცრემლითა და სისხლის ღვარით მორწყულა
მდელო,
დატანჯული ითხოვს შველას, კვნესს
საქართველო".

ეს სევდიანი განწყობილება სასოწარკვეთაში როდი იზრდება. გალაკტიონს სწამს საქართველოს უკეთესი ხვედრი. ეს მკაფიოდ გამოვლინდა ივნისში დაწერილ ესკიზში: „Дорогая родина! Нет, не все потеряно! Грузия еще восстанет. Да, она станет такою же Грузиею, каковой она была несколько веков тому назад! Да, не все потеряно! Когда-то скажем образованные сыны: Да здравствует освобожденная мать, родина Грузия!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულს შევჩერდებით კიდევ ერთ ლექსზე:

„ნუ მეუბნებით, რომ ფრთები
შეეკვეცო ადმა-ფრენასა.
ნუ, ნუ მაგონებთ მგოსანსა
მომავალს ჭირს და სნებასა.
თვით ჩემი ჭირიც და ლხინიც
ოცნებაშია ჩართული;
შენატრის ადმა-ფრენასა
ჩემი გონება და გული.
მაშ რას შევსცქერო იმედით?
ვუმღერო ბოროტებასა?
ვხედავ მას, მაგრამ ოცნება
სულს ურჩევნია მგოსანსა“.

დიახ, ამ ოცნებით ცხოვრობს გალაკტიონი. როგორც მოგვიანებით იტყვის: „ეპოქის გედი ოცნებას მღერის გაბედითებით“. რა ხდება მომდევნო წლებში, რა აპირობებს მის ტრაგიზმს? ვიდრე ამას გავარკვევდეთ, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი განხილულ მასალებს.

ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება გალაკტიონის ადრინდელ ნაწერებზე. ისინი დღემდე შემოტანილი არ ყოფილა სამეცნიერო მიმოქცევაში. უფრო მეტიც, აბსოლუტურად უცნობი იყო საზოგადოებისათვის. მათი გათვალისწინება კი აუცილებელია მწერლის შემოქმედებითი ზრდისა და ფორმირების დასადგენად.

მასალათა ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გალაკტიონის ადრინდელ შემოქმედებაში ადგილი არ პქონია თვისებრივ ნახტომებს. თანდათანობითმა ზრდამ მიიყვანა იგი შთამბეჭდავ შედეგებამდე. ცნობილ თემებს თავდაპირველად დიდი წინაპრების – ილიასა და აკაკის წაბაძვით ამუშავებს. მაშასადამე, ჯერ კიდევ ვერ გაურღვევია შეგირდის არტახები, მაგრამ მგოსანი დღითიდღე იზრდება, ახალი მოტივებითა და თემებით ინტერესდება, სინამდვილის მოწაფური აღქმიდან სამყაროს არსისა და პიროვნების ფუნქციის განჩხრეკამდე მიდის. უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სულის სიღრმეებში იხედება და, აქედან გამომდინარე, ცდილობს ადამიანის ურთულესი ბუნების დახასიათებას.

***

დამთავრდა სასულიერო სასწავლებლის წლები, ცხოვრების კიდევ ერთი ლამაზი მონაკვეთი.

იფანტებიან ძველი ამხანაგები. უკან რჩება პატარა და წყნარი ქუთაისი. წინ დიდი და მშფოთვარე თბილისია. „ქუთაისო! მშვენება

შენი, არ ვიცი, თუ კიდევ გამახასლისებს. ჩემო ტურფა აღმზრდელო, იცი შენ ჩემი მდგომარეობა? გესმის შენ ჩემი გულის ძგერა? დაგშორდი, მაგრამ ნუთუ სამუდამოდ".

მშობლიურ ქალაქთან განშორება მძიმეა. სული ტირის...

თბილისიც ანდამატივით იზიდავს.

პოეტური წვრთნის პერიოდი თითქმის გასრულდა და დადგა დრო მწერლობის კარის შეღებისა.

„მოვა ახალი სმენა აქარიშხლების მძაფრის.
სულ ადვილია რწმენა, აუხდენელი ზღაპრის".



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 182.

„ღმერთო, რად გამაჩინე!“

„ათოვდა ზამთრის ბალებს,
მიჰქონდათ შავი ეკლიო,
და შლიდა ბაირალებს
თმაგაწეწილი ქარი“.

გალაკტიონი

1908 წლის სექტემბრიდან გალაკტიონი თბილისის სემინარიის მოსწავლეა. იწყება ჟამი დიდი შთაბეჭდილებებითა და მძაფრი განცდებით, თვალისმომჭრელი წარმატებებითა და სასტიკი მარცხით...

თბილისში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოსული გალაკტიონი ერთხანს ნაძალადევში ცხოვრობდა. სადგურის მახლობლად დედის შორეულ ნათესავს, – რკინიგზის მუშას, – უბადრუკი ქოხი ჰქონდა ხელისგულისოდენა ბალჩით. გალაკტიონიც ამ კაცს შეეკედლა.

საქართველოს უპირველესი ქალაქის მისეული შეცნობაც აქედან იწყება. ახლა ძნელია იმის დაზუსტება, თუ როგორი იყო ყრმა პოეტის განცდები. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ნაძალადევი თვალსაჩინო
ანაბეჭდს გააკეთებდა მგრძნობიარე ყმაწვილის სულშიყმაწვილისა, რომელმაც ცოტა მოგვიანებით გაბედულად განაცხადა:

„და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი“.

ერთხელ გალაკტიონმა საგანგებოდ დამათვალიერებინა ხსენებული ადგილი, თან უცნაური ამბავი მომითხრო. მის ნათესავს თურმე ეკონომიკურად ძლიერ უჭირდა და მუდმივი პენსია რომ მიეღო, ჩარხს თითები მოაწყვეტინა. ამ ამბავს გალაკტიონი ისე ყვებოდა, თითქოს ტყავზე ჩამოკონწიალებულ, გასისხლიანებულ და დაჩეჩქვილ მტევანს შეჰყურებსო. ყვებოდა ძრწოლვით და თვალებში ნამდგარი უზომო შიშით.

ეს ფაქტი იმიტომაც გავიხსენე, რომ იგი მკაფიოდ აელენს წარსულისადმი გალაკტიონის დამოკიდებულების სპეციფიკას. ზოგი წარსულს ფერფლგადაყრილ სინამდვილედ აღიქვამს და მისადმი რეაქციაც გრძნობათა ხელახალ გაღვივებას ჰგავს. გარდასულისადმი მიმართება წარსულში არსებულ გრძნობათა გახსენებას არ სცილდება. ე. ი. ფაქტისა და მისგან მომდინარე განცდების დახასიათება შორი დისტანციიდან წარმოებს, უფრო ზუსტად, მათი აღდგენა ხდება.

გალაკტიონთან კი ხშირად წარსული აწმყოდ პროექციორდება.

იმჟამინდელი განიცდება მიმდინარე რეალობად და მისადმი რეაქციაც ახალია. ე. ი. არა გრძნობათა გახსენება, არამედ მათი გამოწვევა. ამიტომაც განცდათა ინტენსივობა შეუნელებელია, რეაქცია უშუალო, პოეტური სიტყვა მძაფრი და ემოციური.

მივუბრუნდეთ ძირითადს. გალაკტიონის თბილისში ჩამოსვლა არაფრით ჰგავდა დიდ ქალაქში უბირი ყმაწვილის სტუმრობას; ყმაწვილისას, რომელიც აღტაცებით შესცქერის ყველაფერს, იხიბლება გარეგნული სიმშვენიერით და ყალბსაც ნაღდ ვერცლად იღებს.

გალაკტიონი უკვე კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეა. მას მკაფიო შეხედულებები აქვს მზისქვეშეთზე და მოქმედების რეალური გეგმით ხელმძღვანელობს. იგი ჩამოდის პროვინციელი ჭაბუკის სიჯიუტით, რათა დაიპყროს და არა ემონოს. მისთვის არსებითი მხოლოდ სწავლის გაგრძელება როდია. თბილისში ფრთების გაშლას და აღიარებას ელის.

სემინარიაში შესვლისთანავე გალაკტიონი ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს განპირობებულია იმით, რომ ქუთაისელმა ამხანაგებმა თან ჩამოიტანეს დამწყები პოეტის ნიჭისა და სულიერი სიწმინდის ამბავი. ამას ემატება ისიც, რომ მოსვლისთანავე მან გამოაქვეყნა ლექსები „შავი ღრუბელი“ და „მთვარე კაშკაშებს“, რომლებმაც ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. რაც მთავარია, თვით გალაკტიონის პიროვნება ბადებს რიდსა და პატივისცემას. მასთან საუბარი, ურთიერთობა გაგრძნობინებს, რომ გამორჩეულ ახალგაზრდასთან გვაქვს საქმე.

გალაკტიონი ენერგიული, შთაგონებული პიროვნებაა. მას სჯერა საკუთარი თავისა; იცის, რომ ნიჭიერია და ეს არა მხოლოდ სიამაყით ავსებს, არამედ მოქმედებისკენაც უბიძგებს.

გალაკტიონი სემინარიაში მოსვლისთანავე აარსებს ხელნაწერ ჟურნალს – „შუქს“. ახალგაზრდა პოეტი მომზადებული იყო ამ საქმისათვის. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში იგი ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ ჯგუფს, რომელსაც უნდა გამოეცა გაზეთი. ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, შეესხა თუ არა ხორცი ამ განზრახვას. მაგრამ ჩანაფიქრიც მრავლისმეტყველია. სავარაუდოა, რომ ამ საქმისათვის ზრუნვა გარკვეულ გამოცდილებას შესძენდა გალაკტიონს.

ვიდრე „შუქში“ გამოქვეყნებულ მასალებზე შევჩერდებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ დღემდე სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი იყო ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი (დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში). ჩვენ მივაკვლიეთ მეორესაც. იგი შესაძლებლობას იძლევა

გამოვამზეუროთ გალაკტიონის რამდენიმე უცნობი ნაწარმოები, ამასთანავე, კიდევ უფრო მკაფიო წარმოდგენა შევიმუშაოთ ჟურნალის სახესა და მნიშვნელობაზე.

„შუქის" პირველი ნომერი გამოვიდა 1908 წლის 9, ხოლო შეორე – 15 ნოემბერს. ის ჩაფიქრებული იყო როგორც ყოველკვირეული ორგანო.

ჟურნალი მცირე ფორმატისაა. ყდიანად თორმეტ გვერდს შეიცავს. გვერდი ორ სვეტად არის გაყოფილი. გამოცალკეეებულია სარდაფი, რომელიც მაშინდელი წესისამებრ ფელეტონად იწოდება.

ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით „შუქი" სადა და მიმზიდველია. ორივე ნომრის პირველ გვერდზე დახატულია სემინარიის შენობა, რომლის თავზე წითელი დროშა ფრიალებს. მზის სხივები უხვად ეფინება გარემოს, სურათის ზედა მარჯვენა კუთხეში ჟურნალის სახელწოდებაა. ნახატის ავტორია პ. ხობისპირელი. მასვე ეკუთვნის პირველ ნომერში მოთავსებული კარიკატურა, რომელზედაც გამოსახულია ბერი, სემინარიის თანამშრომელი. ქვემოთ წარწერაა: „მოხვედით ჩემდა ყოველნი ტვირთმძიმენი და მაშვრალნი და მათრახითა ჩემითა დაგამშვიდებთ თქვენ".

მასალები გადაწერილია გალაკტიონის ხელით.

„შუქი" ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოა. მასში ქვეყნდება ლექსები (8), მოთხრობები (2), დრამა (1), წერილები და სხვ. ჟურნალში თანამშრომლობენ ბონაპარტი (ქ. ქავთარაძე), ლადო ოსი (ვ. ფარნეევი), თავისუფალი (ს. ბადურაშვილი), აბო (ვ. გორგოძე), პ. ხობისპირელი, თ. ასკისპირელი, ლაშელი, შხამი, მამაცი, მოლისკნელი, ა. ფ. და ლ. მ. ძირითადი სიმძიმე გალაკტიონის მხრებზე გადადის. იგი არა მხოლოდ რედაქტორ-გამომცემელია, არამედ წამყვანი პოეტი და პუბლიცისტი. „შუქის" მასალათა მესამედზე მეტი, 10 ნაწარმოები, მას ეკუთვნის.

იმხანად სემინარიაში რამდენიმე ხელნაწერი ჟურნალი და გაზეთი არსებობდა. მათ შორის ძალზე პოპულარული იყო დემონის (ქ. ქავთარაძის) ჟურნალი „ეკალი". აღძრულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო ცნობებს გვაწვდიდა გალაკტიონიც. „შუქის" პირველ ნომერში ვკითხულობთ: „...სემინარიაში გამოდის გაზეთი „ჯაშუში". გაზეთის მიმართულება სემინარიიდან ჯაშუშობის აღმოფხვრაა.

მივიღეთ ახალი გაზეთი „წვეთი". გაზეთი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზედ. შიგ ჩართულნი არიან ლ. ტოლსტოის და პროფ. პეტრიაშვილის სურათები".



„შუქი"

საფიქრებელია, სასწავლებელში მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებიც არსებობდა. ასეთ პირობებში არცთუ ადვილია ზედაკლასელების მიზიდვა. გალაკტიონმა ეს შეძლო, რაც „შუქის" პროგრესულ მიმართულებასა და რედაქტორ-გამომცემლის ავტორიტეტზე მეტყველებს.

„შუქი" გამოირჩევა დემოკრატიული სულისკვეთებითა და საბრძოლო განწყობილებით, როგორც სარედაქციო წერილში არის აღნიშნული, მისი მიზანია სემინარიაში გამეფებული ბოროტების მხილება, მოსწავლეთა დარაზმვა თავისუფლებისა და ბედნიერების მოსაპოვებლად. „ჩვენი ახალი გაზეთი „შუქიც"... ეცდება იცნოს, გააპოს და ოდნავაც არის გაანათოს სიბნელით მოცული სემინარიის ატმოსფერო... და თუ უკანასკნელი მისთვის შეუძლებელი შეიქმნა, ის კი შესაძლებელი იქნება, რომ მოსწავლეებს ეს ჯურღმულის ავი და კარგი გაარჩევინოს...

„შუქი" ეცდება აღნიშნოს ცალ-ცალკე ყველა მხარეები, გადაჭრილი გზით მისწვდეს სათითაოდ ყველას და საკადრისი პანღურიც ამოკრას!!..

მაშ, ვეცადოთ, გავაუმჯობესოთ ორგანო, რომლის მიზანიც წმინდა და სპეტაკია, ვეცადოთ ხელი შეეუწყოთ მის გაძლიერებას, რომ უდროოდ არ განისვენოს „წიაღთა შინა აბრამისასა"[1].

ერთი შეხედვით, თითქოს მოულოდნელია, რომ გალაკტიონი სემინარიის ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე აშიშვლებს მახვილს, ბრძოლას უცხადებს მათ, რომლებმაც განათლების შესაძლებლობა მისცეს, შეიკედლეს და დროდადრო ეკონომიკურ დახმარებასაც უწევენ.

მაგრამ ვინც გალაკტიონის ხასიათსა და მისწრაფებებს იცნობს, მას ბუნებრივად მოეჩვენება ჭაბუკის ამგვარი მოქმედება. სემინარია ამ შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტული დაწესებულება როდია, არამედ არსებული სისტემის განსულიერებაც.

ჟურნალის ამოცანა ჩამოყალიბებულია გალაკტიონის ლექსშიც, რომელიც პირველ გვერდზე გამოქვეყნდა:

„გააპე ბნელი,
ნაცვლად ნათელი
გადმოაფინე ტანჯულსა არეს,
რომ შენი სხივით,
იმედით ტკბილით
ანუგეშებდე ტანჯულ-მწუხარეს!
რომ ბედი ჩვენი
იმედის მჩენი

---

[1] ჟურნ. „შუქი", 1908, №1.

ალარ დაგვიქერდეს განრისხებულად:
გააპე ბნელი,
ნაცვლად ნათელი
მოგვფინე ტანჯულთ, სახსნელ იმედად!

სხვა მასალებშიც ის აზრია გატარებული, რომ ახალი პერიოდული გამოცემა თვალსაჩინო როლს შეასრულებს სემინარიელთა ცხოვრებაში.

„შუქი“,უპირველეს ყოვლისაგამოირჩევა არსებული ვითარების შეუფარავი კრიტიკით. რედაქცია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ რევოლუციის დამარცხებამ საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემის შესუსტება გამოიწვია. უმკაცრესი რეჟიმი დამყარდა სემინარიაშიც, მაგრამ საბოლოოდ მაინც სიკეთე იზეიმებს. მოუსმინოთ ქუჩუ ქავთარაძეს: „დღეს მთავრობა გამარჯვებულია სემინარიაში. ბნელეთი გამეფდა არა თუ სემინარიაში, არამედ მთელ რუსეთში. ეხლა ის დროა, როდესაც გამოღვიძებულია ყველა უზნეო და დაცემული, ეგრედწოდებული „ნაძირალები“.

ისარგებლეს ამ გარემოებით ჩვენმა ამხანაგებმა (თუ კი შეიძლება ამხანაგები ვუწოდოთ მათ), ისარგებლეს მთავრობამ და მასწავლებლებმა. წავიდა ის ნეტარი დრო,როდესაც ყველა ეს გაიძვერები თავიანთ ბუნაგებში შიშით იმალებოდნენ. დღეს კი ბედმა გამარჯვება იმათ არგუნა; მთელი სემინარია მყუდროებას მისცემია და დადუმებულა.

მხოლოდ ათასში ერთი შეტაკება სემინარიის ზოგიერთ დესპოტთან თუ დაარღვევს ამ დუმილს და დაამტკიცებს, რომ სიცოცხლე კიდევ არ მოსპობილა აქ, და კიდევ ღვივის ცხოვლისმყოფელი ნაპერწკალი.

მალე ეს ნაპერწკალი მთელს სემინარის გაეელება,დაამხობს სალოცას კერპებს და მედგრად, შეუპოვრად აღმართავს თავისუფლების დროშას“[2].

რევოლუციური პათოსი აშკარაა. ავტორი გამარჯვების რწმენით ზრდის მკითხველებს.

რამდენადმე განსხვავებული ტონითა და მანერით არის დაწერილი გალაკტიონის „როდის ჩამოგვწვდება შუქი?“

„იტანჯებოდა, მაგრამ მაინც ელოდა...
სიცივით კანკალებდა კუთხეში მიკუჭული გლახა...
ოხრავდა, „ოხ, როდის იქმნებაო“ – ამბობდა ის...
როდის იქმნება... საცოდავო, ვინ იცის, როდის ამოვა შენთვის

---

[1] ჟურნ. „შუქი“, 1908, №1.

[2] ჟურნ. „შუქი“, 1908, №1

დაბნელებული მზე, როდის გელირსება „შუქი“?

შენ ხარ ეს საცოდავი სემინარიელო, შენა ხარ სიბნელეში მიგდებული, მზის ნათელს მოშორებული.

შენ ხარ ის გლახა.

შენ ელი „შუქს“.

იტანჯები, საშინლად იტანჯები...“[1]

გალაკტიონის მინიატურაში ტანჯვის მოტივი მძლავრობს. მწერალი ჩაგრულისადმი თანაგრძნობას, სიბრალულის გამოწვევას ცდილობს.

„შუქი“ თვითმპყრობელობის დამხობისაკენ მოუწოდებს მკითხველებს. „რუსეთის რევოლუციამ ვერ შეძლო ბევრი მიზეზებისა გამო თვითმპყრობელური აბსოლუტიზმი, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მედგრად იდგამდა ფესვებს რუსეთში, გაეხადგურებია, მაგრამ რაც აუცილებელია, ის უსათუოდ უნდა მოხდეს. ერთხელაც იქმნება მედგარი რევოლუციური ტალღები მაგრად დაეჯახებიან აბსოლუტიზმის შერყეულ ხღუდეებს და მიანგრ-მოანგრევენ მას. მაშინ ჩვენც, სულის შემხუთავ და გონების დამამახინჯებელ პირობებში ტანჯულებს გვეღირსება შველა. განვთავისუფლდებით კლერიკალურ-იეზუიტურ აღზრდის ბორკილებისაგან და პირნათლად მივეგებებით „თავისუფალ სკოლას“ „თავისუფალ სახელმწიფოში“. მანამდის კი ვეცადოთ იმ პატარა წრეს მაინც შევუნარჩუნოთ რევოლუციონური სულისკვეთება, რომელიც დღეს ჩვენს სემინარიაში მოქმედებს“[2].

ასეთი მსჯელობა არა მხოლოდ გაოცებას, არამედ აღტაცებასაც იწვევს. გვხიბლავს ახალგაზრდა ავტორის გამბედაობა, პრინციპულობა და სწორი პოზიცია.

„შუქი“ მოსწავლეთა ჟურნალია და, ცხაიდა, მასში მთავარი ადგილი სემინარიელთა ცხოვრებას ეთმობა. რედაქცია ყურადღებას ამახვილებს სასწავლებელში გამეფებულ მძიმე ატმოსფეროზე. ამ მხრივ საინტერესოა ქ. ქავთარაძის „სემინარიის კედლებში“, ვ. ფარნეევის „ამხანაგებს“, ხელმოუწერელი „ქრონიკა“, რომელიც, ჩვენი ფიქრით, გალაკტიონს უნდა ეკუთვნოდეს და სხვ. ამ უკანასკნელში გამოთქმულია აღშფოთება იმის გამო, რომ სემინარიის სამკითხველო მხოლოდ შავრაზმელურ „კავკაზს“, „ნოვოე ვრემიას“ და „კოლოკოლს“ იღებს. ავტორი ურჩევს ახალგაზრდებს, არ ისარგებლონ ამ გამოცემებით, არ შეითვისონ

[1] ჟურნ. „შუქი“, 1908, №1.

[2] იქვე, №2.

მათი აზრები „როგორც მეტად მყაყანი და უწმინდურნი“.

ჟურნალისტი მკაცრად აკრიტიკებს აგრეთვე სემინარიის საავადმყოფოს, ძალზე ცუდად არის მოწყობილიო.

კონკრეტულ მასალაზე დაფუძნებული ნაწარმოებები ფართო დასკვნების შემცველია. სემინარიის ცხოვრება განიხილება როგორც საერთო საზოგადოებრივი ყოფის ნაწილი. ამიტომ ჟურნალში მოთავსებული თხზულებების მნიშვნელობა დიდია. ეს განსაკუთრებით ითქმის გალაკტიონის ლექსებზე. პირველ ნომერში, გარდა „შუქისა“, გამოქვეყნდა „ნიავი“, მეორეში კი – „ნორჩი გულია მისი თავდები“ და „მისთვის შევცქერი (ვუძღვნი აკაკის)“, რადგან ბოლო ორი ნაწარმოები უცნობია, ამიტომ მოვიტანთ მთლიანად.

„მომეცი ხელი, ხედავ დაჩაგრულს?
არ გებრალება დამონებული?
გავსწიოთ მისკენ და ვაგრძნობინოთ
ბედნიერება და სიხარული.

ავსწიოთ დროშა, დროშა სიმართლის,
დავცეთ მონება, ვიხსნათ მონები...
მომეცი ხელი... არ გიდალატებ...
ნორჩი გულია მისი თავდები![4]

როგორც ვხედავთ, გალაკტიონი არა მხოლოდ თანაუგრძნობს ჩაგრულებს, არამედ ილვწის კიდეც მათი ბედნიერებისათვის. ლექსის განწყობილება ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს პოეტის რევოლუციურ მიდრეკილებებზე.

„მისთვის შევცქერი“ ეროვნული სულისკვეთებითაც გამოირჩევა. მხატვრული თვალსაზრისით იგი შორსა დგას გალაკტიონის რჩეული ნაწარმოებებისაგან, მაგრამ ახალგაზრდა პოეტის მსოფლგაგების გასათვალისწინებლად უთუოდ საგულისხმოა.

„ხშირად შევცქერი მთას აყუდებულს...
მისი სიტურფე შორს, შორს მიტაცებს,
გიჟმაჟ ოცნებას თავს ვერ ვუკავებ,
მიჰქრის, მიფრინავს და მეც მიმაფრენს.
გასწი, ოცნებავ, შენს სამეფოში,
ნუ ეკრძალები საქვეყნო ზღუდეს,
გასწი, გაფრინდი, მეც გამიტაცე...
ხედავ მთას მაღალს და თვალუწვდენელს?
აი იქ არის შენი სავანე.

---

[1] ჟურნ. „შუქი“, 1908, №2.

ნემი ნუგეშიც იქ იმყოფება.
სამშობლოსათვის თავდადებული
გმირი ქართველი იქ მეგულება.
ის თავის ქვეყნის იყო ერთგული,
სამშობლოსათვის უყდერდა ნანგი.
გულსა ხვდებოდა, სულს აღეიძებდა
მისი მედგარი, მქუხარი ჰანგი.
მაგრამ ის მოჰკლეს სიმართლისათვის.
ხმა ნაუწყვიტეს სიმართლის მგოსანს,
გასწი, ოცნებავ... საქვეყნო ზღუდეს
ნუ ერიდები, გადაეცალე თავს!!
იცი, თუ არა, რომ შემიყვარდა
მას აქეთ მე მთა აყუდებული?
ტურფად, შემკულად ის მეჩვენება
და მისკენ მიმაქვს სული და გული.
ხშირად მომესმის მის მწვერვალიდან
ხმა ნაღვლიანი, ტირილი, კვნესა
და ის ხმა გრძნობით ამოძახილი
სწვდება, მიშფოთებს გულის სიღრმესა.
მეგობრის კვნესა გმირის საფლავზედ
რა სამწუხარო მოსასმენია.
სტირის მგოსანი თავის მეგობარს,
სტირის, რომ არვინ არ დარჩენია.
ძველ და საყვარელ მეგობართაგან
ყველამ მონახა საფლავის კარი
და ეხლა მარტოს, ობლად შთენილსა
გულს სევდა უკლავს, სევდა საზარი.
და ეხლაც მესმის მგოსნის ტირილი
და სულს მიშფოთებს იმისი კვნესა.
შესტირის საფლავს დაობლებული
და თან გარს უვლის საფლავის ქვებსა.
დიდო მგოსანო! ნულარა სტირი,
გესმის სიმღერა ქართველთა გუნდის?
ხედავ, იღეიძებს ქართველი ხალხი
და გამსჭვალული შენკენ ისწრაფვის.
ის ემზადება, რომ გცეს თაყვანი
მისსა დიდებას, მის სიამაყეს,
განა არ იცი, რომ უღვთოდ მოკლულს
შენსა მეგობარს ეს გაახარებს?
მაშ ნულარ სტირი, ნულარ ღერი ცრემლებს,

ზედ ნუ აკვდები საფლავის ქვასა.
ბოლო ელება შენს მუდმივ ტანჯვებს
და შენს უსაზღვრო ოხვრა-კვნესასა!!!
მისთვის შევსცქერი მთას აყუდებულს,
იმისთვის მიყვარს იმისი ცქერა,
რომ იქ მეგულების სატრფოს საფლავი
და იქ ჩასული ჩემი ვენერა.
იქიდან მესმის ხმა ნაღვლიანი
მარტოდ შთენილის, ობოლი მგოსნის.
გარშემო უელის მეგობრის საფლავს
და აღგზნებული ეხვევა, ჰკოცნის!
გასწი, გაფრინდი, ჩემო ოცნებავ,
ხედავ მთას მაღალს და თვალუწვდენელს?
აი იქ ნახავ, რასაც ეძიებ,
აი იქ პოებ შენს სასუფეველს![1]

აკაკისადმი სიყვარული და მოწიწება გალაკტიონმა „შუქში" გამოქვეყნებულ სხვა მასალებშიაც გამოამჟღავნა. სტატიაში „აკაკის იუბილე" იგი ხაზგასმით აღნიშნავს ა. წერეთლის უდიდეს დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე. მას ჭეშმარიტ ეროვნულ, სახალხო პოეტად მიიჩნევს და სემინარიელებს მგოსნის იუბილეში მონაწილეობისაკენ მოუწოდებს.

გამორიცხული არ არის, რომ „შუქის" სხვა ნომრებიც აღმოჩნდეს. ეს ვარაუდი მით უფრო დასაშვებია, რადგან მეორე ნომერში გამოქვეყნებულ მასალათა ერთი ნაწილი დაუსრულებელია და რედაქცია მათ გაგრძელებებს უახლოეს ნომერში პირდება მკითხველს.

„შუქი" ქართულ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ამაზე მეტყველებს მისი რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი და მასალათა სასურველი ლიტერატურული დონე.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ჟურნალისტიკისადმი ინტერესი გალაკტიონს არასდროს განელებია. ეს აიხსნება იმითაც, რომ პრესა მას მიაჩნდა არა მხოლოდ სინამდვილის ამსახველად, არამედ საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და ცხოვრებაზე ზემოქმედების მძლავრ საშუალებად. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ძნელი წარმოსადგენი იყო ქართველი პოეტის გამარჯვება პრესასთან მჭიდრო კავშირის გარეშე. არსებითად ჟურნალ-გაზეთები აძლევდნენ ტონს ლიტერატურულ ცხოვრებას. ამას

---

[1] ჟურნ. „შუქი", 1908, №1.

კაგრად გრძნობდა და ითვალისწინებდა კიდეც გალაკტიონი.

მგოსანი მრავალ პერიოდულ გამოცემაში თანამშრომლობდა. რამდენიმე გაზეთის შტატიანი მუშაკიც იყო. რედაქტორობდა ჟურნალ „ლომისს". მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მაინც საკუთარი ჟურნალის დაარსება უნდა მივიჩნიოთ.

რედაქტორობა მხოლოდ სწორ საზოგადოებრივ პოზიციას და წერის ნიჭს როდი მოითხოვს. საჭიროა ამ საქმეში მთლიანად შთანთქმა, გრძნობის გონებისადმი დამორჩილება, ორგანიზატორული უნარი, სარედაქციო წვრილმანებისადმი საგანგებო გულისყური, გარკვეულ ერთფეროვნებასთან შეგუება, გამძლეობა.

გალაკტიონი თავისი არსებით ლირიკოსი იყო, უკიდურესად ემოციური,ნერვიულიც და ის იმგვარი თავდადებითა და სისრულით ემსახურებოდა პოეზიის ღმერთს,რომ სხვა კერპებისადმი შესაწირი ნაკლებად რჩებოდა. მისი თავიდათავი მოწოდება ნამდვილად არ ყოფილა რედაქტორ-პუბლიცისტური საქმიანობა. ეს, რა თქმა უნდა,სრულიად არ ნიშნავს გალაკტიონის რამდენიმე ბრწყინვალე პუბლიცისტური ნაწარმოების შეუფასებლობას ან რედაქტორული საქმიანობისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას.

გალაკტიონის ჟურნალისტური მოღვაწეობა საგანგებო შესწავლას მოითხოვს; საგანგებოსა და ობიექტურს, რომელიც თავისუფალი იქნება პოეტური გენიიდან მომდინარე შთაბეჭდილების სხვა სფეროზე უკრიტიკოდ გადატანის ტენდენციისაგან. ამჯერად კი ხაზგასმით აღვნიშნავთ: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის" დამსახურება მნიშვნელოვანია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ მისი მეშვეობით გაეცნო ფართო საზოგადოება საქართველოს პოეტების მეფის არაერთ საუკეთესო ნაწარმოებს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ხსენებულმა ჟურნალმა გააერთიანა ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. ამ ფაქტის მნიშვნელობა მით უფრო საცნაური გახდება, თუ გავიხსენებთ,რომ 20-იანი წლების პირველ ნახევარში განსაკუთრებით იგრძნობოდა ლიტერატურულ დაჯგუფებათა ანტაგონიზმი და განცალკევებიდან მომდინარე ხარვეზები. ყოველივე ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მეორე წიგნში ვისაუბრებთ.

დავუბრუნდეთ სიყმაწვილის პერიოდს.

გალაკტიონმა სწრაფად მოიპოვა ავტორიტეტი. იგი სასწავლებელში სახელმოხვეჭილი ლიტერატორის ქუჩუ ქავთარაძის – დემონის გვერდით დააყენეს, ზოგიერთები კულუარებში თუ საჯაროდ იმაზედაც კი მსჯელობდნენ,ვინ უფრო

დიდი პოეტია. ეს ჩანს ხელნაწერ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიიდან: „პასკალის შეცდომა“. პუბლიცისტი შენიშნავს: „...რომელი უფრო მაღლა სდგას, ტ-ძე თუ დემონი, ეს [illegible] პასკალისაგან ადვილად გადაჭრილი, ჩვენ ძნელად [illegible] და გადაწყვეტაც იმისთვის მიგვინდვია, ვინც ორივეს ნაწარმოებს საფუძვლიანად შეისწავლის. ჯერჯერობით კი შეგვიძლია ვიამაყოთ ორივეთი, როგორც დემონით, ისე ტ-ძით.

ჩვენ გვწამს, რომ ორივე, მომავალში ერთს შეერთებულს ძალას შექმნიან, როგორც ერთ სასწავლებელში მოსწავლენი, როგორც ორივე ახალგაზრდები და ერთი იდეალებით გამსჭვალულნი. გვწამს, რომ მათი სამწერლო ასპარეზზედ გამოსვლით თვალსაჩინო წევრები მიემატებიან ქართველი პოეტების მეტად მცირე ჯგუფს“[1].

გალაკტიონს პატივს სცემენ ამხანაგები. ბუნებრივად თვლიან, რომ აკაკის იუბილეზე სემინარიიდან სიტყვა მან უნდა წარმოთქვას.

აი, მეექვსე კლასის მოსწავლეებმა ქართული სალიტერატურო და საცეკვაო საღამოს გამართვის ნებართვა აიღეს. საღამოს მომწყობ კომისიაში გალაკტიონი ერთხმად აირჩიეს.

სემინარიაში „საამხანაგო წრე“ ჩამოყალიბდა, რომლის მიზანია კვირაში ერთხელ რეფერატების, ლექციების, მოთხრობების, ლექსების მოსმენა-განხილვა. წრის წევრად ქ. ქავთარაძესა, ა. ანჯაფარიძესა და სხვებთან ერთად გალაკტიონიც მიიწვიეს.

გალაკტიონი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ესწრება თავყრილობებს, ხშირი სტუმარია რედაქციებისა და ა. შ.

არაერთი კარგი დღე გათენებია, მაგრამ ყველაზე ძვირფასი მაინც 1908 წლის 29 სექტემბერი იყო. ამ დღეს „ჩვენს კვალსა“ და „ამირანში“ დაიბეჭდა მისი ლექსები „შავი ღრუბელი“ და „მთვარე კაშკაშებს“. მოგვიანებით გალაკტიონი წერდა: „როდესაც ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა, ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა რაღაც ახალი, მე მეჩვენებოდა, რომ სადღაც გაიღო კარი და მე ვიწრო და ბნელი საკნიდან ამოვედი თავისუფალ ასპარეზზე და ყველგან, სადაც თვალი გასწვდებოდა, იყო მზე, მოძრაობა და სინათლე“[2].

გალაკტიონი კმაყოფილია. დიდმა პრესამ კარი გაუღო. ამხანაგებიც მეტი პატივისცემით ეპყრობიან. მეგობართა წრემ, როგორც გ. მიხელიძე იგონებს, საზეიმო შეხვედრა მოუწყო. „...

---

[1] ჟურნ. „შუქი“, 1908, №2.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 278.

შადრევნიან პატარა აუზის
გვერდით მე მივმართე გალაკტიონს მისასალმებელი სიტყვებით. მისი ლექსების დაბეჭდვის გამო"[1].

ქუთაისიდან მ. ბოჭორიშვილმა მილოცვის ბარათი გამოუგზავნა.

ნათესავებიც აღტაცებულნი არიან.

ნათლობა იღბლიანი გამოდგა. მალე „საქართველოში", „დროებასა" და „ფასკუნჯშიც" იბეჭდება გალაკტიონის ლექსები.

„წარმოიდგინე ძმაო, – სწერს ტიციანი, – პირველად შენ რომ ეს ლექსები წამიკითხე, რავა ვიფიქრებდი, თუ ეს ლექსები საქართველოს პირველ ჟურნალში, როგორიც „ფასკუნჯია", დაიბეჭდებოდა. მაშ ვუსურვებ შენს კალამს გამარჯვებას, რომ გამოადგეს ჩვენს ისედაც ღარიბ ლიტერატურას".

თავს ნებას მივცემ, აქ ერთ გარემოებაზეც შევაჩერო მკითხველის ყურადღება. მოგვიანებით გალაკტიონი წერდა: „...ახალმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, რომელიც 1908 წლიდან დაიწყო, შეეცადა წარსულისაგან შეუსრულებელი იდეების გატარებას, შემოიტანა რა თანამედროვე პოეზიაში ახალი სტილი..."[2]

რატომ მაინცდამაინც 1908 წელია მიჩნეული უახლესი ქართული ლიტერატურის დასაწყისად? ხომ არ იგულისხმება აქ გალაკტიონის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა? თუ ასეა, მაშინ საქმე გვაქვს თვითდახასიათების მეტად საინტერესო შემთხვევასთან.

იქნებ ამ ვარაუდის გასამაგრებლად მეორე ჩანაწერიც გამოდგეს. მასში წინა ეპოქის დასასრულაზეა საუბარი. მაგრამ დასასრული ხომ დასაწყისის საფეხურია. „– 1907 წელი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ხდება საბედისწერო ძველი პოეზიისათვის – პიროვნებასთან ერთად თითქო ესვენება ეპოქა და იწყება ახალი".

ილიას დაღუპვისა და სამწერლო ასპარეზზე გალაკტიონის გამოსვლის ფაქტის პოეტისეული აქცენტირება ნამდვილად საჭიროებს ღრმა გააზრებას.

ერთი შეხედვით, გალაკტიონი ბედნიერი უნდა იყოს. მაგრამ ამაღლებულმა „სულიერმა განწყობილებამ გასტანა მხოლოდ რამდენიმე დღე". ეს გასაგებიცაა. გალაკტიონის ბედნიერების მთავარი განმსაზღვრელი დროებითი წარმატება არასდროს

---

[1] ჟურნ. „მნათობი", 1962, №11, გვ. 127.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 70.

გალაკტიონი - სახელოვრო სასწავლებლის მოსწავლე

ყოფილა. პოეტი ეფემერულ ყოფით სიამეზე მაღლდებოდა. მას უფრო რთული და დიდი საფიქრალი ჰქონდა. ამიტომაც არ შეიძლებოდა ამგვარ წარმატებებს საერთოდ გარდაქმნა იგი, თუმცა ვერც იმას უარვყოფთ,რომ რედაქციების წარმატებით დალაშქვრას თვალსაჩინო გავლენა არ მოეხდინოს ახალგაზრდა კაცზე.

გალაკტიონი მაინც სევდიანი და დრამატულია. სული შფოთავს, უკმარისობის განცდა ახრჩობს.

რა აპირობებს ამგვარ განწყობილებას? რატომ „სდის ცას ცრემლები", რატომ „წაიღო გული ნაღველმა?" რატომ არის ასეთი უიმედო პოეტი?

„მაგრამ ის კი აღარ ვიცი,
რა იქნება საიდუმლო
ისეთი, რომ ჩემს ცრემლთ დენას
და ჩემს ტანჯვებს მისცეს ბოლო"[1].

ეს, უპირველეს ყოვლისა, სამყაროს მოუწესრიგებლობით, ცხოვრების დისჰარმონიულობით არის გამოწვეული. ამას ყოველ ნაბიჯზე გრძნობს ემოციური და ფხიზელი გონების პოეტი. მომავალი მაინც ბუნდოვანია.

საზოგადოებრივ ტრაგედიას პიროვნული ტკივილებიც ერთვის. მატერიალური სიდუხჭირე უიმედობას აძლიერებს. სემინარიის ხელმძღვანელებთანაც ურთიერთობა იძაბება.

თავდაპირველად გალაკტიონი ბეჯითობს. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჭაბუკი მღვდლის ან მასწავლებლის კარიერას ეტრფის. ამ შემთხვევაში მას ამოძრავებს ცოდნის შეძენისა და თავის გამოჩენის სურვილი; უნდა დედასაც ასიამოვნოს. ამასთანავე, ავად თუ კარგად, სასწავლებელი დაამთავროს, რათა გზა გაეხსნას უნივერსიტეტისაკენ. სხვათა შორის, გალაკტიონისთვის ნიშანდობლივი იყო ახალი საქმით, ახალი გარემოთი მეყსეულად დაინტერესება. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს ცეცხლი სწრაფად უქრებოდა. ამჯერადაც ასე მოხდა. როგორც გ. მიხელიძე იგონებს, „თუ პირველ ორ-სამ თვეს გალაკტიონი ცოტა დროს მაინც ანდომებდა სავალდებულო საგნების შესწავლას, შემდეგ, როგორც იტყვიან, ყელამდე ჩაეფლა ლიტერატურულ მუშაობაში და თითქმის სრულებით უგულებელყო გაკვეთილების სწავლა. მასწავლებლები კი მკაცრად მოითხოვდნენ სავალდებულო საგნების ცოდნას"[2].

გალაკტიონს არც დრო და არც ნებისყოფა ჰყოფნის,საათობით უჯდეს ლათინურის თუ საღმრთო სჯულის სახელმძღვანელოებს.

[1] გ. ტაბიძე. თხზ., ტ. I, გვ. 52.

[2] ჟურნ. „მნათობი", 1962, №11, გვ. 177-178.

იგი ვერ ეგუება სემინარიას, მისი ინტერესები სხვა სახისაა. ამიტომაც უკლო სწავლას და წლის ბოლოს გამოცდა გამოტოვა.

დამოკლეს მახვილმა თავი იჩინა. დატოვებენ თუ არა სემინარიაში? ეს დამოკიდებულია განმეორებით გამოცდაზე, რომელიც აგვისტოში
უნდა ჩატარდეს. გალაკტიონი ძალზე მტკივნეულად განიცდის ვითარებას. სემინარიიდან გამორიცხვა მხოლოდ სწავლის მიტოვება როდია. ეს არის შერცხვენა, თავის მოჭრა; ეს არის დედის სასოწარკვეთა, ძმის შეშფოთება, საზოგადოების ირიბი ღიმილი. მან დროებით ყველაფერი გვერდზე გადადო და სახელმძღვანელოებს ჩაულრმავდა.

აი, აგვისტოს მიწურულიც. გამოცდამ თითქოს ურიგოდ არ ჩაიარა,მაგრამ დაძაბულობა მაინც არ შენელებულა. მოვუსმინოთ თვით პოეტს: „ეგზამენი გვყავდა... სწორედ საშინელი ეგზამენი. უნდა ვსთქვა, ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ათი წლის სიცოცხლე მომაკლდა. ეგზამენში გავედი და რეკტორმა (თვითონ მასწავლებელი სარევიზიოდ იყო წასული ოზურგეთში) ნახევარი საათის განმავლობაში შეუბრალებლად მაწვალა. მკითხავდა, მაგრამ პასუხებსაც ჩქარა და კარგად ვაძლევდი. ბოლოს ერთი კითხვა მომცა,ცოტა ამაზე შევყოყმანდი,თორემ სხვა არაფერი არ შემშლია. ყოველ შემთხვევაში, მე დარწმუნებული ვარ, სხვებზე უკეთესად გავიმარჯვე. ე. ი. თუ ჩემი გადაყვანა სურთ, კიდევაც გადამიყვანებენ, თუ არა და, არ გადამიყვანებენ და ის არის. მე ვერა გამიგია,რას ნიშნავს ნახევარი საათი კითხვა,როცა სხვებს მხოლოდ თხუთმეტ ან ოც მინუტს კითხავდნენ.

ჩემთვის ჯერ არაფერი გამოუცხადებიათ და არც სხვებისთვის. პირველ ენკენისთვემდე ვერაფერს გაიგებო. ამგვარად არის ჩემი საქმე. თუ არ გადამიყვანეს, თავს მოვიკლავ და ის იქნება; მობეზრებული მაქვს მაინც ცხოვრება...

ტყვილა კი არ ვიძახი, ჯოჯოხეთია აქაობა-მეთქი. ტანჯვა-წვალებაა ცხოვრება და მე ყოველ შემთხვევაში ვეცდები, შევამოკლო დაუსრულებელი წამება.

ფიქრები ერთი წუთითაც არ მასვენებენ. ღმერთს გეფიცები, ერთ დღეს მტკვრის თავზე დავტრიალდები. მსურდა რომ... მაგრამ აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი... თქვენ ისე არ იხედებით ჩემს გულში არასოდეს, როგორც გარემო... არ იხედებით; რა ვქმნა,არ ვიცი.

ცოტა იმედი მაქვს, სულ ცოტა იმედი და თუ ისიც გაჭრა, ცხოვრებაც გაჭრება.

თუ ღმერთი სწამთ ან რეკტორს ან მასწავლებლებს, გადა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონი

მიყვანებენ... ვიცი, რომ გავიმარჯვე, ვიცი, რომ სხვებზე უკეთესად მე ვუპასუხებდი... მაგრამ როდესაც ერთ-ერთ კითხვაზე შევჩერდი, „ქუთათურები ამგვარები და იმგვარები ხართო", დაიწყო. დაიწყო და აღარ გაათავა. სჩანს, რომ არ სურთ ჩემი გადაყვანა, იმათი ნებაა!

მე კი ჩემსას ავასრულებ!"

დედისადმი გაგზავნილი ეს ბარათი, რომელიც 1909 წლის 24 აგვისტოთი თარიღდება, დაწერილია აღელვების ჟამს, დიდი განცდისას. ეს ჩანს სიტყვათა შერჩევასა და ხელწერაშიც.

წერილი კარგად ავლენს გალაკტიონის მარტოობას, სულიერ დეპრესიას, ობლობის განცდა მომაკვდინებელია.

გალაკტიონის სიტყვები ლამაზ სენტიმენტალურ ფრაზებად არ უნდა მივიღოთ.

როგორც ჩანს, ახლოვდება ტრაგიკული აქტი; ჩახმახი შემართულია.

გალაკტიონი შემდეგ კლასში არ გადაიყვანეს და მოხდა მოსახდენი.

სიცოცხლე არ ღირს!

იგი კარბოლმჟავას სვამს და თავს იწამლავს. საბედნიეროდ, დროზე მიუსწრეს და გადაარჩინეს.

შეშფოთდა სემინარია,ახმაურდა პრესა,აღელდა საზოგადოება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა ალმანახ „პირველ ნაბიჯში" მოთავსებული აკ. მინაშვილის სტატია „თვითმკვლელობა მოსწავლეებში". „ამ უკანასკნელ ხანებში, – წერს პუბლიცისტი, – გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატისტიკა მოსწავლეთა თვითმკვლელობის შესახებ. საუბედუროდ, ამ ტრაგედიას ბოლო არ ეღება და გაზეთები თითქმის ყოველდღე ახალ-ახალ ამგვარ მსხვერპლზე მოგვითხრობენ. ხშირად იგი ჩვენს თვალწინ ხდება და ლამისაა ისე შევაჩვიოთ ყური, რომ ეს საშიშარი რამ ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვალოს. ჯერ კიდევ ნორჩი ახალგაზრდა საკუთარი ხელით სიცოცხლეს ისპობს და მით, ვინ იცის, თუ რა განძს ართმევს მომავალში საზოგადოებას, მაგალითად, აგვისტოს ბოლო რიცხვებში კარბოლის სიმჟავით თავის მოწამვლა განიზრახა სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მოსწავლემ გ. ტ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა, მის ლექსებს განცვიფრებაში მოყავს მკითხველი. თუ დღეს მას ამდენი ძალა შესწევს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში უკეთესი დარჩება და ამისთანა ყმაწვილი, რომ ბედნიერ შემთხვევას არა, წუთისოფელს უნდა გამოსალმებოდა. რა არის მიზეზი? რა აიძულებს ახალგაზრდობას გამოე-

სალმოს ბედკრულ, მაგრამ იმავე დროს ტკბილ სიცოცხლეს?"[1]

ავტორი შენიშნავს, რომ ცხოვრება ვერ თავსდება ძველ ჩარჩოში. მოსწავლეებიც, გამსჭვალულნი მაღალი იდეალებით, ვერ ურიგდებიან თანამედროვე ყოფას. ისინი ახლის წარმომადგენლები არიან და შეტაკებაც ძველის დამცველებთან ბუნებრივია, მაგრამ ამ შეტაკებაში ახალგაზრდობა მარცხდება. სწორედ ეს არის მოსწავლეთა შორის თვითმკვლელობის მთავარი მიზეზი.

ახლა უნდა გალაკტიონს ხელის გაწვდენა, თანაგრძნობა, ტკბილი სიტყვა. ხომ შეიძლება დემონმა სიკვდილის ცელი კვლავ მოიმარჯვოს?

პირველ სექტემბერს ოთხმა ამხანაგმა შინ მიაკითხა. ბინა ცენტრიდან მოშორებითაა და უკვირს გალაკტიონს, როგორ მიაგნეს. მის სიხარულს საზღვარი არ აქვს. სამეგობრო სიმი შეირხა. უხილავმა ძალამ შეაკავა, თორემ ცრემლებსაც დაღვრიდა. „გმადლობთ, მეგობრებო, გულწრფელად გმადლობთ! თქვენშიღა დარენილა ხელშეუხებლად გრძნობის სისპეტაკე!"

უფროსი ძმა თავზე ადგას. ეს ცოტათი ამშვიდებს.

აი, სოფლიდან წერილი მოვიდა: ჭკუით იყავი, არ შემომიკიდო დაუვსებელი ცეცხლი; ნუ გენაღვლება, დარჩი, არა უშავს რა. სხვებსაც შეხვედრია ამგვარი საქმე. – სწერდა დედა. გალაკტიონს გული უკვდება.

„საბრალო დედა! მან იცის, რომ მე კლასში დავრჩი, მაგრამ არ იცის, თუ რა მომივიდა შემდეგ. დაუვსებელი ცეცხლი არ შემომიკიდოო... რას ნიშნავს ეს? ნუთუ მგრძნობიარე გული აქაც გზას უნათებს დამცირებული და ბედკრული შვილის ყოფნა-მდგომარეობის წინასწარ საცნობად?

ოხ, რა რიგ იტანჯება ეხლა ის...

თითქოს ყურადღებასაც არ აქცევს ჩემს ეგზამენებში ჩაჭრას, მაშინ როცა ესეც საკმაოდ უშხამავს გრძნობებს...

რად გამაჩინე, ღმერთო, რად გამაჩინე!"

ნერვული სისტემა თითქმის მოშლილია. მცირე რამ აღელვებს, ზოგჯერ უმიზეზოდ მხიარულობს, თავის ყოფას უკვირდება და ისევ სასოწარკვეთილებას ეძლევა. მცირეოდენი შეღავათი ისაა, რომ პანსიონი დატოვა. „სული მოშორდა შემხუთველ ჰაერს, მოშხამულ დისციპლინას... დისციპლინას მონურს.

მაგრამ მონობა სხვა მხრიდანაც მეჭიდება... სიცივე, სიმშილი და სხვები ჩემი ბატონები იქნებიან".

სემინარიაში დადის. გაკვეთილებს ესწრება, მასწავლებელს

---

[1] ალმან. „პირველი ნაბიჯი", 1909, №1, გვ. 8.

შესცქერის, მაგრამ გონება მისი სხვაგან ჰქრის. გალაკტიონს განწყობილებას კარგად გადმოგვცემს 11 სექტემბრის დღიური.

„დღევანდელი დღე უფრო სევდით აღსავსე დღეა ჩემთვის.

სემინარიის კარიდორში მივდიოდი, როცა გვერდით ჭკვიანი ხმა შემომესმა... „Ах... милостивый государь“

– მოვიხედე, რექტორი იყო.

– მითხარით, თქვენ მოსწავლე ხართ თუ არა? მიპასუხეთ...

– დიახ, მოსწავლე ვარ! – მივუგე... თვალებში უთუოდ საშინელი მრისხანება გამომიკრთოდა...

– წელზედ ხელებშემოწყობილნი მოსწავლეები არ დადიან. დაუშვით ხელები!

არ დავემორჩილე, მაგრამ საშინლად ავღელდი.

– თქვენ იცით, ვისთან გაქვთ საქმე?

– ადამიანთან, ადამიანთან... – თვალები ძალზე გაუფართოვდა, უთუოდ ჩემის სიმშვიდის გამო.

– წაიღეთ დოკუმენტები... გასწმინდეთ სემინარია... ეხლავე, ამ წუთში...

აქაც სიმშვიდე მრისხანების მაღლა ავსწიე – მომეცით-მეთქი.

ინსპექტორის კაბინეტისაკენ გასწია საჩქაროდ, მე კი ქვევით ბაღში წავედი.

არ გასულა ორი წუთი, ამხანაგი დამეწია და მითხრა: – რექტორი თავის ბინაზედ გიბარებსო.

როცა მის ბინას მივუახლოვდი, ზარის დასარეკად გავსწიე ხელი, მაგრამ ის უკვე ჩემთან იყო.

– მობრძანდითო – და თვითვე შემიძღვა.

ის დამშვიდებულიყო. ღმერთო შეგცოდე, ამ წუთში ის ადამიანად მომეჩვენა.

– დაბრძანდით, Я хочу маленькую нотацию вам прочесть.

Примирись с судьбой, будеш по-братский жить, лучше ли считаться уволенным из семинарии?

ჰმ... ბედს შეურიგდიო! მგონია სამართლიანად ვუპასუხე, სიკვდილს ვარჩევ-მეთქი.

უფრო გავცეცხლდი, როცა ჩემს სიკვდილის ხსენებაზედ ის წელში გასწორდა და ირონიულად მითხრა:

...Ты хотел те дяволу душу отдать! Нет, братец ты мой, примирись с судьбой...

– კიდევ გაიმეორა ეს საძაგელი სიტყვები.

საშინელ მდგომარეობაში დავბრუნდი კლასში. გაკვეთილი უკვე დაწყებულიყო... ქართულის მასწავლებელი ხან აქ ალაჯებდა უშნოდ ფეხებს და ხან იქ...

არ ვიცი,არ მახსოვს,მომცა შენიშვნა თუ არა მასწავლებელმა დაგვიანებისათვის. სასწავლო წიგნის მაგიერ ლექსების რვეული ამომელო, სწორედ არ დავკვირვებივარ. მასწავლებელმა მომიახლოვდა, აიღო რვეული, გადაათვალიერა...

– სწორედ უკეთესი იყო, ამათ წერას „საღმრთო წერილი" გესწავლა, შენ ხომ იმისთვის დაგტოვეს.

მაშინალურად მივუგე რაღაც...

– არა, მითხარი, ძალიან გიყვარს „საღმრთო წერილი"? არა?

ამ სიტყვებმა საერთო ხარხარი გამოიწვია მთელს კლასში. მეც გამეცინა.

– საიდან იცით, რომ არა? – ჩემის მხრივ დავეკითხე.

– ზედ გეტყობათ.

– აბა როგორ?

– შენ ხომ „სოციალისტი" ხარ... ზედ გეტყობა, ზედ გეტყობა... ასეთმა ლოღიკამ განმაცვიფრა.

– მე ვერაფერი გავიგე თქვენი ლაპარაკიდან.

– ვერ გაიგეთ? ყმაწვილო, ეგ თმა გაგიშლიათ და მაშ ვინ იქნებით, თუ არა „სოციალისტი".

უკანასკნელი სიტყვები ისე ხაზგასმულად და სერიოზულად თქვა, რომ ჩემდაუნებურად გამეცინა. ჩემმა სიცილმა მთელი კლასის ხელმეორედ ხარხარი გამოიწვია.

ესეც შენი ქართულის გაკვეთილი და სამშობლო ენის მასწავლებელი!!!"

სხვა პედაგოგებიც იქედნურად, ზემოდან დასცქეროდნენ გალაკტიონს. ეს გულს უკლავდა ჭაბუკს და სამაგიერო რისხვას, ერთგვარ გაბოროტებასაც იწვევდა.

18 სექტემბრის ინციდენტი ღრმად ჩარჩა გულში გალაკტიონს. რუსული სიტყვიერების თეორიის მასწავლებელმა დამცინავად უთხრა ჭაბუკს:

„უნდა დაგვემორჩილოო". გალაკტიონმა მიახალა: „არავის დავემორჩილები, საკუთარი ნება მაქვს". ამას მოჰყვა კამათი, რაც, საერთოდ, აკრძალულია სემინარიაში. განრისხებულმა მასწავლებელმა ისეთი სიტყვები იხმარა, რომელთაც ქუჩის ბიჭიც კი არ იკადრებდა და ეპითეტ „იდიოტით" კლასიდან გააძევა გალაკტიონი.

სწავლის მხრივ მდგომარეობა არც 1909-1910 წელს გაუმჯობესებულა. საახალწლოდ გალაკტიონს ორები გამოჰყვა მსოფლიო სამოქალაქო ისტორიაში, ალგებრასა და ფრანგულში. სამები აქვს სიტყვიერების თეორიაში, ლათინურ და ქართულ ენებში. მცირე ხნით წარმატებას აღწევს, მაგრამ ესეც

[illegible]

[illegible]

ეფემერულია. ამ ფაქტთა ფიქსაციით წერტილის დასმა სწორი არ იქნება, რადგან გამორიცხული არ არის ზემომოტანილი მაგალითების სხვადასხვაგვარად გაგება და გალაკტიონზე მცდარი წარმოდგენის შემუშავება. სინამდვილეში, თუ მოვლენებს მართებულ კვალიფიკაციას მივცემთ, გალაკტიონს არა თუ ჩრდილი მიადგება, არამედ უფრო მეტი სიდიადით წარმოჩინდება – როგორც ამბოხებული მოქალაქე და პოეზიაში შთანთქმული პიროვნება.

შეშფოთებული დედა კითხულობს: „სად გაიფანტა მაგისი ნიჭი?“ და, მართლაც, რით აიხსნება ყოველივე ეს? მიზეზი მრავალია, რომელთაგან ძირითადს დავასახელებთ:

1. გალაკტიონი ვერ ეგუება განათლების არსებულ სისტემას, ანაფორიან პედაგოგთა მოქმედებას. გამოუქვეყნებელ სატირაში „მესტვირული (ვუძღვნი თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს)“ იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს შუბლვიწრო აღმზრდელებს. მათ „ჩხიკვებს, შავ ყორნებს და ძერას“ უწოდებს. ამგვარად შემკობილთა შორის ზოგიერთი არცთუ უცნობი მოღვაწეა. ეს განწყობილება ბუნებრივია გალაკტიონისათვის, რაც ნათლად ჩანს დაუბეჭდავ ლექსში „სიმღერა“.

„ყველა საწვალებელზე
საწამლავი მწარეა...
ყველა სასწავლებელზე –
ძნელი სემინარია.
ველარ გვწვდები ნათელი
შვების გამომხატველი,
სულს გვიდაგავს რეჟიმი,
გულს აწვება ნაღველი“.

გალაკტიონს არა მხოლოდ ზოგიერთი მასწავლებლის უვიცობა, სიმხდალე და სულნამცეცობა აღშფოთებდა, არამედ პედაგოგიკის უკიდურესი ჩამორჩენა, ცალკეული დისციპლინების დახავსებულობა და რეალობისაგან მოწყვეტაც. 1909 წლის 19 სექტემბერს დღიურში ჩაუწერია: „მალე უნდა წარვადგინო თხზულება შემდეგი სათაურით: „Библейское учение о единстве человеческого рода“.

მობრძანდით და ამტკიცეთ ეხლა თქვენ, რომ კაცობრიობა ადამიდან იწყება... რომ დარვინი სულელი იყო და სხვა არავინ... ჩემი ამხანაგები (ე. ი. პირველკლასელი სემინარიელები) გმირულად ემზადებიან ჭერზე ფეხებით ჩამოკიდონ დარვინი“.

ცხადია, პიროვნება, რომელიც დარვინისა და ფოიერბახის თეორიებს იცნობდა, ვერ დაკმაყოფილდებოდა სამყაროს შექმნის

ტრადიციული თეორიით. ამიტომაც სრულიად გასაგებია მისი ირონია.

სემინარიისადმი ზიზღი კარგად ჩანს ეგრეთვე მოწაფეობისდროინდელ უცნობ ეტიუდში – „ამ ხანას ...

ჭაბუკმა ბრძოლა გამოუცხადა ბურსას და ეს არ იყო ჩვეულებრივი პროტესტი. გალაკტიონი აქაც ორიგინალურია. მან ხომალდები დასწვა.

ეს არ არის უძლურებისაგან მომდინარე რისხვა. გალაკტიონი შორს მიდის. მას უკვე აწამებს ღმერთის არსებობის საკითხი. „ვინ არის ღმერთი? სად არის ღმერთი? თუ არის, რად დადუმებულა, როცა მის ტაძარს, მის წმიდათაწმიდას ფარისეველები აოხრებენ, შეურაცხყოფას აყენებენ? როცა მისი მცნება და სიტყვა რაღაც საბაზრო ფულად გადააქციეს, როცა ხატება მისი ოქროსა და ვერცხლში გასცვალეს?

„ღმერთი" ჩემი ჩვეულებრივი ერთი საშინელი ფიქრთაგანი გახდა!

„ღმერთი" და „ადამიანი", „ზეცა" და „ქვეყანა", „სიცოცხლე" და „სიკვდილი"!

უძილობის მსხვერპლი გამხადეს ფიქრებმა. ხშირად მხოლოდ განთიადისას ჩამეძინება, როცა ადგომის დროა... იმავ წუთში უნდა წამოვდგე... ვის გამოუცდია ამგვარი საშინელება?"

ეს შინაგანი გვემა დიდხანს გრძელდება.

2. გალაკტიონი ავადმყოფობს,ამიტომაც გაკვეთილებს აცდენს, მეცადინეობა უჭირს. პროკლე დედას სწერს: „ჯაში ვნახეთ და გალაკტიონი კიდეც გასინჯა. უთხრა,ფილტვები გქონია სუსტი და პაპიროსის წევას თავი უნდა დაანებოო. აგრეთვე,რაც შეიძლება, კარგი საზრდოობაა საჭირო, დღეში ერთი ბოთლი რძე უნდა სვაო. ღვინო ძალიან ცოტ-ცოტა უნდა დალიოს. მეცადინეობა შეგიძლია,მაგრამ დიდხანს მეტისმეტს ვერ აიტანო".

ცხადია, ფიზიკური სისუსტე გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებაზეც.

3. ხასიათის ფორმირებას მნიშვნელოვნად აპირობებს ეკონომიკური ხელმოკლეობაც.

ციტატა პროკლეს ბარათიდან: „იწერები, გალაკტიონი წერილს რათ არ მწერსო. ამდენი შვიდი კაპიკი მასხრობა ხომ არ არის, სხვა, შარვლები არცერთს არ გვქონდა და ოცი მანეთი რომ მომივიდა, შარვლები შევიკერეთ. გალაკტიონს კიდევ „პოლსაპოჟკები" ჰქონდა დახეული და გავუკეთე".

18 წლის ლამაზ და თავმომწონე ჭაბუკს, მრავალთაგან ნიჭიერ პოეტად აღიარებულს, გამოსაცვლელი ხალათიც არ

აქვს. ზოგჯერ შიმშილობს კიდეც და პაპიროსის ნაშეავებს აგროვებს. არდადეგების ჟამს თბილისიდან სოფლად ჩასვლას ვერ ახერხებს. შიშობს, უფულობის გამო, ვაი თუ შვან ჟერ დავრუნდეო.

არსებულისა და სასურველის პოლარულობა, შეცნობილი არააუცილებლობა ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი ხდება.

4. მთავარი მაინც ის არის, რომ გალაკტიონმა ნათლად გამოკვეთა თავისი მიზანი და მთელი ძალები მის განსახორციელებლად მიმართა. მისთვის, გარდა პოეზიისა, სხვა ყველაფერი მეორადი და უმნიშვნელოა. ენერგიისა და ინტერესის ასეთი ცალმხრივობა, მთელი ძალების ერთი კუთხით კონცენტრირება, რაც ესოდენ დამახასიათებელია გენიოსისათვის, ლოგიკურად იწვევს სხვა სფეროებისადმი გულგრილობას, მით უფრო, თუ ეს სფეროები მოქალაქეობრივი და ადამიანური თვალსაზრისითაც ნაკლებმისაღებია.

სურვილი და შესაძლებლობა ურთიერთგამომრიცხავია. გალაკტიონმა იცის, საჭიროა გაკვეთილების მომზადება, მაგრამ შინაგანად არ ძალუძს. ესეც მწუხარების კიდევ ერთი სათავეა. 1909 წლის 29 ოქტომბერს დღიურში ჩაუწერია: „ორი თვე, სამოსწავლო წლის მეოთხედი თავდება. ხვალ უკანასკნელი გაკვეთილებია და ნიშნებსაც წარადგენენ.

ღამ-ღამობით არ ვიძინებ,მაგრამ მაინც გაკვეთილებს ვერაფერი მოვუხერხე... ლამის არის დავდნე იმათ ზეპირობაში. ისტორიის მასწავლებელმა „ერთიანი“ დამისვა, გალობის მასწავლებელმა „ნოტების“ არცოდნისათვის „ორიანი“,ფრანგულის მასწავლებელმა კიდევ „ორიანი“. რომელი ერთი უნდა გავიკვეთო რიგიანად, ხვალ კი უკანასკნელად ყველა გამიძახებს. რუსული სიტყვიერება, ეს მშვენიერი საგანი, რაღაც საზიზღარ „საზუბრავ“ საგნად გახდა... მიჭირს, საშინლად მიჭირს მეცადინეობა...“

ეს გარემოება ალბათ იმითაც უნდა აიხსნას,რომ გალაკტიონის მთელი ნიჭი, ყურადღება, ათვისების უნარი სხვა არხზე გადაირთო და პიროვნებას უკვე არ ძალუძს არსებულის შეცვლა, „გამოფხიზლება“. თავად შენიშნა: „მე მტანჯავენ, მაწვალებენ მისთვის, რომ ვერ ვსწავლობ; არ ფიქრობენ კი იმას, შემიძლია ვისწავლო თუ არა?.. ავიღებ ხელში კისელიოვის ალგებრას და მინდა ხელი გიტარაზე ან მანდოლინოზე გავაცურო, ვიმღერო. ავიღებ ხელში ილოვაისკის „ძველ ისტორიას“ და მინდა ვხატო...“

გალაკტიონს მხოლოდ ერთ საკურთხეველზე მიაქვს შესაწირავი. იგი მთლიანად ხელოვნებით სუნთქავს.

ლიტერატურით ღრმა გატაცება კარგად ჩანს საკლასო

თხზულებებიდანაც. სემინარიაში ასეთ თემებსაც იძლეოდნენ: „სამების მონასტრის დაარსება“, „მოსეს მოწოდება“, „ღმერთის პირველი გამოცხადება“, „მონობა ძველ ებრაელებში...“, „ილია მურომეცის დახასიათება“ და სხვ. გალაკტიონიც ვალდებული იყო დაეწერა ამგვარი თხზულებანი. საბედნიეროდ, შემონახულია ეს თემები პედაგოგთა ჩასწორებებითა და რეცენზიებით. მათი გადაკითხვა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს გალაკტიონის გასაოცარ ნიჭიერებაში. თუ მავანი და მავანი ფაქტთა ფიქსაციითა და მშრალი კომენტარებით კმაყოფილდება,გალაკტიონი უპირატესად ფსიქოლოგიურ მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას და პოეტურ სურათებს გვაწვდის. მის თხზულებებში იგრძნობა თრთოლვა, განცდა. იგი არა მარტო საგანს, ობიექტს ახასიათებს, არამედ უპირატესად აღწერილისადმი თავის დამოკიდებულებას ავლენს. ამასთანავე ყოველთვის ინარჩუნებს ორიგინალობას. ამიტომაცაა, რომ პედაგოგები რეცენზიებში ხაზს უსვამენ მის ალღოიანობასა და გონიერებას. მაგალითად,„საქებია,რომ ავტორი გადმოგვცემს თავის აზრებს“. ერთ პედაგოგს კი თავი ვერ შეუკავებია აღტაცებისაგან და თემის ბოლოს მიუწერია: „ამ თხზულებით ვრწმუნდებით,რომ ავტორში პოეზიის ცეცხლი გიზგიზებს“.

ასეთი შეფასება დაიმსახურა „მდინარეთა მოდიდებამ“. იგი საინტერესო პროზაული ნაწარმოებია – მკაფიო სიუჟეტითა და დინამიკურობით, მძაფრი განცდებითა და ლირიზმით. აი, შესავალიც:

„გაცრეცილი დღე...

ჩემს მყუდრო სენაკში დუმილია. ირგვლივ ყველაფერი საიდუმლოებით სუნთქავს. წიგნები მწუხრითა და სევდით მობურულან. კედლიდან ფიქრიანად დაუხრიათ თავები პორტრეტებს. პატარა ქანდაკებაც სევდიანია.

ო, ეს ქანდაკება!

რაოდენ ბევრ ფიქრს აღმიძრავს იგი.

თანდათან ტივტივდება მოგონება.

ეს ჩემი პატარა დის ქანდაკებაა, გოგონასი, რომელიც ასე ადრიან, ყვავილოვანი სიჭაბუკის ჟამს გაქრა. ის ქანდაკებაშიც კეთილი და მშვენიერია, როგორც რაფაელის მადონა“. შემდეგ ლირიკული გმირი მოგვითხრობს აბობოქრებული მდინარის საშინელებასა და დის დაღუპვაზე.

ამ მოთხრობაში ძნელი არაა გალაკტიონისთვის დამახასიათებელი ნოტებისა და ფერთა ნაზავის ამოცნობა.

სხვა სასკოლო თხზულებებიც საინტერესო მასალას იძლევა პოეტის მსოფლმხედველობისა და წერის მანერის გასაცნობად.

თემაში „ხიონის ტაძარი“ მკაფიოდ ჩანს ხედვის ოსტატობა და განზოგადების სიმძაფრე, პოეტური ნიჭი და მოქალაქეობრივი პათოსი. ერთგან გალაკტიონი წერს: „რაღაც შეუცნობელი სევდის მინაგვარი სულს მიხუთავს! მე მდუმარედ შევცქერ მის გაყუჩებულ კედლებს. ნიავი სახეში მცემს, თითქოს უნდა რაღაც მომაგონოს. წარმოვიდგინე ის დრო, როცა საოცრად ყვაოდა მშობლიური საქართველო, როცა ის კულტურის უმაღლეს მწვერვალს აღწევდა, როცა ძმურად და სიყვარულით ცხოვრობდნენ მამაცი ქართველები, როცა ერთ ხელში მახვილი ეპყრათ, მეორეში კი – ჯვარი და ისე ააგეს ეს უბრწყინვალესი ტაძარი“.

გალაკტიონის ეროვნული მისწრაფებები, პატრიოტული სულისკვეთება მძაფრად არის გამოხატული რეფერატში „საქართველოს შინაური მდგომარეობა XII საუკუნეში“. ავტორი იხსენებს წარსულს და უპირისპირებს თანამედროვეობას. იგი აღფრთოვანებულია გარდასული დიდებით და შეშფოთებულია აწმყოთი. მისთვის XII საუკუნის საქართველო შესწავლის კი არა, აღტაცების საგანია. გალაკტიონი ყელყელაობს წინაპართა სიდიადით. „გვაქვს უფლება ვიამაყოთ მით, რომ ერთხელ ჩვენც გვყავდნენ წარჩინებული მწერლები. პირნათლად შეგვიძლიან სხვა ერებთან ჩვენც მოვიგონოთ ჩვენი ლიტერატურის ბრწყინვალე წარსული“.

ამგვარივე განწყობილებით გამოირჩევა თხზულება „გიორგი VI ბრწყინვალე“. მასწავლებელს მიუწერია: „ავტორს ეხერხება მოკლედ და მკაფიოდ აზრების გამოთქმა. მშვენივრად არის დახასიათებული გიორგი ბრწყინვალის მეფობა... ენა წმინდა ლიტერატურულია. სწორედ სასიამოვნოა ამგვარი თხზულების წაკითხვა“.

გალაკტიონი სულს აქსოვს ასეთ ნაწარმოებებში. განსაკუთრებით ლექსს და ღამეს ანდობს საიდუმლოებას, რადგან ბევრს არ ესმის მისი. ფილისტერები ყასიდად უქნევენ თავს და მერე გამჭირდავი ღიმილით აცილებენ ჭაბუკ პოეტს.

გალაკტიონი თხზვაში პოულობს შვებას. წერით კი ბევრს წერს. დაამთავრა დრამატული ნაწყვეტი „სამი სურათი“. როგორც თვით შენიშნავს, „კარგი გამოვიდა“. დაწერა პოემა „მწყემსის“ X თავი, დაიწყო ხუთმოქმედებიანი კომედია „ფრანტიშეილი“.

მომდევნო თვეებშიც ინტენსიურად მუშაობს. ნადსონის „იუდის“ მიბაძვით წერს პოემას „კაენი“. კმაყოფილია: „კარგად დავიწყე, თუ არ მივატოვე. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მივატოვო, საშინლად მეადვილება რაღაც. რითმები მწყობრნი არიან... ე. ი. გარეგანი ფორმა კარგი აქვს. გარეგანი ფორმა კი ერთი

მხარეთაგანია...“

22 ოქტომბერს გალაკტიონმა დაასრულა პოემა „ქართველი ქალი“, ხოლო 14 ნოემბერს საჯაროდ წაიკითხა „სამშობლოს წრეში“, განხილვას დაესწრნენ არა მხოლოდ სემინარიელები, არამედ სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლეები, გარეშე პირებიც. აქ იყვნენ ა. ტყემალაძე,გ. ქუჩიშვილი,დ. თურდოსპირელი, ა. ჯინჭარაძე და სხვები. პოემა მოიწონეს. გამოითქვა კრიტიკული შენისვნებიც. მაგალითად, თ. იაკობაშვილის აზრით, „ქართველი ქალი“, მიუხედავად დიდი მოცულობისა, მაინც ლექსია და არა პოემა. ტაბიძე ი. ჭავჭავაძის „დედა და შვილის“ და ა. წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ გავლენას განიცდისო“.

დ. თურდოსპირელი არ დაეთანხმა რეცენზენტს. მან პოემა უწოდა „ქართველ ქალს“. მშვენივრად არის დაწერილიო. ამასთანავე, დასძინა, რომ სიუჟეტი მოძველებულია.

გ. ქუჩიშვილმა მსგავსებაზე ყურადღების გამახვილება ზედმეტად ჩათვალა. ცალკეული შემხვედრი წერტილები არ განსაზღვრავს ნაწარმოების საერთო ღირებულებასო.

მსმენელები აღტაცებულნი დარჩნენ პოემის ფორმით, იდეა კი დაიწუნეს. ამას გალაკტიონი შემდეგნაირად ხსნის: „წრეში ყველა სოციალ-დემოკრატია“. ისინი „სამშობლოს“ „კაცობრიობით“ ცვლიანო.

ეს მეტად მნიშვნელოვანი განცხადებაა. იგი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გალაკტიონი არ იზიარებს სოციალ-დემოკრატთა ყველა შეხედულებას. უფრო მეტიც, პრინციპულად ეწინააღმდეგება მათ ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამ მხრივ ახალგაზრდა პოეტი ილია ჭავჭავაძის გზას მიჰყვება; სწამს,რომ ინტერნაციონალიზმის საყრდენი პატრიოტიზმია. ვისაც თავის მოძმე არ უყვარს, ვინც მამულის თავისუფლებისათვის არ იღვწის, იგი ვერც სხვას შეიყვარებს და ვერც მსოფლიოს ბედნიერებისათვის იბრძოლებს.

გალაკტიონი ნამდვილად განიცდის ილიასა და აკაკის გავლენას. მისი პოემა არა მხოლოდ თემით, არამედ პრობლემის გააზრებით, ცალკეული პასაჟებითა და საერთო სულისკვეთებით უთუოდ წააგავს „დედა და შვილსა“ და „ქართველ ქალს“ (არაფერს ვამბობთ სათაურთა იდენტურობაზე).

პოემას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნ. ბარათაშვილის სიტყვები: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!“ და ა. შ.

მოხუცი მეფანდურე იხსენებს წარსულს – ქართველთა გმირობისა და ვაჟკაცობის ამბებს.

საქართველოს მტერი შემოესია. მამულიშვილებმა ხმლები გააშიშვლეს. დედა ომში აგზავნის ერთადერთ შვილს და ყოველ ცისმარე ელის მის დაბრუნებას. დროდადრო ეჭვი გაკრავს: ხომ არ შეირცხვინა თავი მისმა პირმშომ? მაგრამ აი, უპატრონო დილა ფაფარაშლილი მერანი გამოჩნდა, რომელსაც მკერდი სისხლით აქვს შელებილი. დედა მიხვდა, რომ მისი შვილი გმირულად დაიღუპა. შიკრიკიც ამას ადასტურებს:

„ოჰ, თქმა არ ძალმიძს... მებმება ენა.
შენი ერთგული ძე იქ დაეცა.
ჩვენი ვარსკვლავი იქ ჩაესვენა,
იქ დაგვიბნელდა მთვარე და ზეცა.
ვერრა გავაწყვეთ... როგორც აფთარი,
მძიმედ დაჭრილი მტერს იგერებდა.
ვინ იცის, რამდენს დასცა თავზარი,
თავს არ ზოგავდა... ხმნას არ ეძებდა.
მისი სიკვდილით დაობლებული,
ქართველთა რაზმი აწ კარგავს იმედს,
სდგას უნუგეშოდ ზარ-დაცემული“.

ქართველი ქალი მძაფრად განიცდის თანამემამულეთა შევიწროებას, განწირულებას. იგი მსწრაფლ ამხედრდება და ხმალშემართული მტრის რაზმში შეიჭრება. აღფრთოვანებული ქართველები ამარცხებენ მტერს. დაჭრილი დედა ბრძოლის ველზე პოულობს შვილის ცხედარს, ჩაეკონება და სულს განუტევებს.

გალაკტიონი, ისევე როგორც XIX საუკუნის ჩვენი გამოჩენილი პოეტები, ქებათა ქებას უძღვნის ქართველ დედებს. წარსული მას აინტერესებს არა განყენებულად, არამედ აწმყოსთან მიმართებაში. მაგალითები ისტორიიდან მოხმობილია თანამედროვეობის გადახალისების მიზნით და სურვილით.

„რამდენჯერ ბრძოლით დასუსტებული
იდგა ქართველი გულდამაშვრალი
და ამ დროს, როგორც ზეციდან სული,
გარდმოვლენილა ქართველი ქალი.
ეს მხოლოდ მისთვის, რომ შეენახათ
დღემდე, რაც მათ სულს აღფრთოვანებდა.
დღეს კი შეხედეთ, ვინ ვართ, ან რა ვართ...
გულს ტანჯვა მიკლავს, ფიქრი და სევდა.
ოჰ, როდის მოვა დრო განახლების,
როს ძალა დასცემს მოხეულ ძალებს
და კვლავ აღდგენილ თავისუფლების
ჰაერში დროშა გაიფრიალებს!“



აშკარაა, რომ გალაკტიონს მკაფიო თვალსაზრისი აქვს ეროვნულ საკითხზე და ბრმად არ მიჰყვება ახალ დინებას.

იმასაც დავსძენთ, რომ ახალგაზრდა პოეტი გარკვეულად აღრმავებს ილიასა და აკაკის ტენდენციას. მისი პერსონაჟი გაცილებით აქტიურია, ვიდრე თერგდალეულითა ნაწარმოების გმირები. ილიასთან და აკაკისთან ქართველი ქალის აღტყინება ემოციისა და სურვილების გამქლავნებას არ სცილდება. გალაკტიონთან კი იგი უშუალოდ ებმება ბრძოლაში.

გალაკტიონი ბევრს ფიქრობს არა მხოლოდ საკუთარ თავსა და მახლობლებზე, არამედ საზოგადოებრივ საკითხებზეც. 1909 წლის 26 სექტემბერს დაასაფლავეს ყოფილი ქალაქის თავი მატინოვი. პროცესიას, რომელმაც ვაგზლის მოედნიდან ვანქის ტაძრამდე მთელი ქალაქი გაიარა, არც ერთი ქართველი არ შეერთებია. გალაკტიონი გაოცებულია. „ნუთუ მატინოვი არარა იყო მათთვის? საშინელი ფიქრია, მაგრამ სინამდვილი კი არის, რომ არც ერთი ქართველი მე იქ არ შემიმჩნევია. უმეტეს ნაწილად სომხები იყვნენ.

რად გამწვავდა ჩვენსა და სომხებს შორის მდგომრეობა?! ნუთუ ძველი მეზობლობა და ურთიერთობა ეგრე უნდა გაქრეს? რად, რისთვის? განა ორივენი „ერთ ბედს ქვეშ" არა ვართ? განა ორთავე ერს ერთი და იგივე საზოგადო მოსაზრება არ გვაქვს?

არ ვიცი, რას ფიქრობენ!"

გალაკტიონისთვის მატინოვის დამსახურება როდია მთავარი. იგი უფრო პრინციპული საკითხით ინტერესდება და ორი დაჩაგრული ერის მეგობრობას, ურთიერთანადგომას ქადაგებს. ეს ფაქტი კარგად ამქლავნებს მისი ეროვნული იდეალების სიწმინდესა და ინტერნაციონალურ მიდრეკილებას. 18 წლის გალაკტიონი საფუძვლიანად ერკვევა ერთ-ერთ ურთულეს საკითხში და რადიკალურად ემიჯნება ვაინაციონალისტებს.

ეროვნულ პრობლემას გალაკტიონი შორი დისტანციიდან როდი განიხილავს. უფრო მეტიც, პატრიოტიზმი მისთვის თემა კი არ არის, არამედ ყოველდღიური განცდის, წუხილის საგანი და ფიზიკურ ტკივილამდე მიმყვანი შეგრძნებაა.

20 ოქტომბერს ახალგაზრდა პოეტი მეჯლისიდან დაბრუნდა. საზოგადოება ქართული იყო, მაგრამ არც ქართული სიტყვა ისმოდა და არც ქართული სული ტრიალებდა. ეს აწუხებს პოეტს და ღამის 5 საათზე დღიურში წერს: „რა ფიქრები არ მიტრიალებენ თავში. ვხედავ ერის გადაგვარებას, დაუძლურებას და ბოღმით მევსება გული. ახალგაზრდობა მომავალს არაფერს კარგს უქადის, არ უნდა ფიცი!"

ახლა ჩვენთვის უფრო გასაგებია, თუ რა იწვევს გალაკტიონის სევდას და წუხილს, რატომ არის იგი ესოდენ ტრაგიკული ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში.

მაგრამ ეს მხოლოდ მამულის ხვედრით როდია გამოწვეული. მას ღრმად აფიქრებს სოციალური ავბედითობა, ქვეყნად გამეფებული ბოროტება, უსულგულობა, საზოგადოების ერთი ნაწილის მორალური დაცემა, მეორის ეკონომიკური სიდუხჭირე... რომელ ერთს გაუსწოროს თვალი. სურს დაეხმაროს, უშველოს დაჩაგრულს, მაგრამ არ ძალუძს და ყოველივე ამას სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს.

ნოემბრის ერთ საღამოს ალექსანდრეს ბაღში შეიარა. უნდოდა დარდი გადაეყარა. ბაღის კუთხეში ოთხი აჩრდილი შენიშნა. სამი მეძავი იყო, ერთიც ქუჩის ბიჭი. მიუახლოვდა და ყური დაუგდო მათ საუბარს. ვაჭრობდნენ.

ბაღი სავსე იყო ხალხით. დასეირნობდნენ, მასლაათობდნენ, მხიარულობდნენ და არავის აწუხებდა სხვისი გასაჭირი. მხოლოდ ერთმა ებრაელმა მიიხედა იქით, საიდანაც ორი თვალი უკმაყოფილოდ ბრწყინავდა. დაინახა ნარნარი, თეთრი პირსახე, შავი ხუჭუჭა თმა, მოყვანილი ტანადობა და ამოიოხრა:

– რა გოგო გაფუჭებულა!

გალაკტიონი სულით ხორცამდე შეძრულია. მთელი ღამე ვერ ისვენებს. „საყვარელო დებო, საყვარელო დედებო! მაწუხებს თქვენი ყოფა, თქვენი გასაჭირი... რა ვქნა, რომ ვერ გშველით, რა ვქნა, რომ ძალა არ შემწევს... რა ვქნა, მითხარით! დებო, დედებო! განა თქვენ შეგიძლიათ ჩემი ცრემლი დაინახოთ ამ წუთში? მე ვსტირი, მაგრამ თქვენ რა?

ოჰ, უმსგავსოებავ ცხოვრებისავ!"

ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ 1910 წელს გალაკტიონი წერს დრამას „ფული". მხატვრული ღირსებით იგი, რა თქმა უნდა, ვერ გაუტოლდება ამ პერიოდის რჩეულ ლირიკას, მაგრამ უთუოდ საინტერესოა ახალგაზრდა მწერლის მსოფლმხედველობისა და განწყობილების გასაცნობად. „ფულის" სისუსტე, უპირველეს ყოვლისა, კოლიზიების მოდუნებულობამ და პერსონაჟთა სქემატურობამ განსაზღვრა. მოქმედ პირებს აკლიათ ინდივიდუალური ნიშნები, ცხოვრებისეული ფერები. ამიტომაც მათი განცდების მიმართ მკითხველნი რამდენადმე გულგრილნი რჩებიან.

მოქმედება მეძავთა სახლში ვითარდება. დრამატურგი ცდილობს ფსკერის ბინადართა ხასიათებისა და მისწრაფებების ჩვენებით საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული სურათი

შექმნას.

არსებითი ჩვენთვის ისიც არის, თუ რატომ ჰკიდებს ხელს მწერალი ამ თემას. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არჩევანში ნათლად გამოვლინდა გალაკტიონის პესიმიზმი. იგი არა მხოლოდ ლექსებში,არამედ დრამაშიც ერთგული რჩება თავისი მრწამსისა. მას მიაჩნია, რომ ცხოვრება საშინელია, ირგვლივ ბოროტება, ძალმომრეობა და მერკანტილიზმი მეფობს, რომ ნათელი სხივი თითქმის არ ჩანს.

შემთხვევითი არ არის, რომ „ფულ'ში" არც ერთი დადებითი პერსონაჟი არ გვხვდება, ფინალიც სევდიანია. მართალია, მეძავთა სახლის პატრონი ხალივა იღუპება, მაგრამ მას კლავენ არა ჩადენილი ბოროტების გამ, არამედ გაძარცვის მიზნით, კლავენ გარეწრები: ქალიშვილის გამყიდველი, ლოთი და უსახო სათარა და საიდუმლო ორგანიზაციის სახელს ამოფარებული აფერისტი და გაყრვნილი სანდრო.

როგორც ჩანს, გალაკტიონის პესიმიზმი ღრმა და ფესვგადგმულია. ამ პერიოდში იგი ცხოვრების მრავალ უბანზე, თითქმის ყველა სფეროში უმეტესად თალხ ფერებს ამჩნევს.

აქ ოდნავ გადავუხვევთ და ერთ მაგალითს მოვიყვანთ. ფუნიკულიორის პლატოზე მდგარი ჭაბუკი დასცქერის ქალაქს და ყველაფერი სევდიანად ეჩვენება. „გულჩათუოქული ბუტბუტი მტკვრისა,მოქალაქეთა ნაღვლიანი კვნესა,მუშებისა და მოწაფეთა შეურაცხყოფილი ჰანგი, თითქოს შეერთებულად ამოაქვს ნიავს მთის მწვერვალზე".

გალაკტიონი ხშირად ობიექტური რეალობიდან კი არ გამოდის, არამედ „მედან", ამ შემთხვევაშიც საგნები და მოვლენები მას იმგვარად მიაჩნია, როგორადაც ხედავს.

დავუბრუნდეთ „ფულს" – ეს დრამა, როგორც აღვნიშნეთ, მხატვრული თვალსაზრისით არ ყელყელაობს. მიუხედავად ამისა, ნიჭიერი მწერლის თვალი და ხელი მრავალ ადგილას იგრძნობა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ხალივას და როსკიპთა შეკატების ეპიზოდი. მეძავენი მოსაკლავად მიიწევენ თავიანთ პატრონზე.

„პროსტ. – შეჩვენებულო ხალივა, რამდენს მოუშხამე სიცოცხლე, რამდენი მიაბარე ცივს მიწას მშობელთა და ნათესავთა დაუტირალი? შენ ფულით გვყიდულობ და ფულზევე გვყიდი. არ გვინდა ჩვენ ფული, დაგვიბრუნე უდარდელი დღეები, არ გვინდა ჩვენ ფული... ხალივა, მაცდურო ხალივა, ხმა ამოიღე".

ეს აღშფოთება წუთიერია, მოქმედებაც – არამყარი და უგერგილო. დანებმომარჯვებულ როსკიპებს ხალივა ტკბილეულს გადაუყრის და ისინი მყისვე შეიცვლებიან. ქება-დიდებით ამკობენ

პატრონს: „მშვენიერო ხალიჩა, გულკეთილო ხალიჩა“.

ავტორმა მოქმედებაში გვიჩვენა პიროვნებათა მორალური დაცემა გახრწნა. „ახალმა ცხოვრებამ“ მეძავეებს „ადამიანის“ სახე დაუკარგა, ისინი მონებად აქცია. წამიერი პროტესტი, ბინდბუნდად გახსენება წარსულისა ვერ აპირობებს შეუპოვარ და თანამიმდევრულ ბრძოლას.

დრამის ცალკეული სცენები არცთუ ურიგოდ არის დაწერილი. ასეთია ლოთი მამის მიერ შვილის საროსკიპოში მიყვანა და გაყიდვა.

ერთი სიტყვით, ეს დრამა ცხოვრებაზე გულაღრენილ და ხელჩაქნეულ შემოქმედს წარმოგვიჩენს.

ჩვენ გალაკტიონის სევდის რამდენიმე მიზეზი დავასახელეთ. დამატებით კიდევ ერთ -გარემოებაზე გვმართებს ყურადღების გამახვილება. ესაა ეჭვი – ვინ არის იგი, შეუძლია თუ არა კვალის გავლება?

სულში დემონი აფათურებს ხელს, ბოროტი სული ხარხარებს: – არარაობავ! არარაობავ! გალაკტიონს სურს წაუყრუოს, შავი ფიქრები მოიშოროს, მაგრამ საკუთარ თავს სად გაექცევა?

ეს ყველაზე დიდი ტანჯვაა!

ერთგან წამოსცდება კიდეც: – სულით ობლობაზე, უბედურებაზე ჩივილი ხელმოცარულობით არის გამოწვეულიო. „...ჩვენშიაც ბლომად არის ისეთნი, რომელთაც წერის სურვილი აქვთ. თავსაც რაღაცას ადარებენ და ბოლოს „ბასტი“ გამოუდით; თურმე ნიჭი არ ჰქონიათ... ეს საშინელი რისხვაა ზეცისა...

არ ვიცი, იქნებ მეც იმათ რიცხვში ვურეკვივარ. საშინელი ფიქრია! მართლა და, რა უნდა ვქმნა, მერე?“

როცა ასეთი ფიქრი ეწვევა, გაცოფებამდე მიდის, ადგილს ვერ პოულობს. ბოლოს ისევ იუმორს მოიშველიებს, ბაირონის ნათქვამს გაიმეორებს: პოეტი ან შეყვარებული უნდა იყოს, ანდა ღარიბიო... და დასძენს: – მე ორივე მოთხოვნას ვაკმაყოფილებ.

დროდადრო ისიც კი ეჩვენება, თითქოს თავადაა ყველაფერში დამნაშავე და თვითგვემით ესწრაფვის სულიერი სიმშვიდის მოპოვებას. სწორედ ასეთი განცდის ჟამს არის დაწერილი გენადი მიხელიძისადმი გაგზავნილი ბარათი.

„...არ დამიჯერებ, რომ იმ ღამეს მე თითქმის არ მიძინია და საშინლად ვტიროდი. ვტიროდი იმისთვის, რომ ამ ბოლო ხანს ხშირად ცუდი ხასიათის შევიქენი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ერთი ამხანაგი არ მყავს ისეთი, რომ არ მეწყენინებინოს. იქნებ ეს იმიტომ მომდის, რომ სიმართლე მეტად მიყვარს, მაგრამ უფრო ჩემს ცუდ ხასიათს ვაბრალებ. ვეცდები, ყველა ამხანაგს

ჩამოვშორდე, გავსწყვიტო მათთან ყოველი კავშირი, რომ ხასიათი გავისწორო“.

გასაოცრად მეტყველი ბარათია. ეჭვი, იმედი, სასოწარკვეთა, ალაგ-ალაგ ცინიზმიც... გზა ბუნდოვანი და გაურკვეველია. ათასგვარი ფიქრი ეჯარება ჭაბუკს. ტრაგიზმი მძლავრობს, მარტოობისაკენ ლტოლვა დიდია. ამიტომ შემთხვევითად არ უნდა მოგვეჩვენოს ცოტა მოგვიანებით „უბის წიგნში“ ფიქსირებული სიტყვები: „მე აღვაგე ტაძარი, ტაძარი ჩემის ტანჯვა-წამების, რომელშიც შესვლა არ შეუძლია, ჩემს გარდა, არავის. მე არ შემიძლია გადმოგცეთ, თუ როგორ ვეწამე, ვერ ვიტყვი, ვერ გამოვთქვამ ამას. აი ამიტომ მე მენანება ამ ტაძრის დატოვება, მეშინია დავუახლოვდე ადამიანებს“.

ყოველი უსიამოვნო ფაქტი საფუძვლიანი განსჯის საგანი ხდება, რასაც ფართო განზოგადება მოსდევს. გალაკტიონი თითოეულ ამბავს სხვებთან კონტაქტში განიხილავს. ფიქრის გორგალი თანდათან იშლება და საბოლოოდ პოეტი მაინც ყოფნა-არყოფნის საკითხამდე მიდის. „დღეს შემთხვევით მარტო დავრჩი. თვალწინ წარმომიდგა ჩემი წარსული ცხოვრება. გადავათვალიერე წარსულის ტანჯვით სავსე ფურცლები. გონება ამერია, გრძნობა დავკარგე... წარსული... წარსული!..

აწმყო რაღა არის? – უფრო უგულო და უსულო, ვინემ წარსული. ნადსონის გულსაკლავ სიტყვებს ვიმეორებდი: „Как мало прожито, как много пережито“.

ამის დამწერს ჯერ კიდევ არ შესრულებია 18 წელი. ის კი ცხოვრებით დაღლილი, მრავალტანჯული ბრძენის განცდას ავლენს.

გალაკტიონი ბორგავს, ეძებს, ერთხანს ჰიპნოტიზმმაც გაიტაცა. ესწრება ლექციებს, ეცნობა ამ თემაზე დაწერილ წიგნებს. განსაკუთრებით იზიდავს თომა მაინჰარტის თხზულებანი. გადაწყვეტილი აქვს საფუძვლიანად გაეცნოს ბორნას, ვაგნერის, ფაუერის ნაწერებს. დროდადრო პატარა ცდებსაც ატარებს.

მაინც ვერ მშვიდდება. ყოველივე ეს აბორგებული სულისთვის ნავსაყუდელის ძიების გზაზე მიკვლეული პატარა მღვიმეებია.

ერთხანს აპატიაც დაეუფლა. ყველასა და ყველაფრისადმი გულგრილი გახდა. აღიარებს კიდეც: „ეხლა, მხოლოდ ეხლა დავრწმუნდი, რომ მართლა გულგრილი ვარ ყველაფერზე, რომ აღარაფერი მრწამს... დედაჩემს წერილი გავუგზავნე... უჩვეულო წერილი. თითქოს არც კი ვდარდობ, რომ ეგეთი წერილი გავაგზავნე. უშინაარსო, მხოლოდ ორიოდე სიტყვით. მასში კატეგორიულად მოვითხოვე ყველაფერი, რაც მჭირდება, მაგრამ არც ერთი თბილი

სიტყვა, არც რაიმე ნუგეში...

აქ უნებურად მაგონდება ლობინოვის „იპოხონდრიკი“.

გულისსწორს ეძებს.

გამოჩნდა კიდეც 17 წლის მომხიბლავი გოგონა, მას მარტო ჰქვია. მამა სომეხი ჰყავს, დედა – რუსი. ქართულად უჭირს საუბარი, როცა ის მეტყველებს, გალაკტიონი კეთილად იცინის. გოგონა ჭკვიანია, ლიტერატურით გატაცებული.

„მე მიყვარს! მაგრამ ვუყვარვარ მას? – აი საკითხი.

ოჰ, გული იწეწება!

მარო იქნებ ვერც კი გრძნობს ჩემ მისდამი სიყვარულს.

იქნებ სათამაშო ბურთად მივაჩნივარ, ისე როგორც სხვები. მაგრამ არ ვფიქრობ, ის ჩემი ნიჭის თაყვანისმცემელი არის. ის ჩემი პატივისმცემელია.

ღმერთო, სანამდის გაგრძელდება ეს ტანჯვა და მოლოდინი? სანამდის, სანამდის?

სხვათა შორის, გალაკტიონს მისთვის მიუძღვნია ლექსი – „რა მშვენიერი იყო ნამი“. (ადრე მას „ნამი“ ერქვა). ამაზე მეტყველებს ერთი უცნობი ავტოგრაფი.

ეს გატაცება ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც ჩანს, გალაკტიონმა ვერც ამ მხრივ ჰპოვა ნავსაყუდელი. იგი კვლავ იტანჯება.

ამასობაში სექტემბერიც მიიწურა და პოეტი კრიტიკულად გადახედავს განვლილ გზას: „გავიდა თვე, საშინელი თვე! თვე წამების, ტანჯვისა! მეტსაც ვიტყვი, თვე სულიერი არარაობისა! სექტემბერი გავიდა... დროა მივცე კითხვა ჩემს თავს: რა გავაკეთე?

თვის განმავლობაში კლასში მხოლოდ ორჯერ ვიყავი... მე უსინდისოდ ვსარგებლობდი იმ გარემოებით, რომ მასწავლებლებს სულიერ ავადმყოფად მივაჩნდი და ამ მხრით ჩემს პროცესს სწავლაში ყურადღებსაც არ აქცევდნენ.

არც წირვა-ლოცვაზე, რომელიც სავალდებულოდ არის გამოცხადებული სემინარიელებისათვის, მე არ დავდიოდი.

მასწავლებლების და ინსპექციის წინააღმდეგ მთელი რევოლუცია მოვახდინე.

მაშ, რა გავაკეთე?

მოვიხსენიებ ზოგიერთ კარგ მხარეებსაც. წიგნები ბლომად წავიკითხე... ჟურნალ-გაზეთები არ გამომიტოვებია... წერითაც ბევრს ვწერდი... ბევრი კარგიც დავწერე.

ე. ი. მთლად უნაყოფოდ არ ჩაუვლია თვეს! შავი ფიქრები მუდამ მწეწდნენ და მგლეჯდნენ. უფრო სასტიკად, ვინემ აქამომდე.

რა დამიხსნის-მეთქი, ხშირად წამომიძახნია. ვიცი, რაც დამიხსნის. ე. ი. არაფერი არ დამიხსნის: გამოვეთხოვე ყველაფერს,

გამოვეთხოვე სულის სიმშვიდეს და მოსვენებას.

თვით „სიყვარული“, სხვებისთვის რაღაც ჰაეროვანი, პოეტების სიმთა ჟღერის საგანი, ჩემთვის არარაობაა.

იქნებ მე ვცდები? იქნებ ეს ასე არ არის?

ღმერთმაც ჰქნას!!! ღმერთმაც ჰქმნას, რომ ვცდებოდე!“

გალაკტიონს სინამდვილიდან გაქცევა, სიმშვიდე, სულის მოფონება სურს, მაგრამ გზა არ ჩანს და ეძალება ღვინოს. ადრეც სვამდა, მაგრამ ახლა ზედიზედ თვრება. თავადაც ამჩნევს, რომ მოლიპულ გზაზე დგება, მაგრამ ვერ მორევია საკუთარ თავს. „ეს რა სისაძაგლე მემართება... ღვინო, წყეული ღვინო! მე არ მეგონა თუ ასე მივეჩვეოდი... მაგრამ გამტყუნება ჩემგვარი ხასიათის კაცის? ბახუსი მეტისმეტად მოწყალეა... ის მშვენიერი საშუალებაა გულში იმედისა და სიცოცხლის ჩასანერგად... და ამის მეტი კიდევ სჭირია რამე ადამიანს? იმედი... იმედთან კი მოქმედებაც არის მუდამ... მოქმედებასთან უსაქმობის გაცილება და სრული ნეტარება... მე არ მინდა ამის მეტი რამე ვსთქვა მასზე. ამ მესამე ღმერთზე, ამ სოფლის უტყუარ სიმართლეზე და მფლობელზე...“

იმ მძიმე ტრავმის შემდეგ მთელი სექტემბერ-ნოემბერი გალაკტიონს თითქმის არაფერი დაუბეჭდავს. ეს ძლიერ აღონებს ტიციანს. რა ხდება? კლასში დატოვებამ ყველაფერზე ხომ არ ჩააქნევინა ხელი გალაკტიონს? გაგრძელდება დუმილი? იქნებ უკიდურეს წერტილამდეა მისული? „...როგორ ცხოვრობ, კაცო, მასე უნდა დაივიწყო ადამიანი! სხვა, რა ამბავია, რომ არაფერს ბეჭდავ. მაგას მოველოდი შენგან. სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, ნუთუ არ იცი, რომ ყველა ადამიანის ხვედრია ის, რაც შენ მოგივიდა. სხვას ვის ქონდა ია-ვარდით მოფენილი გზა მოღვაწეობისა, რო მარტო შენ გქონოდა. თუ იმ იმედით გინდოდა გამოსვლა, შემცდარი ყოფილხარ. აქ ჯავრით აღარ ვარ... გაფაციცებით ვსინჯავ ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ არ არის შენი იქ არაფერი. და რომ იცოდე, როგორ მომაძულა თავი მაგ გრიშაშვილმა თავისი უკუდო სონეტებით“.

ბიძაშვილის ბარათი სითბოთი ავსებს გალაკტიონს, მხნეობას მატებს. „ეხლა კი გულდადებით მინდა წერა რომელიმე გაზეთში ან ჟურნალში... დავიწყებ მალე“.

ტიციანის წერილი ერთი იმ ძაფთაგანია, რომელიც ცხოვრებასთან აკავშირებს პესიმისტ პოეტს.

გალაკტიონს ბევრი თანაუგრძნობს, ამხნევენს. მაგალითად, გენადი მიხეილიძე მას „პროგრესული კაცობრიობის ტიპს, შურ-ბოროტების მოწინააღმდეგეს, სინათლისა და სიმართლის

მიმდევარს“ უწოდებს.

თუნდაც ქუჩუ ქავთარაძესთან ურთიერთობა რად ღირს. მათ ბევრი რამ აახლოებთ, უპირველეს ყოვლისა კი, ალბათ, ფანატიკური სიყვარული და რომანტიკული ლტოლვა.

ქუჩუმ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა ახალგაზრდა პოეტზე. გალაკტიონი იგონებს: „მე ჯერ კიდევ სოფელში ვიყავი, როცა დემონის რამდენიმე ლექსი წავიკითხე თბილისის ერთ-ერთ ჟურნალში, მშვენიერი, გრძნობიერი ლექსები, უბრალო, აკაკის ენით დაწერილი და შთაბეჭდილებების მომგვრელი, როგორც მაგალითად მისი ცნობილი ლექსი: „ვიშ, ამ სადამოს...“

თბილისისკენ გამგზავრების წინა დღეებში ქუთაისში ერთი სემინარიელი შემხვდა.

– იცი, – მითხრა მან, – სემინარიაში მარტო არ იქნები, იქ ერთი პოეტი დაგვხვდება.

– მართლა? ვინ?

– დემონი. – ქუჩუ ქავთარაძე.

მე ეს სახელი წინადვე გამეგონა, მოუთმენლად ველოდი მის გაცნობას“.

ქუჩუ გამორჩეული პიროვნება იყო. მას მუდამ გარს ეხვევნენ ამხანაგები. დემონს ბაძავდნენ არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ მეტყველებაში, თავის დაჭერაში, ჩაცმაშიც კი...

გალაკტიონმა თბილისში ჩასვლის პირველსავე დღეს გაიცნო იგი. „...სემინარიელები ირგვლივ შემორტყმოდნენ ერთ ამხანაგს და გატაცებით უსმენდნენ მას. მოსაუბრე სემინარიელს შავი ლაიკის ბრწყინვალე ქუდი ეხურა, სუფთა შავი ფერის პალტო და ხელთათმანები, პირველ შეხედვისთანავე შეამჩნევდით, რომ იგი მდიდარი კაცის შვილი უნდა ყოფილიყო.

– დემონი! გავიფიქრე მე. დემონი უნდა იყოს! ცოტათი გამხდარი სახე და ცისფერი თვალები ოცნებიანი გამოხედვით, რამდენიმე ძლივს შესამჩნევი უდროო ნაოჭი შუბლზე, სერიოზული, დინჯი სახის გამომეტყველება. ყველა ამან ერთბაშად მომაჯადოვა. დემონი საუბრობდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. საუბრობდა დიდი სიყვარულით მისდამი, რაც საუბარს ელფერს მატებდა. შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ამ ყმაწვილის მსგავსი მოსაუბრე მთელ სემინარიაში ერთიც არ მოიპოვებოდა. მისი საუბარი უსათუოდ გაგიტაცებდათ, მოგხიბლავდათ, დაგათრობდათ. ვიდექი დიდხანს გარინდებული და ყურს ვუგდებდი ამ ხალისიან, სიცოცხლით სავსე სემინარიელის საუბარს, რომელმაც ბოლოს ასე უმიზნოდ და ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე.

იმ დღესვე გავიგე, რომ დემონი მეორე კლასშივე დაეტოვებინათ ლათინური ენისთვის. ეს გარემოება თითქმის სრულიადაც არ ადონებდა მას"[1].

დემონი და გალაკტიონი მალე დამეგრობრდნენ. ისინი ხშირად არიან ერთად და ამ წუთებს გალაკტიონი უბედნიერეს წუთებად თვლის. ქუჩუმ მიიყვანა გალაკტიონი ვალერიან გუნიას „საქართველოში". ამ ჟურნალში დაიბეჭდა მეგობართა ლექსები. გალაკტიონი ხარობდა ქუჩუს წარმატებით. არქივმა შემოგვინახა პატარა ბარათი: „ძმაო გალაკტიონ, იმედია, არ დაიზარებ და ამხანაგ-ნაცნობებს მიაწედი ამ ფურცელს. გამოცემა იკისრა ზ. ჭიჭინაძემ. მხოლოდ საჭიროა ასამდე ხელმომწერი და იმედია, დამეხმარებით. შენი ძმა დემონი".

ამ წიგნს არ ღირსებია დღის სინათლე. ქუჩუმ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე.

სემინარიაში მიმავალ გალაკტიონს ამხანაგი შეხვდა.

– წამოდი საავადმყოფოში, დემონი ნახე.

– რა დაემართა დემონს?

– თავი მოიწამლა კარბოლის მჟავით!

– ცოცხალია?

– ცოცხალია! ექიმები ამბობენ, რომ გადარჩება.

მუხლებზე ეცემა გალაკტიონი: „ღმერთო, არა გაუჭირვო რა, ძვირფას ამხანაგს! გეევედრები, ღმერთო!"

20 იანვარს ღამით დემონი გარდაიცვალა.

იდგა 1910 წელი.

გალაკტიონმა მეგობრის საფლავზე ლექსი წაიკითხა, რომელშიაც არა მარტო დიდი წუხილია გამოხატული, არამედ იმდროინდელი საზოგადოების გულცივობა და გაუტანლობაც არის მხილებული.

„სიყვარულს, ძმობას და მეგობრობას
ადამიანებს სთხოვდა ამაოდ.
აღშფოთებული გრძნობა ზღვად იქცა,
გული კი კუბოდ და სასაფლაოდ.
ვერ აიტანა სპეტაკმა სულმა
ადამიანთა მტრობა და შური.
ხელთგან გაუსხლტა სამტრო მახეილი
და ძირს დაეცა სუსტი, უძლური.
მხოლოდ როდესაც იგივე კაცი
თრთოლვით იწევდა მისკენ საშველად,

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 246-247.

„ჩამომეცალე", სთქვა მომაკვდავმა
და ცას შეხედა უკანასკნელად..."

აქვე მოვიტანთ ფრაგმენტს ქუჩუს ერთი უცნობი ლექსიდან, რომელიც გალაკტიონისადმი არის მიძღვნილი:

„სურათს რომ ნახავ, გაგახსენდები,
გაგახსენდება წარსულნი დღენი,
როს მეგობრობის კონა შევკარით,
ჩვენ ხელთა გვეპყრა გრძნობის მომფენი".

ამ ლექსში ხაზგასმულია ის ღრმა, გულწრფელი ურთიერთობა, რომელიც დემონს გალაკტიონთან აკავშირებდა.

დემონის გარდაცვალებიდან ათი დღის შემდეგ გალაკტიონი დღიურში წერს: „ძვირფასო მეგობარო... შენი აჩრდილი თვალწინ მიდგას ყოველს ნაბიჯზე. შენი ნაღველიანი სახე მაშფოთებს და უიმედო ბოღმით მივსებს გულს. რა ვქნა, უბედურმა, უთვისტომომ, რამ გამიქარწყლოს მოზღვავებული შავ ფიქრთა გუნდი...

ცრემლმორეული დავფარფატებ სემინარიის კედლებში... „დაობლდაო!" ჩურჩულებენ მოსწავლეები. ცეცხლის გენიას მიკიდებს ეს ერთი სიტყვა. ნუთუ მართლა დავკარგეთ... ნუთუ მართლა აღარ არის ქუჩუ... ჩვენი ქუჩუ...

შეჩვენებული იყავ, სიკვდილო! განა ცოტანი არიან უვარგისნი, თითქმის „ჩალად" ფასდებულნი ადამიანები? რად შეგშურდა ქუჩუ... რად წაგვართვი დემონი?"

საგულისხმოა, რომ გალაკტიონმა ლირიკულ-რომანტიკული პოემა „შანშე", რომელიც 1910 წლით თარიღდება, სწორედ დემონის ხსოვნას მიუძღვნა[1].

განსაკუთრებით ბედნიერი იყო გალაკტიონი, როცა

[1] ქუჩუსა და მისი ოჯახის შესახებ ძალზე საგულისხმო წერილი აქვს პოეტის ძმის შვილიშვილს მუსიკათმცოდნე ნანა ქავთარაძეს. ქუჩუს ბაბუა, დავითი დადიანებს ჩამოუყვანიათ ძველ სანეკში მაცხოვრის ეკლესიის მშენებლობისას. მოსწონებია დავითს ხალხი, გარემო და აქვე დამკვიდრებულა.

ტრადიცია – ღვთისმსახურება გაუგრძელებია ქუჩუას მამა სიმონს, ქუჩუ მრავალშვილიანი ოჯახიდან ყოფილა – 8 დედმამიშვილი. პოეტის ერთ-ერთი ძმა გიორგი (ბაძუ), შ. დადიანთან, კ. გამსახურდიასთან, დ. შენგელაიასთან მეგობრობდა. საგულისხმოა, რომ მან სამეგრელოს მიწა ჩაატანა შალვა დადიანს საფლავში და ჭურუს სიფრასაც გაუძღვა.

ქუჩუს მეორე ძმა კონსტანტინე – ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული – ერთხანს აბელ ენუქიძის მოადგილედ მუშაობდა. დაუხვრეტიათ 1937 წელს.

მესამე ძმა დავითი – ისიც ტარტუს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული – გიორგი პლეხანოვის თანამებრძოლი და თანამშრომელი ყოფილა (პირადი მდივანი). ქავთარაძეების ოჯახში შემონახული საფერფლე – ლოკოკინის ნიჟარის ნახევარი. მეორე ნახევარი პლეხანოვების ოჯახშია. დავითსა და გიორგის ეს დიდი ნიჟარა ხმელთაშუა ზღვის სანაპიოზე უპოვნიათ და მეგობრობის ნიშნად შუაზე გაუყვიათ.

პროკლესთან განმარტოების საშუალება ეძლეოდა. ძმები იგონებდნენ მეფისჭალას, რიონის ჩქერს, სოფელში მარტო დარჩენილ დედას... გალაკტიონი უკითხავდა ძმას ახალ ლექსებს, ენდობოდა მის გემოვნებას. იშვიათად ნაცნობი დუქნისკენ გაუტეევდნენ. გალაკტიონი გრძნობდა სისხლის სითბოს, მარადიულ და გაუხუნარ სიყვარულს. პროკლესადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ამბობს:

„ჩქეფდა ფაზისი, გავსცქეროდით მის ლაჟვარდ სივრცეს,
ცა იტაცებდა ჩვენს ნორჩ რწმენას, ძალას, სიმტკიცეს,
გვავიწყდებოდა ყველაფერი ამქვეყნიური,
არარაობა, უვიცობა და უგნურება!“

სემინარიაში გალაკტიონის სხვა ახლობლებიც სწავლობენ: გერასიმე, აკაკი ტაბიძეები, მაგრამ ბურსა მაინც აუტანელია და ისიც სხვაგან ეძებს მყუდრო სავანეს. ხან სპექტაკლებს ესწრება, ხან ელექტროთეატრ „მუზას“ მიაკითხავს, სადაც ძალზე საინტერესო სურათებს უჩვენებენ: „ძველი ელადა“, „ცხოველებზე ნადირობა აფრიკაში“, „ოქროს ყვავილები“, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „კაპიტან მორგანის თავგადასავალი“ და სხვა.

ყველაზე მეტად მაინც ახალგაზრდა მწერალთა წრე იზიდავს. ხშირად ხვდება ი. გრიშაშვილსა და ს. შანშიაშვილს. ი. გრიშაშვილი თავიდანვე სიმპათიით განეწყო გალაკტიონისადმი. მოსწონს მისი ლექსები. ისინი გულწრფელად უზიარებენ ურთიერთს ხვაშიადს: „მე და გრიშაშვილი თითქმის დავმეგობრდით... დღეს ის შემხვდა სათავადაზნაურო ქარვასლაში და ორი საათის განმავლობაში ვსაუბრობდით. სიმპათიური და გულკეთილი პოეტია!

ვსაუბრობდით უმეტეს ნაწილად ახალგაზრდა პოეტებზე. გულმშვიდად ამბობს თავის ლექსებზე, არ მომწონანო“.

როცა სოსო თეატრის ორ ბილეთს იშოვის, ერთი გალაკტიონისთვის მიაქვს: ხშირად აწვდის ახალ წიგნებს და ჟურნალებს.

ი. გრიშაშვილმა გააცნო გალაკტიონი ი. იმედაშვილს. ამ ფაქტს გალაკტიონი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „...ყოფილ „ნიშადურ-საქართველოს“ რედაქციაში შემოყვანა. იქ ერთი არტისტი დაგვხვდა... (იმედაშვილი-ხაშმელი).

– შენ ამას არ იცნობ? – დაეკითხა ის არტისტს.

– არა!

შენ ხომ ძლიერ მოგწონს მაგისი ლექსები. ეგ ტაბიძეა.

– აჰა, მართლა? ნება მომეცით გაგეცნოთ: მსახიობი X. თქვენს ლექსებს დიდის სიამოვნებით და გატაცებით ეკითხულობ. განსაკუთრებით ბუნება მომწონს თქვენი.

ცოტა ხნის შემდეგ გამოვემშვიდობე.

ღმერთმანი, რალაცგვარ სავსედ და კმაყოფილად ეგრძნობა თავს".

ასეთი შეხვედრები, ამგავრი შექება სულს უნათებს პოეტს. მას ძალზე სჭირდება წახალისება; ბავშვს ჰგავს. თბილი სიტყვა მძლავრ იმპულსებს იწვევს და შემოქმედებითად აღაგზნებს.

საზოგადოებრივი აზრი ძლიერია. ყველა აღიარებს გალაკტიონის ნიჭს და მასწავლებელთა უმეტესობაც იძულებულია ყურად იღონ ხმა ერისა.

საგულისხმო დეტალია. 1910 წელი. „მეექვსე კლასში უკანასკნელი გაკვეთილი ტარდება. სემინარიის რექტორი ერთ მოსწავლეს ეკითხება:

– თხზულება წარმოადგინეთ?

– არა, მამაო.

– მერე რას აპირებთ, ყოფაქცევაში სამი გამოგყვებათ.

– მაპატიეთ, დღესვე დავწერ და წარმოგიდგენთ.

– დღესვე დასწერ! არა, სადაური ნიჭის პატრონი ხარ, რომ ერთს წუთში დასწერო? შენც ხომ გალაკტიონ ტაბიძე არ ხარ, Вдохновление მოგივიდეს და..."

მეორე მაგალითი, გალაკტიონი სემინარიის ეკლესიაში დგას, ფანჯარაში იცქირება და ოცნებობს, უცებ საცეცხლურით რექტორმა ჩამოიარა და ჩურჩულით ჰკითხა: „Что, Табидзе, стихи сочиняешь, да!" გალაკტიონი გაწითლდა. მთელი საზოგადოება მათ უცქერდა.

ეს უკვე გამარჯვებაა. თვით რექტორი იძულებულია, აღიაროს გალაკტიონის ნიჭიერება,მაგრამ დოგმატიკოსი პედაგოგებისათვის თითქმის არაფერს ნიშნავს გალაკტიონის პოეტური ტალანტი.

მოსწავლეებს საადგომოდ ითხოვენ. გალაკტიონს ორი ორიანი გამოყვა. მაშასადამე, სწავლას ვერ გააგრძელებს. გაგიჟებამდე მიდის. ვინ არის დამნაშავე? თვალი ლექსებისკენ, ხელნაწერებისკენ გაურბის და ყველაფერს ცეცხლში ყრის.

ჩაიფერფლა უკანასკნელი რვეული და ფხიზლდება. „ჯავრი ვიყარე... ვიზე? რაზე?" – ამოიგმინებს სვეგამწარებული პოეტი.

„მაშ, მშვიდობით სემინარიავ! დაღი, რომელიც შენ დამასვი, საუკუნოა! გულს არ მოშორდება ეს შხამი, რომელიც შენგან მივიღე... ახალი გზა... ახალი ცხოვრება... სადმე, სადმე ველირსები ნათელ სხივს მასწავლებელთა სიყვარულისას და გულის აღმგზნებ ჭეშმარიტ ფიალას სწავლა-განათლების ნექტარით სავსეს?"

იმედი არ გადაწურულა. ახლა ნამდვილად არ დალევს

საწამლავს, არ დაიჩოქებს, ცხოვრებას არ გაეთელვინება.

გამოიხურა სემინარიის კარები. მეგობრებსაც ექსპრომტით გამოეთხოვა.

„ველარ გვწვდება
დღის მშვენება.
კვდება-დნება
ფეროვნება...
მეგობრებო, ამ ცივ კედლებს
მოთქმა, მსხვერპლი,
კვნესა, ცრემლი
შეუწირავს,
როგორც საფლავს
და ბევრს კიდევ, ბევრს იმსხვერპლებს.
როცა სიზმარს
ვხედავდით მტკბარს,
მაშინ კედლებს,
დაღვრემილებს,
საზარელი ფერი ედოთ!
და თვით ქნარმა,
ხემმა წყნარმა
იმ კედლებში,
იმ ხვრელებში
ბევრჯერ მოსთქვა უიმედოთ!“

სემინარიიდან გალაკტიონის წასვლამ არაერთს დაწყვიტა გული. ვასო გორგაძე გალაკტიონს სწერდა: „სემინარია არასდროს არ მიყვარდა და არც შემიყვარდება შენი და დემონის აქედან წასვლის შემდეგ“.

ამის თქმის უფლება ნამდვილად ჰქონდა. გალაკტიონს ხიბი შემოჰქონდა მოღრუბლულ სამყაროში. მეგობრებიც სათანადოდ პასუხობდნენ. ამიტომ წერს პოეტი:

„წუთთა შვენება
თანდათან ჰქრება...
მიჰქრიან დღენი, მიჰქრიან წლები
და სიბერის ჟამს
მოგვაგონებს თავს
ამ სასწავლებლის ძველი კედლები.
მოგვაგონდება
მოთქმა, გოდება,
მკაცრი დესპოტის შური და მტრობა...
მაგრა აგვანთებს
ჩვენ, მოხუც კაცებს,

ძველი ერთობა და მეგობრობა".

26 აპრილიდან პირველ აგვისტომდე გალაკტიონი ქუთაისში ჭყვიშშია. გულაღრენილი ადგილს ვერ პოულობს. პატარაოთახში ჩაიკეტება და გარინდებული უზის მაგიდას. ადამიანებს გაურბის. ბუნების სიმშვენიერესაც ვერ გრძნობს. ირგვლივ კი ზეიმია. შეთვალული უნაბის ფერი გადაკრავს გარემოს. მთელი თვეა წვეთი არ ჩამოვარდნილა. ცა ისეთი ლურჯი და გამჭვირვალეა, გაფრენა მოგინდება. ჭრიჭინობლები ხილს ამწიფებენ. შელამებისას მათი ჭრიჭინი რიონის ხმასაც კი ფარავს. დედა გრძნობს შვილის გულაღრენილობას და შეკითხვებით თავს არ აბეზრებს, თითქოს ვერც ამჩნევს მის უგუნებობას.

რამდენიმე დღით გალაკტიონი ქუთაისში ჩადის. აზუსტებს, არის თუ არა გიმნაზიის VI კლასში ვაკანტური ადგილი. ადგილი ცოტაა. მთხოვნელი ბევრი. დროითაც შეზღუდულია, ვერ მოასწრებს გამოცდებისათვის მომზადებას. გადაწყვეტს სექტემბრიდან დაიწყოს მეცადინეობა, თბილისის ქართულ გიმნაზიაში სცადოს ბედი.

კვლავ სოფელი. ოჯახი საგანგებოდ ემზადება ფერისცვალებისათვის. ამ დღეს, როგორც იტყვიან, წყალში ყინული ჩავარდება და ბანაობას ეკრძალვიან. აწი ყურძნის ჭამაც შეიძლება. მაკრინემ საკურთხი გააკეთა. ხაჭაპურებს კვერცხის გული წაუსვა. ხარშოს საკმაზი მიაძალა, გალაკტიონს ესიამოვნებაო... სუფრას ჩიტის რძეც არ აკლია. ნაირგვარი ხილი... რა თქმა უნდა, თევზი... თავანკარა ღვინო ხელადითა და ალუჩისაგან გამოხდილი არაყი ყელყელა ჩარექიან ბოთლში.

გალაკტიონი ოდნავ გამხიარულდა. ღვინოს მიეძალა. მერე ნავი ახსნა და მეფისჭალისაკენ გაცურა. გვიან დაბრუნდა, თითქმის გამოფხიზლებული, აივანზე, სკამლოგინზე ჩამოჯდა და ოცნებას მისცა თავი. ქუთაისში რომ იყო, ყველას ვაჟა-ფშაველას სტუმრობა ეკერა პირზე. ოქტომბერში ილია ჭავჭავაძის საღამოში მონაწილეობას მიიღებსო.

იქნებ მოახერხოს იმ დროისთვის ქუთაისში ჩასვლა? ეჭვგარეშეა, საამო ბანკეტს გაუმართავენ. იქნება ლექსთა ჭიდილი და სიტყვებით თავმოწონება... უნდა ეცადოს... იქნებ თვალიც გაუსწოროს მთის არწივმა, ნიჭმა ნიჭი შეიცნოს. წარმოსახვას წარმოსახვა ცვლის. მერე პატარა ოთახში შედის და ფურცელს შემდეგი სტრიქონებით ავსებს:

„ბ-ბო! გუშინ ერთი ახირებული აზრი ამოვიკითხე წიგნში. ეს წიგნი მონტანს ეკუთვნის, გამოჩენილი ფილოსოფოსი და პოეტია. შიგ ასე სწერია: „საბრალოა ის ადამიანი, რომელსაც დიდებული

ადამიანის გვერდით არ გაუვლიაო". ღმერთმანი, მიკვირს, კაცი ფილოსოფოსი ყოფილა, სწავლული, და ასეთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, უბრალო რამ უთქვამს. მე კი ამას, ბავშვი რომ ვიყავი, მაშინაც ვფიქრობდი, მაშინაც საბრალოდ ვთვლიდი თავს, რომ არც ილია მენახა, არც აკაკი და არც ვაჟა, არც ცახელი. სისულელე იქნება, რაღაც ოფიციალური სუნი ექნება აქ ვისმეს ქებათა-ქება ვუმღეროთ... ამას არც ვაჟა მიიღებს, მე მხოლოდ მინდა სხვა ახალგაზრდებთან ერთად ვაჟას დღე-გრძელი სიცოცხლე ვუსურვო და ჯანმრთელობა. ჩვენ ახალგაზრდობას ამათგან გაკვლეული გზა მუდამ სალოცავად გვექნება... ცხოვრების ულმობელ ზღვაში კიდეც გაგვამხნევებს მათი წარსული. მაშ ასე, გრიშაშვილო, ალავერდი შენთან".

გალაკტიონი ვაჟას პატივსაცემად გამართულ ვახშამს არ დასწრებია. არც ეს სიტყვა-სადღეგრძელო წარმოუთქვამს. მაგრამ ხსენებული ჩანაწერი მაინც ძვირფასად გვეჩვენება. იგი ვაჟასადმი თაყვანისცემას გამოხატავს.

არცთუ იშვიათად ახალი თაობა მკვეთრად უპირისპირდება ძველს და კაცობრიობის წელთაღრიცხვას საკუთარი შემოქმედებიდან იწყებს. მამებთან ბრძოლა ზოგჯერ ობიექტური მიზეზებით არის განსაზღვრული, ხან კიდევ – სუბიექტურით. ამგვარი შეხლა-შემოხლის დროს უცხო არ არის ფასეულობათა გადასინჯვა და ნიჰილიზმი.

გალაკტიონი იმითაც არის გამორჩეული, რომ არასდროს უპირისპირდება „სახელოვან გვარდიას" (ასე იხსენებდა იგი ძველ თაობას). კარგად ესმის, რომ აწმყო წარულისაგან არის შობილი და განპირობებული. ახალგაზრდა პოეტი დიდებულ წინაპართა მიერ მომზადებულ ბალავარზე აგებს საკუთარ შენობას.

გალაკტიონის მთელი შემოქმედება ქართველ მწერალთა ღრმა და გულწრფელი პატივისცემით არის გამსჭვალული. ამგვარი დამოკიდებულება მოვლენათა და პროცესთა ღრმა გააზრების შედეგია და არა ჩვეულებრივი თავაზიანობა, ორდინარული ჟესტი.

როგორც ვხედავთ, ჭაბუკი გალაკტიონი ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში ტრიალს ესწრაფვის. მას თხზვის დიდი შინაგანი მოთხოვნილება აქვს და თავის მოღვაწეობასაც სხვათა პატივისცემაზე აფუძნებს...

მივყვეთ კალენდარს.

მეორე დღეს კვლავ დარდმა დარია ხელი. რაღაც უნდა იღონოს. ისევ წამოტივტივდა ბავშვობისდროინდელი ოცნება. იქნებ სამხედრო სამსახური ჯობდეს. არ არის გამორიცხული, რომ ამ სურვილის დაბადებას ბარათაშვილისა და აკაკის ყმაწვილურმა

მისწრაფებებმაც შეუწყო ხელი. ერთი რამ ცხადია, გალაკტიონი უკვე არცთუ გულუბრყვილოდ ფიქრობს იუნკერთა სკოლაში შესვლაზე. 1911 წელს შედგენილ „ცხოვრების ქრონიკაში", რომელიც 19 თავისგან შედგება, გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „15. დამარჩინეს... თავის მოწამვლა. ისევ სემინარიაში. ახალი ამხანაგები. ნ. მახათაძე და მე. მუსანოვსკი და მე. ვართაგავა და მე. ინსპექტორი ფილიპე და მე. ჩოგოვაძის სიკვდილი. დემონის თავის მოწამვლა. ჩემი პესიმიზმი. სიმონის სოფელში. ჯაბა და მე. სემინარიელების დაპატიმრება (დღიური ამ წლის მაქვს). მე – სემინარიაში ცნობილი პოეტი, გამორიცხვა.

16. სოფლად დედაჩემის ცრემლები. მზადება საიუნკერო სასწავლებლისთვის. კადეტთა კორპუსი. უპაპიროსობა".

როგორც ჩანს, ეს მაინც მყარ, მტკიცე საფუძველს მოკლებული ლტოლვა იყო და გალაკტიონიც ციდან მიწაზე ეშვება.

ნოემბრის დასაწყისში სოფლიდან ქუთაისში ჩამოდის, თანაც დამოძღვრილი. ყურთან ახლაც წკრიალებს დედის ხმა: გაინძერი, იქნებ მასწავლებლის ადგილი იშოვო.

აფორიაქებული, აღრენილი... იცის, ქარაფის პირას მდგარმა ყველაფერი გულთან ახლოს არ უნდა მიიტანოს, თორემ...

და მაინც: რაღაც უნდა იღონოს, უნდა მოძებნოს ხელჩასაჭიდი. პოეზია დიდი საუფლოა, შვების მომგვრელი, მაგრამ მის გვერდით ზოგჯერ ცხოვრების წვრილმანიც თვალსაჩინო როლს ასრულებს. ერთმა ღიმილმა შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს.

აი, 6 ნოემბრის ჩანაწერი – „რას ვგრძნობ ახლა მე?"

„საღამოზე სახლის კარები ჩავკეტე და ქუჩაში გავედი. მე ქალაქის განაპირას ვდგევარ და სანამ თეატრის წინ მივიდოდე, კარგა მანძილი უნდა გავიარო. იქ უთუოდ ნაცნობს რომელიმეს შევხვდები და დაველაპარაკები, თორემ მარტო, მთელი დღე მარტო პატიმარივით, მოსაწყენია, საშინლათ მოსაწყენი... აი ვხედავ, წითელკაბიან ახალგაზრდა მომხიბლავ ქალს. გვერდით ამხანაგი მოყვება... წითელკაბიან ქალს მომხიბლავი ცისფერი თვალები აქვს, პირის სახეზე აქა-იქ წითელი კორსლები ამოფენია, და მე მიყვარს ეს. ქერა თმა აქვს. მე ხშირად ვხვდები იმას და ვერ ვიცნობ კი. ვინ არის? აი ეხლაც გვერდით ჩამიარა, თვალები მომაშტერა და წამოიძახა. – Поэт, даа... მე საჩქაროდ ავუარე და გულში რაღაც სიამაყე ვიგრძენი... მგოსანი ვარ, რადგან ახლა იმ ქალმა მითხრა ღვთაებრივი სიტყვა: „მგოსანი". შემომხედეთ, მგოსანი ვარ. ჯერ ერთი თეატრის წინ გავიარ-გამოვიარო, მაშინ ნახავთ, „მგოსანი" ვარ თუ არა".

ღირს იუმორით შეფერადებულ ამ ჩანაწერზე დაფიქრება. აქ

პოეტის სული გამოკრთის. აქ დიდი ბავშვი ჩანს. გალაკტიონს გამხნევება სჭირდება, გალაკტიონს ამაღლდება სჭირდება. რა ვუყოთ,რომ ზოგჯერ ამ მიზნით მეორეხარისხოვანს ელაციცება...

15 ნოემბერს გალაკტიონი სამასწავლებლო გამოცდებს აბარებს და ხარაგოულიდან ორი ვერსით დაშორებულ სოფელ ფარცხნალში სამრევლო სკოლაში იწყებს პედაგოგობას.

გალაკტიონის ხასიათიდან გამომდინარე, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იქნება ამ პერიოდის მხატვრული შემოქმედება.

ვიდრე მის დახასიათებას შევუდგებოდე, ერთი წინასწარი განცხადება: 16-17 წლის გალაკტიონი ძალზე ბევრს წერს. მრალისმეტყველია შემდეგი ცნობა: „ტფილისში ჩამოსვლისთანავე ოცამდე დიდი „პოემით", რამდენიმე ასეული ლექსითა და რომანტიულ-დრამატული ნაწერებით, მიმაქვს მედგარი იერიშები ყველა რედაქციებზე"[1].

აქ არაფერია გაზვიადებული. სხვა საკითხია, თუ რა ღირებულებისაა ეს ლექს-პოემები. იმასაც დავსძენთ, რომ პოეტს არ გაუნადგურებია ყველა ადრინდელი ნაწარმოები, როგორც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული. ზოგი მთლიანად შემორჩა, ზოგიც ფრაგმენტებისა და ვარიანტების სახით.

სემინარიაში სწავლის პერიოდშიც გალაკტიონი ინტენსიურად თხზავს. ერთი ჩანაწერის მიხედვით, 1908 წელს – 5, 1909 წელს – 11, 1910 წ. – 20 ნაწარმოები გამოუქვეყნებია. ხოლო, რომელთაც დღის სინათლე ვერ იხილეს, მათი სახელი ლეგიონია.

გალაკტიონს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს ეროვნული პრობლემა. ზემოთ ჩვენ შეეჩერდით „ქართველ ქალზე". იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ყურადსაღებია პოემის დასასრული;

„ეჰ, საქართველოვ! ვინ მოსთვლის რამდენს
დაულევია სიცოცხლე შენთვის,
მაგრამ არას დროს, კარგზე მომდგარ მტერს
არ მისდგომია შეწევნისათვის.
რამდენჯერ მწარედ ზედ დაგტიროდა
აწ დამსხვრეული რუსთველის ქნარი,
მაგრამ არასდროს, შიშს ქვეშ არ თრთოდა
ხმა ძლიერი და ისევ მედგარი.
რამდენჯერ ცხარე ცრემლად დაღვრილა
უმწეოდ შთენილი ქართველი ერი,
მაგრამ არას დროს მთლად არ აღგვილა

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 278-279.

სული გმირული... სული ძლიერი.
რამდენჯერ ბრძოლით დასუსტებული
იდგა ქართველი გულ-დამაშვრალი
და ამ დროს როგორც ზეციდან სული
გარდმოვლენილა ქართველი ქალი.
ეს მხოლოდ მისთვის, რომ შეენახათ
დღემდე, რაც მათ სულს აღფრთოვანებდა.
დღეს კი შეხედეთ ვინ ვართ, ან რა ვართ?
გულს ტანჯვა მიკლავს, ფიქრი და სევდა.
ოჰ, როდის მოვა დრო განახლების,
როს ძალა დასცემს მოსეულ ძალებს
და კვლავ აღდგენილ თავისუფლების
ჰაერში დროშა გაიფრიალებს".

„ქოლხიდაშიც" პოეტი შეუფარავად ამჟღავნებს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს:

„თავისუფლება დავკარგეთო, თავისუფლება,
შეისმინევი, ჰე, ბუნებავ, მუდარა ჩვენი!
გრძნობა გვეკარგვის, სული შფოთავს, გული წუხდება –
რად არ წყდებაო ჩვენი კვნესა, ტანჯვა ესდენი?
მზე დაგვქათქათებს... ყვავილთ გუნდი გვეალერსება,
ტანჯვა არისო ყველაფერი მოსაგონებლად.
თავისუფლება აღარა გვაქვს, თავისუფლება!
იტირეთ, ძმებო! ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად"[1].

ზოგიერთ ლექსს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სიტყვა „თავისუფლებას" გალაკტიონი ფართო შინაარსით ხმარობს. მასში არა მარტო ეროვნული,არამედ სოციალური და პიროვნული დამოუკიდებლობაც იგულისხმება.

ისიც ხაზგასასმელია, რომ ყველა ნაწარმოები ერთნაირი პათოსით არ არის დაწერილი, თუ ბევრ მათგანში ურვა და გოდება მძლავრობს, ნაწილში ქედუხრელობა და ბრძოლისაკენ მოწოდება ჩანს, გამარჯვების რწმენა გამოკრთის.

„ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას,
ბრძოლის ქუხილში მიილტვის სული.
ვერ ვუღალატებ საფლავთა მცნებას,
არ ცხრება გრძნობა აღშფოთებული.
სამშობლო მხარევ, შენი შვენება
სისხლით ირწყვება და იღებება.
მოქანცულ გულით მეთაურები
წმინდა დროშის წინ ძირს ეცემიან,

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე ჭრილობით დაღდასმულები,
ისე, ვით უწინ, მშვიდად კვდებიან.
ახალ გმირს ეძებს უკანასკნელი
მათი წუხილი და გული წრფელი.
ო, ვისაც მწარედ აკვნესებული
გული გედაგვით საშინელ სევდით,
ვისაც მრისხანედ გიტოკავთ სული –
შევერთდეთ ერთად, დიდი იმედით!
თავისუფლების დროშა, იხრწნება...
მაშ ცეცხლში ვპოოთ თავდავიწყება!..“

1908-1910 წლების შემოქმედებაში წინ იწევს სიყვარულის მოტივი. ეს სრულიად ბუნებრივია და არა მხოლოდ ასაკობრივი მომწიფების გამო. პოეტი მიისწრაფვის, არა ოდენ დატკბეს ამ ღვთიური გრძნობით, არამედ გაერკვეს კიდეც მის არსში. რა და რა სახის მიჯნურობა არსებობს. შეიძლება თუ არა ყველაფერი შესწირო სატრფოს. რა წარმართავს სიყვარულს – ბედი, გრძნეული ძალები, ინტიმური ურთიერთობა თუ...

თავდაპირველად სიყვარულის რომანტიკული შეცნობა მძლავრობს. თვალსაჩინოა სხვათა გავლენაც და მაინც: 1908 წლის ნაწარმოებები საგულისხმოა, თანაც არა იმდენად მხატვრული ოსტატობის, რამდენადაც მსოფლგაგების თვალსაზრისით.

ამის დასტურად გამოდგება უცნობი პოემა „ბუნებასთან“. პერსონაჟთა მოქმედების მხატვრულ ლოგიკას დიდი ყურადღება არ ექცევა. ამბავიც უჩვეულოა.

პატარა თამარი მოუტაციათ და უსიერ ტყეში გადაუმალავთ. ავაზაკის ვაჟს შებრალებია გოგონა და მამისთვის ნება არ მიუცია, ოსმალეთს გაეყიდა იგი. გოგონა წამოიზარდა და შეუყვარდა მომტაცებლის ვაჟი. გელაც ამავე გრძნობით პასუხობს. თითქოს არაფერი უშლის ხელს მათ ბედნიერებას, მაგრამ ვაჟი ავადმყოფურად ეჭვიანი აღმოჩნდება და სიცოცხლეს უმწარებს თამარს. ისიც განიხიბლება.

და აი, ერთხელ მწუხარე თამარი ტბაზე შეხვდება სხვა ჭაბუკს. ისინი მყისვე გამიჯნურდებიან. მერე ტყეში ქოხს ააგებენ და ბედნიერად ცხოვრობენ. მაგრამ ეს სიამე არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ქალს ავი წინათგრძნობა ღრღნის.

„და ამ დუმილში მოისმის მშვიდი,
ნელი ხურჩული: „მითხარ რას იზამ,
რომ უდროო დროს, მოულოდნელად
შენის თვალის-წინ მიმსხვერპლოს მიწამ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რას მეუბნები – ისმის პასუხად –
ნუ მომაგონებ, ნუ, გეყოდრები!
თვით წარმოდგენაც ცეცხლსა მიკიდებს
ოჰ, მე ვცახცახებ... არ მომეშვები?
– არა, მითხარი, ეხლავ რომ მოვკვდე,
რას იზამ? აქვე არ მიმატოვებ?
– ოჰ, ნუ დამტანჯავ! გთხოვ, შენს სიკვდილზედ
სიტყვას ნუ იტყვი, ნუ მომაგონებ!
– მაინც? რას იზამ?
– მეც თავს მოვიკლავ,
ჩვენსა სიყვარულს შევსწირავ თავსა,
მაგრამ ჩვენ ვცოცხლობთ, ნუ გავიწყდება,
ხელი არა აქვს ჩვენთან საფლავსა.
– ხა, ხა, ხა! განა ის კი არ იცი,
რომ ყოველს წუთში კუბო გვდარაჯობს?
რა საბრალოა ადამიანი.
როცა ტრფობის მეტს ქვეყნად არ-რას გრძნობს,
მაშინ მის გულში ტრიალებს ალი,
მაგრამ ნუგეშის, სიცოცხლის შვების,
სჯერა მუდამდლე იყლერებს ჩანგი
სიყვარულისა, ნეტარ წუთების!
სჯერა, არ მიეა ახლოს წამება
და სისპეტაკეს არ გააშავებს.
სჯერა... მაგრამ ის სტყუვდება მკაცრად.
– არა, პასუხად ამბობს ჭაბუკი,
– ნუ თუ კანონი არა აქვს ხეცას?
რომ წინ აღუდგეს სპეტაკ სიყვარულს,
სულ – შეწუხებულს, უმწიკლო გრძნობას?
– ეგრე გგონია? რა რიგ სტყუვდები!
– ოჰ, კარგი, კარგი! აბა წავიდეთ,
ვგონებ, კიდეეაც გათენდეს მალე,
ჩქარა, სჯობია ნუ ვაგვიანებთ!
და ხეებთ შორის მთვარის ნათელზე
გამოჩნდნენ ორნი, ხელ-ჩაკიდულნი,
მიაბიჯებდნენ დაფიქრებულნი".

მერე ნავიც შეაცურეს წყალში და უეცრად ვილაცამ თამარს ხანჯლით გაუპო გული, თან „გადაეშვა ტბისა უფსკრულში". ჭაბუკის სულიერი დეპრესია უდიდესია. იგი გიჟდება. საბოლოოდ ქარაფიდან გადაეშვება და ტრაგიკულად ამთავრებს სიცოცხლეს:

ეპილოგის ბოლო სტროფი ასეთია:

„კითხვა საზარი: რა ვართ ამ ქვეყნად?
თითქო სუყველას სევდასა გვრიდა...
ბულბული მწუხარ ჰანგს გაჰკიოდა,
და ყვავილთ გუნდი ნაზად თავს ხრიდა“

დიახ, ეს კითხვა აწამებს პოეტს. მისი მტკიცებით, სიყვარული, თვით სიცოცხლეც წამიერია და საწუთროს უკუღმართობის მაჩვენებელი.

არსებითად იგივე ტენდენცია მძლავრობს „სატანაში“, თუმცა განსხვავება მაინც იგრძნობა. პოემაში „ბუნებასთან“ ქალ-ვაჟის სატრფიალო ურთიერთობა გულწრფელია, „სატანაში“ — ყალბი. პირველ ნაწარმოებში უბედურება სხვათაგან მოდის, მეორეში — თვით პერსონაჟთა მოქმედებიდან. ბუნებრივი ძალა ორივეგან იგულისხმება თუ რეალიზდება,მაგრამ მისი ფუნქცია რამდენადმე განსხვავებულია.

„სატანა“ 1910 წლით თარიღდება. მისი შექმნის იდეა გალაკტიონს გაცილებით ადრე დაებადა. ისიც ირკვევა, რომ 1910 წლის შემდეგ ტექსტმა ცვლილებები განიცადა. მაგალითად, მეხუთე თავში გადახაზულია შემდეგი სტრიქონები:

„ეს წაიკითხა თვალებმა მისმა
ძვირფას თვალებში და ეცა ელდა;
ვით ჯადო რამე, როგორც თილისმა
ისე ჩაადნა... თვალთ დაუბნელდა“.

ჩამატებულია ცალკეული პასაჟები და სტროფები... არაფერს ვამბობთ ისეთ შესწორებებზე,როგორიცაა „მდიდრული ფანჯრის“ „კოშკის ფანჯრით“ შეცვლა; მეორე თავიდან სიტყვა „როიალის“ ამოღება და სხვა მისთანანი.

დიახ, სარედაქციო ჩარევა აშკარაა, მაგრამ პიემა ძირითადად მაინც 1910 წელს არის გამართული. ეს აღნიშნულია კიდეც ხელნაწერის სატიტულო გვერდზე.

იმასაც ვიტყვით, რომ გალაკტიონს პოემისათვის ახალი სათაური შეურჩევია. გადაუხაზავს „სატანა“ და „ძველი კოშკი“ დაურქმევია. ამგვარი ტრანსფორმაცია შემთხვევითი არ უნდა იყოს. პოეტს ალბათ ღრმა ჩანაფიქრი ჰქონდა, რომელიც ვერ თუ არ განუხორციელებია.

1912 წელს გალაკტიონი მიხ. ბოჭორიშვილს სწერდა: „...ორი პოემა დავსწერე: „ძველი კოშკი“ (ორი შენი „მწუხრიშვილის“ ტოლა პოემა) და „ალვის ხეები“ (მისტიციზმითაა ავსებული)“[1]. „ძველ კოშკში“ „სატანა“ იგულისხმება. იგი, როგორც გაირკვა, გაცილებით ადრეა შეთხზული. 1912 წელს კი ალბათ მისი

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 546.

გარანდვა-გადაკეთება იწყება თუ გრძელდება. მთავარი ისაა, რომ გალაკტიონის წერილზე დაყრდნობით მკვლევარებმა „ძველი კოშკი“ ახალ დამოუკიდებელ ნაწარმოებად მიიჩნიეს და წუხელი გამოთქვეს მისი დაკარგვის გამო.

„სატანა“ რომანტიკული პოემაა. გალაკტიონმა მას ლეგენდა უწოდა და ეს მხოლოდ ფაბულის სპეციფიკით როდი აიხსნება.

„სატანაში“ მისტიკური ძალა იწევს წინ. იგი განსაზღვრავს როგორც სიუჟეტის განვითარებას, ასევე პერსონაჟთა უჩვეულო მოქმედებას. უარყოფილია ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში მოქმედება.

მოდი ნუ ვიჩქარებთ იმის გარკვევას, პოემა რეაქციული თუ პროგრესული რომანტიზმის პრინციპებით არის აგებული. მივყვეთ ტექსტს და ლოგიკური დასკვნის გამოტანა არ გაგვიჭირდება. მაგრამ ერთის აღნიშვნა ამთავითვე გვმართებს, ნაწარმოებში არ ჩანს ნათელი სხივი.

სელიმი ბედნიერია – მეგობრებით გარშემორტყმული და სატრფოს ღიმილით ამაღლებული. მაგრამ ეწვევა სატანა და ყველაფერი იმსხვრევა. აქ არსებითი ის გახლავთ, რომ პოეტიც იზიარებს სატანის აზრს:

„რისთვის არ იცი, ჩემი ნაღარა,
სიმართლის ხმაა დაუძლეველი!“[1]

რა არის ეს სიმართლე? ის, რომ არ არსებობს მტკიცე სიყვარული და ნაღდი მეგობრობა, რომ ცხოვრება ბოროტი და მიუღებელია.

„ცხოვრების ბავშვო, ჩანს, რომ არ იცი
იმავ ცხოვრების კარგი და ავი.
ადამიანის ფუჭია ფიცი –
სატრფო თასია და საამლავი“[2].

სელიმი სატანას ემორჩილება. მისგან მიწოდებულ თასს სცლის და გულთამხილველი ხდება – სხვათა ფიქრებს, აზრებს უშეცდომოდ კითხულობს.

სასახლეში ფანტასტიკური ლხინია. ლელე ცქრიალით გამოეგება სატრფოს. უსაყვედურა კიდეც – რად დაიგვიანეო. გამისნებულმა სელიმმა კი მის თვალებში სულ სხვა ამოიკითხა:

„როცა შენ წახვალ, კარებს გაცდები,
უგემურ კოცნით მოტყუებული,
მსწრაფლ გაიღება ისევ კარები,

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 42.

[2] იქვე.

რომ სხვა გიყმაჟით დავიტკბო გული...
შემოვა ლარა, შემოვა წყნარად
შენი თანსწორი და მეგობარი...
მე ვეტყვი გზნებით, გულგამახარად,
„მაკოცე ლარა, გულს ჩამეკარი.
სელიმი კიდეც მომბეზრდა, ლარა...
ეხლა შენ ხარ ჩემი იმედი,
მიყვარხარ! გულმა გადაატარა
სელიმის ხვევნა და მასთან ბედი
ჩამეკარ, ლარა... უფრო მხურვალედ,
ეგრე... მაკოცე, კიდევ... ნუ კრთები,
დიდი ხანია გამოვუცვალეთ
სელიმის ალერსს ფუჭი ფესვები“[1].

სელიმს თურმე არა მხოლოდ მიჯნური, არამედ მეგობარიც ღალატობს. მოვლენები სწრაფად ვითარდება. მოხდა ის, რაც სელიმმა ლელეს თვალებში ამოიკითხა და გამძვინვარებულმა გული გაუპო მეტოქეს.

სიყვარულის სამკუთხედი კარგად არის ცნობილი, თითქმის სტერეოტიპად იქცა. ლიტერატურისათვის არც ხანჯლის ტრიალი და სისხლისღვრაა უცხო. არსებითი ისაა, რამდენად მოტივირებულია ყოველივე ეს და რის დამტკიცებას ემსახურება.

გალაკტიონი პესიმისტურად არის განწყობილი. ჭეშმარიტი სიყვარულისა და მეგობრობის უარყოფას საბოლოოდ ადამიანის არსებობისა და ცხოვრების აზრის გარკვევასთან მივყავართ. დასკვნები კი არასახარბიელო ჩანს.

ახალგაზრდა გალაკტიონის კონცეფცია არცთუ უცხო, მაგრამ მიუღებელი ჩანს. პოემა არა მხოლოდ ღირებულებათა გადაფასებისაკენ, არამედ რწმენის შელახვისაკენაც გვიბიძგებს.

„სატანა“ საინტერესოა არა მხოლოდ როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი ნაწარმოები, არამედ გალაკტიონის სხვა თხზულებათა ლაიტმოტივის შეცნობის ერთგვარი წინაპირობაც.

ხსენებულ პოემებზე მსჯელობისას ერთ გარემოებადაც უნდა გაესვას ხაზი. გალაკტიონმა ახალი პერსიონაჟი შემოიყვანა ნაწარმოებებში. ეს არის „ველური ბუნება“. ის სიუჟეტის განმსაზღვრელია და არა მხოლოდ ფონის შემქმნელი.

ამ პერიოდის შემოქმედებაში ძალუმად იჩენს თავს ყოფნა-აყროფნის მოტივი. გალაკტიონი „მსოფლიო სევდის“ პოეტების გზას მიჰყვება. მის წინაშე მთელი სიმწვავით დგება საკითხი –

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 46-47.

რა არის ადამიანის არსებობის მიზანი, რისთვის უნდა იდვაწი? ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ სამარის ლოდი ფარავს?!

ახალგაზრდა მგოსნის თვალსაზრისი კარგად არის გამოხატული პოემა „შადრევანში". განსაკუთრებით – მის ეპილოგში. ეს ნაწარმოები ხსენებული სათაურით უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. იგი 1910-11 წლებში არის დაწერილი და საბოლოოდ მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებული. მგოსანის იგი „მწყემსისთვის" შეუერთებია. თუ ღრმად ჩავუკვირდებით, უთუოდ ვიგრძნობთ, რომ „მწყემსის" პირველი სამი და მომდევნო ოთხი თავი ხელოვნურად არის შეკავშირებული. მათ განსხვავებული ფაბულა და სიუჟეტი უძევს საფუძვლად. ძირითადი გამიზნულებაც არაიდენტურია. ავტორი გრძნობს ამ უხერხულობას და ნაწარმოებთა გადაჯაჭვას იმითაც ცდილობს, რომ პირველი ნაწილის პერსონაჟი – მწყემსი – მეორეშიც შემოიყვანოს, მაგრამ მას უკვე სხვა ფუნქცია ეკისრება.

უფრო ნათელი რომ იყოს ეს სხვაობა, გავიხსენოთ „მწყემსის" შინაარსი. პირველ ნაწილში მოთხრობილია, რომ ელენეს უცნობი ჭაბუკი შეუყვარდება, მაგრამ მამა სხვაზე გაათხოვებს. ელენეს უკვე შვილის ჰყავს, გული კი ისევ ჭაბუკისაკენ მიუწევს და ერთხელაც დანებდება. ეს გახდა უდიდესი სულიერი დრამის საფუძველი.

„მაგრამ ელენე... ელენე ამ დროს
საშინელ ცოდვით მოღლილ სულსა ჰგავს,
ის აღარ სცდილობს სევდა დააცხროს,
ის აღარ ელის მომხიბლავ ამბავს.
ზის მარტოდ მარტო... ვით მძიმე ტყვია
თავს დასტრიალებს ნისლი სულისა,
შუბლზე ულმობელ დაღად ატყვია
მწარე აჩრდილი სინანულისა"[1].

ქმრისთვის ყველაფერი აშკარა ხდება და ბობოქრობს. ელენე იტანჯება მორალურად, ფიზიკურადაც. სურს თვითმკვლელობით დაამთავროს სიცოცხლე. საბოლოოდ მას სოფელი ჩაქოლავს.

რას ქადაგებს გალაკტიონი – ოჯახური სიწმინდის დაცვას? რას ცხადყოფს– ბრბოს გაუტანლობას? შეიძლება ასეც ვიფიქროთ, მაგრამ მთავარი ალბათ მაინც სხვა უნდა იყოს: – კაცობრიობას თან სდევს „ცოდვა გრძნეული". სწორედ ეს აპირობებს ყველაფერს და ამიტომაც პოეტს აუცილებლად არ მიაჩნია გმირთა მოქმედების რეალისტური, ყოფითი მოტივიზაცია.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 14.

მეორე ნაწილში ჩვენ ვეცნობით ვინმე მგოსანს, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. იგი ეული და მიუსაფარია. რაც არსებითია, ყველასათვის უბედურება მოაქვს. სულიერად გვემული მშობლიურ მხარეს ტოვებს და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში მოგზაურობს. მისი ხეტიალი და ძიებები ცალმხრივად არ უნდა გავიგოთ. აქ თავს იჩენს სრული შინაგანი ემანსიპაციისკენ სწრაფვა. გემზე იგი გაიცნობს მომხიბლავ და სევდიან დალისას. ვნების მორევში შთანთქმულ ახალგაზრდებს დალისას ქმარი წამოადგება და სასოწარკვეთილი კაცი თავს იკლავს. ამით შეძრწუნებული დალისაც ზღვაში გადაეშვება. მაგრამ იგი გადაურჩენიათ და პოემის დასასრულს მგოსანი მას მეძავეთა სახლში ხვდება. ქალი მოთქვამს:

„...ერთხელ, გემში რომ
ვიჯექი, ქმარი წარმოგვადგა თავს,
როცა უნდობელ დროთა საწუთრომ
ვიღაც მოგზაურს შემომაელი გარს...“[1]

მგოსანი (მწყემსი) ღრმად განიცდის ყოველივეს.

„ჩუმმა ნაღველმა გველივით დამღრნა,
სევდა გულისა რით შევამცირო?
ოჰ, ღმერთო, ღმერთო! რა ვუყო, რა ვქნა,
მეტი ვარ ქვეყნად... არ ვარ საჭირო“[2].

პოემა „შადრევანი“ აქ მთავრდება (თუ ეპილოგს არ მივიღებთ მხედველობაში). „მწყემსის“ მეორე ნაწილში კი ციტირებულ სტრიქონებს ახალი პასაჟები მოსდევს. გმირი ზურგს აქცევს საზოგადოებას და ტყეს მიაშურებს. მაგრამ იქაც ვერ პოულობს სულიერ სიმშვიდეს. საბოლოოდ იგი თავს იკლავს.

„ხალხი კი ერთხმად კვლავ ამტკიცებს, რომ
სწორედ ამ ხანჯლით მოიკლა თავი
მან, ვისაც თავი მოაბეზრა დრომ
და სევდა ჰკლავდა სულთამხუთავი“[3].

„მწყემსთან“ და „შადრევნის“ დასაკავშირებლად რამდენიმე დეტალია შეთხზული: პირველი შეხვედრის მოგონება, ელენეს ქმართან შებრძოლება და ა. შ., მაგრამ ისინი არცთუ ორგანულად ალიქმება.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 36.

[2] იქვე. გვ. 37.

[3] იქვე. გვ. 39.

ერთი სიტყვით, „მწყემსი“ და „შადრევანი“ განსხვავებული ნაწარმოებებია.

ჩვენთვის არსებითი მაინც ის არის, რომ „შადრევანი“ ძალუმად ავლენს ახალგაზრდა გალაკტიონის სევდიან ფიქრებს და ცხოვრებაზე ხელჩაქნეულობას.

პოემის მთავარი გმირი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ეს შემთხვევითი როდია. მან თითქმის ყველაფერი მოიხილა და განიცადა, აღიქვა და გაიაზრა. დასკვნა კი ასეთი გააკეთა: სამყარო დისჰარმონიულია, არსებობა უაზრობაა.

წერტილი აქ არ უნდა დაისვას. მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, უარყოფილის ნაცვლად რას გვთავაზობს პოეტი. როგორია მისი ოცნებით შექმნილი სამყარო. ამ მხრივ გალაკტიონს ჯერ კიდევ ვერ გადაუდგამს დიდი ნაბიჯი. ერთი რამ კი მაინც შეიძლება ვივარაუდოთ: არსებულის უარყოფა ხომ არ ეწყვილება მუდმივ უკმაყოფილებას, როგორც განვითარების იმპულსს?

„შადრევანი“ იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მასში იგრძნობა ადამიანის შინაგანი სამყაროს საიდუმლოების ამოცნობის სურვილი.

განხილულ პოემებს ბევრი რამ აერთიანებს: მელანქოლია, ბუნების უსაზღვრო სიყვარული, უკიდეგანო თავისუფლების მოთხოვნა და უიმედო გოდებაც.

ლირიკაში უფრო მრავალსახოვნად წარმოჩნდება გალაკტიონი. ცხადია, აქაც მძლავრობს სევდის მოტივი. სინამდვილე შხამით სავსე თასს აწვდის პოეტს და გრძნობას უწამლავს. ისიც ტრაგიზმით არის გამსჭვალული.

„დავიღალეი ცხოვრების გზაზე,
ველარ გაუძელ ამ მარტოობას...
კაცთ პირფერობა უფრო მაბრაზებს,
კაცთა მონობა მიშხამავს გრძნობას“.

ქვეყნად გამეფებული უსამართლობა, შიში და ძრწოლა, ადამიანთა ტანჯვა და წამება გულს ულრღნის მგოსანს. მას უჩნდება სურვილი განერიდოს საზოგადოებას:

„ოჰ, რომ შემეძლოს
გავფრინდე შორს, შორს,
მოვცილდე მხარეს შხამით აღვსებულს,
ცისა ხიუხვით,
თუნდ ერთი წუთით

შვება მიემადლო სულს დაობლებულს“[1].

უნდა გაიქცეს, მაგრამ გზა არსით არის. ეს კიდევ უფრო აძლიერებს სევდას. პოეტი სიმშვიდესა და სიწყნარეს სასაფლაოზე ეძებს, სადაც არ ისმის ადამიანთა უღვთო ხარხარი, მაგრამ ვერც ამგვარ განმარტოებაში პოულობს შვებას.

„ჩემს მწარე ქვითინს ყურს არვინ უგდებს,
ფიქრი არვინ არ გაიზიარა
თვალთმაქცობს მხოლოდ ადამიანი,
არ აკრთობს ჩემი წყლული, იარა...
ცელქო ნიავო, დამიბრუნევი
გულისა საბრფო და მეგობარი...
რისთვის წამართვი ნაზი ოცნება?
რად მომიშხამე ტკბილი სიზმარი?“

ეს უცნობი სტრიქონები 1909 წლის 19 სექტემბერს არის დაწერილი.

სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, ბარემ იმასაც დავსძენ, რომ ტანჯვაში პოეტი ზოგჯერ გარკვეულ სიამოვნებასაც პოულობს, თვითგვემას ინდივიდის არსის გამოვლენის ერთ-ერთ საუკეთესო გზად მიიჩნევს.

„მე ტანჯვისთვისა ვარ გაჩენილი,
ჩემი ხვედრია კვნესა, წამება...
დეე, ვიტანჯო, ყოფნა გრძნეული
გულს არასდროს არ დაენანება“[2].

ლექსებში: „მწუხარება“, „ღამე“, „მომაკვდავი“, „სასაფლაოზე“, „ყვავილი“ და სხვ. კარგად არის გამოხატული უდაბნოს სევდა და მწუხარება.

ლირიკაშიაც შესაცნობია პოემების ტენდენცია. ეს, უპირველეს ყოვლისა, თავს იჩენს ზენაარის ყოვლისშემძლეობისა და ადამიანის უსუსურობის ხაზგასმაში. პიროვნება უძლურია. იგი ემსგავსება ხუფქვეშ მოფუსფუსე ჭიანჭველას, რომელიც ყოველ წამს შეიძლება გააქრო. ყველაფერს ღვთიური ძალა განაგებს და ამიტომაც მოკვდავთა ახირება, ფაციფუცი უაზრობაა. ეს სულისკვეთება ნაწილობრივ შემდეგ ლექსშიაც ჩანს:

„ქრისტეს მიჰქონდა წამების ჯვარი.
წინ მათუსალა შემოეყარა...
— დარი იქნება დღეს თუ ავდარი?
— დარი, უფალო! ამბობს მკვეხარა.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 68.

[2] იქვე, გვ. 81.

ცეცხლი და კიდევ სხვა-გვარი რამე
ღვთაება გვიწყენს, რომ გავამწაროთ
ცა შუბლ-გახსნილი, ცა მოციმციმე
წავიდნენ ორნი და შუა-გზაზე
ცა მოიღუშა, მოსკდა ნამქერი.
გადაჰკრა ქრისტემ მათრახი მხარზე
და მათუსალა მტვერია... მტვერი.
ქრისტეს მიჰქონდა წამების ჯვარი,
შემოეყარა მგზავრი უკვალო.
– დარი იქნება დღეს თუ ავდარი?
– ეს ზანაარმა იცის, უფალო!
აქ კი, ამქვეყნად კაცს დამკვიდრებულს
სადა აქვს ძალა სცნოს მომავალი?
წადი, იარე... ხორციელს ვნებულს
თვით შენ მიეცი ახალი კვალი".

ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ლექსის ანალიზი გვარწმუნებს: გალაკტიონის კვნესა, სულიერი მიდრეკილებანი არ აღიქმება როგორც ნიადაგს მოწყვეტილი კაცის უკიდურესი ინდივიდუალისტური განცდები. პოეტის ინტიმურ სამყაროში ფართო საზოგადოების ტკივილი იხატება,მთელი ერის ტრაგიზმი მეღანვდება.

აშკარაა ზიგზაგები.

დასასრულს შევჩერდებით 1910 წელს დაწერილ უცნობ ლექსზე, რომელსაც ერთგვარი შემაჯამებელი ხასიათი აქვს. მასში ხაზგასმულია ყველა ის მიზეზი, რომელთა გამოც პოეტი სევდიანია და ამა ქვეყნიდან ილტვის.

რომ შემეძლოს

ოჰ,რომ შემეძლოს დავტოვო,რაც გარს მარტყია,ყოველი...
და მარტოობის ბუჩქნარში ვსტიროდე ცრემლთა მთოველი.
რა, რა ვინაღვლო? სამშობლო არა მაქვს, რომ მსურს ისეთი...
როგორც ბორკილი ისე მდევს ნაღველი შავი და მწვავე,
მთელ ცის ქვეშეთში ვერ ვპოვე მე სული მონათესავე...
სატრფო? მაგრამ, სთქვით, ოდესმე სიყვარულს კვალი ჰქონია?
მე სიყვარული მხოლოდღა ზღაპრებში გამიგონია...
მაშ, მეგობრები? ისინი, მხოლოდ აჩრდილნი ყოფილან.
ზიზღი მათ! თვალთმაქცი სიტყვებით და გესლით შემომკობილან,

როგორც ბორკილი, ისე მდევს ნაღველი შავი და მწვავე ოჰ, რომ შემეძლოს დაეტოვო, რაც გარს მარტყია ყოველი და ვქვითინებდე სადმე შორს, მწუხარე ცრემლთა ბილი მთოველი".

ამრიგად, სემინარიის ხანა გალაკტიონის ბუნებისა და ხასიათის მკაფიოდ გამოვლენის პერიოდია. მას აფეთქების წლებიც შეიძლება ვუწოდოთ. ის, რაც მანამდის სუსტად იჩენდა თავს, ახალი მთელი სიძლიერით იწევს წინ. ამასთანავე თვალსაჩინოა შუქ-ჩრდილების ხშირი მონაცვლეობა. ზოგი რამ ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია პოეტს. იგრძნობა შინაგანი წინააღმდეგობაც, რაც სრულიად ბუნებრივია მაძიებელი სულისათვის.

არსებითი მაინც ორი გარემოებაა. 1. გალაკტიონის მგრძნობელობა უკიდურესად გამახვილებულია. ძალზე მთრთოლვარედ, ღრმად განიცდის მოვლენებს და სწრაფადაც ითავისებს მათ. დრამატიზმი ქარაფამდეა მისული. პიროვნება ჭეშმარიტად ტრაგიკულია. 2. წინა პერიოდში საგნებსა და მოვლენებს ძირითადად სხვათა გავლენით აფასებდა, ახლა უფრო დამოუკიდებელია, საკუთარი კრიტერიუმებით უდგება ყველაფერს. ადრე თუ ოპტიმიზმი მძლავრობდა, ახლა პესიმიზმი დომინირებს. საქმე გვაქვს ახალ პიროვნებასთან. იწყება დიდი გალაკტიონი.

„როგორც რონინი საოცარი და მისტერია;
სული გაფრენილს ედარება, ფერად მიმინოს;
დასტოვო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია,
სილაჟვარდეში მიიბროლოს და მიიმინოს"[1].



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VII, გვ. 56.

„მაქვს უნარი გულმოდგინედ შრომისა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გული სავსეა წყნარი სიმღერით,
სულში ვარსკვლავი ბედის გაბრწყინდა.
ემღერი, ვით არვის არ უმღერია,
წყურვილსაც მოვკლავ... მაგრამ რად მინდა?“

გალაკტიონი

სემინარია უკან დარჩა. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს სრულ თავისუფლებას? გალაკტიონი ახლა დამოუკიდებელია. ვალდებული არ არის ყოველდღიურად აბაროს ანგარიში მავანს და მავანს. ეგრერიგად არც ხელის გაწვდენა სჭირდება ლუკმა პურის მოსაპოვებლად. სოფელიც პატივს სცემს ახალგაზრდა მასწავლებელს.

მაგრამ ყოველივე ეს ბედნიერებისთვის სრულიადაც არ არის საკმარისი. რა უყოს ბოროტ სულს, რომელიც სიცოცხლეს უწამლავს? განა ნაწილთა გადაადგილებით ჯამი იცვლება? ხომ ისევ დარჩა ძველი საფიქრალი და საწუხარი. თბილისიდან გალაკტიონის წამოსვლით მზისქვეშეთში თითქმის არაფერი შეცვლილა და თუ შეიცვალა, ისევ მის საზიანოდ. იგი მოწყდა ლიტერატურულ გარემოს, მჩქეფარე ცხოვრებას. გალაკტიონი დეპრესიას განიცდის. მისი ბუნება ვერ ეგუება ერთფეროვნებაში გადაზრდილ სიმშვიდეს. მას ქარიშხალთან შებმა სწყურია, ბედმა კი მიყრუებულ სოფელში გადაისროლა. გაორება არამცთუ გრძელდება, არამედ მწვავდება და უმძაფრეს ტკივილებს ჰგვრის. ძნელია ოცნებასთან გამოთხოვება, ჭირს მოწოდების დათრგუნვა. გალაკტიონს არ შეუძლია რიგითი მოკვდავივით იცხოვროს, არადა სინამდვილე აქეთკენ ეზიდება. იქნებ მართლაც სჯობდეს, ჯვარი დაუსვას სიყმაწვილის აღმაფრენას; იქნებ უმჯობესია, განუდგეს მწერლობას?! ერთხანს ასეც ფიქრობს, მაგრამ ეს ფიქრი გარემოების მძაფრი ძალადობის შედეგია და არა საკუთარი უნარისა და ბუნების ღრმა ანალიზიდან მომდინარე გადაწყვეტილება. განა შეიძლება ზვავის შეკავება? განა შეიძლება გაზაფხულზე ბალახმა არ ამოხეთქოს? და გრძელდება ჭიდილი, თანაც არა მხოლოდ სხვებთან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან. ეს განწყობილება კარგად მეღავნდება პროკლესადმი გაგზავნილ ბარათში. „გამარჯვება, ძვირფასო

ძმაო! თუ ძმა ხარ, მაპატიე, რომ ვრცელ წერილს ვერ გიგზავნი, რა უნდა მოგწერო? ირგვლივ საშინელი ერთფეროვნებაა და ისეთი საშინელი, რომ აზრზე აღარ ვარ. ამგვარი სიჩუმე და ყრუ მიდამო სულს ანაღვლებს. გაზეთებს ვერ ვიწერ, რომ რამე გაჟღგო, არც მინდა გამოვიწერო; მინდა ვიცხოვრო ისე, როგორც ცხოვრობს ჩვეულებრივი ადამიანი, შევურიგდე ცხოვრებას და გავანიავო ძველი ოცნებები. ახალი ცხოვრება დავიწყე, რომელიც ჩემს თავს არავის არ გაახსენებს. სამწერლო კარიერა თბილისთან ერთად დავკარგე. შენი წერილები საშინლად მაღელვებენ და არ მინდა, ნუ მიგზავნი მაგგვარ წერილებს.

სხვა ძმაო, რა მოგწერო... საზაფხულოდ სოფელში წამოსვლას არ ვაპირებ. საშინლად დავბერდი სოფელში. ერთი წელიწადი კიდევ და ეს სოფელიც ბოლოს მომიღებს, თუ ადგილი სადმე ქალაქში არ მომცეს. მშვიდობით ჩემო კარგო.

1911 წ. 23 მარტი".

ამ ბარათის უკან დგას პიროვნება, რომელიც ძველს დაშორდა, ახალი კი ვერ უპოვია. გაურკვევლობიდან მომდინარე, ნერვიულობას მთლიანად შეუპყრია და შფოთავს, დრტვინავს.

უნდა სხვაგვარი ცხოვრება დაიწყოს და ამ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი პრესისადმი ზურგშექცევაში ვლინდება, მაგრამ ეს უფრო წამიერ გულის მოოხებას ჰგავს და, ცხადია, დიდხანს ვერ გაგრძელდება.

ნუ ვიტყვით, რომ გალაკტიონი მთელი გატაცებით მოეკიდა მასწავლებლობას. ეს მოულოდნელი იქნებოდა მისი ბუნების კაცისაგან.

ძმა პედაგოგიური წიგნების გულმოდგინედ შედგენილ ნუსხას უგზავნის. აქ დასახელებულია კომენსკის „დიდი დიდაქტიკა", პესტოლეცის „რჩეული თხზულებანი", სოკორსკის „ფსიქოლოგიური შესავალი", გოროდეცკის „ზოგადი ფსიქოლოგია", უშუალოვის „რუსული მართლწერა", სოკოლოვის „ზოგადი დიდაქტიკა" და სხვ.

როგორც ირკვევა, გალაკტიონს დიდად არ შეუწუხებია თავი ამ წიგნების მოძიებითა და კითხვით. კვლავ მხატვრულ ლიტერატურას ეწაფება. ფაქტები მეტყველებს, რომ ახალგაზრდა მასწავლებელი არცთუ ბრწყინვალედ ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. სხვათა შორის, ამან გამოიწვია შეტაკება თედო ჟორდანიასთან, რომელსაც სკოლების ზედამხედველობა ევალებოდა. ცხადია,

ეს იმას არ ნიშნავს, რომ გალაკტიონს ღრმად არ ჰქონდა შეცნობილი განათლების მნიშვნელობა. „პირველი ენკენისთვე“ იმის საუკეთესო დადასტურებაა, თუ რაოდენ დიდ დანაკარგად ამოცანას უსახავდა მგოსანი სახალხო მასწავლებელს:

„ხალხო ბედკრულო! მე მიჭირავს ხელში სანთელი,
არ შეუკრთება საშინელ ხვედრს მასწავლებელი!
იმ სანთლის პოვნას განუსჯელად სიცოცხლე მივე,
ვერას დამაკლებს უგუნურთ მტრობა, შიმშილ-სიცივე!
მე ვიტყვი სიტყვას, მე გაგითბობთ შეციებულ გულს –
დეე, თან მდევდეს მკაცრი ხვედრი თქვენს მარად ერთგულს!
თქვენ აღგამაღლებთ ჩემი ზრუნვა თბილი და წრფელი,
არ შეუკრთება საშინელ ხვედრს მასწავლებელი!“[1]

მაგრამ ერთია თეორია და მეორეა პრაქტიკა.

ზემოთქმული ცალმხრივად არ უნდა გავიგოთ. გალაკტიონი უწესიერესი მოქალაქეა. კარგად აქვს შეგნებული მოვალეობა და პასუხისმგებლობა. ბავშვებისადმი გულითად დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ამას გრძნობს მოსახლეობა და ამიტომაც თვლის „ღირსეულ ადამიანად“. აი, რას ვკითხულობთ ფარცხნალიდან გამოგზავნილ ერთ კორესპონდენციაში: „იქვე, ეკლესიის გალავანში პატარა ხის ქოხია აგებული, რომელშიდაც შკოლა გვქონდა მოთავსებული. ადგილობრივი მღვდელი მამა კირ. კელენჯერიძე ბევრს ცდილობდა გაეუმჯობესებინა ეს შკოლა; უკანასკნელად მასში მასწავლებლათ ღირსეული ადამიანი იყო, ახალგაზრდა მწერალი ტაბიძე. მაგრამ დასახელებული მღვდლის პირადმა მტრებმა მისივე წოდებიდანვე ხალხი აამხედრა, როგორც მის წინააღმდეგ, აგრეთვე შკოლის მიმართ, და ეს ერთად ერთი კულტურული დაწესებულებაა, რომელიც 200 კომლ კაცს მსახურობდა, დაახურინა კიდეც. მიმდინარე ენკენისთვიდან ფარცხნალი შკოლას მოკლებულია“[2].

ეს ინფორმაცია იმითაც არის საყურადღებო, რომ ალლოიან მკითხველს უადვილებს იმ გარემოსა და ვითარების წარმოსახვას, რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა გალაკტიონს.

მასწავლებლობა გალაკტიონის სტიქია არ არის. როგორც თვითონ ამბობს: „ბავშვებთან მეცადინეობა ტვინს ულაყებს მხოლოდ“.

მასში, უპირველეს ყოვლისა, პოეტი ბობოქრობს და არა

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 114.

[2] გაზ. „მნათობი“, 1911, №18.

ძვირფასო ლელა!

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ოსტატ-მოძღვარი. ამიტომაც უცნაურად ნუ მოგვეჩვენება, თუ ცალკეულ შემთხვევებში გაკვეთილის რიტმიდან წამიერად გამოერთვება და ფოთოლცვენას გარინდებული შესტქერის ახლაქვარდში მოწკრიალე ხმებს მიუგდებს ყურს.

გალაკტიონს ტანჯავს „ძველი ცოდვები". ვერ გაამართლა დედის იმედი, ვერ დაამთავრა სემინარია. მატერიალურადაც ვერ ეხმარება მშობელს. რაც მთავარია, მის საზოგადოებრივ იდეალებს ფრთები შეეკვეცა. ფარცხნალის გარემო მწერლის ინტელექტს და შთაგონებას ცოტას აძლევს. სულიერ საზრდოს მოწყურებულ ახალგაზრდას უჭირს ხეირიანი წიგნების შოვნაც კი.

იოსებ იმედაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „სამი თვის განმავლობაში ჟურნალი მომდიოდა... მადლობელი ვარ! გთხოვთ შეწყვიტოთ გზავნა. ამჟამად გიგზავნით ორ ლექსს. ჩამოსვლით კი, როგორც მსურდა, თბილისში ვერ ჩამოვდივარ! ბედმა უბრალო სოფლის მასწავლებლობა მარგუნა წილად... საძაგელი რამ... სოფლიდან ხალხურ ლექსებს გამოგიგზავნით, თუ მოვახერხე".

დროდადრო ხარაგაულის სადგურში ჩადის, რათა ნაცნობს მოჰკრას თვალი და ქვეყნის ამბები შეიტყოს. სხვა თუ არაფერი, მატარებლით მონაქროლი თბილისური ნიავით მაინც დატკბება. მოგონებებითა და ოცნებით წამით მაინც გაიყუჩებს ტკივილებს. (დიდი ჭრილობის მოშუშებზე ლაპარაკიც ზედმეტია).

მოგვიანებით პოეტი წერდა:

„მახსოვს ხორაგაულის
სევდიანი სადგური,
მისი ყრუ სამკაული,
აცვიენული აგური.
უშფოთველი ცხოვრება,
წყნარი, როგორც გუგული;
ისმის მოახლოებულ
ორთქლმავალის გუგუნი"[1].

დიახ, გროვდება ნაღველი, მუქდება გარემო და პოეტიც დროებით ხსნას კვლავ ღვინოში ეძებს.

„გამარჯვება აბესალომ! ვიცი, ეხლა, რანაირად ხარ გაბრაზებული, წერილი ვერ მოგწერე. დაქინებით იწერებოდი წერილი მოიწერეო და ისიც ვრცელიო... შენ ხომ კარგად იცი, რომ მე, საზოგადოდ, წერილების წერა არ მეხერხება, თუ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VII, გვ. 24-25.

მხედველობაში არ მივიღებთ უბრალო ღია წერილებს,რომლებშიც თავისუფლად შემიძლია ხოლმე მოკლედ ყველაფერი ვსთქვა. რა უნდა მოგწერო? შენ იცი, მე მასწავლებლად ვარ; იცი, რომ ძალიან ცოტა ჯამაგირი მაქვს (ტანისამოსისთვისაც კი არ მყოფნის, წარმოიდგინე). წერილების გასაგზავნი ფული ხომ სულ არ მომეპოვება... ძალიან ცუდი სენი დამჩემდა. თუ ორი გროში მოვიხელე, უსათუოდ არისტოკრატიული გემოთი უნდა გავფანტო. არ მექნება და ვარ ჩემთვის. ეს ჩემი ხასიათი მაშინ შევამჩნიე, როცა შენი წერილი მივიღე სამგზავრო ფულის შესახებ... ისე შემრცხვა, რომ უსათუოდ წერილის გამოგზავნა დავაპირე, გულახდილი წერილის, რადგან ჩვენ შორის დაფარული არა უნდა იყვეს რა.

ეჰ, რა გაეწყობა! ჯავრიან გულს ყველაფერი ეპატიება, ჩადენილი სისულელეებიც კი! მაპატიე შენც. თუ რამე საუკეთესო ფიქრია ჩემში,

ეს არის ფიქრი, რომ ჩადენილ ცოდვას ხშირად შევამჩნევ ჩემში. მე უფლება არ მაქვს ასე მოვექცე ჩემს თავს იმის შემდეგ, რაც დედაჩემმა იმდენი ჭირვარამი დაიტეხა თავზე ჩემის სწავლისთვის (სამწუხაროდ, შუაზე გაწყვეტილი სწავლისთვის). ვიმეორებ: არ მაქვს უფლება და როცა სახლში ჩავდივარ ხოლმე ხელცარიელი, არაფერი მიმაქვს (დედაჩემი ჯამაგირსა მთხოვს). დაუსრულებელ ტანჯვას ვგრძნობ ხოლმე.

დავანებოთ ამას თავი. ეს იმედები მქონდა? ვუყურებ ჩემს საშინელ ხვედს მიყრუებულ ადგილში, ცხოვრებას მოწყვეტილი. ირგვლივ ერთი კაციც არ არის, რომ ჩემი გაიგოს და იგრძნოს რამე... ერთი წიგნიც არ ჩაგივარდება ხელში წასაკითხად. სამაგიეროდ, ღვინო გაგიტაცებს ისე, როგორც ძველად ღმერთი აიტაცებდა ხოლმე მოსესა თუ ილიას, კარგად არ მახსოვს... მარა არც ისე ვთვრები, უგრძნობლად რომ იციან. ისე შევქეიფიანდები ხოლმე. ნააღდგომევს, სულო ცოდვილო, ერთხელ მომივიდა ცუდი საქმე. მე და ორი გიმნაზიელი, რომლებიც აქ დამხვდნენ, ერთად დაგვპატიჟეს სადღაც, ძალიან დავთვერით. როცა წამოვედით, საცალფეხო ხიდზე გადავვარდით ორნი, მესამე კი მოგვეშველა. წყალი დიდი არ იყო, როცა გადავვარდით, არც კი გაგვიგია ეს. მეორე დღეს გვითხრეს ყველაფერი.

სხვას არაფერს აკეთებო? იტყვი. ვწერ, მაგრამ დაიწერება ხეირიანი რამე ამ მდგომარეობაში? კაცი მაშინ წერს კარგად, როცა კარგად კითხულობს და ახლანდელ ჩემს ნაწერებს ერთი რედაქტორიც კი არ დაბეჭდავს.

ყველაფრის იმედი დამეკარგა და ყველაფერი მომბეზრდა.

ამგვარი უმნიშვნელოა ჩემი ცხოვრება და უმიზნო; ამგვარი ერთფეროვანი და რა უნდა მოგწერო? რაც მოგწერე, იგინიც სისულელეებია. ღმერთმანი, კალმის ხელში აღებადაც არ ღირდა.

მშვიდობით! გისურვებ გამარჯვებულ ეგზამენებს. დედაჩემის ერთადერთი იმედი ეხლა შენა ხარ. მე მან დიდი ხანია გამომიგლოვა. ის იმ ხანზეა ეხლა მიღწეული, როცა ადამიანს, ბევრი ჯაფისაგან მოქანცულს, შველა ეჭირვება. გული მიკვდება, რა ვქნა? არაფერი არ შემიძლია"...

მკითხველს არ გაუჭირდება ამ ბარათში „სულო ბოროტოს" ავტორის განწყობილების შეცნობა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ადგილი ნ. ბარათაშვილის პირად წერილებში გამოთქმულია მოსაზრებების ვარიანტებადაც კი ჟღერს.

ეს დრამატული ნოტები სხვა წერილებშიაც მკაფიოდ იჩენს თავს.

სოფელმა არათუ დაამშვიდა, არამედ კიდევ უფრო ააფორიაქა პოეტი. არ ჩანს ნათელი პერსპექტივა. გალაკტიონი რამეს უნდა ჩაებღაუჭოს, თორემ დაიღუპება. სკოლა ვერ გამოდგება მთავარ ორიენტირად. წიგნში შთანთქმის შესაძლებლობაც მცირეა, არც ინტელექტუალური საზოგადოებაა ირგვლივ... სასმელს მიეძალა... და სვამს ის ღვინოს, ვით ქარს და წვიმას, თუმცა ეს ხსნა როდია. მართალია, ღვინო წუთიერად ახალისებს, მაგრამ ზიანიც დიდი მოაქვს. გალაკტიონი თავადაც კარგად გრძნობს ალკოჰოლის საშინელებას. ნათესავები და მახლობლებიც თავშეკავებას სთხოვენ: „გალაკტიონ, დიდად ვწუხვარ, რომ ღვინის სმას ესრეთ ჩაუთრევიხარ თავის უფსკრულში. რა გემართება. დაანებე თავი. იცოდე, რომ ეგ არაფერი მარგებელი არ არის... თუ გიყვარდე, გადააგდე ლოთობა!" ეს ამონარიდი მიხეილ ბოჭორიშვილის წერილიდან არის.

გალაკტიონი არ უარყოფს, რომ მოლიპულ გზას დაადგა. 1913 წელს ფარცხნალთან დაკავშირებით ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ბელაგორი. ს. ფარცხნალში ჩასვლა. შკოლის დათვალიერება. თანამოადგილე მასწავლებელი. მღვდელი. ჩურჩული სოფლად. ჩემი ბინა. დიმიტრი და ფილიპე. ჩემი ბავშვები და უნუგეშო მდგომარეობა. საშინელი ზამთარი. გაზაფხული. მიპატიჟება. შკოლის ზედამხედველი. კრება. ბახუსს დავუმეგობდრი. სასურველი სტუმარი არ მოდის. გ. ჭუმბურიძის წერილი".

გალაკტიონისათვის დამახასიათებელი იყო ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკული შეფასება. თავის მოქმედებასაც აანალიზებდა. სხვა საკითხია, რომ შესამჩნევად განსხვავებულია სიყმაწვილისა და მოხუცებულობის პერიოდების განსჯანი.

პირველ ხანებში მეტ პირდაპირობასა და ობიექტურობას ინახავს, არ ეკრძალვის თვითგვემას.

როგორც ირკვევა, გალაკტიონი არა მხოლოდ უმეგობრდება ბახუსს, არამედ ცდილობს ახსნა მოუძებნოს თავის საქციელს. ამგვარი განწყობის ჟამს არის დაწერილი შემდეგი ლექსი

I

„დავლიოთ, ძმებო, დავლიოთ, აავსეთ ღვინით ეგ თასი.
მარგალიტებად ჩათვალეთ ყოველი წვეთი ძვირფასი.
ღვინოში არის სიმართლე, ტკბილი ნექტარი იქ ვპოვოთ,
ტანჯვა-ვაება და კვნესა დავმარხოთ, გამოვიგლოვოთ.
2
ღვინოში არის სიცოცხლე, შვება, თავ-გადავიწყება.
სხვა ყველაფერი ამ ქვეყნად მიჰქრის, ქრება და იხრწნება.
ხანი ბერდება თან და თან, ხანი თრობაში ბრუნდება,
სიყმაწვილე კი ნეტარი კვლავ აღარ დაგვიბრუნდება.
3
მეგობარს, საცოლეს, სიმდიდრეს, დიდებას სამარადჟამოს
ვერსად იპოვი და რად გსურს, სურვილმა გრძნობა აწამოს.
ღვინო კი ერთი განძია, უნდა სვა, უნდა ილხინო!
დავლიოთ ძმებო, დავლიოთ, დავლიოთ წითელი ღვინო“.

ეს ტექსტი ალ. ჭავჭავაძის ზოგიერთი ნაწარმოების ასოციაციას იწვევს. მაგრამ ამ ორი პოეტის ნააზრევს შორის მაინც თვალსაჩინო განსხვავებაა. ქართული რომანტიზმის ფუძემდებლისათვის ღვინო ცხოვრების უკეთ შეცნობის, სულიერ-ხორციელი ტკბობის წყაროა, ხოლო გალაკტიონისათვის რეალობის უარყოფის, მისგან გაქცევისა და ილუზიურ სამყაროში თავშეფარების საშუალება. ამაზე მეტყველებს მეორე ლექსიც:

„მსურს დავიწყების მივეცე ზვირთებს,
მივეცე ზვირთებს ტკბილი გრძნობისას,
ჩემს გულის ღელვას სხვა ვინ იტვირთებს,
სულს რა მოაცლის უხილავის ფრთებს,
ფრთებს განუსაზღვრელ მარტოობისას?..
მომეცით თასი, დავსცალო ღვინო –
შუა-ღამემდე უნდა ვილხინო...
გვიან გაიგე, რომ სისულელე
და შეცდომაა მთელი ცხოვრება –
ჩემი ოცნება და სიგულწრფელე,
ჩემი სპეტაკი დამეგობრება.
ჩემი სიტყვები ტკბილი ალერსის,

შეურაცხყოფის თმენა და თმენა,
ჩემი უსაზღვრო სინაზე ლექსის,
სთქვი – აბა, ვინ რად გამოიყენა?
მომეცით თასი, დავცალო ღვინო
შუა-ღამემდე უნდა ვილხინო...
გვიან გავიგე, რომ სიყვარული
სამარადჟამო ქვეყნად არ არის,
ფერფლად გადმექცა რწმენა ფარული
და სიყვარულის ტკბილი ტაძარი.
ბრძენნო, რომელთაც არა გრწამთ სევდა,
თქვენ, მხიარულნო, და თქვენც მგოსნებო,
დაგრჩათ რა კიდევ სასიხარულო,
ან საედემო, ან საოცნებო?
მომეცით თასი, დავცალო ღვინო –
უნდა ვიცელქო, უნდა ვიცინო...“

ამ ნაწარმოებში, რომელიც 1910 წლის დეკემბერშია დაწერილი, გლობალური ხედვა იგრძნობა. ლირიკული გმირის სევდას საზოგადოებრივი ხასიათი ეძლევა.

გალაკტიონი ეფემერულად მაინც ახერხებს ერუ გარემოცვის გარღვევას – მახლობელ სოფლებში მოგზაურობს, ისტორიულ ძეგლებს ათვალიერებს. 1911 წლის დასაწყისში რამდენიმე დღით ბათუმს ეწვია. ამ სტუმრობას უნდა ვუმადლოდეთ ლექსს „არაჩვეულებრივი ზამთარი 1911 წელს“. ორჯერ მშობლიური ქალაქიც მოინახულა. იქაურობამ იარები გაუშიშვლა, გააღიზიანა და კიდევ უფრო მძლავრად აგრძნობინა ფარცხნალის მკვიდრს ნებაყოფლობითი ტყვეობის საშინელება. ჯებირი უნდა გაარღვიოს, თვალი ხომ მაინც ქუთაისის ციფერბლატზეა მიპყრობილი.

სოფელში გამომწყვდეული გალაკტიონი ბორგავს. იქნებ სიყვარულმა გადაარჩინოს? იგი უფრო და უფრო ებღაუჭება ამ აზრს. მეგობრისადმი გაგზავნილ ბარათში გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ხალხში ყოფნა უმძიმს: „...სიამოვნებით ვიცხოვრებდი თუნდ შენს „ჯვარისაში“, ოღონდ ერთი ლამაზი ქალი მყავდეს თან. სხვა არავინ... აქედან ლოგიკური დასკვნა ასეთია, რომ მე მხოლოდ ერთი ქალი მჭირდება და სხვა არავინ. ცხოვრებამ მშვენიერი გაკვეთილი მომცა, რომ ასე ვიფიქრო. ღმერთს ვფიცავარ, თვითონ ცხოვრება მითრევს კლანჭებში და თავის ნებაზე მატრიალებს; თორემ ჩემთვის უკეთესი არაფერი იქნებოდა, სადმე მშვენიერ ადგილას პატარა სამოსახლო მიწა, ქოხი და ლამაზი ქალი. იყავი შენთვის, სახლში არ შემოუშვა ცხოვრების შორი ქუხილი, გაბოროტებული ღრენა, მოუსვენარი

დრტეინვა. მე, სწორედ გუშინ, ამგვარმა ოცნებებმა გამიტაცეს: თითქო გავექეცი ცხოვრების ვაივაგლახს და მქონდა საკუთარი მყუდრო ბინა, მყავდა მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სახელიც კი დავარქვი: ზულეიმა. ეს იყო ჩემი თანამგრძნობელი. წარმოვიდგინე შემდეგ ზამთრის დილა, რომ ამ სევდიან დროსაც მყავდა ისეთი პირი, რომელიც მუდამ ჩემი იქნება.

ოცნებებმა ისე შორს გამიტაცეს, რომ ლექსიც კი დამაწერინეს...“[1]

და აი, ასეთი ვანწყობის ქამს წარმოსახვაში ცოცხლდება რაისა ჩიხლაძის – ქუთაისელი ლამაზმანის სახე. გალაკტიონს ახსენდება ბულვარზე ამ ქალის ჩავლა. ახსენდება რაისას სიმშვენიერით მოხიბლული ახალგაზრდების წამიერი გარინდება. ახსენდება მამის მკლავზე დაყრდნობილი რაისას ირიბი გამოხედვა და ოცნება ფრთებს შლის. ზოგჯერ ქალი რეალურ სახეს კარგავს და რომანის იდეალურ პერსონაჟად წარმოჩინდება. ახალგაზრდა პოეტს სურს შექმნას სიყვარული.

რაისა ფრიად განათლებული, პოეზიის მოყვარული ქალბატონი ბრძანდებოდა. დაჯილდოებული იყო ანალიტიკური ნიჭითა და გაბედულებით. იგი ერთ-ერთი პირველი კურსისტი იყო, რომელმაც ქუთაისში საჯარო ლექციების კითხვა დაიწყო. ამის შესახებ საგულისხმო ინფორმაციებია გაბნეული 1913 წლის პრესაში. უმეტესად ინტერესდებოდა ქალთა ემანსიპაციის პრობლემით.

გალაკტიონს ხიბლავდა რაისას გონიერება და ესეც აპირობებდა მის გატაცებას. გალაკტიონი ბევრს ფიქრობდა რაისაზე. წყვდიადში რაისა ნათელ წერტილად ჩანდა და ჭაბუკიც მისკენ მიილტვოდა. ეს ლტოლვა თანდათან ძლიერდებოდა და მთელ არსებას მოიცავდა. წერილებსაც სწერს რაისას. მაგრამ გრძნობის აშკარად გამხელას ეკრძალვის. უმეტესად საკუთარ პოეზიაზე ესაუბრება. რაისა თავშეკავებულია. გალაკტიონის მხრივ ეს არის მხურვალე გატაცება, რომელიც ხანმოკლე აღმოჩნდა.

1912 წელს რაისა კიევს მიემგზავრება უმაღლესი განათლების მისაღებად. და ახალგაზრდების ურთიერთობას წერტილი დაესვა.

შემდეგში გალაკტიონს არასდროს მოუხსენებია რაისათი გატაცება ამაღლებულად. უფრო მეტიც, ერთ წერილში ამ ურთიერთობას უარყოფითადაც კი ახასიათებს: „მე იმას (რაისას – ნ. ტ.) სრულიადაც არ ვიცნობ როგორც მეგობარს...“[2]

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 542-543.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 526.

ამ განცხადების ტონი ნაწილობრივ გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ადრესატი წერილისა, საიდანაც ამოღებულია ზემომოტანილი სიტყვები, ოლია ოკუჯავა არის.

როგორც ჩანს, რაისასაკენ ლტოლვა უმეტესად არსებულ ვითარებიდან თავდაღწევის სურვილით იყო ნაკარნახევი. შეიძლება სწორედ ეს იგრძნო რაისამ და ამანაც განაპირობა მისი გულცივობა.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სოფელში ჩაკეტილი გალაკტიონი თანამზრახველს, გამგებს, მესაიდუმლეს ეძებს და ასეთად რაისა წარმოისახა. ამას სასიამოვნო შედეგიც მოჰყვა.

1911 წლის 14 იანვარს გალაკტიონი რაისას ატყობინებს: „ახალი აქ მხოლოდ ის არის, რომ ერთ პოემას ვწერ... შიგ ერთი გმირი ქალიცა მყავს გამოყვანილი – სახელად რაისა (ხომ არ გეწყინათ?“)[1].

რომელი პოემა იგულისხმება? თხზულებათა თორმეტტომეული გასაღებს არ გვაწვდის. არც ერთ პოემაში რაისა არ იხსენიება. ამიტომაც ხელნაწერებს ჩავუღრმავდით და აი „შადრევნის“ პირველმა ვარიანტმა საკითხს ნათელი მოფინა. პოემის მთავარ პერსონაჟ ქალს რაისა ჰქვია. შემდეგ პოეტმა მას დალისა უწოდა. ასეთი ტრანსფორმაცია ნაწილობრივ იმანაც განსაზღვრა, რომ გმირის თავგადასავალს (რაისა საბოლოოდ საროსკიპოში ხვდება) შეიძლება ობივატელი მკითხველი უსაფუძვლო პარალელამდე და არასასურველ დასკვნამდე მიეყვანა. რაისას უნდა ეუმადლოდეთ აგრეთვე რამდენიმე კარგი ლექსის, თუნდაც „სიმღერის“ დაბადებას.

გალაკტიონის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში ეს ნაწარმოები უსათაუროდ არის დაბეჭდილი. „ოდესღაც, სადღაც, მარტოობაში“. ადრინდელ პუბლიკაციებსაც არ ახლავს მინაწერი. მხოლოდ ხელნაწერმა შემოგვინახა – „რაისას“. ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა გალაკტიონის ხასიათმა. ბოლო წლებში მან თითქმის ყველა მიძღვნითი წარწერა მოშალა. ამგვარი ქმედება ლექსისადმი შემომედის უფაქიზესი და ურთულესი დამოკიდებულების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. პოეტისათვის არსებითია ნაწარმოების შინაარსი და ლაიტმოტივი, მათგან გამომდინარე განწყობილება და არა ის, თუ რამ განაპირობა, ან რამ შეუწყო ხელი ლექსის დაბადებას. ეს არის საბაბისა და შედეგის ღრმად გააზრებული დიფერენციაცია.

გატაცებას თუ სიყვარულს გალაკტიონი საწერ მაგიდასთან სხვაგვარად წარმოაჩენდა. იგი ალამაზებდა, ცვლიდა არსებულ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 538.

მოდელს; უფრო ზუსტად, მოდელიდან ამოდიოდა. მოდელი და ასახული კი იდენტური როდია. ლექსში ჩაქსოვილია ის იდეალი, რომელიც პოეტს იტაცებს, რომელიც მას აღელვებს. ალბათ ამის გახსენებაც გვმართებს, როდესაც გალაკტიონის სატრფიალო ლირიკას ვაანალიზებთ. აშკარად გაუმართლებლად გვეჩვენება გალაკტიონის ლექსებში მხოლოდ და მხოლოდ რეალური პიროვნებების ზუსტი პორტრეტების ძიება ან აღწერილი ამბის რომელიმე ცხოვრებისეული ეპიზოდის ფოტოგრაფიულ ფიქსაციამდე დაყვანა. ეს მხატვრული ნაწარმოების პროკრუსტეს სარეცელზე მოთავსებაა, შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკის უარყოფაა.

რაისამ ვერ მოუტანა გალაკტიონს სიმშვიდე. ტრაგიკული განწყობილება კვალვაც მძლავრობს.

ასეთ ვითარებაში შეიძლება დიდი როლი შეასრულოს მეგობრობის წრემ, ძმათნაფიცთა ღიმილმა თუ შეძახილმა, მათმა შეუნელებელმა ყურადღებამ და ზრუნვამ. მაგრამ გალაკტიონი განებივრებული როდია მეგობრებით და, საერთოდ, ჰყავდა თუ არა გალაკტიონს მეგობრები?

მოდი, გალაკტიონის ცხოვრების ქრონიკას მცირე ხნით ავუაროთ გვერდი და ეს საკითხი გავარკვიოთ.

ერთ პირად წერილში გალაკტიონი აღნიშნავდა: „არსად არ ვგრძნობ ისე ობლად და მარტო თავს, როგორც სხვასთან, თუნდ საზოგადოებაში, მაშინ ჩემი სასოწარკვეთილება უმაღლეს წერტილამდე აღწევს და არ ვიცი, რა ვქნა“[1]. ეს არ არის თეატრალური ფრაზა. გალაკტიონს ნამდვილად უძნელდებოდა საზოგადოებაში თავის ლაღად დაჭერა. ბოლოს და ბოლოს მიაკვლია კონტაქტის დამყარების გზას და მიმართვის სტერეოტიპებიც გამოიმუშავა (მათ შორის „ძამიკოც“), რომლებითაც ცდილობდა თავისი უგერგილობის შენიღბვას. მაგრამ
ეს შედარებით გვიან მოხდა.

ახალგაზრდა გალაკტიონი ოფიციალური ზღვარის გადალახვას ეკრძალვოდა. გულს ეგრერიგად არავის გაუხსნიდა.

ასეთ კაცთან მეგობრობა ძნელია. ამიტომაც დადიოდა თითქმის ეულად. ეს ძალზე თვალშისაცემი იყო ცისფერყანწელების ფონზე. მოგეხსენებათ, ცისფერყანწელებმა მეგობრობის კულტი შექმნეს. ისინი სიამის ტყუპებივით ცხოვრობდნენ. უმეინახოდ პურს არ გატეხდნენ, ერთმანეთის ჭირსა და ლხინს შესაშური ერთგულებით ინაწილებდნენ. გალაკტიონი კი თითქმის

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 542.

მარტოდმარტო მიარღვევდა წყვდიადს. ეს სრულიადაც არ გულისხმობს, რომ იგი მოწყვეტილი იყო საზოგადოებას. გალაკტიონი ხალხში ტრიალებდა. ამხანაგ-თანამგზავრი ბევრი ჰყავდა, გულის მესაიდუმლე კი ერთი ან ორი. მათ შორის პირველი ადგილი მიხეილ ბოჭორიშვილს ეკუთვნის.

გალაკტიონი და მიხეილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში დაახლოვდნენ, ორივე გატაცებული იყო ლიტერატურით, ორივეს ღრღნიდა სევდა და უკმარისობის გრძნობა. არც ერთი იყო ალერსით განებივრებული და არც მეორე. ახალგაზრდებმა იგრძნეს სულიერი ნათესაობა და მეგობრობის ხიდიც გაიდო.

მიხეილმა ლექსი უძღვნა გალაკტიონს. ავტორი „ჩაგრული ხალხისადმი" სამსახურისა და „მტარვალებისადმი" შეურიგებლობისკენ მოუწოდებს მეგობარს. ვალში არც გალაკტიონი დარჩენილა. საპასუხო „უსტარი" ასე მთავრდება:

„შენ კი გინატრი სახელს, დიდებას...
ამის მორბედი თვითონ შენა ხარ.
როცა გამოხვალ კი ასპარეზზედ,
მეც მომიგონე მაშინ, მეც, მიხა!"

ეს ბავშვური სტრიქონები იმაზეც მიგვანიშნებს, რომ გალაკტიონი გარკვეულ იმედებს ამყარებდა მეგობარზე.

მიხეილმა, მართლაც, არაერთი ნოველა, მინიატურა, ესკიზი გამოაქვეყნა: „ჩონჩხები", „სული ობოლი", „გახსოვდეს სიკვდილი", „წამება ზღვაზე", „აგონია" „სარკე", „ჩემი სამშობლო", „ეპიტაფია", „იმედის ნანგრევებზე", „ვერ მიშველი?", „მამა!", „სევდის სტრიქონები", „კოლხიდაში" და სხვა. უთარგმნია კნუტ ჰამსონის ცნობილი რომანი „შიმშილი"[1]. ხოლო 1915 წელს დაუწერია პიესა „ვნების ბრჭყალებში" და დასადგმელად გადაუცია შალვა დადიანისათვის. 1916 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ეტიუდები", რომელსაც ი. გრიშაშვილი დადებითად გამოეხმაურა ჟურნალ „ლეილას" მეორე ნომერში. ის წერდა: „მიხ. ბოჭორიშვილი ახალგაზრდა ნიჭიერი ბელეტრისტია. იგი არ არის პოპულარული. შეიძლება ეს იყოს მისი ღირსება".

1921 წელს დაიბეჭდა მიხეილ ბოჭორიშვილის ერცელი მოთხრობა „მეტეხი". ი. გრიშაშვილს არც ეს წიგნი დაუტოვებია

[1] ნაწყვეტები დაიბეჭდა 1914 წელს „შრომაში", (№34,38,40,41,42,43).

უმურადღებოდ. „მეტეხი“ ლამაზი პოემაა, სალი ლირიზმით დატვირთული“[1]. „მიხეილ ბოჭორიშვილს აქვს სიახლის განცდები“. თხზულება საინტერესოა ქვეტექსტებითა და აფორისტული გამონათქვამებით...

უფრო ადრე მ. ბოჭორიშვილის შემოქმედებას ია ეკალაძე შეეხო. მან გახაზა ბელეტრისტის ნიჭიერება და ისიც დასძინა, რომ მწერალმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სიუჟეტის შეკვრა-გამთლიანებას, დიალოგების დახვეწას...

მ. ბოჭორიშვილს მოპაექრენიც საკმაოდ ჰყავდა. მაგალითად, კ. ნადირაძემ დაუწუნა ნაწარმოებთა ფაბულა და წერის კულტურა, ხოლო კ. გამსახურდიამ არ გაიზიარა მისი კრიტიკული მოსაზრებები.

„მიხეილ ბოჭორიშვილი იბეჭდება ფსევდონიმებით: „ნიკ-ძე“, „ადონისი“[2], „მარბახი“, „მიმქრალი“.

საგულისხმოა, რომ ნიჭიერი ბელეტრისტის რამდენიმე ნაწარმოები ადრევე ითარგმნა რუსულად. მაგალითად, 1916 წელს „კუტაისკიე ვესტში“ (№371) გამოქვეყნდა „ძველი წიგნი“.

ადრინდელი ნაწარმოებების გადათვალიერება გვარწმუნებს, რომ მწერალს დიდად გაუგრძელდა გზის ძიება. ამით აიხსნება განსხვავებული განწყობილებები და დაპირისპირებები. მაგალითად, ეტიუდში „ჩონჩხები“ იგრძნობა სიცოცხლის აპოთეოზი: „მე შემძულდა სიკვდილი, შემძაგდა ბნელი სამარე. ისევ სიცოცხლე სჯობნებია სიკვდილსა, სიცოცხლეში ბრძოლა მაინც ძალ-გიძს, სამარეში კი ამასაც მოკლებული ხარ“[3]. სულ სხვაგვარია „გახსოვდეს სიკვდილი“. იგი ხევდასა და ხელჩაქნეულობის განწყობილებას ბადებს.

გალაკტიონმა როცა საკუთარი ჟურნალი დააარსა, მიხეილი რედაქციაში მიიწვია. დემნა შენგელაიას უამბნია ჩვენთვის: – ბოჭორიშვილი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ სულისჩამდგმელი იყო. ტექნიკურ და სამეურნეო საკითხებსაც არსებითად ის აგვარებდა, სულით ინტელიგენტი, ფაქიზი ბუნების კაცი

[1] ი. გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. V, გვ. 398.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 732, ი. ლორთქიფანიძის შენიშვნები. ირკვევა, რომ ადონისის ფსევდონიმით სხვაც წერდა, რაზეც მეტყველებს გაზეთ „ლომისში“ გამოქვეყნებული „წერილი რედაქციის მიმართ“. „გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში შემდეგი: გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში №1 მოთავსებული ლექსი „ფანტასმაგორია“ ადონისის ფსევდონიმით მე არ მეკუთვნის. „ლომისის“ თანამშრომელი „ადონის“ („ლომისი“, 1922, №15, გვ. 4).

[3] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №37, გვ. 8.

გახლდათ. გალაკტიონს თვალებში შეჰყურებდა, შესციცინებდა. მე დავალებული ვარ მისგან, მმფარველობდა და მახალისებდა. მიხეილს არასდროს უღალატნია გალაკტიონისათვის. საშარის კარამდე მის უერთგულეს და თავდადებულ აბჯართმტვირთველად დარჩა.

ახლა იმ კითხვის თაობაზე, რომელიც დიდი ხანია მაწამებს და პასუხი ვერ მიპოვნია. მიხ. ბოჭორიშვილი 1924 წელს შეთქმულების მონაწილე, პარიტეტული კომიტეტის წევრი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის დაწყებული აჯანყება ს. ორჯონიკიძემ სისხლში ჩაახშო.

გაზეთ „წითელ არმიელში" ვკითხულობთ: „საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ შიო-მღვიმის მონასტერში შეპყრობილ იქნენ „აჯანყების" მთავარი მეთაურნი: თავადი კონე ანდრონიკაშვილი, ი. ჯავახიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, ჟ. ჯინორია და მ. იშხნელი.

ეს ვაჟბატონები იყვნენ სულის ჩამდგმელნი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის"[1].

გაზეთ „კომუნისტში" ამ პირთა პორტრეტებიც გამოქვეყნდა სათანადო მინაწერებით. მიხ. ბოჭორიშვილი დახასიათებულია შემდეგნაირად: „ყოფილი აზნაური, მემარჯვენე ესერების პარტიის წევრი, პარიტეტული კომიტეტის წევრი, ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე შეიარაღებული აჯანყების.

დაპატიმრებულ იქნა პარიტეტული კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად, ბანდების გამოსვლების დროს"[2].

დიახ, მიხეილ ბოჭორიშვილი ნამდვილად იყო აჯანყების სულისჩამდგმელი. იგი იბრძოდა იმ იდეალისათვის, რომელსაც გალაკტიონი თანაუგრძნობდა – მშობელი ხალხისა და მამულის დამოუკიდებლობისათვის. და ნუთუ მას სიტყვაც არ დასცდენია სანუკვარ ოცნებასა და საკუთარ მისიაზე, ნუთუ აზრდაც არ მოსვლია გალაკტიონის ჩაბმა აჯანყებაში? ანდა, ამ ურთულეს და უმძიმეს გზაზე შემდგარს, როცა ჰაერიეთ სჭირდებოდა გამხნევება, მოსალბუნება, ერთხელაც არ მიუმართავს გალაკტიონისათვის. იგი ხომ ყოველი შეჭირვებისას უხმობდა მას.

ამ კითხვებზე პასუხი ვერ გვიპოვნია. არ არის გამორიცხული, რომ მ. ბოჭორიშვილი გაუფრთხილდა გალაკტიონს, მოარიდა საშიშ სიტუაციას.

ბარემ ისიც ითქვას, რომ გალაკტიონმა მძაფრად განიცადა

---

[1] გაზ. „წითელი არმიელი", 1924, №592.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1924, №211.

1924 წლის ამბები, რაც აისახა კიდეც პოემაში „მოგონებები ამ დღეების, როცა იელვა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გამარჯვებულნი სასტიკი ხელით
აღრჩობენ ტყვეებს.
ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით
უსპობენ დღეებს.
ქურდები დამით საფლავებს თხრიან,
მოკლულთა ცხედრებს...
გაზები ღრუბლებს შორიდან ყრიან
ლურჯებს და თეთრებს.
რბის ორი ძაღლი: მათ ისტორია
ვერ დააფეთებს,
პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს
ხორცის ნაფლეთებს.
და მთელი კვირა სადგურის იქით
მატარებელი
იდგა. შიგ მკვდრები ეყარა რიგით
უფარებელი“[4].

ძველი თაობის წარმომადგენლებს ალბათ ახსოვთ, თუ რა მოჰყვა ამ სტრიქონების გამოქვეყნებას. „მნათობის“ მეხუთე ნომერი სწრაფად მოსპეს (მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი გადარჩა). ცხადია, ხელმეორედ აკინძულ ნომერში პოემის ხსენებაც არ იყო.

გალაკტიონმა გაქცევითა და საზოგადოებისაგან განრიდებით უშველა თავს. მიხეილ ბოჭორიშვილი კი... იგი დახვრეტას გადაურჩა და სასჯელს რუსეთის საპყრობილეში იხდიდა. როგორც ჰ. ბერეკაშვილი და გ. გეწაძე მიუთითებენ, მიხეილი „... გარდაცვლილი უნდა იყოს სამამულო ომის პერიოდში, კერძოდ, 1943 წლის ახლოს“[2].

გადასახლებიდან გამოგზავნილი ერთი ბარათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მ. ბოჭორიშვილი სულიერად არ დაცემულა. მომავალს იმედის თვალით შეჰყურებდა და ცდილობდა ახალ ცხოვრებას მომზადებული შეხვედროდა. „ფრანგული და გერმანული ენები შევისწავლე, ახლა ინგლისურს მივყავი ხელი“[3]. მისი ბუნების კაცი, მთელი არსებით ლიტერატორი, რა თქმა

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 88.

[2] გაზ. „ტყიბული“, 1991, №12.

[3] იქვე.

უნდა, კალამს ვერ გადადებდა და, ალბათ, არაერთი საგულისხმო ნაწარმოებიც შექმნა.

ბატონ დემნა შენგელაიასაგან გამიგია: მიხეილი ნინა კლდიაშვილთან მეგობრობდა, ციხიდან წერილებსაც უგზავნიდა (იქნებ მხატვრულ თხზულებებსაც?) სამწუხაროდ, ქალბატონ ნინას ერთხელაც ვერ ვეწვიე მწერალთა კავშირში, სადაც იგი ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა, და ინტერვიუც ვერ ჩამოვართვი. თუმცა, გაამხელდა კი ყველაფერს? მიხ. ბოჭორიშვილზე წერა და საუბარი მაშინ სახიფათო იყო.

ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ. 1984 წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დამიბარეს.

– თქვენ ბრალს გდებენ მენშევიკების ხოტბასა და 1924 წლის აჯანყებულთა განდიდებაშიო. – მშვიდად მითხრა პასუხისმგებელმა მუშაკმა და ამაზრზენი წერილის შინაარსი გამაცნო. X (ვინაობის გამხელას აზრი არ აქვს). ღვარძლითა და აღშფოთებით სწერდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ნ. ტაბიძე თავის წიგნში („გალაკტიონი") აქებს და ადიდებს მიხ. ბოჭორიშვილს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი იყო. გასაგებია, ჭკუანაღრძობი კალმოსანი, თუ რა ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარებას მოითხოვდა.

საბედნიეროდ, ცკ პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც ცოტას უბნობდა და ბევრს იაზრებდა, გონიერი ქალბატონი აღმოჩნდა. მან განმარტებითი ბარათი მომთხოვა და გაფრთხილებით გამომისტუმრა.

დავუბრუნდეთ გალაკტიონისა და მიხეილის ურთიერთობას.

მიხეილმა ადრევე აღიარა გალაკტიონის ლიდერობა. თავი მის მოწაფედ და ქვეშევრდომად გამოაცხადა. ასეთ ვითარებაში, როცა წინასწარვე ყველაფერი გარკვეულია და ურთიერთობათა გადახინჯვის საკითხიც არ ისმის, მეგობრობა რვალიკით მტკიცე ხდება.

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მათი გზები გაიყარა. გალაკტიონი სემინარიაში ჩარიცხეს. მიხეილს კი უარი უთხრეს. მანაც სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობა იკისრა და ზემო იმერეთის სოფლებში ეწეოდა ჭაპანს. 1909-1912 წლებში მეგობრები იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს და წერილობით უზიარებდნენ ურთიერთს ხვაშიადს, სურვილებსა და მიზნებს.

არქივმა შემოგვინახა გალაკტიონისა და მიხეილის პირადი ბარათებირომლებიც უთუოდ საგულისხმოა ახალგაზრდა მგოსნის ვნებათაღელვისა და მისწრაფებების გასაცნობად. მიმოწერიდან

ირკვევა, რომ მეგობრებს განზრახული ჰქონდათ ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება. საგულისხმოა, მ. ბოჭორიშვილის შემდეგი სიტყვებიც: „რასაც ფიქრობ, დეე აღსრულდეს. მე მზათა ვარ „ალმანახის“ გამოცემაზედ და თუ ენკენისთვიდგან [illegible] მასწავლებლათ დავრჩით, სამასწავლებლო ჟურნალის გამოცემას ვეცადოთ“.

ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა გალაკტიონის თვალსაჩინო საზოგადოებრივი-ჟურნალისტური მიდრეკილებებისა. საკუთარი ჟურნალის თუ ალმანახის გამოცემის იდეა ადრევე დაბადებია პოეტს. გალაკტიონი სავსეა ენერგიით, ძალით. ნიჭიერი ახალგაზრდა ფრთების ფართოდ გაშლას ცდილობს, ეძებს საზოგადოებაზე ზემოქმედების ეფექტურ გზებსა და საშუალებებს.

მიხეილის დამოკიდებულება გალაკტიონისადმი უჩვეულოა. მას თავშეწირვისათვის მზადყოფნაც შეიძლება ვუწოდოთ. აკი აღნიშნავს ერთ ბარათში: „ახ, სად გყავს შენი დაჩაგრული მეგობარი, რომ სიცოცხლე შემოეწიროს შენთვის. მე მზათა ვარ ღიმილით ავიდე სარჩობელაზედ შენის გულისთვის“.

ვინც გალაკტიონისა და მიხეილის მიმოწერას ჩაუღღმავდება, მათ ურთიერთობას თვალს გაადევნებს, იგი უთუოდ ირწმუნებს ზემომოტანილი სიტყვების სინაღდეს.

მ. ბოჭორიშვილი ყველასა და ყველაფერზე მაღლა გალაკტიონს აყენებს. საგულისხმო დეტალია: მიხეილი ოთხი წელია ეტრფის ვინმე ლოლას. მზად არის ყველაფერი ფიანდაზად დაუგოს. მაგრამ, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, სასწორის ისარს მაინც გალაკტიონისაკენ გადახრის... „გულახდილად გეტყვი, რომ ლოლას შენ მირჩევნიხარ. იმან რომ მითხრას გალაკტიონს ჩამოშორდი და შენი გულისთვის თავს მოვიკლავო, იცოდე, ხიზღით მივაფურთხებ და ესეც საკმარისი იქნება, რომ ის შემძულდეს. მოვკლავ კიდეც. შენ რომ არ მყავდე, მე ვერ ვიცოცხლებ... მე შენ ვერ ჩამოგშორდები, ობოლი ვარ. ამ ქვეყნად მხოლოდ შენ მყავხარ თანამოზიარედ და შენ მეგულები მფარველად, მცველად“.

„შენ ერთი და მხოლოდ შენი ერთი ხარ ჩემი მეგობარი, ჩემი გულის ტოლი. სხვა არავინ გამაჩნია“.

„ჩემს თავს მირჩევნიხარ და ჩემი წარმატება ისე არ წამახალისებს, როგორც სენი“.

„მხოლოდ ერთადერთი შენა ხარ ჩემს ახლოს, მხოლოდ შენთან შემიძლია აღვიარო ყოველივე ის, რაც ჩემი ტანჯვის მიზეზებს წარმოადგენს... არ ვიცი, რომ შენც ჩამომშორდე, შემდეგ შეეძლებ თუ არა ცხოვრებას. მაგრამ იმედი მაქვს, შენ არ მიღალატებ და

ძმურად გამომიწვდი ხელს“.

„წერილი, შენი ჭირიმე! ხმა, ხმა გამე, ვიხრჩვები სოფლის მლაშე ჭაობში“.

ეს ფრაზები სხვადასხვა ბარათიდან არის ამოღებული და როგორც ანდრესანტს, ასევე ადრესატსაც ახასიათებს.

ამგვარი სიყვარული სრულიადაც არ გულისხმობს ბრმა მორჩილებას. მ. ბოჭორიშვილის დამოკიდებულება გალაკტიონისადმი მაინც კრიტიკული და მოაზროვნე კაცის პოზიციად აღიქმება. მიხეილი ვალდებულად თვლის თავს მიუთითოს მეგობარს, დაარიგოს და უკიჟინოს კიდეც. ის გულწრფელად უზიარებს გალაკტიონს თავის შეხედულებებს და ამ გზითაც ზრდის ნდობის ატმოსფეროს. „რა ჰქენ, გალაკტიონ, დაათავე ის რომანი? შენს პროზაიკულ ნაწერებში მე ბევრ პსიხოლოგიურ ძვირფას ნაშთს ვნახულობ. მხოლოდ, სიმართლე გითხრა, პშიბიშევსკობას გწამებ. მე კი არ მიყვარს პშიბიშევსკი...“

ეს ამონაწერი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ახალ ფაქტს გვაცნობს – გალაკტიონს რომანიც დაუწერია.

მიხეილი აღაგზნებს გალაკტიონს, შეუწყვეტელი ლიტერატურული შრომისაკენ მოუწოდებს. „მე შენი საქმე მიკვირს. რატომ აღარსად აგზავნი შენს ნაწერებს დასაბეჭდათ. ნუთუ შენი თავმოყვარეობა შელახა იმ მოვლენამ, რომ „ცხოვრებასა და ხელოვნებაში“ პირველად გაგზავნილი ლექსები არ დაბეჭდეს?“

როგორც ჩანს, ახალგაზრდა გალაკტიონი ბევრს ფიქრობს. ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა ურთულეს საკითხებში. რატომ არსებობს? რა არის ადამიანის მოვალეობა? როგორ მიიღწევა ბედნიერება? ამ და სხვა მსგავს კითხვებზე იგი ამომწურავ პასუხს ვერ პოულობს და ქრისტიანული მოძღვრების საგულდაგულო შესწავლას იწყებს. თავის განცდებსა და ფიქრებს მ. ბოჭორიშვილს უზიარებს: რელიგიამ გამიტაცა, ბევრს ვფიქრობ იმქვეყნიურ ცხოვრებაზე და ხშირად ვხედავ სიზმრებში ღმერთს ანგელოზებითურთო.

მიხეილი პასუხობს: „ეს კი მიკვირს, რომ ზეცაშიდაც გინდა იყო ბედნიერი. უცნაური ფიქრებია, ჩემო კარგო. აქ ქვეყნად არ მოგიპოვებია ბედნიერება და ზეცას უპოტინებ ხელს. ჯერ ადრეა, ჩემო კარგო. აქ, ამ ქვეყნად ვეძიებდეთ ნეტარებას და იქ ალახმა უწყის. სამწუხარო კი ის არის და შემაძრწუნებელი, რომ აქ ტანჯული იქაც დავიტანჯოთ, რადგან მტკიცე რწმენა არ გვაქვს. მიკვირს კი, თუ მართლა გესიზმრება ღმერთი თავის ანგელოზებით“.

ნამდვილი მეგობრობა ურთიერთისადმი ზრუნვაშიც

გამოიხატება. მიხეილი ამ მხრივ საშურ გულისხმიერებას იჩენს. იგი გალაკტიონის თითოეული ნაბიჯით ინტერესდება, როცა მეგობარს უჭირს, სამსახურს ტოვებს და ქუთაისში ჩადის, უანგაროდ უწვდის დახმარების ხელს. თავისი ღარიბული ხელფასიდან ისტუმრებს გალაკტიონის ვალებს.

გალაკტიონიც სათანადო სითბოს ამჟღავნებს. ამხნევებს მეგობარს, საკუთარი ძალებისადმი რწმენას უნერგავს, ურჩევს რა წაიკითხოს და როგორ იმუშაოს... მიხეილი მთლიანად მინდობილია მასზე.

მოაზროვნე და გულაღრენილი კაცი მესაიდუმლესა და მსმენელს ეძებს,რათა ფიქრებს სადინარი მისცეს და ნაწილობრივ მაინც განიტვირთოს ვარამისაგან. მ. ბოჭორიშვილისთვის ასეთ პიროვნებას სწორედ გალაკტიონი წარმოადგენს. მას თამამად უზიარებს შთაბეჭდილებებს, ეჭვებს, ოცნებებს. მიხეილმა იცის, რომ გალაკტიონი მას არ დასცინებს. ამიტომაც არ უფრთხის გაბატონებული აზრის საწინააღმდეგო შეხედულების განვითარებას. ერთგან გულწრფელი გაკვირვებით აღნიშნავს: არაფერი მესმის ვაჟა-ფშაველასი, არ მომწონს მისი ლექსები, ერთფეროვანი და მოსაწყენიაო[1]. საზოგადოებაში, თუნდაც მახლობელ წრეშიასეთი აზრის გამოთქმა მკრეხელობად იქნებოდა აღქმული და, საფიქრებელია, მ. ბოჭორიშვილი მოერიდებოდა მის აშკარა, ხმამაღლა გამოხატვას. გალაკტიონთან კი იგი არ ინიღბება. ამგვარი გულწრფელობაც მაღალ მეგობრობაზე მიგვანიშნებს.

გალაკტიონი ის პიროვნებაა,რომლის წინაშე გულის გადახსნა დიდ შვებას გვრის მიხეილს. ამიტომაც სწერს: „მსურს ყოველ წუთს შენს ახლოს ვიყვე და ჩემ შავ ფიქრებს გიზიარებდე. რა რიგ მტანჯავს ეს მუხთალი ცხოვრება, ვერ წარმოიდგენ. შენი წინასწარმეტყველება ვგონებ აღსრულდეს. გახსოვს, ქუთაისის სახალხო ბაღში ნაღვლიანად რომ მითხარ: შენ ეს

[1] მ. ბოჭორიშვილმა მალე შეიცვალა აზრი. ვაჟას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბეჭდავს „სამგლოვიაროს", რომელშიაც ვკითხულობთ: „ჰსურთ დამარწმუნონ, მთის არწივი ვაჟა ადარ სცოცხლობსო; ვინ დაიჯერებს, რომ მისი ძლიერი ფრთათა რისხვა, მისი თავგანწირული ყივილი, რომლითაც მშრომელ ხალხს საშობლოს განახლებისთვის მოუწოდებია, ოდესმე შესწყდეს?

კავკასიონის მთის მწვერვალებს და საქართველოს მიდამოებს ქარიშხალი მუდამ უმღერებს ვაჟას სიმღერებს...

დეე, განისვენოს მთის არწივმა თავ-განწირულ ყივილის შემდეგ. მშრომელი ხალხი თვის ცრემლებით განბანს მის ცხედარს და ველური ყვავილები თვის მშვენიერებით შეამკობენ მის საფლავს („თეატრი და ცხოვრება", 1915, №32, გვ. 5).

მასწავლებლობა დაგლუპავსო. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მანამდისინაც დაღუპული ვიყავი და უფრო სამწუხარო ის არის, რომ მოლოდინი გამორიცხულია“.

მიხეილი გალაკტიონს აცნობს თავის გეგმებს, ჩანაფიქრს: „მინდა კიდევ ერთი პიესა დავწერო მოწაფეთა ცხოვრებიდან. იქნებ გაგეცინოს და მკითხო, შე უგნურო, რათ გინდა, რომ სწერ, როდესაც შენი ნაწერები არავისთვის არ ვარგაო. მაგრამ რა ვუყო, ჩემო მეგობარო. ბავშვი რომ ატირდება, ცრემლებით იქარვებს გულს, მე კი ჩემს გულშიდ მოგუბებულ ნაღველს ნაწერებშიდ ვაქცევ და დარწმუნებული იყავ, რომ ეს არ შემეძლოს, აქამდე ოცჯერ მოვიკლავდი თავს“.

მიხეილი პირველ რიგში თავის შემოქმედებაზე ესაუბრება გალაკტიონს: აცნობს, რომ წერს მოთხრობას „მასწავლებელი ქალის დღიური“; რომ „მწუხრიშვილს“ „ძალზე შორს მიეყავარ. ვეებერთელა რამ იქმნება. დღითიდღე აზრი მიფართოვდება. ასე რომ, ამ წელიწადში არა მგონია, რომ დავამთავრო. ეხლა საპყრობილეში მყავს და მის ამბებს ვწერ“.

სხვა ბარათებში კიდევ „გახრწნილის“, „ფანტაზიის“, „მიმოზის“„ჩონჩხის“„ოჯახის“ და სხვა ნაწარმოებების შეთხზვის განზრახვასა თუ დასრულებაზე მოუთხრობს.

წერილებიდან ინაკვთება უმძიმეს პირობებში მოქცეული ინტელიგენტი,რომელსაც წიგნებისა და გაზეთების შეძენა უჭირს, რომელსაც ღამღამობით კარზე უბრახუნებენ – ბევრ ნავთს წვავ, ლამპა ჩააქვრეო, რომელსაც სემინარიადამთავრებული მღვდელი ქრთამს სთხოვს და ყოველმხრივ უშლის ხელს პედაგოგიურ საქმიანობაში. მიხეილი დეტალურად მოუთხრობს გალაკტიონს თავის თავგადასავალს,მოუთხრობს სევდიანად და სერიოზულად, იშვიათად მხიარული და ირონიული ჩანართებით.

ზოგჯერ გულუბრყვილო აზრებსაც უზიარებს. ჰიპნოტიზმის სახელმძღვანელო გამოუწერია რუსეთიდან. სურს საფუძვლიანად დაეუფლოს ამ საქმეს და ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს. ხელმოცარული კაცის ფანტაზია ღიმილს იწვევს. მაგრამ მთავარი ის არის,რომ გალაკტიონს ესმის მისი და სარკასტულად არ ხარხარებს, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის წერილებში არცთუ იშვიათია იუმორი. მაგალითად, „შენს პესიმისტურ აზრებზე, ყმაწვილო, ბევრი ვიცინე. იწერები: „ოჰ, სად არის დღეს მეგობრობა და თანაგრძნობა. ოჰ, დაიმსხვრეს, დაიმსხვრეს. ბარემ ეს ცხოვრება, რომ ახალი აღმოცენდეს!“ იმე, იმე“ როგორ თუ დაიმსხვრეს და ახალი აღმოცენდეს“[1].

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 542.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონი

ნახ. ფედია ჩუდესკისა

მიხეილს არ სწყინს მეგობრის გადაკვრები, რადგან იცის, რომ გალაკტიონი კეთილად არის მისადმი განწყობილი, ნამდვილად შესტკივა მასზე გული. მეგობრები უმეტესად მაინც ლიტერატურულ საკითხებზე მსჯელობენ, კამათობენ, შთაბეჭდილებებს უზიარებენ ურთიერთს. „წავიკითხე ბრანდი, რომელიც შენ გითარგმნია, – სწერს მიხეილი, – მაგრამ უნდა გითხრა სიმართლე, ბევრად არ მომეწონა, სხვა დრამატულ ნაწერებში „ექიმი შტოკმანი" ყველას ვამჯობინე. მეორეგან აღტაცებას გამოთქვამს კნუტ ჰამსუნის „შიმშილის" გამო, მოხიბლულია ვიქტორ ჰიუგოს ოსტატობით და ა. შ.

მ. ბოჭორიშვილის იშვიათი დამოკიდებულება გალაკტიონისადმი, უპირველეს ყოვლისა, ღრმა რწმენას ეფუძნება. მიხეილი ჭვრეტს მეგობრის გენიოსობას, გრძნობს მისი პოეზიის უკვდავებას, დარწმუნებულია, რომ გალაკტიონს ძალუძს დედამიწის შებარბაცება. „შენისთანა არავინ გვყავს ახალგაზრდებში". ეს და სხვა მსგავსი ფრაზები არაერთხელ გაიელვებს ბოჭორიშვილის წერილებში. აი, კიდევ ამონარიდი სხვა ბარათებიდან: „გალაკტიონ, ერთი ნომერი ჩამივარდა ხელში „სახალხო გაზეთისა", რომელშიდაც ვიღაც ჭუმბურიძე ახალგაზრდა მწერლების ნაწერებს არჩევს, მათ შორის შენსას, და უნდა გენახა, რა აღტაცებაში მოვედი. მე ვამაყობ, რომ ჩემ

მეგობარს ეგეთი ქება-დიდებით გიხსენიებენ და საპატიო ადგილს გაძლევენ".

მათ ურთიერთობას ისიც ადასტურებს, რომ გალაკტიონი მფარველობს მიხეილს. მან დაუბეჭდა პირველი ნაწარმოები მეგობარს. ბოჭორიშვილს გალაკტიონი ლიტერატურულ მეტრად და პირუთვნელ კრიტიკოსად მიაჩნია. ამიტომაც სწერს: „...ეს კი არის, რომ შენს მეტი ხელმძღვანელი არავინა მყავს და თუ გიყვარდე, თუ ჩემშიდ ვერ ხედავ მომადლეუბლს, თუ არაფერი უნარი არა მაქვს, გულწრფელად აღიარე და მომწერე. იცი, მე ეხლა იმ იმედით ვცხოვრობ, რომ მგონია მწერალი გავხდე და თუ მაგის უნარი არ მაქვს, რომ ვიყვე, მაშინ სხვა საქმეს მივყობ ხელს".

გალაკტიონი პირუთვნელად სწერს, რომ მოსწონს მისი თხზულებები და სამწერლო ასპარეზზე წარმატებასაც

უწინასწარმეტყველებს. აი, როგორ აფასებს იგი მ. ბოჭორიშვილის ერთ მოთხრობას: „შენი „მიმოზას" გამოგზავნა ვერას გზით ვერ მოვახერხე და როდესაც ქუთაისში კი ჩავალ, უსათუოდ

დავტოვებ. იცი, ეს მოთხრობა შემიყვარდა რაღაც, ოთხჯერ მაინც გადავიკითხე. მიუხედავად იმისა, რომ ტიპი ჩვენი, ქართული არ არის, თავი და თავი, რომლითაც ის მხიბლავს, ეს ჩუმი, დაფარული, მელანქოლიაა, რომელიც იქაც კი იჩენს თავს, სადაც ვითომ სიხალისე მეფობს. მაგალითად, მიმოზას გულთა ძებნის დროს, თვითონ მიმოზას ტიპი გიდგას თვალწინ ისე, თითქოს ეს მისი სიამაყე რაღაც სხვა, უფრო ძლიერი გულის სევდითაა გამოწვეული, დაუკმაყოფილებლობით, ვნებით, ადამიანისადმი სარკასტული დაცინვით და რაღაც სასწაულებრივ მოლოდინში გარინდებული გრძნობით... მიმოზას სიხალისეს თავისი ღრმა ტრაგედია აქვს, რამდენადაც ეს შეიძლება ქალის არსებაში მოთავსდეს"[1].

გალაკტიონი არა მხოლოდ კითხულობს მეგობრის ნაწერებს, არამედ ასწორებს კიდეც. ამასთანავე თავად ზრუნავს მათ გამოქვეყნებაზე. მიხეილს მოსწონს გალაკტიონის გემოვნება. კარგად იცის მისი სიტყვის ფასი. ამიტომაც სთხოვს: „არ ვიცი, მატყუებ, თუ ხათრით ვერაფერს მეუბნები. ნუთუ მართლა მოგეწონა ჩემი „მწუხრიშვილი"? ხომ იცი, შექება ამაოსა ზედა ფუჭია, თუ მართლა მოგწონს და ვარგა, ეგონებ ხელი არ ავიღოთ მაგაზედ. წერილის საშუალებით გააკეთე პატარა კრიტიკა, რა იპოვე შიგ კარგი ან ცუდი. ხომ იცი, ეს მე გამომადგება. „გამორიცხულნი" შენს ბედს ქვეშ არის. შენ იცი, როგორ შეამუშავებ. ვერ შეგაწუხებ, დრო თუ არა გაქვს, თავს ნუ შეიწყენ. თუ შეასწორებ, როგორც დამპირდი, კარგი იქნება, რა თქმა უნდა".

გალაკტიონი გულდაგულ ასრულებს მეგობრის დავალებას. არა
მხოლოდ კონკრეტულ ხარვეზებზე მიუთითებს, არამედ ძირითადი მიმართულების შემუშავებაშიც შველის; ლიტერატურული გემოვნების დახვეწისა და ფართო განათლებისკენ მოუწოდებს.

მ. ბოჭორიშვილი ერთხანს მუშაობდა მწერალთა კავშირის მდივნად. ამ საპატიო თანამდებობაზე იგი გალაკტიონის რეკომენდაციითა და თხოვნით მიიწვიეს. საგულისხმო დეტალია: 20-იანი წლების დამდეგს გალაკტიონი მწერალთა კავშირის საგამომცემლო სექციას ხელმძღვანელობს და განზრახული აქვს ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშების ათ წიგნად გამოცემა. უპირველეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის" დასტამბვას აპირებს (სარგის კაკაბაძის დახმარებით). აქვე დასახელებულია შიოა არაგვისპირელის მოთხრობები, ვასილ ბარნოვის „ამქრის შვენება" და „ხაზართა საძლო". ამ უკანასკნელის შესახებ წერს: „ძალიან კარგი რომანია, თუ გამოცემთ და თუ არა მე მაქვს სახლში, ავიღებ და დავუბრუნებ პატივცემულ ავტორს.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 545-546.

ხელთ გვაქვს აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორის რომანი „სიყმაწვილე“ (მიხეილ ბოჭორიშვილი). ეს არ არის სრულიად დიდი ტანის, მაგრამ ძალზე საინტერესო კი.

როგორც ვხედავთ, გალაკტიონს მართლაც [illegible] მ. ბოჭორიშვილის პროზა და ბელეტრისტისთვის ხელის გამართვასაც ცდილობს.

გალაკტიონისა და მიხეილის ურთიერთობას პრაქტიკულად ეს უკანასკნელი წარმართავდა. გალაკტიონს შეეძლო თვეების განმავლობაში არ გაეგზავნა წერილი, შეეძლო მცირე ხნით დაეივწყებინა კიდეც იგი, მაგრამ მიხეილი ამგვარ გაურეკებას შეურაცხყოფად როდი აღიქვამდა. მას კარგად ჰქონდა შეცნობილი გალაკტიონის ბუნება.

„ძვირფასო მეგობარო გალაკტიონ! მივიღე შენი წერილი. დიდათ მესიამოვნა. მაგრამ არა მრწამს კი შენი დაპირება, ვითომდა მოკლე ხანში ვრცელ წერილს მომაწვდენ. არა მრწამს და რა ვქნა, მერე რამდენი მინდა ვისაუბრო შენთან, რამდენი რამ მაქვს სათქმელი და როდის?“

თუ არ ვცდები, მ. ლერმონტოვს უთქვამს: ორი მეგობრიდან ერთი ყოველთვის მონაა მეორის, მაგრამ ამაში ხშირად საკუთარ თავსაც კი არ უტყდებიანო.

არა, მ. ბოჭორიშვილი სხვების წინაშეც არ მალავდა ამას და ამაყობდა კიდეც თავისი მდგომარეობით. გალაკტიონი? გალაკტიონი მეგობრობაშიც თავისებური იყო. იგი არასდროს ყოფილა ძმაკაცობის დაუწერელი კანონის პედანტური დამცველი.

მიხეილისა და გალაკტიონის ურთიერთობაში თავს იჩენს აშკარად გამოხატული იერარქია: მიხეილი აღიარებს გალაკტიონის გენიოსობას, მის სიმაღლეს და თავის შესაძლებლობასაც ძალზე ობეიქტურად აფასებს, რაც არცთუ ხშირია მწერლობასთან წილნაყარ კაცისაგან. („მე თუ არარა ვარ სამწერლო ასპარეზზედ, შენ ხომ ქურუმი ხარ“).

გალაკტიონისა და მიხეილის მეგობრობაზე საუბარს ერთი შედარებით უცნობი ლექსის ფრაგმენტით დავამთავრებ.

„გიყვარდა როსმე, ძვირფასო მიშელ,
საღამოს ქარში ერთად ცხოვრება,
მზეებში ექმნიდით მაშინ მე და შენ
და ქარი მარად გვემახსოვრება.
გაგვახსენდება შორეულ ზღაპრად
შენ შენი ლოლა, მე კი რაისა;
რომლებმაც ერთად და თანაბარად
მოგონებები გაგვიმაისა“[1]

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 344.

ლექსი 1921 წლის ივლისს შეუთხზავს გალაკტიონს.

ათიანი წლების დასაწყისში გალაკტიონი დაუახლოვდა აგრეთვე თედორე ჩუდეცკის (1893-1959) ნიჭიერ მხატვარს, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა ქუთაისელ ახალგაზრდა შემოქმედთა შორის. გალაკტიონს ბევრი რამ აკავშირებდა მასთან, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკური მრწამსი. რაც მთავარია, ახალგაზრდები ხასიათებით შეეწყვნენ ურთიერთს. ხელოვნებაში შთანთქმულნი დიდად არ დაგიდევდნენ პრაქტიკული ცხოვრების წვრილმანებს. მათთვის უცხო არ ყოფილა ბოჰემა. გალაკტიონი წერს: 1917 წლის თებერვალში „...მხატვარ თედორე ჩუდეცკისთან ვცხოვრობდი. მატერიალურად გამოუსვლელ მდგომარეობაში ვიყავით ორივენი, მაგრამ ერთად ვიტანდით ჭირსა და ლხინს... უფრო მეტად, თუ ფული ჩაგვივარდებოდა ხელში, დროს რესტორნებში ვატარებდით, მეორე დღეს კოშმარები, თავისტკივილი, არაფრისმომტანი დღე, ანგრეული ბინა, საღებავები და ფუნჯები არეული, კედლების დაჭუჭყიანებული...“[1]

გაჭირვებამ კიდევ უფრო დააკავშირა ახალგაზრდები.

გალაკტიონისა და თედორე ჩუდეცკის დაახლოებაეპიზოდური როდი აღმოჩნდა. მათ სიკვდილამდე შეინარჩუნეს ურთიერთის პატივისცემა და სიყვარული.

თედორემ კარგად იცოდა გალაკტიონის ფასი და მნიშვნელობა. მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ახალგაზრდა მგოსნის პორტრეტი. ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილ ბარათში, რომელიც 1916 წლით

არის დათარიღებული, გალაკტიონი წერს: „...ჩუდეცკიმაც დაიწყო ჩემი სურათის ხატვა – ამ დღეებში დათავდება“[2].

ეს პორტრეტი მიუკვლეველია. ცნობილია სხვა სურათები. ერთზე გამოსახულია მაგიდასთან მჯდომი ელეგანტური პოეტი კეთილი ღიმილითა და ოდნავ სევდიანი გამოხედვით. ძალზე საინტერესოა აგრეთვე მეგობრული შარჟი „გალაკტიონის ნიჭი“. მგოსანს ფანქარი მოუმარჯვებია და წერს: მარჯვნივ, მარცხნივ და უკან ღვინის ქვევრებია. ზემოდან ფრინველები დასჭიკჭიკებენ. მარცხენა ხელით ანკესზე გამობმული ხუთი თევზი უჭირავს. თითოეულს გარკვევით აწერია „რითმები“.

ფართო საზოგადოება იცნობს თ. ჩუდეცკის მიერ შესრულებულ გალაკტიონის პორტრეტს, რომელზედაც ორმოცი-

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 216.

[2] იქვე, გვ. 521.

გალაკტიონი

ნახ. ფედია ჩუდესკისა

ორმოცდახუთი წლის მგოსანია გამოსახული. ფანქარი ნაკაპზე მიუდვია, შთაგონებულია, თითქოს ეს-ესაა ბრწყინვალე პოეტური სახე შექმნა და ქაღალდზე გადასატანად ემზადებაო. პოზა, თვით გალაკტიონმა შესთავაზა თედორეს: — მყინვარწვერის ფონზე დამხატე, მხოლოდ ისე, რომ მთა ოდნავ მაღლა იყოსო. (უყვარდა გალაკტიონს ამგვარი სიმბოლიკა).

აქვე ვაქვეყნებთ თედორეს ორ ნამუშევარს. ისინი არა მხოლოდ გალაკტიონისადმი სიყვარულზე მეტყველებენ, არამედ მხატვრის ნიჭზეც.

თედორე გულწრფელად იყო დაინტერესებული გალაკტიონის ბედნიერებით და, რაც კი შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა მისთვის.

1924 წელს, როცა გალაკტიონი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა, სწორედ ჩუდეცკების ოჯახმა შეიკედლა და დაიფარა იგი. გალაკტიონს არაერთხელ გაუხსენებია მაშინდელი ეპიზოდი. გამეხებულ ვეფხვს გავდა ნატაშა (თედორეს მეულლე), მზად იყო, სისხლიც კი დაღვარა, შენს თავს არავის დავანებებო.

სხვათა შორის, ნატაშა კლიმენტის ასული იოსელიანი-ჩუდეცკაია ოლია ოკუჯავას ახლო ამხანაგი იყო. ესეც აძლიერებდა გალაკტიონისა და თედორეს მეგობრობას.

ჩემს მეხსიერებას შემორჩა გალაკტიონისა და თედორეს ურთიერთობის მრავალი ეპიზოდი.

მაგონდება ზამთრის სუსხიანი საღამო. გალაკტიონი შეზარხოშებული ბრუნდება შინ. თედორეც ახლავს, ღვინო მომატანინეს. სახელდახელო სუფრა გაიშალა. ძველ ამბებს იხსენებენ. გალაკტიონი ხშირ-ხშირად კოცნის უტყვ თედორეს: „შენ ერთი დამრჩი ფედია! ყველამ მიღალატა, ყველამ მიმატოვა". შუაღამისას თედორე დგება და შინ წასვლას აპირებს. გალაკტიონი თითქმის მოსთქვამს: „საცოდავო, გაიყინები ასე". მერე მე მომმართავს: „მოდი, ჩვენ ორმა ვუყიდოთ ფედიას პალტო". იმჟამად იგი გულწრფელად წუხდა მეგობრის უპალტოობის გამო და სრულიადაც არ ითვალისწინებდა მომართვის კომიკურ შინაარსს.

1959 წლის თებერვალი იდგა. დარეკეს, თედორე ავად არისო. აფორიაქდა გალაკტიონი. ჩუდეცკები ლენინის (ახლანდელი კოსტავას) ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ორ ნომერში. ავედით მეორე სართულზე. თედორე უგონოდ იწვა. გალაკტიონმა საბანი გადახადა და დიდხანს დასცქეროდა.

— ნუ გეშინია, ფედია, ჩვენ კიდევ ბევრს შევქმნით — ძლივს ამოღერღა. ეს უფრო საკუთარი თავის გამხნევება იყო. იმ დღეს გალაკტიონი რესტორან „ჟაზბეგში" დაიხრჩო.

თედორე გალაკტიონზე ერთი თვით ადრე გარდაიცვალა. გალაკტიონი მის დაკრძალვას არ დასწრებია. მაშინ კოშმარული დღეები ჰქონდა.

ეს ორი პიროვნება იმიტომ გავიხსენეთ, რომ სწორედ მათ აგრძნობინეს გალაკტიონს მეგობრული სითბო და სიყვარული, რაც ესოდენ სჭირდებოდა ახალგაზრდა პოეტს.

სხვები? სხვები გალაკტიონისაგან შორს იდგნენ. საქმე ის არის, რომ მეგობრობა უმეტესობას ესმის როგორც ორმხრივი თავდადება. გალაკტიონს კი არ შეეძლო სხვებისთვის თავის გაწირვა, არ შეეძლო სხვათა გამო მავანისა და მავანის შეწუხება, არ შეეძლო მატერიალური დახმარების გაწევა და საქმიანი ყურადღების სისტემატურად გამოჩენა.

იქნებ შემდეგ პერიოდში მოხდა ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება? არა, გალაკტიონი არც მომდევნო ხანებში ყოფილა ბევრი მეგობრით გარშემორტყმული, რაც კვლავ და კვლავ მისი ბუნებით აიხსნება. გალაკტიონი უღრმესი და უჭკვიანესი იყო, პოეზიაში. მას ამ სფეროში არავინ ეგულებოდა ულლის გამწევად. სამაგიეროდ ყოფაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში დაბნეული და მიამიტი ბავშვი იყო, ზოგჯერ ეშმაკიც. ერთ პიროვნებაში მოქცეული ეს ორი განსხვავებული საწყისი გალაკტიონს შეუცნობელს ხდიდა. მასთან მისვლა თითქმის შეუძლებელი იყო.

ალბათ ისიც საყურადღებოა, რომ გალაკტიონი უფრორე მაინც საშუალო და დაბალი რანგის კალმოსნებთან იყო დაახლოებული. იქნებ იმიტომაც, რომ მათგან კონკურენციასა და შურს არ გრძნობდა, ისინი აღმერთდბდნენ გალაკტიონს; იქნებ იმიტომაც, რომ გალაკტიონს მათთან ურთიერთობაში საგანგებო სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობა არ სჭირდებოდა, არ იძაბებოდა, იქნებ იმიტომაც, რომ...

ერთხელ ჯიქურ შეეკითხე:

– ვინ უნდა ვიგულოთ თქვენს შემდეგ დიდ პოეტად?

პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

– ცუდი პოეტი არ არის №...

და ისეთი კაცის გვარი დაასახელა, რომელმაც ჩემი ღიმილი გამოიწვია. მიმიხვდა ღიმილის მიზეზს და ნათქვამის გამოსწორება სცადა:

– იგი ნამდვილი კომუნისტია.

გალაკტიონს იშვიათად წარმოსცდენია მისი თანამედროვე დიდი ქართველი პოეტების ქება. არც ეს იყო შემთხვევითი, არც ის, რომ უმეტესად საშუალო ფენის წარმომადგნელებით იყო გარშემორტყმული. ჩინოსნები იშვიათად თუ გამოეცნაურებოდნენ.

— გამარჯობათ, ბატონო გალაკტიონ, — აჩერებდა ერთი.

— ხომ კარგად ბრძანდებით? — მოკრძალებით ჰკითხავდა მეორე.

— პოეტთა მეფეს ვახლავარ! — მაღალ ნოტას აიღებდა ერთი გაბედული. გალაკტიონი თავაზიანად პასუხობდა.

გაგვშორებოდა უცნობი და ვინტერესდებოდი.

— ვინ იყო?

გალაკტიონი მხრებს იჩეჩავდა.

ეს მაოცებდა კიდეც პირველ ხანებში, რადგან მეყსეული მასლაათი ისეთ შთაბეჭდილებას მიქმნიდა, გალაკტიონი კარგად იცნობს ამ კაცს-მეთქი.

ერთხელ ასეთი შეკითხვისას გადაიხარხარა.

— ჩემო ნოდარ, ჭრელი ძაღლის ამბავი ხომ გაგიგონია?

ვერ გავიხსენე და შევცბი.

— ჭრელ ძაღლს მთელი სოფელი იცნობს, ჭრელი ძაღლი კი არავის. ასეა ჩემი საქმე...

შედარება სკაბრეზული მომეჩვენა, მაგრამ გალაკტიონი ისე გულიანად იცინოდა, მეც ავყევი.

ეს ფაქტი შემთხვევით არ გამიხსენებია. საქმე ისაა, რომ გალაკტიონის შეხმიანება-პასუხებში არა იმდენად ინდივიდის პატივისცემა ჩანდა, რამდენადაც ადამიანისა ზოგადად. თუ არ ვცდები, ეს მისი შემოქმედების მაგისტრალური ხაზიცაა და საგანგებო კვლავის საგანიც, მით უფრო, რომ ბევრმა შეიძლება მახვილად შემდეგი მაქსიმა მომიღეროს: „მთელი კაცობრიობის სიყვარული უფრო ადვილია, ვიდრე ერთი ადამიანისაო".

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ გალაკტიონი იმ მაღალ ხეს მოჰგავს, რომელიც შორიდანვე ჩანს და ანდამატივით გვიზიდავს. გვიზიდავს არა მხოლოდ უჩვეულობითა და ამ უჩვეულობის შეცნობის სურვილით, არამედ წმინდა პრაქტიკული მისწრაფებებითაც: გავმხნევდეთ, ავმაღლდეთ, დავტკბეთ.

გალაკტიონის მეგობრებზე და ნაცნობებთან ურთიერთობაზე საუბარი გაგვიგრძელდა. დავუბრუნდეთ ათიანი წლების დამდეგს.

გალაკტიონი მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნით გამოდის სამწერლო ასპარეზზე. საკუთარ წუხილს თუ სიხარულს საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს, სუბიექტურ განცდებს ფართო განზოგადებას აძლევს. იგი მხოლოდ პირადი სიამოვნებისთვის როდი მღერის. მგოსნის სურვილია, ხალხი უსმენდეს, ესთეტიკურად ტკბებოდეს და სულიერად მაღლდებოდეს. ამიტომაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლექსთა დროულად პუბლიკაციას.

ნაწარმოებთა დაუბეჭდაობას თუ დაგვიანებით გამოქვეყნებას მგოსანი ძალზე მტკივნეულად აღიქვამს. ღელავს,რომ სათანადოდ ვერ დაუპყრია მკითხველი. ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია სიდიადე სახელი. არადა, კარგად გრძნობს, რომ მისი ნაწარმოებები ახალგაზრდა პოეტთა ლექსებზე უკეთესი თუ არა, უარესი ნამდვილად არ არის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რედაქციების დროებითი დუმილი შემოქმედებით ცეცხლს უნელებს ჭაბუკს. ამიტომაც ბობოქრობს.

კაცმა რომ თქვას, გალაკტიონს არ დასჭირვებია მაღალი ღობის გადარღვევა, რედაქციის კარის შემტვრევა. ჟურნალ-გაზეთები თავიდანვე კეთილად შეხვდნენ, რაც პოეტის ხალასი ნიჭით იყო პირობადადებული.

ცალკეული შეფერხებები კი მაინც არსებობს და გალატიონიც ღიზიანდება, ცდილობს დროზე გაამჟღავნოს გულისნადები, არც ერთი ნაწარმოები არ დარჩეს დაუბეჭდავი. ბევრი აქვს სათქმელი და შიშობს, არაფერი დაეკარგოს.

დავესესხებით გალაკტიონის ერთ უცნობ ბარათს, რომელიც მხრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას.

„დიდად პატივცემული ბ. რ.

გიგზავნით ოთხ ლექსს, რომელიმე მათგანი მგონია იპოვის ადგილს თქვენს ღრმად პატივცემულ გაზეთში. მე ჩემი მხრით „ია“ საუკეთესოდ მიმაჩნია ამ ოთხში და გთხოვთ ნუ დააგვიანებთ მის დაბეჭდვას. ამ დაგვიანებამ და დაუბეჭდაობამ ლამის სულ მიმატოვებინოს წერა. არის წამი, როცა კარგ რამესა ვწერ (მაინც და მაინც მე ასე მგონია), მაგრამ უეცრად ვფიქრობ, რომ ის არ დაიბეჭდება და იძულებული ვარ მივხიო-მოვხიო ეს ჩემი ავლადიდება. არც ისე მაქვს სახელი მოპოვებული, როგორც სხვა ახალგაზრდა მგოსნებს, და არც ისე ვარ, რა თქმა უნდა, მიღებული, თუმცა ვწერ დიდი ხანია.

თქვენს პატივსცემულ გაზეთში მე მსურს სისტემატურად წერა. თუ ეს თქვენი ნებაც იქნება, ცოტა ნიჭის ზრდას თუ მაინც ამჩნევთ ჩემში. ჩემი თანამშრომლობა ხშირად არ იყო დღევანდლამდე მკვიდრი, თქვენგან კი ველი სრულს სიმპატიას და მფარველობას.

გიგზავნით მარკას. ველი წერილს მოუთმენლად. გაზეთს, რა თქმა უნდა, უფასოდ გამომიგზავნით.

თქვენი მარადის გ. ტაბიძე“.

ეს ბარათი დაწერილია 1911 წელს, როცა გალაკტიონი ფარცხნალში მუშაობს მასწავლებლად. სოფელში ჩაკეტილი ახალგაზრდა ცდილობს გაარღვიოს ერთფეროვნების ბურუსი,

თავი დააღწიოს მარტოობას, მთელი გატაცებით მიეცეს პოეზიას, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მისი ლექსების დასტამბვა ზოგჯერ ყოვნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი საგულისხმოა იმითაც, რომ მასში მოხსენებული ლექსი „ია“. გალაკტიონის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში ასეთ ნაწარმოებს ვერ მივაკვლიეთ. იქნებ შემდეგ შეუცვალა სათაური? არც ეს ჩანს. უფრო საფიქრებელია, რომ იგი დაიკარგა.

ამ ბარათით გალაკტიონი წარმოგვიდგება მშფოთვარე, თავდადებული შრომისთვის გამზადებულ პიროვნებად, რომელიც კუთვნილ ადგილს მოითხოვს.

ახალგაზრდა პოეტი ძალზე მტკივნეულად განიცდის ყოველ მარცხს, წაბორძიკებასაც კი. „საშინელება ის არის, რომ ასე მოუმზადებელი ყოველ ნაბიჯზე ვმარცხდები და ვმარცხდები... ვერაფერი გამიკეთებია ხეირიანი“. სიღარიბე სულს უშხამავს, გვერდით მყოფთა ცინიზმი ანადგურებს.

ბევრი ვერ მიმხვდარა, თუ რა სამხილი წვავს პოეტს. ბევრს არ ესმის ლიტერატურისადმი მისი მსხვერპლშეწირვა. ეს მოქუფრული ატმოსფერო კარგად გამოხატა გალაკტიონმა შემდეგ სტრიქონებში:

„წადი, იარე... ენახოთ სანამდე
გაგაყვება ფიქრი ფერად-ფერადი.
თვითონ აკაკის რა ხეირი აქვს,
რომ შენა გერგოს... იარე, წადი!“
ბარათაშვილის პანგი მწუხარე
ვერ დააფასა სამშობლო მხარემ
და განდევნილი უცხოეთისამ
სულ-აღგზნებული შთანთქა სამარემ.
ვინ იცნო ქნარი გურიელისა,
ყურს ვინ უგდებდა მწუხარე ხმასა?
და შენ სიმღერას ვინ დააფასებს,
სხვები თუ არვინ არ დააფასა?!“

პოეტს არსებითად მაინც ვერ ამუნჯებს წინააღმდეგობა-დაცინვა. მისთვის თავიდათავია გულისნადების გამოთქმა, პირადი წამების ახმიანება. გალაკტიონს უკვე შეცნობილი აქვს თავისი, როგორც მგოსნის, მისია და არჩეული გზიდან გადახვევა სიკვდილის დარად ესახება.

გარკვეულ შემთხვევაში დიდი საქმე მარტვილობას მოითხოვს. ვისაც უნარი არ შესწევს თავგანწირვისა, მას გამარჯვების იმედიც ნაკლებ უნდა ჰქონდეს. ეს იცის გალაკტიონმა. მაგრამ

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მგოსანიც მოკვდავია. გალაკტიონს ცხოვრებასთან ჭიდილი უძნელდება. თითქოს ბრძოლის უნარიც შეუსუსტდა. ძმისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „ვერ წარმოიდგენ, რანაირად დავიღალე, საშინლად დავიღალე. იმის მეტს არაფერს ვისურვებდი, რომ ეხლა ვინმე ფეხზედ წამომაყენებდეს და სიცოცხლეს დამანახვებდეს. საშინლად დავიღალე... საკუთარი სიცოცხლეც ვერ მომიწესრიგებია ხეირიანად, ისე, როგორც მსურს; ერთი დამხმარეც კი არ მყავს იმაზე, რაცა მსურს, მე კი დავიღალე, საშინლად დავიღალე“... ამას წერს 20 წლის ახალგაზრდა, რომელსაც დიდი და რთული გზა აქვს გასავლელი.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, გალაკტიონი თავაუღებლივ მუშაობს. თითქმის ყოველდღე თხზავს. ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნისას დაიწყო იბსენის „ბრანდის“ თარგმნა. ამის შესახებ ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ აპრილშივე აუწყა მკითხველებს. ფარცხნალში კვლავ მიუბრუნდა ნორვეგიელ დრამატურგს, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა. ამჯერად ბაირონმა გაიტაცა და „ოსკარ ალველის“ გადმოქართულებას მიჰყო ხელი. 120 სტრიქონი გამართა კიდეც.

თავიდათავი მაინც ლირიკაა და ივსებს ფურცლები პოეტური აღსარებებით. სწორედ ფარცხნალში დაიწერა „ჰამლეტის ქნარით“.. მას ასეთი ეპიგრაფი აქვს: „ვუძღვნი საშინლად ლამაზ მონაზონ ქალს, თავადის ასულს მარიამს“. აქვე შეითხზა „დარიალის ვიწრო კლდეებში“, „გაზაფხულდა“ და სხვ.

მეორე მხრივ, გალაკტიონი კითხულობს თითქმის ყველაფერს, რაც ხელთ ჩაუვარდება. წიგნზე მუშაობაშიაც გამორჩეულია – დაფიქრებული და განმზოგადებელი. ნაწარმოების არა მხოლოდ ძირითად პათოსს და იდეურ-მხატვრულ ღირებულებას აცნობიერებს, არამედ კონკრეტულ სახეებსაც აანალიზებს; იწერს ღირსშესანიშნავ სტრიქონებს, აფიქსირებს ცალკეულ გამოთქმებს და სხვ. რაც მთავარია, ყოველთვის განმზრეკი და კრიტიკულია. ეს ის გზაა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მოსდევს დაწუნებულის საპირისპირო ვარიანტის შეთხზვა. მაშასადამე, საქმე გვაქვს წრთობის თავისებურ ხერხთან.

გალაკტიონს წაუკითხავს 1910 წლის „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი ბ. ახოსპირელის ლექსი „პოეტს“ და ხაზებით აუჭრელებია. მოვიტანთ ერთ მაგალითს. ბ. ახოსპირელი წერს:

„მაშ უსულოდ ნუ დაკრავ თითს,
ოქროს ჩანგის ტურფა სიმებს;
დასწვი გული გრძნობის ცეცხლში,
დე, ნუროდეს გაილიმებს!"[4]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონს გადაუხაზავს ეპითეტი „ტურფა" და სტრიქონის გასწვრივ კითხვის ნიშანი დაუსვამს. მისი შენიშვნა მართებულია. „ტურფა სიმები", სხვას რომ თავი დავანებოთ, უხერხული გამოთქმაა.

როცა ფარცხნალის ოდისეას ვიხსენებთ, რამდენიმე გარემოებაზე კიდევ გვმართებს შეჩერება. ამ სოფელში გალაკტიონი, როგორც მოქალაქე და ინდივიდი, პირველად აღმოჩნდა ცხოვრების პირისპირ. მეურვეობა გაქრა. ახლა თავად უნდა მიეღო კონკრეტული გადაწყვეტილებები; უშუალოდ უნდა ეპასუხა მტრისა თუ მოყვრისათვის. ამდენად, ცხოვრების უფრო მძაფრად და მრავალმხრივ შეცნობა ხდება.

მეორე, როგორც აღინიშნა, გალაკტიონი „თეატრისა და ცხოვრების" რედაქტორს პირდებოდა ფოლკლორული ნიმუშების შეკრებასა და მიწოდებას. ჟურნალში მსგავს ვერაფერს მივაკვლიეთ. შეიძლება ფიქსირებას და გაგზავნას ვერ ახერხებდა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ხალხური შემოქმედებისადმი ინტერესის გაქრობას. საფიქრებელია, რომ ახალგაზრდა მგოსანი გულდაგულ ეცნობოდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს და ბევრ რამეს იბეჭდავდა გონებაში.

ყოველივე ეს გალაკტიონის პოეტური ზრდის ერთ-ერთი საფუძველი იყო. უფრო მნიშვნელოვანი მაინც სხვა არის. ფარცხნალის გარემომ რომანტიკული წარმოსახვა გაუმძაფრა. ბევრს დადიოდა ხარაგოულის შემოგარენში. აკი წერდა: ბინის კარი გამოვიკეტე, თავისუფალ დროს მთებში ვატარებო.

უღრანი ტყეები, თვალწარმტაცი ბორცვები, მკაცრი კლდეები, მობუტბუტე წყაროები და მოხხრიალე ნაკადულები მგოსნის აღმაფრენას იწვევდა. ყოველივე ეს აირეკლა კიდეც შემოქმედებაში. ვფიქრობთ, პოემათა ბევრი დეტალი, ბუნების სურათები ფარცხნალით უნდა იყოს შთაგონებული. ამ პერიოდის ნაწერებში არაერთგზის გაიელვებს სახელი კახორი. მაგალითად:

„ნანგრევი მოსჩანს კახორის მთაზე
სევდით სავსე და მიუსაფარი...
იქ არ მომკვდარა ჯერ სილამაზე
ღალატის მსხვერპლი, ღალატით მკვდარი".

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1910, №37, გვ. 3.

ეს სტროფი უცნობი ნაწარმოებიდან – „ლეგენდიდან“ არის ამოღებული.

კახორი რომანტიკული ბლონდითაა მოცული და შეიძლება ბევრისათვის გაუგებარიც აღმოჩნდეს. არადა, იგი ეწოდება უზარმაზარ მთას, რომელიც ხარაგოულის მიდამოებს გადმოჰყურებს. მთის წვერზე წმინდა გიორგის ეკლესიაა. ვარაუდობენ, რომ აქ ადრე მთვარის საკულტო ნაგებობა იყო. როგორც ირკვევა,კახორმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პოეტზე. გალაკტიონისათვის იგი ძლიერისა და ამაღლებულის, უჩვეულოსა და მომხიბვლელის სინონიმად იქცა. ამაზე მიგვანიშნებს 1940 წელს შეთხზული პოემის „აკაკი წერეთლის“ ერთი სტროფიც:

„და ეძახის გორას – გორი,
წკრიალა ხმით – მინასწორი,
ერთურთს გაეხმაურება
სხვა გომბორი და კახორი“[1].

ფარცხნალში გალაკტიონი, თუ ძალზე ხმამაღლა არ არის ნათქვამი, თითქმის შეერწყა ბუნებას. საერთოდ, ბუნებასთან მისი კავშირი სცილდება ჩვეულებრივი მოკვდავის მიმართებას გარემოსთან. მგოსნისათვის ბუნება მხოლოდ ტკბობის საგანი როდია. იგი გარკვეულ ასოციაციებს ბადებს, ორიგინალურ პოეტურ სახეებს კარნახობს.

ბუნებასთან მწერლის დამოკიდებულების საკითხი თავისთავად განშტოებულია. რამდენად ზუსტად და ღრმად ასახავს კონკრეტულ გარემოს, რამდენად მკვეთრი და ფაქიზია სურათები; როგორი სიღრმითა და ინტენსიურობით მეღავნდება განცდა,როგორ უკავშირდება პეიზაჟი პატრიოტიზმის გამხელას და ა. შ. და ა. შ.

თავიდათავი მაინც ის გახლავთ,ესმის თუ არა პოეტს ბუნების ენა. ხარაგოულის პერიოდი ამ მხრივაც მოითხოვს დაკვირვებას. მართლაც, ძალზე საინტერესოა, თუ როგორ სწავლობდა გალაკტიონი ბუნების ენას, როგორ იფაქიზებდა სმენას, როგორ იმახვილებდა კოსმოსის საიდუმლოებაში წვდომის უნარს.

გალაკტიონი მინდიასავით აღიქვამდა სამყაროს. ყურს უგდებდა მცენარეებსა და ჩანჩქერებს, ესაუბრებოდა და ეფოფინებოდა მათ, სულის თანაზიარად ხდიდა. მაგალითები? ინებეთ:

„წუხელი,ღამით ქარი დაჰქროდა

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. IX, გვ. 21.

და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა;
მე მქონდა ბინა, თავშესაფარი,
მაგრამ ქარიშხალს არ ჰქონდა ბინა.
ხან კარებს უკან ატირდებოდა,
ხან დარაჯობდა სარკმელის წინა.
გადამიშალა თვალწინ წარსული
და მწარედ, მწარედ ამაქვითინა"[1].

ან

„დამჭრეს! ეს მე ვარ! ეს მე ვარ, ქარი.
გამიღეთ კარი, გამიღეთ ჩქარა!
მე მომდევს ცივი საშინელება,
მე მომდევს ჩემი ცოდვილი გული..."[2]

იშვიათი პერსონიფიკაციაა, სტიქიისა და პიროვნებას უჩვეულო დაახლოება. მავანთა და მავანთა მოგონებებში საგანგებოდ მახვილდება ყურადღება ბუნებასთან გალაკტიონის კავშირზე.

დროის ისარს თითქმის ნახევარი საუკუნით გადავწევ და ორი მეტყველ ფაქტს დავესესხები. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გიზო სიხარულიძემ გვიამბო: 1957 თუ 1958 წელია, ზაფხულის მიწურული. მთელი ოჯახით მანგლისიდან ვბრუნდები. შუალემეზე ავიბარგეთ და აისი იქნებოდა წყნეთს რომ მივუახლოვდით, პიონერთა ბანაკიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, დიდი თავქვეს დასაწყისში თეთრი წერტილი შევნიშნეთ. ვუახლოვდებით, საყვირი ავაბუბუნეთ. ის კი ნირს არ იცვლის, ჩვეულებრივ აგრძელებს გზას. შოფერი სამუხრუჭე პედალს აწვება... გაბმული სირენა და მგზავრი ოდნავ ინაცვლებს მარჯვნივ. არავითარი შეშფოთება, არავითარი ყურადღება... გავუსწორდით და ყველას ერთბაშად აღმოგვხდა: – გალაკტიონი!

თეთრ გრძელ საცვალში იყო. პერანგი ჭიპამდე ჩახნოდა. თავაწეული მიაბიჯებდა და ვიგრძენით, სხვა სამყაროში გადავარდნილიყო.

როდის ადგა, რატომ აუყვა ზევით, რას ესწრაფვოდა?.. კითხვები არ გვასვენებდა.

მართლაც, ძნელია ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის მოძიება.

იქნებ ეს კიდევ ერთი გაქცევა იყო ჩვეულებრივი ყოფიდან და

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 199.

[2] იქვე, ტ. II, გვ. 28-29.

ბუნებასთან შერწყმის სურვილი?

ვინ იცის!

ახლა მოვუსმინოთ ლიტერატორ ცისანა გენძეხაძეს.

საშუალო სკოლა დავამთავრე და ზაფხულს ჭყონდიდში ვატარებდი. მეშახტეთა სახლი, სადაც ჩვენ ვბინადრობდით, გალაკტიონის აგარაკს გაჰყურებდა. მე ერთ–ერთი იმათგანი ვარ, რომელიც გალაკტიონის ლირიკით ცოცხლობდა და ცოცხლობს. ბუნებრივია, აჩრდილივით დავდევდი პოეტს. უთენია დგებოდა და ტყეში მიდიოდა. დროდადრო შეჩერდებოდა და ჯიუტად შესცქეროდა კენწეროებს. მეც ასე ვიქცეოდი, მაგრამ უჩვეულოს ვერაფერს ვხედავდი. ერთხელაც ავედევნე. წინადღის ნაწვიმარი იყო. ვხედავ, გალაკტიონი რინდდება. წელში იხრება და ყური მიწასთან მიაქვს. ამ პოზაში საკმაო ხანს რჩება. იღიმება და ტუნებს აცმაცუნებს. მერე მხრებში სწორდება და შლეგის ნაბიჯებით გარბის.

რა მოხდა?

როგორც კი თვალს მიეფარა, იმ ადგილს მივაშურე, სადაც ორიოდე წუთის წინ იდგა. გულმოდგინედ ვუკვირდები ყველაფერს. წამი. კიდევ წამი... და საოცარი ფშვინვა მომესმა. მიწა გაიპო და სოკომ ხმაურით ამოყო თავი. მეორე, მესამე... ახლა კი მივხვდი, თუ ვის ესაუბრებოდა გალაკტიონი.

ამგვარი მოგონებების ფიქსაცია შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ ცხადზე ცხადია – გალაკტიონს ნამდვილად ესმოდა ბუნების ენა. ამიტომაც უფლება ჰქონდა წვიმის წკრიალი მგოსნის ხმისათვის შეედარებინა.

„აფხაზეთის წვიმა მიყვარს,
იცი რად?
მგოსნის ხმა აქვს, როს ფოთლებზე
ხმაურობს.
ჟღერს მაისის მწვანე ჩანგი
და წკირად
მახზე ზვირთი დადის და –
მოგზაურობს.
მიიმღერა, მიიმღერა
აქ ხვითომ...
აფხაზეთის წვიმა მიყვარს
ამიტომ...“[1]

---

[1] ბ. ტაბიძე, თხზ., ტ. VI, გვ. 146.

ეს სიტყვები 1949 წელს არის დაწერილი, მაგრამ ბუნების ხედვის მისეული „მეთოდი“ ადრევე მუშავდებოდა.

ბუნება მგოსნისათვის უმდიდრესი წიგნი იყო, ამდენად, ახალი ახალი გაოცების საწყისი, ამასთანავე მძლავრი შემოქმედებითი იმპულსების დაუშრეტელი წყარო.

გალაკტიონი ბუნებას აღიქვამდა, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, რომლის ზეგავლენა მისტიკურიცაა, მაშასადამე, არცთუ ყველასათვის გასაგები. ბუნების საიდუმლოების წვდომა პიროვნებისაგან განსაკუთრებულ ხედვასა და სმენას მოითხოვს.

პარალელი: – ერთ ხეირიან სტრიქონსაც ვერ დაწერ, თუ ვერ გრძნობ მზის ამოსვლის სიდიადეს, თუ ვერ აღიქვამ ჩიტების ჭიკჭიკის ჰარმონიას; თუ არ გესმის, როგორ იშლება ყვავილები...

ეს სიტყვები XX საუკუნის უდიდეს პოეტს რ. რილკეს ეკუთვნის, რომელთანაც გალაკტიონს ბევრი რამ აახლოებს.

***

გალაკტიონის პედაგოგიური მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთი წლის შემდეგ სკოლა დაიხურა და ახალგაზრდა მასწავლებელი ქიმს მიღმა აღმოჩნდა. ეს ფაქტი მტკივნეულად აღიქვა პოეტმა, რაც გაამჟღავნა კიდეც პატარა ფელეტონში. ამ ნაწარმოებში გალაკტიონმა თედო ჟორდანიასაც გაჰკრა კლანჭი.

„ძვირფასო თედო,
როგორ გვაჟრჟოლებს,
შენს წასვლისთანავე
გვიკეტენ შკოლებს.
ვაი ამ შავ ბედს...
უი ამ ყოფას...
ვიტანთ და ვიტანთ
შეურაცხყოფას“.

ფელეტონი „სამრევლო შკოლები იმერეთში“ იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ გალაკტიონის კიდევე ერთ თვისებას ავლენს. პოეტი პირადი შეჭირვების მიზეზებს უფრო მეტად სხვებში ეძებდა, ვიდრე საკუთარ თავში.

გალაკტიონი კვლავ თხოვნით მიმართავს სამრევლო სკოლების საბჭოს:

„В виду закрытия парцхналской школы за неудобства помещения и из-за крайное индифферентивное отношение сельчан к ней...

прошу дать возможность занять место учителя в другой школе, более благоустроенной".

გაბრძოლება უშედეგო აღმოჩნდა.

აქ ერთ საკითხზეც გვმართებს ყურადღების გამახვილება. პოეტის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ გალაკტიონი 1911 წელს მცირე ხნით ბათუმის მახლობლად მასწავლებლობდა. ზოგნი აზუსტებენ თარიღს – ოქტომბერშიო. ეს მტკიცება სიმართლეს არ შეეფერება. შეცდომა მომდინარეობს ერთი სიტყვის არასწორი წაკითხვისაგან.

1911 წელს რაისა ჩიხლაძისადმი გაგზავნილ ბარათში პოეტი აღნიშნავს: „ჩემი ადრესი ხომ იცი: ст. Белогор, учителю Г.Т. ბელაგორი ბათუმად წაიკითხეს და გაუგებრობაც აქედან მოდის.

სამწუხაროდ, ეს ლაფსუსი არაერთგზის იჩენს თავს. მაგალითად, ჟურნალ „ჭოროხში" დაბეჭდილ ერთ საინტერესო სტატიაში ვკითხულობთ: „იგი აჭარაში მასწავლებლობდა 1911-1912 წლებში. ჩვენი აზრით, სოფელ ყოროლისთავში. აქ იგი შემოქმედებითი შთაგონებთა და ძალებით ივსებოდა, ქმნიდა ლექსებს, ამასთან, ბევრს"[1].

არავითარი ამის მსგავსი. გალაკტიონს, გარდა ფარცხნალისა, არსად უმუშავნია პედაგოგად. ოქტომბერში იგი ქუთაისშია, „კოლხიდის" რედაქციაში.

გალაკტიონი ცდილობს დამკვიდრდეს დასავლეთ საქართველოს ამ უდიდეს ქალაქში და მთელი ძალა, ნიჭი ლიტერატურულ საქმიანობას შესწიროს. იგი გაზეთ „კოლხიდის" რედაქტორ-გამომცემელს ა. ჭუმბაძეს სწერს: „მე მასწავლებელი ვიყავი, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დღეს უადგილოდ ვრჩები. არავინ არ გამაჩნია, რომ ვთხოვო, მაგრამ შრომა, ღვთის წყალობით, შემიძლია. თუ რაიმე ადგილი გაქვთ „კოლხიდის" რედაქციაში, იმედი მაქვს, არ დამიჭერთ. ამით შესაძლებლობას მომცემთ ვიარსებო. შემიძლია ყველაფერი: თარგმნა, წერა, სწორება. მაქვს უნარი გულმოდგინეთ შრომისა, რასაც დამავალებთ, ყველაფერს შევასრულებ. მეტყვით, მთელ დღეს ვიშრომებ შეუსვენებლად. როგორც ლიტერატორი ცნობილი არ ვარ, მაგრამ როგორც მშრომელი, ნაკლს შევავსებ".

გალაკტიონი „კოლხიდის" რედაქციაში მიიღეს. უმეტესად

---

[1] იოსებ ბექირიშვილი, აჭარა, ცხადი იქნების თვალ-მარგალიტთა აჭარა!.. ჟურნ. „ჭოროხი", 1992, №4-5, გვ. 127.

კორექტურას კითხულობდა. ქრონიკის შედეგანასაც ავალებდნენ.

მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა. მასწავლებლობას რედაქციაში მუშაობა ურჩევნია. აქ მისთვის სასურველი ატმოსფერო მაინც არის. 1911 წლის 7 ოქტომბრით დათარიღებულ ბარათში გალაკტიონი ძმას სწერს: „მე მოვეწყვე.20 მანეთს ვიღებ და ხუთს ოთახში ვაძლევ. მარა საქმე ისაა, რომ ერთნაირად ვერასდროს ვერ ვიღებ ფულს. ხომ იცი რედაქციის საქმე – ხან არის ფული და ხან არა. ვმუშაობ დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდის, რომ დასვენება არ მაქვს. შენი წერილიდან ვტყობილობ, რომ პოემა „თემში" მიგიტანია. როგორაა საქმე? ბეჭდავენ თუ არა? მე აქ „კოლხიდაში" მალე პოემა „სატანას" მოვათავსებ. შენც ეცადე მანდ. ამ წელიწადში თუ ვერაფერი გავაწყვე, მერე წასულის ჩემი საქმე".

აქ კარგად ჩანს გალაკტიონის დაოკებლობა,სურვილი ბევრის მოსწრებისა. ამგვარმა განწყობამ მნიშვნელოვნად განაპირობა მისი პროდუქტიულობა.

„კოლხიდის" რედაქციაში გალაკტიონი დიდხანს არ დარჩენილა. როგორც ირკვევა, იგი ვერ შეეწყო გაზეთის ხელმძღვანელობას. ეს ჩანს მისი პატარ-პატარა იუმორისტულ-სატირული ლექსებიდან და პირადი წერილებიდანაც. „...ამ ორი-სამი კვირის წინათ „კოლხიდის" რედაქციასთან უკმაყოფილება მომივიდა და გამოვედი... ეხლა „მნათობის" რედაქციასთან ვარ და, წარმოიდგინე, უფრო მეტსაც მაძლევენ, ვინემ „კოლხიდაში". ამას დაუმატეთ ის მორალური მოპყრობა ყველასთან, როგორც საზოგადოდ სოციალ-დემოკრატებს სჩვევიათ, გაიგებ თუ რა პირდაპირი ადგილია ის ჩემთვის. იქ კი სილოვანიდან (სილოვან ხუნდაძე – ნ.ტ.) დაწყებული რომელიმე ბარტყამდე ყველა ბატონობას ჩემობდა. მე, რა თქმა უნდა, ბატონობა ძალზე მეზარება და ეს იყო მიზეზი".

გალაკტიონი ამხნევებს ძმას: საგანგაშო არაფერია,მე კარგად ვარ, დარდს ნუ მიეცემიო. სინამდვილეში სულ ასე როდია. სამსახურის მიტოვების მიზეზიც არ არის ზუსტი.

არქივმა შემოგვინახა „კოლხიდის" რედაქციის ხელმძღვანელთა ბარათები. პატარა ფურცელზე სახელდახელოდ დაუწერიათ: „გალაკტიონ და გუცა! (გრიგოლ ფარქოსაძე – ნ. ტ.) არ იქნება ასე უყურადღებობა. თუ ღმერთი გწამთ, რიგიანათ". მეორე ბარათი, ისევ გაკრული ხელით გამოყვანილი ასოები: „გალაკტიონ, ამოდი აქ ერთ წამს და ეს ყმაწვილი დარჩება

კორექტურასთან". სხვა მასალებიც გვარწმუნებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში გალაკტიონი გულს ვერ უდებს კორექტურას, რაც რედაქტორის უკმაყოფილებას იწვევს.

მსოფლიო სევდით შეპყრობილი პოეტი, რომელიც თრთოლვით განიცდის ყველაფერს და არცთუ იშვიათად გარბის რეალობიდან, რათა ოცნებას შეაფაროს თავი, ალბათ ვერ იქნებოდა კარგი კორექტორი. არადა, გაზეთს თავისი წესი და კანონი აქვს. კორექტორისაგან საგულდაგულო სიფხიზლესა და ტექსტისადმი ჩაკირკიტებას მოითხოვენ. გალაკტიონს კი ეს ნაკლებ ხელეწიფებოდა, რაც აპირობებდა საყვედურთა სიხშირესა და მდგომარეობის დაძაბვას.

ამ ფაქტის მხოლოდ ერთი განზომილებით წარმოჩენა სწორი არ იქნებოდა. მართალია, გალაკტიონს სამსახურის დაკარგვის საფრთხე ემუქრება, რაც თავისთავად ძალზე სამწუხაროა, მაგრამ არანაკლებ სავალალოა ისიც, რომ რედაქციის ხელმძღვანელებთან შეხლა-შემოხლა პოეტის სულიერ აფორიაქებას, გაღიზიანებასა და, საბოლოოდ, მისი ნერვული სისტემის შელახვას იწვევს.

ნამდვილად არ ულხინს პოეტს.

1913 წლის ავტოგრაფიულ ჩანაწერში ეკითხულობთ: „სემინარიიდან გამორიცხვის შემდეგ მე მასწავლებლად ვიყავი სოფელ ფარცხნალში... მაგრამ შემდეგ თავი დავანებე ამ საქმეს და თავი შევაფარე ჯერ გაზ. „მნათობისა" და მერე გაზ. „ცხოვრების" რედაქციებში.

ხსენებაც არ არის „კოლხიდისა". ეს მხოლოდ იმით კი არ აიხსნება, რომ დასახელებულ გაზეთში მცირე ხნით მუშაობდა, არამედ რედაქციასთან არასასურველი დამოკიდებულებითაც.

„მნათობშიაც" მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. როგორც ითქვა, ძირითადად კორექტურას უძღვებოდა და დროდადრო მოკლე შენიშვნებს აქვეყნებდა. ისინი ხელმოუწერელია. ამიტომაც ჭირს გალაკტიონის ნაღვაწის გამოვლენა.

იმის დაბეჯითებით თქმა კი შეიძლება, რომ ქვემოთ მოტანილი ინფორმაციები გალაკტიონისაა. „სოფ. ჭყვიშში (ქუთ. მაზ.) ერთკლასიანი სამრევლო შკოლა ორკომპლექტიან შკოლათ გადაუკეთებიათ, ამასთანავე შესდგომიან შკოლის შეკეთებას"[1].

ასევე: „მ. ბოჭორიშვილს დაუწერია ორიგინალური პიესა 4 მოქ. „მიდია"[2].

[1] გაზ. „მნათობი", 1911, №69.

[2] იქვე.

პირველი ფაქტი ამოღებულია დედის წერილიდან, მეორე კი მეგობრის ბარათიდან.

სავარაუდოა, გალაკტიონს ეკუთვნოდეს ინფორმაციები, რომლებიც აგურის ქუჩის მოუწყობლობასა და ვრჟულის გორაზე მცხოვრებთა გაჭირვებას შეეხება (№47, №75).

„მნათობმა“ სამი თვე-ნახევარის იარსება. გალაკტიონი კვლავ ცისა და მიწის შუა გამოკიდებული აღმოჩნდა.

1911 წლის მოვლენებიდან ძალზე საყურადღებოა 5 ოქტომბრის ამბავი. ამ დღეს გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც აკაკისთან ერთად გალაკტიონიც მონაწილეობდა. პირველი განყოფილება ყარიბს (პ. გელეიშვილს) დაეთმო. მან თანამედროვე ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაზე წაიკითხა რეფერატი და, როგორც იტყვიან, მუსრი გაავლო ახალგაზრდა პოეტებს.

ლექტორმა ასეთი თვალსაზრისი განავითარა: ნამდვილი ხელოვანი „...არც ერთს კლასს არ ემსახურება და ამავე დროს ყველას, მთელ საზოგადოებას უწევს სამსახურსო. შეენიერების განცდა საჭირო და აუცილებელია როგორც მდიდრის ბუნებისათვის, ისე ღარიბისათვისო. ამიტომ ყოვლად შეუწყნარებელია პოეტის ნაწარმოების იმისთვის გაკიცხვა, რომ იგი განსაკუთრებული პარტიის, ჯგუფის ინტერესებს არ ემსახურება. ხელოვნური ნაწარმოები მხოლოდ ესთეტიური თვალსაზრისით ფასდებაო...“[1]

ასეთი გამოსვლები ფაქტობრივად სიმბოლიზმისათვის ნიადაგის მომზადებასაც გულისხმობდა, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

ახლა გალაკტიონს დავუგდოთ ყური: ლექციის შემდეგ აკაკიმ თავისი კლასიკური ლექსები წაიკითხა. აკაკის შემდეგ კი ჩემი რიგი იყო.

მე დავიწყე, მაგრამ ხმა მიკანკალებდა. უეცრად აკაკის დაკინებული შემოხედვა ვიგრძენი... აკაკი მიცქეროდა და...

ლექსი დამავიწყდა, უნდა გავჩერებულიყავი.

ციმა ოფლმა დამასხა...

ბედათ იმ რითმაზე, რომელზედაც გავჩერდი, მომაგონდა სრულიად ახალი რითმა, ექსპრომტათ, ავადმყოფური თავგანწირულებით ვქმნილი ახალ სიტყვებს, ახალ აზრებს,

---

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911, №155.

რომელშიდაც საერთოდ არა იყო რა,მაგრამ მე მსურდა სიტყვების კორიანტელით ამეხვია თვალი მაყურებლებისათვის. ცდა საუკეთესოდ დაგვირგვინდა. არც ერთს დამსწრეს არ შეუტყვია და არ უგრძვნია ჩემი კრიტიკული მდგომარეობა"[1].

თქვენი არ ვიცი და მე ეს დეტალი პილიგრიმის მიერ იერუსალიმის პირველ ხილვას მაგონებს. სალოცავისადმი თვალის შეევლებით გამოწვეული უძლიერესი განცდები პიროვნების პარალიზებას იწვევს, მით უფრო, როცა ოცნების ხატი შენსკენაა მომართული.

ახლა, რაც შეეხება გალაკტიონის განცხადებას: ჩემი კრიტიკული მდგომარეობა არავის შეუმჩნევიაო. ვირწმუნოთ?

გაზეთ „კოლხიდის" თანამშრომელი წერს: „აქ საზოგადოებას შემთხვევა ჰქონდა გაცნობოდა ბევრს ახალგაზრდა მგოსანს: გ. ტაბიძე,ვ. რუხაძე,ქუჩიშვილი,გელა აბაშელი,ჩხიკვაძე,შარაშიძე..."[2]

დასახელებულთა შორის ყურადღების ღირსად მხოლოდ აბაშელსა და ქუჩიშვილს მიიჩნევს.

დანარჩენები? მათ „მორითმეებს" უწოდებს. „ასეთები განსაკუთრებით ამ საღამოს აშვენებდნენ ჩვენს სცენას"[3]. ამ გადაკვრამ ვ. რუხაძის აღშფოთება გამოიწვია[4].

ამჯერად გალაკტიონი საგანგებოდ არ გამოუყვიათ. სხვა დროს კი მისთვისაც გადაუკრავთ ლახტი. მაგალითად, 1913 წლის 24 ნოემბერს გამართულ ლიტერატურულ საღამოზე გალაკტიონის გამოსვლა ასე შეაფასა რეპორტიორმა: „გ. ტაბიძის ლექსები შინაარსის მხრით საინტერესონი იყო. წაკითხვით კი სუსტად წაიკითხა"[5].

სამწუხაროდ,ზოგიერთებს გალაკტიონი ცუდ დეკლამატორად მიაჩნდათ. შეიძლება მავანი და მავანი ახლაც ასე ფიქრობს: ეს უსამართლობაა. მოგისმენიათ „მთაწმინდის მთვარე"? როგორი ინტონაციით, შეყოვნებებით, თრთოლვითა და განუმეორებელი მოდულაციით წარმოთქვამს თითოეულ სიტყვას, ფრაზას... ნერვიული სუნთქვა ცხადზე ცხადია.

ლექსს ბევრი ამბობს, ზოგს ეს საქმე პროფესიადაც კი

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 232-233.

[2] გაზ. „კოლხიდა", 1911, №154.

[3] იქვე.

[4] გაზ. „მნათობი", 1911, №45.

[5] გაზ. „მერცხალი", 1913, №97.

გაუხდია, მაგრამ არაერთისთვის გაუგებარი რჩება გალაკტიონის შემოქმედების მრავალწახნაგოვნება, ნაირგვარობა და ყველა ნაწარმოებს ერთნაირად აჟღერებს. არადა, თითოეულ ლირიკულ ნაწარმოებს თავისი ნოტები აქვს, თუმცა ეს გამოხატული არ არის გრაფიკული ნიშნებით. იგი უნდა იგრძნოს და გაიგოს დეკლამატორმა, რაც ურთულესი საქმეა. გალაკტიონი პოეტი კი ხომ თავად ქმნიდა ამ ნაირგვარ ნოტებს, უფაქიზეს ნიუანსებს. ამდენად, ლექსის წაკითხვისას მათი გამჟღავნებაც უშეცდომოდ შეეძლო.

სხვათა შორის, მოგონებაში „როგორ კითხულობდა კაჩალოვი ჩემს ლექსებს" გალაკტიონი შენიშნავს: კაჩალოვის ბაგეებიდან „ფიცი" ისმოდა, როგორც მოქნეული ხმლის წკრიალი...[1]

მაშასადამე, ლექსის იდეას, აზრს დეკლამირებისას ადეკვატური ფორმა უნდა მოეძებნოს დიქციის, ტემბრის, მუსიკალური მახვილის თვალსაზრისით.

ჩანს, გალაკტიონს თეორიულადაც კარგად ჰქონდა გააზრებული მხატვრული კითხვის სპეციფიკა და პრაქტიკულადაც ხელეწიფებოდა ეს საქმე.

1912 წლის თებერვალში დაარსდა სოც.-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „ცხოვრება". ძველმა ნაცნობობამ გაჭრა და გალაკტიონი სამუშაოდ მიიღეს. მისი ხელმოწერით ვერც ამ გაზეთში ვხვდებით პუბლიცისტურ ნაწერებს, არადა, ნამდვილად აქვეყნებდა. მაგალითად, 26 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა შემდეგი ინფორმაცია: „ახალგაზრდა პოეტმა ტ. ტაბიძემ გადათარგმნა და გამოსაცემათ დაამზადა კრებული „რუსეთის ახალი მწერლობა". კრებულში მოთავსებული იქნება შემდეგ პოეტთა ნაწერები: კ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის, ანდრია ბელის, დ. მერეჟკოვსკის, თ. სოლოგუბის, ზინაიდა ჰიპიუსის, ივანოვისა და სხვ."[2].

ამ პერიოდში გალაკტიონსა და ტიციანს ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ისინი გულწრფელად უზიარებენ ერთმანეთს ფიქრებსა და ოცნებებს. „ცხოვრების" რედაქციაში ტიციანის ნაცნობებიდან მხოლოდ გალაკტიონი მუშაობს და ბუნებრივია, რომ ბიძაშვილის განზრახვაზე, რომლის შესახებაც არაერთგზის უსაბრიათ, მას მიეტანოს ცნობა.

ზემოფიქსირებული ინფორმაცია იმითაც არის საყურადღებო, რომ ახალგაზრდა ტიციანის ლიტერატურულ მისწრაფებებზე, გემოვნებასა და დაუღალავ მოღვაწეობაზე მიგვანიშნებს.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 224.

[2] გაზ. „ცხოვრება", 1912, №21.

„ცხოვრების“ რედაქციაში თანამშრომლობა სხვა მხრივაც ალმოჩნდა მომგებიანი. სწორედ ამ გაზეთის მეშვეობით ამცნო გალაკტიონმა ფართო საზოგადოებას პირველი წიგნის გამოცემის სურვილი.

„ცხოვრება“ მარტში დაიხურა (გამოვიდა 33 ნომერი) და გალაკტიონის წინაშე კვლავ მთელი სიმწვავით დაისვა არსობის პურის მოპოვების საკითხი.

მაშ ასე! გალაკტიონი ქუთაისშია და სხვადასხვა რედაქციაში მუშაობს. ერთხანს მხარში უდგას სერგო გერსამიას, რომელიც სატირულ-იუმორისტულ ალმანახებს „მაშხალას“, „ეშმაკის მაშხალას“ და „ანკესს“ გამოსცემს.

ჩვენ მივაკვლიეთ გალაკტიონის ერთ უცნობ ნაწარმოებს და ამის შესახებ პირველმა მივაწოდეთ ცნობა ფართო საზოგადოებას. „ათიანი წლების ერთ ქართულ ჟურნალში დაიბეჭდა იუმორისტული ნოველა „ნამწვავები“. მას ხელს აწერს „გალაშკა“. ხსენებული ფსევდონიმი გალაკტიონს ეკითვნის. პოეტის არქივში ინახება ამ ნაწარმოების ავტოგრაფი, გადაწერილი და გასწორებული გალაკტიონის ხელით. საფიქრებელია, „გალაშკას“ ხელმოწერით სხვა ნოველებიც იყო გამოქვეყნებული ქართულ პრესაში“[1].

ჩვენს წერილს გამოეხმაურა ს. გერსამია. მან აღნიშნა, რომ გალაკტიონი უახლოეს მონაწილეობას იღებდა სატირულ-იუმორისტული ალმანახების გამოშვებაში. „იუმორისტული ამბავი „ნამწვავები“ გამოქვეყნდა „მაშხალაში“, მაგრამ რომელ ნომერში არ მახსოვს“[2].

დავაზუსტებთ: იგი დაიბეჭდა 1912 წლის „ჯოჯოხეთის მაშხალის“ პირველ ნომერში.

ეს ნაწარმოები საგულისხმოა არა მხოლოდ საზოგადოებრივი ტკივილების გამხელით,არამედ ავტობიოგრაფიული ელემენტების შემცველობითაც. იგი შეტანილი არ არის გალაკტიონის არც ერთ კრებულში,თხზულებათა აკადემიურ გამოცემაშიც. მოგვაქვს მთლიანად.

ნამწვავები

დილით ისეთი დაღვრემილი მივდივარ ხოლმე რედაქციაში, რომ კაცს შეყვარებული ვეგონები. გაივლის ხოლმე ლამაზი გოგონა,მომაცქერდება,მომაცქერდება და წყნარად წასჩურჩულებს ხოლმე ამხანაგს:

– გესმის, ეს ყმაწვილი შეყვარებულია!

– რა ვუყოთ – ეტყვის ამხანაგი – საერთო სენია, ეხლა ხომ

[1] „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1961, №133.

[2] იქვე, 1962, №2.

გაზაფხული დგება.

ეჰ, სულ სხვაგვარადაა საქმე. მე არც გაზაფხულზე მესმის რამე, არც შეყვარებული ვარ... მუდამ მშიერი... ხშირად თამბაქოს ფულიც კი არა მაქვს, მაგრამ როგორა გგონიათ, თქვენ? ეშმაკობასაც ვახერხებ: დიდის სიფაქიზით ვინახავ ხოლმე პაპიროსის „ნამწვავებს", რომ ჟამსა მას შინა უთუთუნობისასა მისალბუნოს, მიერთგულოს...

იმ დილით ძალიან ადრე ავდექი საწოლიდან, რადგან წინაღამით გადავწყვიტე, რომ სადმე უნდა ფული მეშოვნა უსათუოთ. ქალალდები რიგზე დავაწყე, და ის იყო რედაქციისაკენ უნდა გავდგომოდი გზას, რომ ოთახში მოსამსახურე გოგო შემოვიდა...

– ლიზა, შე წყეულო, რა ჟუჟუნა თვალები გაქვს-მეთქი – უნდა მეთქვა, მაგრამ იმან დამასწრო:

– ეს რამოდენა მტვერი დაგროვილა ოთახში, ბატონო! კლიტე დამიტოვეთ, რომ დავგავო.

გაწითლებულმა გავუწოდე გასაღები მოსამსახურე ქალს.

– ილო, შენ გენაცვალე, მასესხე ცოტა ფული... უფულენცია მჭირს...

შევეეედრე დეპეშის თარგმნაში ილაჯ-გამწყდარ ილიკოს... როდესაც დაღვრემილი შევედი რედაქციაში...

– არა მაქვს, ძმაო, არა მაქვს, აბა რა გიყო? – ხელების შლით მიპასუხა იმან... – აი, თუ გინდა ერთი შაური მაქვს.

ეურიკა! მეც ერთი შაური მაქვს, ამით მე თამამად შემიძლია პური ვიყიდო, მაგრამ პაპიროსი? სად ვიშოვო პაპიროსი?..

მართლა, სახლში ხომ „ნამწვავები" მაქვს შენახული, რაღა მიშავს, დღეს დაკმაყოფილებული ვარ...

გახარებულმა გავსწიე ბინისაკენ. შევაღე ოთახის კარები, ვეცი თაროს; სადღაა „ნამწვავები"?

– ლიზა, ლიზა!

– ბატონო! – შემოვიდა ოთახში მოსამსახურე გოგო.

– აქ მე ისინი მქონდა... ისინი...

– რა „ისინი"?

– აი იქ, თაროში...

– თაროში არაფერი არ ყოფილა, აქ მხოლოდ პაპიროსის „ნამწვავები" ეყარა...

– მერე, მერე?..

– რა მერე?

– რა უყავი იმ ნამწვავებს...

– რა თქმა უნდა, გადავყარე...

– გადაყარე?.. მართლა?.. – ძალიან კარგი გიქნია... ეხლა

გადი... განცვიფრებული ლიზა გულ-უბრყვილოთ მოშორებოდა, ვერ გაეგო თუ რაში იყო საქმე... იმისი თვალები ისე საუცხოვო იყო ამ წუთს.

– ლიზა, შე წყეულო, რა ჟუჟუნა თვალები გაჭეს-მეთქი – უნდა მეთქვა, მაგრამ ენამ მხოლოდ ეს წამოილულლულა:

– ბატონებო! ბატონებო! ყურადღება მიაქციეთ ჩვენი მწერლების აუტანელ მდგომარეობას-მეთქი...

დასასრულს იმასაც ვიტყვით, რომ გამორიცხული არ არის, გალაკტიონს ეკუთვნოდეს „მაშხალის" პირველ ნომერში გამოქვეყნებული „ახალი ამბები". ამას გვაფიქრებინებს პოეტის არქივში დაცული მსგავსი წკიპურტები, განსაკუთრებით სილოვანის წინააღმდეგ მიმართული.

საგულისხმოა, რომ გალაკტიონს განუზრახავს პატარა ჟურნალის – „სატირიკონის" დაარსება. განცხადებაც შეუდგენია, რომელშიაც ვკითხულობთ: „ჟურნალს თანამშრომლები ჰყავს ქ. თბილისში, ბათუმში, ფოთში და საქართველოს სხვა დაბა-სოფლებში".

ამ პერიოდში გალაკტიონი ქუთაისელ ინტელიგენტთა კორპორაციის ერთ-ერთი ძირითადი წევრია. მონაწილეობს ლიტერატურულ შეკრებებში,თავადაც მართავს პოეზიის საღამოს. მოგზაურობს დასავლეთ საქართველოს მაზრებში, უახლოვდება ხალხს და აცნობს მას თავის ლირიკას.

მგოსანი თუ არ გრძნობს, რომ მისი შემოქმედებით ინტერესდებიან, ფრთებმოკვეცილია. ამდენად, გასვლა რაიონებში, ფართო აუდიტორიასთან ურთიერთობა შემოქმედებითი ინტენსივობის ერთ-ერთი საწინდარია. ეს იცის გალაკტიონმა.

არასდროს დაავიწყდება ფოთში გამართული საღამო.

პატარა დარბაზი ტაშით ეგებება ახლაგაზრდა პოეტებს. გ. ქუჩიშვილი გრგვინავს, გელაც ბობოქრობს, გალაკტიონს კი გულგრილობის ზღვრამდე მისული სიმშვიდე დაუფლებია... პირველ რიგში წუხანდელი მეინახენი შენიშნა.

გუშინ ისინი სხვანაირნი იყვნენ. მათ საქციელს ძმაბიჭობიდან მომდინარე უშუალობა ეტყობოდა. დღეს კი მოწიწებას ამჟღავნებენ.

რატომ ხდება ასე?

გალაკტიონი ინტროსპექციამ გაიტაცა, ფიქრობს: სიახლოვეს სიშორე ბადებს და თუ გინდა სხვებთან იყო, მარტო უნდა იდგე. პარადოქსია? ღირს ამ პრობლემის კვლევა...

კონფერენსიემ გალაკტიონის გვარი გამოაცხადა და ფიქრიც

შეწყდა. კითხულობს გატაცებით, ენებიანად, ოვაციას საზღვარი არ აქვს. გიმნაზიელი გოგონა სცენაზე ამორბის და თაიგულს აწვდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს დამთავრების შემდეგ ჩაუქი შესახედაობის – კაცი გაეცნო: – ძუკუ ვარ,ლოლუა,ორი დღეა,რაც სოხუმიდან ჩამოვედი. თქვენი ლექსები სიმღერაა, უფაქიზესი მუსიკაო...

გალაკტიონმა იცის,რომ ძუკუ ხალხური ჰანგების შემკრებია. ბევრი სმენია მის გუნდზე. ამიტომაც პროფესიონალის შექება აღაფრთოვანებს.

მერე დიდხანს ფიქრობდა ლექსის მუსიკალობაზე. თავისი მოსაზრებები გელას გაუზიარა: ორი მხარეა საგულისხმოო. ერთ შემთხვევაში მუსიკალობა აზრის გამოხატვას შველის, დაქვემდებარებულია. მეორე შემთხვევაში იგი სიტყვაზე მაღლა დგას. მუსიკით გაცილებით მეტი ითქმის,ვიდრე სიტყვითო. ბლოკს დაესესხა და დაასკვნა: მისი არაერთი ლექსი მუსიკალური ნაწარმოებისთვის ნიშანდობლივი კონსტრუქციის გააზრებით არის აგებულიო.

მაშ ასე, 1912 წელი.

გალაკტიონი თავდავიწყებით არის შეყვარებული. ისიც უყვართ...

გალაკტიონს შეუფერხებლივ ბეჭდავენ...

გალაკტიონს ტაშითა და ყვავილებით ეგებებიან სცენაზე...

გალაკტიონი ქალაქის გამორჩეული პიროვნებაა...

და მაინც, იგი მჭმუნვარე, დაუკმაყოფილებელია.

საქმე ის არის, რომ გალაკტიონმა ააგო ოცნების კოშკი, რომელშიც მკვიდრად დაბინავდა. ერთმანეთს უპირისპირდება ირეალური და რეალური, თანაც პირველი გაცილებით მძლავრია. ერთგან გალაკტიონი ამბობს: „მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე... და რაც ოცნებებში განგიცდია მთელი არსებით, სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი?“[1] ეს უკვე გასაღებია, რომლის მომარჯვება აუცილებელია, რათა გალაკტიონის პოეზიის სიღრმეში შევაღწიოთ და ბევრი რამ ავხსნათ.

ბარემ გალაკტიონის ხასიათის რამდენიმე შტრიხიც წარმოვაჩინოთ. იგი ბევრის ღირსია და ცოტა ეძლევა. ყოველ ნაბიჯზე გრძნობს ცხოვრების სიმკაცრეს. მალე ზაფხული დადგება, ქუთაისი აივსება საზღვარგარეთიდან თუ რუსეთიდან დაბრუნებული სტუდენტებით. ისინი ყურადღების ცენტრში იქნებიან...

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 503.

ესეც აღიზიანებს. „...პირდაპირ შხამით აგევსება ადამიანს გული მათი ცქერით. მეტისმეტათ შურიანი რომ არ ვიყო, შეიძლება მეპატიებია ყველასთვის მათი სტუდენტობა და ჯანდაბები, მაგრამ...“[1]

ტკივილი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ გალაკტიონის დიდ ლტოლვას უმაღლესი სასწავლებლისკენ. ერთი ჩანაწერის მიხედვით, მას განზრახული ჰქონდა გრანდიოზული ლიტერატურული საღამოს ჩატარება. თავად შეუდგენია აფიშის ტექსტი: „გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო გ. ტაბიძის სასარგებლოდ, რომელიც პარიზში მიემგზავრება“.

ოცნება შორს მიაფრენა... მას თავი სენის ნაპირზე, ნოტრდამში სორბონოს უნივერსიტეტში წარმოიდგენია. მერე, ზაფხულზე მშობლიურ ქალაქში ჩამოდის და ქუჩებში ჩნდება აფიშები: „პარიჟის უნივერსიტეტის სტუდენტი გ. ტაბიძე წაუკითხავს ლექციას...“

როგორი უნიადაგოც არ უნდა ყოფილიყო ეს ოცნება, მაინც ძნელი იყო მასთან გამოთხოვება.

საკმარისია თვალი გადავავლოთ გალაკტიონის პირად ბარათებს, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს გაუბედავი, მორცხვი ახალგაზრდა, რომელსაც უძნელდება ადმიანებთან ახლოს მისვლა. ყასიდ ღიმილს ჯერ კიდევ ვერ შეჩვევია, არც მოჩვენებითი გულწრფელობის ინსცენირება ძალუძს. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი შინაგანი სამყარო თუ გიხსნის. შენს მიერ შექმნილ ციხე-დარბაზს თუ შეაფარებ თავს, თორემ დაიღუპები. გალაკტიონმაც შეძლო საკუთარი ტაძრის აგება: „მე აღვაგე ტაძარი, ტაძარი ჩემის ტანჯვა-წამებისა, რომელშიაც შესვლა არ შეუძლია ჩემს გარდა არავის; მე არ შემიძლია გადმოგცეთ, თუ როგორ ვეწამე, ვერ ვიტყვი. ვერ გამოვთქვამ ამას. აი ამიტომ მე მენანება ამ ტაძრის დატოვება, მეშინია დავუახლოვდე ადამიანებს“.

გალაკტიონი გულგრილია ყოფითი მოვლენებისადმი. პრაქტიკული ცხოვრების ალღო აკლია. მას ჯარში გაწვევა ელის. დედა შეშფოთებულია: „მე მუდამ დღე ამას ვდარდობ, ხომ ხედავ, მოაწია დაძახების დრომ. ეხლა მაინც კარგად დაფიქრდი, ეხლა გამოჩნდება შენი მოხერხება-მეცადინეობა. ნუ წაიყრუებ“. მაკრინე კონკრეტულ რჩევას აძლევს შვილს, თუ ვინ ნახოს, ვის მოელაპარაკოს. ალაგ-ალაგ გალაკტიონის თავმოყვარეობასაც ეხება. „რომ მეტრაბახებოდი, მე ბევრი განათლებული პირები

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 505.

მიცნობენო, აჰა ეხლა გამოჩნდება შენი ვინმესაგან ცნობა თუ განათლება".

დედამ იცის, ბარათი შეძრავს შვილს, ჩააფიქრებს, მაგრამ შეიძლება მალე დაივიწყოს. ამიტომაც ავალებს: „ეს წერილი ხშირათ წაიკითხე და კიდევაც აასრულე, რაც ამაში წერია, სხუამინდულად წაყრუება აღარ გარგია..."

ანალოგიური შენიშვნები ხშირად გვხვდება დედის ბარათებში. ისინი ხაზს უსვამენ გალაკტიონის ამ ცხოვრებიდან გამოთიშვას, პრაქტიკულ უუნარობას, გაუბედაობას. ეს თვისება დროებითი როდი იყო. 1930 წელს პროკლე გალაკტიონს სწერდა: „ვაი თუ, უპალტოოთ ხარ? ქვეყანა შოულობს ტანსაცმელს, საჭმელს და შენთვის, ასეთ ნიჭიერ კაცისთვის, რავა ისპობა ყველაფერი. მე რომ შენს ადგილას ვიყო, ავდგები, მივადგები, სასახლეში ფ. მახარაძეს და ვეუტვი: თქვენ, რასაკვირველია, კულტურის, განათლების დამცველი ხართ. განა სირცხვილი არ არის, მე – პოეტს შესაფერისი პირობები ვერ შემიქნათ-თქო. საინტერესო კი იქნება ასეთი რამ!"[1]

ძმისთვის აშკარაა გალაკტიონის გაუბედაობა და აგულიანებს.

გალაკტიონს თანდათან ჩამოუყალიბდა აზრი, რომ იგი გამორჩეულია, მაშასადამე, რაც სხვებისთვის მიუტევებელია, იგი შეიძლება მას ნაკლებ ცოდვად ჩაეთვალოს. ერთ ბარათში იგი ძმას შენიშნავს: „რატომ წერილს არ იწერები? მე ნუ გამამტყუნებ. ჩემი ამბავი სხვაა, შენი კი სულ სხვა". ეს რეალური ვითარების ანარეკლია. ოჯახშიაც ის აზრია გაბატონებული, რომ პროკლე მიწიერია, გალაკტიონი – ზეციერი. პროკლე ვალდებულია იზრუნოს დედაზე, ძმაზე, მტერ-მოყვარეს დახვდეს, ნათესაობას ბალავარი გაუმაგროს, მოქალაქის ყოველდღიური მოსაწყენი ჭაპანი გასწიოს. გალაკტიონს ყოველივე ეს ნაკლებ მოეთხოვება, რადგან იგი სხვა ღმერთის მსახურია.

და კიდევ ერთი: თავს იჩენს ეჭვიანობის გრძნობა. გალაკტიონი 1911 წელს ფარცხნალიდან რედაქციას უგზავნის „შადრევანს" და „სიჩუმის ანგელოზს". ამ დროს იბეჭდება ი. გრიშაშვილის ლექსი, რომელიც რამდენადმე მიაგავს გალაკტიონის „სიჩუმის ანგელოზს". პოეტი შეშფოთებულია. მას უჩნდება ეჭვი, რომ გრიშაშვილმა ნახა მისი ნაწარმოები და გამოიყენა. მართალია, გრიშაშვილთან კარგ ურთიერთობაშია, მაგრამ ეს მაინც არ ბოჭავს,რათა რედაქციას რისხვით აღსავსე წერილი გაუგზავნოს.

---

[1] პროკლე (აბესალომ) ტაბიძე. მოთხრობები, ბარათები გალაკტიონთან, 1997, გვ. 145.

რედაქცია პასუხობს: „შადრევანი“ მივიღეთ. გადავიკითხავთ და, თუ გამოდგა, დაიბეჭდება. ხელთნაწერი „სიჩუმის ანგელოზი“ არ მიგვიღია. ასე რომ, ვერც გრიშაშვილი გადაიწერდა. ესეც რომ არ იყოს, ხელთნაწერს რედაქცია არავის აკითხებს. მსგავსება უსათუოდ შემთხვევითია. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თანამშრომლის უფლებას რედაქცია დაიცავს“.

ეჭვი, რომ მას ძარცვავენ, აისახა ექსპრომტში „შეკითხვა სამშაბათელას“. ამ სატირულ ლექსში გალაკტიონი კიცხავს იმ ახალგაზრდა მგოსნებს, რომლებიც არ ეკრძალვიან სხვათა აზრების, სტროფების თუ რითმების მითვისებას:

„ჰო, იმას ვამბობ, გეთაყვა,
მეტად გავმდიდრდით მგოსნებით,
ზოგი „ზეკაცობს“ და ზოგიც
თავ-უკულმა ჰქრის „ოცნებით“.
გამქურდეს, სულ მთლად წაიღეს,
თუ რამე მქონდა ნაშრომი,
ამდენს კი მე ვერ ავიტან,
თუნდ ვეფხვი ვიყო, თუნდ ლომი.
დაბეჭდილს ვინღა დაგიდევს,
დაუბეჭდავიც წამართვეს:
„აგრე სჯობს, აგრე უნდაო“,
ჩემს შეკითხვაზე ასე სთქვეს“.

ამავე ხანებში შეთხზულ „პატარა ფელეტონში“, რომელიც ი. გრიშაშვილისადმია მიძღვნილი, უკვე ადრესატიც არის დასახელებული. გალაკტიონს, საერთოდ, მეტისმეტად აწუხებდა პლაგიატობა. მისი აღშფოთება არც ზედაპირულია და არც ეფემერული.

გალაკტიონი ბევრს წერს, კითხულობს, ფიქრობს, თვითაღზრდას ესწრაფვის. მას სურს გონივრული კრიტერიუმებით იხელმძღვანელოს. იგი აყალიბებს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც ცნობილია „ჩემი კანონების“ სახელწოდებით. აი, ამონაწერები ამ რეგლამენტიდან:

„1. ნურსად და ნურავისთან ილაპარაკებ შენს სიღარიბეზე.

2. ნურსად ნუ დაივიწყებ, რომ შენ მწერალი ხარ (მიუხედავად იმისა, რომ...).

3. ნურსად ნუ იქნები მეტისმეტად გულახდილი, რადგან მეტი გულახდილობა სიტიტვლეს გავს, სირცხვილია.

4. როდესაც რამეს მოჰქმედობ, დაე, ის საქმე ყოველ საქმეზე მიმზიდველი იყოს შენთვის“.

ეს დებულებები საგულისხმოა არა მხოლოდ თავიდავად, როგორც აფორისტული აზროვნების ნიმუშები, არამედ როგორც გალაკტიონის იმდროინდელი ფიქრებისა და განწყობილების რელიეფური გამომხატველიც. ახალგაზრდა კაცს ნაწუხებს სიღარიბე, მაგრამ მასზე საუბარი დამამცირებლად მიაჩნია; მით უფრო, რომ იგი პოეტია. პოეტი კი ერის წინამძღოლია, რომელსაც უფლება არ აქვს, პირადული საზოგადოებრივზე მაღლა დააყენოს. აქ ნათლად ჩანს ილიასა და აკაკის ხაზი.

გალაკტიონი ინტერესდება ძველი ქვეყნების ისტორიითა და მითოლოგიით. უბის წიგნაკში საგანგებო ჩანაწერებს აკეთებს, რომელთაც „გამოსადეგ აზრებსა და რითმებს" უწოდებს. მაგალითად, „ლურჯი ყვავილი – სიმბოლო რომანტიკული გაგებისა, სევდისა. „ანთეოსი" – მითოლოგიური გიგანტი, რომელიც, როცა კი შეეხებოდა დედამიწას, მაშინვე იღებდა დაუძლეველ ფიზიკურ ძალას". ახსნილია „ატლანტის ვაშლები", „ლინოსი" და სხვ. რაც მთავარია, აქ გვხვდება ასოციაციით ან წაკითხულის შთაბეჭდილებით შექმნილი სტროფები. მაგალითად:

„როგორც სიზმრები, შუადამის,
ისე დაფრენდა ციცინათელა".
„ჩანჩქერი გადმოშვებული
ხედავ, რა მშვენიერია!
ტანს იბანს გატიტვლებული
და სევდიანი ფერია".

„ბედნიერება, ჩემო ლამაზო
ქვეყნად არ არისა, თუ არ მივიღებთ
მხედველობაში სხვისთვის ცხოვრებას,
სხვისთვის წამებას და სხვისთვის კვნესას.
მხოლოდ ეს არის ბედნიერება".

ამ პერიოდის სხვა „უბის წიგნშიაც" ნაირგვარი ჩანაწერია. ერთი მხრივ, ფიქსირებულია რ. ერისთავის თუ სხვა პოეტების ან ხალხური ლექსების სტრიქონები, რომლებიც გამორჩეულია უშუალო ჭვრეტით, ხატოვნებით, ალიტერაციულობით და ა. შ. მაგალითად, „სიყვარულს გამოგიგზავნი, წამომღებელი ქარია", „თივა მთიბველების ნათიბი"... მეორე მხრივ, ახსნილია უცხო თუ ნაკლებ ცნობილი ქართული სიტყვები: სპეკალი, ოლოლი, ყისმათი და სხვ. მესამე მხრივ, დალაგებულია რითმები. მაგალითად, „სვეტით-ჭვრეტით – წვეტით – მეტით", „ყინული-ჩაცვინული", „რეკა-წალეკა-გადალეკა", „ნალმით-გალმით", „საღამო-დაუსაბამო", „აღიჭურვა-ურვა-ცურვა-ხურვა"... გალაკტიონი დიდ ყურადღებას აქცევს ცალკეულ გამოთქმებს, როგორიცაა: „ყელ-ღილიანი ქალი",

„ტანგაბანილი ქვეყანა (წვიმის მერე)“ და სხვ. საგანგებოდ არის გამოცალკევებული „მემშვენიერა“, „ტაშივით სწორი, გატკეცილი გზა“, „მზე ზღვაში იღუპებოდა“, „დავერცხლილი [illegible]“, „ალერსიანი შემოდგომის დღეები“.

ფიქსირებული მაგალითებიდან ბევრი გალაკტიონის შეთხზულია. უბის წიგნაკი საინტერესოა პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესასწავლად. ისინი მიგვანიშნებს იმ დაძაბულ და ყოველდღიურ შრომაზე, რომელსაც გალაკტიონი ეწეოდა. ირკვევა, რომ გალაკტიონი არსებითად ყველაფერს ერთი პრიზმიდან ჭვრეტს. ფაქტი, დეტალი, სიტყვა, მას აინტერესებს როგორც ლექსის საშენი მასალა, როგორც განწყობილების შექმნის სათავე... იგი არ ენდობა მეხსიერებას. ამჯობინებს ქაღალდზე გადმოიტანოს დაკვირვება,მიგნება თუ შთაბეჭდილება. მუშაობის ეს მეთოდი ძალზე ეფექტურად მიაჩნია და მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმართავს მას. ამ გზით,ე. ი. ფიქსირებით, იგი არა მარტო იმკვიდრებს ცოდნას, არამედ უხვ მასალასაც აგროვებს თხზვის საბოლოო პროცესისათვის. აქ აღნუსხული ცალკეული რითმები,სახეები,ტაეპები უცვლელად თუ ვარიანტის სახით შემდეგ თავს იჩენს მის ცნობილ ლექსებში. მაგალითად, „გამოსადეგ აზრებსა და რითმებში“ მეთვრამეტე ნომრად არის გამოტანილი „გამჭვირვალე – როგორც ბროლი“. ეს შედარება მოგვიანებით გვხვდება „გურიის მთებში“ – „როგორ შვენის ველზე ნამი, გამჭვირვალე,როგორც ბროლი“.

ცხადია,უბის წიგნაკში ჩაწერილი მაგალითებიდან ყველა,და თანაც პირველი სახით,არ ფიქრდება გალაკტიონის ლირიკაში. ეს არც იყო მოსალოდნელი, რადგან პოეტური ქმნადობის თავისებურება ამას არ მოითხოვს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, ისინი პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობენ გალაკტიონის თვალსაწიერის გაფართოებას, სასურველი სიტყვის მიგნებას, პოეტური ხატების გამრავალფეროვნებას და ნაწარმოების სტილურ დახვეწას.

გალაკტიონი საგანგებოდ დაინტერესებულია „კვიპაროსით“. განმარტავს კიდეც: „კვიპაროსი – ალვის ხე“. თანამედროვე მკითხველს შეიძლება სულ ზუსტად არ მოეჩვენოს კვიპაროსსა და ალვის ხეს შორის ტოლობის ნიშნის დასმა, შეცდომადაც კი მიიჩნიოს. სინამდვილეში გალაკტიონი მართალია. იგი ამოდის ძველი წიგნებიდან, საერო და სასულიერო თხზულებებიდან. ჩვენი წინაპრების გაგებით, კვიპაროსი – ალვას – ალვისტანას – სამოთხის ხეს.

ასეა „ვეფხისტყაოსანშიც“. ესეც გალაკტიონის ფართო

განათლებაზე მეტყველებს.

გალაკტიონის მუშაობის მეთოდი თავისებურია. უეცრად დაბადებულ აზრს თუ სტროფს მეყსეულად აფიქსირებს. შემდეგ მას უბრუნდება და მთლიანად, ნაწილობრივ, თუ ტრანსფორმირებულ სახით იყენებს. ამიტომაც გვხვდება მისი უბის წიგნაკებში ესოდენ მრავლად სხვადასხვა ჩანაწერი, რომელთაგან ზოგიერთი ეტიუდის სახესაც კი ატარებს. მაგალითად:

„ხელდით, სიჩუმით გარინდებული
ოხრავდა მაშინ შუადამის ბინდი,
როცა იდუმალ ფიქრით გზნებული,
პირქვე დავემხვე და ავქვითინდი“.

ეს ბოლო ტაეპი თავს იჩენს გალაკტიონის სხვა ლექსში. ამ პერიოდში ძლიერ მყლავნდება სატირული პოეზიისაკენ ლტოლვა. გალაკტიონი წერს პატარა ფელეტონებს ლექსად, მაგალითად, „აღდგომა დღეს“. მასში გამოყვანილია ეროვნული კლასიკური მწერლობის ტიპები – ლუარსაბი და დარეჯანი. ამით პოეტი პირდაპირ ეხმიანება ი. ჭავჭავაძეს და მაინც: აქ რამდენადმე განსხვავებულად არის დაყენებული საკითხი. გალაკტიონის ლუარსაბი და დარეჯანიც ჭამა-სმით არიან გატაცებულნი, მაგრამ დრო შეიცვალა და აღდგომა დღეს მათ მხოლოდ ლობიო აქვთ. ლუარსაბი მაინც არ იტეხს იხტიბარს.

„მთელს დუნიაში
ვერავინა მსჯობს.
აგვიგდო ბედმა,
ვითომდა რაო...
ჯერ ერთი... ჩექმა
დავაგირაო!..“

იგრძნობა ხედვის ის თავისებურება, რაც გალაკტიონმა შემდეგ უფრო სრულად და დახვეწილად გამოამჟღავნა: – ქართული კლასიკური ლიტერატურის პერსონაჟთა სხვა ვითარებაში მოქცევით არა იმდენად მათი კომიკური ბუნების ხაზგასმა, რამდენადაც ახალი ეპოქის დახასიათება.

გავიხსენოთ თუნდაც ნაწყვეტი ლექსიდან „ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა“.

„მატარებელი მოიჭრა თუჯის,
ბოლს ლეჩაქებად ჯაგებზე სტოვებს,
იქ, სადაც მთები ეპყრა ელგუჯას,
სად ველარ ნახავ იმავ ფანტომებს...
ახალთახალ გზად დაიწყებს კრთომას

ავტომობილი ელვათა მფენი;
სად მორბელაძეს, „რაინდს“ სოლომანს,
ერთხელ ბელტებში წაექცა ცხენი...“

ათიანი წლების დასაწყისშივე ქმნის გალაკტიონი „მომენტალურ ფოტოგრაფიას“. ეს არის ოთხტაეპიანი შაირები, რომლებშიაც ქუთაისის ნაკლოვანებებია წარმოჩენილი. მაგალითად:

„ერიდეთ წესიერების
დამცველის თეატრში, ერიდეთ...
თვითონ დაარღვევს ყოველ წესს,
თუ სიტყვას გამოეკიდეთ...“

სატირულ-იუმორისტული კუპლეტებიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

„ერიდეთ თვითონ გალაშკას.
როცა მთვრალია – მაშინ ის
განუსაზღვრელი მონაა,
მონაა წითელი ღვინის“.

ეს ნაწარმოებები ხელმოწერილია ფსევდონიმით „გალაშკა“.

გალაკტიონი საგულდაგულოდ ეცნობა საქართველოს ისტორიასაც. აკონსპექტებს წაკითხულ წიგნებს და გამოჰყოფს მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებს. ყურადღებას ამახვილებს გმირულ ეპიზოდებზე. ამგვარი აქცენტირება იმითაც არის მოტივირებული, რომ პოეტი ქართველი ხალხის ისტორიას ბრძოლის ისტორიად თვლის. ერის შინაგანი სიძლიერე და ხასიათი უმეტესად სწორედ ალტერნატივურ სიტუაციებში ვლინდება.

საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში გალაკტიონი ძლიერ ინტერესდება მართლწერა-სტილისტიკის საკითხებით, ცდილობს მრავალმხრივ ნასწავლეს მშობლიური ენის სიღრმე-სიმშვენიერეს, დაიცვას მისი სიწმინდე. ეს გარემოება თავს იჩენს წაკითხულისადმი მიდგომაშიც. პოეტი ასწორებს კოლეგათა შეცდომებს, გვთავაზობს გამართულ ვარიანტებს. ხსენებული პროცესი ადრეულ იწყება და არასდროს შეწყვეტილა, რაც სრულიად ბუნებრივია. ამჯერად მხოლოდ იმის აქცენტირება გვსურს, რომ სიჭაბუკის ჟამს კრიტიკული ალღო ფრიად გამძაფრებული ჰქონდა. ჯერ კიდევ 1908 წელს გალაკტიონს საგულდაგულოდ წაუკითხავს ალმანახი „მოწაფე“ და ტექსტი აუჭრელებია. მაგალითად, „ამიერიდან მე ვიწყებ თქვენთან ტკბილ საუბარს, რომელიც ეს იქნება თქვენთან ჩემი პირველი ნაბიჯი“.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. III, გვ. 170.

„დიახ, მე თქვენს წინაშე უბრალო ბიუსტი ვარ, **გაკაკებული** ვსდგევარ და **მეფიქრება**“...

„სულით იყვნენ დაჟღენთილნი“.

ხაზგასმები გალაკტიონისაა. პოეტის უკმაყოფილება საფუძვლიანია. ახლა ვნახოთ, რა შესწორებები შეაქვს გალაკტიონს „ცხოვრებისა და ხელოვნების“ (1910, №21) პუბლიკაციებში. დაბეჭდილი იყო „ქართულ ენისა“. გალაკტიონს გაუმართავს – „ქართული ენისა“. ა, შანშიაშვილის ლექსს სათაურად ჰქონდა „მე როსდა მნახამ?“ გალაკტიონი მართებულ ფორმას გვთავაზობს „მნახავ“.

ამგვარად, მუშაობისას გრამატიკოსი სრულიადაც არ უპირისპირდებოდა მგოსანს. არცთუ იშვიათად წაკითხული პოეტურ აფეთქებას იწვევს. მაგალითად, „ცხოვრება და ხელოვნების“ გაცნობას თხზვის სურვილი დაუბადნია და ჟურნალის გარეკანზე ჩნდება სტრიქონები:

„მტანჯავდა სევდა
დამწველ-მდაგველი...
ნაღველი მლევდა,
მწარე ნაღველი...“ და ა. შ.

მეორე მაგალითი: „განთიადში“ დაბეჭდილ დ. თურდოსპირელის „კიკნა პოემებში“ გვხვდება ასეთი გამოთქმა: „ზღაპრულს ფერიებს ემსგავსებიან“. გალაკტიონს ხაზი გაუვლია სიტყვა „ფერიების“ ქვეშ და გვერდით მიუწერია:

„ტყის ფერიები
ცისფერ იებით“.

იბადება რითმა.

გალაკტიონი ხარბად ეწაფება რუსულ პოეზიას. კითხულობს ჩაღრმავებით, რაც გულისხმობს ლექსის შინაარსისა და ავტორის განწყობილების სწორად გააზრებას, ამასთანავე პოეტური ტექნიკის შესწავლას, ნაწარმოების შინაგანი სტრუქტურის საიდუმლოების წვდომას. იგი ყველაზე საინტერესო დეტალსა და შტრიხს სპეციალურად გამოყოფს.

მაგალითად, გალაკტიონს გადაუკითხავს კ. ლდოვის ლექსების ციკლი „ყვავილთა ენა“, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალში „ლიტერატურნოე პრილოჟენიე „ნივი“. გალაკტიონის ყურადღება მიუპყრია ლექსს „ყაყაჩოს“. პოეტს ხაზი გაუსვამს შემდეგი სიტყვებისათვის.

„Над спящим садом полдень спящий,
Как будто тлея на костре,
Расправил пурпур свой блестящий

В своем блестящем янтаре"

აქ სიტყვათა გამეორება ტავტოლოგიად როდი აღიქმება. ეს ხერხია, რომელსაც ავტორი საგანგებოდ მიმართავს ჩანაფიქრის მკაფიოდ გამოხატვისა და მხატვრული ეფექტის მისაღწევად. ჩანს, ამიტომაც დაინტერესებულია გალაკტიონი ხსენებული ლექსით. ვინ იცის, როგორი დასკვნა გააკეთა ახალგაზრდა პოეტმა და როგორი ტრანსფორმაციით გამოიყენა იგი. ყოველ შემთხვევაში, ამ ხერხს იგი საგულისხმოდ თვლის.

ხსენებულ ლექსში გალაკტიონს მოსწონებია ბოლო ორი სტრიქონიც:

„В нем страстный хмель кипит и пышит,
К восторгам жизни он зовет
Но только сон его услышит
И только смерть его поймет"

სხვა ლექსში კიდევ გახაზავს: „Дышу я вечною мечтою в моем венке".

ამ ჩანაწერებსა და აღნიშვნებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გალაკტიონი დიდ ყურადღებას აქცევს ტროპს. ეძებს საგანგებო მხატვრულ გამოთქმებს, აფორისტულ და მეტაფორულ სტრიქონებს. მან კარგად იცის, რომ ემოციის შთამბეჭდაობას ჩანაფიქრის გამოხატვის ოპტიმალური ფორმა განსაზღვრავს, მთავარი სათქმელი მაინც წინ არის. როგორია ამ პერიოდის შემოქმედება?

1911-1912 წლებში შეთხზულ ლექსთა თვალსაჩინო ნაწილი ქართული კლასიკური ლიტერატურის ძირითად ხაზს მიჰყვება. იგივე პრობლემატიკა, ნაცნობი განწყობილება და ა. შ. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ გალაკტიონის ხელწერა და თავისთავადობა ამ შემთხვევაშიც მჟღავნდება. გავიხსენოთ თუნდაც „დარიალისა ვიწრო კლდეებში". ზოგიერთ ლექსში გვხვდება ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის ნოტები და ფრაზები. კლასიკის ზეწოლა დიდია. ჩვენი აზრით, „მონაზვნის სიზმარი" ი. ჭავჭავაძის „განდეგილის" გავლენით არის დაწერილი. ასეთი პარალელი სხვაც შეიძლება დაიძებნოს. ვერც იმას დავივიწყებთ, რომ გალაკტიონი ეყრდნობა XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში გაბატონებულ რითმულ სისტემას. ხშირია ამდაგვარი შეწყვილება: „სრულის-გულის-სიყვარულის",„წყდება-სწვდება",„გზის-ქვეყნის" და ა. შ. მაგრამ ფორმალისტურ ჩხრეკას თუ გავყვებით, თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება არსებითი, რითაც ესოდენ გამორჩეულია გალაკტიონის შემოქმედება. ეს არის ახალი საუკუნის მთრთოლვარედ შემცნობი პიროვნების

სული, სული კაცისა, რომელსაც დიდი სატკივარი აქვს და სათქმელსაც ორიგინალურ ფორმას უძებნის.

1912 წელს გალაკტიონი ი. გრიშაშვილს სწერდა: „იცი, საყვარელო ნოსო, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება. საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადმყოფობაა! და, ვით სიკვდილით დასასჯელი სახრჩობელას წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს, საშინელებაა!

აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას,ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას...

მე დღეს შესაძლებელია ორასი ადამიანი ვნახო და დაველაპარაკო, შეიძლება გული გადაუხსნა კიდეც წუთის გავლენის ქვეშ... და მაინც მარტო ვარ.

ამიხსენი, მეგობარო, ეს მდგომარეობა!..

ოჰ, ჩემი მოხეტიალე სული სიყვარულს თუ წააწყდება სადმე, თორემ ერთ დადინჯებულ ფიქრ-სიყვარულს ვერ შეჰქმნის... მაინც მე ვერაფერი გამიგია ამ ჩემთვის უცნობი გრძნობის.

ჩემი სიყვარული შორეულის ტრფიალი არ არის და ვერც ახლოს სწვდება მას.

და მგონია, არც კი მიყვარს ვინმე...

მარტო ვარ, მარტო...

რა გაეწყობა.

მარტო ვარ... მარტო“[1].

ეს არ არის მემატიანესათვის საგანგებოდ დაწერილი სტრიქონები. (ასეთებიც გვხვდება მგოსნის არქივში). გალაკტიონი არ ყელყელაობს. იგი ჭეშმარიტად იტანჯება.

ვერ უპოვნია თვისტომი და თანაგმგრძნობი.

ვერ უპოვნია კეთილი იმედის კონცხი.

სული უძირო და უნაპირო.

შხამიანი ყვავილი სწრაფად იზრდება.

„ზღვაზე ვსცურავ... განსვენება
მელირსება? როდის, როდის?
ტალღას სძინავს! ტალღა შფოთავს,
ტალღა მიდის, ტალღა მოდის,
ცის წიაღის მწველი ვნება
არ მასვენებს, გულს მიკოდავს.
ტალღა მოდის, ტალღა შფოთავს...
კანდელი სხივს არ მომაწვდის...
თუ მომაწვდის როდის, როდის?

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 540-541.

ტალღას სძინავს, ტალღა შფოთავს,
ტალღა მიდის, ტალღა მოდის...
მე წყვდიადი სხივს არ მომფენს,
მხოლოდ მწარედ გულს მიკოდავს.
ტალღა მოდის... ტალღა შფოთავს.
სიყვარული არ გაჩნდება?
თუ გაჩნდება, როდის, როდის?
ტალღას სძინავს, ტალღა შფოთავს,
ტალღა მიდის, ტალღა მოდის.
ტუჩს ტუჩი არ დაადნება
და ნაზ სიახლით გულს არ მორთავს?
ტალღა მიდის, ტალღა შფოთავს.
ვიღუპები ობლად ზღვაზე...
როდის მნახავ, როდის, როდის?
ტალღას სძინავს, ტალღა შფოთავს,
ტალღა მიდის, ტალღა მოდის.
შკვდავება ყორნის ხმაზე
სიკვდილს უვლის, მკლავს, ვერ მომკლავს...
ტალღა მიდის, ტალღა შფოთავს.
შორით მოსჩანს მთის გრეხილი-
ლურჯი და შორს უფრო მწვანე...
იქ ოცნებაც ვერ მისწვდება,
არ გაუშვებს ოკეანე
და მეც აქ ფრთა მოტეხილი
ვიღუპები... გულს ზღვა ჰკოდავს,
ტალღა მიდის, ტალღა შფოთავს".

„ზღვაზე" 1911 წლის 27 აგვისტოს არის დაწერილი და საუკეთესოდ გამოხატავს მგოსნის განწყობას. იგი საგულისხმოა როგორც პოეტური გააზრებით, ასევე მხატვრული ოსტატობითაც და ვინც გალაკტიონის შემოქმედების სიმბოლისტური ნაკადის შესწავლით დაინტერესდება, მას გვერდს ვერ აუვლის. რა იწვევს სულით ობლობას, უკიდეგანო სევდას და წუხილს? პასუხი ერთნი'შნა როდია.

ლექსში „მუსიკა" გალაკტიონი პირდაპირ ასახელებს კაეშნის მიზეზებს:

„სიყვარულს ვეძებ, ტრფობა მწყურია,
მეგობარს ველი, ის კი არსად სჩანს,
მაშ, რა გაალხობს ჩემს მწუხარებას,
რა გაანელებს ჩემს ღრმა კაეშანს?"[1]

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 111.

ეს მაინც ყოფითი მხარეა.

ლეგენდაში „მონასტერი“ მეტი განზოგადება იგრძნობა,მაგრამ მსოფლგაგება იგივე რჩება. გალაკტიონი არა კონკრეტული პიროვნებების, არამედ, საერთოდ, ადამიანთა გაუტანლობის გამო მოსთქვამს.

სულ სხვა რამ შეინიშნება „შავ ყორანში“. მოდით,ამ ლექსის ტრადიციულ განხილვას გვერდი ავუაროთ და ბოლო სტროფზე შევჩერდეთ.

ხომ არ იგრძნობა მასში დროისა და სივრცის გადაულახველობიდან მომდინარე წუხილი?! შეიძლება სხვათა მახვილმა თვალმა უკეთ დალანდოს ეს.

სულით ობლობა ისეთი სენია, რომლის დაძლევა მხოლოდ მავანთა და მავანთა ხელგაწვდომით არ ხერხდება. აუცილებელია საკუთარ თავზე ამაღლება.

ექნება კი გალაკტიონს ამის ძალა?

სულით ობლობა თუ მხოლოდ კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული მიზეზებით არის შეპირობებული (ზოგთან სწორედ ასეა),მაშინ მისგან განკურნების საშუალებათა მოძიება ძნელი არ არის. მაგრამ რა ვუყოთ ისეთ პიროვნებას, რომლის კაეშანს უფრო გლობალური და უნივერსალური საფუძველი აქვს.

გალაკტიონის თვალწინ სამმა რევოლუციამ გადიგრიალა. ბევრი რამ შეიცვალა საზოგადოებრივ ყოფასა და შემეცნებაში. ის კი სამარის კარამდე მაინც გამოუსწორებელი მეოცნებე და სულით ობოლი დარჩა.

განა ეს შემთხვევითია?!

გალაკტიონი იმიტომაც არის გენიოსი,რომ არა ერთი თაობისა თუ კლასის,არამედ მთელი კაცობრიობის სატკივარს გაუსწორა თვალი და მსოფლიო საფიქრალზე ჩაფიქრდა.

1911-1912 წლების ლექსებში სევდის ორივე მიზეზი ჩანს. მაგრამ ჩვენ მაინც მეორეზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან უპირატესად სწორედ ის აცნობიერებს გენიოსის პირველ ნაბიჯებს. ამ თვალსაზრისით ფრიად მეტყველად გვეჩვენება „ყვითელი ფოთოლი“ და „სარკმელთან“.

„შემოდგომისა ველურ ბანგში
ჭკნება ფოთოლი;
ყმაწვილი გულიც უნუგეშო
ფიქრებით დნება,
მაგრამ სხვა ფოთოლს აამწვანებს

კვლავ გაზაფხული –
და სიყმაწვილე კი არასდროს
არ დაბრუნდება![4]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მეორე ლექსს ჩავხედოთ:

„გადიფრენს თვალწინ ძველი ოცნება,
შეიკუმშება მღელვარე გული,
რომ არასდროს არ განმეორდება
დრო ბედნიერი, დრო დაკარგული“.[2]

ეს უკვე ახალი მოტივია, ხმა; ვნებიანი დაფიქრება არა კონკრეტულ ყოფით მოვლენებზე, არამედ სამყაროს კანონზომიერებაზე და, რაც მთავარია, მისი მიღება-არმიღების დილემაზე.

როგორადაც განწირული და სასოწარკვეთილი არ უნდა იყოს

კაცი, იგი მაინც ვერ თმობს იმედს. ეს ბუნებრივი თვისება პოეზიაშიც იჩენს თავს.

ბოლოს და ბოლოს, სად არის გზა ხსნისა, ვის მივმართოთ, რა მოვიმოქმედოთ? განა ყველაფერი წარმავალია? განა ყოველგვარი გაბრძოლება უაზრობაა?

ლეგენდაში „მეუდაბნოე“ განდეგილი ასე მიმართავს განწირულ მგზავრს: დაიმახსოვრე, ადამიანი დასაბამიდანვე მგზავრი იყო და მგზავრად დარჩება.

„მაგრამ გახსოვდეს, ბედნიერებით
გული წმინდა სჭვრეტს ცასა და ქვესკნელს.
სენაკი მოგცემს ტკბილ ნეტარ-წამებს...“

ჩანს, გალაკტიონი ერთხანს იმის გარკვევასაც ცდილობდა – რეალობიდან გაქცევა და მონასტერისათვის თავის შეფარება ხომ არ არის ხსნის გზა?

ეს აზრები და განწყობილება უფრო მძლავრად და ემოციურად მაინც „ჰამლეტის ქნარში“ გამეღავნდა.

„ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია,
წადი... წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია!
ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე,
დამაშვრალი სული, გული მონასტერში მოასვენე!
მაშ, შორს მტვერი, შორს, შორს მიწა! – ის ცის უარმყოფელია...

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 131.

[2] იქვე, გვ. 134.

წადი... წადი მონასტერში! მონასტერში ოფელია![1]

მგოსნის აზრით, ადამიანთა შესაძლებლობა თუ ამოიწურა, მაშინ ერთადერთი ხსნა ღმერთის გამოცხადებაა:

„ყომრად ნისლში გახვეული
დედამიწა ცისკარს ელის
კავკასიის კლდეზე ნთებულს
ცა ულიმის ფრთა-გრძნეული.
დედამიწა ღმერთს დაეძებს...
ის ვერც სისხლში გამონახა,
ვერც ტრფობაში ვერ იპოვა
და ფიქრების შავი გროვა
დაწოლია და აკვნესებს.
მომაკვდავის სევდიან ხმებს
დედამიწა გულზე იკრავს...
გულზე იკრავს ცრემლთა ნაკადს
და შესცქერის ცისა ლაჟვარდს
რადგან იგი ღმერთს დაეძებს“.

პოეტი ბევრს ფიქრობს ღმერთზე და სულის უკვდავებაზე. რეალობიდან გაქცევა სრულიადაც არ გულისხმობს მთლიან, სრულ გაქრობას. გალაკტიონი ვერ ურიგდება ყოველმხრივ სიკვდილს. იგი მოისწრაფვის იმქვეყნიური არსებობისა და უკვდავეისაკენ. ეს შეინიშნება ლექსში „საფლავთან“.

„ბალის ბილილავ და ცვარო, აღქაფებულო ტბის ზვირთო,
გთხოვ, გეკედრები მიტვირთო, შვების ცა გადამაფარო.
მომბეზრდა მთელი სამყარო, მსურს შორს, შორს გავიჯირითო,
იდუმალებას შევერთო, ვნების ცრემლები დაველვარო...
რიჟრაჟის სხივო, მზის სიმო, გამოკვეთილო ნიავო,
შენცა გთხოვ მილოლიავო, დამადნო, ამაციმციმო...
ნიავო, ჩემო ნიავო!
საფლავო სიყვარულისა, რად სდგეხარ განმარტოებით?
ბზის გადახლართულ რტოებით მოვრთე სიცოცხლე სულისა,
ყვავილი გაზაფხულისა, ზედ დამჭკნარიყო დროებით
ჟამთ ბრუნვის ამაოებით, მსხვერპლი დროთ ეტლის სულისა.
ნამცვრევი ცისა უამბობს, ჩემს გულის სატრფოს იმაზე,
თუ გაზაფხულის წვიმაზე, რაზე ოცნებობს, ან რას გრძობს,

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 122.

რომ მალე სულს სულ დაადნობს მისი დამტკნარი სინაზე
დამადნობს, სრულად დამადნობს...“

ამავე პერიოდში იწერება „შემოდგომის დღე“, „მყოფელი“, „იბობოქრე“ და სხვ.

ათიანი წლების დასაწყისი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ გალაკტიონმა მოუხშირა ლექსების რუსულად წერას. პირველი ასეთი ნაწარმოები 1908 წლის 21 ივნისით თარიღდება. მაგრამ ეს მაინც გაელვება იყო. 1911-1912 წლებში კი ამ მხრივ ინტენსიური საქმიანობა შეინიშნება. სწორედ ხსენებულ პერიოდში დაიწერა: „შტოთა ცრემლები“, „მეგობარ ახოსპირელს“, „ბუნება“, „რომანსი“, „უთხარით მას“ და სხვ. ისინი, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით არის შეთხზული. არ ჩანს ტექსტზე ხანგრძლივი მუშაობის კვალი. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთს:

„Скажите ей – мои страданья
Во мне живут, живут как жили
В угрюмой дерзости изгнания
Они во мне скорбь зародили...“

ეს არ არის დიდი გალაკტიონი. მიუხედავად ამისა, მსგავსი ნაწარმოებები მაინც საყურადღებოა როგორც პოეტური განწყობილებების რელიეფური გამომხატველი. საქმე ისაა, რომ ამ გზით გალაკტიონი უფრო ღრმად შედის რუსული პოეტური კულტურის სიღრმეში, უკეთ აცნობიერებს რუსული

სიტყვის მაგიურ ძალას და უადვილდება გრძნობათა და იდეათა გამოხატვის ნაირგვარი გზის მოძებნა. ლექსების რუსულად წერა ქართული შედევრების თხზვის ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური და წინაპირობაა.

გალაკტიონს თავისებური ხილვა და სუნთქვა მოაქვს. მისი ლირიკული გმირი გამორჩეულია – ტანჯული, მაგრამ პასიური, რაც განსაზღვრავს კიდეც ლექსთა ჟღერადობას. გალაკტიონი ემოციურ ასოციაციებსაც მიმართავს. ხშირ შემთხვევაში სტროფთა წყობას არა ამბის შინაარსობრივი თანმიმდევრობა აპირობებს, არამედ თავისუფალი ასოციაციები.

ამრიგად, გალაკტიონი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. ბევრს კითხულობს, მოგზაურის კვერთხიც უპყრია ხელთ; განსხვავებულ ტიპებსა და მოვლენებს აკვირდება... ზოგჯერ მთელი დღით ოთახში ჩაკეტილი უფრო მეტს პოულობს და აცნობიერებს, ვიდრე, მავანი თავგამოდებული ტურისტი.

...და საბოლოოდ ყველაფერი, ასე თუ ისე, პოეზიას უკავშირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მდინარე ზღვისკენ მიედინება.

„როგორც მრავალი ვარდების მფენი,
მას სული ჰქონდა უხვად ციური,
მახში მრავალი იყო შოკენი
და პაგანინი ფანტასტიური“[1].



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 67.

„ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს“

„საით მივყავარ ჩემს მოწყენილ
გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს ჩემი
სამშობლო,
და ან რას მისცემს მას ჩემი
ქნარი?“

გალაკტიონი

1913 წელი ცუდად როდი დაიწყო, ისეთი პოპულარული გაზეთი, როგორიც „თემია“, საახალწლო ნომერში ბეჭდავს გალაკტიონის ლექსს. რამდენიმე დღის შემდეგ ჟურნალ „განათლების“ რედაქტორი ატყობინებს: შენმა „მესაფლავემ“ ყველა მოგვხიბლა და პირველსავე ნომერში ვაქვეყნებთო.

ახალგაზრდა პოეტი ფრთაშესხმულია. მეტი გატაცებით ეკიდება საქმეს. ინტერესების სფერო ფართოა. ყველაფერს უკვირდება და მძაფრად განიცდის. 13 მარტს ლეჩხუმელებს რიონზე დაცურებული ტივი დაეშალათ და ერთი მეტივე დაიხრჩო. მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს. გალაკტიონიც შეშფოთებულია. თუმცა ეს სიტყვები ზუსტად ვერ გამოხატავს მის რეაქციას. იგი უფრო შორს მიდის. ფაქტის მიღმა სოციალურ უბედურებას ჭვრეტს. ფანტაზიით დალუპულის ოჯახის გლოვის სურათებს აცოცხლებს და ეგზალტირებულია.

მოვლენებისადმი ამგვარი მიდგომა ნიშანდობლივია

გალაკტიონისათვის, მეორე მხრივ, არ კარგავს იუმორის გრძნობას. როცა გაზეთში ამოიკითხა, სანიტარმა ჩაჩანიძემ რესტორნის მფლობელ ჯაფარიძეს ჭურჭლის უსუფთაობის გამო აქტი შეუდგინაო, თავი ვერ შეიკავა და გულიანად ახარხარდა. რედაქციის თანამშრომლები გაოცებული შესცქეროდნენ. გალაკტიონს კი ამ დროს თვალწინ ედგა გრძელულვაშა ჯაფარიძე, რომელიც იქედნურად აქნევდა თავს და გონებაში ამბობდა – წერეთ და იკითხეთ, ბიძიკო, მაინც ვერაფერს დამაკლებთო.

გალაკტიონს მოვლენათა კლასიფიკაციის თავისებური კრიტერიუმი ჰქონდა. ფაქტებს უმეტესად ზნეობრივი პრინციპიდან გამომდინარე აჯგუფებდა. მისთვის უცხო არ ყოფილა ადამიანური სისუსტენი, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ საკუთარი სისუსტე სხვათა ტანჯვის მიზეზი არ უნდა გამხდარიყო.

პატარა და უბოროტო შეცდომა ხალსა ჰგავს, რომელიც ალამაზებს პირმშვენიერ მანდილოსანს, დიდი შეცდომა კი –

კუზს, რომელიც ამახინჯებს.

გალაკტიონი სულიერი სიწმინდის მქადაგებელი იყო .ამიტომაც შესძრა შუბლაძის მონათხრობმა.

– მგონი მეორედ მოსვლის ჟამი დგება, ყმაწვილო,– შესჩივლა მღვდელი,– ორპირის ქუჩაზე, ჩემი სამრევლო სკოლის გვერდით საროსკიპოს გახსნას აპირებენ. მე პროტესტი განვაცხადე და აი, მთელი კვირაა მუქარის წერილებს ვიღებ.

გალაკტიონი რედაქციებს ესტუმრა: ამ უხამსობას რისხვით გამოვეხმაუროთო. მას არ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო, როცა საქმე ახალგაზრდობის და, საერთოდ, საზოგადოების ზნეობას ეხებოდა.

ქუთაისი გარკვეულად ცდილობდა პარიზისთვის მიებაძა. ნაშუადღევს ახალგაზრდა მწერლები, არტისტები, მხატვრები, მუსიკოსები თეატრთან ან კაფეში იკრიბებოდნენ. განსასჯელ-სასაუბრო ბევრი ჰქონდათ, საოცნებო კიდევ უფრო მეტი და ხმაურობდა რიონისპირა „როტონდა“.

გალაკტიონი არცთუ ხშირი სტუმარი იყო ხალხმრავალი შეკრებებისა. მას განმარტოება, ბოჰემურად განწყობილ ერთ-ორ კაცთან ყოფნა ერჩივნა.

ამ პერიოდში ძლიერ აქტიურობს პაოლო იაშვილი და ქუთაისის ცხოვრებაში თავისებური რიტმიც შემოაქვს. იგი ცნობს გალაკტიონის დიდ ნიჭს და უახლოვდება კიდეც მარტოსულ პოეტს.

ერთხელ გალაკტიონმა გაიხსენა, თუ როგორ „გადაერივნენ ბახუსის ალებს“. პაოლომ მდიდარი ვაჭრის სასახლის სადარბაზოში მოინდომა ღამის გათევა. გამთენიისას პორტალზე აძვრა და უზარმაზარ ქანდაკებას ქამრებისაგან შეკრული თოკი მოსდო, ჩამოგდება დაუპირა.

მაგრამ ეს ყოფითი დეტალია. მთავარი სულ სხვაა. პაოლომ გადაწყვიტა ორიგინალური ჟურნალი დაეარსებინა და შეძლო კიდეც. ეს იყო „ოქროს ვერძი“. მართალია, ამ ყოველკვირეული გამოცემის ოფიციალურ რედაქტორ-გამომცემლად ბ. ჯაიანი იხსენიება, მაგრამ ფაქტიური ხელმძღვანელი პ. იაშვილი გახლდათ. მან 1913 წლის მარტში გამოაქვეყნა „წერილი რედაქციის მიმართ“.

„ამ მოკლე ხანში ვაპირებთ ჟურნალის გამოცემას. რადგან ყველა სასურველ თანამშრომლებისათვის ძნელია სიტყვით ან წერილობით ახსნა ჩვენი მიზნისა, ვთხოვ პატივცემულ „თემის“ რედაქციას ადგილი დაუთმოს ამ წერილს.

ჟურნალი ემსახურება ჩვენს ლიტერატურას, კრიტიკას და სხვა წმინდა ხელოვნების დარგებს, განურჩევლად მათი პოლიტიკური

მიმართულებისა"[1].

პ. იაშვილი მხარდაჭერას სთხოვს ვაჟა-ფშაველას, კოტე აბაშიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, ი. ევდოშვილს, ია[illegible] ვალერიან გუნიას, შალვა დადიანს, კოტე მაყაშვილს [illegible] დასახელებულია გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეებიც.

ვიდრე ამ მიმართვას გამოაქვეყნებდა, მანამდე პაოლომ დაწერილებით გააცნო გალაკტიონს ჟურნალის მიზანი. „ოქროს ვერძის" თავისებურება ის იქნება, რომ მასში თავისუფალი შემოქმედება იმძლავრებს და ხელოვნების პირველადობა წარმოჩნდებაო. გალაკტიონი დააინტერესა ახალგაზრდა რედაქტორის ჩანაფიქრმა და დახმარებაც აღუთქვა. მართლაც, პირველ ნომერში გამოქვეყნდა მისი „ქალი და ხელოვნება", ხოლო მეორე ნომერში – „მე და ღამე".

„ოქროს ვერძი" მიჩნეულია ცისფერყანწელთა გამოცემების წინამორბედად.

გალაკტიონი არ აკლდებოდა ლიტერატურულ საღამოებს, ხშირი სტუმარი იყო თეატრისა, გულმოდგინედ ათვალიერებდა გამოფენებს...

იმხანად ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც თეოდორ სოლოგუბის ლექციამ მოახდინა. 7 აპრილს საზოგადოება სულგანაბული უსმენდა სახელგანთქმულ პოეტს, რომელიც ახალი დროის ხელოვნებას ახასიათებდა. საუბრობდა მონოტონურად, მაგრამ ძალზე გაბედულად და ორიგინალურად. იგი ამტკიცებდა, რომ ხელოვნება ცხოვრებაზე მაღლა დგას. პირველი კი არ ბაძავს მეორეს, არამედ პიკურუ.

გალაკტიონისათვის აშკარა გახდა, რომ ლექტორი ოსკარ უაილდის თეორიას ავითარებდა. სოლოგუბმა ჭეშმარიტ ხელოვნებად სიმბოლისტური ხელოვნება მიიჩნია. იგი უქმნის მხატვარს თვითგამორკვევის უდიდეს შესაძლებლობასო.

გალაკტიონი სერიოზულად ჩააფიქრა სიკვდილის პრობლემაზე მსჯელობამ. ლექტორის აზრით, სიკვდილს ძალუძს ხიდი გასდოს არსებულსა და საოცნებოს შორის. იგი გვაახლოებს მშვენიერებასთან, ოცნებასთან. ამიტომაც არ უნდა გვეშინოდეს სიკვდილის – ამ უდიდესი საიდუმლოებისა.

ახალგაზრდა პოეტი მოხიბლა სოლოგუბის მარჯვედ შერჩეულმა და ტევადმა პარალელებმა. რეალისტი მწერალი სანჩო პანსას მოჰგავს, სიმბოლისტი კი დონ კიხოტსო. პირველი ამჩნევს მხოლოდ ტლანქ სინამდვილეს, მეორე თვალს არიდებს

[1] გაზ. „თემი", 1913, №114.

მას. სანჩოსთვის დულცინე წითელლოყება, უხეში სოფლელი დედაკაცია. დონ კიხოტისთვის კი უმშვენიერესი და უნაზესი ქალბატონი. მან თავისი მდიდარი ფანტაზიით რეალობა სასურველად აქცია.

ლექციის შემდეგ „უნიჭიერესი და უბრწყინვალესი", როგორც სოლოგუბმა უწოდა, ფუტურისტი იგორ სევერიანინი გამოვიდა. მისი დეკლამაცია უფრო სიმღერას წააგავდა, რამაც გააოცა საზოგადოება.

სოლოგუბს ბევრი მოწინააღმდეგე და კიდევ უფრო მეტი მომხრე გამოუჩნდა.

კარგად ახსოვს გალაკტიონს. ეს მესამე დღეს მოხდა, პაოლო იაშვილი სოლოგუბთან შეხვედრის ამბავს უყვებოდა ახალგაზრდა მწერლებს: – აღტაცებულია საქართველოთი. რაც მე ვნახე, ოცნებას აღემატებაო. ქართველები მეტად ემოციურნი, მუსიკალურნი და პოეტური ბუნებისა ბრძანდებითო. თქვენ უთუოდ უნდა დააარსოთ თბილისში ქართული ენის კათედრა. იგი ხელს შეუწყობს ეროვნული შემოქმედების პოპულარიზაციასო.

პაოლო ოდნავ გაოცებით აგრძელებდა – ჩვენი ანბანის შესწავლა დაუწყია. თურმე სახელსა და გვარს ქართულად წერს. გამომშვიდობებისას მითხრა: მე სილამაზის ტრფიალი ვარ. ყველაზე დიდი სილამაზე კი საქართველოა. იგი ყოველთვის დარჩება ჩემს მეხსიერებაში უტკბილეს ზღაპრადო.

პაოლო დასძენს: – ბედნიერებაა, რომ ასეთი დიდი და პატიოსანი მწერალი დაგვიმეგობრდა.

გაზეთ „დილის" თანამშრომელმა იქედნურად ჩაიცინა. სოლოგუბს არ აქვს უფლება მაღალ მატერიებზე და მორალზე ილაპარაკოსო.

გაოცდნენ მსმენელები.

– მაინც, რატომ?

– იმიტომ, რომ უწმაწურ ლექსებს წერსო:

„Растегни свои застежки и завязки развяжи,
Тело, жаждущее боли, нестыдливо обнажи.
Опусти к узорам темным отуманенный твой взор,
Закраснейся, и засмейся, и ложися на ковер".

გაცხარდნენ მომავალი ცისფერყანწელები, პოეზიის არაფერი გაგებებაო. გალაკტიონი დუმდა. მან ციტირებულ სტრიქონებში ძლიერი სახეები და მწერლური სითამამე დაინახა. ხმამაღლა არ უთქვამს, თავისთვის კი დაასკვნა: ამგვარ ფაქტებზე დაყრდნობით პოეტის ღვაწლის საბოლოო შეფასება მკრეხელობაა.

სოლოგუბის ლექციას გალაკტიონისათვის მხოლოდ

შემეცნებითი მნიშვნელობა როდი ჰქონდა. დიდ ადამიანებთან შეხვედრა მისთვის შემოქმედებითი იმპულსების წყარო, ვნებათა გამძაფრების საშუალება იყო. სურდა სხვაზე მეტი სცოდნოდა, სხვაზე უკეთესად ეწერა, სხვაზე უფრო პატივცემული ყოფილიყო.

რა ვუწოდოთ ამას? შეჯიბრი, მეტოქეობა, იქნებ „შური", როგორც თავად იტყოდა ხოლმე?

ფაქტი ერთია. ასეთ ვითარებაში მისი გონება კი არ იბინდებოდა, არამედ ნათლდებოდა, საქმეც უფრო ხელეწიფებოდა.

გამორჩეულობის სურვილი მაშინაც ამოძრავებდა, როცა დიდი სამხატვრო-სალიტერატურო და მუსიკალური საღამოს გამართვა დააპირა. ცხადია, ძირითადი მიზანი სხვა იყო – საზოგადოების იდეურ-ესთეტიკური ამაღლება და პირადი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ხსენებული იდეა 31 მარტს დაებადა, როცა ქალაქის თეატრში ი. გრიშაშვილის თაოსნობით გრანდიოზული საღამო-მეჯლისი გაიმართა.

გალაკტიონმა თავისი განზრახვა უწინარესად მხატვარ გ. მესხს გაანდო და დახმარება სთხოვა. ამ უკანასკნელს უნდა დაედგა ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან". მერე კრიტიკოს ხომლელს ესტუმრა. ისიც შეპირდა, რომ წაიკითხავდა მოხსენებას – „აკაკი როგორც დიდი ეროვნული მგოსანი". შემწეობა აღუთქვეს ცახელმა, დ. მესხმა, ი. ბახტაძემ და სხვებმა, მომღერალი გ. თუთბერიძე და მეჭიანურე ყარაგაზიანიც დაითანხმა.

გალაკტიონი კარგად იცნობდა ქუთაისელთა ბუნებას და დეტალებსაც ითვალისწინებდა. არ დავიწყნია, თუ როგორ გააცამტვერა ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა ი. გრიშაშვილის საღამოზე მოხსენებით გამოსული დ. კასრაძე: მისი ლექცია აბდაუბდა იყო. მომხსენებელმა არამც თუ ვერ გაართვა თავი ისეთ რთულ თემას, როგორიც არის „მშვენიერება ხელოვნებაში", არამედ სხვათა წიგნებიდან ამოკრეფილი აზრებიც კი ვერ გადააბა რიგიანად ერთმანეთსო.

გალაკტიონის საღამო 2 მაისს უნდა გამართულიყო, ამის შესახებ იუწყებოდნენ „კოლხიდა" და სხვა გაზეთები. „თანამედროვე ქვეყანამ" პირველ გვერდზე სარეკლამო განცხადებაც კი დაბეჭდა.

ერთი სიტყვით, გალაკტიონს ცდა არ დაუკლია, რომ საღამო კარგად ნატარებულიყო.

მოახლოვდა მაისი და გალაკტიონიც ადგილს ვერ პოულობს. ნერვები დაწყვეტაზე აქვს და მოხდა ის, რასაც ნამდვილად არ ელოდა.

„საღამოს საქმე ისევ ჩამიშალეს, – სწერს იგი ძმას, – ამის მიზეზები, ვინ იცის, რა არ იყო... როდისმე მოგიყვები ყველაფერს დაწვრილებით. ეხლა ცოტათი ვერა ვარ კარგ გუნებაზე, მაგრამ არა უშავს რა...

მეუბნებიან, „ნუ მოგიწყენია, ჩვენ შეგეწევით, ცოტა დაგვაცა!" ვნახოთ! სოფელში ვერ მივდივარ... სხვა თუ არა, დათეშიძის გონორარის იმედი ძალიან მაქვს. საღამო მაქვს სამტრედიაში, საღამო მაქვს ჭიათურაში, ცოტა ხანში ჩემს სასარგებლოდ შინაურულ საღამოს მართავს ერთი კნეინა...

მეუბნებიან, „ნუ მოგიწყენია"... მასწავლებლობა კი ამცდა. კითხვა ყოფილიყო ჩემზე და ერთ წვრილ ცოლ-შვილით დატვირთულ მასწავლებელზე. ორივეზე ბევრი ილაპარაკეს, ჩემზე განსაკუთრებით, იმას მაინც მისცეს, როგორც ოჯახის პატრონს. მეორე ადგილი ავიჩინე და დღესვე თხოვნას ვაძლევ – საბჭოში"[1].

ამ ბარათში ფაქტების მიღმა სხვა რამეც იკითხება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საკუთარი თავის გამხნევება. პოეტის გვერდით არავინაა, ვინც შეუძახებს, მოუფონებს, ჭმუნვას გაუქარვებს... და ისიც გამოსავლის ძიებაში სასურველს რეალობად წარმოსახავს.

ნუ ჩავთვლით ამას მხოლოდ და მხოლოდ თვალის დახუჭვად სინამდვილის წინაშე. მსგავსი გამონაგონი თუ იმედის ნაპერწკლები ზოგჯერ ჰაერივით სჭირდება კაცს, თორემ შეიძლება მთლიანად დაიმსხვრეს.

წერილში ნახსენები „დათეშიძის გონორარი" თითქოს რეალური ჩანდა. საქმე ისაა, რომ გალაკტიონი მოლაპარაკებას აწარმოებდა რ. დათეშიძესთან. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს უთქვამს, წიგნს გამოგიცემო. გალაკტიონიც ებღაუჭება ყასიდად ნათქვამ ფრაზას. სურს სიტყვაზე დაიჭიროს გამომცემელი, უკანდასახევი გზა მოუჭრას. ამიტომაც ბეჭდავს გაზეთში შემდეგ ინფორმაციას: „ბ-ნმა რ. დათეშიძემ უფლება შეიძინა და ამ დღეებში კიდეც შეუდგება პოეტის გ. ტაბიძის ლექსების ცალკე წიგნად გამოცემას. წიგნი ხელმისაწვდომ ფასებში გამოიცემა"[2].

სინამდვილეში არც გამოცემის უფლებაა შეძენილი და წიგნის ბეჭდვასაც არავინ შესდგომია.

აქაც ჩანს გალაკტიონის თავისებურება: ახალი საქმით ისე სწრაფად და ისე ძლიერად ენთებოდა, რომ წინა პლანისა და ფონის განსხვავებულობა ეკარგებოდა, რასაც ბუნებრივად მოსდევდა არასასურველი შედეგი.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 493-494.

[2] გაზ. „დილა", 1913, №39.

დავუბრუნდეთ პროკლესადმი (აბესალომისადმი) გაგზავნილ ბარათს. აშკარაა, რომ პოეტი ხარკს უხდის ძმას და დედას. მათი საყვედური რომ აიცდინოს, თავს ჯამაგირიანი ადგილისათვის, მასწავლებლობისათვის დაუცხრომელ მაძიებლად წარმოაჩენს. სინამდვილეში ასე როდია.

გალაკტიონისათვის მთავარია დამოუკიდებლობა, თავისუფლება. მთელი მისი მცდელობაც აქეთკენ არის მიმართული. იგი ვერ ეგუება არათუ სამსახურებრივ დიქტატს, არამედ ოჯახურ შეზღუდვასაც. შემთხვევითი არ არის, რომ ისე გაატარა ნახევარი საუკუნე, მხოლოდ ორჯერ თუ იჯდა (თანაც მცირე ხნით) „მოხელის" სავარძელში.

თავისუფლება სულის მოთხოვნაა. იგი შესაძლებლობას იძლეოდა, რომ გალაკტიონი, ჯერ ერთი, მთლიანად ჩანთქმულიყო ლიტერატურულ საქმიანობაში. მეორეც, როგორც მოქალაქე, არ დაჩაგრულიყო სამსახურებრივი იერარქიული ურთიერთობით და ამაყად გაესწორებინა თვალი ამა ქვეყნის ძლიერთათვის.

1913 წლის აპრილში თავადაზნაურთა მიერ არჩეულმა კომისიამ ახალგაზრდა მწერლებს ა. აბაშელს, ი. გრიშაშვილს, დ. კასრაძეს, კ. თარიშვილს და პ. ინგოროყვას სამას-სამასი მანეთით გაუმართა ხელი, ხოლო გ. ქიქოძეს – 150 მანეთით.

გალაკტიონი, ერთი მხრივ, კმაყოფილია, რადგან საზოგადოება ყურადღებას იჩენს ლიტერატორებისადმი. მეორე მხრივ, გულდაწყვეტილია, თავად რომ ვერ მოხვდა გამორჩეულთა შორის. საკუთარ თავს პირობას აძლევს – უმოკლეს ხანში მთელ საქართველოს ავალაპარაკებ და ჯილდოსაც დავიმსახურებო.

1913 წელს გალაკტიონი შეეჯახა „თემის" რედაქციას. საერთოდ, იგი უღრმესი პატივისცემით იყო განმსჭვალული ამ გაზეთისადმი. არქივმა შემოგვინახა თაბახი, რომელზედაც „მომენტალური ფოტოგრაფიებისა" და ლექსის „იალბუზის მწვერვალიდან" გვერდით არის ასეთი ჩანაწერი: „გაზეთ „თემის" ხელმძღვანელს თ-დ. გრიგოლ დიასამიძეს ნიშნად ღრმა პატივისცემისა უგზავნის გ. ტაბიძე".

ეს უნდა ყოფილიყო წარწერა იმ წიგნზე, რომლის გამოცემაც გალაკტიონს ნავარაუდევი ჰქონდა 1912 წელს.

გასაგებია, თუ როგორი ძნელი და მტკივნეული იქნებოდა დაპირისპირება იმ კაცთან, რომელმაც არაერთი ლექსი დაუბეჭდა ახალგაზრდა მგოსანს, რომლის ხელმძღვანელობითაც ჟიურიმ 1912 წელს გალაკტიონს „თემის" მეორე პრემია მიანიჭა და ა. შ.

საქმე ისაა, რომ ყოველკვირეულ ჟურნალში „ჩვენი წყარო",

რომელიც ბაქოში გამოდიოდა, დაიბეჭდა ფ. მანარაძის წერილები: „მეორე მხარესაც მოვუსმინოთ!“ და „უკანასკნელი პასუხი ცილისმწამებლებს“. ავტორი იმეორებდა იმ ამაზრზენ ბრალდებას, რომელიც წამოაყენა ჟურნალმა „მოგზაურმა“ 1905 წელს – თითქოს ილია ჭავჭავაძე უსასტიკესი მემამულე იყო, გლეხთა დამრბევი და სისხლისმსმელი. „მოგზაურის“ ყოფილი რედაქტორი პირდაპირ წერდა: „...ჩვენ გვაინტერესებდა მხოლოთ მოთხრობილ ამბების სინამდვილე, და როცა ამ უკანასკნელში რედაქცია დარწმუნდა, ვ. ნ-ის წერილის დაბეჭდვაც თავის თავათ გადაწყდა“[1].

შემდეგ: „მოგზაურში“ წამოყენებული ფაქტები დაურღვეველი დარჩნენ: „ნუ-თუ“-მ (ილიას საპასუხო სტატია – ნ. ტ.) ისინი ოდნავაც ვერ შეარყია“[2].

და კიდევ ერთი: „სახ. გაზეთი“ შემდეგ გვეკითხება ჩვენ: ნუ-თუ ილია ჭავჭავაძე მხეცი იყოო, რომ ის ჩაედინა, რასაც მას „მოგზაურის“ კორესპონდენტი აბრალებსო? რა თქმა უნდა, ძნელია ამ პირებთან სერიოზული ლაპარაკი, რომლებსაც გლეხებსა და მემამულეებს შორის არსებული ურთიერთობა იდეალურათ, მამაშვილურათ აქვთ წარმოდგენილი“[3].

ესე იგი, ილია მართლაც მტარვალი ყოფილა.

საგულისხმოა, რომ „მოგზაურის“ კორესპონდენტი ვ. ნ.[4], ვინც ილია სასტიკად შეურაცხყო, 1913 წელს ქუთათურ გაზეთში „თანამედროვე ქვეყანა“ სტამბავს ვრცელ სტატიას, რომელშიც წერს: „მე გადაჭრით ვალიარებ, რომ „მოგზაურში“ დაბეჭდილი

---

[1] ჟურნ. „ჩვენი წყარო“, 1913, №5(15), გვ. 8.

[2] იქვე, №6(16), გვ. 5.

[3] ჟურნ. „ჩვენი წყარო“, 1913, №7(17), გვ. 2.

[4] ამ ინიციალების უკან ვასილ დავითის ძე ნაცვლიშვილი იმალება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ერთხანს თურმე ცენტრალურ არქივში მუშაობდა. 1931 წელს არქივის მუშაკთა წმენდა მომხდარა. „ამ წმენდის დროს გამოურკვევიათ, რომ ნაცვლიშვილს ავჭალის მოედანზე სამიკიტნო ჰქონია, ბოქაულ ზუბრიცკისთან ჯაშუშად მსახურობდა და დროდადრო სათანადო ცნობებს აწვდიდა. დადგინდა ისიც, რომ ნაცვლიშვილი საერთოდ არასოდეს საგურამოში არ ყოფილა (ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, 1984, გვ. 142).
არსებობს მოსაზრება, რომ ვ. ნ.-ს ძალზე უკულტუროს და გაუნათლებელ პიროვნებას, არ შეეძლო დაეწერა ის კორესპონდენციები, რომ მისი სახელი სხვამ გამოიყენა.

კორესპონდენციები უნაკლულოთ სრული სიმართლე იყო"[1].

„თემის" რედაქტორი, და არა მხოლოდ ის, აღაშფოთა ამგვარმა გამოხდომამ გ. დიასამიძე ბეჭდავს ფოტოპირს ილიას წერილისას. ბარათის ავტორი სთხოვს მოურავს, თუ საგურამოში ჯარს ჩააყენებენ, ყველა ღონე იხმაროს გლეხთა დასაცავად.

ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც ბევრი რამის გადასინჯვა შეიძლებოდა. ფ. მახარაძემ კი გააბიაბრუა იგი[2].

გ. დიასამიძე იცავს დიდ სამოციანელს და მოითხოვს სპეციალურად დინჯად იქნეს შესწავლილი ილიას და გლეხების ურთიერთობა, დადგინდეს სიმართლე და ბოლო მოეღოს უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას. ამასთანავე, შენიშნავს: „ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძე კერძო საკუთრების პრინციპის აღმსარებელი და მისი შეურყევლობის მომხრე იყო. ამ მხრით ილიას ჩვენში ბევრი არ ემხრობოდა. ჩვენს შორისაც იყო დიდი განსხვავება, მაგრამ მარტო ამისათვის ვინ ჰხდის პატივს ადამიანს და მეტადრე უმოკლებს სიცოცხლეს!"[3]

ეს ფრაზები გაგებულ იქნა როგორც მესამედასელთა მიჩნევა მკვლელებად. მოგვიანებით გ. დიასამიძე შეეცადა გარკვეულობა შეეტანა ამ საკითხში. იგი აცხადებს, რომ „...ილიას მკვლელობა მოხდა პირადი შურისძიების ნიადაგზე, მხოლოდ გამორკვეული არ არის ჯერ-ჯერობით, რა მიზეზით არის გამოწვეული ეს შურისძიება"[4].

გ. დიასამიძის მოწინავე სტატიას მოყვა ჰ. გელეიშვილისა და ფ. მახარაძის წერილები. ისინი „თემის" მომდევნო ნომერში (№125) დაიბეჭდა. აქვეა რედაქტორის „ჩვენი პასუხიც", რომელშიც გაკრიტიკებულია ზემოხსენებული ავტორები და მხილებულია „მოგზაურის" კორესპონდენტის ლიტერატურული თაღლითობა.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. „სახალხო გაზეთი", „თემი", „იმერეთი" და სხვ. იცავენ ილიას. საგულისხმოა, რომ ფილიპე გოგიჩაიშვილი ფილიპე მახარაძეს უწოდებს ბუნებით ბოროტ არსებას, მანიაკს, თავზეხელაღებულ ვაჟბატონს, უძირო ჭაობს და ა.შ. მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატიული გამოცემები, პირველ რიგში კი „სიმართლის ხმა" და „თანამედროვე ქვეყანა",

[1] გაზ. „თანამედროვე ქვეყანა", 1913, №8.

[2] იხ. მისი „მოკლე პასუხი გაზ. „თემის" რედაქტორს ბ-ნ გრ. დიასამიძეს (გაზ. „თანამედროვე ქვეყანა", 1913, №10).

[3] გაზ. „თემი", 1913, №124.

[4] იქვე, №135.



გამძაფრებით ესხმიან თავს ზემოხსენებულ გაზეთებს: – თქვენ ილიას სახელი გამოიყენეთ მესამედასელთა დასამცირებლადო.

ნომრიდან ნომერში იბეჭდება ასეთი განცხადებები: „ჩვენ, თფილისის რკ. გზ. დეპოს მუშები სასტიკათ აღელვებული ვართ უგვანო საქციელით ჩვენებურ „მამულიშვილთა", რომელნიც შემოკრებულან „სახ. გაზეთის" და „იმერეთის" გარშემო. მათ ამ ბოლო დროს „თემიც" მიემატა. დღიდგან ილიას მოკვლისა ეწევიან საზიზღარ ცილის წამებას და ყოველთვის ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებიან იმათ, ვისაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ილიას ვერაგულ მკვლელობაში"[1].

„სიმართლის ხმამ" და „თანამედროვე ქვეყანამ" სპეციალური განყოფილებებიც კი შექმნეს – „საპროტესტო წერილები" და ნომრიდან ნომერში გაისმოდა „მამულიშვილთა" ლანძღვა-გინება. კამპანია მარჯვედ იყო ორგანიზებული.

აი, რას ვკითხულობთ „სიმართლის ხმის" მეცხრე ნომერში:

[1] გაზ. „თანამედროვე ქვეყანა", 1913, №19.

„ჩვენ, სოფ. საჭილაოს მცხოვრებნი: მუშები, გლეხები და ნაწილი ინტელიგენციისა განუსაზღვრელ აღშფოთებას და ზიზღს ვუთვლით „სახ. გაზეთს", „იმერეთს" და „თემს". ვაცხადებთ, რომ ჩვენ ნებას არავის მივსცემთ ფეხქვეშ გათელონ ისეთი პიროვნება, როგორიც ფილიპე მახარაძეა!"

ამგვარი დაპირისპირება სოციალ-დემოკრატებსა და თერგდალეულთა მემკვიდრეებს შორის სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც იჩენს თავს. არსებითად ეს იყო ბრძოლა იდეური პოზიციების დასაპყრობად. ამის დასადასტურებლად კიდევ ერთ ფაქტს მოვიტანთ. ეს არის ტ. ტაბიძის „წერილი მოსკოვიდან". ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს: „ისტორიაში, მგონია, შავ-ბნელ ლეგენდად დარჩება ის ამბავი, რაც ილია ჭავჭავაძის სახელის გარშემო დატრიალდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ გათავებულიყო ეს შეუკავებელი სატურნალია და ენებათა გახელება, რომ მეორე შერცხვენილ ფაქტს მიეცა ადგილი. 28 სექტემბერს მოსკოვში დანიშნული იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურული წრის მორიგი კრება"[1].

სტუდენტებს სურდათ გადაეხადათ თამარ მეფის იუბილე. მაგრამ ამას წინ აღუდგნენ სოციალ-დემოკრატები. ერთ-ერთმა დასელმა საჯაროდ განაცხადა: „თამარ მეფე დამამყარებელი იყო აბსოლიუტიზმისა" და ამიტომ მოგიწოდებთ გაუწიოთ „წინააღმდეგობა ნაძირალებს", რომლებიც „აწყობენ ამ შავრაზმულ საქმესო"[2].

კრების თავმჯდომარის ა. ჯავახიშვილის წინადადებით ჩატარდა კენჭისყრა. დასელები სასტიკად დამარცხდნენ. მაგრამ ამგვარი შეტაკება სტუდენტურ მერხზე გვერდიგვერდ მსხდომი ახალგაზრდებისა თავისთავად ბევრის მთქმელია.

ერთი სიტყვით, პარტიულმა სიძულვილმა ყველაფერი მოიცვა. აკაკი პაპავას სიტყვით რომ ვთქვათ, ეროვნული თავისუფლების გმობამ კატასტროფამდე მიგვიყვანა, სწორედ ამის შედეგია „... უგნური პროტესტების ბეჭდვა გაზეთებში, მახარაძის სეკტანტური აზრები, მოსკოვის სტუდენტთა კულტურულ წრეში ატეხილი კამათი თამარის იუბილეს შესახებ და სხვა მრავალი"[3].

გალაკტიონი ჩაბმული აღმოჩნდა ამ ბრძოლაში. მას უარი განუცხადებია „თემში" თანამშრომლობაზე. ამასთან დაკავშირებით „თემის" რედაქცია სწერს ნოე ჩხიკვაძეს, ვ.

---

[1] გაზ. „სახალხო გაზეთი", 1913, №1016.

[2] იქვე.

[3] გაზ. „ერი", 1913, №149.

მალაქიაშვილს, იასამანს, გალაკტიონ ტაბიძეს, გელას და რ. ლეჩხუბელს.

„თქვენ გამოგიცხადებიათ, რომ „თემში“ აღარ გესურვებ თანამშრომლობა, მაგრამ, სანამ ამას იტყოდით, ერთხელ მაინც არ დაფიქრდით, გვითხოვია თქვენთვის თუ არა თანამშრომლობა?

გაიხსენეთ, განა ზოგიერთი თქვენთაგანი პირდაპირ არ გვემუდარებოდით დაგვესტამბა თქვენი ნაწარმოები – სწორედ იმ წერილების დაბეჭდვის შემდეგ, რომლის გამოც ახლა ბუკსა და ნაღარას სცემთ?..

ძალიან კარგად გვესმის, თუ რა წმინდა წყლის რისხვაა თქვენი რისხვა...

სჯობს ისევ ზოგიერთმა თქვენთაგანმა უკან მიიღოს ის თქვენი „ნაწარმოები“, რომელსაც კარგა ხანია გულის ფანცქალით მიელის ძალზე შეწუხებული სარედაქციო გოდორი“[1].

ჩვენ ვერ მივაკვლიეთ გალაკტიონის განცხადებას. საინტერესო კი იყო, გავცნობოდით მის ფორმასა და ტონს.

ნ. ჩხიკვაძე,ვ. მალაქიაშვილი,იასამანი,გელა და რ. ლეჩხუმელი, რომელთა გვერდით იხსენიება გალაკტიონი, მესამედასელთა მიმდევრები არიან. ნ. ჩხიკვაძემ პირდაპირ განაცხადა: „ყველა იმის შემდეგ, რაც გაზ. „თემმა“, „სახალხო გაზეთმა“ და „იმერეთმა“ საზიზღარი ცილისწამება გადმოისროლეს **იმ მიმართულებისაკენ, სადაც ჩემი სულიერი განცდა და იდეის გამოხატულება ვპოვე** (ხაზი ჩვენია – ნ. ტ.). ვაცხადებ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ დღეის შემდეგ „თემის“ და „სახ. გაზ.“ თანამშრომლობას თავს ვანებებ. მოვუხმობ ყველა ჩემს თანამოკალმეთ, რომელნიც ჩვენს მიმართულებას იზიარებენ,ჩამოშორდნენ „თემს“,„სახალხო გაზ.“ და „იმერეთს“[2].

ვ. მალაქიაშვილი, იასამანი, გელა და რ. ლეჩხუმელი 1913 წ. თანამშრომლობენ „ჩვენს წყაროში“,„თანამედროვე ქვეყანაში“, „სიმართლის ხმაში“. მათგან განსხვავებით გალაკტიონს ხსენებულ გამოცემებში არც ერთი ლექსი არ გამოუქვეყნებია.

ეს შემთხვევითია? ხომ არ ემიჯნება გალაკტიონი გარკვეული თვალსაზრისით ზემოჩამოთვლილ პოეტებს? საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

მაგრამ თქმა იმისა, რომ გალაკტიონი შორს დგას სოციალ-

---

[1] გაზ. „თემი“, 1913, №139.

[2] გაზ. „თანამედროვე ქვეყანა“, 1913, №22. თითქმის ამგვარად მელობს ვ. რუხაძეც. იხ. გაზ. „მერცხალი“, 1913, №91.

დემოკრატებისაგან, შეცდომა იქნებოდა. ერთ პატარა მოგონებაში ვკითხულობთ: (ქუთაისის წიგნის მაღაზიაში ვართ) კ. ბალმონტი, ვ. რუხაძე და მე. სურათს ვიღებთ.

„– რისთვის არ არის აქ, შოთა რუსთაველის პორტრეტი? – მკითხა კ. დ. ბალმონტმა.

– მი – სოციალ-დემოკრატია! – დამასწრო პასუხი პოეტმა ვ. რუხაძემ (ვინა ჰკითხავდა? მერე,არც რუსული იცოდა ხეირიანად).

– მერე რა მანდედანა? – სთქვა ბალმონტმა – გ. ვ. პლეხანოვი სოციალ-დემოკრატია, მაგრამ ჩინებულად ესმის ხელოვნების სიტყვების მაგიურობა.

– მი ეტო ნე ზნაიმ – უპასუხა ვ. რუხაძემ"[1].

ეს ამბავი 1915 წელს მომ̣ხდარა. იგი კარგად ასახავს არსებულ ვითარებას, კერძოდ, მესამედასელთა ზედმეტად გამახვილებულ ტენდენციურობას.

მაგრამ რაღა შორს მივდივართ. 1913 წელს გალაკტიონმა ხომ გულწრფელად დაიტირა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, II ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი ავგუსტ ბებელი.

„მოდით, მგოსნებო! შავი თალხით შემოსეთ ქნარი,
ცრემლით იგლოვეთ მოამაგე დაუვიწყარი...
მოდი, მსოფლიოვ, თაყვანი ეც იმ გმირის საფლავს –
შენი დიდება, შენი ღმერთი მოკვდა, აღარ გყავს!"[2]

გალაკტიონი ნამდვილად ახლოსაა რევოლუციონერებთან და ბევრ რამეში თანაუგრძნობს მათ. რაც მთავარია, მას არ სჯერა, რომ ილიას მკვლელობაში სოციალ-დემოკრატები მონაწილეობდნენ, რომ ამ საქმის ორგანიზატორი ფ. მახარაძე იყო. იგი ხსენებულ პარტიასა და თვით ფილიპეზე მაღალი წარმოდგენისა გახლდათ. სხვა საკითხია, ბოლომდე დარჩა თუ არა ამ პოზიციაზე.

გალაკტიონი ყველაფერში არ ეთანხმება სოციალ-დემოკრატებს, მაგრამ მათ მაინც თვლის არსებული სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს დამანგრეველ ძალად. თვითმპყრობელობის დამხობა, ცარიზმის მოსპობა კი პოეტის სანუკვარი ოცნებაა. მისი ღრმა რწმენით, ამ გზით შეიძლება მოპოვებულ იქნას არა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ პიროვნების თავისუფლება და, საერთოდ, ბედნიერება.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ არსებულის უარყოფა ყველა

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 238.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 157.

სადად მოაზროვნე, დემოკრატიულად განწყობილი მოქალაქის მოთხოვნა იყო. ვერც იმაც უარეყოფთ,რომ კომუნიზმის დოქტრინა გარეგნული მომხიბვლელობითაც გამოირჩეოდა.

და აი, ჩვენ მივადექით ერთ არსებით საკითხს, რომელსაც სხვა დროს ჩავუღრმავდებით, აქ კი შევეცდებით ძირითადი ხაზი გამოვკვეთოთ.

გალაკტიონი არასდროს ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი, არც მაშინ, როცა ახალგაზრდული „დაუნდობელი სურვილი ლომის“ სამყაროს აყირავებისაკენ უბიძგებდა; არც მაშინ, როცა ალმოდებულ პეტერბურგში მაუზერიან მეზღვაურებს შესცქეროდა; არც მაშინ, როცა ლენინის ორდენით დააჯილდოვეს...

როგორ ავხსნათ ეს ფაქტი?

მართალი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ მას არავინ ეწეოდა პარტიისაკენ. მეუღლე ოლია ოკუჯავა თავგადადებული ბოლშევიკი იყო. ცოლისძმა მიხეილ ოკუჯავა – საქართველოს კომუნისტთა თავკაცი... 1917 წელს მოსკოვში ძველ იატაკქვეშელს პირდაპირ უთქვამს გალაკტიონისათვის – რეკომენდაციას მოგცემ პარტიაში შესასვლელადო. (ამას თვით პოეტი იხსენებს)...

გალაკტიონი მაინც ჯიუტობს. ეს გაყუჩება გაცნობიერებული აქტია. ჩვენ ახე ვფიქრობთ: გალაკტიონი ჭეშმარიტ მგოსანს ყველა პარტიასა და ჯგუფზე მაღლა აყენებდა. ღრმად სწამდა, რომ იგი ღმერთის მოციქულია და ძირითადად ეპიზოდურ ამბებზე კი არ უნდა იხარჯებოდეს, არამედ მარადიულ და უნივერსალურ საქმეებზე. ცხადია, ეს არ გამორიცხავს მიმდინარე მტკივნეულ პრობლემებზე დაფიქრებას.

გალაკტიონი თავისუფლების არა მხოლოდ მეხოტბე, არამედ უმძაფრესი განმცდელიც იყო. მას არ შეეძლო ვინმეს დიქტატს ნებაყოფლობით დამორჩილებოდა.

სიტყვა გაგვექცა.

გალაკტიონს არ შეეძლო უპასუხოდ დაეტოვებინა „თემის“ განცხადება: იგი შეურაცხყოფილად თვლიდა თავს. გ. დიასამიძე კონკრეტულად არ ასახელებდა, თუ ვინ უტალახებდა რედაქციის კარებს, ვინ ეაჯებოდა ლექსების დაბეჭდვას. „ზოგიერთ თქვენგანში“ შეიძლებოდა მკითხველს გალაკტიონიც ეგულისხმა.

რეპლიკის ქვეტექსტი ადვილად ამოსაცნობი იყო: რადგანაც რედაქციამ არ დაბეჭდა მავანთა მდარე ნაწარმოებები, ისინიც გაბოროტდნენ და განუდგნენ „თემსო“. ე. ი. გალაკტიონი უნიჭოთა მარაქაში ექცეოდა.

ახალგაზრდა პოეტმა გამოაქვეყნა პრინციპული ხასიათის, საკუთარი ღირსების მკაფიოდ გამომხატველი „მცირე განმარტება

„თემს“ (იგი შესული არ არის გალაკტიონის თხზულებათა ოორმეტტომეულში. მოგვყავს მთლიანად).

„გაზეთ „თემის“ უკანასკნელ ნომერში დასტამბულია წერილი იმ პირების საპასუხოთ, რომელთაც უარი განაცხადეს „თემში“ თანამშრომლობაზე. ეს განცხადება დაკავშირებული იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარშემო ატეხილ კამათის დროს „თემის“ დასაგმობ პოზიციაზე შედგომასთან. ახლა „თემი“ გვეკითხება: „განა გვითხოვია თქვენთვის როდისმე თანამშრომლობაო?“

„თემმა“ უნდა იცოდეს, რომ მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებულია, თუ ვინ ვის სთხოვა თანამშრომლობა: „თემმა“ ჩვენ თუ – ჩვენ „თემს“, მხოლოდ მათ იციან, რომ ჩვენ ვითვლებოდით „თემის“ თანამშრომლებათ, რაც არაერთხელ ჰქონდა აღნიშნული ამ გაზეთს. აი, სწორედ ამ მკითხველებისთვის იყო საჭირო ჩვენი განცხადება.

პირადათ მე უნდა აღვნიშნო შემდეგი:

1. მე არ მითხოვია „თემისთვის“ გამოვეცხადებინე თავის თანამშრომელთა რიცხვში, მან მაინც გამომიცხადა.

2. მე არავის არ „ვემუდარები“ რამეზე, რადგან სამუდარო და სახვეწნი არავისთან არაფერი მაქვს, მით უმეტეს, „თემთან“.

3. იმ წერილების შემდეგ, რომლებმაც საერთო უკმაყოფილება და ზიზღი გამოიწვია, მე „თემში„“ არ გამიგზავნია რა დასაბეჭდათ.

4. აქედან ცხადია, რომ სრულიად უსაფუძვლოა „თემის“ იჭვიანობა იმაში, თუ „რა წმინდა წყლის რისხვაა ჩემი რისხვა“[1].

ამ პასუხში სწორედ არის გარკვეული რედაქციისა და თანამშრომლების ურთიერთობის საკითხი. გალაკტიონი გულწრფელია, როცა აცხადებს: იმ წერილების შემდეგ, რომლებმაც უკმაყოფილება გამოიწვია, „თემის“ რედაქციისათვის არაფერი შემითავაზებიაო. მართალია, მისი „ჩემს ირგვლივ“ („ყველაფერმა იცვალა ფერი“) 15 ივლისს დაისტამბა, მაგრამ იგი გაცილებით ადრე იყო გაგზავნილი.

ჩვენთვის ეს „განმარტება“ იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში მკაფიოდ ჩანს გალაკტიონის ხასიათი – სიამაყე და შეუპოვრობა, დამოუკიდებლობისა და თავისთავადობისკენ ლტოლვა. ხსენებულ კამათზე იმიტომაც შევჩერდით, რომ მკითხველისათვის აშკარა ყოფილიყო, თუ თავიდანვე როგორ დაიხლართა ილიას მკვლელობასთან დაკავშირებული საკითხები. დაპირისპირებულ მოსაზრებებში გარკვევა ნამდვილად ჭირდა. პრესა მარცვლის ნაცვლად უფრორე ჩენჩოს სთავაზობდა

[1] გაზ. „სიმართლის ხმა“, 1913, №11.

საზოგადოებას.

ერთიც უნდა ითქვას გარკვევით: ეს კონფლიქტი სრულიადაც არ ნიშნავს,– რომ გალაკტიონი ი. ჭავჭავაძის ღვაწლის შეფასებაში მესამედასელთა მხარეზეა და „თემს“ უპირისპირდება. პირიქით, გალაკტიონი ილიას თაყვანისმცემელია. ეს ნაწილობრივ ჩანს კიდეც ქვემოთ მოტანილ უცნობ ლექსში – „ილია ჭავჭავაძის საფლავზე“.

„აჰა, მგოსანო, შენს სამშობლოში
დუმილი მეფობს გულმოსაკლავი.
მოწყენილია გმირთა აკლდამა...
იქაც საფლავი... აქაც საფლავი...
ვინ უწყის, რამდენს კიდევ იმსხვერპლებს
დრო უჟამური, დრო გარეწარი...
რამდენჯერ ისევ გადაიშლება
სამშობლოს ცაზე სევდის ზეწარი...
უკეთესები ცივ სამარეში
ესვენებიან გულხელდაკრეფით.
ნელი ნიავი კუბოს უწნავს და
ცის მუქი სივრცეს რწყავს ცრემლთა შხეფით...
ვრჩებით ჩვენ... ვრჩებით ახალგაზრდები...
სევდამ ჩააქრო ჩვენი იმედი,
ნაღველმა ჩაჰკლა ბრძოლის წყურვილი.
ჩვენ ვტირით... ვტირით განუსაზღვრელად.
და არ აივსო ცრემლებით სურა,
ჩვენ არც კი ვიბრძვით და ვერ გავიგე,
ასე მწარედ რამ დაგვაუძლურა.
ან რას შევძლებთ ჩვენ?
თანამგრძნობლები არსაით ჩანან...
გული ცეცხლში თრთის.
მაგრამ როდემდის უნდა ვიკვნესოთ,
ასე უმწეოდ... მითხართ, როდემდის?“

ეს ლექსი ნამდვილად არ გამოირჩევა დიდი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებით, მაგრამ გალაკტიონის პოზიციის გათვალსაჩინოების თვალსაზრისით უთუოდ საგულისხმოა.

დადგა სექტემბერი. ქუთაისი „ფერში ნაირ-ნაირშია“. მზე კვლავ მძლავრობს და ქალაქი ზიმზიმებს. გალაკტიონი მოჟამულ ხასიათზეა.

ჯერ იყო და ლიტერატურული საღამო ჩაეშალა. მერე „თემის“ რედაქციასთან მოუხდა შეტაკება. წიგნის გამოცემასაც ვერ მოაბა თავი. გუშინ კიდევ დედის ბარათი გადასცეს:

„მიერთვას გალაკტიონ ტ. თავის საკუთარ ხელში". მაკრინე კვლავ საყვედურობს: „შენ ჩემთვის არ გემეტება წელიწადში ერთი წერილის გამოგზავნა". უფროსი შვილისაგან კი ყოველთვე ვიღებ.

ბარათის ბოლო ნაწილმა გული მოუკლა გალაკტიონს: „მუდამ შენს ფიქრში ვარ და ხშირად ავადაც ვარ. სიტყვა და სათქმელი ბევრი მაქვს, მარა მეტი წერა აღარ შემიძლია„.

ყოველივე ამას დიასახლისის ბუზღუნიც ემატება: ბინის ქირის გადახდას აგვიანებო.

ერთი პირობა სოფელში გაქცევა დააპირა. მაგრამ იქაც რომ ვერ მოისვენებს?

გალაკტიონი სულიერ დეპრესიას განიცდის. ამ პერიოდის ერთ ბარათში ვკითხულობთ: „რა საშინელი მარტოობაა! რა უსაზღვრო უთვისტომობაა... რაგვარი უფსკრული მიდგას წინ და მიპირებს შთანთქმას... მეშინია..."[1]

ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ეს მხოლოდ ყოფითი მომენტებით არის შეპირობებული. არა, პოეტს უწინარესად ყოფნა-არყოფნის პრობლემა აფიქრებს, კაცობრიობის საწუხარი ულრღნის გულს...

და აი, 12 სექტემბრის საღამოს გუცა შემოიჭრა პატარა ოთახში. (ეს ის გუცაა, რომელსაც გალაკტიონმა მიუძღვნა ლექსი „ეჭვი")[2].

მაზეგ აკაკის უნდა გავყვეთ მუხიანში. იქ მისი სახელობის ბიბლიოთეკა იხსნებაო.

გასაგებია, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს მიწვევა. აკაკი ხომ გალაკტიონის ღმერთი იყო. როგორც ერთ პატარა მოგონებაში აღნიშნავს, დიდი მგოსნის ნახვა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. 1908 წელს, აკაკის იუბილის დღეებში, მთელი კვირა დარბოდა, იქნებ თეატრში შევაღწიოო. ბილეთი ვერ იშოვა. ვერც მაშინ მოპკრა თვალი, როცა მგოსანი სიონის ტაძრიდან ეტლით მიპყავდათ. მერე მთელი საღამო იდგა სახაზინო თეატრის წინ. ამაოდ.

ქუთაისში დამკვიდრების შემდეგ ახალგაზრდა პოეტი არაერთხელ შეხვედრია აკაკის, ხანმოკლე საუბრებიც ჰქონიათ, მაგრამ სულ სხვაა მთელი დღით საქართველოს ბულბულის გვერდით ყოფნა.

ჯანღი გადაიყარა.

15 სექტემბერს ადრიანად ესტუმრა ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეებს. აკაკი მათ ბინაზე იმყოფებოდა. გალაკტიონი დიდ

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 499.

[2] გაზ. „ოლხიდა", 1911, №168.

პატივს სცემდა ნიკო ნიკოლაძის დებს. ისიც ახსოვდა, რომ 1905 წელს ეკატერინე თავისი მოსწავლეებით გამოვიდა ქუთაისის ქუჩებში ბარიკადების ასაგებად.

ათი წუთის შემდეგ დავით კლდიაშვილი მოგრძანდა. გალაკტიონს ღიმილით მიესალმა და აკაკის გადაეხვია. მერე ვ. რუხაძე, გ. ლალიძე, ბ. ჯაიანი, ლ. ბზვანელი, პ. მეფისაშვილი, გუცა და სხვებიც გამოჩნდნენ. კინოოპერატორი ვ. ამაშუკელიც იქ იყო.

თერთმეტის ნახევარზე შვიდი ეტლით მუხიანისკენ დაიძრნენ. მოქალაქეები ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ უჩვეულო კორტეჟს. როცა ბიბლიურ მოხუცს შეიცნობდნენ, აღფრთოვანებას ტაშით გამოხატავდნენ.

ერთი საათის შემდეგ ქვედა ქვიტირს მიაღწიეს. ეკლესიის გალავანი ახლომახლო სოფლებიდან მოსული ხალხით იყო გაჭედილი. მღვდელმა სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადა. შემდეგ ადგილობრივი სამკითხველო დაათვალიერეს. ექიმმა გ. ნასარიძემ სიტყვით მიმართა აკაკის. მგოსანმა საპასუხოდ თქვა: „მე ეს კი არ მახარებს, რომ მე მცემთ პატივს, ჩემში აღფრთოვანებას და აღტაცებას იწვევს ჩემი მოლოდინის გამართლება. ეს პატარა სამკითხველო ნიშანია იმისა, რომ ხალხმა გაიღვიძა, იგი გამოფხიზლდა, გამოერკვა და კულტურის გზით წინ მიდის“.

კვლავ ეტლებში. აკაკის ქულაჯიანი ცხენოსნები მიაცილებენ... და აი, მუხიანიც. სადგურიდან ბიბლიოთეკამდე ადამიანთა უიწყვეტი ჯაჭვია გაჭიმული. უმშვენიერესი გირლიანდები დაუწნავთ მუხიანელებს. ერთიმეორეზე გულწრფელი წარწერები: „გაუმარჯოს აკაკის!“ „მობრძანდით, ბატონო!“ და სხვა. ყვავილების თაღთან ეტლი შეაჩერეს და ახალგაზრდებმა ხელში აიტაცეს მგოსანი. ქუხდა მუსიკა. გრიალებდა ტაში. გოგონები ყვავილების ფიანდაზებს აგებდნენ.

გალაკტიონი ისე განიცდიდა ყველაფერს, თითქოს მას უწყობდნენ შეხვედრას. რატომღაც „თემში“ გამოქვეყნებული მიხ. ბოჭორიშვილის „მწუხრის ღიმილი (ჩვენს მგოსანს აკაკის)“ მოაგონდა. მინიატურაში ის იდეა იყო ჩაქსოვილი, რომ ხალხი უმადური, დაუნდობელი და განუკითხავია. ირონიულად გაელიმა გალაკტიონს. ნეტა ენახა ყოველივე ეს მიხას. მაშინ...

სამკითხველოს აივანზე სუროს ფოთლებით მორთულ სავარძელში ჩააბრძანეს აკაკი. გალაკტიონი ოდნავ მოშორებით დგას და ყველაფერს გონებაში იბეჭდავს. სამკითხველო-ბიბლიოთეკის კურთხევა საკმაო ხანს გაგრძელდა.

მერე ფანჩატურში გაშლილ უზარმაზარ სუფრას მიუსხდნენ. თამადამ, ადგილობრივმა მოძღვარმა პ. ჯინჭველაშვილმა დალოცა აკაკი.

ბევრმა ადღეგრძელა მგოსანი, მაგრამ გალაკტიონს ყველაზე მეტად დ. კლდიაშვილის სიტყვა მოეწონა. „ბატონებო! შორს, ცივს რუსეთში გადახვეწილს, მოშორებულს სამშობლოს მიწა-წყალს, რუსეთის სუსხისაგან გაყინულს გულს მითბობდა და გამაცოცხლებელ ნექტარათ მეელინებოდა ჩვენი საამაყო მწერალ-მოღვაწეთა და მგოსანთა ჰანგი ციური, რომელიც მრავალტანჯულ სამშობლოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა მგოსან აკაკის, რომლის ნაწარმოებთა თაყვანისცემაც მარად ცოცხალი იყო ჩემში და იცოცხლებს აწიც, და სიყვარული აკაკისა თვით სამარემდი ამოუშლელი იქნება ჩემს გულში“.

გალაკტიონი ორატორთა ნაუბარს გონების თვალით ჩხრეკდა და პირუთვნელად აფასებდა. ვ. რუხაძემ სიტყვა მოითხოვა: – მე უბრალო გლეხის შვილი ვარ. ანბანი აკაკის ლექსებიდან ვისწავლე. მიჭირს ჩემი ფიქრების პროზაულად გამოხატვა და ნება მიბოძეთ, სულმნათისადმი მიძღვნილი ლექსი „თაიგული“ წავიკითხო...

გალაკტიონი გულისყურით უსმენდა. მერე ანეტა იურკევიჩს გადაუჩურჩულა: სიტყვა გულწრფელი იყო, ლექსისა კი რა მოგახსენოთ...

აკაკის სიტყვამ სხვა მხრივ წარმართა გალაკტიონის ფიქრები.

მგოსანმა ბრძანა: ამგვარი შეხვედრები არა მხოლოდ ჩემს გამხნევებას ისახავს მიზნად, არამედ სხვათა წახალისებასაც...

გალაკტიონი გრძნობს „სხვებში“ ახალგაზრდა მწერლებიც იგულისხმება და ქვეტექსტს სწორად შიფრავს. აკაკი საპასუხო გარჯას მოითხოვს მათგან.

აკაკის ოპტიმიზმმა აღიტაცა გალაკტიონი. მგოსანმა თქვა: – მე არ მეგულება სხვა ხალხი, რომელიც ისე დაკნინებული იყოს, როგორც ქართველობა არის. ზოგს ეს გარემოება ჩვენში ერის სიკვდილის წინა პირობად მიაჩნია და ხარობს. ზოგიც გულგატეხილია და კვნესის. მე კი, მათგან განსხვავებით, დაცემულში სიცოცხლის ძარღვის ფეთქვას მაინც ვამჩნევო.

ამას იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ნადირობის ამბავი მოაყოლა და საზოგადოება იმედით აანთო.

გალაკტიონი დროდადრო აკაკის ლექსებს იხსენებდა. თანაც პოეტის ცხოვრების ძირითად მომენტებს აცოცხლებდა და ასკვნიდა: მგოსნის შემოქმედების სიძლიერეს მისი ზნეობრივი სიწმინდეც აპირობებსო.

თამადამ დ. კლდიაშვილის, ვ. რუხაძის, გ. ტაბიძის და სხვათა სადღეგრძელოები წარმოთქვა. როგორც ერთი რეპორტიორი

აღნიშნავს, „ახალგაზრდებს უსურვეს, რომ ღირსეული მემკვიდრეობა გაეწიოთ აკაკისთვის,ღირსეულათ გაიარონ აკაკის მიერ გაკვლეული გზა“.

როცა ლ. ბზვანელმა ი. გოგებაშვილი გაიხსენა, გალაკტიონი ზე წამოიჭრა. მას სხვებმაც მიბაძეს. სთხოვეს და გალაკტიონს არ დაუხანებია, ლექსი წაიკითხა. ტაშის გრიალში სწრაფად დაჯდა და მზერა აკაკისკენ გააპარა. მოეჩვენა, რომ სულმნათს შარავანდედი ადგა, თანდათან ზემოთ იწევდა და ცაში უჩინარდებოდა.

გალაკტიონი ხარბად იჭერდა აკაკის ყოველ სიტყვას, ითავისებდა მის ჟესტს და გამოხედვას. ეს იყო მწყურვალე შეგირდის მიერ ბრძენი ოსტატის ყოველმხრივი შეცნობის სურვილი.

ბევრი იცინა გალაკტიონმა აკაკის ოხუნჯობაზე. მასპინძლებმა აკაკის „ბუტიაობა“ წარმოადგინეს. სპექტაკლის მსვლელობისას მგოსანმა უეცრად სანათს ხელი გაჰკრა და კინალამ დაამსხვრია. შეცბუნებულმა სანათი გაასწორა და სთქვა: თუ თქვენ დაამტვრიეთ ჩემი ნაწარმოები, უფლება მაქვს სამაგიერო გადაგიხადოთ.

საერთოდ, გალაკტიონი აღტაცებული იყო აკაკის იუმორით. იმდენად მოსწონდა მისი ნაკვესები, რომ რამდენიმე თარგმნა კიდეც რუსულად. აი, ორიოდე ნიმუში.

«Великого грузинского пожта кн. Акакия Церетели некий господин спросил:

- А куда это Ваши курчавые волосы стремятся, поэт?

- На розыск ваших волос – смеясь ответил тот».

«Князья Акакия пригласили на обед в одно общество, а у грузин обычай – все выпивать до дна.

- Да пей же! – обратился к поэту толумбаш.

- Не могу. милый.

Толумбаш взял полный вином стакан, по обычаю, и опрокинул его за ворот поэта.

Прошло несколько дней. Поэт пригласил того самого толумбаша к себе домой. Тот не преминул явиться.

- Да напиши мне маленькое стихотворение, совсем маленькое...

- Боже избавь, я ни строчки от роду не писал, да какое я могу стихотворение написать.

Тогда поэт взял полную чернилами чернильницу и опрокинул ее за ворот толумбаша».

დავუბრუნდეთ მუხიანის ამბებს.

ღამის 12 საათზე დატოვეს სოფელი...

იდგა საკინძგახსნილი შემოდგომა ათქვირებული მკერდითა

და მობარბაცე მთვარით...

გალაკტიონი ერთხელ კიდევ გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ ლოცულობდა ხალხი აკაკიზე.

„იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად!
ჩვენი სიზმრების სიდიადეში,
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავქარად“[1].

ამას მოგვიანებით დაწერს გალაკტიონი. მაგრამ იგივე აზრი 15 ენკენისთვესაც არ ასვენებდა. მთელი კვირა მუხიანის შთაბეჭდილებებით სუნთქავდა. აანალიზებდა ცალკეულ დეტალებს და მოვლენის არსის გახსნას ესწრაფვოდა. რა აპირობებს აკაკის გაღმერთებას? რა თქმა უნდა, უბადლო ნიჭი და დამსახურება. მისი პიროვნება ქართველების ბედის ნატეხია. ამასთანავე, ამ მოწიწებასა და სიყვარულში ქართული ფენომენიც ცნაურდება. ჩვენს ხალხს ლიტერატურა მიაჩნია სულის უპირველეს გამოხატულებად. ქართველი კაცი თავისი ბუნებითა და მსოფლგაგებით პოეტია.

ეს დასკვნა იტოტება და გალაკტიონი შინაგანად ტკბება, რადგანაც არ შემცდარა, სწორ გზაზე დგას.

თუმცა, ისიც საკითხავია, შეეძლო კი სხვა არჩევანი გაეკეთებინა?!

გალაკტიონს გამახვილებული ჰქონდა დისტანციის გრძნობა. პარადოქსად ნუ მოგეჩვენებათ და ზოგიერთ პიროვნებასთან ერთდროულად ახლოც იყო და შორსაც. ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, სიახლოვე სიშორის საბურველად ხომ არ სჭირდებოდა?

მუხიანში ერთად მოგზაურობის მიუხედავად, გალაკტიონისათვის აკაკი კვლავ უმაღლეს და შორეულ მწვერვალად რჩებოდა, ყოველდღიური ყოფიდან მარადისობაში გადასულ კოლოსად, რომელთან ჩვეულებრივი მიახლოება ცოდვას უტოლდებოდა. ამიტომაც დიდი მგოსნის ყოველ სიტყვას, შემოხედვასაც კი თრთოლვით აღიქვამდა.

თხზულებათა აკადემიური გამოცემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გალაკტიონს 1913 წელს დაუწერია 15 ლექსი, გამოუქვეყნებია 9. ეს მონაცემები ზუსტი არ არის. არქივმა შემოგვინახა სხვა ნაწარმოებებიც, მათ შორის პოემაც. მაგრამ ამჯერად ეს არ არის გადამწყვეტი. არსებითი ის გახლავთ, რომ წინა წლებთან შედარებით აშკარა სხვაობა იგრძნობა. მაგალითად, 1912 წელს 25 ლექსი დაუწერია და 11 დაუსტამბავს. არაფერს ვამბობთ 1914 წელზე.

დასაფიქრებელია ისიც, რომ 1913 წლის მეორე ნახევარში

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 271.

მხოლოდ ორი ლექსი გამოქვეყნდა – ივლისსა და ნოემბერში. არ არის გამორიცხული, რომ ისინი გაცილებით ადრე იყო შეთხზული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება? ნუთუ გალაკტიონმა კალამი დადო?

ვფიქრობთ, ეს არის ძიების ხანა, გარდატეხის დაწყების პერიოდი. გალაკტიონი არ კმაყოფილდება ადრინდელი ნაწარმოებებით, უფრო მეტიც, ეჭვის თვალით უცქერის იმ მხატვრულ მეთოდს, რომლის ერთგული იყო აქამდე.

დუღილი თავს იჩენს ლირიკაში. ერთი მხრივ, იწერება „ყველაფერმა იცვალა ფერი", „გარდაცვალება", „სჩანს, ახლოა ქარიშხალი" და სხვა მისთანანი, მეორე მხრივ კი – „მე და ღამე".

ინერციის ძალა დიდია და კვლავ ძველებურად გაისმის სულით ობოლი კაცის კვნესა:

„მე მივდიოდი მარტოდმარტო სევდიან გზაზე,
მე ისევ ისე ვოცნებობდი იმ ქვეყანაზე.
ლურჯი ბურუსით ინთქებოდა ხშირი ტყე-ველი
და მყუდროება იყო ირგელივ დაურღვეველი".

პოეტი ხედავს როგორ დგება გაზაფხული და როგორ იცვლება ყველაფერი. ეს ბუნების კანონია და ერთადერთი, ვინც მას არ ემორჩილება, მგოსანია:

„ყველა გათავდა, ყველაფერმა
იცვალა ფერი.
მარტო დარდთა ჩემთ უცვლელობას
არ უჩანს ბოლო"[1].

ეს ლექსი სხვა მხრივაც იპყრობს ყურადღებას, თუნდაც ტონალობით. გაზაფხულს არაერთმა პოეტმა უმღერა. ქართულ კლასიკურ მწერლობაში გაზაფხული ძირითადად ბუნების გამოღვიძების, სიცოცხლის აფეთქების მაუწყებელია და მხნე განწყობილების განმსაზღვრელი. გალაკტიონთან სხვაგვარად არის. მწყემსის სტვირი „მწუხარეა", ვნება – „მორცხვი", გაზაფხული ისევ დაეშვა ქვეყნად, ვით მოჩვენება. ვარდები გაიშალა, მაგრამ ამ ყვავილებით „გაასვენებენ შემდეგ ცხედარს". შერჩეულია ისეთი დეტალები, აქცენტირებულია ისეთი ნიუანსები, რომლებიც სევდიან განწყობილებას აძლიერებენ.

შინაარსს ფორმა ზუსტად აქვს მორგებული, რაც აპირობებს კიდეც ლექსის შთამბეჭდაობას. პოეტს ვერ უპოვია მყარი საყრდენი და არსებობაც ტანჯვას გადაქცევია. მით უფრო ძნელია ამგვარი ყოფა, როცა ადრინდელი ოცნებები კვლავ გამოკრთის, როცა წარმოსახული და არსებული პოლუსებად განლაგდებიან.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტანჯვის მიზეზად

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 153.

არა მხოლოდ საზოგადოებრივი ყოფაა გამოცხადებული, არამედ ადამიანური შეზღუდულობაც. ეს არსებითი და მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა.

„რად მინდა მივსწედე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?

ჩემს უდაბნოს ვერ გავსცილდები მაინც ვერასდროს"[1].

ბედის საზღვრის გადაულახაობამ, სამყაროს აბსოლუტური შეცნობის შეუძლებლობამ ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია.

გალაკტიონს აქვს სხვაგვარი ლექსებიც, რომლებშიც ციდან მიწაზე დაშვება იგრძნობა და ვითარების შეცვლის იმედიც არის გამჟღავნებული.

„სიო არ ჰქრის, მაგრამ მაღლა
აშრიალდა ხის მწვერვალი,
სჩანს, ახლოა აღელვება,
სჩანს, ახლოა ქარიშხალი!
მძლედ დაჰქროლე, ქარიშხალო,
ააღელვე მთა და ბარი,
ეს სიჩუმე მე გულს მიკლავს,
სხვა ძალა მსურს, სხვა სიზმარი!"[2]

კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი. ეს არის ტანჯვით ტკბობა. ხშირ შემთხვევაში მიზნის მიუღწეველობა კვალიფიცირებულია როგორც უდიდესი უბედურება. საფუძველი და შედეგი ერთგანზომილებიანია. „მეზღვაურში" ახალი პლასტი ჩნდება – წამების ესთეტიკური შეფერილობა.

„წაჰყე, მგოსანო... თუ იგი ტრფობა
მართლა დამხსნელი არაა შენთვის,
მშვენიერ ტანჯვას და ვნების წამებს
მაინც იპოვი მუდამ, ყოველთვის"[3].

მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ამ პერიოდის ნაწარმოებებს,აქაც მსგავსი სურათი წარმოჩინდება. მძლავრობს ძველი ფორმები და ხერხები. პოეტი ხშირად მიმართავს შეპირისპირებას, როგორც ჩანაფიქრის შთამბეჭდავად, ემოციურად გამოხატვის მძლავრ საშუალებას. მაგალითად, ერთი მხრივ ბუნება – მეორე მხრივ პოეტი, პეპელა-ქალი, მეზღვაური-მგოსანი და ა. შ.

მხატვრულ სტილისტიკაშიც განსაკუთრებული ცვლილებები არ შეიცნობა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 158.

[2] იქვე, გვ. 161.

[3] იქვე.

საინტერესო ორიგინალური სახეები გაიელვებს. მაგალითად, ნისლი მთას ულელს ადებს... ანდა, თვალში საცემია სიტყვათა მიჯრითობა.

„ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლაკნება,
ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები
ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება“[1].

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვების ერთ სტროფში თავმოყრა პოეტური ხერხია.

რა შეიძლება ითქვას მეორე ნაკადზე. გალაკტიონი უკვე მტკივნეულად განიცდის სინამდვილის გაუბრალოებულად, ერთსახოვნად წარმოჩენას. ეს, მისი აზრით, სამყაროს სიდიადისა და სიმშვენიერის, სირთულისა და მრავალწახნაგოვნების შელახვაა. იგი გრძნობს, რომ ყველაფრის ახსნა არ შეიძლება, ზოგი რამ უნდა ირწმუნო, მგრძნობელობით გაითავისო და, საერთოდ, სულიერ იპოსტატს მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

როგორც ითქვა, სწორედ 1913 წელს შეითხზა „მე და ღამე“, რომელმაც გარკვეული სიახლეები მოიტანა. ამ ლექსის წაკითხვისას უთუოდ გაგახსენდებათ ილია ჭავჭავაძის ცნობილი სტრიქონები, რომლებიც მისი მსოფლმხედველობისა და მოღვაწეობის გასაღებს წარმოადგენს: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე!“[2]

გალაკტიონმა კი ღამე ერთადერთ მეგობრად და მესაიდუმლედ გამოაცხადა. აქ ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის „ღამე“ არ არის ილიას „ბნელი ღამე“. იგი მოკამკამეა, მტრედისფერი და საიდუმლო შუქით სავსე. ღამის ამგვარად წარმოჩენით უფრო ესმება ხაზი ბუნების უშუალობასა და პირველ არსთან სიახლოვეს. შემდეგ კი მეტად ჩნდება ასოციაციებისა და ხიდის გადების შესაძლებლობა.

გალაკტიონის გაგებით, ღამე შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ საკუთარი სულის სიღრმეების წვდომისას, არამედ სინამდვილის ჭეშმარიტად შემეცნებისას.

არსებითი ის გახლავთ, რომ „მე და ღამეს“ სიმბოლიზმთან მივყავართ. სხვა საკითხია, მას მივიჩნევთ თუ არა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ყოველმხრივ წარმომჩენად (სხვათა შორის, „მე და ღამეში“ არ შეინიშნება ბგერასა თუ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 159.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული ათ ტომად. ტ. II, გვ. 22.

სიტყვაზე მახვილის გადატანით ფორმალისტური ფეიერვერკი. აზრის მკაფიობა აშკარაა).

„...ეს იყო მარტოობის, სულით ობლობის თემაზე შექმნილი პირველი ნაწარმოები, რომლითაც გალაკტიონ ტაბიძე გაემიჯნა როგორც ასაკისმიერ ბუნდოვან განცდას, ისე წინაპართა გავლენას, და მარტოსულობა საკუთარ მსოფლმხედველობრივ ფაქტად აქცია. აქ დასრულდა მეცხრამეტე საუკუნის ხელწერა და შეიქმნა ახალი ეპოქის „სული ობოლი", რომელმაც შემდგომ და შემდგომ, თავის მხრივ, სულ სხვა სადინარებს გაუკვალა გზა თავად გალაკტიონ ტაბიძის (აგრეთვე სხვა პოეტების) ლირიკაში"[1].

ახლა საგანგებოდ შევჩერდებით გალაკტიონის ერთ უცნობ ნაწარმოებზე. 1913 წელს მას დაუწერია პოემა „შუანეთა". იგი მგოსანს ლიტერატორთა წრეში წაუკითხავს, „სადაც აღტაცებით მიეგებნენ პოემის როგორც შინაარსს, ისე ფორმასა და გრძნობათა სიუხვეს"[2]. ეს ინფორმაცია მრავლისმთქმელია და საგანგებო ინტერესის აღმძვრელიც. სამწუხაროდ, ხსენებული ნაწარმოები არ დაბეჭდილა. იგი დაიკარგა. ამის თაობაზე გაზეთი „აზრი" იუწყებოდა: „ამას წინად ერთ სტამბაში გ. ტაბიძემ ნაცნობებს თხოვნისამებრ აჩვენა ახალი პოემა „შუანეთა". სწორედ ამ დროს ტაბიძემ ჭიათურიდან დეპეშა მიიღო, სადაც აუცილებლათ ჩასვლას სთხოვდნენ. ტაბიძე მაშინვე გაემგზავრა და მხოლოდ გზაზე მოაგონდა, რომ პოემა მას სტამბაში დარჩა. სადგურ რიონიდან მან დეპეშით აცნობა ჩვენს რედაქციას ამის შესახებ და სთხოვდა პოემა არ დაკარგულიყო, მაგრამ რედაქციამ პოემის ასავალ-დასავალიც ვერ გაიგო. როდესაც ტაბიძე ქუთაისში დაბრუნდა, იგი ენერგიულათ შეუდგა ძებნას, მაგრამ პოემა ვერ იპოვა. ვაცხადებთ რა ამ გარემოებას, მპოვნელს ვთხოვთ პოემა ჩვენს რედაქციაში მოიტანოს, რისთვისაც მიიღებს გასამრჯელოს"[3].

არ არის გამორიცხული, რომ ეს შენიშვნა გალაკტიონს ეკუთვნოდეს. ისიც დამაფიქრებელია, რომ ოლია ოკუჯავა გალაკტიონს წერს: „გაიგე, სად და როგორ დააკავეს შენი „შუანეთა" და მომწერე ყველაფერი, არ მინდა, რომ შენ ის დაკარგო, გალიკ!"[4]

ჩანს, ოლიას გალაკტიონისაგან სხვაგვარი ინფორმაცია აქვს

---

[1] რ. თვარაძე, გალაკტიონი, 1972, გვ. 58.

[2] გაზ. „მერცხალი", 1913, №99.

[3] გაზ. „აზრი", 1914, №9.

[4] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 104.

– დაკავება-დაყადაღებისა და არა დაკარგვის შესახებ.

დოც. ი. ერემაშვილმა პირველმა გაამახვილა ყურადღება „შუანეთაზე“. მან ჯერ კიდევ 1984 წელს ვანის რაიონული გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: „სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება მისი პიესა „შუანეთა“, რომლის სიუჟეტი ჩვენი ვარაუდით აგებული უნდა ყოფილიყო ფრანგი ანა დრანსეს წიგნის „შამილის ტყვე ქალები“ შინაარსის მიხედვით“[1]. ავტორი გვაცნობს შამილის ცოლის ბიოგრაფიას და ხასიათს, მის დამოკიდებულებას ქართველ ტყვეებთან.

იგივე თვალსაზრისი განავითარა მკვლევარმა 1990 წელს. „ქართული მწერლობის“ მეორე ნომერში რუბრიკით „ჰიპოთეზა“ დაიბეჭდა „გალაკტიონის უცნობი პოემა“. კვლავ ანალოგიური მსჯელობა და შუანეთას დახასიათება. (ამჯერად ხსენებული თხზულება პოემად არის მოხსენებული და სამართლიანადაც). ი. ერემაშვილს მოაქვს აგრეთვე საგაზეთო შენიშვნები „შუანეთას“ საჯაროდ წაკითხვისა და დაკარგვის შესახებ.

კარგია, რომ გალაკტიონის უცნობ ნაწარმოებზე სიტყვა ჩამოვარდა. ამით მისი მოძიებისა და კვლევის სურვილი ცხოველდება. მაგრამ რამდენად გასაზიარებელია წამოყენებული თვალსაზრისი?

ვარაუდი აუცილებლად საჭიროებს საყრდენს. ასეთ ფუნქციას კი ვერ დავაკისრებთ სახელთა იდენტურობას (გალაკტიონის პოემის სათაურია „შუანეთა“ და შამილის ცოლსაც შუანეთა ჰქვია. სხვათა შორის, ათიან წლებში გალაკტიონი ხშირად იყენებს უცხო სახელებს: ზულეიმა, პროზერპინა, შუანეთა, სელიმი, ლარა და ა. შ.). ვფიქრობთ, ეს გზა მოლიპულია და მას რომ გავყვეთ, ლიტერატურათმცოდნეობას ქაოსი მოიცავდა. ერთი სიტყვით, დარღვეულია საკმაო საფუძვლის კანონი.

ზოგადი თეორიული მსჯელობა შორს წაგვიყვანდა. უფრო უპრიანია მივმართოთ ფაქტებს. ფაქტები კი სრულიად საპირისპიროს ღაღადებენ.

არავითარი კავკასიის ბრძოლები და შამილი, არც ლეგენდარული იმამის ცოლი და არც ანა დრანსეს წიგნზე „დაფუძნებული სიუჟეტი“...

გალაკტიონის „შუანეთა“ სულ სხვა შინაარსისა და ხასიათის პოემაა. ვიდრე მის განხილვას შევუდგებოდეთ, ერთი წინასწარი შენიშვნა: კარგად გვესმის, ჭეშმარიტი კრიტიკოსი უნდა ერიდოს ნაწარმოების შინაარსის ვრცლად გადმოცემას, რადგან იგულისხმება, რომ მკითხველი იცნობს საანალიზო თხზულებას, ან იოლად მიუწვდება მასზე ხელი. მაგრამ ამჯერად

[1] გაზ. „განთიადი“, 1984, №10.

განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. რამდენადაც „შუანეთას“ სრული ტექსტი არ მოგვეპოვება (უფრო მეტიც: ერთი სტრიქონიც კი არ არის ცნობილი საზოგადოებისათვის), ჩვენი ვალია, ფრაგმენტებზე დაყრდნობით ეცადოთ მისი ნაწილობრივი რესტავრაცია. ციტატათა სიუხვეც იმით აიხსნება, რომ მკითხველს შედარებით ფართო წარმოდგენა შევუქმნათ პოემაზე, გალაკტიონის ხელწერაზე; რაც შეიძლება სრულად შემოვიტანოთ თხზულება სამეცნიერო ბრუნვაში.

ნაწარმოებში სამი მთავარი მოქმედი პირია: ამილბარი, დონა და შუანეთა. დონა და შუანეთა დები არიან. სიკვდილის წინ დონა მეუღლეს – ამილბარს უმხელს თავის ეჭვებს. თუმცა უმჯობესია მოვუსმინოთ გალაკტიონს:

„დაღალული... ფერმიხდილი სარეცელზე იწვა ქალი
და ფანჯრიდან მთვარის ნათელს გასცქეროდა ძილ-
გამკრთალი.
ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა ამილბარი.
„როგორა ხარ,– ეკითხება,– რად არ გძინავს, ეს მითხარი“.
მაგრამ ქალი ყურს არ უგდებს და თავის მხრივ ეკითხება:
„ჩემო კარგო, მე ვამჩნევ, რომ აქ, ჩვენს ირგვლივ რაღაც
ხდება.
მე ვამჩნევ, რომ არ გიყვარვარ, შავი ნისლი მეხვევა გარს,
შენ ჩემი და, შუანეთა, განუსაზღვრელ გრძნობით გიყვარს...
ამაოა ყველაფერი და რას ვეძებ... ხედავ, ვკვდები.
გამიფანტე მე ეს იჭვი, გამიფანტე, გევედრები.
ჩემი დაა შუანეთა, ბევრი ვინმე მოუხიბლავს.
რა ვუყოთ, რომ ლამაზია და ცისფერი აქვს თვალები.
მე, მისი და, ავადმყოფი, ნუთუ ადარ გებრალები?
რად არ იცი, რომ ეს იჭვი არ მისვენებს დაღალულ გულს...
ცივ სამარეს მივეცემი, დავივიწყებ ამ შავ უფსკრულს.
მაგრამ შენში თუ გრძნობაა, თანაგრძნობის თუნდაც მცირე,
შემომწირე შუანეთა, საკუთარ ცოლს შემომწირე.
გახსოვს ჩვენი მეგობრობა, სიყმაწვილის გიჟი წამი?
ჩვენს სიყვარულს იმთავითვე ჰქონდა მტკიცე დასაბამი.
იმ ჩვენს პირველ მეგობრობის დაურღვეველ ფიცს გაფიცებ,
შემიბრალე! ჩემს წრფელ გრძნობას ამგვარად ნუ დაამიწებ.
ასე უცებ, უჩვეულოდ ნუ შეგჯაჭვავს გულის ხმები,
დაივიწყე შუანეთა, დაივიწყე, გევედრები,
გახსოვს მყუდრო დამეები, ჩვენ ერთად რომ ვატარებდით?
ერთურთს გარდა, გულის ფიქრებს არავის არ ვაკარებდით?
ტკბილი იყო ის წამები, სიყვარულიც იყო ტკბილი,
ვერაფერს ვერ დაგვაკლებდა თვით სამარე, თვით სიკვდილი,

მოიგონე ის წარსული გაზაფხულის მზიან დღეთა.
მათ სახსოვრად დაივიწყეე და ნუ გახიბლავს შუანეთა“.
სთქვა ეს ქალმა, აიწია, ნაზად ყელი მოიღერა
და მდუმარ ქმარს იჭვიანად შავ თვალებში უწყო ცქერა.
რას ფიქრობდა, ვინ გაიგებს, ან რა გველი მის გულს ღრღნიდა,
გადაემხო სარეცელზე და სიმწარით აქვითინდა.
შეკრთა ქმარი... გონს მოვიდა, გადაისო შუბლზე ხელი,
თითქოს სურდა გაეფანტა შავი ნისლი – აღუფხვრელი.
საყვედურის, წყნარ კილოთი დაიძახა: „ – დონა, დონა,
თუ შენ იჭვი გაწვალებდა არ ვიცოდი, არ მეგონა.
არ მეგონა, თუ იმგვარად დაგეძლურდი მე შენს თვალში,
რომ შემეძლო უსაფუძვლოდ გამეცვალა სულ სხვა ქალში.
შუანეთაც შენი დაა, რისთვის ფიქრობ, რომ მას გული
ძველებური აღარა აქვს – ნათესავთა მოყვარული?
კმარა... დასცხრი! ნუ ქვითინებ და დამიგდე ბარემ ყური.
გეუბნები, უმართლოა ჩემთან შენი საყვედური.
ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა იტანჯები, ასე დნები?
დაივიწყე! ყველაფერი უმართლოა, გეუბნები“.
სთქვა და სწრაფად გაიარა მოწყენილი ქალის ბინა
აუტოკდა რაღაც გული და თვითონაც მოიწყინა“.

როგორც ვხედავთ, კვანძი პოემის დასაწყისშივე იკვრება. აშკარაა, რომ, ორიგინალური სიუჟეტის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ „შუანეთაში“ „მესაფლავის“ ნოტები შეიცნობა, უფრო მეტიც, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. მივყვეთ ნაწარმოების ძირითად ხაზს.

დონა გარდაიცვალა და ამილბარისთვის სამყარო დაცრიელდა. იგი მოგონებებით ცოცხლობს. ყველგან დონა ელანდება,ყველგან მისი ხმა ესმის.

„დონა... იგრძნო ამილბარმა, რომ დაობლდა მისი სული,
რომ ნუგეშად არ-რა შერჩა, ყარიბია, გაძარცული.
მარტოდ-მარტო, უხალისო, ფოთოლივით ჩამომჭკნარი
დროს იგონებს და თვალთაგან მოჩქრიალობს ცრემლის ღვარი.
რაა მისთვის ეს სოფელი? რაა მისთვის ეს ქვეყანა?
არავინ ჰყავს ღონემიხდილს, რომ სიამის უთხრას ნანა.
სიყვარული და სიცოცხლე ზეცას მისთვის დაენანა,
წარიღო და განუსვენა სულთა თანა, სულთა თანა!“

ეს ადგილი „მესაფლავის“ ერთი პასაჟის ასოციაციას იწვევს. გავიხსენოთ ამ ნაწარმოების გულმოკლული ვაჟი. როგორ დადის ყოველდღე სასაფლაოზე და როგორ რინდდება,როგორ უღამდება

თვალები და როგორ დნება სანთელივით...

გადის დრო და ჭრილობა ხორცდება. ამილბარს მოაგონდა მომაკვდავი მეულლის სიტყვები: თუ ვინმე ჩემს ადგილს დაიკავებს, დეე, ისევ შუანეთამო და მიდის ცოლისდასთან.

„დიდი ხნიდან კარ-ჩაკეტილს არ ახსოვდა მას ეს ქალი
და ჰა, როცა დაინახა უნუგეშო, ფერ-მიმქრალი,
გაუკვირდა, შუანეთა თითქო მხოლოდ ეხლა იცნო
და არას დროს არ უნახავს, ის კი იყო და უმიზნო
რაღაც ძალამ ასე ურცხვად გადახატა დონას სახე
და სხეული, ფოთოლივით მოყოლილი, მოცახცახე...
და ეგ ცქერა, რომლიდანაც განდევნილა მტრობა-შური
და ხელები მოძაფული, სუსტი – როგორც ფაიფური.
ამილბარი დონას აშინებს, გაცოცხლებულ დონას ხედავს.
ხედავს, უცქერს და ახლო კი მიკარებას ვერ უბედავს“.

და კვლავ „მესაფლავის“ ანალოგია:

„მაგრამ ის სდგას და ჩურჩულებს: – შუანეთა, ყური მიგდე:
მინდა ყველა დავივიწყო, მინდა ჩემს ბედს შევურიგდე.
დავივიწყო, ვინც რომ გუშინ უმიზეზოდ მაწყენინა
და არას დროს არ დავტოვო მოღუშული ჩემი ბინა.
შევეჩვევი ზამთრის დღეებს... მოდი ჩემთან, ყური მიგდე:
მინდა ყველა დავივიწყო, მინდა ჩემს ბედს შევურიგდე...
დონა მოკვდა! ზენაარო, ნეტარება მიეც მის სულს.
მე კი წმინდად შევასრულებ იმის ასე დაბარებულს.
გახსოვს, როგორ დაიბარა: რომ, რაც უნდა იქნეს, შენი
უნდა ვიყვე ქმარი, და შენც კარგად იცი დანარჩენი.
თუ შენცა გსურს, მე კი ხომ მსურს, ჩემი იყავ, გახდი ჩემი,
ნუ მოშხამავ ჩემს სიცოცხლეს, წუთითაა მონაცემი.
თუ შენცა გსურს, მაშინ მეც მსურს... შუანეთა, ყური მიგდე:
მინდა ჩემთან ბინადრობდე, მინდა ჩემს ბედს შევურიგდე!“

გახსოვთ ალბათ, თუ როგორ მორცხვად ხრის თავს „მესაფლავის“ პერსონაჟი: „მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, სადაცა გსურს“... „შუანეთაში“ სხვაგვარად ვითარდება მოვლენები. ამილბარი სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდება.

„ბევრი რამ სთქვა ამილბარმა, საქმე კი ვერ მოაგვარა.
შუანეთას მხოლოდ ერთი სიტყვა ჰქონდა: არა, არა!“

სიტუაცია იძაბება და ჩვენს წინაშეც მრავალი კითხვა წამოიჭრება: მოტივირებულია თუ არა სიძისა და ცოლისდის სამიჯნურო ურთიერთობა? ყველაზე მეტად კი ის გვაინტერესებს – მტკიცეა თუ არა შუანეთას უარი? ან რამდენად საფუძვლიანია ამილბარის „შეტევა“? ამ კითხვებზე პასუხს ნაწილობრივ ვპოულობთ კიდეც ტექსტში და პერსონაჟებსაც მეტად ესხმება

ხორცი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამილბარის პორტრეტს შტრიხები აკლია. მისი მოქმედება ნაკლებ არგუმენტირებულია.

ვიდრე ტექსტს დავუბრუნდებოდეთ, ქნებ დავფიქრებულიყავით, რატომ მიმართა პოეტმა ქართული ყოფისთვის ესოდენ უცხო, ან უცნაურ ამბავს?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ნამდვილად არ არის შემთხვევითი. იგი გალაკტიონის მსოფლგაგების, იმჟამინდელი ესთეტიკური შეხედულებების მკაფიო ანარეკლია.

გალაკტიონი მიისწრაფვის ზოგადსაკაცობრიო საკითხების გარკვევისაკენ. ამდენად, ეროვნული თუ ისტორიული მომენტების აქცენტირებას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მას აინტერესებს, ვთქვათ, სიყვარული როგორც ასეთი და არა რომელიმე კონკრეტული ეპოქით დაღდასმული. ცხადია, ეს სრულიადაც არ გულისხმობს „დროისა და ადგილის" საერთოდ უგულებელყოფას. გალაკტიონმა კარგად იცის, რომ ფრანგი, ინგლისელი, რუსი თუ ქართველი სხვადასხვაგვარად ავლენენ ტრფობას. მაგრამ ტრფობა ხომ თავისი არსით მაინც ერთია. მისი სურვილია სწორედ ეს არსი გამოავლინოს მთელი სისრულითა და რაფინირებულად. სხვა საკითხია, რამდენად აღწევს მიზანს.

ყოველივე ამით აიხსნება ისიც, რომ პოემაში მითითებული არ არის არც დრო, არც ადგილი და პერსონაჟთა სახელებიც უცხო თუ ზოგადია.

პარალელი სააზროვნოდ: ერთხელ მოსკოვს, მწერალთა სოლიდურ შეკრებაზე, ორატორმა კალმოსნებს თანამედროვეობის დაუვიწყარი სახეების – მეფოლადის, მწველავის, რაიკომის მდივნის და ა. შ. შექმნისაკენ მოუწოდა. ერთმა ცნობილმა დრამატურგმა ვერ მოითმინა და უკმაყოფილოდ განაცხადა: – არ მესმის, რას ნიშნავს ყოველივე ეს. ჩემთვის გასაგებია მხოლოდ სიყვარული, სიძულვილი, შიში, ეჭვი...

ეს ფაქტი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ფართოდ გავრცელებული ტენდენციის გამჟღავნებელია. ბევრი შემოქმედისათვის ინდივიდი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა არა როგორც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი, არამედ როგორც ადამიანური თვისებების, ვნებებისა და იდეალების რელიეფურად გამომხატველი. ე. ი. თავიდათავია ის, რაც ადამიანს ადამიანად წარმოაჩენს და არა ეთნიკური თვისებები.

გალაკტიონიც ამ პოზიციაზე დგას. „მსოფლიო მოქალაქის" პორტრეტის დახატვას ესწრაფვის.

მივყვეთ სიუჟეტს.

როგორ ავხსნათ ამგვარი საქციელი? რა ვუწოდოთ მას? ფუქსავატობა? პირველი სიყვარულის ღალატი? ჭეშმარიტ

გრძნობაზე ვნების გაბატონება? შურისძიება? ან იქნებ გალაკტიონი სულ სხვას ამტკიცებს? იქნებ, მისი აზრით, პირველი სიყვარული რჩება ნაღდ და გაუხუნარ გრძნობად. მეუღლის დაღუპვის შემდეგ სხვა ქალთან დაახლოება მხოლოდ არსებობის შენარჩუნების მიზნით ხდება. არსებობა კი იმიტომაა საჭირო, რომ გარდაცვლილი სატრფოს ხსოვნა უკვდავყო, პირველი სიყვარული გააღმერთო.

შუანეთამ როცა ამილბარის გადაწყვეტილება შეიტყო, არ დააყოვნა.

„და მოვიდა შუანეთა ამილბართან ერთხელ დილით
„– მე მოვედი, – ის ამბობდა, – ხომ ხედავ, რომ მე მოვედი.
თუ შენ ჩემით გენატრება გაგიბრწყინდეს ისევ ბედი,
მე მოვედი! და აქ მოსვლა, რა ვუყო, რომ მეც არ მჯერა.
გულმა აღარ მომასვენა, ფიქრმა ველარ შემაჩერა
და არ მჯერა! ამილბარო, აჰა გქონდეს ჩემი გული,
რომ მარადის ვიქნე შენი უბოლოოდ მოყვარული“.
მე მოვედი! – შუანეთა ამ ერთ სიტყვას ხშირად სთვლიდა,
თითქო თვითონ მას უკვირდა, ამილბართან რომ მოვიდა.
„აჰა“ – ფიქრობს ამილბარი – რა ვუყოთ, რომ ჩემთან მოდი,
განა თვითონ არ გითხარი? მაგრამ შემდეგ არ გელოდი.
ჰო, ხომ მოდი! რომ უღელი შეაჯვარო, ჩემთან სწიო
და შემთხვევაც ხომ ეხლა მაქვს, ძველი შური რომ ვიძიო.
სულ ცოტა ხნის, დასაცდელად, უარს გეტყვი, ისე მხოლოდ,
რომ ეს სიტყვა კვლავ შემეძლოს დავიბრუნო საბოლოოდ„
„– შუანეთა, – ამილბარმა შუანეთას უთხრა ასე
– შუანეთა, უკეთესი ნეტა რაა შენს მოსვლაზე
მაგრამ ცოტა დაგვიანდი, აღარ ძალმიძს შენი ქმრობა,
მხოლოდ ეს გულს ნუ გაგიტეხს – გრწამდეს ჩემი მეგობრობა.
რატომ წინად არ მასმინე შენი ფიქრი, გულის ძგერა?
ეხლა, ჩემო, გვიანდაა... ამადამ მაქვს ჯვარისწერა.
„– გვიანდაა?“ „გვიანდაა!“ არ გელოდი, უნდა გითხრა!“
ღმერთო ჩემო, ოჰ, რას ვამბობ – ამილბარმა გაიფიქრა
და იმ წუთშივ მოემზადა, და ეძებდა სიტყვას სხვაგვარს,
რომ ფიქრი არ დაეშალა შუანეთას გულცივ ხარხარს.
„– ხა, ხა, ხა, ხა! ამილბარო... ნუთუ მართლა შენ გეგონა,
შუანეთას გული შენ ერთს შეგეწირა, დაგემონა?
შენზე მეტი საფიქრალი შუანეთას არ აქვს ვითომ –
სცდები, სცდები, ჩემო კარგო, სულელი ხარ და იმიტომ.
რომ ერთბაშად დამეცინა და მეცინა სიხალისით.
გუშინ მხოლოდ ამას ვგრძნობდი და დიდხანს არ დამეძინა.

მე მოვედი, შენი სახე ერთხელ კვლავ რომ დამენახა?
ამალამ გაქვს ჯვარისწერა? ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა, ხა!
და ხარხარით შუანეთა ოთახისას გასცდა კარებს.
დაცინვა ხომ მრავალია, მაგრამ ასე ვინ ხარხარებს".

ურთულესი გარდასახვანი, უმძაფრესი განცდები, როგორც ჩანს, შუანეთას მართლაც უყვარს ამილბარი და მისი პირველი უარი გულწრფელი არ ყოფილა. ჩანს, იგი საზოგადოებრივ აზრს უწევდა ანგარიშს და საკუთარი გრძნობის ჩახშობას ცდილობდა. მაგრამ ვერ შეძლო. სიყვარული ყოვლის დამთრგუნველი აღმოჩნდა.

ამილბარის უარმა შუანეთა გამოაფხიზლა. თავმოყვარეობა უკიდურესად გაუღიზიანა. უეცარი მეტამორფოზიც სიამაყემ განაპირობა, მაგრამ შეუძლებელია ასე გაგრძელდეს და მომდევნო თავში ჩვენ ვხედავთ, რომ ჯვარისწერის ჟამს შუანეთა ჯიქურ მიეჭრება პატარძალს.

„შუანეთამ აღგზნებულმა მკაცრად სასძლოს სტაცა ხელი
და მკაფიო ხმა გაისმა: ჩამოდექი, აქ რას ელი?
ღირსი არ ხარ დონას ნაცვლად იდგე წმინდა ამ ტაძარში.
ღირსი არ ხარ ამილბარის რომ გეჭიროს ხელში ხელი".

ჯვარისწერა მაინც შედგა. ნეფე-დედოფალი მილოცვებს იღებენ.

„და ამილბარს ამ დროს ეიღაც წყნარ ჩურჩულით ეუბნება:
„არ იცოდი, ამილბარო, თუ რამდენი დღე და ღამე
მიტაცებდა შენზე ფიქრი... მეოცნებე, მოკამკამე"...
ხმა დაჩუმდა. გაინაბა. ამილბარმა სწორედ მაშინ
მოიხედა და გაკვირდა... შუანეთა იდგა მის წინ".

ტექსტი აქ წყდება. პოემის ფინალი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ზოგიერთი დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება.

გალაკტიონი ამ პერიოდში სიყვარულის მარადიულობისა და ტრფობა-სიცოცხლის ურთიერთობის ურთულესი პრობლემების გარკვევას ესწრაფვის.

ისიც საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა მწერალი ყურადღებას ამახვილებს სიყვარულისა და სიამაყის მიმართებაზე, გრძნობის გაუმხელობაზე, რაც ყალბად გაგებული თავმოყვარეობით არის მოტივირებული და რასაც სავალალო შედეგი მოაქვს. ამგვარი პოზიცია პოეტისთვის გასაგებია, მაგრამ მიუღებელი.

როგორც ჩანს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მოდად იყო ქცეული სიყვარულის გამხელისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. ეს აღელვებს და აღშფოთებს გალაკტიონს.

თავს ნებას მივცემ მთლიანად მოვიტანო გალაკტიონის ერთი უცნობი პროზაული ნაწარმოები, რომელიც, შეიძლება ჩვენი მოსაზრების გასამაგრებლადაც გამოდგეს.

მწუხარება

მე ვუთხარი ზულეიმას რომ მიყვარს, რომ არ შემიძლია უიმისოდ სიცოცხლე და თან დავუმატე:

– გამომყე ცოლად!

– როგორ? – შეჰკივლა ზულეიმამ...

– ისე, ჩემო კარგო, არ შემიძლია.

– ხა, ხა, ხა, ხა! გადაიხარხარა მან, მაგრამ სწრაფადვე სერიოზული სახე მიიღო, გაკვირვებით შემომხედა და გაყინული სულგრძელობით მითხრა...

– მე სიყვარულისა არა მწამს-რა! აბა როგორ შეიძლება ცოლად გამოგყვე, ისეც, ასეც. აი თუ გინდა, დავმეგობრდეთ...

– მე მეგონა, ვიყავით კიდეც მეგობრებად...

– არა, ამის შემდეგ! ამის შემდეგ... ხა, ხა, ხა!

***

ორი წელიწადი გავიდა. ამ ორ წელიწადში, ვინ იცის, სად არ დავხეტიალობდი. ცხონებულმა ჰეინემ წამალიც მასწავლა: როცა სიყვარულში დამარცხდები, წადი, იმოგზაურე, სანაძლეოს ვდებ, სულ რამდენიმე თვეში დაგავიწყდება ყველაფერიო. მე კი მაინც არა დამავიწყდა რა... ისევ დავბრუნდი იმ ქალაქში, სადაც ზულეიმა მეგულებოდა... ის ღიმილით შემომხვდა და მითხრა:

– სად დაიკარგე ამდენი ხანი? ღმერთმანი, მიყვარხარ... წამიყვანე სადაცა გსურს, თუნდაც ცოლად.

– როგორ? – შევსძახე მე...

– ისე, ჩემო კარგო, არ შემიძლია.

– ხა, ხა, ხა, ხა! გადავიხარხარე. მაგრამ სწრაფადვე სერიოზული სახე მივიღე, გაკვირვებით შევხედე, და თითქო სულგრძელობით ვუთხარი:

– მე სიყვარულისა არა მრწამს – რა! აბა, როგორ შეიძლება ცოლადაც წაგიყვანო, ისეც, ასეც... აი, თუ გინდა, დავმეგობრდეთ... ხა, ხა, ხა.

***

ღმერთო ჩემო, ორივეს ერთმანეთი გვიყვარდა და ორივენი ერთმანეთის სიყვარულს დავცდინოდით, ფეხ-ქვეშ ვსთელავდით".

დავუბრუნდეთ „შუანეთას". რას ქადაგებს გალაკტიონი? სამწუხაროდ, ვიდრე პოემის სრული ტექსტი აღმოჩნდებოდეს, ვარაუდით უნდა დავკმაყოფილდეთ. არსებული მასალა უფლებას იძლევა, ვიფიქროთ, რომ „შუანეთაში" „მესაფლავის" კონცეფცია შეინიშნება. იქნებ ამანაც განაპირობა მისი გამოუქვეყნებლობა?!

საქმე ისაა, რომ „შუანეთას" დიდი ნაწილი შემორჩენილია. პირველი თავი გადათეთრებულია კიდეც. ამდენად, იბადება კითხვა:

რატომ არ დაუბრუნდა პოეტი მას? გალაკტიონისთვის ძნელი არ იყო ტექსტის აღდგენა-გამართვა. საერთოდ, მას სჩვეოდა ძველი ჩანაწერებისა და პირველი მონახაზების გადაკეთება-გამოყენება.

საფიქრებელია, ამის მიზეზი უკმარისობის გრძნობა იყოს. ალბათ „შუანეთამ" შემდეგ და შემდეგ ვერ დააკმაყოფილა მგოსანი. იქნებ ჩათვალა კიდეც, რომ იგივე თვალსაზრისი სხვა ნაწარმოებში უფრო ემოციურად და დამაჯერებლად აქვს გამოთქმული?!

ერთი სიტყვით, გალაკტიონი არასდროს დაბრუნებია „შუანეთას", მისი არც ერთი სტროფი არ გამოუყენებია. ამგვარი ინდიფერენტიზმი პირველი როდია. პოეტმა ასევე უარი თქვა „ლეგენდის" პუბლიკაციაზე.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ახალგაზრდა გალაკტიონის გემოვნება და მხატვრული ოსტატობა დღითიდღე იზრდება. იგი დარწმუნებულია საკუთარ სიძლიერეში, რაც აპირობებს ღირებულებათა რადიკალურად გადაფასებას.

ამრიგად, ყალიბდება შემოქმედის ორიგინალური ტიპი — თვითკრიტიკული, დაუკმაყოფილებელი და შემტევი.

„და დედოფალი ალვა,
ელვამ დაღუნა ცივმა;
ასე გავიდა გვალვა,
ასე მოვიდა წვიმა..."[1]



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 277.

„ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“

«...Только влюбленный имеет
право на звание человека» *А.Блок*

ბაირონის სატრფო ტერეზა გამბა ამტკიცებდა, რომ მისი მიჯნური სულაც არ იყო კოჭლი. ამტკიცებდა მთელი გულწრფელობითა და პოეტური გატაცებით. ინგლისელი ლორდი ფიზიკურად და სულიერად ულამაზესი მამაკაცი გახლდათ, ხორცშესხმული სიკეთე, მიწაზე მოარული ანგელოზიო.

შეიძლება ზოგიერთმა ირონიულად გაიღიმოს: ბაირონის სიკოჭლე ფაქტიაო. ჰო! მაგრამ ნუ ვიქნებით ესოდენ შეუვალნი და გულდახშულნი, მკაცრად ნუ განვსჯით კუპიდონის რჩეულ ლამაზ ქალბატონს. მოდით, სხვა კუთხითაც შევხედოთ ტერეზა გამბას მტკიცებას.

ეს ხომ სიყვარულის აპოთეოზია.

ეს ხომ ერთი თვალის დაბრმავებაა, რათა ათი გულით ხედავდე.

გარდასული ამბავი ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის უკიდეგანო სიყვარულმა გამახსენა. ოლიასათვის არ არსებობს გალაკტიონზე უფრო მაღალი, უფრო მგრძნობიარე, უფრო წმინდა და ლამაზი მამაკაცი. გალაკტიონმაც ოლიას სახით იპოვნა თავისი ოცნების ქალიშვილი, რომელსაც ყველაზე მომხიბლავი ღიმილი აქვს, ყველაზე განათლებული და გონიერია...

სიყვარული არ არსებობს იდეალიზაციის გარეშე, მაგრამ გაღმერთება მაშინ უფრო დიდია, როცა იგი რეალურ მონაცემებს ეყრდნობა. ოლიასა და გალაკტიონს კი საკმაოზე მეტად ჰქონდათ ეს მონაცემები. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სიყვარული დაფარულის აღმოჩენის ნიჭია, რაც გარეშე თვალისთვის იდალიზირებულად

ჩანს, სინამდვილეში შეიძლება სულაც არ იყოს ასეთი. სიყვარული სირღმისეული წვდომის უნარს უმახვილებს მიჯნურებს. გალაკტიონი და ოლია ურთიერთში სჭვრეტდნენ იმასაც, რაც სხვებისათვის შეუმჩნეველი ან გაუხაზავი იყო.

რომანი 1912 წელს იწყება. იწყება და არ მთავრდება, რადგან გალაკტიონმა თქვა. მე შენ მიყვარხარ. ეს კი ნიშნავს: ოლია მარად იცოცხლებს, მათი გრძნობა არ გახუნდება.

ოლიას დღიურში ჩაუწერია: „ზაფხული იდგა. ქუთაისის ბაღში ახალგაზრდა მასწავლებლები შეკრებილიყვნენ. შენ მუქი ბლუზა გეცვა და გახუნებული ქუდი გეხურა. მხრებში მოხრილი

ოლია ოკუჯავა

ჩანდი. სახეზე გეწერა, რომ ცხოვრება ტანჯვად გადაგექცეოდა. სხვებს არ ჰგავდი და ამიტომაც მიმიზიდე. ვიკითხე, ვინ არის მეთქი. მიპასუხეს: პოეტი, ეს-ესაა მიატოვა მასწავლებლობა. მას შემდეგ სულ შენზე ვფიქრობდი. ჩაიელიდი და აგედევნებოდი. შენ ალბათ ვერც მამჩნევდი. ერთხელ ნასვამი იყავი და ხმამაღლა საუბრობდი. წამოგცდა, დღეს მატარებელით მივემგზავრებიო. ვერ მოვითმინე და ვაგზალზე გამოვედი. ვაგონში იდექი. თვალი ვერ მოგწყვიტე. მერე, შარშან ზაფხულში გნახე, შემდეგ – საშობაოდ, საალდგომოდ. აჩრდილივით დაგსდევდი და ვამბობდი. «О! Это Т-дзе». მეტს ვერაფერს ვახერხებდი. გაცნობაც უცნაურად მოხდა, თითქოს იძულებით: „მერე მინდოდა სულ შენთან ვყოფილიყავი, მელაპარაკა. ეხლა გავჩერდები, რადგან დანარჩენს ვერ გეტყვი, ვერა. ეხლა, მინდა გნახო! ვგიჟდები, მინდა ჩემთან იყო. მინდა და რა დანაშაულობაა ეს, აბა მითხარი!.. მე არაფერი არ მიშლის, ხედავ? მოდი – ოხ, რა წყევლას და რა ხვეწნას არ გითვლი, ჩემო, მაგრამ შენ არ გესმის! რათ, რათ, მითხარი. ოხ! როგორ გამამაგრებდა ერთი შენი ნახვა“.

დღიური დაწერილია 1913 წელს, როცა რომანი ახლად დაწყებული იყო და განცდაც გამძაფრებული; როცა ოლია გალაკტიონისაგან მოშორებით, ჭიათურაში იმყოფებოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მათ ურთიერთობას არასდროს მიულია მდორე ხასიათი; სავსე იყო აფეთქებითა და ფეიერვერკებით.

ამბობენ: სიყვარულს, როგორც კოცონს, შეკეთება უნდა, თორემ ჩაქრებაო. გალაკტიონისა და ოლიას ურთიერთობას კატალიზატორი არ სჭირდებოდა. რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი ბუნებით, ხასიათით, ყოველდღიურ ყოფაზე ამაღლებით, მოვლენების მწვავედ განცდის უნარით აიხსნება. ჭაბუკ გალაკტიონს ჰქონდა გატაცებები. ერთხანს მოხიბლულიც იყო რაისა ჩიხლაძით, მაგრამ, ვფიქრობ, ეს მაინც არ იყო ყოვლისწამლეკავი გრძნობა. რაისასადმი გაგზავნილ ბარათებში თავშეკავება, საქმიანი ტონი ბატონობს. არ იგრძნობა ხელი მიჯნურის გულისფეთქვა. რაისამ ვერ, თუ არ თანაუგრძნო ახალგაზრდა პოეტს და მათ შორის სწრაფად აღიმართა ყინულის კედელი. ალბათ ეს იმანაც განაპირობა, რომ რაისასაკენ ლტოლვაში არსებითად აღგზნების დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვა მძლავრობდა. თუ არ ვცდებით, ეს იყო არა სიყვარულის მოსვლა, არამედ სიყვარულთან მისვლის მცდელობა. ამიტომაც აღმოჩნდა რაისა ჩიხლაძესთან ურთიერთობა ესოდენ ხანმოკლე. გალაკტიონი უფრო და უფრო გრძნობს, რომ უსიყვარულოდ არსებობა შეუძლებელია.

„უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ“[1].

ჩნდება დაუოკებელი მოთხოვნილება გულის გადაშლისა. გულის გადაშლა კი მხოლოდ უძვირფასესი და თანამგრძნობი ადამიანის წინაშე შეიძლება. გალაკტიონი ეძებს პიროვნებას, რომელსაც შესჩივლებს და რომელიც მოუოხებს; ეძებს მეგობარს, რომელსაც საკუთარი აღტაცებით აანთებს. გალაკტიონისთანა ადამიანები ვერ ისვენებენ, განუზომლად იტაჯებიან, ვიდრე საკუთარ დარდს არ განასხვისებენ, ვიდრე თავიანთ „ავადმყოფობას“ სხვებს არ გადასდებენ. მართალია, პოეტი ლექსებშიც ამჟღავნებს ფიქრსა და ოცნებას, მაგრამ ეს მაინც არ კმარა. ყველაფერს ვერ ჩაატევ სტრიქონებში, ყველაფერზე ვერ დაწერ ლექსს. პოეზია ყოველდღიური წვრილმანების ანარეკლი როდია. მას მრავალი ადრესატი ჰყავს და სპეციფიკურ კანონებს ემორჩილება. ადამიანს კი სჭირდება მეგობარი, ჭკვიანი მეგობარი, რომელსაც ცხოვრებისეულ წვრილმანებზე ესაუბრება, რომელსაც ყოველდღიურ სიხარულს თუ დარდს გაუზიარებს და, რაც მთავარია, მეცხრე ცაზე აიყვანს.

ასე ფიქრობს გალაკტიონი და უკვე არა მხოლოდ სხეულით, არამედ სულით, გონებით, მთელი არსებით ეძებს ტოლს. მგოსნის რჩეული მარტოოდენ გარეგნობით კი არა, ფსიქიკითაც უნდა იყოს მომხიბლავი. მან ნახევარტონებში უნდა გაუგოს პოეტს. სწორედ ასეთი აღმოჩნდა ოლია სტეფანეს ასული ოკუჯავა – ქუთაისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული. იგი საშუალო სიმაღლისაა, გამხდარი. შვენის შუაზე გაყოფილი თმა. ტუჩის კიდესთან შეტეხილი ღიმილი ბავშვურ გულუბრყვილობასა და ფარულ სევდასაც ამჟღავნებს. მორცხვობას

სახეზე ხელის აფარებითაც ავლენს. თვალები? თვალები კი პირდაპირ გენიალური აქვს; როგორც მათი პირველი ხილვით გაოგნებულ ტიციანს აღმოხდება. გალაკტიონს მოსწონს ოლიას დაუდეგარი ბუნება, სიცოცხლის სიყვარული. «Она была бойкая,

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 173.

порой веселая, порой очень грустная»[1].

ამას შემდეგ იტყვის გალაკტიონი, დიდი ხნის შემდეგ, ამჯერად კი თვითანალიზისა და განსჯის თავი არ აქვს. იგი მთლიანად გადაეშვა სიყვარულის მორევში. დღე ოლიაზე ფიქრით არის გაცისკროვნებული, ღამე კი მასზე ოცნებით შესუდრული. გალაკტიონი ოლიათი სუნთქავს. ეს კარგად ჩანს პირად ბარათებში. მაგრამ, მოდით, ვიდრე მათზე შევჩერდებოდეთ, ოლიას ცხოვრების გზას გავადევნოთ თვალი.

სტეფანე და ელისაბედ ოკუჯავების ოჯახის „იშვიათი პატიოსნება მთელს ქუთაისში იყო ცნობილი". ასევე «Исключительной революционности этой семьи знали все»[2]. ოლიას უფროსი ძმა მიხეილი – გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე – ერთხანს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობდა. ფართო განათლებისა და ცინცხალი ნიჭის მქონეს დიდ პატივს სცემდნენ. ოჯახში მისი კულტი იყო და უმრწემესნიც ძმის კვალს გაჰყვნენ – ძველი ქვეყნის დანგრევა და ახლის აშენება დაისახეს მთავარ მიზნად. ოლიას წერილებსა და დღიურებში ხშირად ფიგურირებს მიხეილის სახელი, მაგალითად, „საყვარელო მიშა! შენ მაინც იყო ახლა აქ. იმდენი კითხვა გამიჩნდა, მინდა ვინმეს ვეკამათო მის გარშემო, მაგრამ ასეთი არავინ არის აქ. ეს კითხვები ძალიან მაწუხებს, განსაკუთრებით ფრაქციული და ნაციონალური.

შენგან ველი პასუხს ჩემს კითხვებზე. რა აზრის ხარ მათზე? როგორ მინდა მალე მივიღო პასუხი"[3].

ისიც უნდა ითქვას, რომ დედმამიშვილები ურთიერთისადმი ფანატიკური სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი.

ოლიამ 1910 წელს დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია და პედაგოგად გაამწესეს ჭიათურაში. აქ მან მალე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა. მონაწილეობდა სპექტაკლებში, ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ ჯგუფს, ეწეოდა მარქსიზმის პროპაგანდას. 1912 წლის 23 სექტემბერს დღიურში ჩაუწერია: „მთელი დღე ან სკოლაში ვარ, ან თეატრში".

1916 წელს მიემგზავრება მოსკოვს და სწავლას აგრძელებს ქალთა უმაღლეს კურსებზე. 1918 წელს დაამთავრა

---

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 35.

[2] «Известия ЦК КПСС», 1990, №11, ст. 127.

[3] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 61.

სცენისმოყვარეთა კურსები. ოლია მოსკოვში გამართული პირველი შაბათობების აქტიური მონაწილეა.

საგულისხმოა, რომ სწორედ აქ მიიღეს იგი 1917 წ. რსდმპ(ბ) წევრად. ოლია მოსკოვში მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. 1917 წლის მარტამდე სახალხო განათლების კომისარიატში მუშაობს საქმისმწარმოებლად. 1919 წლის აპრილიდან თითქმის წელიწადნახევარი მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამხედრო კომისარიატის განყოფილების გამგეა. 1921 წელს ბრუნდება საქართველოში და სამსახურს იწყებს განათლების სახალხო კომისარიატში. მალე მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორად აწინაურებენ. ერთხანს აჭარაშიც მოღვაწეობდა საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგედ. 1929-32 წლებში გადასახლებული იყო შუა აზიაში. 1932 წლის ოქტომბრიდან კვლავ თბილისშია. 1937 წელს მეორედ აპატიმრებენ და ჯერ იაროსლავლში იხდის სასჯელს, 1939 წლიდან კი ვლადიმირში. მისი უკანასკნელი დღეების შესახებ არაფერი ვიცოდით. ახლახან კი ყველაფერს მოეფინა ნათელი. ოლიას გადასახლების ბოლო ადგილი ორიოლი ყოფილა.

ცრემლიანი გადახვევა: კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ შესაძლებელი გახდა სუკის მასალების გადათვალიერება. ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელმა ნინო ხოფერიამ ოლია ოკუჯავას „საქმეები" მაჩვენა. საქაღალდეში პორტრეტიც იყო ჩაკრული (ალბათ სიკვდილისწინა). ტყაპუჭიანი, საოცრად დაძაბუნებული მოხუცი ქალი. ნაოჭები, ღარები, ტყავგადაკრული ყვრიმალი... თვალები? სად გაქრა ის ფანტასტიკური თვალები ასე რომ აფრქვევდა გზნებასა და ცეცხლს.

შემძრა ამ პორტრეტმა. სამწუხაროა, რომ ეს „საქმე" აორთქლდა, თორემ ისიც კი იკმარებდა მავანთა და მავანთა ინკვიზატორობის დასადასტურებლად.

1941 წლის 6 სექტემბერს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ლ. პ. ბერიას მიუმართავს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისათვის, ი. ბ. სტალინისათვის: – საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის საომარი მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით ყველაზე მეტად გაბოროტებული ნაწილი დამნაშავეებისა პატიმრებს შორის ეწევიან მარცხმოსურნეობით აგიტაციას. ისინი ესწრაფვიან ციხიდან გაქცევას და ძირგამომთხრელი მუშაობის განახლებას.

გიდგენთ 170 კაცის სიას. ისინი დაპატიმრებულნი არიან ტერორისტული, ჯაშუშურ-დივერსიული და სხვაგვარი კონტრრევოლუციური მუშაობისათვის. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს აუცილებლად მიაჩნია მათი მოსპობა.

ი. ბ. სტალინს იმავე დღესვე მიუღია შესაბამისი გადაწყვეტი-

ლება. არავითარი გამოძიება, არავითარი სასამართლო.

11 სექტემბერს 157 კაცი ორიოლიდან ათი კილომეტრით დაშორებულ მედვედევის ტყეში წაუყვანიათ და დაუხვრეტიათ, მათ შორის იყო ოლიაც: «№87 – Окуджава Ольга Степановна, 1888 года рождения»[1].

ოლია რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდეგ. როგორც გალაკტიონი წერს: «Никогда она не была троцкисткой. Ленин был знаменем всей ее жизни»[2].

მართლაც რომ ასე იყო. გავიხსენოთ 1918 წლის 31 აგვისტოს ჩანაწერი, ოლია არა მხოლოდ გამეხებულია, არამედ შეშფოთებულიც. იგი უდიდეს ტკივილს განიცდის. „...არ მინდა დავიჯერო, ნუთუ კონტრრევოლუციამ მოსკოვამდე მოაღწია? ნუთუ ის ისე ძლიერია, რომ ასე აშკარად და თავხედურად გამოდის? ნუთუ ლენინი, ლენინი – პროლეტარიატის ბელადი, მძიმედ არის დაჭრილი? ნუთუ ეს არაადამიანური ძალის მქონე ადამიანი, ღარიბების ქომაგი, რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელი – ლენინი დაჭრილია თეთრების მიერ? ნუთუ პროლეტარიატის მტრებს დღესასწაული დაუდგათ? ნუთუ მტრის მიერ გასროლილი ორი ტყვია ჯერ კიდევ მის სხეულშია? ის ტყვიები, რომლებსაც თეთრების ხელი შეეხო. ნუთუ ყველაფერი დამთავრდა? ნუთუ იღუპება რევოლუციის მონაპოვარი?! დაიწყეს პროლეტარიატის ხელმძღვანელების ხოცვა? დღეს პეტროგრადში ჩვენები არიან. ურიცკი მოკლა, ინგლის-საფრანგეთის მთავრობის მიერ მოსყიდულმა სტუდენტმა“[3].

სხვათა შორის, არა თუ შვილები, დედაც – რიგითი დიასახლისი ეთაყვანება ლენინს. 1925 წლის ნოემბრის დამდეგს ელისაბედი მოსკოვსაა. თავის უპირველეს მოვალეობად მავზოლეუმში მისვლა ჩაუთვლია და ქალიშვილს, ოლიას, თრთოლვით სწერს: „ლენინი ვნახე. იმის დანახვაზე ვერც ცრემლი მოვიკავე. ყოველი სხეული მიკანკალებდა. როგორც მძინარე, ისე წევს“[4].

დავუბრუნდეთ ოლიას დღიურს.

ქალი გულწრფელია. მას სჯერა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა კაცობრიობას ბედნიერებას მოუტანს. ეს იდეა

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის საქ. ლიტ. მუზეუმი, გალაკტიონ ტაბიძის ფონდი, საქმე №15-21.

[2] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 65-66.

[3] იქვე. გვ. 126.

[4] იქვე. გვ. 138.

ბატონობდა ოკუჯავების რევოლუციურ ოჯახში და უმცროსი დაც ამ სულისკვეთებით იზრდებოდა. ოლია გამონაკლისი არ იყო. ლენინს აღმერთებდნენ ათასები, მილიონები...

სხვათა შორის, განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა სტალინისა და მის საჭურველმტვირთელებისადმი. გადასახლებაში საჯაროდ ლანძღავდა თურმე „ბელადს". ამიტომაც სასჯელის ვადა გაუდიდეს. იქნებ ესეც იყო მიზეზი, რომ თავის დროზე ოლიას, როგორც პარტიის წევრის, რეაბილიტაციაზე უარი თქვეს.

ახლა, XXI საუკუნის გადასახედიდან ადვილია განსჯა, მოვლენების შედარებით ზუსტი კვალიფიკაცია. მაშინ კი... ამიტომაც ნუ ვიქნებით მოთუთხთუხენი, თავი შევიკავოთ ენაზე მომდგარი ცხარე ეპითეტებისაგან, მივყვეთ დიალექტიკის კანონს.

გაგვიგრძელდა საუბარი. ჩვენთვის კი ამჯერად იმის გარკვევა როდია არსებითი, თუ რამდენად მართალი იყო ოლია, არამედ იმის ხაზგასმა, რომ იგი საოცრად გულწრფელი და ემოციურია, შინაგანად გაუბზარავი და სიმართლისათვის მებრძოლი.

არ შემცდარა გალაკტიონი, როცა მას „დიდი ადამიანი" უწოდა. გალაკტიონი მოხიბლული იყო ამ ქალის დემოკრატიული მისწრაფებებით. ცხადია, ამანაც გარკვეული როლი შეასრულა ცოლ-ქმრის სულიერ დაახლოებაში.

ოლია იმ რჩეულთ ეკუთვნის, რომელთაც ძალუძთ ულამაზეს გრძნობაში განზავება, რომელთაც შეუძლიათ თვითშეწირვა. ჭეშმარიტი სიყვარული კი ამგვარ ზვარაკსაც მოითხოვს ხოლმე.

„ვინც არ უნდა მეალერსებოდეს, ვისაც არ უნდა ვუყვარდე, ჩემი სული შეიგრძნობს მხოლოდ შავი, ყინულოვანი ვარდის სუნს, – მხოლოდ შენს სიყვარულში, შენს თაყვანისცემაში შევიცნობ გაზაფხულის უნაზეს მშვენიერებას და ვჭვრეტ მარადისობას მთლიანად ყვავილების სურნელში ვარ ჩაფლული. ვითრობი შენი მშვენიერების ნექტრით.

შენი თვალებით მოწყენილი და ნაზი იები მიმზერენ. გკოცნი, ვითრობი და კვლავ თავდავიწყებით გკოცნი"[1].

„ძალიან ძნელია უშენობა, გალ! ტკივილებამდე ძნელია! ცრემლებს ძლივს ვიკავებ. თურმე, როგორ უგონოდ მყვარებიხარ, ჩემო გალ! გკოცნი უსასრულოდ... მე შენი მკერდი ცრემლით დავნამე, გალ, მინდა, ძლიერ, ძლიერ მინდა ჩაგეკონო, ისე ძლიერ, რომ..."[2]

---

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 161.

[2] იქვე, გვ. 160.

„კარგად დაიხსომე,– ოლია შენი სიყვარულით არასოდეს არ დაიღლება!“[1]

„ძვირფასო გალიკ, გული მეწურება, გული მძვინვარებს. უნდა შეიტყოს შენი ჯანმრთელობის, შენი ცხოვრების ამბავი. გკოცნით, გკოცნით შენ და შენს ქმნილებებს!“[2]

„ხო, მე არ ვიღებ შენს წერილებს. ო, მე მიყვარს დუმილი, მაგრამ რარიგ ძნელია მთელი სიცოცხლე ესაუბრო დუმილს. არ გსაყვედურობ. არ არის საჭირო! მაინც მოგწერ და მოგწერ ბარათებს, სანამ ცხოვრების ქარიშხალი სამუდამოდ არ დამიხუჭავს თვალებს“[3].

შეუძლებელია ეს სიტყვები გულგრილად წაიკითხო. ჩავცქერი ნაწერს და ასოები თანდათან ფერმკრთალდება, ბურუსში იკარგება. მერე ბურუსიდან ოლიას სახე გამოკრთის. ნიკაპქვეშ ცრემლთა ორი ნაკადი ინასკვება. ქალი ლერწამივით ქანაობს...

ოლია უჩვეულო ტკივილით განიცდიდა გალაკტიონს. მთრთოლვარე ბუნების ქალი მარადიული შიშით იყო შეპყრობილი, შიშით გალაკტიონზე.

1927 წლის თებერვალი. გალაკტიონი ბათუმს, შემდეგ კი სოხუმს მიემგზავრება. იგი საგაზაფხულოდ არის გამოწყობილი და ითოშება, რასაც სასოწარკვეთამდე მიჰყავს ოლია. მის დღიურში ჩნდება ჩანაწერი: „როგორც გაზეთებში იუწყებიან, სოხუმში შენი გამგზავრების დღეს ქარიშხალი არ ყოფილა ზღვაზე, მაგრამ ციოდა. ალბათ, როგორ კანკალებდი. სული მეყინება, როცა ამაზე ვფიქრობ“[4].

გალაკტიონი მოსკოვში გამოიძახეს. ოლია აეროპორტამდე აცილებს მას. მერე შინ ბრუნდება და იტანჯება კვლავ იმის გამო, რომ შესაძლოა საყვარელი კაცის სიცოცხლეს საფრთხე ელის.

„ძვირფასო გალკ, გალკ, შენ მიფრინავ და თან მოგდევს ჩემი სიყვარული, ჩემი დარდი, შიში და ლოცვა – რათა უფალმა დაგიფაროს შენ! შენ უნდა იცოცხლო, დავ, ბედნიერი იყოს ეს გადაფრენა“[5].

საკმარისია გალაკტიონმა დაიგვიანოს და ოლია ადგილს

---

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 69.

[2] იქვე, გვ. 101.

[3] იქვე, გვ. 87.

[4] იქვე, გვ. 157.

[5] იქვე, გვ. 156.

ვერ პოულობს.

1934 წელი. 23 იანვარი. უკვე ღამის ოთხი საათია. გალაკტიონი კი არ ჩანს, ოლიას მეტის მოთმენა არ შეუძლია. ქუჩაში გამორბის, ეძებს. გალაკტიონი მაინც არ ჩანს. იქნებ დაბრუნდა?.. არა, ოთახი ჩაბნელებულია... ამჯერად მიყრუებული ქუჩაბანდიც მოიხილა. კვლავ შინისკენ მიისწრაფვის. როგორ დათრგუნოს შიში? გალაკტიონის ლექსთა რუსულ პწკარედებს ჩაუჯდა. თარგმანი რიგიანი გამოდის. ეს იმიტომაც, რომ აგზნებულია, უზომოდ იტანჯება. თარგმნის და თითქოს გალაკტიონს ესაუბრება.

რა არ წარმოიდგინა: „ძვირფასო გალკ! ეგებ შენ დაჭრილი ხარ, ან იქნებ ბოროტმოქმედებმა გაგიტყუეს გაძარცვის მიზნით და გაწამებენ. გალ! გალ, ვიცოდე მაინც და, როგორც გრიგალი, ისე დავეხმოდი მათ თავს, დაგიხსნიდი შენ. გალკ! იქნებ მანქანის ქვეშ ჩავარდი? გალკ, გალკ ეყვირი, გეძახი ჩემთვის და პასუხი კი არ ისმის"[1].

ან კიდევ: გალაკტიონი სომხეთს გაემგზავრა. მეორე დღეს ოლიამ შეიტყო, რომ თბილის-ერევნის ხაზზე ავარია მოხდა. იგი შეშლილივით გარსბის სადგურში. ავარია საბარგო მატარებელს მოსვლია. მადლობა ღმერთს, გალაკტიონი გადარჩა, გადარჩა ოლიაც.

არა, ეს არ არის ჩვეულებრივი ტრფობა!

განცდა უმაღლეს მწვერვალამდეა მისული. შემდეგ ალბათ ან ანგელოზებს უნდა გაუწვდინო ხელი, ანდა უფსკრულში გადაიჩეხო. ამგვარ სულიერ აფორიაქებას სიგიჟემდე მისვლას უწოდებენ. თუმცა, ყველაზე ზუსტად მაინც ოლიამ განსაზღვრა – „უგონო სიყვარული".

ოლიას ატყვევებს გალაკტიონი როგორც მამაკაცი თავისი ფიზიკური და სულიერი სიმშვენიერით. იგი არანაკლებ აღტაცებულია მეუღლის პოეზიით. უფრო მეტიც, ოლიას გაგებით, გალაკტიონში თავმოყრილია ყველაფერი, რაც მას სინამდვილესა თუ ოცნებაში იტაცებს. გალაკტიონის სიყვარული მხოლოდ ინდივიდის სიყვარული როდია, არამედ კაცობრიობის, თვით სიცოცხლის. „მე მეჩვენება – თითქოს მწვანე მდელოზე ვდგავარ, რომელიც მოფენილია წითელი, ვარდისფერი, იისფერი, ლურჯი, თეთრი, ყვითელი, ცისფერი და ათასფერი მინდვრის ყვავილებით. ისინი ნელა ირხევიან ჩემს ირგვლივ, ცელქი ნიავი ეთამაშება ბალახებსა და ყვავილებს, ისინი კი ნაზად და ნაღვლიანად ღელავენ.

[2] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987 გვ. 159.

ოლია და გალაკტიონი

და ყოველივე ეს ხომ შენა ხარ, შენ ჩემო ძვირფასო გალიკ[1]
ერთ ხატში მთელი სამყარო განივთდა.

როცა გული სავსეა სიყვარულით, ყველაფერი შენს განცდას ესაფეხურება. საგნები და პიროვნებები საყვარელ ადამიანს ემსგავსებიან, მძლავრობს პარალელი და შედარება. ოლიასაც ასე ემართება. იგი უზბეკეთშია. პირველად ნახა აქლემების ქარავანი და ერთი აქლემი გალაკტიონს მიამსგავსა. მას „გალა-პოეტი" შეარქვა.

მხოლოდ დიდ სიყვარულს შეუძლია ასე. მხოლოდ ჭეშმარიტ მიჯნურს ძალუძს ამაღლებულსა და კომიკურს შორის გადებულ ბეწვის ხიდზე თავისუფლად გაიაროს.

პოეტის გონება სხვაგვარად არის მომართული. მგოსანი აღნიშნავს იმას, რაც ჩვეულებრივი მოკვდავისათვის შეუმჩნეველია. რამდენიმე შტრიხში დასრულებულ პორტრეტს ჭვრეტს, ნახევარი ტონებით სრულ მელოდიას აღადგენს და ა. შ. ეს კი მხოლოდ ბუნებრივი ნიჭის წყალობა როდია, არამედ სისტემატური და შეუწყვეტელი ვარჯიშისა, მუშაობისა.

როგორც ჩანს, გალაკტიონსა და ოლიას სინამდვილის ოიმპრესიონისტული აღქმაც აკავშირებდა.

ერთ ბარათში ოლია წერს: „გახსოვს სკამი, მესამე წყაროსთან ფრთაგაშლილ და ნაღვლიან ნაძვის ხის ქვეშ, რომელსაც „ბაირონს" ვეძახდით?"

მიაქციეთ ყურადღება, ნაძვის ხე ბაირონის ასოციაციას იწვევს ან პირუკუ. მთავარი ისაა, რომ ცოლ-ქმარი ერთნაირად ჭვრეტენ და იაზრებენ.

ცხოვრებამ ძლიერ დაუხლართა გზები ოლიას, არაერთხელ მოწყვიტა გალაკტიონს, მაგრამ მეუღლეები მაინც ერთად არიან ფიქრებით, ოცნებებით, მისწრაფებებით, შემოქმედებით. გაუჭირდება ოლიას და გალაკტიონს მოუხმობს.

– რუსეთის მკაცრი საღამო. ოლიას სულში ზღვათა მირიადები აბორგებულან. ისინი ღმუიან, შფოთავენ, ქვითინებენ. ქალს მყუდრო სავანე ენატრება და ოცნებით გალაკტიონისაკენ მიჰქრის. ხუჭავს თვალებს და ბედნიერია. „მესმის შენი თბილი ალერსიანი ხმა. ვგრძნობ შენს სიახლოვეს, ჩემო ძვირფასო გალ, და სათნოება, სიმშვიდე და იმედი ეუფლება ჩემს არსებას"[2].

გალაკტიონისა და ოლიას ურთიერთობა გაცილებით ღრმა და მრავალმხრივია, ვიდრე ჩვეულებრივი მეუღლეებისა.

---

[1] ოლია ოჯუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 161.

[1] იქვე, გვ. 102.

ოლია გალაკტიონის ლექსების პირველი მსმენელი და კრიტიკოსია. იგი წერს: „...უდავოდ, რა თქმა უნდა, თავად პოეტი უნდა იყო, რომ შეიცნო პოეზიის ავი და კარგი. ანუ გესმოდეს პოეტისა, მისი პოეზიისა.

კრიტიკოსს ძალა უნდა შესწევდეს, უნიჭიერესი პოეტის ლექსებში აღმოაჩინოს ძვირფასი განძის ის შენაკადები, რომლებიც მიმალულია მის ქმნილებებში – სახელდობრ – გალიკის თხზულებებში!"[1]

ოლიას ნამდვილად შეუძლია ეს.

გალაკტიონს ხიბლავს ოლიას ანალიტიკური გონება, ფართო განათლება, პოეტური თრთოლვა. შემთხვევითი როდია, რომ 1917 წელს სწორედ მას სთხოვს რუსული წიგნისათვის წინასიტყვაობის დაწერას.

ზემომოტანილი ნაწყვეტები პირადი ბარათებიდან და დღიურებიდან ნათელი დადასტურებაა ოლიას პოეტობასა და მაინც,გული არ გვითმენს,კიდევ ორიოდ ადგილს არ დავესესხოთ:

„ჩემო ძვირფასო, ძვირფასო გალკ!

ირგვლივ ყინულის ლოლუები ბრჭყვიალებენ და ალმასებად იცრემლებიან. მაშ, ახლოა გაზაფხული!

გაზეთში წავიკითხე,რომ მანდ,შენთან,საქართველოში,თბილა 20-25 გრადუსია სითბო. თესვა დაიწყო, აყვავდა ნუში და ა. შ.

დამიკოცნე მაგ გაზაფხულის ფერადოვანი შემობიჯება!"[2]

ამ ბოლო ფრაზას თვით გალაკტიონიც სიამოვნებით მოაწერდა ხელს.

განა სწორედ მხატვრულობითა და განცდის უშუალობით არ გვხიბლავს შემდეგი ჩანაწერიც?

„...ალერსიანი ლაჟვარდოვანი ზღვა მშვიდად და ნაზად ეჩურჩულებოდა ნაპირს. ქათქათა ზღვის ქაფის ლეჩაქით დამშვენებული ბრჭყვიალა ნაირფერი კენჭები კი ძილისპირულს უგალობდნენ გალკს.

წყნარად, წყნარად იყავი, ზღვავ, და ნაზი ალერსით დაამშვიდე ჩემი გალკი!"[2]

გალაკტიონი ცნობდა მეულლის მწერლურ ნიჭს. მოსწონდა მისი თარგმანები; დარწმუნებული იყო, თუ ოლია მოინდომებდა, კარგ მხატვრულ ნაწარმოებებსაც შექმნიდა. ერთ ბარათში იგი აღნიშნავს: „ვერ წარმოიდგენ, რაგვარად მიყვარს შენი წერილების კითხვა. მე რომ შენს ადგილას ვიყო, დავიწყებდი კარგი, ხალისიანი სიცოცხლით, ახალგაზრდა ენერგიით, მზით

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 532.

[2] გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, გ. ტაბიძის არქივი, საქმე №36.

და მსუბუქი მელანხოლიით სავსე ნოველების წერას და გავიმარჯვებდი კიდეც“ [3].

მოულოდნელი როდია, რომ 1927 წელს ცოლ-ქმარს შეერთებული ძალით რომანის დაწერა განუზრახავთ. ხელშეკრულებაც კი შეუდგენიათ: „ჩვენ ქვემორე ამისა ხელისმომწერნი, ოლია ოკუჯავა და გალაკტიონ ტაბიძე, ვსდებთ ხელშეკრულებას შესახებ მას შინა, რომ სექტემბრის პირველ რიცხვებიდან ვიწყებთ ერთად სალიტერატურო შრომას, ამ შემთხვევაში რომანის წერას. თუ რომელიმე ჩვენგანმა ან დაუდევრობა, ან წინასწარ განზრახულობით, ერთი სიტყვით, არა პატივსაცემი მიზეზის გამო დაარღვია ეს ხელშეკრულება, დამრღვევი მხარე გადაიხდის ჯარიმას 300 (სამასი) მანეთს მეორე მხარის სასარგებლოდ სამი თვის განმავლობაში“ [4].

ხელშეკრულება ბორჯომში არის შედგენილი, სადაც ოლია ისვენებდა და გალაკტიონი რამდენიმე დღით ჩავიდა.

იდგა ზეიმისა და ამაღლების წამები, წუთები, საათები. ოლია უკეთ ამბობს: „გახსოვს, როგორი სიხარულით მოგვხვია სიყვარულის მშვენიერმა ქალღმერთმა ხელი, ნაზად გაგვახვია შროშანებით მოფენილ დოლბანდში და გვიჩურჩულა: „გაჩუმდით“. ჩვენ ორივენი დავმუნჯდით, გვეშინოდა ჩვენი გრძნობების სიმების შეხებისა“[1].

და იმ ზღაპრულ დღეებში იყო:
ცაში გაფრენა,
უზარმაზარ მიზნებზე საუბარი,
იმედები,
ბავშვური გულუბრყვილობაც.

და, რაც მთავარია, საოცარი გულწრფელობა და უმწიკვლოება.

მერე გალაკტიონი თბილისს დაბრუნდა, „გადაერია ბახუსის ალებს“ და ამ ხელშეკრულებას სხვაგვარი მინაწერებიც გაუჩნდა.

ჩვენთვის უცნობია, როგორ უნდა წარმართულიყო ერთობლივი შრომა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მეუღლეთა მაღალ ინტელექტსა და გემოვნებას, ლირიკულ ბუნებასა და მოვლენების ჭვრეტის ერთნაირ უნარს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ ძმები გონკურების თხზვის მეთოდი უნდა აერჩიათ.

თანაავტორობა არ შედგა. (სექტემბერში ოლია კვლავ ბორჯომშია). მაგრამ ამჯერად ეს როდია თავიდათავი. ხელნაბული დოკუმენტი სულიერი და გონებრივი შერწყმის დადასტურებაა.

ოლიამ კარგად იცოდა გალაკტიონის ფასი, იცოდა, რომ

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 110.

გალაკტიონი კაცობრიობას ეკუთვნის, რომ იგი საუკუნეთა ბინადარია. „დიდი მოკრძალებით ჩავიელი „კომუნისტის“ სტამბის წინ. იქ მისი ნაწერები იბეჭდება, ასოთამწყობის მარჯვე ხელი სიყვარულით აწყობს მის სიტყვებს. ცუდად ვარ სიხარულისაგან. შიში მიპყრობს,ვაი,თუ ყველაფერი ისე არ არის,როგორც საჭიროა, საშინელებაა! რა იციან მათ, რომ ბეჭდავენ ყველაზე უდიდეს, ყველაზე ძვირფას სულის გენიას. ნუთუ გაიგებენ, ჩასწვდებიან მას მკითხველები“[1].

რაც მთავარია, დასკვნა გალაკტიონის სიდიადეზე ოლიას სხვათა გავლენით, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად კი არ გამოაქვს, არამედ უშუალოდ ლექსთა შესწავლის საფუძველზე. „მინდა შთავინთქა გალკის ლექსების ოქროსფერ შემოდგომაში და მესმოდეს მისი ჩანგის ნაზი ჩურჩული“[2].

„გეხვევით და გკოცნით შენ და შენს ლექსებს, როგორ თავდავიწყებით მყვარებიხართ თქვენ!“[3]

ოლია აღტაცებულია მეუღლის ფენომენალური მახსოვრობით. თვითონაა მოწმე; გალაკტიონმა მხოლოდ ერთხელ წაიკითხა ბუნინის ლექსი „სალამი“ და იმ წამსვე უშეცდომოდ წარმოთქვა.

ოლია ეხმარება გალაკტიონს ლიტერატურულ საქმიანობაში. სისტემაში მოჰყავს ჩანაწერები, აზუსტებს ბიბლიოგრაფიას, აანალიზებს კრიტიკულ ნაწარმოებებს, შველის წიგნის შედგენაში...

1934 წლის 19 აპრილს ოლიას დღიურში ჩაუწერია: „დღეს მე და გალმა დავჭერით,. ცალკე ლექსებად დავყავით და ფურცლებზე დავაწებეთ „პაციფიზმი“ – ვამზადებთ მასალებს ახალი აკადემიური გამოცემისათვის (საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა), ღამის სამ საათამდე ვიმუშავეთ“[4].

მეორე ჩანაწერი: „...გალამ მითხრა,რომ მას უნდა დაახარისხოს და მოაწესრიგოს საიუბილეო მასალები: გაზეთები, წიგნები, მისალმებები. ჩვენ ავიღეთ მთელი ეს მასალა, დავალაგეთ თვეების მიხედვით და გადავიკითხეთ. მე ვკარნახობდი, გალა კი ადგენდა სიას“[5].

ასევე საგულისხმოა ოლიას შემდეგი ცნობა: „ვკითხულობთ

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 72.

[2] იქვე. გვ. 96.

[3] იქვე. გვ. 133.

[4] იქვე. გვ. 92.

[5] იქვე. გვ. 84.

პროფ. ერნსტ მეიმანის „ესთეტიკას“ და ვარჩევთ მას“[1].

ოლია უზიარებს გალაკტიონს თავის შთაბეჭდილებებს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებსა და უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ მოვლენებზე. ურჩევს წასაკითხ წიგნებს. ერთ წერილში ფეტის პოეზიას უქებს და გალაკტიონიც საჭიროდ თვლის, ყურად იღოს თავისი „ლიტერატურული სინდისის“ მოსაზრება. «Признаться, я им никогда в своей жизни не интересовался, но сейчас я приобрел его сочинения, прочту непременно»[2].

გადასახლებიდან გამოგზავნილ ბარათებში ოლია სთხოვს გალაკტიონს, შეიძინოს ვერესაევის „როგორ მუშაობდა გოგოლი“. პოეტ მეის თხზულებანი და სხვ.

როგორც ვხედავთ, გალაკტიონისა და ოლიას ურთიერთობა სულის თანაზიარობას და ინტელექტუალურ სიახლოვესაც ეყრდნობა. ამიტომაც არის მათი მეგობრობა, სიყვარული ესოდენ ძირმაგარი.

ოლია იმასაც კარგად გრძნობს, რომ გალაკტიონი დიდი ბავშვია.

მას გაფრთხილება, სითბო, ალერსი სჭირდება. თავისი არსებობის ერთ-ერთ გამართლებასაც გალაკტიონზე ზრუნვასა და მისი პოეტური ცეცხლის აგიზგიზებაში ხედავს.

გადასახლებაში, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ოლია ისევ და ისევ გალაკტიონის ჯანმრთელობაზე ფიქრობს: „მე გთხოვდი შენ, ჩვენებოდი შინაგან და ნერვულ დაავადებათა ექიმს. არა, უბრალოდ კი არ ჩვენებოდი, სერიოზულად გემკურნალა, წასულიყავი სანატორიუმში. ამის გარდა, საჭიროა კარგად გამოიკვლიო გული, თირკმელები, გააკეთებინო ანალიზები, რათა გაირკვეს თირკმელების მდგომარეობა.

რას ჭამ? როგორ იკვებები? გაქვს კი თავის დროზე საჭმელი? სუფთა ჩასაცმელი, თეთრეული და ყველაფერი, რაც აუცილებელია?

ჩემო ძვირფასო, როგორე ვდარდობ, როგორ ვდარდობ შენზე. ასე მგონია, თავის დროზე არაფერი გაქვს – სიმშვიდე, სიმყუდროვე. მინდა, რომ არ გჭირდებოდეს არაფერზე ფიქრი და ზრუნვა. როგორ მსურს, ვიყო შენს გვერდით, რათა გქონდეს ყველაფერი აუცილებელი იმისთვის, რომ სრულყოფილად დაისვენო, იმკურნალო და შემდეგ ხელახლა შეუდგე შემოქმედებით შრომას.

ასე არ შეიძლება ჩემო კარგო, უნდა იფიქრო ჯანმრთელობაზე

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 85.

[2] იქვე, გვ. 157-158.

და ისე მოიქცე, როგორც მე გწერ. გააკეთე ეს ჩემი ხათრით, თუ გინდა, რომ შემდეგ კარგად იმუშაო. შენ პატარა ბავშვივითა ხარ, სრულებით ვერ ერკვევი პრაქტიკულ საკითხებში და მე, გული მტკივა, გული მტკივა, რომ არ შეგიძლია, მიხედო შენს თავს.

4 ივლისს მე ისევ მივიღე სამასი მანეთი. მერიდება, ამდენ თანხას რომ მიგზავნი. შენ კი, ალბათ, უარს ამბობ ყველაზე აუცილებელზეც კი, ეგების, ჩემი გულისთვის, შიმშილობ კიდეც? მაშინ ნაკლები გამომიგზავნე, გემუდარები!"[1]

ოლია მზად იყო ყველაფერი შეეწირა გალაკტიონისათვის. ამ მხრივ იგი უთუოდ წააგავს XVIII საუკუნის არცთუ უცნობი მწერლის ჰენრიხ შტიგლიცის მეუღლეს – შარლოტას. შარლოტას გაგიჟებით უყვარდა ქმარი. სჯეროდა, რომ ჰენრიხი გენიოსი იყო, რომელსაც ანთება სჭირდება. ამ მიზნით მრავალ საშუალებას მიმართა, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. მაშინ სრულიად გააზრებულად ხანჯლით გაიპო გული, რათა ამ ტრაგედიით შეერყია ჰენრიხის მოდუნებულობა და გამოელვიძებინა მისი მთვლემარე ძალები.

ოლიას არ დასჭირვებია ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რადგან მისი მეუღლე ნაღდი გენიოსი იყო, მაგრამ თუ ვითარება მოითხოვდა, შეეძლო მტლად დადებოდა გალაკტიონს.

ოლიას ჩანაწერებს, როცა ვკითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება მიჩნდება, თითქოს გალაკტიონის აზრთა დინებას მივყვები. აშკარად იგრძნობა ფაქტებისა და მოვლენებისადმი გალაკტიონისეული მიდგომა: რეალობის პოეტური აღწერა, ამაზრზენი ყოფითი დეტალების შეფარვით გამოხატვა, ზოგჯერ არაზუსტი კვალიფიკაცია საკუთარი ბიოგრაფიული მომენტისა, ფიცხი შეფასება და ა. შ.

ყოველივე ეს ორი პიროვნების დიფუზიის დადასტურებაა.

უნდა ვერწმუნოთ იმათ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტი სიყვარული მკაცრად იერარქიულია. ოლიას ბევრი ვინმე და რამე უყვარდა, მაგრამ ყველაზე მაღალ საფეხურზე მაინც გალაკტიონი იდგა. გალაკტიონის სიყვარული ძალას მატებდა, რათა მრავალი გასაჭირისა და დარტყმისათვის გაეძლო. უბინაობა, ხშირი ავადმყოფობა, გადასახლება უზბეკეთში, გადასახლება რუსეთში... და იგი მაინც არ ეცემა, რადგან ჰყავს გალაკტიონი – სიყვარულის უმაღლესი გამოვლინება.

ამბობენ: შეყვარებულები ძალზე გვანან ერთმანეთსო. მართლაც, მაგრამ პოეტის სიყვარული მაინც სხვა არის,

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 501.

გალაკტიონისა კი მით უფრო.

გალაკტიონისათვის ტრფობა სიხხლიდან დაცლაც არის და ძალით აღვსებაც, ტანჯვაც და ნეტარებაც.

ამ გრძნობამ ძირფესვიანად შესძრა იგი. ოლიას გარეშე ცხოვრებას ფერი და სილამაზე ეკარგება. „მას შემდეგ, რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა სიცალიერემ მოიცვა მთელი ჩემი არსება... სიცალიერემ, რომლის განადგურებას არ ვიცი, რანაირი მდგომარეობა შესძლებს და რა არის მისი წამალი? როდესაც შენ აქ იყავი, მე შემეძლო დამენახე შენ... ჩემთვის უბრალო შენს ახლო ყოფნა საკმარისი იყო, რომ შენს გარდა არაფერზე არ მეფიქრა. როდესაც მწარე ფიქრები, სევდიანი და სასოწარკვეთილი სულიერი განწყობილება შემიპყრობდა, მე მოვქროდი შენსკენ...“[1]

სატრფოს სიახლოვე ძალას მატებს. ამაღლებს და აკეთილშობილებს, სიშორეს კი სასოწარკვეთამდე მიჰყავს. „სადა ხარ ეხლა, ოლოლ! რომ იცოდე, რანაირ მდგომარეობაში ვარ... ისე მინდა ეხლა შენს ახლოს ვიყო, შენს სუთქვას ვგრძნობდე, მაგრამ ყველაფერი ეს ისეა შესაძლებელი, როგორც ცისა და დედამიწის შეერთება“[2].

გალაკტიონი ბედნიერია, რადგან მას აღმერთებენ. ზოგჯერ კითხულობს: „ოლკინ, მითხარი, გიყვარვარ ძველებურად? მე მგონია, არა!.. ჩემგვარი კაცი განა შეიძლება ვისმეს უყვარდეს?“ ეს ოლიას გრძნობის შეუფასებელობა როდია. აქ გამოსჭვივის უძვირფასესი ქალის კიდევ ერთი მოსალოდნელი აღსარებით ტკბობის სურვილი. მეორე მხრივ, ეს საბაბია, რათა საკუთარი გრძნობა უფრო მძაფრად გამოხატოს. „მე ვერ წარმომიდგენია, რომ მე და ლოლი ერთმანეთს დავცილდებით როდისმე. რაღაც ძნელი წარმოსადგენია ეს. შენ როგორ ფიქრობ, ოლკინ. მომწერე, ოლკინ, თუ რანაირად და როგორ გიყვარვარ, რისთვის გიყვარვარ... ყველაფერი, ყველაფერი მომწერე... რას იზამ, ოლკინ, მე რომ მოვკვდე? მაგალითად, მოვკვდი და აღარაა ქვეყანაზე გალონი. მოკვდა საწყალი გალონი და დაასაფლავეს. რას იზამ მაშინ? მოხდა ისე, რომ მე მოვკვდი სადღაც შორს, ცივ ქვეყანაში, ან მოვკვდი საზიზღარი და სამარცხვინო სიკვდილით... მოკვდა გალონი ძაღლივით. რას იზამ, ჩმოკლინ? იტირებ თუ არ იტირებ? ჩემო ძვირფასო, ერთადერთო მეგობარო, ერთადერთო ნუგეშო და დიდო ადამიანო, ჩემო ჩმოკლინ, ჩემო პატარა ჩმოკლინ... დეე, ნუ გეყვარები, მაგრამ ნურასდროს ცუდს ნუ გაიფიქრებ და ნუ იტყვი ჩემზე. გეგრალებოდეს შენი საწყალი გალონი, შენი მუდამ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 499.

[2] იქვე, გვ. 510-511.

მოყვარული მგოსანი გალონი. გალონმა შენ ბევრი გაწყენინა, მაგრამ გალონი ცუდი ბიჭი როდია, – გალონს შენ ძალიან, ძალიან უყვარხარ"[1].

ჩვენ გვესმის ნაღდი სიყვარულისაგან შექმნილი ბავშვისა და ამავ დროს ჭეშმარიტი მამაკაცის აღსარება.

სხვა წერილებში კიდევ გალაკტიონი ენის მოჩლექით, პატარასავით ეტიტინება გულისსწორს. ესეც დიდი გრძნობის სიწმინდისა და უშუალობის გამოხატულებაა.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ გალაკტიონის ადრინდელი ბარათებიდან რომანტიკოსის განცდები ჟონავს. საზოგადოებასთან კონფლიქტში მყოფი პოეტი სიყვარულში ეძებს ბედნიერებას.

ზემოთ ციტირებული სტრიქონები 1913 და 1914 წლებში არის დაწერილი. ხომ არ განელდა ეს ცეცხლი დროთა განმავლობაში?

აი, ნაწვეტი 1929 წლის ბარათიდან: „მე არავისში არ გავცლი ერთ ძვირფასს, ყველაზე უფრო საყვარელ ადამიანს, ოლიას"[2].

ოლია ის წიგნი როიდა, რომლისადმი ინტერესი ერთი წაკითხვით ამოიწურება. მასში ბევრია შესაცნობი და მარადიული. გალაკტიონს თავისუფლად შეეძლო გაემეორებინა პოლ ვალერის „აფორიზმი"; მე შენ მიყვარხარ, – ე. ი. მე შენ არ გიცნობ. რაც მთავარია, ოლია გალაკტიონის თანამდევი უკვდავი სულია.

30-იანი წლების ავბედითმა ქარიშხალმა მეუღლენი საბოლოოდ დააშორიშორა. გავიხსენოთ ამ ფაქტით უკიდურესად გაწამებული გალაკტიონის პოეტური ამოოხვრა:

„ცხოვრების ეტლის სადარებელი
საცაა გავა მატარებელი.
მიემგზავრება იმედი ჩემი
ბედის ვარსკვლავის სადარებელი.

ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, –
რა საჭიროა ეხლა გოდება.
მატარებლისგან როს მიმიღია
ან თანაგრძნობა ან შეცოდება?

მატარებელი თვლემს, როგორც ლავა.
მატარებელი ხუთ წუთში გავა,
ვინც სხვებს აცილებს, დროა ჩასვლისა,

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 535.

[2] იქვე, ტ. IV, გვ. 151-152.

მატარებელი ხუთ წუთში გავა.

აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მიდდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები!

ნეტა ასეთი რად მერგო ბედი,–
ყოველჟამს ვკარგო თითო იმედი,
გამოსალმების ხელოვნებისთვის
ნუთუ არვინ არს პოეტის მეტი?"[1]

იმ წლებში,როცა მე უშუალოდ გალაკტიონთან ვიზრდებოდი, ბევრი რამ მსმენია ბიძაჩემისაგან ქუთაისისა და სოხუმის, პეტერბურგისა და პარიზის შესახებ. ჰყვებოდა სერიოზულად, არცთუ იშვიათად თვალებში ჩამდგარი უდაბნოს სევდით; ჰყვებოდა ხანაც იუმორითა და მისთვის ჩვეული ჩაქირქილებით, ზოგჯერ ნაკლებ ნაღდი ჰეროიკული პათოსითაც. იგონებდა ლიტერატურულ ბატალიებს, პიკანტურ ამბებს, ამხანაგებსა და ნათესავებს. მაგრამ არ მახსოვს,რომ სიტყვა დასცდენოდეს ოლია ოკუჯავასთან ურთიერთობაზე, თავის უკიდეგანო სიყვარულზე. ეს ალბათ უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გალაკტიონს ჰქონდა მეორე სამყარო. მისთვის ძვირფასი პიროვნებებით დ პიროვნებათა მისეული მოდელებით დასახლებული. ამ სამყაროს კარი ყველასათვის დახშული იყო. გალაკტიონმა ოლიას სიყვარულიც ამ მეორე,სანუკვარი სამყაროს ზღუდეებში მოაქცია; მის ცისფერ სასახლეში მხოლოდ ორნი იყვნენ და მესამის თუნდაც შემთხვევითი შეხედვა პირველი თოვლის სისპეტაკესა და უბიწოებას დაუკარგავდა მათ გრძნობას. ამიტომაც დუმდა გალაკტიონი. ამიტომაც უფრთხოდა ამ ამაღლებულ სიყვარულზე საუბარს. გალაკტიონისა და ოლიას ტრფობა რჩება როგორც უმძაფრესი პოემა.

არ ვიცი, ვის როგორ ესმის ერთგულება. ერთი რამ კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: გალაკტიონი სამარის კარამდე ოლიას უერთგულეს და ფიცხელ რაინდად დარჩა.

ნუ შეეცდება ოპონენტი ყოფითი დეტალებით ჩემს შეცბუნებას. კონკრეტული ფაქტი ყოველთვის როდია ჭეშმარიტების მღაღადებელი,სიცოცხლის შენარჩუნებისათვის გადადგმული ესა

[1] მათი ცალკე წიგნად გამოცემით ლ. სანაძემ და ლ. მეგრელიშვილმა დიდად შეუწყვეს ხელი გალაკტიონოლოგიის განვითარებას.

თუ ის ნაბიჯი ძლიერ ფრთხილ და სიღრმისეულ კვალიფიკაციას მოითხოვს.

იქნებ არც იმის აღნიშვნა იყოს ზედმეტი, რომ ოლიას ჩანაწერებმა და დღიურებმა თუ ჩვენამდე მოაღწია, ეს გალაკტიონის დამსახურებაა[1]. დამსახურება! ჰო, ცოტა უხერხულად ჟღერს ეს სიტყვა მიცემულ კონტექსტში, მაგრამ ამას ნუ გამოვეკიდებით. მხედველობაში თუ მივიღებთ სისხლის წვიმების ეპოქის თავისებურებას, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, როგორ არბევდნენ რეპრესირებულთა ოჯახებს, გალაკტიონის საქციელი მართლაც გმირობად წარმოჩინდება. ნებისმიერ დროს შეეძლოთ მისი ბინის გაჩხრეკა და თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამგვარ „სტუმრობას", ცხადზე ცხადია.

გალაკტიონი კი არ კრთება. ინახავს ოლიას ყველა ჩანაწერს, ნივთს, საგანს და თვალის ჩინივით უფრთხილდება.

პოეტის დაღუპვის შემდეგ, როცა მის კაბინეტს ვალაგებდით, კარადის ქვედა თაროზე უზარმაზარი საქაღალდე ვიპოვეთ. მასში ღია ბარათები იყო შეკუჭული. ისინი შეუვსებელი აღმოჩნდა. ჩანს, პირველ გვერდზე მოთავსებული საუცხოო რეპროდუქციების გამო შეუძენია ოლიას. მსგავსი ბარათები ათიათასობით იბეჭდებოდა. არავითარი „ლიტერატურული ღირებულება". გალაკტიონს კი მაინც შეუნახავს, რადგან ისინი ოლიას ხელშენახები იდო. აქვე იყო კარზე მისაკრავი პატარა სპილენძის ფირფიტა წარწერით: Оля Окуджава.

ეს ნივთები, რვეულები, წიგნები, მხოლოდ წარსულს კი არ ახსენებდა გალაკტიონს, არამედ ძალას მატებდა და ზოგჯერ პოეტურ ასოციაციებსაც იწვევდა.

გალაკტიონს უყვარს! მაგრამ ამის თქმა ცოტაა. არსებითი მაინც ის არის, თუ რას აძლევს სიყვარული გალაკტიონს, როგორ მოქმედებს მის პიროვნულ თვისებებსა და პოეტურ ნერვზე.

ერთ ბარათში გალაკტიონი ოლიას ატყობინებს „...პატარა ლექსი დავსწერე, რომელიც მსურს შენ მოგიძღვნა... ლექსს მალე დავბეჭდავ"[2].

ოლია გალაკტიონის მუზა იყო, შთაგონების წყარო. მარტო

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 517.

[2] ლექსი შეთხზული 1917 წელს. ჩანაწერი გაცილებით გვიანდელია. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ჩანაწერში რამდენიმე სიტყვა შეცვლილია. კანონიკურ ტექსტში იკითხება არა „მზეო ღვთისმშობელო", არამედ „მზეო თიბათვისა", ასევე „ხანმა საშინელმა" შეცვალა სინტაგმით „ხანმა უნდობარმა".

„უკანასკნელი მატარებელი“ და „მზეო თიბათვისა“ რად ღირს.

1921 წლის 24 მაისს გალაკტიონს დღიურში ჩაუწერია; მე ოლია შემდეგი ლექსით გავაცილე რუსეთს:

„მზეო თიბათვისა, მზეო – ღვთისმშობელო,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.
ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოავლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც მშვენიერი.
ხანამ საშინელმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა ამას გევედრები!“[1]

იგი აქ არის, ტფილისშია, მაშასადამე, ისმინა თუ არა ღვთისმშობელმა ჩემი ვედრება? აი, რა არის გამოსარკვევი. ეს ლექსი ხომ მას შეეხება“.

ოლიას დამსახურების წარმოსაჩენად მხოლოდ მიძღვნილი ლექსების ჩამოთვლა არ იკმარებს. უძვირფასეს ადამიანთან შეხვედრამ და ყოფნამ შეიძლება სწორედ მედიტაციური თუ პატრიოტული ლირიკის შედევრთა დაბადებას მისცეს ბიძგი. ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანის პოტენციურ შესაძლებლობებს მკაფიოდ ამჟღავნებს, უდიდეს ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე, რაც ნაირგვარად აისახება მის ყოფასა და შემოქმედებაში.

პარადოქსად ნუ მოგეჩვენებათ და გალაკტიონი, რომელიც თითქმის ყველას გაურბის და ოლიასაკენ მიისწრაფვის, ფაქტობრივად, ამ გზით ისევ საზოგადოებას უკავშირდება. ოლია ინდივიდებს შორის გაპობილ ხევზე მკვიდრ ხიდს აგებს და გალაკტიონს ადამიანებისადმი სიყვარულს უძლიერებს.

გალაკტიონმა ოლიას სახით იპოვა მეგობარი,რომლის წინაშე გულის გადშლით შვებას გრძნობს. „მე მგონია შენ ერთადერთი არსებ ხარ მთელ ქვეყანაზე, რომელსაც ჩემი უბედურება გულს გატკენს... ეხლა რომ შენთან ვიყო, დაგკოცნიდი, დაგკოცნიდი გიჟივით...

ჰო, იმას ვამბოდი... (მეც არ ვიცი ეხლა რას ვამბობ და რას არა), რომ საშინელ სულიერ ობლობას განვიცდი-მეთქი... არავინ არ მინდა ვანახო... დაველაპარაკო, მინდა მხოლოდ შენ იყო ჩემს

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 499-500.

ახლო"[1].

გალაკტიონი სიყვარულში ჰპოვებს შვებას.

ოლიას სულიერი მეგობრობა ბევრზე ბევრს ნიშნავს. გალაკტიონმა იცის, რომ ოლია ზუსტად გაუგებს ყველაფერს. ამიტომაც არის ესოდენ გულგახსნილი; არ ეკრძალვის საკუთარ ცოდვათა გამხელასაც კი.

მძიმე წუთებში, რაც არცთუ იშვიათია გალაკტიონის ცხოვრებაში, იგი ოლიას იხსენებს, მას ეხმიანება და ამ გზითაც ინარჩუნებს წონასწორობას.

...1914 წელი, 31 აგვისტო. გუშინ საღამოს შექეიფიანებულს ჩხუბი მოუვიდა აბეზარა გიმნაზიელებთან. ოლიას ნაჩუქარი ჯოხით სცემა შეურაცხმყოფელები. გამოფხიზლებული იტანჯება, სინდისი ქენჯნის. ვის გაანდოს დარდი? „ოლკინ, ძვირფასო ოლკინ, უსათუოდ ჩამოდი მალე, თორემ თავს მოვიკლავ... ასე აღარ შემიძლია. როცა შენთან ვარ, ოლკინ, არასდროს ასეთი საქმე არ დამემართება. მაინც რა სულელურადაა მთელი ჩემი ცხოვრება მოწყობილი. არაფერს იგი არ ჰგავს. სახსნელი გზა არსადაა, პირდაპირ. ოჰ, ნეტავი ეხლა შენთან ვიყო, მე ყველაფერს გეტყოდი"[2].

საერთოდ, სწორედ ამგვარი განწყობილება აპირობებს ისეთი სტროფების დაბადებას, როგორიცაა:

„სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!
დაჰქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო, მაცხოვარ!"[3]

ერთხელ ფეხით გაუყვა გზას სოფელ ქვიტირისაკენ და სასაფლაოზე აღმოჩნდა. საფლავის ქვაზე წამოწოლილს ფიქრი მიეძალა. „მკვდრებთან საუბარი გააბა". მერე ირონიული განწყობილება დაეუფლა და უჩვეულო ეპიზოდებს ოლიას აცნობს.

სხვა ბარათში სწერს: „ჩემი საღამო საცოდავად ჩატარდა.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 510.

[2] იქვე, ტ. II, გვ. 12.

[3] იქვე, ტ. XII, გვ. 522.

არავინ არ მივიდა. მრცხვენია „პირდაპირ"[1]. ერთგან – იმასაც შენიშნავს, რომ საბოლოოდ დაშორდა გაფრინდაშვილ-იაშვილს. ისეთი სიტყვები ვაკადრეთ ურთიერთს, რომ აწი ჩვენი დაახლოება შეუძლებელიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონს თავიდანვე დასჩემდა ნიღბოსნობა. მის გარშემო ბევრი ტრიალებდა. ამიტომ შეიძლება კაცს მოჩვენებოდა, რომ იგი ძალზე კომუნიკაბელური იყო. სინამდვილეში უჭირდა გულწრფელი ამხანაგური ძაფების გაბმა. გალაკტიონი უთუოდ განიცდიდა შინაგან ჩაკეტილობას და მძაფრად გრძნობდა ხვაშიადის გამხელის აუცილებლობას. ოლია თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი პირველი მაინც იყო, ვის წინაშეც არ რცხვენოდა ღია ჭრილობის გამოჩენა, ვისაც ნიღაბჩამოხსნილი ესაურებოდა, რაც ესოდენ აუცილებელია ყველა მოკვდავისათვის.

გალაკტიონი გულს უშლის ოლიას: „ქუთაისში სიწყნარეა... მოწყენილობაა... მომაბეზრებელი ერთფეროვანი ცხოვრება, თითქო შემოდგომის ნისლიანი დღეების გაგრძელებაა და უკულმა – შემოდგომის დღეები საშინლად ჰგავს ამ ერთფეროვან ცხოვრებას. ოჰ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი! ღმერთს გეფიცები, ვისმეს თავს შევაკლავ, თუ ასე გაგრძელდა... საშინლად მომწყინდა ყველაფერი...

დიდი ხნიდან დავეძებ მე ამ სიკვდილს, მაგრამ არ მოდის იგი... თავის მოკვლა არ მსურს, მაგრამ სხვა არავინა მკლავს... ბევრჯერ მივეცი სხვებს შემთხვევა, მაგრამ მათ... ხომ იცი, სიკვდილის ყველას ეშინია... რომ იცოდე, რა მოსაწყენია ყველა ეს ინტრიგები, ეს დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა, ჭორები... თავისთავად იბადება სურვილი, რომ გაშორდე ყველა ამას, რადგან ამის მეტი ცხოვრებაში არა არის რა..."[2]

ეს ბარათი ძალზე მნიშვნელოვანია გალაკტიონის პოეზიის გასაგებად. სევდასა და ტრაგიზმს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთფეროვნებაც, სიმწირეც, დაცემულობაც ბადებს. პოეტს არ შეუძლია შეეგუოს არსებულს. მისი სული გაცისკროვნებულ მწვერვალებს ელტვის.

„ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 526.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 301-302.

იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
ულონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერი თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.
თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!
არის გზა, არის ნელი თამაში...
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!
მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში,
ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა!
მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლება,
მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში
და თმების ქარით გამოქროლება.
მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,
ვით უბინაოს – ყოფნა ბინაში...
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე.
თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული ფიფქით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!" [1]

გალაკტიონი დარდსა და წუხილს არა მხოლოდ გამოთქვამს, არამედ ასხვისებს. მას თვალწინ უდგას მიჯნურის ბარათზე დახრილი ოლია, რომლის თვალებში ირეკლება შიში, სასოწარკვეთილება, სიყვარული, ზრუნვა. გალაკტიონი გრძნობს სატრფოს თანადგომას; იცის, რომ ოლია, უპირველეს ყოვლისა, განმცდელია და არა განმსჯელი. იგი მგოსნის წარმატებებისა თუ ჩამუხლების მონაწილეა. ამიტომაც არის გალაკტიონი ესოდენ გულახდილი.

ოლია ძალას მატებს სატრფოს და მეუღლეს. ის რომ არა, ვინ

იცის,იქნებ განუსხვისებელ ტანჯვაში და ვარამში ჩამხრჩალიყო გალაკტიონი.

ძალზე საგულისხმოა ოლია-გალაკტიონის ურთიერთობის კიდევ ერთი ასპექტი, ოლიამ არა მარტო ამადლებული განწყობილება შეუქმნა გალაკტიონს,არა მხოლოდ გაუცისკროვნა მრუმე დღეები, არამედ საზრუნავიც გაუჩინა. დიახ, საზრუნავი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. გალაკტიონი არა მარტო ოცნებობს ოლიაზე, არამედ იღვწის მისი ბედნიერებისათვის. ამით გალაკტიობნის ყოფას უფრო მეტად მიეცა აზრი.

ერთ ადრინდელ ბარათში გალაკტიონი ოლიას სწერდა: „მე ვოცნებობ ჩვენ ერთად ყოფნაზე... პატარა ბავშვზე განა კარგი არ არის? აჰ, ნეტავი კარგად მოვეწყობოდეთ; მე ამისი იმედი მაქვს“. ეს ოცნება ოცნებად დარჩა. გალაკტიონს შვილი არ ჰყოლია და მთელი თავისი ზრუნვა-გულისყური რამდენადაც ეს მისნაირი კაცისაგან იყო მოსალოდნელი, სხვებზე, პირველ რიგში კი ოლიაზე, გადაიტანა.

ყოველივე დიდი ჭეშმარიტ სიყვარულს შეუქმნია. ადამიანის არსებობის მიზანი სხვებისთვის ბედნიერების მინიჭებაშიაც მდგომარეობს. და აი, არა მხოლოდ იდეაში, არამედ რეალურად გაჩნდა პიროვნება, რომელმაც გალაკტიონში კიდევ უფრო გაამახვილა მოყვასისადმი თავდადების, ზრუნვის სურვილი, რაც პირდაპირ თუ ირიბად. მისი პოეტური ნერვის გაფაქიზებასაც უწყობს ხელს.

გალაკტიონი წუხს ოლიას ავადმყოფობის გამო. ურჩევს, არიგებს. „თავს მოუფრთხილდი, ოლია! თუ ჯანმრთელობა არ იქნა, რად გინდა რამე? მთელი შენი «настроение»-ბი და იმისთანაები სულ იმისგანაა, რომ თავს არ უვლი. აი თუნდაც შენი საჭმელი. არაფერს არ სჭამ და რა გასაკვირველია, რომ ავად იყო. ოლია, თუ გინდა, რომ ორივენი როდისმე მაინც ბედნიერები ვიყვეთ, უპირველესათ გახდი ჯანმრთელი, მხიარული, სიცოცხლით სავსე, სავსე იმედებით, რწმენით! ცხოვრებასთან გასამკლავებლათსაჭიროა როგორც მშვენიერი და სიხალისით სავსე გული, ისე ჯანმრთელობა, ჯანმრთელობა და ჯანმრთელობა!“[1]

„შენ იცი, როგორ მოუვლი თავს... გამხდარი და ავადმყოფი არ ჩამოხვიდე ქუთაისში, თვარა, ღმერთს გეფიცები, არ ვიცი რას გიზამ...“[2]

„ოლი,თავს მოუფრთხილდი,თავს მოუფრთხილდი! ყველაფერს

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 504.

[2] იქვე, გვ. 511.

მოესწრება კაცი, მაგრამ დაკარგული ჯანმრთელობის აღდგენას კი ვეღარ!"[1]

სხვათა შორის, დედისა თუ ძმისადმი გაგზავნილ წერილებშიაც იკვეთება ეს ტენდენცია: თვას მოუფრთხილდი, ჯანმრთელობა გაიკაჟე და ა. შ.

არ იკმარებდა იმის თქმა, რომ გალაკტიონი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ტანის სიმრთელეს, რომ ფიზიკური სიძლიერე მიაჩნდა ბედნიერების ერთ-ერთ საწინდრად. ხომ არ იგრძნობა აქ დარდი და წუხილი საკუთარი ავადმყოფობის გამო? ბუმერანგული პრინციპით ხონ არ მეღავნდება ის, რაზეც ხშირად ფიქრობდა და რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა?

– ოლიასადმი გაგზავნილ წერილებში გალაკტიონი ქადაგებს იმას, რის განხორციელებასაც თავად ვერ ახერხებს. „ჩემო ოლოლ, რა საჭიროა დარდი და წუხილი? რა საჭიროა, რომ ყოველ წუთში შავი ფიქრები გიტრიალებდეს თავში? უნდა ეცადო, რომ მწარე წუთები ტკბილ წუთებათ წარმოიდგინო..."[2]

ან კიდევ „თვითვე შეჰქმენი პირობები, თვითვე გამოსჭედე ბედი! მე ვცდილობ მოვაწყო ჩემი ცხოვრება ისე, როგორც მე მსურს და თუ ეს არ მოხერხდება, დავარწმუნებ ჩემს თავს იმაში, რომ ბედნიერი ვარ. მე ვიცი, რომ არაფერი ისეთი არ გადამხდება თავს, რაც სხვას არ გადახდია. მე ვიცი, რომ ვერ ავცილდები იმ საზღვარს, რომელშიაც კაცობრიობაა მომწყვდეული, მაშ რატომ უნდა შევიგნო მწუხარებისა და დარდის აუცილებლობა?..

არ არის ქვეყანაზე ადამიანი, რომელსაც თავისი მწუხარება არ ჰქონდეს, მაგრამ სწორედ სულელია ის ადამიანი, რომელიც თავის მწუხარების გარდა ვერაფერს ვერ ხედავს..."[3]

ეს არ არის პოლარულ განცდათა გამოვლინება. აქ სწორედ ის ძარღვი ჩანს, რომელიც პოეზიაში ზოგჯერ ღველფგადაყრილია. ოლიასადმი მიმართვა ავადმყოფის გასამხნევებლად წარმოთქმული ექიმის სიტყვები როდია. ეს არის გულწრფელი გამქელავნება იმისა, რასაც გალაკტიონი ფიქრობს. რა ვუყოთ, რომ თავად პრაქტიკულად ვერ ან ნაკლებ ახორციელებს იმას, რასაც ქადაგებს. ეს არსებითად უმძიმესი გარემოს ბრალია. გალაკტიონისეულ შეგონებებში არა მარტო აღტაცებული მიჯნური ჩანს, არამედ გულისყურიანი მეგობარ-მზრუნველი.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 521.

[2] იქვე, გვ. 503.

[3] იქვე, გვ. 505.

ოლიაზე ფიქრი და ზრუნვა გალაკტიონს სიამეს ანიჭებს, მის ცხოვრებას უფრო მიწიერს ხდის, ეს კი სინამდვილესთან კავშირს უძლიერებს.

...გალაკტიონი პარიზშია. თითქმის არ ძინავს. ამ საოცნებო ქალაქის მრავალმხრივ შეცნობას ეშურება. წიგნებიდან, სურათებიდან ბევრი რამ აქვს გათავისებული და ელისეის მინდვრებს თუ მონმარტრს ისე ათვალიერებს, თითქოს ამოწმებს, რომ არაფერი დაკლებიაო.

წარმოსახვით ოლიაც მასთან არის. შთაბეჭდილებებს უზიარებს, ესაუბრება კიდეც. ერთ დღეს მადაზიაში შეივლის და მეუღლისთვის ციცქნა მაჯის საათს ყიდულობს. წინაწარვე ხედავს,როგორ გაუბრწყინდება ოლიას თვალები,როგორ მოეხვევა და დაუკოცნის სახეს. ოლია ბედნიერი იქნება და გალაკტიონიც ტკბება ამ მოლოდინით.

ოლია, მართლაც, ძლიერ აფასებს მეუღლის ყურადღებას, მის დღიურებში ვხვდებით ამგვარ ჩანაწერებს: „გალაკტიონმა „ჟოლოსფერი ბერეტი და ზამშეს ქამარი, აგრეთვე აბრეშუმის ჯემპრი“ მიყიდა. ცხადია. გალაკტიონს ძვირფასი საჩუქრებით განებივრებული არ ჰყოლია და ვერც ეყოლებოდა მეუღლე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ საამისო მატერიალური შესაძლებლობა არ ჰქონდა პოეტ-პროფესიონალს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ გალაკტიონი დაბადებული არ ყოფილა ყოველდღიური „ქველმოქმედებისათვის“. ამას ძალიან კარგად გრძნობდა ოლია და მეუღლის მცირე საჩუქარსაც დიდ პატივად თვლიდა. ამიტომ წერდა: გალაკტიონს „უყიდნია კარაქი და შურასათვის გადაუცია, რომ ჩემთვის მოეტანა. რა გულისხმიერებაა!“[1]

დიახ, გულისხმიერებაა, რადგან ამას აკეთებს პოეზიით დაბანგული და პრაკტიკული ცხოვრების უნარს მოკლებული გალაკტიონი. თორემ სხვებს მსგავსი ნაბიჯი ბუნებრივ, ყოველდღიურ საქმიანობად ეთვლებოდათ და ამიტომაც არ იწვევს აღტაცებას.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის რამდენადმე მაინც ნათელია გალაკტიონისა და ოლიას ურთიერთობა. მაგრამ, ვიდრე დავსვამდეთ წერტილს, აუცილებლად უნდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზე.

---

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 89.

სიყვარულს ეჭვიანობაც ახლავს. ამ შემთხვევაში არსებითი მაინც სუბიექტთა ბუნება და ფსიქოლოგიური წყობაა. გალაკტიონი და ოლია უკიდურესად მგრძნობიარე, ძალზე თავმოყვარე პიროვნებები არიან. ამიტომ არცთუ იშვიათად, მტკივნეულად განიცდიან იმას, რასაც სხვები ყურადღებასაც კი არ აქცევენ. ზოგჯერ უწყინარ ფრაზასა ან მოქმედებაში არარსებულ ქვეტექსტებს ეძებენ . ნიუანსებს ზედმეტად ამახვილებენ. ყოველივე ეს დიდი გრძნობითაც არის ნაკარნახევი.

ეჭვიანობს ოლია. ეჭვიანობს და იტანჯება. მის აფორიაქებას კი მყარი საფუძველი არ აქვს. მაინც ვერ დამშვიდებულა, რადგან მთელი მისი ცხოვრება გალაკტიონია. ამიტომაც გალაკტიონის გულგრილობა ყველაფრის დამსხვრევას უდრის.

1927 წელი. გალაკტიონი აფხაზეთში გაემგზავრა. ოლია, როგორც ყოველ მსგავს შემთხვევაში, აფორიაქებულია. შინ მიბრუნებული უჯრებს ალაგებს და... იგი განგმირულია. გალაკტიონს მისი სურათი დარჩენია. ეს სრულიად საკმარისია ათასგვარი უბდურება წარმოისახოს და ირწმუნოს კიდეც. „ჩემი ის პორტრეტი ვიპოვე, რომელიც მე შენ გაჩუქე. ცუდად გავხდი, რადგან ვიფიქრე, რომ შენ იგი აღარ გჭირდება"[1].

არავითარი ამის მსგავსი. გალაკტიონს კვლავ მძაფრად უყვარს ოლია, მაგრამ ეჭვის ეს პატარა გუნდი მაინც ხდება ზვავის აგორების საბაბი.

ერთადერთი, რასაც ოლია გალაკტიონისაგან მოითხოვს, სიყვარულია. და თუ ეს არ იქნება, შურისძიებით მაინც არ აინთება. ყველაფერს გადაიტანს, ოღონდ გალაკტიონი იყოს ბედნიერი.

სწორედ ეს არის სიყვარულის უმაღლესი გამოვლინება.

ჩანს, ეჭვიანობა თავიდანვე დაიწყო და გალაკტიონს არცთუ იშვიათად უხდებოდა სატრფოს დაშოშმინება. 1914 წელს გალაკტიონი ოლიას სწერს: „გრწამდეს, მიყვარხარ შენ ერთი და მხოლოდ შენ! ჭორებს ყურს ნუ უგდებ, ვისაც რა უნდა ისა სთქვას.,.. მე, ოლოლ, მუდამ შენზე ვფიქრობ, რატომ გგონია, რომ სხვაზე? მე მგონია, არასდროს არ შემიცოდავს"[2].

გალაკტიონი ოლიაზე უფრო ეჭვიანია. ეჭვი მისი ფანტაზიის პირდაპირ პროპორციულია. ახალგაზრდობისდროინდელ წერი-

---

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 66.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 512.

ლებში ჩნდება გადაკვრები: „მე კარგად ვიცი, თუ რასაც ეშმაკობ შენ ქუთაისში ეხლა, მაგრამ რა გაეწყობა“[1].

გალაკტიონი თავიდანვე ჩასწვდა ოლიას ბუნებას. მისი სატრფო ადვილმიმნდობია, სიკეთით სავსე და შიშობს, ქალის გულუბრყვილობით არ ისარგებლონ ვიღაც-ვიღაცეებმა. მეორე ბარათში უკვე პირდაპირ აფრთხილებს: „სხვ როგორ იმგზავრე? გზაში ეშმაკობდი, არა? ოლკინ, ჭკვიანად იყავი და უბრალოდ ნურავის დაენდობი, ხომ იცი, რა საზიზღარი ქმნილებაა ადამიანი-ზოგიერთი“[2].

რაც უფრო ძლიერდება სიყვარული, მით უფრო მატულობს ეჭვი, დავესესხოთ გალაკტიონის 1921 წლის 25 მაისის ჩანაწერს. იგი ადელვების ჟამს არის დაწერილი და ამის გათვალისწინება აუცილებელია. ცხადია, პოეტი ცდილობს ყოველმხრივ გამართლებულად წარმოსახოს თავისი მოქმედებს, მაგრამ ჩანაწერებიდან მაინც ირეკლება ავტორისათვის არცთუ სულ სასურველი პორტრეტი.

„მახსოვს მატარებლით გზა მოსკოვისკენ, ხუთი წლის წინად. მე და ოლია მივეჩქარებოდით დიდი ქალაქისაკენ, ყოველგვარი შესაძლებლობისაკენ, მაშასადამე. და მოხდა ჩვეულებრივი ამბავი: ოლიას მხიარულმა გულწრფელმა, გაურყვნელმა სიცილმა... მისმა ღია თვალებმა და მათით გამოხატულმა გრძობამ იმისადმი, რომ იგი ქვეყანას ენდობა, რომ მისი ნდობა ყველასადმი უსაზღვროა, და ათასმა რამემ, წვრილმანებმა, რომლენიც მომხიბველელია ამ ქალში, რომელიღაც მგზავრი, როგორც მახსოვს, უბრალო ჯარისკაცი, კინაღამ შეშლამდე არ მიიყვანა... და იწყებოდა ჩემთვის ძველი ისტორია. ოლია იწყებდა ამ ისტორიას ჩემი მოთმინებიდან გამოყვანისას: იგი ცდილობდა მატარებლის ბაქანზე ამ ჯარისკაცთან განმარტოებას, რაც, რა თქმა უნდა, ჩემთვის სასიამოვნო არ იყო... მაშინ მე გავიხმე აბეზარა ჯარისკაცი და ჩუმად, ჩრდილობიანად ვუთხარი, რომ თუ ამ საათშივე არ აბარგდება ამ ვაგონიდან, შეიძლება სანანებლადაც გაუხდეს საქმე. „ოლია ბავშვია, ვუთხარი მე მას, თქვენ არ იცნობთ მას, არ იცით რა შედეგი მოყვება თქვენს მასთან თამაშს. მაშასადამე, გთხოვთ, ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვაა. ჩემს სიამაყეს საზღვარი

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 508.

[2] იქვე, გვ. 511.

არ ჰქონდა, როცა მალე ჯარისკაცი სადღაც გაჰქრა. დაცული და შენახულია ჩემი თავმოყვარეობა. მეორე თუ მესამე დღეს ოლია მეუბნება: – ნეტავი სად დაიკარგა ჯარისკაცი? – არ ვიცი! ვუპასუხე მე".

როგორც ჩანს, ოლიას ბუნებრივი კეკლუცობა აეჭვიანებს გალაკტიონს. არც ისაა გამორიცხული, რომ ქალი ოდნავ აღიზიანებს სატრფოს. გალაკტიონი კი ყველაფერს ზედმეტად მძაფრად აღიქვამს და შმაგდება. ასე იყო მეორეჯერაც.

მოსკოვის ქართველთა სათვისტომოში ოლიამ ყმაწვილი კაცი გაიცნო და საუბარი გაუბა. გალაკტიონს ეჩვენა, რომ ისინი თვალებით გაცილებით მეტს ამბობდნენ და რაღაცაში თანხმდებიან. მერე სამივენი ოლასა და გალაკტიონის ბინაზე მიდიან. საუბარი აქაც გრძელდება. გალაკტიონს მოთმინების ფიალა ევსება. ეჭვიანობა უმაღლეს საფეხურზე ადის. „მაშინ მე წამოვვარდი და ხელი მოკიდე უცნობს. ეხლავე, ეხლავე აქედან დაიკარგეთ. ეხლავე წადი აქედან, გესმით. უთუოდ საშინელი ვიყავი ამ დროს. უცნობი გაფითრებული წამოდგა. შიშით ნელნელა კარებისკენ წავიდა, არ იცოდა, რა ეთქვა. და იგი სიტყვაუთქმელად გავიდა ოთახიდან. ოლია იდგა, თითქოს არ იცოდა რაში იყო საქმე. მერე ჩავარდა ჩვენს შორის და დამფრთხალი ამბობდა: გალ, გალ! რას სჩადიხარ... დამშვიდდი, გალ! მაგრამ მე უკვე დამშვიდებული ვიყავი – უცნობმა კარი მოიხურა".

ეს სტრიქონები ახალი ეჭვიანობის ჟამს არის დაწერილი. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ მათში ზოგიერთი რამ შელამაზებული იყოს. არც ისაა ჩვენთვის ცნობილი, იმ კონფლიქტისას გალაკტიონი ფხიზელი იყო თუ არა. მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია, გალაკტიონი ძალზე მტკივნეულად განიცდის სხვებისადმი ოლიას ყურადღებას. შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, უცნაური წარმოსახვები უჩნდება და ბობოქრობს.

დიახ, გალაკტიონს ნამდვილად შეეძლო ეთქვა:

– მე მთვარესაც არ ვაპატიებ, რომ ოლიას ულიმის!

– მე ქარსაც არ ვაპატიებ, რომ ოლიას თმებში აცურებს თითებს!

– მე მიწასაც არ ვაპატიებ, რომ ოლიას ფეხებს უკოცნის.

თავს ნებას ვაძლევ მოზრდილი ჩანაწერი მოვიტანო გალაკტიონის დღიურიდან. მასში ასახულია ოლიასა და

გალაკტიონის შეხვედრა ხანგრძლივი დაშორების შემდეგ, 1921 წლის 24 მაისს.

მოსკოვიდან ოლიას დაბრუნება ტიციანმა ახარა გალაკტიონს. საღამოს კი ოლას პატარა ძმამ ვასილმა შემოირბინა და სთხოვა, ოკუჯავებთან მისულიყო.

და,აი,გალაკტიონი მისაღებ ოთახში ზის. გრძნობის დაოკებას ცდილობს. კარები იღება და ოლია შემოდის. „მე მას ვაკოცე. იგი არ მოელოდა და დაიბნა.

დავიწყეთ საუბარი. ამავე დროს ვათვალიერებდი მას. რა თქმა უნდა, დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის შეტყობას, თუ რანაირად გამოცვლილია ოლია. იგი ლაპარაკობდა ძლიერ სუსტად და მე გამახსენდა მისი უკანასკნელი, სხვისი ხელით დაწერილი წერილი მოსკოვიდან,რომ იგი იყო ძლიერ ავად. იწვა საავადმყოფოში დიდხანს.

ო,როგორი წარუშლელი დაღი დაუმჩნევია ამ ავადმყოფობას... ფაქტია, ჩემს წინაშე ეხლა სულ სხვა ადამიანი დგას. მე ძლივსძლივობით ვცნობილობ მას...

– მე ეხლაც ავად ვარ... გეზიზღები, არა?

– რას ამბობ,ოლია,ჩემთვის შენ ეხლა უფრო ძვირფასი ხარ...

– არ გეზიზღები? მე გადამდები სენით ვარ ავად... მაგრამ მე მალე მოვრჩები... სანატორიაში გამომიწერეს «Грязные бани», გამგზავნეს ყირიმში, მაგრამ ყირიმი შორსაა, მე მინდა პიატიგორსკში ან სხვაგან,უფრო ახლო... გალ! მაშ არ გეზიზღები? არ გეშინია გადამდები სენის?

ოლიას ჩვეულებრივი დაშინებაა. მაშინებდა, მისი აზრით. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ის სტყუოდა და არავითარი გადამდები სენით ავად არ იყო. ამიტომ თამამად ვუპასუხე, რომ სრულიად არ მეშინია მისი გადამდები სენის. და რომ დამემშვიდებია, ვუთხარი, რომ სრულიად არ ჰგავს ავადმყოფს... მართალია, ცოტათი გამოცვლილია, მარგრამ უკეთესი მხრით, ოდნავ სისუსტე კიდევ უფრო ანაზებს მას. უკანასკნელი სიტყვები ძლიერ გულწრფელნი იყვნენ ჩემნი.

– ოლია, რამდენი ხანი იყავი სანატორიაში?

– სამი თვე.

– რითი იყავი ავად?

ოლიამ დამაფიქრებლად დახარა თავი.

- - - - - - - - - - - - - - - - -

– საშინლად ავადმყოფიც რომ იყო, ჩემთვის მაინც ძვირფასი ხარ, ოლია! და იგი ისევ ატირდა...

– მაშ არ გეზიზღები... მაშ ვიცხოვრებთ ერთად?

– ვიცხოვრებთ!..

- - - - - - - - - - -

მეორე დღეს ოილია ჩემთან მოვიდა, რა ბედნიერება იყო.

ერთხელ მითხრა, რომ თბილისში იგი თავს უფრო ცუდად გრძნობს და მალე უნდა წავიდეს სააგარაკოდ.

– ბოლოს და ბოლოს, ოლია, სთქვი მართალი, რითი ხარ ავად? რა ჰქვია შენს ავადმყოფობას?

– მან ამოიოხრა და არაფერი არ მიპასუხა.

მე მოვხვიე მას ხელი... ალერსის დროს იგი ბავშვივით გულწრფელია. შეიძლება სხვა დროს ვერ ათქმევინო ის, რასაც თავზე ხელის გადასმით, კოცნით და დაყვავებით ათქმევინებს მას...

- - - - - - - - - - - -

– თქვი ოლია, რითი ხარ ავად, უნდა ვიცოდე მე ეგ თუ არა?

მან დიდხანს ჩუმად მიცქირა თავისი დიდი, უკვე გამოცვლილი ცისფერი თვალებით და შემდეგ ხელი გამომიწოდა. მარჯვენა ხელი... რა არის? მარჯვენა ხელი? რაღაც არ ეტყობა სიცოცხლე...

– რა დაემართა, ოლია, ხელს?

– ხელი არ მოქმედობს... პროგრესულად ხმება მხარიც... სწრაფად უნდა წავიდე საექიმოდ, თორემ დავიღუპები, გალ.

რა ტანჯულად, რა წამებულ ქალად მომეჩვენა მე ეხლა ოლია.

მას აღარ აქვს ხელი... მარჯვენა ხელი...

იგი იღუპება.

საწყალი, საწყალი ბავშვი.

შემდეგ ყოველდღე ვხედები მას... დღეებს და ღამეებს თითქმის ერთად ვატარებთ... გამოგონილი აღმოჩნდა აგრეთვე „ცუდი სენის" ისტორიაც. მაგრამ ხელი, მარჯვენა ხელი! უთუოდ რამდენ მწუხარებას განიცდის ეს ქალი... ვინ იცის, რად დაემართა ეს? ამბობს, რომ მონაწილეობას იღებდა შაბათობაში. ხერხავდა რაღაცას. ხერხის ხმარება არ იცოდა და მან ხელი გაუკაწრა. ხერხი დაჟანგული იყო და სიხლი მოეწამლა. ხელი მალე ძლიერ გაუსივდა და ექიმებს სურდათ მოეჭრათ იგი, მაგრამ ოლია არ დათანხმდა, იგი მოკდება ხელთან ერთად. მაშინ ექიმებმა უფრო

მეტი ენერგია გამოიჩინეს და ოლია სიკვდილს გადაარჩინეს. ურჩიეს აგრეთვე წასულიყო მალე ტალახით საქიმოდ, რადგან ხელის გახმობა პროგრესულად მიდის მხარისაკენ.

იგი მიამბობს ამ ამბებს და ბევრს სხვას.

ვინ იცის, რანაირი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი?

ეს ჩემთვის სამუდამოდ გამოუცნობ გამოცანად დარჩება.

მოდის ჩემთან ოლია. ამბობს საყვედურებს, რომ მე იგი დავლუპე, მაგრამ მალე სხვაგვარად ალაპარაკდება, რა იქნებოდა, მისი ცხოვრება, რომ მე მას არ შევხვედროდი... როდესაც მე ავუხსენი, თუ რა გაგიჟებით მიყვარს იგი, ამბობს, რომ მხოლოდ ეხლა სჯერა დიდი სიყვარულის უკვდავება... „შვიდი წელიწადი! მთელი შვიდი წელიწადია ერთმანეთს ვიცნობ და გვიყვარს..." განა ეს შვიდი წელიწადია? ეს მთელი საუკუნეებია... ოჰ, რა სწრაფად მიდის დრო, გალ..."

გალაკტიონს მაინც ღრღნის ეჭვი. რას აკეთებდა ოლია მოსკოვში? ზოგჯერ ეჩვენება, რომ ოლიამ მას უღალატა და მრისხანებს. მერე შორს ერეკება შავ ფიქრებს. კვლავ საშინელი წარმოსახვები ეძალება.

„...მღალატობენ მეგობრები, მღალატობენ ნათესავები, მღალატობს, საზოგადოდ, ბედი, მიღალატა ოლიამაც და მთელ ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი ღალატი! ნუთუ ადამიანებს აღარ აქვთ გული? რა საზიზღარი რამ არიან ადამიანები. რად, რად ჩაიდინა ასეთი რამ ოლიამ?

და ისევ ვფიქრობდი: მაგრამ ოლია ავადაა. ავადაა მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცამ მისი ცსოვრების ახლო გაიარა, ტლანქად და მოურიდებლად. შეიძლება ეს „ვიღაცა" ვიყავი თვითონ მე... გრცხვენოდეს, ოლია. შენ მეტად ავადა ხარ იმისთვის, რომ როდესმე გაგაგებინო. მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი! არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იქნეს შენთვის? მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასეთი შებრალებით მიყვარხარ. შენ კი, თუ გსურს, კიდევ მიღალატე, მიღალატე, როგორც მღალატობს ყველა: გალაკტიონ ტაბიძე თავის თავს არ უღალატებს! შენ არ გიღალატია! ვერავინ, ვერავინ ვერ გაიგებს ამ ცნობას. ეს, თითქო, არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა".

ეს არ არის ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი კაცის განცდები. ეს დეპრესიული პიროვნების ხარხარს მიაგავს. ეჭვს გალაკტიონი თითქმის სიგიჟემდე მიჰყავს.

დოსტოევსკის გმირები ამტკიცებენ: ვიტანჯები, მაშასადამე ვარსებობ! გალაკტიონს დამატებით ისიც შეეძლო ეთქვა: მიყვარს, მაშასადამე, ვარსებობ!

არაერთხელ დავფიქრებულვარ ოლიას სიყვარულზე, თვალი მიმედევნებია მისი ცხოვრების ურთულესი გზისათვის და ყოველთვის მოვხიბლულვარ ამ ქალის სტოიციზმით: ზოგჯერ გავოცებულვარ კიდეც ყოფით მოვლენებზე ამაღლების მისეული უნარით.

მოდი, ნუ შევაფერადებთ სინამდვილეს. ჩვეულებრივ მოკვდავს უთუოდ გაუძნელდებოდა გალაკტიონთან ცხოვრება, რადგან ამ გენიოსის გონება, ნიჭი, სურვილები ერთი კალაპოტით იყო მიმართული,ეს კი,ბუნებრივად იწვევდა ყოველდიური პრაქტიკული საკითხებისადმი გუილგრილ თუ დაფანტულ დამოკიდებულებას.

გალაკტიონს შეეძლო მთელი დღეს და ღამე ჩაკეტილიყო კაბინეტში და ფიქრადაც არ მოსვლოდა, რომ ოჯახს პური უნდა, შეეძლო საათობით მჯდარიყო გაყინულ ოთახში, რითმებთან შეჭიდებული, და არც კი გახსენებოდა, რომ ნავთი დიდი ხანია გამოილია. შეეძლო მთელი ღამე ელხინა ახლადგაცნობილ მეინახესთან და არ მოგონებოდა ფანჯრის რაფაზე გადმოხრილი მეუღლე.

ისიც ხდებოდა, რომ დროდადრო გამოერკვეოდა დ მეოჯახე კაცის იერით კომფორტზე ზრუნვას დაიწყებდა. მაგრამ ეს აფეთქებები ძალზე ხანმოკლე იყო. მუზა კვლავ სხვა სამყაროსკენ მოუხმობდა.

ერთხელ, ორჯერ, სამჯერ გაუძლებ ჩვეულებრივი რიტმიდან ამოვარდნას. მაგრამ სისტემატური დაძაბულობა, გაუთავებელი ბოჰემა ყველაფერზე ხელს ჩაგვაქნევინებს და განერიდები იმ სიმაღლესაც კი, რომელიც ასეთი მიმხიბვლელი ჩანს.

ოლია არ გაქცეულა. სხვებისათვის ეს შეიძლება გმირობად ჩაგვეთვალა. მას კი ამგვარი შეფასებით დავამცირებდით. ოლია კარგად გრძნობდა, რომ გალაკტიონს სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო – ამიტომაც დიდი პოეტის ჩვეულებრივ კალაპოტში მოქცევა კი არ დაუსახავს მიზნად,არამედ მისთვის ფეხის აწყობა. თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა. ოლიამაც შეიცნო

გალაკტიონის ყოფნის აუცილებლობა. ამიტომ წარბშეუხრელად ხვდებოდა ბევრ ისეთ რამეს,რასაც სხვები შეიძლება ისტერიკამდე მიეყვანა.

ოლიას გაგებით, გალაკტიონი დმერთია. ამიტომ მისი მოქმედების ჩვეულებრივი მეტრით გაზომვა დაუშვებელია. ოლია არა მხოლოდ ეთანხმება გალაკტიონს, არამედ მასავით აზროვნებს და განიცდის.

ვიყოთ ბოლომდე გულახდილნი. გალაკტიონისა და ოლიას ურთიერთობაში არის მოქუფრული დღეები, ხანმოკლე გაუგებრობებიც. ოლიაც ეჭვიანობს. ამის საბაბს კი გალაკტიონი ნამდვილად იძლევა. ზოგჯერ ქალი წარმოსახვას აბატონებს და ტკივილისაგან იკრუნჩხება. მაგრამ ასეთ წუთებშიც სიყვარულითაა სავსე. წინ ორი გალაკტიონი უდგას: – უხეში ცხოვრების შხეფებით მოსვრილი,მეორე კი იდეალური. პირველს კიცხავს, მეორეს ეთაყვანება. ამ თვალსაზრისით ძალზე მეტყველია 1917 წლის 17 თებერვლის ჩანაწერები:

„– შენ დამივიწყე, გენაცვალე, მომატყუე- მაგრამ იცოდე, ყოფილო პოეტო, ყოფილო ადამიანო და ყოფილო, ყოფილო ჩემი უძვირფასესო მეგობარო, ყოველივე წმინდასა და ამაღლებულს შენთვის ვინახავდი; შენთვის, რომელიც იდეალად წარმომესახე, მაგრამ ვაი, რომ შევცდი...

შემდეგ ისევ ჩივილი, კვლავ ყვედრება, შურისძიების სურვილი და მაინც, ყველაფრის დამფარავი ბოლო აკორდი: „მოდი, შენ ღვინო ხარ ამ ჩემს შფოთიან,ამღვრეულ და ცდომილ ცხოვრებაში. მოდი, შენ ის ზარი ხარ, რომელიც მიხმობს“.

ან კიდევ.

ოლია ავადაა. გალაკტიონი ხშირად ვერ ნახულობს. ერთხელ მთვრალი მისულა და, ჩანს, სათანადო ჯენტლმენობაც ვერ გამოუჩენია. მავანნი და მავანნი ჭორაობენ და ქალს მოთმინების ფიალა ევსება.

„რამდენი ხანია ვწევარ და ერთხელაც არ მძინებია. ვფიქრობდი, ყველაფერი უკეთ იქნება, ექიმებისაგან ნებართვას ავიღებ და გალაკტიონიც ყოველ დღე ივლის, გამამხნევებს, ტანჯვას შემიმსუბუქებს-მეთქი. მეც სწრაფად განვიკურნები. სიცოცხლე

მინდა, ძალუმად მინდა. მაგრამ ყველაფერი დაიმსხვრა... ახლა, ახლა რას ეტყვი ჩემს სიყვარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასრულდა.

ოცნებები შავი სისხლით წაილეკა. არ მსურს განკურნება. წყეულო საწოლო, აწი არ დაგნამავ ცრემლებით. მე ხვალ გავიქცევი...

„სამუდამო მხარეში შენი ლურჯა ცხენებით ხვალვე გავექანები". შენს ჯინზე ეს მოხდება ხვალ, ხვალ, შენი გულიზა. იქ მაინც არ დაველვრი ცრემლებს. არ მეცოდინება, უძილო ღამეები. რა ბედნიერება მომცა მე ამ ქვეყანამ, რას მაძლევს, გარდა უძილო წამების ღამეებისა. დღეს თუ ხვალ, დღეს თუ 10 წლის და 20 წლის შემდეგ, სულ ერთი არ არის. რომ ვერაფერს გავიგებ შემდეგ, ხომ არ ვინანებ არაფერს. ვიქნები იქ, სადაც არ ტირიან და არც იცინიან. ხა, ხა, ხა, ხა, ხა. აწი არ დატკბები ჩემი წვალებით არა, არა. მკვდარი ვიქნები და ვეწამები „სამუდამო მხარეში". არა, არა, აწი არ იხარებ ჩემი წამებით. ამას წაგართმევ, წაგართმევ ხვალ, წაგართმევ".

აშკარაა, რომ ამ ბარათს აფექტში მყოფი პიროვნება წერს. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი სხვაა. კერძოდ, ანდრესატის „გაორება". იგი უმკაცრეს გადაწყვეტილებას იღებს... თვითმკვლელობისაკენ გალაკტიონი „უბიძგებს" და მაინც: სიცოცხლეს გალაკტიონის ლექსით ემშვიდობება.

შემთხვევითია? არა! მთელი მისი არსება გალაკტიონითაა გაჯერებული. სწორედ ამაზე იტყვიან – სიყვარულს სიძულვილით ავლენსო.

ცოდვა იქნებოდა, აქ მხოლოდ ჟინიანობა დაგვენახა. თვითგვემა უფრო მეტია, ვიდრე სხვისი განქიქება. ჩანს სული მაღალი, სული შეშლილი და ბედნიერი.

ზოგჯერ გალაკტიონიც არ მალავდა განაწყენებასა და უკმაყოფილებას. სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანი იყო მისი პრეტენზიები, შეეძლო თუ არა ოლას ყველაფრის გათვალისწინება და გაკეთება. ალბათ ცალკეულ შემთხვევებში ოლიამაც ჩაიმუხლა. მაგრამ ყოველივე ეს უფლებას არ იძლევა მთავარი და არსებითი დავივიწყოთ ან მივჩქმალოთ. მთავარი კი

ის არის, რომ ოლიას ისე ესმის გალაკტიონისა, როგორც არავის.

ჩვეულებრივი მოკვდავის გაგებით, გალაკტიონი, არცთუ იშვიათად ახირებულად მოქმედებს. როგორია ამ დროს ოლიას პოზიცია? იგი გულწრფელად ფიქრობს, რომ გალაკტიონი ლოგიკური და მართალია. ამიტომაც არავითარი კრიტიკა, არავითარი გაორება.

ყოველივე ეს არა მხოლოდ ზღვარდაუდებელი სიყვარულიდან მომდინარეობს, არამედ ხედვისა და განსჯის იდენტურობიდან.

დასასრულს ოლიას ერთ ჩანაწერს დავესესხებით. „ბავშვობიდანვე ჩემი მეგობრები სიჩუმე და მარტოობა იყო. მრავალთა შორის მე მუდამ კენტად ვიყავი, ყველგან ობლობას ვგრძნობდი. ვიცოდი, რომ ადამიანებთან ურთიერთობა გამიჭირდებოდა...

ადამიანებს შორის ვიმყოფებოდი, მაგრამ მუდამ მხოლოდ ჩემი შინაგანი სამყაროთი ვცხოვრობდი, რომელშიაც ხორცშესხმულია მთელი სამყარო. ასე მგონია, რომ მე მსოფლიოს ვესაუბრები, როცა მარტო ვარ, ხოლო ადამიანებთან ყოფნის დროს სამყაროსაგან გათიშული, განშორებული ვარ"[1].

ვკითხულობ ამ სიტყვებს და ასე მგონია, გალაკტიონის პორტრეტი იძერწება. გალაკტიონისთვისაც ხომ ნიშანდობლივი იყო ეს თვისებები.

ფარსაგი დამთხვევაა, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა გადაჯაჭვული თანამგზავრობა. ოლია პოეტია, პოეტი-ლირიკოსი. ღრმად სწამს, რომ მისი ნაწერები არსებითად სწორედ ამ თვალით უნდა იქნეს წაკითხული.

როგორც ვნახეთ, დედა, ძმა, მეუღლე თავს ევლებიან დიდ ბავშვს, სითბოსა და სიყვარულს არ აკლებენ. გალაკტიონიც გულწრფელად პასუხობს მათ, მაგრამ მისი დამოკიდებულება ახლობლებისადმი მაინც განსხვავებულია. დედისათვის გალაკტიონი კერპია, ასევე მეუღლისათვის. გალაკტიონს კი არ შეეძლო პირველ ადგილზე ისინი დაეყენებინა. მისთვის სიყვარულის იერარქიულ საფეხურზე ყველაზე მაღლა პოეზია დგას. ამიტომ არის გალაკტიონი ძლიერზე ძლიერი. მას ძალუძს თითქმის ყველაფრის დაკარგვა გადაიტანოს, რადგან არსებობს

[1] ოლია ოკუჯავას დღიურები და მიმოწერა გალაკტიონთან, 1987, გვ. 42.

პირველი და უმთავრესი – შემოქმედება!

გასრულდა ესე ამბავი,ამბავი სიყვარულისა – თვითუარყოფისა: უმაღლესი თვითდამკვიდრებისა.

„მარად ისმის: მარადისი
სიყვარული ძნელია.
ვის ისარი მოხვდა მისი
მუდამ ცრემლის მღვრელია“.



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. IV, გვ. 177.

„შენ ხომ ბედუინი ხარ“

„საკუთარი გულის, შემოდგომის სალამოს დაწყების პოეტია გ. ტაბიძე. მისი სიმღერა ნაზია, როგორც დედოფლის სიზმარი, და თავისივე ნამღერი შემოდგომის მელოდიით აცრემლებული დასცურავს ამ სალამოს ჯერ კიდევ გამჭვირვალე მწუხრში“.

გიორგი ტაბიძე

ზემოთ ითქვა, რომ ჭაბუკ გალაკტიონს ზოგჯერ ღრღნიდა ეჭვი – შემიძლია კი ხელთუქმნელი ძეგლის აგება? ვინ ვარ? რა მისია მაკისრია? დემონის ხითხითი ხან მძლავი იყო, ხან კიდევ სუსტი და შეფარვითი. მაგრამ არსებითად გალაკტიონმა თავიდანვე იწამა საკუთარი ძალა. იგი ანალიტიკურად მოაზროვნე პიროვნება გახლდათ. მისი ჩანაწერები, კრიტიკული ძიებანი გვარწმუნებს, რომ პოეტი ღრმად ერკვეოდა ქართული პოეზიის ბუნებასა და ევროპული ლიტერატურის სპეციფიკაში. გალაკტიონი სწორედ სჭერეტდა ახალგაზრდა კალმოსანთა სისუტე-სიძლიერეს. ასე რომ, შეპირისპირების გზით, მართლაც, შეეძლო გამოეტანა დასკვნა, რომ თავად გამორჩეულია. ერთ ადრინდელ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში გალაკტიონი ამბობს: „ჩემს ამხანაგებში ერთიც არ მოიძებნებოდა ცოდნით ჩემზე მაღლა რომ მდგარიყო. განა იცოდა ვინმემ „ფაუსტი“, გაგონილი ჰქონდა ვისმეს „დონ კიხოტი“ ან „ჩაილდ ჰაროლდი“? – მე კი ვიცოდი, ყველაფერი ვიცოდი – მე მქონდა საკუთარი ტრაგედია და მე ყველაზე მაღლა ვიდექი“.

თვითდაჯერებითაც უნდა აიხსნას, რომ გალაკტიონი ადრევე, 1911 წლიდან შეუდგა წიგნის გამოცემაზე ზრუნვას. ამ პერიოდისათვის ახალგაზრდა მგოსანს მრავალი ლექსი და პოემა ჰქონდა დაწერილი. გალაკტიონმა თავი მოუყარა მათ, ერთხელ კიდევ გარანდა, სრულყო და სუფთად გადაწერა. წიგნს პოეტური სახელი შეურჩია – „გრძნობათა ნიაღვარი“. წინათქმაც მოხაზა: „ამ კრებულში მოთავსებული ლექსთა უნრაველესობა დაბეჭდილია სხვა და სხვა გამოცემებში. დაუბეჭდავი მასალის არჩევის დროს ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ლიტერატურის ზოგიერთი მცოდნე პირთა რჩევით“. შემდეგ ჩამოთვლილია, თუ რომელ ჟურნალ-გაზეთებში იყო დაბეჭდილი პოეტის ლექსები და რომელმა კრიტიკოსებმა განიხილეს ისინი.

ეს რეკლამაც იყო – მკითხველის დარწმუნება, რომ გემოვნებით შედგენილ წიგნს სთავაზობენ მას.

წიგნის გამოცემა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. გალაკტიონი ეთათბირება ნაცნობ-ამხანაგებს. აზუსტებს დეტალებს. ირკვევა, რომ კრებულის დაბეჭდვა ძვირი ჯდება. 1911 წლის 7 ოქტომბრით დათარიღებულ ბარათში იგი ძმას სწერს: „წიგნს ეცემ ხელმოწერით. წარმოიგინე ორას მანეთამდე ჯდება – სად მაქვს ორასი მანეთი – სასაცილოა!"

ეს, მართლაც, საოცნებო თანხაა. პოეტი მაინც არ იტეხს გულს და იწყება გაბმული, სერიოზული მუშაობა. გალაკტიონი, უპირველეს ყოვლისა, წიგნის გამავრცელებელი აგენტების მოსაზიდად იბრძვის, დიდი სიფრთხილით არჩევს მათ. ესენია: ი. კვიცარიძე, ს. კლდიაშვილი, კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. გერსამია, მ. დაჩაგრული და ა. შ. სულ 24 კაცი. სხვა ჩანაწერით დასტურდება, რომ გალაკტიონს იმედი აქვს „კოლხიდის" რედაქციისა და ივ. კილაძის სტამბისა. არსებითად სწორედ ამათზეა დამოკიდებული კრებულის ბედი. 200 ხელმომწერი თუ შეგროვდა, თანხის ნაწილი თუ წინასწარვე შეიკრიბა, სტამბისა და ქაღალდის საქმე შედარებით იოლად მოგვარდება.

იბეჭდება სარეკლამო ფურცელი: „აქ მიიღება ხელის მოწერა ახალგაზრდა მგოსნის გ. ტაბიძის წიგნზე „ლექსები და პოემები", რვეული პირველი..."

გალაკტიონმა ქვითრებიც დაამზადა და აგენტებს დაურიგა. „ძმაო სერგო, სწერდა იგი ს. გერსამიას,– გიგზავნი კვიტანციებს ჩემი წიგნისათვის და განცხადებას, რომელსაც გააკრავთ იქ, სადაც კი ხელის მოწერა მოხერხდება... არ ვიცი, სამკითხველო დააარსეთ თუ არა, და თუ გაქვთ, ერთს განცხადებას იქ გააკრავთ. ყოველ შემთხვევაში, მე სრული იმედი მაქვს, რომ კვიტანციებს გამისადებთ დაახლოებით ასე ორმოცამდე – წიგნი იქნება დიდი ფორმატის (240 გვ.). ჩემო კარგო, ოც მანეთს წიგნის გამოცემის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს და, აბა, თუ როგორმე მოახერხებთ... წიგნი ორ თვეში უნდა გამოვიდეს. ფული კი გამომიგზავნეთ ამ ადრესით: Кутаиси. Классическая гимназия. Титу Табидзе. აბა, თქვენ იცით, როგორც დამეხმარებით... 1911 წ. 15. X".

1911 წლის 18 აგვისტოს გალაკტიონი დახმარებისთვის მიმართავს იოსებ გრიშაშვილს: „მე უნდა ვისარგებლო ეხლა შენის მეგობრული რჩევით ნაწერების ცალკე გამოცემაზე. ქუთაისში კიდეც გავმართე ამხანაგების საშუალებით ხელისმოწერა და გროვდება ფული. მოგროვდება იმდენი, რომ მეყოს ცოტა ხანზე თბილისში ჩამოსვლისას. შეიძლება მეტიც მოგროვდეს, რადგან მოსწავლეების იმედი მაქვს, რომლებიც, წარმოიდგინე, აქ საკმარისად მიცნობენ. მე კარგად არ ვიცი და შენგან ველი

დარიგებას საქმეზე. შენ მითხარი: – შეიძლება ქალალდი და სტამბა ნდობით დავივალოთო. ძალიან კარგი იქნება, ჩემო იოსებ! თუ ეს შეუძლებელია? დამავალე და გამიგე. თუ შეიძლება, ცოტას დამჯერდნენ ჯერ. შენ ხომ კარგად იცნობ მიხეილ გაჩეჩილაძეს? მგონია დაახლოვებულიცა ხარ...“[1]

ი. გრიშაშვილს პასუხი არ დაუყოვნებია. „ჩემო გალაკტიონ! შენი წერილი (მეორე წერილი) დღეს გადმომცეს და აი, როგორც ხედავ, გიპასუხებ. განზრახვა შენი დიდებულია; და ხომ იცი, რომ სულით და გულით მინდა ცალკე გამოვიდეს ლექსები შენი. რაშიაც გსურს, ყველაფერში მზადა ვარ დაგეხმარო. მიხ. გაჩეჩილაძე ეხლა პატარა ცემშია და წამოვა მალე. მგონი ყველაფერი მოხერხდება... ჩამოდი და მოვილაპარაკოთ... არ ვიცი, შენ ჩამოსვლა გინდა, თუ ისე უნდა გამოგზავნო ლექსები დასაბეჭდად. სტამბას მოგიხერხებ და ქალალდის შესახებ კი ვერ დაგაიმედებ... მაშ ასე... პირველ წერილში ძალიან გულჩახვეულობა გეტყობა – რა ამბავია? მშვენიერი წერილია, პოეტური, პატარა „მინიატურები“ მაქვს და ისე მომეწონა შენი კილო მარტოობისა და თვით წერილიც, რომ მოვათავსებ „წერილი მეგობართან“ ამ სათაურით. მშვიდობით. გისურვებ კოცნის მისიკაზე ცეკვას“.

წიგნის თბილისში გამოცემა ვერ მოხერხდა და გალაკტიონი ბათუმში ცდილობს საქმის მოგვარებას. ამიტომაც მიმართავს „ბათომის გაზეთის“ რედაქციას. მაგრამ წარმატებას ვერც აქ აღწევს. „ბათომის გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭელიძე სწერს: „მ. ხ., თქვენი ღია ბარათის პასუხად მოგახსენებთ, რომ რედაქციას ამჟამად არ ეხერხება გამოსაცემ წიგნებზე ხელის მოწერის გამართვა. გირჩევთ ბათუმში მიმართოთ ხელის მოწერის გასამართად წიგნის მაღაზიას და ჟურნალ-გაზეთების კანტორას „განთიადს“. იგი გაგიწევთ თქვენ ამ საქმესი სამსახურს, მით უმეტეს, თუ მცირეოდენ % დაუთმობთ“.

გალაკტიონი გულს არ იტეხს. ისევ მშობლიური ქუთაისი თუ იხსნის. და აი, 1912 წელს, თებერვლის დამდეგს გაზეთ „ცხოვრებაში“ ზედიზედ იბეჭდება შემდეგი განცხადება-რეკლამა: „მიიღება ხელის მოწერა გ. ტაბიძის წიგნზე – ლექსები და პოემები, რვეული პირველი. ფასი ხელის მოწერით ათი შაური.

ქუთაისში: ჟურნალ-გაზეთის კანტორა „იმერეთში“, გოგიბერიძის წიგნის მაღაზიაში, წიგნ. მაღ. „პროვინციაში“ და სხვ. ხელის მოწერა გამართულია ტყიბულში მ. ბოჭორიშვილთან, ხორაგაულში სე. რუხაძესთან, სამტრედიაში, ხონში, თფილისში

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 540.

და სხვ.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე გაზეთ „ცხოვრების“ რედაქციაში[1].

მეგობრებს თავი არ დაუზოგავთ. მაგალითად, მის. ბოჭორიშვილმა ტყიბულიდან წინასწარ აკრეფილი ათი მანეთი გამოგზავნა

არქივმა შემოგვინახა ერთად აკინძული კვიტანციები. როგორც ჩანს, ისინი აგენტ პ. გუჯაბიძისათვის გადაუცია გალაკტიონს. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ ქუთაისში წიგნის შეძენის სურვილი გამოუთქვამთ: ვიქტორ ნოზაძეს, სერგო გერსამიას, რაისა ჩიხლაძეს, ქალაქის ბიბლიოთეკას... სულ 100 კაცს. ეს ხდება 1912 წლის 13 იანვრიდან 10 თებერვლამდე. საფიქრებელია, ქალაქში სხვა აგენტებიც მოქმედებდნენ,მაგრამ ხელმოწერა მაინც მცირე იყო. არც დაბა-სოფლები იჩენდნენ დიდ დაინტერესებას. ერთი სიტყვით, გალაკტიონმა ფიასკო განიცადა. ამ პირველმა წამოწყებამ მას არა მხოლოდ მატერიალური ზარალი, არამედ მორალური ტრავმაც მიაყენა. ხელისმომწერლებმა წიგნი ვერ მიიღეს. გალაკტიონს წინასწარ აღებული ფულიც შემოეხარჯა და მევალეები ვერ გაისტუმრა. აი, რას სწერს იგი მ. ბოჭორიშვილს: „...როცა ჩემდა უნებურად მომაგონდება ის საბედისწერო „კვიტანციები“, პირდაპირ გავშრები ხოლმე, აუწერელ წამებას ვგრძნობ. ამის შემდეგ, იფიქრე რანაირად უნდა მიშფოთებდეს გულს სიტყვები შენი წერილიდან: „რა ვქნა, რომ აღარ ვიცი, რა ვქნა და ათასჯერ რა ვქნა,ჩემი ერთადერთი მიზანი კვიტანციების ფულის გადახდაა“. შენ ეხლა მართლაც იტანჯები, დამნაშავე მე ვარ, მე მოგაყენე ამდენი უსიამოვნება იმ მართლაც ღრმა მეგობრულ თავგანწირულებისათვის, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიჩინე, რომლის მსგავსი მე არავისგან არაფერი მახსოვს. მე მშვენივრად მახსოვს შენი თანაგრძნობა, თითქოს ჩემი საქმე კი არა, საკუთრად შენი საქმე ყოფილიყოს, იმგვარ გატაცებით მოეკიდე დაწყებულ საქმეს, თითქოს პირადი ჩემი სრულიად არ გამოგერჩეოდა შენისაგან,და აი მხოლოდ ეს მაწითლებს მე,როცა წარმოვიდგენ თუ რითი გადაგიხადე გულწრფელი დახმარებისა და თანგრძნობის მაგივრად, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენე, საკუთარი საქმე აგირიე, აგიწეწე, მაგრამ რაც უნდა დამემართოს, რა მდგომარეობაშიც უნდა ჩავვარდე, უსათუოდ გადავიხდი ამ ვალს, პირველადვე, როგორც კი ჩამივარდება ხელში ფული. როდესაც ქუთაისში ვიყავი,მე ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა, რომ დავიწყე საქმე და დასრულება აღარ ეღირსა-მეთქი, ღამ-

[1] გაზ. „ცხოვრება“, 1912, №5, 6, 7, 8, 9...

ღამობით ძილი არ ეკარებოდა ჩემს თვალებს, დღისით მოსვენება არ ვიცოდი, თითქმის სულ დამავიწყდა ყველაფერი, მერე როგორ ვცხოვრობდი?"[1]

ეს წამოწყება შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონს ბევრი ლექსი და პოემა დაუგროვდა. წიგნში უნდა შეულიყო 174 ლექსი. თუ გავიხსენებთ, რომ გალაკტიონის თხზულებათა პირველ გამოცემაში 1912 წლამდე დაწერილ ლექსთაგან მხოლოდ ათიოდეა შეტანილი, აშკარა გახდება, რომ პოეტს დაახლოებით 150 კიდევ ჰქონდა მზად. სად არის ეს ნაწარმოებები? განადგურდა თუ გამოვლენას ელის?

მთავარი ისაა, რომ გალაკტიონი ამ პერიოდში ძალზე პროდუქტულია. სხვა საკითხია, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა პირველი წიგნი. ცხადია, ის რომ 1911 წლის მიწურულს ან 1912 წლის დამდეგს დაბეჭდილიყო, მასში ვერ შევიდოდა „ქალი და ხელოვნება", „მე და ღამე", „გურიის მთები" და სხვ. ამდენად, წიგნს ისეთი რეზონანსი ვერ ექნებოდა, როგორიც ჰქონდა 1914 წელს გამოცემულ კრებულს.

გალაკტიონმა 1913 წელსაც სცადა წიგნის დაბეჭდვა, მაგრამ კვლავ მარცხი განიცადა. „გამომცემლობები, როგორც ქუთაისისა, ისე ტფილისისა, კატეგორიულ უარს აცხადებენ ჩემი წიგნის გამოცემაზე. ეს გარემოება სულით ხორცამდე მაშფოთებს. მაგრამ მე თავს ვიჭერ და მოთმინებით ვუცდი: ვიცი გამოიდარებს"[2].

1914 წელს გალაკტიონი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა წიგნის გამოცემას. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამომჟღავნდა ნაწარმოებთა შერჩევაში. ბევრი ლექსი, რომლებიც წინა კრებულში უნდა შეეტანა, ამ გამოცემაში არ მოუთავსებია. უარი უთქვამს ზოგიერთი აპრობირებულ ნაწარმოებზეც კი. მაგალითად, 1908 წელს „საქართველოში" დაბეჭდილ ლექსზე „წყურვილი თავისუფლებისა". ი. გრიშაშვილს, როგორც ჟურნალის მდივანს, ხსენებული ლექსი მკაცრად „გაუსწორებია", ათკუპლეტიანი ნაწარმოები ათ სტრიქონზე დაუყვანია; ბოლო ორი ტაეპიც თავად შეუთხზავს[3].

გასაგებია, რომ გალაკტიონი ამგვარად ტრანსფორმირებულ ლექსს არ შეიტანდა კრებულში. მაგრამ, პირველ ვარიანტს

---

[1] გ. ტაბიძე. თხზ., ტ. XII, გვ. 544.

[2] იქვე. გვ. 278.

[3] ი.გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. V, 1965, გვ. 316-317.

რატომ არ დაუბრუნდა? გამორიცხული არ არის, რომ რედაქციის ჩარევამ ლექსის სრულყოფილებაში დააჭვა და საერთოდ უარი თქვა მასზე. ასევე არ ცნო წიგნში შეტანის ღირსად 1909 წელს „ფასკუნჯში" დაბეჭდილი „გაზაფხულის მოლოდინში". ხსენებული ლექსი 1911 წელს გააკრიტიკა აკაკი პაპავამ. ალბათ, ესეც გახდა მისი მოძულების მიზეზი. სხვათა შორის, „წყურვილი თავისუფლებისა" და „გაზაფხულის მოლოდინში" გალაკტიონს არც ერთ კრებულსა და ტომში არ შეუტანია.

რაც შეეხება ლექსებს „მთვარე კაშკაშებს", „ვითარცა გედი", „ნიავი" და სხვანი, რომლებიც პირველად ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა, არც არავის დაუმახინჯებია და არც არავის დაუწუნებია, მაგრამ ტომში მაინც ვერ მოხვდნენ. პოეტი მხოლოდ სხვათა შენიშვნებით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი შეხედულებით.

ზემოთქმული მაინც ვერ იძლევა სრულ სურათს. საკითხის საგანგებოდ შესწავლამ უჩვეულო ფაქტი წარმოაჩინა. გალაკტიონს უარი უთქვამს 45 დაბეჭდილ ლექსზე. 45! ეს ხომ ერთი კრებულის მასალაა. თანაც ამას აკეთებს არა ხანდაზმული მწერალი, რომელსაც უმდიდრესი მემკვიდრეობა დაუგროვდა, არამედ ახალგაზრდა მგოსანი. გალაკტიონს ტომში არ შეუტანია 1908-1909 წლებში გამოქვეყნებული არც ერთი ლექსი. 1910 წლის პუბლიკაციებიდან ხელმეორედ მხოლოდ 6 გამოამზეურა, 1911 წ. – 2, 1912 წ. – 7, სულ 15.

ყოველივე ეს გალაკტიონის პოეტური კულტურისა და გემოვნების დახვეწაზე, უდიდეს პასუხისმგებლობაზე მიგვანიშნებს. მსგავსი რამ მხოლოდ უნიჭიერეს და საკუთარ ძალაში დარწმუნებულ პოეტს შეეძლო; შემოქმედს, რომელიც წლობით კი არა, დღეობით იზრდება.

უთუოდ ანგარიშგასაწევია ტიციანის ცნობა: „გ. ტაბიძეს აქვს მთელი ციკლი რომანტიკული პიესებისა საქართველოს წარსულიდან. ეს ლექსები ამ წიგნში არ მოხვედრილან, გარდა ერთისა – „სამშობლოში", რომელიც თითქო შესავალია ამ ციკლისა"[1]. ტიციანი მას გადანახულ საუნჯეს უწოდებს. ჩვენ საფუძველი არ გვაქვს პოეტის გემოვნებას არ ვენდოთ. ეს ინფორმაცია იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ გალაკტიონის დიდ ჩანაფიქრზე მიგვანიშნებს. ჩანს, პირველი წიგნის გამართვა ერთი მაგისტრალური ხაზით განუზრახავს – არსებითად ზოგადსაკაცობრიო საფიქრალის წარმოჩენას ცდილა. ეს ის

[1] გაზ. „საქართველო", 1961, №4.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზაა, რომლითაც შესაძლებელი იყო დეკადენტ-ეპიგონებისაგან გამიჯვნა და ქართული მწერლობის ახალ რელსებზე გადაყვანა.

ამ მოსაზრებისაკენ ისიც გვიბიძგებს, რომ პოეტმა კრებულში არ შეიტანა „პირველი ენკენისთვე". ამ ლექსს ნამდვილად ვერ ჩავთვლით სუსტად, მაგრამ იგი სხვაგვარი განწყობით არის დაწერილი. სხვათა შორის, ხსენებულ ნაწარმოებთან დაკავშირებით 50-იან წლებში გალაკტიონს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „VIII ტომისათვის უნდა მოინახოს ლექსი ჟურნალ „განათლებაში" – „მასწავლებელო, ჩამოჰკარ ზარი". ჩანს, პოეტს დავიწყებია, რომ იგი თხზულებათა მე-5 ტომში ჰქონდა შეტანილი.

კიდევ ერთ საბუთს მოვიტანთ ზემოხსენებული დებულების დასამტკიცებლად. 1914 წლის წიგნში არც ერთი პოემა არ შესულა. და ეს მაშინ, როცა ისინი უნდა დაბეჭდილიყო 1912 და 1913 წლებში გამოსაცემად განზრახულ კრებულებში. უცნობ წინასიტყვაობაში, რომელიც 1912 წლის გამოცემას უნდა წამძღვარებოდა, გალაკტიონი წერს: „შესწორებულად ვბეჭდავ პოემა „მწყემსს", რომელიც უკანასკნელი წლის „თემში" იყო მოთავსებული.

ორი წლის შემდეგ გალაკტიონმა აზრი შეიცვალა. მას უკვე ნაკლებ აკმაყოფილებს ხსენებული ნაწარმოები.

მეორე მხრივ, გალაკტიონი უფრო მონდომებით, გულდაგულ ეკიდება ორგანიზაციულ მხარეს. ხშირი სტუმარია გამომცემლისა და აზუსტებს საკითხებს; მოლაპარაკებას აწარმოებს ლიტერატორებთან კრიტიკული წერილების დაწერის თაობაზე; ზრუნავს მომავალი წიგნის გავრცელებაზე და ა. შ. შემთხვევითი არ არის, რომ პრესაში, მაგალითად, „აზრსა" და „შრომაში", ზედიზედ ქვეყნდება განცხადებები: „იბეჭდება და მოკლე ხანში ხელის მოწერით დაურიგდებათ გ. ტაბიძის ნაწერების I წიგნი. წიგნში მოთავსებული იქნება: 1) ავტორის სურათი, 2) ბიოგრაფია, 3) ლექსები (ჯერ დაუბეჭდავი) და 4) ივ. გომართელის, მიხ. წულუკიძის, იპ. ვართაგავას კრიტიკული წერილები. ტომში იქნებას 200–250 გვ. და დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე"[1].

საერთოდ, გალაკტიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამგვარ საქმიანობას. 40-იანი წლების მიწურულს შეთხზულ ერთ ნაწარმოებში იგი წიგნს ახლად ფეხადგმულ ბავშვს ადარებს, რომელსაც საგანგებო ყურადღება და გაძღოლა უნდა. ერთია წიგნის დაწერა და მეორეა ხალხში მისი გატანაო.

კერძო საუბარშიც არაერთხელ აღუნიშნავს: წიგნის

[1] გაზ. „აზრი", 1914, №32, 38, 43, 46, 48, 50, 52, 55, 56, 62, 65.

წარმატება ნახევრად რეკლამაზე არის დამოკიდებული. ისიც კარგად მახსოვს, ტომებისა თუ კრებულების გამოსვლასთან დაკავშირებით როგორ ადგენდა სიას ლიტერატორებისას, რომლებსაც შეეძლოთ ახალ წიგნზე რეცენზიის დაწერა. საგულდაგულდ წონიდა თითოეული კანდიდატის შესაძლებლობას და სიას გულმოდგინედ ცხრილავდა. ზოგს იწუნებდა იმიტომ, რომ სხვა პოეტთა მეხოტბეობას სწამებდა, ზოგს იმიტომ, რომ ლექსის ბაიბურში არა არისო. ზოგს კიდევ „ბერიას კუდად" (მისი საყვარელი გამოთქმაა) თვლიდა.

ეს ნუსხები,რომელთა ნაწილი გალაკტიონის არქივში ინახება, ბევრს გვეუბნება პოეტის კეთილშობლიურ მისწრაფებებზე, სულიერ განწყობასა და ზოგიერთი პიროვნებისა თუ საკითხისადმი ტენდენციურ დამოკიდებულებაზეც.

ზემომოტანილი განცხადების მიხედვით წიგნში უნდა შესულიყო სამი კრიტიკოსის წერილები. დაისტამბა მხოლოდ ერთისა. ნუთუ იპ. ვართაგავამ და მიხ. წულუკიძემ ვერ შესძლეს დაპირების შესრულება? ან იქნებ თვით გალაკტიონმა არ ისურვა ამ ლიტერატორთა სტატიების დაბეჭდვა, როცა მათ შინაარსს გაეცნო?

საქმე ისაა, რომ მიხ. წულუკიძემ 1915 წელს გაზეთ „შადრევანში" გამოაქვეყნა „გ. ტაბიძის ლექსები". მასში სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ზოგიერთი ლიტერატორისათვის ნიშანდობლივი ცალმხრივობით არი განხილული პოეტის შემოქმედება. მკაცრად არის გაკრიტიკებული მგოსანი – იგი ხალხს მოსწყდა, უიმედობას ქადაგებსო.

შეუძლებელია ერთ წელიწადში შეეცვალა მიხ. წულუკიძეს შეხედულება. საფიქრებელია,რომ 1914 წელსაც,როცა მან პოეტის ხელნაწერები გადაიკითხა, იგივე მოსაზრება გამოთქვა, ამიტომ გალაკტიონმა საბოლოოდ უარი თქვა წიგნში მისი წერილის შეტანაზე.

რაც შეეხება იპ. ვართაგავას საკარაუდო წერილს, მის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. შეთხზა კი? სხვათა შორის,აფიშაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნებული განცხადების მსგავსია, იპ. ვართაგავა არ იხსენიება. აქ დამატებით ისიც არის აღნიშნული, რომ ტომი მაისის პირველ რიცხვებში გამოვა.

გასაგებია, თუ როგორი იქნებოდა გალაკტიონი წიგნის გამოცემის პირველ პერიოდში: მოუსვენარაი, მოფუსფუსე, წვრილმანებზე ზედმეტად დაფიქრებული და, რაც მთავარია, ანთებულ-ამაღლებული. დარწმუნებული ვარ,თითქმის ყოველდღე აკითხავდა პუშკინის ქუჩაზე სტამბა „ძმობას". მეგობრულად

უთათუნებდა მხარზე ხელს ასოთამწყობს, კვლავ და კვლავ თხოვდა მეტრანპაჟეს ანაბეჭდის ამოღებას... უხეში შეცდომები კი მაინც გაიპარა – „უკანასკნელი დღე“ განმეორებით დაიბეჭდა, ტანაც მხარდამხარ – 32 და 33 გვერდებზე, ხოლო „განახლდა გული“ საერთოდ ვერ მოხვდა სარჩევში.

იქნებ არ ღირდა ამ ფაქტზე ყურადღების შენერება?

ნუ ვიჩქარებთა ასეთი დასკვნის გამოტანას. საქმე ისაა, რომ ხსენებულ დეტალში რამდენადმე გალაკტიონის ხასიათი ცნაურდება. იგი დიდი გატაცებით ეკიდება ახალ საქმეს. თავდაუზოგავად იხარჯება, მაგრამ შემტევ განწყობას დიდხანს ვერ ინარჩუნებს. წამოწყება თუ უმნიშვნელო იყო, მალე განიხიბლებოდა,ხოლო თუ ძალზე სერიოზული,მაშინ გამძაფრება მხოლოდ უღელტეხილამდე მიყვებოდა. ვფიქრობთ, ასე მოხდა 1914 წელსაც. გამომცემელი დაითანხმა. ლექსები შეარჩია. ტექსტი აიწყო. პირველი კორექტურა გადაისინჯა. მაშასადამე, როგორც თავად იტყოდა,„საქმე აჟურშია მოყვანილი“. აწი წიგნის გამოსვლას ვერაფერი შეაფერხებდა.

ვნებები დაცხრა. მგოსანი დამშვიდდა. სხვა მხრივ გადაირთო.

სტამბაში მაინც დადის,მაგრამ მისი ყურადღება მოჩვენებითია. ამას ბევრი ვერც გრძნობდს.

ერთიც არის ხაზგასასმელი: გალაკტიონისათვის თავიდათავი ლექსის გამოქვეყნებაა. რა ფორმით და რა სახით, ამას ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს. გავიხსენოთ საუბარი „მნათობის“ პასუხისმგებელ მდივანთან მოსე გოგიბერიძესთან.

„– ასი ლექსი? – წამოიძახა მოსემ – ბრავო! რამ დაგაწერია შე კაცო,ასი ლექსი... ძვირფასი ამბავია. მაგარმ ასი ლექსი... ამას ხომ ჟურნალის ასი გვერდი მოუნდება... აჰა;.. არა, შენ ამბობ,რომ მხოლოდ თორმეტი გვერდი იქნებაო... ძალიან კარგი... რანაირად მოახაზირე ახლა შენ მაი... ა?

– მოვახერხე სულ უბრალოდ: ოთხ-ოთხი სტრიქონი ერთ სტრიქონად გადავაქციე.

– მერე რეიზე ჰქენი მაი საქმე... დარჩენილიყო ოთხ-ოთხ სტრიქონად... მე შენს ადგილზე ასე მოვიქცეოდი: ნელ-ნელა ვბეჭდავდი თითო ლექსს თითო ნომერში: ესეც შენი ასი ნომერი „მნათობის“. ეხლა კი ასი ლექსია – და ჰონორარს კი მიიღებს ერთი ლექსისას. რეიზა შობი ახლა მაგ საქმეს, ა?

– იმისთვის ჩემო მოსე, რომ ჩემთვის უმჯობესია ლექსები დაიბეჭდოს ეხლავე, თორემ სულერთია, დამეკარგება, ან გადამავიწყდება“[1].

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 377.

ამჯერად სტროფიკას ამახინჯებს. სხვა შემთხვევაში დაწერის თარიღებს უგულებელყოფს. უფრო მოგვიანებით სხვათა უმართებულო ჩასწორებებს უგულოდ ეკიდება. ერთი სიტყვით, კონკრეტული სიტუაციისა და ვითარების გათვალისწინებით ლექსთა დაუყოვნებელ დაბეჭდვას ეწირება სხვა მხარეები.

დავუბრუნდეთ წარსულს.

ამ დაძაბული შრომის შედეგად მკითხველმა მიიღო მშვენიერი წიგნი. ტუტკუ გვარამიას ცდა და მონდომება არ დაუკლია, რომ კრებული მიმზიდველი გამოსულიყო. გამომცემლისადმი პატივისცემა გალაკტიონმა ლექსით გამოხატა:

„როცა სიცოცხლის შორ გატაცებას,
ვუახლოდებით, რად გწყდება გული?
მუდამ გვახსოვდეს, რომ უკვდავია
ჩვენი ერთობა და სიყვარული!
მეგობრის გული როდის არ იგრძნობს
მეგობრის სულის იდუმალებას?
იგი აქარწყლებს მწარედ დაკარგულს
მწუხარებას და ტანჯვა-წამებას!"[1]

წიგნი ახალგზარდა მხატვარს გ.მესხს გაუფრომებია. გარეკანზე გამოხატულია არფაზე დამკვრელი ქალი. ირგვლივ ყვავილებია მიმობნეული. წარწერები „გ. ტაბიძე" და „ლექსები" შესრულებულია ნახატი ასოებით, რომლებიც გამოირჩევიან ქართული პოლიგრაფიისათვის ნიშანდობლივი მოხაზულობით. ყველაფერ ამას გვირგვინის ფორმა აქვს. სურათში გარკვეული სიმბოლიკა იგრძნობა.

ხომ არ მიგვანიშნებენ პოეტი და მხატვარი, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება დიდი ფიქრის აღმძვრელია, სილამაზის დამამკვიდრებელი და ტკბობის მონიჭებელი; ხომ არ არის ეს ერთგვარი გამოწვევა, მინიშნება იმაზე, რომ ნაღდი პოეზია არ შეიძლება შემოიფარგლოს ვიწრო სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გარკვევით.

კრებულში დაიბეჭდა გალაკტიონის სურათი, მოკლე ბიოგრაფია და ი. გომართელის წერილი. წიგნზე დიდი მოთხოვნილება იყო. იგი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გამოუწერიათ. მაგალითად, სურახანაში (ბაქოს მახლობლად) მცხოვრებ ათ კაცს გამოუთქვამს მისი შეძენის სურვილი[2].

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 758.

[2] გაზ. „შადრევანი", 1915, №14.

გალაკტიონის პირველი წიგნი 3000 ცალად დაიბეჭდა და მალე გაიყიდა. მრავლისმთქმელია 1915 წლის 30 მარტს გამოქვეყნებული ტ. გვარამიას შენიშვნა: „...აგენტების და ხელის მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებ: იმ აგენტს, რომელსაც დღემდის ანგარიში არ გაუსწორებია, უკანვე დაუბრუნონ ხელის მომწერთ ფული, ვინაიდან მე უკვე წიგნი არ მომეპოვება"[1].

აღიარება ერთბაშად მოვიდა. არადა, ზოგჯერ მთელი ცხოვრება სიტყვასთან ჭიდილში მიილევა; იქმნება შედევრები, საზოგადოების გულგრილობის დაძლევა კი მაინც არ ხერხდება და ისე მიისვენებს მწერალი, ერთ თბილ რეცენზიასაც ვერ ეღირსება. ტრიუმფი სიკვდილის შემდეგ იწყება. მთელი ელვარებით წარმოჩნდება შემოქმედის შარავანდედით მოსილი სახე და აღტაცებას აღტაცება ესაფეხურება. მაგრამ გვიანღაა.

გულისტკივილით წერდა გალაკტიონი 1910 წლის 6 აპრილს: „ერთი კვირის წინად გარდაიცვალა ვრუბელი; ისე, რომ არც კი გაუგონია ნამდვილი დაფასება მისი ნიჭისა. არც კი იცოდა, თუ სახელი მოეძებნებოდა კიდევ დედამიწაზე. ყველასაგან ფეხქვეშ გათელილ მხატვარს სასო წარეკვეთა. იქნებ ის ფიქრიც გაუჯდა ძვალ-რბილში, რომ მართლა უნიჭო იყო? გვიანღაა მიცვალებულისთვის სიტყვის თქმა: შენ გენიოსი იყავი!"

გალაკტიონის ბედი სხვაგვარად წარიმართა. მისი ლექსები გამოქვეყნებისთანავე შეიყვარეს.

დაფნის გვირგვინის მოპოვება ძნელზე ძნელია. გაბატონებული გემოვნების შეცვლა და ტრადიციული თვალსაზრისის დაძლევა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე ამაღლებას და შეუპოვრობას გულისხმობს, რაც ყველას არ ხელეწიფება. ახალი ძალის გამოჩენისთანავე იმანენტურად იბადება სკეპტიციზმი და თავშეკავება. ასეთ შემთხვევაში მოხოლოდ ხალას ნიჭს, ლექსს ამოყოლილ უჩვეულო სურნელებას თუ ძალუძს საზოგადოების ანთება.

გალაკტიონმა სწრაფად მოიპოვა წარმატება და ამას გარეგნულ, შემთხვევით ფაქტორებს ვერ მივაწერთ. იგი შორს იდგა იმ პოეტებისაგან, რომლებიც მომაჯადოებელი პოეზიით, მომხიბლავი თამადობით თუ შელამაზებული ბოჰემური აფეთქებით იზიდავდნენ საზოგადოებას. გალაკტიონის აღიარება ჭეშმარიტი პოეტური ტალანტის შეცნობაა. მან სულის უნაზესი სიმები შეარხია და გაიტაცა მკითხველი. მგოსანმა გამოხატა ერის მოწინავე ნაწილისათვის დამახასიათებელი უკმარობის გრძნობა, ლტოლვა უკეთესისაკენ, რომანტიკული აღმაფრენა. და,

[1] გაზ. „შადრევანი", 1915, №15.

რაც მთავარია,თავის განცდებს გასაოცრად ლამაზი,მიმზიდველი ფორმა მისცა.

ვიდრე გალაკტიონის წიგნისადმი ფართო საზოგადოების დამოკიდებულებას გავარკვევდეთ, მანამდე ერთ გარემოებაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

1914 წელს ორმოცდაათზე მეტი პოეტური კრებული გამოვიდა. მაგრამ... გინახავთ ექოთი დაჭრილი კაცი? ამ წიგნთა უმეტესობას კი ექოს სიძლიერეც არ ქონდა. მხოლოდ ხუთიოდე თუ გამოირჩეოდა ჭეშმარიტი ლიტერატურული ღირებულებით. დანარჩენები? თუმცა უმჯობესია რამდენიმე მათგანის დასახელება. ავტორთა გვარი და წიგნთა სახელწოდებები ბევრის მთქმელია.

„ალავერდი! იახშიოლდი! სუფრაში სათქმელი სიმღერა და სხვა სალხინო ლექსები“, ბ. არნაუტოვი – „ითამაშე თამარ“, ვ. ბაკურაძე – „ახალ ომში გაყვანილი სალდათის გოდება“, ბეგიჯანოვი – „ლექსი მანუშაკ ფარსადანოვის გარდაცვალებაზე“, ა. განჯის-კარელი – „განათლების ნაყოფია ტანგო“,დ. გივიშვილი – „ქალაქის ახალი ბოინი“, ი. გოძიაშვილი – „გიტარაზედ და ფანდურზედ დასამღერებელი ლექსები“, ს. დათებოვი – „ძმა ძმის მკვლელი და სტეპკო დათებოვის ანდერძი“, ვ. ედგაროვი – სრული აღჩი ჰოორმ და შეგუას სიმრერა და ყომარბაზის დღე“, გ. თომაშვილი – „სხვადასხვა ლექსები. ზღვის კაცის ნახვა და იმის უტყუვარი აღწერილობა“, ბ. იაღუფოგოვი – „თელავის ბარიშნებზე ანუ სირანუშას ხმა სამარიდან“,კრიხელი – „უსამართლოთ მოკლული იოსებ დედიაშვილის მწარე ამბავი“, გ. სკანდარ-ნოვა – „მომღერალი ქალი“, ა. შახპარუნოვი – „ლექსად თქმული ახალგაზრდა ქალის მშობიარობის დროს გარდაცვალებაზედ“, ს. ხიმშელი – „ვარდის კოკობი“, მ. ჯაჭვაძე – „სარიდონიანი“, ჰაზარი – „გამგელებული ბატკანი ანუ ომი ბალკანეთისა“ და სხვ.

ერთი სიტყვით,მოდიოდა „პოეზიის“ წვიმა,მაგრამ თესლს ვერ აღვივებდა, წვეთები სწრაფად ინთქმებოდნენ ქვიშიან ნიადაში. ზოგჯერ გუბეებიც ჩნდებოდა, მაგრამ მალე ფერს იცვლიდა და მგზავრიც შეგნებულად უვლიდა გვერდს.

ზემოთქმულის გათვალისწინება აუცილებელია, რათა კიდევ უფრო გასაგები გახდეს გალაკტიონის წიგნის მნიშვნელობა.

გალაკტიონის ლირიკით გამოწვეული აღტაცების გასაცნობად პირველ რიგში პრესაში გაბნეულ შენიშვნებსა თუ რეცენზიებს გადავხედოთ. თითოეული მათგანის სკრუპულოზური განხილვა შორს წაგვიყვანდა. ეს არცაა აუცილებელი. შევჩერდეთ ყველაზე

მთავარსა და არსებითზე.

პირველი, ვინც შედარებით ვრცლად შეეხო გალაკტიონის შემოქმედებას, დ. ნახუცრიშვილი გახლდათ. 1910 წლის „თეატრსა და ცხოვრებაში" გამოაქვეყნა ნაწყვეტები სტატიიდან „ბუნება პოეზიაში". ავტორის აზრით, შემოქმედის ლტოლვა ბუნებისაკენ ლოგიკურია, რადგან იქ შესაძლებელია სულიერი სიმშვიდის მოპოვება. ამდენად, ბუნების პოეტური წარმოჩენა და ძირითად სათქმელთან დაკავშირება მხატვრის თვითდახასიათებასაც გულისხმობს.

„ჩვენ ტიუტჩევი არ გვყოლია, ბუნების უმაღლეს წერტილამდე აღმწერელი პოეტი,– შენიშნავს დ. ნახუცრიშვილი,– მაგრამ ამის იმედს საკმაოდ იძლევა ახალგაზრდა მგოსანი გ. ტაბიძე. ამაში დამარწმუნა ტაბიძის მშვენიერმა ლექსებმა (იხ. „ფასკუნჯი", „თეატრი და ცხოვ."). წაიკითხეთ პაწია, მაგრამ კოხტა ლექსი „ნიაღვარი". ნახეთ, რა წუნდაუდებელი აღწერაა ლექსის ერთ ნაწილში"[1].

საილუსტრაციო მასალა მართლაც შთამბეჭდავია. კრიტიკოსს სხვა ლექსებიდანაც მოაქვს ამონარიდი. საერთოდ, ამ წერილში ანალიზს განცხადება ენაცვლება. ეს შეიძლება ნაწილობრივ იმითაც აიხსნას, რომ დ. ნახუცრიშვილი ციტატებს მრავლისმეტყველად მიიჩნევს და მკითხველთა გემოვნებასაც ზედმეტად ენდობა.

მთავარი მაინც ის არის, რომ ლიტერატურულმა კრიტიკამ გალაკტიონის პოეზიის ერთ ასპექტს საგანგებოდ მიაქცია ყურადღება და მაღალი შეფასებაც მისცა მგოსნის ოსტატობას.

სრულიად განსხვავებულია გაზეთ „სინათლეში" დაბეჭდილი დ. ჩხეიძის სტატია „ცხოვრება და მწერლობა". კრიტიკოსი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების იდეურ მხარეს აკვირდება და შეშფოთებულია პოეტთა დიიდ უმეტესობის „ბურჟუაზიული" გადახრის გამო.

„ჩვენ რომ თვალი გადავალოთ ჩვენი ახალგზარდა მწერლების ნაწერებს, აშკარათ დავრწმუნდებით, რომ შანშიაშვილი, გრიშაშვილი, მჭედლიშვილი, მეტრეველი, ტ. ტაბიძე, გ. ტაბიძე, აბაშისპირელი, ფერიაშვილი და სხვანი ერთ განსაზღვრულ მიმართულებას სცემენ თაყვანს! იმათთვის სინამდვილე არ არსებობს, პიროვნებისთვის ბრძოლა შორს მიუგდიათ და ერთი მათი მიზანი საკუთარი „მეა"[2].

სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ გალაკტიონის მხოლოდ

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1910, №37, გვ. 7.

[2] გაზ. „სინათლე", 1911, №23.

გვარია ფიქსირებული. პოეტის აპოლიტიკურობის და საერთო საქმისაგან განდგომის დამადასტურებელი მაგალითები კი არ ჩანს. მაგარმ ამგვარ კონტექსტში თუნდაც მოხსენიება მაინც გულდასაწყვეტია. შეცდომა, ვფიქრობთ, გალაკტიონის პოეზიის ზედაპირული აღქმიდან უნდა მოდიოდეს.

ა. პაპავა უკიდურეს ინდივიდუალისტად თვლის გალაკტიონს – განკერძოებული ხასიათის ამოცანები და მოტივები აფიქრებს, ამიტომაც ვერ უპოვნია თანამგზავრ-მეგბარი. ეს ინდივიდუალიზმი ბუნებასთან დაპირისპირებაშიც ვლინდებაო.

„მალე ველი ამწვანდება,
არემარე იგრძნობს შვებას
და ყვავილთა გუნდიც უხვად
გადმოაფრქვევს სურნელებას“.

„მაგრამ ამ ზეიმის დროსაც, გარიყული იქნება პოეტი თავის უსაზღვრო სევდით. მისი გულის თქმა და კვნესა კვლავ „მის“ გულში იბინადრებს:

„მხოლოდ მე კია არ მომალხენს
სიკეკლუცე გაზაფხულის,
გულშივ ჩაქანა ნორჩივ რწმენა
სიყვარულის, სიხარულის“[4].

ა. პაპავა ფიქრობს,რომ გალაკტიონი მოსწყდა საზოგადოებას და ამიტომაც აკრიტიკებს მას. ჩვენი აზრით, პოეტის წუხილს საზოგადოებრივი საფანელი აქვს. ლირიკული გმირი ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ ტკივილს როდი ამხელს.

ლექსის სისუსტე სხვა მხრივ უფრო მეღავნდება, კერძოდ, ტრივიალური ხერხის მომარჯვებაში.

გ. ჭუმბურიძის წერილში „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში“, რომელიც გაგრძელების სახით დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ ექვს ნომერში,თვალსაჩინო ადგილი დაეთმო გალაკტიონს.

კრიტიკოსი შენიშნავს: „თანამედროვე სიმბოლურ ლირიკული პოეზიის მსახურებად უნდა ჩაითვალონ ჯერჯერობით: ალ. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, ბაბილინა, ნ. ჩხიკვაძე და ხვანი“[2].

ეს თეზისი ორმხრივ არის საყურადღებო. ჯერ ერთი, 19 წლის გალაკტიონი მოხსენებული პოპულარული მწერლების გვერდით, რაც მისი პოეტური ნიჭის აღიარებასაც გულისხმობს.

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911, №76.

[2] გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911, №293.

მეორე, ჩამოთვლილი მგოსნები „სიმბოლური ლირიკის“ წარმომადგენლებად არიან მიჩნეულნი, რაც გვაფიქრებინებს, რომ კრიტიკოსს სიმბოლიზმი თავისებურად, არატრადიციულად ესმის. მაგრამ ამ საკითხის გამოწვლილვით შესწავლა ჩვენს მიზანს არ შედგენს. უპირატესად გვაინტერესებს, რამდენად ჩასწვდა გ. ჭუმბურიძე გალაკტიონის შემოქმედების სპეციფიკას.

კრიტიკოსი მიუთითებს, რომ გალაკტიონთან მძლავრობს სევდის მოტივი. პოეტი ოცნებაშიც ვერ პოულობს შვებას და, ამდენად, მისი ტრაგიზმი უკიდეგანოა. „ტაბიძეს ნამდვილად სდევნის და სტანჯავს, სდევნის სასტიკად, ბნელი უკუნიც გარს ახვევია ყველგან, ყოველვის. პოეტს ვერც ოცნებაში უპოვია თავშესაფარი, მას არც იგი სწყალობს, დამშვიდებული სულის ლტოლვა მაღლა ცისკენ მას უკვდავებას ვერ მიანიჭებს. პოეტს სწამს მხოლოდ წამებულის უკვდავება და ისიც ბრძოლისათვის უხმობს ყველას“[1].

საგულისხმოა, რომ გ. ჭუმბურიძემ გალაკტიონის შემოქმედებაში ორი ნაკადი დაინახა: განდგომისა და ბრძოლისა. ეს მეტად საინტერესო დაკვირვებაა, რომელიც კრიტიკოსის ნიჭსა და ალღოზე მეტყველებს.

გ. ჭუმბურიძის წერილი იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში გამჟღავნებულია ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ტენდენციები. როგორც კრიტიკოსი წერს, მხატვარი არ უნდა შემოიფარგლოს ადამიანის ცხოვრების ერთი მხრის აღწერით. განვლო იმ დრომ, როცა მგოსნები მხოლოდ სადღეისო საჭირბოროტო საკითხების გარკვევას ესწრაფვოდნენ. უკანასკნელ წლებში შეინიშნება მარადიული თემებისაკენ მიბრუნება და სულიერი დრამის გადმოცემისაკენ სწრაფვა. „მწერლობა უნდა გადაიქცეს ადამიანის ცხოვრების ამ ორი მხარის გარმონიულ გამომხატველად. ეს სააქაო, ამ სოფლიური და ის, საიქაო, ზეციური ცხოვრება უნდა შეერთდეს ლიტერატურაშიც ისე, როგორც იგი ადამიანის ხირცსა და სულშია შეერთებული, როგორიც მის მთლიან ბუნებაშია შესისხოლხორცებული. ამის ნიშნები ჩვენ უკვე დავინახეთ ზემოდ გარჩეული პოეტების ზოგიერთ ლექსებში, სადაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ტაბიძეს და ბაბილინას, რაოდენიმედ აბაშელსაც“[2].

როგორც ვხედავთ, ლიტერატურული კრიტიკა უყურადღებოდ არ ტოვებს გალაკტიონის ცალკეულ ნაწარმოებებს. მაგრამ

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1911, №296.

[2] იქვე

ძირითად მაინც ფრაგმენტული გამონათქვამებია და მკითხველს უძნელდება სრული წარმოდგენის შემუშავება მის პოეზიაზე. 1914 წელს გამოცემულმა ლექსთა კრებულმა კი შესაძლებლობა მისცა საზოგადოებას მთლიანობაში გაეაზრებინა ნიჭიერი მგოსნის შემოქმედება და მეტ-ნაკლებად სწორი დასკვნები გაეკეთებინა. ამ საქმეში უთუოდ თვალსაჩინოა ივანე გომართელის დამსახურება. მან საგულისხმო წერილი წაუმძღვარა გალაკტიონის ლექსებს.

სტატიის სათაურშივე გამჟღავნებულია ძირითადი სათქმელი. კრიტიკოსმა გალაკტიონს „სევდის მგოსანი" უწოდა. წიგნში მოთავსებული ლექსები ნამდვილად იძლეოდა ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას. ამრიგად, ფაქტი ფიქსირებულია. ახლა მთავარია ახსნა მოეძებნოს ამგვარ განწყობას, გაიშიფროს მისი საფუძვლები.

ი. გომართელმა გალაკტიონის შემოქმედება დიდი გადასახედიდან გაიაზრდა და მის ლექსებში კაცობრიობის სატკივარი დაინახა. ადამიანი, როგორც იგი შენიშნავს, მარად მიისწრაფვის უსაზღვრო და დაუსრულებელი სამყაროს შეცნობისაკენ.

„რას წარმოადგენს სამყარო, სად არის მისი დასაწყისი და სად დასასრული?

საიდან, როგორ გაჩნდა ყოველივე ეს?

რა არის სიცოცხლე, რას წარმოადგენს სიკვდილი?

ყველა ამ კითხვაზე პასუხს ეძებს მოუსვენარი სული ადამიანისა.

მაგრამ პასუხს არავინ არ იძლევა, პასუხი არსაიდან არ ისმის"[1].

და ყოველივე ეს ბადებს სევდას, წუხილს, არცთუ იშვიათად სასოწარკვეთილებასაც კი.

კრიტიკოსის სამართლიანი შენიშვნით, ამგვარი განცდა ბუნებრივია მოაზროვნე ინდივიდისათვის. მაშასადამე, სევდიანობა სრულიადაც არ არის დაცინვის საგანი, როგორც ბევრი ფიქრობდა და ფიქრობს.

ი. გომართელი ღრმად სწვდება გალაკტიონის ფილოსოფიას. მართლაც, პოეტს არ აკმაყოფილებს ეს ქვეყანა. იგი ეძებს სიცოცხლის მიზანს, მაგრამ ამაოდ. მან იცის, რომ ცხოვრება წარმავალია. მგოსანი მიისწრაფვის ცისკენ, მაგრამ ცაც არაფერს ეუბნება. ყოველივე ეს იწვევს სულიერ ტანჯვასა და ჩანგიც სევდიან ხმებს გამოსცემს.

ი. გომართელის მსჯელობა ლოგიკური და შთამბეჭდავია.

[1] გ. ტაბიძე, ლექსები, 1914, გვ. V.

ნუთუ მხოლოდ სევდაა გალაკტიონისათვის დამახასიათებელი? კრიტიკოსი გრძნობს, რომ შეიძლება ასეთი შეკითხვაც დაუსვან და ისიც პასუხობს: გალაკტიონს უჩნდება ქარიშხალთან შებმის სურვილი, მაგრამ ეს მაინც სუსტი ტენდენციაა. „...ბრძოლა თვისებაა ძლიერი, მოქმედი ნებისა.

ბრძოლისათვის ნაპოლეონობა თუ არა, ნაპოლეონის შორეული ნათესაობაა მაინც საჭირო.

ტაბიძე კი განჭვრეტის, ფიქრის ადამიანია, ის უფრო ჰამლეტს ენათესავება. ამიტომ მისი სულიერი ტანჯვა თანდათან სევდის ნაზ და წარმტაც თაიგულათ იშლება"[1].

ეს დასკვნა საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ გალაკტიონის სინაზესა და მომხიბვლელობას გახაზავს.

მეტად საინტერესოა ი. გომართელის მსოაზრება, რომ მგოსანი ტანჯვასა და სევდაში თავისებურ ნეტარებას პოულობს. აქ გალაკტიონის ლირიკის ხიბლსა და ესთეტიკურ სიძლიერეზეც არის მინიშნება.

გომართელი შეეცადა გაერკვია გალაკტიონის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მან ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა, რომ გ. ტაბიძე ბარათაშვილის მემკვიდრეა. „ბარათაშვილის შემდეგ ჩვენი პოეზია საკმაოდ განვითარდა, მაგრამ ბარათაშვილის გზას კი ასცდა. პოეზიის უმთავრეს საგნათ ეროვნული მდგომარება და საზოგადოებრივი კითხვები გადაიქცა, ჩვენი პოეზია სევდით სავსეა, მაგრამ ეს სევდა უმთავრესად ეროვნულია, საზოგადოებრივი,– ჩვენი ეროვნული მდგომარეობითა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლულევანებით გამოწვეული. ბარათაშვილის მსოფლიო სევდის კილო გაისმის ტაბიძის პოეზიაში"[2].

ი. გომართელს მხოლოდ ერთი კრიტიკული შენიშვნა აქვს: „ბ. ტაბიძეს ჯერ ბევრი შრომა სჭირდება ლექსის გარეგნობის გაუმჯობესებისათვის"[3]. ეს თეზისი გაშლილი არ არის და ამიტომაც მასზე საგანგებოდ ვერ შევჩერდებით.

მთავარი ის არის, რომ კრიტიკოსი მაღალი შეხედულებისაა გალაკტიონზე. იგი პოეტისაგან, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ძლიერ გძნობას და ამ გრძნობის ოსტატურად გამოხატვას. „გ. ტაბიძე ორივე ამ ღირსებით საკმაოდ არის დაჯილდოებული. ის ძლიერათ გრძნობს, ღრმად განიცდის ადამიანის არსებობის

[1] გ. ტაბიძე. ლექსები, 1914, გვ. X.

[2] იქვე, 1914, გვ. VII.

[3] გ. ტაბიძე. "არტისტული ყვავილები", 1919, გვ. X.

ტრაგედიას და ამ სევდიან მწუხარებით სავსე გრძნობების გამოხატვა საკმაოთ ეხერხება"[1].

ამრიგად, ი. გომართელმა წინ წამოსწია გ. ტაბიძის შემოქმედების არსებითი მხარე და გზა გაუკვლია მკითხველებს მგოსნის რთულ სამყაროში შესასვლელად.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ი. გომართელმა პირველმა შეადარა გალაკტიონი ჰამლეტს. კრიტიკოსი პარალელს არ ულრმავდება. მას ძირითადად აინტერესებს ფიქრისა და ქმედებისადმი ამ პიროვნებათა მიმართების ხერხი. მაგრამ, რაც მთავარია, პირველი კონტურები მოიხაზა და ლიტერატურული კრიტიკაც შემდეგ და შემდეგ უფრო დიდ ნაბიჯებს დგამს გალაკტიონის ჰამლეტური სულისკვეთების გასარკვევად.

შეიძლებოდა დაწვრილებით განგვეხილა ვ. ყიფიანის რეცენზია, რომელიც დაიბეჭდა ქართველ სტუდენტთა კრებულში „ცხოვრება და მეცნიერება", მაგრამ მასში ფაქტობრივად იგივეა ნათქვამი, რაც ი. გომართელის წერილში.

ვ. ყიფიანი თვლის, რომ „გ. ტაბიძე პესიმისტ პოეტთა ჯგუფს ეკუთვნის. მას, როგორც სხვა პესიმისტებს, გულს ულრღნის ის მარადის გამოუცნობელი საკითხი, რომელიც კაცობრიობას სფინქსივით წინ უდგას. სახელდობრ ის, თუ რა არის ჩვენი ცხოვრება, რათ ვიბადებით და ვკვდებით, რა არის ჩვენი გაჩენის მიზეზი და მიზანი"[2].

ამ რეცენზიიდან ჩვენს ყურადღებას ყველაზე მეტად იპყრობს ორი პარალელი:

1. კრიტიკოსს გალაკტიონის ლტოლვა სიკვდილისაკენ აგონებს ჯაკომო ლეოპარდის უკიდურესობას.

2. გალაკტიონი ბარათაშვილის გავლენას განიცდის... „თუმცა იგი ნ. ბარათაშვილზე შორს მიდის. სამშობლოსა და სატრფოს განშორებით არ კმაყოფილდება და, როგორც ვთქვით, ხორციელათ და სულიერათ დატანჯული პოეტი სიკვდილს ნატრობს, რათა სამუდამოთ გაეცალოს ამ არარაობას, ორპირ ქვეყანას და იქ დაისვენოს, სადაც სამარადისო სიჩუმე მეფობს"[3].

ნებისმიერი პარალელი გარკვეული თვალსაზრისით გატოლებას ნიშნავს. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში გალაკტიონის შემოქმედების ფართო სპექტრით წარმოჩენა, მისი პოეზიის მნიშვნელობის ხაზგასმა ხდება.

---

[1] გ. ტაბიძე, "არტისტული ყვავილები", 1919, გვ. IX.

[2] ჟურნ. „ცხოვრება და მეცნიერება", 1914, №1. განყ. III, გვ. 10.

[3] იქვე, გვ. 11.

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ამ პერიოდში არა ერთი და ორი პოეტის კრებული დაისტამბა. და თუ ხსენებულ ჟურნალში მხოლოდ ი. გრიშაშვილისა და გ. ტაბიძის წიგნებზე იბეჭდება რეცენზიები, ეს შემთხვევითად არ უნდა მივიჩნიოთ. ობიექტის შერჩევა ავტორის პოზიციაზეც მიგვანიშნებს.

პარტიული ლიტერატურული კრიტიკის ტენდენციები ყველაზე მკაფიოდ მ. წულუკიძის წერილში მეღავნდება. სტატიის დასაწყისშივე კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ გალაკტიონი 1908 წელს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ამისი ხაზგასმა შეგნებულად ხდება, რათა „ახსნა" მოუძებნოს გალაკტიონის პესიმიზმს. პუბლიცისტის მტკიცებით, ეს იყო დაცემის ხანა, რომელმაც დაღი დაასვა მთელ მწერლობას, და, რა თქმა უნდა, გალაკტიონსაც, რომელიც ჯერ ვერ განთავისუფლებულა წარსულის დანაშევრებისაგან.

მ. წულუკიძის აზრით, გალაკტიონი მოსწყდა ხალხს, ვერ ერკვევა მიმდინარე პროცესებში და მისი სევდაც ამით არის შეპირობებული. მგოსანი რომ კარგად ჩაწვდომოდა მასების სულისკვეთებას, „მაშინ აღარ იქნებოდა არც გოდება, არც უიმედობა და ყოველივე გრძნობას თუ აზრს, მგოსნის მიერ გამოთქმულს, სიხარულისა და ხალისის დაღი ესმებოდა"[1].

დამრიგებლურს ყვედრებითი ტონი ენაცვლება: „...ასეთი მიმართულება ქნარისა არ შეჰფერის ახალგაზრდა მგოსანს – გ. ტაბიძეს, რომელსაც თავისი თავი ხალხის შვილად მიაჩნია. აბა ჩაიხედოს მწერალმა ამ ხალხის გულში, თუ დაინახოს იქ უიმედობა, ჭმუნვა, გოდება, ძლიერია განცდა მისი – ამ ხალხისა – იმედების მომგერელი, სიხარულის შემქმნელი"[2].

მ. წულუკიძემ გალაკტიონის მთელი შემოქმედება პროკრუსტეს სარეცელზე მოათავსა. რამდენიმე ლექსზე ყურადღების გამახვილებით მიიჩქმალა სხვა ნაწარმოებთა პათოსი და, საერთოდ, მთელი წიგნის ღირებულება.

როგორც ირკვევა, ასე მხოლოდ მ. წულუკიძე არ ფიქრობდა. ანალოგიური მოსაზრება გავრცელებული ყოფილა სოციალ-დემოკრატთა გარკვეულ წრეებში. ამაზე მეტყველებს ვ. რუხაძის ლექსიც „გ. ტაბიძეს":

„გადავიკითხე შენი ლექსები –
ეგ მწუხარების და სევდის კონა.
მიკვირს: ჯერ ჭაბუკს უიმედობის

---

[1] გაზ. „შადრევანი", 1915, №3.

[2] გაზ. „შადრევანი", 1915, №3.

ისარი გულში ვინ გაგიწონა?
ბარათაშვილი თუ დასტიროდა
სულის ობლობას, საბაბიც ჰქონდა:
ტიტანიური იმისი კვნესა
მშობელ მიწაზე არვის ესმოდა!
დღეს კი სულ სხვაა: სამშობლო ცაზე
უკვე გამოკრთა შეგნების სხივი
და ბრძოლის ღმერთი ყაზბეგის მწვერვალს
თავსა მოევლო, როგორც არწივი...
და შენ კვლავ მოსთქვამ სულის ობლობას?
რამ დაგიმსხვრია რწმენის ტაძარი:
ტრფობამ, უდროოდ დამიწებულმა,
თუ ვერ ახსენი ყოფნის ხლაპარი?"[1]

იქნებ ამგვარი თვალსაზრისი გარკვეულ სიტუაციებში მართლაც უწყობდა ხელს მუშათა რევოლუციურ აბობოქრებას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჭეშმარიტი პოეზიის განვითარებას ნამდვილად აფერხებდა. ვ. რუხაძე და მისი თანამოაბჯრენი არა მარტო თვალთახედვით, არამედ განცდებითაც დაპროგრამებულნი ჩანან.

საბედნიეროდ, გალაკტიონს იმის ძალა და უნარიც შესწევდა, რომ არ დამორჩილებოდა მისთვის მიუღებელ, თუნდაც მძლავ დინებებს და საკუთარი გზით ევლო.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ა. აბაშელის „ყვითელი ფოთოლი". იგი გალაკტიონის წიგნზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი რეცენზიაა. მაგრამ ხაზგასასმელი უფრო მეტად მაინც სხვა არის, კერძოდ ის, რომ პოეტზე საუბრობს პოეტი. ამ შემთხვევაში მეტი სისრულით ვლინდება ობიექტის სპეციფიკა და ღირებულება. საქმე ისაა, რომ პოეტ-კრიტიკოსს უადვილდება კოლეგის შემოქმედებით ლაბორატორიაში შესვლა, ქვეტექსტის გაშიფვრა, ორიგინალური ნააზრევის შეცნობა და ზუსტი დასკვნების გამოტანა.

ა. აბაშელი დიალექტიკურად უდგება საკითხს, გ. ტაბიძის შემოქმედებას მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთიანი პროცესის ფონზე განიხილავს. ეს გზა მომგებიანია, რამდენადაც სხვებთან მიმართებაში მკაფიოდ ვლინდება ინდივიდის თავისებურება.

კრიტიკოსმა სამართლიანად მიუთითა, რომ ძლიერ მომრავლდნენ მოლექსენი. ვისაც კი ძალუძს მარცვალთა დათვლა და ლევან-მტევნის გარითმვა, ყველა პოეტობას იჩემებს.

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი", 1915, №26.

არადა, „ლექსის გარეგანი ფორმა მხოლოდ საშუალებაა გრძნობათა სფეროშო დატყვევებულ შუქის გამოსაცემად. თუ ლექსში არა არის დაფარული სუნთქვა ცოცხლის არსებისათვ მისი სტრიქონები არ არის აკინძული უხილავ ცეცხლის ხლვით რაც უნდა ლამაზი იყოს მისი ხილული გამოხატულება – იგი მკვდარია“[1].

ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე ა. აბაშელი სამართლიანად ასკვნის,რომ ნამდვილ პოეტთა რიცხვი მცირეა,ხოლო ამ მცირეთა შორის პირველი ადგილი გ. ტაბიძეს ეკუთვნის.

ასე რიხიანად და გულდაგულ შემკობა ახალგაზრდა მგოსნისა დაფნის გვირგვინით იშვიათი მოვლენაა. ამ შემთხვევაში ხალასი ნიჭიდან მომდინარე უშუალო შთაბეჭდილებებმა იჩინეს თავი.

ცხადია, წინასწარ შემოთავაზებულ დებულებას დასაბუთება უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება საზოგადოება აიმხედრო. განა სამი წლის წინათ სასტიკად არ გააკრიტიკეს აკაკი წერეთელი ი. ელიაშვილის წიგნზე დაწერილი რეცენზიისათვის? და თუ აკაკის არ ინდობენ, აბაშელს ვინ შეიწყნარებს?

კრიტიკოსი წინასწარ გვაფრთხილებს, რომ იგი მხოლოდ იმ შთაბეჭდილებებს გაგვაცნობს, რომლებიც გალაკტიონის ლექსთა კრებულის წაკითხვის შემდეგ დაეუფლა. ეს არ არის თვითდაზღვევა, არც იოლი გზის არჩევა. ამ შემთხვევაში არსებითია, ვისი შთაბეჭდილებების განფენა ხდება. ა. აბაშელი კი ამ დროისათვის სახელმოხვეჭილი მწერალია.

კრიტიკოსს ღრმად გაუაზრებია გალაკტიონის შემოქმედება და ცდილობს არსებით მხარეებზე გაამახვილოს ყურადღება. მან მიუთითა, რომ გალაკტიონის პოეზიაში მძლავრობს სევდის მოტივი. ეს ისეთი ფაქტია, რომელიც არცერთ განათლებულ მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. მაშასადამე, მთავარია იმის ახსნა,თუ როგორია ეს სევდა და რით არის პირობადებული.

ა. აბაშელი მართებულად შენიშნავს, რომ გალაკტიონის სევდა არ არის გამოწვეული ვიწრო და შემთხვევითი მიზეზით, ის უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა.

მნიშვნელოვანი განცხადებაამით უფროთუ გავითვალისწინებთ, რომ შემდეგი პერიოდის ბევრმა კრიტიკოსმა გალაკტიონის კაეშანი არსებითად 1905 წლის რევოლუციას დაუკავშირა და ვულგარული სოციოლოგიის პოზიციებიდან შეაფასა მისი ბევრი ნაწარმოები.

ა. აბაშელმა ზემოფიქსირებული მოსაზრებით გალაკტიონის

---

[1] გაზ. „შადრევანი“, 1915, №5.

შემოქმედების მასშტაბურობა აღიარა, მისი თვალსაწიერის სიფართოვე და პრობლემათა გლობალურობა გახაზა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა, სევდიანი პოეზია მიმზიდველი იყოს? რით უნდა გვხიბლავდეს იგი? და, საერთოდ, ძალუძს კი სარგებლობის მოტანა?

ბევრი გაურბის ამ თავსატეხ კითხვას, აბაშელი კი პირდაპირ პასუხობს: „გ. ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოებული ღვთიურის ცეცხლით. მისი სულის სევდა, მისი ნაღველი იმდენად წარმტაცია, იმდენად მრავალფეროვანია, რომ გავიწყდება ამ სევდაში ჩაქსოვილი არარაობა სოფლისა და მშვენიერების გრძნობით აღტაცებული მზადა ხარ მუხლმოდრეკით თაყვანი სცე პოეზიის აღმაფრენ ძალას და თავდავიწყებით შესძახო: „რა კარგია, რა მშვენიერია სიცოცხლე!"[1]

მაშასადამე, სევდა კი არ აფერმკრთალებს და აუსახურებს განმცდელ-გამომხატველს, არამედ აფაქიზებს და ამაღლებს, მშვენიერებასთან აახლოვებს. სევდა ეს არის ადამიანობის გამოვლენის ერთ-ერთი უმაღლესი საშუალება და, ამდენად, სიცოცხლის დამამკვიდრებელიც.

დამეთანხმებით, ორიგინალური მსჯელობაა.

კრიტიკოსი ნათელს ფენს ზოგიერთ ბუნდოვან საკითხს.

რა იწვევს სევდას? აი, თავიდათავი კითხვა. გალაკტიონის პოეზიის სიძლიერე ისიცაა, რომ მასში ყოველდღიურ ყოფით ამბებზე კი არ ხდება აქცენტირება, არამედ ყოფნა-არყოფნის მარადიულ პრობლემებზე, საკაცობრიო ტკივილებზე. გალაკტიონს ძალუძს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტი თუ შემთხვევა დიდ სათქმელ-საფიქრალს დაუკავშიროს. ეს გარემოება სწორედ აქვს შენიშნული რეცეზენტს. ის საგანგებოდ ჩერდება ლექსზე „ყვითელი ფოთოლი" და მისი ანალიზით ცხადჰყოფს გალაკტიონის პოეტურ ოსტატობას. „იგი ისე მძლავრად გრძნობს „ყვითელი ფოთლის" ნაღველს, რომ იკარგება განსხვავება ბუნებასა და ადამიანს შორის და მომხიბვლელი კაეშანი ოქროდ მოსილის შემოდგომისა საკუთარ სევდას ჰანგებად ქვითინებს მგოსნის გულში"[2].

ა. აბაშელმა ყურადღება გაამახვილა გალაკტიონის პოეტური ოსტატობის კიდევ ერთ მხარეზე. ესაა შინაარსისათვის ოპტიმალური ფორმის მოძებნა, დიდი სათქმელის ძალზე ლაკონიურად გამოხატვა. კრიტიკოსს ამ მხრივ სანიმუშოდ

[1] გაზ. „შადრევანი", 1915, №5.

[2] იქვე.

მიაჩნია „მოგონება“. „ეს ლექსი კი არ არის, ეს მთელი პოემაა, ექვს ტაეპში მოთავსებული. იშვიათია ასე მოკლედ,ასე შემკულად ზღვა გრძნობის გადმოშლა“[1].

ა. აბაშელმა „მესაფლავე“, „გურიის მთები“, „მე და ღამე“, „მუსიკა“, „მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა“, „რა მშვენიერი იყო ნამი“, „სარკმელთან“, „სარკესთან“, „იდუმალი“, „გზაზე“ უახლესი ქართული პოეზიის მარგალიტებად მიიჩნია. ისტორიამ გაიზიარა მისი შეფასება.

ერთი სიტყვით, ნიჭიერ მგოსანს ნიჭიერი შემფასებელი აღმოუჩნდა. ჭეშმარიტი ლიტერატორის გულმა იგრძნო XX საუკუნის ქართული პოეზიის ალამდარის გამოჩენა. „მშვენიერია გ. ტაბიძის პოეზია, ვით ფრთამოქარგული პეპელა და ნაზი, როგორც ძილში მონასმენი სტვენა ბულბულისა; იგი ისე მოეკლინა ჩვენს მწერლობას, როგორც სიმღერა მოულოდნელი“[2].

და შემდეგ: „ეუსურვებ მგოსანს არ ჩამქრალიყოს მასში ის ღვთიური ცეცხლი, რომლითაც ასე წარმტაცად არის დაფენილი მისი აცრემლებული სტრიქონები“[3].

ა. აბაშელის წერილს მოწონებით შეხვდა ფართო საზოგადოება. ამაზე მეტყველებს „თემში“ გამოქვეყნებული „მისაბაძი მაგალითი“. გ. რ. წერს: „მგოსანი გვიგზავნის თავის შთაბეჭდილებას, მეორე მგოსნის მიერ გამოწვეულს...

წასაბაძი მაგალითია. ყველასათვის აშკარაა, რომ მგოსანი უკეთ გაუგებს მგოსანს, ვიდრე არა მგოსანი. მისი სიტყვა უფრო საგულისხმოა, უფრო ნათელი, უფრო ჭეშმარიტი. ამას ზემოხსენებული წერილიც თვალსაჩინოდ მოწმობს. ავტორს ღრმად განუცდია, „მგოსნურად“ უგრძვნია თავის თანამოძმე,– ამ შემთხვევაში გალაქტიონ ტაბიძე,– და მშვენივრად გადმოუცია თავისი შთაბეჭდილება“[4].

პირველ წიგნს გამოეხმაურა ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი. მისი აზრით, „გ. ტაბიძე,– ეს ბუნებისა და ადამიანის სულის ბგერათა მესაიდუმლე, – სრულიად განკერძოებითა სდგას და თავისი შემოქმედებით იგი მსოფლიო სევდის მგოდებელთ (ჩვენში ნ. ბარათაშვილს) უახლოვდება“[5].

[1] გაზ. „შადრევანი“, 1915, №5.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] გაზ. „თემი“, 1915, №204.

[5] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №2, გვ. 5.

კრიტიკოსი სხვა მხრივაც ეთანხმება ი. გომარათელს, კერძოდ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის შეფასებაში. „ჩვენი პოეზიის ქურუმნი მეცხრამეტე საუკუნეშიც და ახლაც უმეტესად მამულიშვილურ-მოქალაქეობრივ ჰანგთა მღერამ გაიტაცა, უკნასკნელ ხანში ხომ „პროგრამულ“ ლექსებს სწერენ. ეს იქნება სწორედ ასეც იყო საჭირო, მაგრამ ჭეშმარიტ მგოსანს კიდევ სხვა მიზანი აქვს: ადამიანის სულის განცდათა გამომჟღავნება, ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელის შეცნობა“[1].

ი. იმედაშვილს სწორედ ამიტომ მოსწონს გალაკტიონის პოეზია, რომ მასში მაძიებელი სული ბობოქრობს, შეუცნობელის შეცნობისაკენ ლტოლვა იგრძნობა.

„...ახალგაზრდა მგოსანი დიდის ყურადღების ღირსია, და ვისაც ჰსურს განიცადოს სულიერი კმაყოფილება, უადრესი სიტკბოება, მან თვით ნაწერები – მგოსნის შემოქმედება უნდა გაიცნოს“[2].

ეს დასკვნა გამოტანილია გალაკტიონის ლექსთა არა მხოლოდ პრობლემატიკით, არამედ მხატვრული ოსტატობით მოხიბლული პიროვნებისაგან.

გალაკტიონს ბრწყინვალე წერილი უძღვნა ტიციან ტაბიძემ – „მარტოობის ორდენის კავალერი“. ამჯერადაც პოეტზე პოეტი წერს და ამიტომ გალაკტიონის განცდები საუკეთესოდ აღიქმება, გადმოიცემა. სათაურშივე გამჟღავნებულია ძირითადი სათქმელი, რომ გ. ტაბიძისათვის ნიშანდობლივია მარტოობა და ტანჯვა. ტიციანის დაკვირვებით, ეს გამოწვეულია არა მხოლოდ სუბიექტური, არამედ ობიექტური მიზეზებით. ხსენებულ საკითხს იგი საგანგებოდ არ უღრმავდება, მაგრამ ხატოვნად მიგვანიშნებს მთავარზე: „არ შეიძლება სიცილი იქ, სადაც კუბო დგას, რომელშიც წევს ეროვნული დამოუკიდებლობა“[3].

ამრიგად, ტიციანმა ერთ-ერთმა პირველმა გახაზა, რომ გალაკტიონის სევდის მიზეზი ეროვნული ტრაგედიაა. რა თქმა უნდა, ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საკაცობრიო სატკივარმაც მნიშვნელოვნად განაპირობა გალაკტიონის ტანჯვა.

ტიციანის აზრით, „სიმბოლიზმს ჩვენში დამეც არ გაუთევია.

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №2, გვ. 5.

[2] იქვე.

[3] გაზ. „საქართველო“, 1916, №3.

მხოლოდ ეხლა იწყება პირველი ხაზების გახსნა"[1] და ეს იგრძნობა გალაკტიონის შემოქმედებაშიც. იგი გადმოფრინდა ძველი ბუდიდან, მაგრამ ჯერ კიდევ ლაღად ვერ შლის ფრთებს.

ფიქსირებული დებულება ძალზე საგულისხმოა არა მხოლოდ გალაკტიონის შემოქმედების დასახასიათებლად, არამედ ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესების გასარკვევადაც.

ნადდმა მგოსანმა და ალღოიანმა ლიტერატორმა ისიც თქვა, რომ,,ჩვენი პოეტის სიმღერა არ გავს ადრინდელ რომანტიკოსთა მწუხრიან მელანქოლიას, მაგრამ მასში არც გლადიატორის კვნესაა ბოდლერისა და ფრანგების „დაწყევლილთა"[2].

ტიციანისათვის ცხადია, რომ გალაკტიონი ძიების პროცესშია და, რაც მთავარია, პირველი ნაწარმოებები დიდებული ორატორიების პრელუდიაა.

სწორედ ეს არის შემოქმედის ნიჭისა და პოტენციალის სწრაფად შეცნობა.

ტიციანს მრავალი მაგალითი მოაქვს გალაკტიონის ლირიკიდან. ისინი შერჩეულია ფაქიზი გემოვნებით, არა მხოლოდ არგუმენტაციის ფუნქციის ზუსტი გაანგარიშებით, არამედ დამოუკიდებელი ესთეტიკური ხიბლის ნათელყოფის გათვალისწინებითაც. კრიტიკოსი აღტაცებულია „უდაბნოთი". ეს ლექსი ერთი საუკეთესოთაგანია წიგნში. აქ პოეტი მიდის ნამდვილ მოდერნისტულ გრძნობის ჟონგლიორობამდე და თვრება მარტოობით. ნ. ბარათაშვილის შემდეგ ბალიშს ცრემლით ეს ლექსი დაგვასველებიებს. არიან პოეტები, რომელთაც შორიდან უყურებ... გრიშაშვილის შაირის წყარო გაბრმავებს, მაგრამ არჩევ, რომ ის სხვაა. გ. ტაბიძე თითქო შენში სტირის, შენი თვალებით, იგი ახლობელია, საყვარელი და მიყვები მას"[3].

ეს უმაღლესი შეფასებაა. ჭეშმარიტი მგოსანი ის არის, ვინც შენი სულის სიმებს ეხება და შენს ბუნდოვან სათქმელს ლამაზად აყალიბებს, განიცდის და განგაცდევინებს.

ზემოფიქსირებული ციტატა ანგარიშგასაწევია ტიციანის წერის მანერის შესაცნობადაც. პოეტი-კრიტიკოსი სილოგისტურ განსჯას ხშირად ამჯობინებს სახოვან ფრაზას.

ტიციანმა გალაკტიონის პოეზიის კიდევ ერთ მხარეზე გაამახვილა ყურადღება – ლექსის მუსიკალობაზე და ამ მხრივაც

[1] იქვე. №4.

[2] იქვე.

[3] გაზ. „საქართველო", 1916, №4.

გამორჩეულად მიიჩნია ახალგაზრდა პოეტი. ისიც მართებულად გახაზა, რომ ეს მუსიკალობა აკრობატული ვარჯიშის შედეგი კი არა არის, არამედ ლექსის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე ბუნებრივი ამღერებაა. კრიტიკოსმა ამ მხრივ გალაკტიონი ვერლენს შეადარა. ეს მრავლისმთქმელი პარალელია.

ტიციანი ჩასწვდა გალაკტიონის ბუნებას, კარგად იგრძნო, რომ „იმას აქვს ძლიერი ტემპერამენტი და მხატვრული გულწრფელობა. მისი ლექსი განცდილია და ლამაზი"[1].

ტიციანის წერილმა ხელი შეუწყო გალაკტიონის ხალასი ნიჭის განვითარებას და მისი პოეზიის ფართო მასებამდე დაყვანას.

გალაკტიონის პოეზიაზე დაწერილი პირველი წერილებიდან სიღრმითა და ორიგინალობით უთუოდ გამორჩეულია მიხ. აბრამიშვილის „ღამის მგოსანი".

კრიტიკოსი გალაკტიონს უპირველეს ღირსებად უთვლის ფსიქოლოგიური მონობიდან თავის დაღწევას და თავისუფალი ხელოვნების ერთგულებას. ამ მხრივ ის და გრიშაშვილი ყველაზე წინ დგანან თანამედროვე მგოსნებს შორის.

მიხ. აბრამიშვილიც მიუთითებს, რომ გალაკტიონი „მსოფლიო სევდას დასტრიალებს თავს", სურს ახსნას გულჩათხრობილი სფინქსის ამოცანა, მაგრამ ვერ ახერხებს ამას და სიკვდილს უხმობს.

საყურადღებოა შემდეგი დებულება: პოეტის სწრაფვა სიკვდილისაკენ გონების ნაკარნახევია, გრძნობით კი იგი სიცოცხლის მეხოტბეა. ასეთი პრინციპული დაპირისპირება შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით საკამათო იყოს, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში ეს ორი ნაკადი ნამდვილად მძლავრობს.

მიხ. აბრამიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ უკიდურესი სასოწარკვეთის ჟამსაც გალაკტიონი გრძნობს სიცოცხლის გრძნეულ სიმშვენიერეს. „ამ დროს იგი მძლედ განიცდის სინამდვილის აზრს„ „ყოფნის მგმობელი" კვლავ ურიგდება სასტიკ ცხოვრებას და მისი სიცოცხლის საიდუმლოებით დატვირთული ჩანგი, სოციალურ სიდუხჭირის ხმებს გამოსცემს"[2].

გალაკტიონის შემოქმედება უხვ მასალას იძლევა ყოფნა-არყოფნის პრობლემაზე დასაფიქრებლად. მიხ. აბარამიშვილი მართალია, როცა მიუთითებს: გალაკტიონის პოეზიას „...წითელი

---

[1] გაზ. „საქართველო", 1916, №4.

[2] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, №28, გვ. 7.

ზოლივით გასდევს სურვილი ადამიანის ტრაგედიის გამოცნობისა: ჰქრება ადამიანი სიკვდილის შემდეგ, თუ კიდევ რჩება რაიმე, რომელიც მის ამქვეყნიურ ცხოვრებას რაიმე იმედით ავსებდეს?"[1]

კრიტიკოსის აზრით, ამ შემთვევაშიც იგრძნობა გაორება. ერთმანეთს ეტოქება გალაკტიონი ნაციონალისტი და მისტიკოსი. საბოლოოდ კი პირველი იმარჯვებს.

მიხ. აბრამიშვილი ცდილობს ახსნას განწყობილების მიზეზი და გაარკვიოს მსოფლმხედველობის საფუძვლები. უთუოდ საგულისხმოა შემდეგი თვალსაზრისი: გალაკტიონის ტრაგედია განპირობებულია არა ჩვენი ცხოვრების წარმავლობით, არამედ მისი არსის შეუცნობლობით. კრიტიკოსის მტკიცებით„...ცხოვრება სავსეა ქალური წინააღმდეგობით და იგი მხოლოდ გარდაქმნაა, მოძრაობაა და მასშია მიხი სიმშვენიერე და სიმახინჯეც"[2].

მიხ. აბარიმიშვილმა კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება. იგი მიუთითებს, რომ პოეტს ორი ნუგეშისმცემელი ჰყავს – ღამედ და საკუთარი სიმღერები. შემთხვევით როდი უწოდა მან გალაკტიონს „ღამის მგოსანი". კრიტიკოსმა დაინახა დიდი სულიერი ნათესაობა ღამესა და პოეტს შორის. ორივე მშვიდი და წყნარია,გულწრფელი და გულითადი. ღამეში პიროვნება უშუამავლოდ უერთდება სამყაროს. იგი ყველაზე მეტად გრძნობს დამოუკიდებლობას და ძალუმად ამეღავნებს „მეს".

უთუოდ ორიგინალია მიხ. აბრამიშვილის მსჯელობა. პოეტის ლტოლვა ღამისაკენ იმითაც აიხსნება, რომ დღე გულშემზარავ ცხოვრებასა და მარადიული ვარამით სახეშეცვლილ ადამიანებს ავლენს. „მე" დაკარგულია, შენიღბული. ღამე კი გულღიობასა და სიმშვიდეს უწყობს ხელს.

ახლა მეორე ნუგეშზეც.

კრიტიკოსის ღრმა რწმენით, „მგოსანი ცხოვრების მიზანს მხოლოდ ხელოვნებაში ხედავს, მას სძაგს ეს ემპირიული და ტლანქი სინამდვილე, და ცოცხლობს მხოლოდ თვის მიერ შექმნილ ცხოვრებით, რომელიც უფრო ნაზი და მგრძნობიარეა, ვიდრე ის, რაზედაც მას ფეხი უდგია"[3].

ხელოვნება ცხოვრების ასლი კი არ არის, არამედ ახალი სინამდვილეა. ეს ახალი სინამდვილე კი ხიბლავს გალაკტიონს.

მიხ. აბრამიშვილმაც შეადარა გალაკტიონი ბარათაშვილს,

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, №29, გვ. 7.

[2] იქვე. №30, გვ. 8.

[3] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, №32, გვ. 14.

თანაც ორიგინალური ასპექტით და მათ შორის დიდი სხვაობაც დაინახა. მისი აზრით, გალაკტიონი „დატყვევებული, უმოძრაო სულია“,ბარათაშვილი კი მოძრავი,ძლიერი ტიტანი. იგი არ ნებდება ბედს; იბრძვის, მოძრაობს, უმკლავდება... „ტაბიძე კი მხოლოდ გარინდებული შესცქერის ციურ მნათობთა მყუდროებას, მის ელვარებას შავ ღამეში და საიდუმლოებით მოსილ მშვენიერებას. იგი სდგას ვით უდაბნოს მწირი მწუხრის დროს და აღავლენს მელოდიურ ლოცვას“[1].

მიხ. აბრამიშვილი პირველია, ვინც სწორად შენიშნა „...ქალი მის პოეზიაში დღიურ სიცხადის და ტლანქ სინამდვილის ელფერს კი არა ატარებს, არამედ მგოსნის მიერ „გარდაქმნილ“ ოცნებას. მან უარყო ქალის ემპირიული სახე და მხოლო მის ლანდს, თვით მგოსანმა მისცა სხეული, სახე მისი შემოსა თავისი ხატებით და მკერდი მისი ააჩქროლა თავისი სევდით დატვრითულ სიმების ხმაზე და ქალიც მის წინაშე წარსდგა, როგორც მგოსნის მიერ შექმნილი ნამდვილი რეალობა“[2].

კრიტიკოსი იზიარებს ი. გომართელის აზრს,რომ გალაკტიონის საკაცობრიო სევდას უკეთესი ფორმა შეეფერებაო. მაგრამ არ კმაყოფილდება დეკლარაციული განცხადებით და ახსნასაც იძლევა, თუ რით არის გამოწვეული ფორმის ეს სისუსტე. „მგოსანი თუმცა მძაფრად განიცდის,მაგრამ ბუნდოვნად გრძნობს. ცხოვრების ულრან ტყეში იგი ცალ-ცალკე ხეებს ვერ ამჩნევს“[3]. აქედან გამომდინარე, მგოსანი რასაც ქაოტურად გრძნობს, მას ბუნდოვნად გამოხატავს. დარწმუნების შემთხვევაში, როცა გააზრებულს ხატავს, ფორმაც ძლიერია, ხოლო როცა ნაგრძნობს გადმოგვცემს, მოიკოჭლებს.

მიხ. აბრამიშვილმა გალაკტიონში დიდი და თვითმყოფადი ნიჭი შეიცნო. ამიტომაც გაბედულად ასკვნის: „მგოსანი ჯერ ნორჩი კუკურია, რომელსაც შუადღის მცხუნვარე სხივები არ მოხვედრია და მრწამს, რომ მგოსანი ფართედ გაიშლება, ღრმად ჩახედავს მსოფლიო საიდუმლოებას“[4].

დასასრულს შევჩერდებით გრიგოლ რობაქიძის მოსაზრებაზე, რომელიც გამოირჩევა ლაკონიურობითა და სიღრმით, მასში კვინტენსირებულია სხვა კრიტიკოსთა პოზიტიური შეხედულებები. „სულ ახლად გაიფურჩქნა ნიჭი გალაქტიონ ტაბიძისა. მის პირველ

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №34, გვ. 12.

[2] იქვე, №35, გვ. 13.

[3] იქვე.

[4] იქვე, №30, გვ. 14.

ლექსთა პირველ ტომში სულ ოთხი-ხუთი ლექსია მხოლოდ ნამდვილ-პოეტური. მაგრამ ნიჭის დასაფასებლად ესეც კმარა. თვისება მისი ნიჭისა – უშუალობაა (გერონტი ქიქოძის ტერმინი რომ ვიხმაროთ). მისი პოეტური ტემპერამენტი ნერვიულია მეტად და ამასთანავე „გულღია“ ძალზე. ამით მოქმედებს იგი. მშვენიერია მისი უკანასკნელი ლექსი – „მერი“[1].

ნუ გამოვეკიდებით სიზუსტეს, ნუ ვიკამათებთ იმაზე ოთხი-ხუთი თუ ოცი ლექსია ჭეშმარიტად პოეტური. მთავარი ის არის, რომ გრ. რობაქიძემ ჩამოაყალიბა გალაკტიონის ლირიკის ნიშანდობლივი მხარეები: 1. უშუალობა-გულღიობა, 2. ნერვიული ტემპერამენტი, 3. სილამაზის ფაქიზი განცდა, 4. თავდაჭერილობა.

დიდი ესთეტისა და ლირიკის ღრმად განმცდელის ხელწერა კარგად ჩანს. გრ. რობაქიძემ იდეურ მხარეზე კი არ გადაიტანა ყურადღება,არამედ პოეტისროგორც ხელოვანისთავისებურებებზე, რაც ბუნებრივად გულისხმობს ნაწარმოებთა ფორმა-შინაარსის განპირობებულობა-ადეკვატურობას.

გაანალიზებული მასალებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კრიტიკოსები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთნი, მათი რიცხვი მცირეა, პოეტისაგან მოითხოვენ ომახიანობას, სოციალური თემატიკის აქცენტირებას და კლასობრივი ბრძოლის მოტივის გაღრმავებას. სევდის განფენას, პირადი ტკივილის გამხელას თითქმის ცოდვად თვლიან.

ეს თვალსაზრისი გასაგებია. იგი რევოლუციური ეპოქიდან მომდინარე ტენდენციაა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამგვარი ცალმხრივი მიდგომა ლიტერატურის დაკნინებას იწვევს.

კრიტიკოსთა მეორე და თანაც დიდმა ნაწილმა სხვა თვალით შეხედა გალაკტიონის ლირიკას. ისინი ავითარებენ შემდეგ თვალსაზრისს: მწერლობის მიზანია ზოგადსაკაცობრიო პრობლემების დამუშავება და სადღეისო ამოცანების გადაწყვეტა. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგის ქართულმა პოეზიამ პირველი და ძირითადი მოვალეობა თითქმის დაივიწყა. მეორე მხარეც შეზღუდულად არის წარმოდგენილი. კერძოდ, სოციალ-დემოკრატიული საკითხების გარკვევას დაეთმო მთავარი ადგილი, ეროვნული პრობლემა კი მიიჩქმალა.

დეკადანსი აშკარაა. გაბატონდა ზერელობა, ტლანქი ტენდენციურობა და მომაბეზრებელი ტავტალოგია. ჩვენი კულტურის მესვეურნი მოწადინებულნი არიან, რაც შეიძლება სწრაფად იქნეს დაძლეული ეს კრიზი. ამიტომაც დროშად

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, №469.

იყენებენ იმ მწერლებს, რომლებთანაც ძლიერად იგრძნობა არატახების რღვევა. გალაკტიონი კი ამ მხრივ უხვ მასალას იძლევა.

კრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ გალაკტიონის ტრაგიზმს. უმეტესობა კი ამ ფაქტის ახსნასაც ესწრაფვის. კაეშანი ძირითადად გამოწვეული კაცობრიობის საერთო ტკივილით, ყოფნა-არყოფნის პრობლემებზე ღრმა დაფიქრებით და საწუთროს გაუტანლობის შეცნობით, არც ის არის მიჩქმალული, რომ ეროვნული ტკივილები საკმაოდ ხმიანობს მის ლირიკაში.

ჩვენ იმასაც დავუმატებთ, რომ, მართალია, გალაკტიონთან მძლავრობს უარყოფა, მაგრამ დამკვიდრებაც უარყოფის გზით მოდის. გალაკტიონი ებრძვის არსებულ ბოროტებას და არარსებული, მაგრამ სასურველი სიკეთისაკენ გვეწევა. ამიტომაც არის მისი ლექსი ესოდენ მომხიბლავი და მისაღები.

კრიტიკამ ისიც აღნიშნა, რომ გალაკტიონის პოეზიაში არა მხოლოდ გაყუჩების, არამედ ბრძოლის მოტივიც შეინიშნება.

ლიტერატორებმა საგანგებოდ გახაზეს გალაკტიონის გულწრფელობა და განცდის უშუალობა, რომ პოეტი მრავალი ბუნდოვანი და გაუმხელელი გრძნობის ბრწყინვალე გამომხატველია.

საგულისხმოა, რომ გალაკტიონი ქართველ და ევროპელ მწერლებთან მიმართებაში ხიათდება. ამით უკეთ ინაკვეთება მისი ადგილი.

რაც მთავარია, ლიტერატურულმა კრიტიკამ იგრძნო, რომ გალაკტიონით ახალი მიმართულება მოდის, ახალი მსოფლგაგება, ფერი და მუსიკა ცნაურდება, რომ სიმბოლიზმი აღებს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის კარებს.

ამრიგად, პრესაში გაბნეული შენიშვნებით და რეცენზიებით ჩვენ გავეცანით გალაკტიონის პოეზიით გამოწვეულ აღტაცებას. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია კერძო ბარათები და კულუარების ატმოსფერო. ჩვენს ხელთაა უცნობი მასალები. ისინი იმითაცაა ძვირფასი, რომ პირველი შთაბეჭდილებებია გამეღავნებელი. თანაც უშუალობით ხასიათდებიან. მათ ავტორებს ვერავინ დასწამებს მასის წინაშე ყელყელაობას, რასაც არცთუ იშვითად სინამდვილისაგან გადახრა და მიკერძოება მოსდევს.

გალაკტიონი ასპარეზზე გამოსვლისთანავე იძენს თაყვანისმცემლებს. სკოლის ამხანაგი ალექსანდრე გაჩეჩილაძე 1909 წელს სწერდა, რომ მან ინახულა ყოფილი მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვაძე. „საუბრის გათავების შემდეგ უცბათ მელიტონმა ამოიღო უბიდან ორი გაზეთი, სადაც ეწერა შენი

ლექსები... უსაყვარლესო ამხანაგო გალაკტიონ, მომილოცავს შენი პირველი ნაბიჯი ასპარეზზე გამოსვლისა და ნუ დასდებ ნეკტარ კალამს, ემსახურე სიკვდილამდე".

პროკლე ურჩევს გალაკტიონს მონაწილეობა მიიღოს „თემის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რადგან ღრმად სჯერა ძმის გამარჯვებისა. ამასვე სთხოვს მგოსანს ახალგაზრდა ლიტერატორი და მეგობარი მიხეილ ბოჭორიშვილი: „გალაკტიონ, შენც გაიგებდი და გაგებული თუ არა გაქვს, გაიგებ, რომ „თემი" კონკურსს ამზადებს ივნისისათვის. იმედი მაქვს მასახელებ. დრო დიდი გაქვს. ლექსსაც დიდს არ თხოულობენ, ორმოცდაათ პწკარზედ მეტი არ უნდა იყვეს. რა გავაგრძელო, დარწმუნებული იყავ, ფარისევლობით არ გეუბნები და ფონს გახვალ უთუოდ... აბა, ვინ უნდა გაიმარჯვოს? ვინ გვყავს სხვა?..

ეს ბარათი 1911 წლის აპრილშია დაწერილი და გამოხატავს არა მხოლოდ მიხ. ბოჭორიშვილის, არამედ იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების, პოეზიასთან დაახლოებული წრეების თვალსაზრისს. საგულისხმოა, რომ გალაკტიონმა „თემის" კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა. იგივე მიხ. ბოჭორიშვილი სხვა ბარათში აღნიშნავდა: „ეჰ, ძმაო, ბედნიერი ხარ შენ ბევრად თუ არა, ცოტად მაინც, რადგან შენი უკვდავი სახელი მრავალ ჟურნალ-გაზეთებს აკვრია ფურცლებზედ". ამასთანავე დასძენს: „მე თუ არა რა ვარ სამწერლო ასპარეზზედ, შენ ხომ ბედუინი ხარ"... გალაკტიონს კი ამ დროს სულ რაღაც სამი წლის „ბეჭდვის სტაჟი" აქვს.

იქნებ მხოლოდ მახლობლები ფიქრობენ ასეიქნებ მიკერძოებას იჩენენ? არქივმა შემოგვინახა სხვა დოკუმენტებიც, რომლებიც გალაკტიონის პოეზიის ფართო რეზონანსზე მეტყველებენ. ი. გრიშაშვილი გალაკტიონს სწერს: „მართალია, შენი ლექსი ხომ მშვენიერ რამ იყო „ერთხელ ჩემს გულშიც ჩამოიხედე". დათიკო მესხისაგან წერილი მივიღე ხალხი გასულია ქუთაისიდან, ცხელა და ამიტომ უმჯობესს იზამ, გადასდო საღამო. ეგ დათიკოზეა დამოკიდებული, როდის შედგება. რასაკვირველია, გალაკტიონი მიიღებს მონაწილეობას. უნდა გამოეცხადებინე კიდეც, მაგრამ შემეშინდა: დაუკითხავად ვერ გამოგაცხადე... არც ადრესი ვიცოდი. იქნებ ცოტა ფული დამრჩეს. ზოგი აქა მაქვს. შეიძლება სტუდენტობა გავიკრა. სად წავალ ჯერ კი არ ვიცი... როდესაც ჩამოხვალ თბილისში, სხვაგან არ გაჩერდე, თუ ჩამოხვალ, ჩემთან მოდი".

ეს ბარათი ორმხრივ საინტერესოა, როგორც გალაკტიონის, ისე გრიშაშვილის მკვლევარებისათვის. ჩანს, ი. გრიშაშვილი

უმაღლეს სასაწავლებელში შესვლას აპირებს და ფულს აგროვებს. მთავარი კი მაინც ის არის,რომ იმ ხანად სახელმოხვეჭილი პოეტი კარგად გრძნობს ახალგაზრდა გალაკტიონის სიძლიერეს და მასთან მეგობრობას ესწრაფვის. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სცნო გენიოსის მოვლინება. ი. გრიშაშვილი ჩასწვდა გალაკტიონის პოეზიის სიდიადეს, მან განჭვრიტა მომავალი და იწინასწარმეტყველა გ. ტაბიძის აღზევება.

მეორე დიდი ქართველი მწერალი,მაშინ ჭაბუკი კონსტანტინე გამსახურდია, მოხიბლულია გალაკტიონის პოეზიით. იგი ასე მიმართავს გალაკტიონს:

„თვითვე იყავ შემოქმედი,
ნურას ეძებ ზღვის სიღრმეში.
თვით გასჭედე შენი ბედი,
გრდემლი არის შენივ მეში“.

სხვათა შორის, გალაკტიონიც უძღვნის ლექსს კ. განსახურდიას. ეს არის „წერილი მეგობარს“. ხსენებული ფაქტი უთუოდ საყურადღებოა XX საუკუნის ქართული მწერლობის უდიდეს წარმომადგენელთა უერთიერთობის დასახასიათებლად.

აქვე უნდა გავიხსენო 1911 წლის 20 იანვრით დათარიღებული ვასო გორგაძის ბარათი. სემინარიელი მეგობარი გალაკტიონს სწერს: საღამოს ვმართავთ. „მე გულში მაქ შენი „შემოდგომა“ წავიკითხო. ვერ წარმოიდგენ, როგორი სიხარულით მივეგებე შენ „მწყემსს“. მაგრამ გირჩევდი კი შენთან რომ ვყოფილიყავი, პატარახან დამწიფებულიყო ის მშვენიერი პოემა – ვინაიდგან ცოტა სიჩქარე ეტყობა! საერთოდ, კარგი შთაბეჭდილება აქვს. გალაკტიონ! რაც შეიძლება იკითხე. ამ პოემაში შენ ქალთა საკითხისათვის მოგიკიდნია ხელი და მკაფიობა ცოტა ვერ ეტყობა. ბუნების სურათები ალაგ-ალაგ გენიოსურია, ყოჩაღ! ნიჭიერი ხარ, ბიჭო, ნიჭიერი. ი. გრიშაშვილმა გიკითხა აგერ წინად. სახალხო სკოლაში ვნახე. სულ მუდამ შენ გკითხულობს, როცა კი ვნახავ. ადრესი მკითხა – მაგრამ არც მე ვიცოდი. კითხა ტიტეს და ს. კლდიაშვილს“.

ფიქსირებული ნაწყვეტი იმის დამამტკიცებელია, რომ ი. გრიშაშვილი ჭეშმარიტად იყო გატაცებული გალაკტიონის ლიირიკით. დიდმა ძალამ იგრძნო ახალი სამუმის წარმოქმნა. ი. გრიშაშვილი საგანგებო ყურადღებას ამყღავნებდა გალაკტიონისადმი და ეს კარგად ჩანს ვ. გორგაძის იმ ბარათიდან, რომელიც 1911 წლის 7 აგვისტოს არის დაწერილი. „იოსებმა სხვათა შორის სთქვა, გალაკტიონი ნიჭერია და სამწუხაროდ ჩვენი ინტელიგენცია ნაკლებად აქცევს ყურადღებასო. მკითხა:

ლექსები ბევრი აქვს ნაწერიო? ბევრი-მეთქი – მივუგე. მისი ლექსები უნდა გამოაცემიოთო – დასძინა მან. აგრეთვე თუ ჩამოვიდეს გალაკტიონი ქალაქში,ჩემთან მოვიდესო. ჩემს სახლში გავათევინებ ღამესო. ძალიან მესიამოვნა, მართალი გითხრა – გრიშაშვილისაგან – ჩვენი ძვირფასი და მასთან ნიჭიერი ამხანაგი – პოეტის ქება".

ვ. გორგაძე მოხიბლულია გალაკტიონით. იგი კი ამ დროს იმედისმომცემ პოეტთა ფალანგში შედიოდა. მაშასადამე, მის აზრს გარკვეული წონა ჰქონდა.

მეგობარ-მახლობლები დაინტერესებულნი არიან გალაკტიონის წინსვლით და გულწრფელად უზიარებენ თავიანთ შენიშვნებს. სხვა საკითხია, რამდენად მართალნი არიან ისინი. ერთი კი აშკარაა, რომ კრიტიკულ მოსაზრებათა ფონზე კიდევ უფრო მეტი დამარწმუნებლობა ეძლევა მათ პოზიტიურ გამონათქვამებს. მ. ბოჭორიშვილი 1911 წელს გალაკტიონს სწერდა: „შენი ერთი ლექსი დაიბეჭდა „კოლხიდაში". სიმართლე გითხრა არ მომეწონა! ვგონებ დაუმახინჯებიათ". როგორც ვნახეთ, ვ. გორგაძემაც დაიწუნა „მწყემსის" ზოგიერთი ადგილი.

გალაკტიონი გაბედულად მიიწევს პარნასისაკენ. მასთან მეგობრობა და თანამშრომლობა საამაყოა. ლიტერატურულ საღამოებს ძალას და ეშხს მატებს. ამიტომაც ეპატიჟება ახალგაზრდა მგოსანას რომანოზ ფარცხავა: – „ძმაო გალაკტიონ! გწერ საჩქაროდ, რადგან არც მე მცალია. შაბათს საღამოს, 16 მაისს არის ჩემი საღამო ქართულ თეატრში და, შენ გენაცვალე, შენი იმედი მაქვს, რომ გვესტუმრები და შენი მშვენიერი ლექსებით აღტაცებაში მოიყვან ჩვენს საზოგადოებას..." სხვები კიდევ კრებულში დასაბეჭდად სთხოვენ ნაწარმოებებს, ღრმად დარწმუნებულნი, რომ გალაკტიონის ლექსი გაამშვენიერებს წიგნს. ამაზე მეტყველებს მიხ. წულუკიძის თხოვნაც.

აქვე დავესესხებით ერთ პატარა ბარათს. მისი ავტორია ლადო მაჭავარიანი. „...დიდად პატივცემულო ბატონო გალაკტიონ! თუ შესაძლებელი იქნება, თქენს მიერ გამართულ საღამოზე მონაწილეობას მივიღებ, თუ ძლიერ საწყენათ არ დაგრჩება. იმედია, უარს არ შემომითვლი".

გალაკტიონი ლიტერატურულ შეკრებათა მშვნებაა. მის გვერდით ყოფნა, მასთან ერთად გამოსვლა საამაყო და სასიხარულოა. ამიტომაც სწერს გ. ქუჩიშვილი: „ფუტურისტო გალაკტიონ! ძმური და ცეცხლოვანი სალამი შენდა! მე იმ პირობით ვრჩები სალიტერატურო საღამოში მონაწილეობის მისაღებად, თუ შენც იქნები.

უსიკვდილოდ უნდა ჩამოხვიდე, აბა, შენ იცი და შენმა ბიჭობამ“.

ი. იმედაშვილი უფასოდ უგზავნის თავის ჟურნალს „თეატრი და ცხოვრებას“.

გალაკტიონის ავტორიტეტი დიდია. ამიტომაც მიმართავენ მას ბოლშევიკები. როგორც ძველი რევოლუციონერი თ. ჟღენტი გადმოგვცემს, ბოლშევიკებმა ფინანსური მდგომარეობის მიზნით და კონსპირაციული მოსაზრებით გალაკტიონ ტაბიძის სადამო გამართეს და მთელი შემოსავალი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სალაროში შეიტანეს“[1].

საინტერესოა არა მარტო ნაფიც კრიტიკოსთა-ლიტერატურული ელიტის, არამედ უბრალო მკითხველის აზრიც. ამ მხრივ უთუოდ საგულისხმოა, რუსეთის მიყრუებული ქალქიდან გამოგზავნილი წერილი... მისი ავტორია ქართველი მუშა, გალაკტიონის ახლო ნაცნობი. იგი აღტაცებას გამოთქვამს არა მხოლოდ იმიტომ, რომ შორეულ რუსეთში ქართული სიტყვა ესალმბუნება, რომ ცივ ზამთარში გურიის ამწვანებული მთები და მოკისკისე ნაკადულები გაახსენა გალაკტიონმა, რომ „მე და ღამემ“ ქუთაისური სადამოები მოაგონა, არამედ სხვა მოსაზრების გამოც. ეს მუშა ფხიზელი მეთვალყურე და საღად მოაზროვნეა. მას არ მოსწონს გალაკტიონის პესიმიზმი. აი ეს ბარათიც: „შენი წიგნი გამომიგზავნა ტუტკუმ და რადგანაც ერთობ მოცლილი ვარ, ამ მშიერ კუჭზე კითხვის მეტს არაფერს ვაკეთებ და შენი ნაწერებიც მეორეჯერ კიდევ გადავიკითხე და მერე რა ვიგრძენი? ის, რაც წინათ არ მიგრძვნია; ისეთ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, როგორც დღეს შენ ნაწერებს. არამცთუ მე, არამედ ყველა ის პირები, რომლებიც აქ იმყოფებიან: კოჭლი შალიკო, მეორე შალიკო, გოლა და სხვები, ერთხმად აღიარებენ თავიანთ გრძნობებს შენს ლექსებისაგან მინიჭებულს. ვისაც უნდა ნამდვილად იგრძნოს პოეტური ნიჭი, ზეადმაფრენა პოეტის, ის აქ, შორს, რუსეთის კუთხეში უნდა მოვიდეს და მაშინ დააფასებს, თუ რა ნიჭი და გრძნობა აქვს გალაკტიონ ტაბიძეს. ვინც წაიკითხავს „მე და ღამეს“, „მესაფლავეს“, „გურიის მთებს“ და სხვას, ის იგრძნობს იმას, რაც მას სიცოცხლეში არ უგრძვნია. მაშ თამამად გალაქტიონ! წინ! კარგი იქნება ცოტა პესიმისტურ ნააზრევს ჩამოაშორებდე შენს ლექსებს. შეიძლება შენ მითხრა: შენ კი არა, კრიტიკოსებმაც კი აღიარეს ჩემი ჩანგი ნიჭიერ ჩანგადო. თუ კრიტიკოსები აღიარებენ, ეს საკმარისი არ არის. საქმე იმაშია,

[1] ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, 1928, №2(19), გვ. 133-134.

უბრალო მუშა თავის შეხედულებით თუ როგორ იგრძნობს და რა შეხედულების იქნება...“

როგორც ვხედავთ, კრიტიკოსებმა თუ ფართო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღიარეს გალაკტიონის ნიჭი, ხაზი გაუსვეს მის შემოქმედების თავისებურებას, სევდისა და მარტოობის ორიგინალურ განცდას, სიწრფელესა და პოეტურ ოსტატობას...

კარგად თქვა ტიციანმა: „არ არის საჭირო ლოცვა იმაზე, რომ პოეტის ნიჭი აყვავდეს, როგორც არ არის საჭირო მზის ამოსვლაზე ლოცვა...

მზე უნდა ამოვიდეს ყოველ დღე და პოეტის სიმღერაც მაღლდებოდეს, იზრდებოდეს სიახლით და სიძლიერით“[1].

ასეც მოხდა. ლიტერატურულმა კრიტიკამ ხელში შეუწყო გალაკტიონის ლირიკული- შედევრების შეცნობას და, საერთოდ, მისი შემოქმედების პოპულარიზაციას. რაც მთავრია, ფართო საზოგადოებამ, უპირველს ყოვლისა, თვით მგოსნებმა იგრძნეს გალაკტიონის სიდიადე, მისი პოეზიის თავანკარობა და ხიბლი. მარტო ის რად ღირს, რომ აკაკი წერეთელი „აღელვებული პირველი მიესალმა ამ წიგნის (იგულისხმება 1914 წლის კრებული – ნ. ტ.) გამოსვლას“[2].

სხვათა შორის, აკაკი თავიდანვე საგანგებო ყურადღებასა და ინტერესს იჩენდა გალაკტიონისადმი.

დარია ახვლედიანი იგონებს: „ერთხელ ჩვეულებრივად ვსაუბრობით პოეზიაზე. მაშინ მთელი წყება ახალგაზრდები ახლად გამოსული იყვნენ სამწერლო ასპარეზზე,მე მაინტერესებდა აკაკის აზრი, თუ როგორი შეხედულებისა იყო მათზე და ვკითხე:

– ბატონო აკაკი, თქვენს შემდგომ ვინ მიგაჩნიათ პოეტად ჩვენში-მეთქი?

პირმცინარედ შემომხედა და მითხრა:

– ვაჟა-ფშაველა და ცახელიო.

– ესენი ხომ ვიცი, ბატონო აკაკი, ახალგაზრდების შესახებ მინდა გავიგო თქვენი აზრი.

– ახალ;გაზრდებში? – ჩაფიქრდა და დინჯად წარმოსთქვა: – ახალგაზრდებში გალაქტიონ ტაბიძეს უსათუოდ დიდი მომავალი აქვს, მას ბევრი სიახლე შემოაქვს ჩვენს პოეზიაშიო“.

ამ ბოლო ფრაზას მოგვიანებით თვით გალაკტიონი შიფრავს ნაწილობრივ. მსჯელობა და მინიშნებანი იმდენად საგულისხმოა, რომ მოგვყავს მთლიანად.

„მაინც რა სიახლე იყო იმ პირველ წიგნში? რა თქმა

[1] გაზ. „საქართველო“, 1916, №4.

[2] გაზ. „ტრიბუნა“, 1923, №492.

უნდა, თემატიური. საჭიროა დეტალური გარჩევა წიგნის ამ მხრით. შესაძლებელია იყოს სიახლეც ტეხნიკურიც. საჭიროა გულდასმით შესწავლა წიგნისა ამ მხრივაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ლექსებია წიგნში ისეთი, რომელშიაც პირველად ისმის ესა თუ ის მოტივი, პირველად ცოცხლდება ტემა (მაგალ. „მუსიკა უეცარი", „გეტერა", „ასე ხანდახან ქალაქის ხმაში"). რაც წინად არ ყოფილა.

იდეა გეტერასი: ღვთაებრივ სალოცავ სახეს იძლევა თვით ცხოვრება, ხელოვნების ძირითად აზრს იძლევა თვით ცხოვრება. აფროდიტას სახედ ტაძარში იდგება სახე უბრალო ქალისა – ამ შემთხვევაში გეტერასი, აი, რა არის ხაზგასმული. აფროდიტა თუ სიმბოლოა, ამ შემთხვევაში მაღალი იდეის, რომლისკენაც მიისწრაფვის ადამიანი, რა არის გეტერა, თუ არა სახე, ამ შემთხვევაში – არა სიმპატიური, მაგრამ მაინც ცხოვრებიდან აღებული? მაშასადამე, ძირითადად როგორია როლი მხატვრის, მგოსნის, მოქანდაკის?.. (უკეთ, როგორი უნდა იყოს). ყოველი დიადი სახე უნდა აღებულ იქნას ცხოვრებიდან. ხელოვნების დასაყრდენი – ცხოვრებაა. კიდევ რამდენი ლექსია ასეთი. და ასე უნდა იქნეს გარჩეული. თვითეული ლექსი აღმოჩენილი უნდა იქნას. იხ. „მე და ღამე", მაგალითად, ისმის თუ არა ამ ლექსში სულიერი სიმტკიცე ახალგაზრდობის, ისმის თუ არა შიგ საიდუმლოების დაცვის ფიცი? სჩანს თუ არა აქ ბუნება, მაგრამ არა ადამიანის გარეშე, არამედ ადამიანის მიერ განცდილი, არა განყენებული (ეს მთავარია. კიდევ რამდენი ლექსია ასეთი!).

რატომ არის მთავრე და არა მზე? უვიცს არ ესმის, რომ მთავრე საწყისია ვაჟურობის, მზე ქალურობის. მართალია, მითოლოგიაა. წიგნში არის სონეტი.

ლექსი „ტყეში" – ახალია თუ არა ფორმით?"[1]

თითქოს ლოგიკური იქნებოდა აქ დაგვესვა წერტილი, მაგრამ ნუ ავჩქარდებით. კვლავ მოვუსმინოთ გალაკტიონს. 1918 წელს იგი ამბობს:

„სული სიცოცხლის ნდომის,
ჩემი ლექსების ტომის"[2].

ვკითხულობთ ამ ავტორეცენზიას და ვგრძნობთ, როგორ იმსხვერვა ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ აგებული ხუხულა. ფიქსირებული ფრაზა გამორჩეულია არა მხოლოდ ლაპიდარობით, არამედ სიღრმითა და გააზრებითაც. პოეტმა გახსნა ფრჩხილები,

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 151-152.

[2] იქვე, გვ. 44.

გასაღები მოგვაწოდა. მისი პირველი წიგნი სევდით, წუხილით, ბრძოლით, ოცნებით... ყველაფრით „სიცოცხლის ნდომისა“ და დამკვიდრების გამომხატველი ყოფილა. და, მართლაც, გალაკტიონის მთელი შემოქმედება სწორედ ხსენებული ტენდენციით ხასიათდება. გალაკტიონი მზისა და სიცოცხლის მგოსანია. მაღალი ადამიანური მისწრაფებების გამძაფრებითა და იშვიათი ოსტატობით გამომხატველი. ამითაც განისაზღვრება მისი პოეზიის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება, ფესვმაგრობა და გამძლეობა.

პირველ წიგნში უფრო მეტია ტრადიციულ-კლასიკური, ვიდრე ნოვატორული. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რაოდენობრივ მხარეზე გადაგვეტანა მახვილი და უგულებელგვეყო არსებითი. არსებითი კი ის გახლავთ, რომ სწორედ ამ წიგნში დაისახა ქართული პოეზიის განახლება-განვითარების გზები. ცალკეული სიახლეები (პრობლემატიკის, პოეტიკის თუ სხვა სფეროში) ქმნიან საფუძველს, რათა გალაკტიონი სათავეში ჩაუდგეს ქართული ლექსის რეფორმას და 1915-1916 წლებში დევის ნაბიჯებით იაროს.

როგორია გალაკტიონის დამოკიდებულება კრიტიკისადმი?

ერთნი აშკარად ებმებიან პოლემიკაში და რეცენზენტის მოსაზრებათა უკუგდებას ცდილობენ. მეორენი სუსტად ან საერთოდ არ რეაგირებენ კრიტიკაზე, გულგრილნი არიან ქების თუ ძაგებისადმი. მესამენი კიდევ მტკივნეულად განიცდიან კრიტიკას, მაგრამ საჯაროდ არ ხმიანობენ, მხოლოდ დღიურს ან ერთ-ორ მახლობელს თუ ანდობენ თავიანთ ფიქრს.

გალაკტიონი ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება. იგი პრესაში თითქმის არასოდეს გამოკამათებია მოწინააღმდეგეს. მწერალთა კავშირის ტრიბუნაც ნაკლებ ან საერთოდ არ გამოუყენებია. დღიურებში კი, იცოცხლეთ, ჩნდება მძაფრი ჩანაწერები, ზოგჯერ არასახარბიელო კონტექსტებით. ეს პოეტის ბუნებით და ლირიკული მიდრეკილებით აიხსნება, მგრძნობელობა-სიმორცხვის უჩვეულო გადაჭდომით.

ჭაბუკობისდროინდელი ამ სახის ჩანაწერები შედარებით მცირეა. მაგრამ რაც არის, ისიც საკმარისია პოეტის შეხედულებებისა და ვნებათაღელვის გასაცნობად.

1915 წლის 8 იანვარს გალაკტიონი ბარათს უგზავნის ოლია ოკუჯავას. პოეტი მოუთხრობს სატრფოს ქუთაისიდან ქვიტირისაკენ გასეირნების ამბავს. მგოსანი სოფლის სასაფლაოზე მოხვედრილა და მიცვალებულებთან „უსაუბრია“. „მეორე მკვდარმა თავისი ლექსები ამოიღო და პათოსით კითხვა დაიწყო... ძალიან კარგი დეკლამატორი ყოფილა. მითხრა: აბა შეადარე შენს ლექსებს,

რომელი სჯობიაო? თურმე ის კაცი მკვდრების საზოგადოებაში გენიოს პოეტად ითვლება... საზოგადოდ, ჩემო ოლოლი, ცოტა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე დღეს სასაფლაომ. იმ პოეტმა ტრაბახით ამიკლო, სულ ძვლებს აჩხარუნებდა და ისე გაიძახოდა: ჩემისთანა არ იქნებაო! მეც ველარ მოვითმინე და თავის ქება დავიწყე. მაგრამ მკვდარმა პოეტმა დაცინვით გაიღიმა და ჯიბიდან გაზეთი „შადრევანი" ამოიღო, სადაც მიხ. წულუკიძის წერილია მოთავსებული. მე სირცხვილით გავწითლდი და ხმა გავიკმინდე"[1].

ირონია აშკარაა. მგოსანს არ მოსწონს მ. წულუკიძის სტატია, რომელშიც უარყოფითად იყო შეფასებული მისი შემოქმედება. და, აი, იუმორისტული ფორმით ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას.

მეორე გზა უფრო შეუფარავია. მხედველობაში მაქვს „მომენტალური ფოტოგრაფიები", რომლებშიაც გაკენწლილ-გაკიცხულია მოწინააღმდეგეები. ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, გალაკტიონი პიროვნებათა მხოლოდ ზოგად სატირულ დახასიათებას იძლევა. განწყობის მიზეზებზე ნაკლებ ან საერთოდ არ მიგვანიშნებს. მაგრამ ქვეტექსტისა და განსაკუთრებით სიტუაციის გათვალისწინების საფუძველზე მაინც აშკარა ხდება ყველაფერი.

ეს ხერხი თანდათან იხვეწება, მოგვიანებით კი თვალსაჩინოდ ტრანსფორმირდება. ვგულისხმობთ ობიექტის პირდაპირ გაკიცხვას და ამგვარი ქმედების მიზეზთა ხაზგასმასაც.

რაც შეეხება ქებას, მისდამი ნაკლებ ფხიზელ-კრიტიკულია. რა თქმა უნდა, აღიზიანებს წრეგადასული პირმოთნეობა, მაგრამ პანეგირიკისადმი გულგრილი მაინც ვერ რჩება. გასაგებიცაა. ხოტბა გალაკტიონისათვის ოპიუმი კი არ არის, ძველი კახური ღვინოა, რომელიც ძალასა და ენერგიას მატებს, რათა ახალ-ახალი შედევრები შექმნას.

კალე ბობოხიძის ოჯახში ახლაც იხსენებენ შემდეგ ეპიზოდს: ქალბატონ ვერასა და ბატონ კალეს მწერლები მიუპატიჟნიათ, მათ შორის გალაკტიონიც (ისინი მეზობლები იყვნენ). მასპინძელს პირველი სადღეგრძელო გალაკტიონისადმი მიუძღვნია:

– გაუმარჯოს თანამედროვეობის ყველაზე დიდ პოეტსო.

სტუმართაგან ზოგს ჩაუქირქილებია, ზოგიც შეშმუშნულა, უმეტესობას კი გულწრფელად აუტაცნიას ეს სადღეგრძელო.

სერობის დამთავრებისას გალაკტიონს მოუთხოვნია სიტყვა:

– ახლა დავლიოთ კალეს – საქართველოში ყველაზე დიდი

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 515.

პოეტის სადღეგრძელო!

ფერი წასვლია მასპინძელს.

– რა დაგიშავე, ბატონო გალაკტიონ, რატომ დამცინით?

– არა, ძამიკო! ის, ვინც ხვდება რომ მე მსოფლიოში უდიდესი მგოსანი ვარ, იგი საქართველოში პირველ პოეტად უნდა ვაღიაროთო.

გასაგებია გალაკტიონის საქციელი. თბილ სიტყვას დანატრული ღმერთკაცი, მავანთა და მავანთაგან შევიწროებული გენიოსი, კუთვნილს მოითხოვდა, მაგრამ ოქროს კვეთს ყოველთვის როდი პოულობდა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ სადღეგრძელოთი ბევრს გადაკრა ლახტი.

დიახ, ზოგჯერ ამეტებდა, მარამ ეს ნუ განგვხიბლავს.

რაც არ ეპატიება ხარს, ის ეპატიება იუპიტერს.

„თეთრი დღეების ისევ ისე მიჭყვება დასი,
არ მომწყინდება სადღეგრძელოდ ავწიო თასი
თქვენი, რომელთაც გატაცება... მხოლოდ... ყინია.
მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“[1].



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 90.

„სულში გენიით აგეხილი რეკავს ლერწამი“

„დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს
ივლისისფერი ყინვის თასებით!“

გალაკტიონ ტაბიძე

მოვლენებს გავუსწრებთ,ბევრი მნიშვნელოვანი შემთხვევა თუ ეპიზოდი კი აღუნუსხავ-შეუფასებელი დაგვრჩა,თქმა არ უნდა,1914 წელი გალაკტიონისათვის, უწინარეს ყოვლისა, ღირსახსოვარია პირველი წიგნის გამოცემით. ამ კრებულზე ზემოთ ვისაუბრეთ. აქ მხოლოდ ერთ გარემოებაზე შევჩერდებით. ხსენებულ წელს გალაკტიონმა პრესაში ხუთიოდე ლექსი გამოაქვეყნა. თუ ამ ციფრით შემოვიფარგლებით, შეიძლება ვინმემ დაასკვნას, რომ შემოქმედებითი პულსი მოდუნებულა. მაგარმ პირველ წიგნში ხომ ას ოცზე მეტია ლექსია შეტანილი. მათი დიდი ნაწილი სწორედ 1914 წლით თარიღდება. ასე რომ, ეს ხანა პოეტური აფეთქებების ჯამადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

როგორც ითქვა, წიგნის გამოცემამ დიდი დრო და ენერგია შეიწირა. მიუხედავად ამისა, გალაკტიონი მაინც ახერხებს მიმდინარე პროცესებში ჩაბმას და ბევრ საქმეს ბეჭედსაც ასვამს.

გალაკტიონი პერიფერიების ხშირი სტუმარია. ამ შემთხვევაში ძირითადად ორი მიზანი ამოძრავებს: საზოგადოებრივი ყოფის, მასების სულისკვეთების უკეთ შეცნობა და საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაცია.

გაზეთ „აზრში“ ვკითხულობთ: „შედგა ქართველ მწერალთა ჯგუფი, რომელიც სალიტერატურო საღამოების გასამართავად მიემგზავრება საქართველოს დაბა-სოფლებში და ქალაქებში. ჯგუფში ითვლებია: გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძ, ვლ. ბაქრაზე, მ. წულუკიძე,ირეთელი,ზომლეთელი,ჩხიკვაძე,მეთარე საღირაშვილი, ხურციძე და სხვ. პირველი საღამო ოზურგეთში გაიმართება“[1]. შემდეგ მწერლები ჩოხატაურში, ხიდისთავსა და ლანჩხუთში უნდა გამოსულიყვნენ.

იგივე გაზეთი რამდენიმე დღის შედეგ იუწყება,რომ ამ მოკლე ხანში „. ფოთში ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები: გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე და გალ. ტაბიძე გამართავენ ლიტერატურულ საღამოს“[2].

---

[1] გაზ. „აზრი“, 1914, №86.

[2] იქვე, №91.

რაც შეეხება ქუთაისს, აქ ხომ თითქმის ყოველ კვირას ხმიანობს გალაკტიონი. ხან ახალგაზრდა მგოსანთა საღამოებში მონაწილეობს, ხან საქველმოქმედო მიზნით გამართულ შეკრებებში და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადაც ყოველწლიურად მართავს საღამოებს. ამგვარ ღონისძიებებს ხელმოკლე პოეტის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ფუნქციაც ეკისრება. მაგრამ მიზანი ყოელთვის როდი მიიღწევა.

გალაკტიონი უკვე პროფესიონალი ლიტერატორია. ფაქტობვირად,იგი თითქმის არსად არ მსახურობს და შემოსავლის ერთადერთი წყარო ჰონორარია.

1914 წლის შემოდგომაზე გალაკტიონმა გადაწყვიტა კვლავ შეხვედროდა ფართო საზოგადოებას. „ახალ ივერიაში" იბეჭდება ცნობა: „19 ნოემბერს ქალაქის თეატრში ახალგაზრდა მწერალი გალაქტიონ ტაბიძე მართავს დიდ სალიტერატურო-სამუსიკო-დრამატიულ საღამოს, შემდეგი შინაარსით: 1) ლიტერატურა: მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მწერლები და დეკლამატორები; 2) წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი ვოდევილი „მოჩვენება"; 3) მუსიკა: მონაწილეობას მიიღებენ სკრიპკაზე და ვიოლლონჩელოზე დამკვრელები; 4) ცოცხალი სურათები, დადგმული იქნება მხატვარ გრიგოლ მესხის მიერ"[1].

გალაკტიონმა კარგად იცის, რომ ძნელია საზოგადოების მიზიდვა. ამიტომაც ზემოფიქსირებული ინფორმაციით არ კმაყოფილდება. 18, 19 ნოემბრის ნომრებში ქვეყნდება იმავე შინაარსის, რამდენადმე ტრანსფორმირებული განცხადებები, ერთ შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ „გ. ტაბიძე ნიჭიერი პოეტია და ჩვენს ახალგაზრდა მწერლებში საუკეთესო ადგილიც აქვს დაკავებული". მეორე შემთხვევაში საღამოს მნიშვნელობაა აქცენტირებული, რომ იგი „ფრიად საინტერესო" იქნება.

საღამო ვერ თუ არ შედგა დანიშნულ დროს. ესეც ოპერატიულად აცნობა რედაქციამ მკითხველს.

22 ნოემბერს კვლავ იბეჭდება ცნობა, რომ „ხვალ ქალაქის თეატრში გაიმართება ახალგაზრდა მწერლის გ. ტაბიძის საღამო". ამჯერად დაზუსტებულია მონაწილეთა გვარები და პროგრამის შინაარსი. მაგალითად, „დასასრულს მხატვრაი გრ. მესხი დადგამს „ცოცხალ სურათებს" თანამედროვე ომიდან".

ბოლოს და ბოლოს საღამო გაიმართა, მაგრამ არა ისე,

---

[1] გაზ. „ახალი ივერია", 1914, №39.

როგორითაც გალაკტიონს სურდა.

ადვილად ითქმის: საღამო უღიმღამოდ ჩატარდა. ნახევრად ცარიელი თეატრი. ეს ნიშნავს რამდენიმე კვირით შიმშილობას. ამას ემატებოდა სულიერი ტანჯვა გამოწვეული ხელგაშვერის ამგვარი ფორმით და სხვ. არადა, ეკონომიკური გაუმჯობესების სხვა გზა არ ჩანდა.

გალაკტიონი მომავალ წელსაც მართავს საღამოებს. ერთ-ერთი მათგანი დაგეგმილი იყო 20 ოქტომბერს. პოეტმა საუკეთესო სახელი შეურჩია მას – „საქართველოს ყვავილები". თუ წინა წელს ის და მისი მახლობლები მოკლე ინფორმაციებით ცდილობდნენ საზოგადოების მიმხრობას,ახლა უფრო ვრცელ და დასაბუთებულ წერილებს აქვეყნებდნენ. ამ მასალათა ავტორები არიან ცნობილი პიროვნებები – მწერლები ია ეკალაძე და შ. ამირეჯიბი.

ია ეკალაძემ სათაურშივე გახაზა ძირითადი სათქმელი – „დავეხმარნეთ მგოსანს!" წერილში აღნიშნულია გალაკტიონის ნიჭიერება და მისი პოეზიის ბრწყინვალება. „მეც სიტყვით ვერ გადმოვცემ ძალას და ძლიერებას გ. ტაბიძისას. იგი უხილავი ტრფობაა დამწვარის გულისა, იგი ბნელ ღამეში დაღვრილი ცრემლებია ჩვენის დღიურ სიცხადით დამწვარ თვალებისა!.."[1]

ყოველივე ეს იმიტომ სჭირდება ავტორს, რომ მეტად შეანჯღრიოს მთვლემარე საზოგადოება და პოეტისადმი სასიკეთოდ განაწყოს. ია ეკალაძე კარგად გრძნობს იმ უხერხულობას, რომელშიაც იმყოფება გალაკტიონი. მგოსანთა მომავალი მეფე კაპიკების შესაგროვებლად იშვერს ხელს. პოეტური მარგალიტების შემქმნელი იძულებულია მტვრიან ბილიკზე დაეშვას.

„აი ეს ყმაწვილი მგოსანი ოც ამ თვეს ქალაქის თეატრში ჰმართავს სალიტერატურო საღამოს თავის სასარგებლოდ. ძნელი და აუტანელი უნდა იყოს ძალზე ხელ-მოკლე მგოსნისათვის ასე ხელის გაშვერა, მაგრამ ჩვენ ვაგრძნობინოთ, რომ ალალია მისთვის თითოეული ჩვენთაგანის წვლილი, როგორც დედის რძე და ჩვენის პროზით, ჩვენის გროშების გაღებით შევუქმნათ მას ისეთი მდგომარეობა, რომ ერთხანს მაინც დაავიწყდეს „ძებნა ლუკმა პურისა" და ჩვენის თანაგრძნობით გამხნევებული,ოცნებით გაფრინდეს ცაში ვარსკვლავებთან სალაპარაკოთ, მიწერ ბოღმა-ნაღველის გასაქარვებლად.

მაშ, ოც ამ თვეს გავწიოთ ყველამ ქართული თეატრისაკენ!.. ეს არის ჩვენი მოვალეობა!.."[2]

[1] გაზ. „სამშობლო", 1915, №176.

[2] იქვე.

ვრცელ წერილში „მშვენიერ პიპიეტებს“ შ. ამირეჯიბიც იმავე აზრს ავითარებს, რომლითაც გამსჭვალულია ია. ეკალაძის სტატია. ძალზე სამწუხაროა, რომ მგოსანი, გუშინ შემთხზველი საუკეთესო ლექსებისა, დღეს მოწყალებას ითხოვს. „მათხოვარი მგოსნის ასეთივე შეურაცხმყოფელი გაუგებრობაა, როგორც მათხოვარი ღმერთი, მპყრობელი ხილულისა და არა ხილულისა, მაგრამ ამ სიღარიბის ტრაღედიაში არის სილამაზეც სიღარიბისა და ისინი, ვისაც ბედმა მძიმე ქისა მისცა, ამპარტავნობით არ უნდა დასცქეროდნენ ღარიბ ოჯახს ქართველ მწერლებისას“[1].

შ. ამირეჯიბიც მოუწოდებს ქუთათურებს დაესწრონ გალაკტიონის საღამოს. გაღებული გროშები პოეზიის თაიგულებად დაუბრუნდებათ.

ამ წერილების გარდა, სხვაგვარი მასალებიც იბეჭდება. მაგალითად, 19 სექტემბერს „სამშობლოში“ „ახალი ამბების“ პირველ ინფორმაციად დაისტამბა მოკლე ცნობა: „ხვალ, კვირას, ქალაქის თეატრში გაიმართება გალაქტიონ ტაბიძის საღამო“. ისიც აღასანიშნავია, რომ ტექსტი აწყობილია განსახვავებული შრიფტით, მუქი მთავრულით. ამდენად, ხსენებული ინფორმაცია ყველაზე მეტად იპყრობს ყურადღებას.

ამგვარი მცდელობით მიზანი მიღწეული იქნა. თეატრი სავსე იყო ხალხით. საზოგადოება გულისყურით უსმენდა შ. დადიანს, ვ. რუხაძეს, პ. იაშვილს, ა. ფაღავას, მომღერალ ვ. ლორთქიფანიძეს (სხვათა შორის, წინა დღით მისი საღამო გაიმართა, რომელში გალაკტიონიც მონაწილეობდა) და სხვ. კმაყოფილნი დარჩნენ სპექტაკლით „სიკვდილი ნაპოლეონისა“ (წარმოდგენილი იყო პირველი მოქმედება, ნაპოლეონის როლს დ. ჩარკვიანი ასრულებდა). გალაკტიონს ყვავილები მიართვეს.

ასეთი წარმატება მაინც იშვიათი იყო. მომდევნო წელს პოეტმა სრული მარცხი განიცადა. თავად სწერდა ამის შესახებ ოლიას. „ჩემი საღამო საცოდავად ჩატარდა. არავინ არ მოვიდა. მრცხვენია პირდაპირ“[2].

ეს ცნობები იმიტომ არ მოგვიტანია, რომ სტატისტიკური სურათი შემოგვეთავაზებინა. მკითხველს არ გაუჭირდება მათ მიღმა გაცილებით მეტი დაინახოს, კერძოდ, გალაკტიონის ბუნებისათვის უცხო ფაცი-ფუცი, ვიღაცის წინაშე ზედმეტი თავდახრა, ვიღაცის დამუნათება, სამაგიეროს მიგებით ვიღაცის გულის მონადირება და ა. შ.

ცხოვრება აიძულებს იბრძოლოს, იბრძიოლოს

[1] გაზ. „სამშობლო“, 1915, №180.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 522.

მკლავებდაკაპიწებულმა და ხშირად არაარსებითზე მეტად გაამახვილოს ყურადღება, ვიდრე არსებითზე.

ვერც იმას დავიიწყებთ, რომ ლიტერატურული გამოსვლები მგოსნისათვის საკუთარი ნიჭით ტკბობის საშუალებაცაა.

პოეტური საღამოები არცთუ იშვიათად ბანკეტით მთავრდება. გალაკტიონს მოსწონს ასეთი ფინალი, რადგან ქება-დიდებით თრობის საშუალება ეძლევა.

ნუ შევყრით წარბებს.

ცხოვრებით დატანჯულ ახალგაზრდა კაცს ლოგიკურად უჩნდება მცირე ხნით ყელყელაობის სურვილი. ბუნებრივი სიმორცხვის დაძლევას ცდილობს და ღვინოს ეტანება. გათამამებული მახვილსიტყვაობს, ექსპრომტებსაც წარმოთქვამს, მაგრამ მაინც ვერ ხდება საზოგადოების ლომი. ამ მხრივ სხვებია გამორჩეული. არ ვიცით, მეორე დღეს შეიცნობდა თუ არა ამას. თუმცა ეს განა არსებითია? გალაკტიონი პოეზიაშია განუმეორებლი და ერთადერთი. ამ სფეროში გალაკტიონი შეიძლება მხოლოდ გალაკლტიონს შეეადაროთ. აი თავიდათავი.

გალაკტიონი ზღვა ენერგიის პიროვნებაა. იგი არ ცხრება. მიზნის მიუღწეველობიდან მომდინარე აპატია, რაც ბევრისათვის არის დამახასიათებელი, მისთვის უცხოა. ეკონომიკურად უჭირს. სოფლიდან გამოგზავნილი სანოვაგე სულზე მიუსწრებს ხოლმე. ყველაზე დიდი იმედი ძმისა აქვს. აბესალომიც უშურველობს; თავისი მწირი ჯამაგირიდან უმეტეს ნაწილს გალაკტიონს უგზავნის. მაინც არ კმარა. დროდადრო შიმშილობს კიდეც. ერთხელ გამოუტყდა ოლიას – არა ვარ პრაქტიკული და ყაირათიანი. ღმერთი თუ რამეს გადმომიგდებს, მონაკოს პრინციპით ხელვგაშლილობ, მეორე დღეს კი ჯიბეგამოფხეკილი დავდივარო.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ გალაკტიონისათვის უცხოა პანტაგრუელობა. სერობისას არისტოკრატიულ გემოვნებასა და დახვეწილობას ავლენს.

ბოჰემური ყოფისაკენ თვით ცხოვრება ეზიდება. უძვირფასესი ქალბატონი შორსაა. როცა მწარე ფიქრები შეიპყრობდა, ოლიასაკენ მიქროდა და მისი სიახლოვით ტკბებოდა, დარდს იქარვებდა. ახლა კი ბარათებით ეხმიანება, შესტრფის და ამხნევებს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გალაკტიონის ბარათები ერთმისამართიანი არ არის. აქ მეორე ადრესატიც იგულისხმება – თვით გალაკტიონი.

დიახ, პოეტი საკუთარ თავსაც სწერს ამ ბარათებს და



გალაკტიონი, კოსტანტინე გალმონტი,
ვარლამ რუხაძე

სატრფოს მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს, რჩევას თუ დარიგებას მეორე გალაკტიონზეც ავრცელებს.

შემთხვევით არ გვიხსენებია „მეორე გალაკტიონი“ პიროვნებაში გარკვეული გაორება იჩენს თავს.

ზოგჯერ წერილებში გალაკტიონი ერთს ამტკიცებს, ცხოვრებაში კი მეორეს აკეთებს. საქმე გვაქვს დასაძლევის დაუძლეველობიდან მომდინარე შედეგთან. მან კარგად იცის, რომ „...უნდა ჩაკლა მწუხარება გულში. ჩვენი სიცოცხლე ისე ხანმოკლე და უდღეურია, რომ არავითარი ფასი არ ექნება მას, თუ ის ისე არ გავატარეთ, როგორც ჩვენ გვსურს. ცხოვრება უნდა მოვაწყოთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა. აი თავი და თავი მიზანი ბედნიერების“[1].

სხვას ურჩევს, თავად კი ვერ ახერხებს. „ყოველ წუთში ენაზე გვაკერია: „ტანჯვა“, „გამოუთქმელი მწუხარება“, „სულის სიცალიერე“ და სხვ. და სხვ. მაშინ,როდესაც ჩვენ,ახალგაზრდები უნდა გავიძახოდეთ „სიცოცხლე“, „სიხალისე“, „ბედიერება“-თქო. თუ არც სიხალისეა, არც ბედნიერება, არც სხვა რამე, ჩვენ უნდა შევქმნათ, გესმის, ჩვენ უნდა შევქმნათ ბედნიერება, გახსოვდეს, რომ სიყმაწვილე ბედნიერებისათვისაა შექმნილი...“[2]

აქ გონი მძლავრობს და გრძნობები დაყუჩებულია. როცა პირუკუ ხდება, მაშინ სულ სხვა შედეგს ვიღებთ.

გალაკტიონი არასოდეს ყოფილა პრაგმატისტი და ეს თეორიული წანამძღვრები, თუ შეიძლება ასე ითქვას, თითქმის განუხორციელებელი რჩებოდა. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ცალკეულ შემთხვევაში ამგვარი მოსაზრებები ზარებივით წკრიალებდნენ და ქარაფამდე მისულ პოეტს აფხიზლებდნენ.

გალაკტიონი გადაიღალა და გეზიც სოფლისაკენ აიღო. ივლისში ჭყვიში მათრობელაა და გალაკტიონიც ჩაიძირა ბუნებაში.

შემოდგომაზე კვლავ ქუთაისს მიაშურა.

სპეციალისტები მიუთითებენ, რომ 1914 წელს გალაკტიონი ხელმძღვანელობდა გაზეთ „ახალ აზრს“. ისინი ეყრდნობიან ჟანდარმთა სამმართველოს მონაცემებს: „არსებული ცნობების მიხედვით გაზეთ „ახალი აზრის“ მთავარი ხელმძღვანელია გალაკტიონ ტაბიძე“.

რას ნიშნავს ხელმძღვანელი? თუ გალაკტიონი ფაქტიური რედაქტორისა და წამყვანი პუბლიცისტის, თანამშრომლის

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 503.

[2] იქვე, გვ. 504.

ფუნქციას ასრულებდა, მაშინ ამ გაზეთში უნთუოდ უნდა იყოს მისი ნაწერები (თუნდაც ხელმოუწერელი), ჩვენ გალაკტიონის სტილის, წერის მანერის, მსოფლგაგების გათვალისწინებით საგანგებოდ შევისწავლეთ 1914 წლის „ახალი აზრი“ და მსგავსს ვერაფერს მივაკვლიეთ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თავისებურ მისტიფიკაციასთან. როგორც ცნობილია, არცთუ იშვიათად ხელისუფლების თვალის ასახვევად თუ სხვა მიზნით გაზეთსა და ჟურნალს ხელს აწერდნენ უცხო პირები,რედაქტორის ტვირთს კი ინკოგნიტოდ დარჩენილი მოდვაწე ეზიდებოდა.

ამ ხერხს იყენებდნენ მენშევიკებიც. „ახალი აზრი“ კი მენშევიკთა ცენტრალური ორგანო იყო. ცნობილი ბიბლიოგრაფის ბ. ბაქრაძის მონაცემებით, ხსენებული გაზეთი სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა თბილისსა და ქუთაისში: „აზრი“, „ახალი აზრი“, „ჩვენი აზრი“, „თანამედროვე აზრი“, „ერთობა“. რედაქტორებიც ხშირად იცვლებოდნენ. თ. კეკელიძე, ალ. ცერცვაძისა,კ. კეკელიძე,ლ. ცაგარელი,ნ. ელენტისა,ვ. ბობოხაძე,მ. ბობოხიძე (ეს გვარები ბევრს არაფერს ეუბნებიან ჟურნალისტიკის ისტორიკოსს).

არ არის გამორიცხული, რომ 1914 წელს სოციალ-დემოკრატებმა გალაკტიონს თხოვეს დახმარება და ისიც დათანხმდა, რაც დაუფიქსირებელი არ დარჩენია ჟანდარმერიას. მაგრამ ეს დაპირება გალაკტიონს ვერ თუ არ შეუსრულებია. ადრე დარხეული ხმა კი აზვირთდა და განტოტდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქუთაისში „ახალი აზრის“ მხოლოდ ექვსი ნომერი გამოვიდა (12-18 ივლისს)[1].

24 ივლისს პოეტი უკვე სოფელშია და, ცხადია, სხვა სახელწდებით („ჩვენი აზრი“) გამომავალი „ახალი აზრის“ რედაქციაში ვერ იმუშავებდა.

ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გალაკტიონი ჩამოშორდა პრესას. იგი ადგილობრივი გაზეთების ხშირი სტუმარია; თბილისშიაც აწვდის ხმას.

1915 წელმა დიდი ტკივილი მოუტანა გალაკტიონს. გარდაიცვალანენ ვაჟა-ფშაველა, ნიკო ლომაური, ეროდიონ ევდოშვილი, ჭოლა ლომთათიძე... ყველაზე ძლიერ მაინც აკაკის დაღუპვა განიცადა. გასაგებიცაა. აკაკი მისთვის არა მხოლოდ უდიდესი მგოსანი გახლდათ,არამედ განკაცებული საქართველოც, უფრო მეტიც, მშობელივით მახლობელი და სათაყვანებელი

[1] სხვათა შორის, აკაკის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოუთქვამს „ახალი აზრის“ წარმომადგენელს ევგენი გგეჭკორს.

პიროვნება.

ავადმყოფი პოეტის შესახებ ყოველდღე იბეჭდებოდა ინფორმაციები. ზოგიერთები შეეგუენ კიდეც გარდაუვალ შედეგს. გალაკტიონი კი მაინც ბობოქრობდა. ირწმუნებოდა: სიკვდილს რა ხელი აქვს ღმერთთან; აკაკის წინაშე ყველა და ყველაფერი იჩოქებსო. ეს უფრორე ხელი თაყვანისმცემლის სურვილი და წარმოსახვა იყო.

26 ივნისს აკაკი გარდაიცვალა[1].

„დაიმსხვრა საყვირი იერიქონისა, ფერფლად იქცა იერემია საქართველოისა!

ბუნებამ, – გულგრილმა და ულმობელმა ბუნებამ, – თავისი წესი შეასრულა, მოგვტაცა პირველი პირველთა შორის და დაგვტოვა ცისა და დედამიწის ანაბარათ.

აღარ გვყავს ქურუმი ქართულის პოეზიისა, დადუმდა ქნარი მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვა-კაზმულობისა, დაშრა ზღვა მშობლიურის სწორმეტყველებისა!"[2] – მოსთქვამდა ქვეყანა ია ეკალაძის პირით.

ქუთაისს ღიმილი დააკლდა. თეატრში ფარდები დაეშვა. დუქნებიდანაც არ ისმოდა არღნის ღუღუნი. კასკასა იმერლები თითქმის უბრად დააბიჯებდნენ. ჟურნალ-გაზეთები ვერ აუდიოდნენ სამგლოვიარო დეპეშათა გამოქვეყნებას. პანაშვიდი პანაშვიდზე იმართებოდა. აქ ერთ პატარა ინფორმაციას დავესესხებით: „4 თებერვალს სოფელ ჭყოვშში (სამტრედიის რაიონი) ბლალოჩინ იუსტინე ტაბიძემ გადაიხადა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენიებლთ დიდძალი ხალხის თანდასწრებით. მასწავლებელმა პროკლე (აბესალომ) ტაბიძემ პანაშვიდის წინ ხალხს გააცნო აკაკის ცხოვრება და მოღვაწეობა"[3].

როგორც ვხედავთ, ტაბიძეების ოჯახიც დათალხულია.

გალაკტიონს ერთი კვირა ღამე შინ არ გაუთევია, ხან სად და ხან სად იკრიბებოდნენ ახალგაზრდები. პურზე ღვინოს აწვეთებდნენ, სანთლებს ანთებდნენ. ცხარედაც შეებმოდნენ ზოგჯერ ერთმანეთ. აღელვებდათ აკაკის ხელნაწერთა ბედი.

ყველაფერს თავის რიგი აქვს და საზოგადოებაც დაირაზმა, რათა ღირსეული პატივი მიეგო უგვირგვინო მეფისათვის. „თბილისის კომიტეტმა გადაწყვიტა საჩხერეში აკაკის ცხედრის

[1] კურიოზი ამჯერადაც მოხდა. გაზეთმა „ტერეკმა" აკაკის გარდაცვალება მაშინ აუწყა მკითხველებს, როცა პოეტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

[2] გაზ. „იმერეთი", 1915, №18.

[3] გაზ. „შრომა", 1915, №32.

პატივსაცემლად და ცოცხალი ყვავილებით შესამკობათ ახალგაზარდა მგოსნები: ს. აბაშელი, ა. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი და ი. გრიშაშვილი, აგრეთვე მიმართა ქუთაისის კომიტეტს, მოთხოვა გამოგზავნონ ამ მიზნით ვ. რუხაძე და გ. ტაბიძე"[1].

გალაკტიონი კმაყოფილია. ამგვარი გამორჩევით მისი საზოგადოებრივი დამსახურება და, რაც მთავარია, მგოსნური პერსპექტიულობა გაიხაზა. დაუყოვნებლივ გაემგზავრა საჩხერს. მთელმა პროცესიამ მის თვალწინ ჩაიარა.

რა დაავიწყებს გამოსვენების დღეს. ჭახჭახებდა თებერვლის დილა. 10 საათზე კუბო წერეთლებმა გამოიტანეს და შუა ეზოში დაასვენეს ცხედარი. ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი მამა გაბრიელი წესის აგებას შეუდგა.

შემდეგ კუბო ნ. ნიკოლაძემ, გ. ლასხიშვილმა, ნ. ჟორდანიამ, კ. აბაშიძებ და ახალგაზრდა პოეტებმა ა. აბაშელმა, ი. გრიშაშვილმა, ვ. რუხაძემ და გალაკტიონმა ასწიეს. მიაბიჯებდა გალაკტიონი კიტა აბაშიძის უკან და სოფლის გაუტანლობაზე ფიქრობდა; იმაზეც, თუ როგორ აშოშმინებს სიკვდილი მოშულართ და როგორ ჰქმნის ჰარმონიას, რომ სიკვდილი ნამდვილად ვარდისფერი გზაა. მაგრამ აკაკი მხოლოდ ფიზიკურად დაშორდა მოყვასს.

„საქართველოვ, რა გაწუხებს, გული რისთვის გტკივა?
რისთვის კვნესი ასე მწარედ, ცრემლი რისთვის გცვივა?
ცეცხლი ერთხელ ანთებული ცეცხლად ისევ ღვივა,
ვერ ჩააქრობს მხურვალე ალს ნისლი ფრთატიეტივა,
საუკუნეთ ღვიძლი შვილი ისე როდი კვდება,
და ვალმოხდილ ჩვენს წინაპრებს როდი უერთდება,
ძალი, ღონე თვის სიყვარულს თუ არ მოახმარა,
საქართველოვ, მაშ აკაკი არ მომკვდარა, არა!"[2]

ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენია – წუწუნებენ პოზიორი ფილისტერები. გალაკტიონი მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება მათ. მგოსანმა იცის ბუნების კანონი – ქარი თუ ამოვარდება, უნდა ჩადგეს კიდეც. ესმის, რომ ტალღას ვერ შეაჩერებ. მთავარია, მისი სიძლიერე შეიცნო და ეცადო ქეჩოზე მოექცე. აი მაშინ ყოფა ლამაზი იქნება. მაგრამ ყველას როდი ძალუძს ეს.

ცხოვრება არც ისაა, მონოტონურად ზიდო ყოველდღიური საოჯახო ტვირთი. არსებობს მეორე სამყარო – ოცნების სამყარო. იგი შენ უნდა შექმნა. აი, მაშინ სუნთქვა გაგიადვილდება.

---

[1] გაზ. „შადრევანი", 1915, №7.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 260.



კოსტანტინე გალმონტი, ია ეკალაძე
გალაკტიონი.

გალაკტიონი ქმნის ასეთ სამყაროს და შეებასაც გრძნობს: ერთ კერძო წერილში პირდაპირ ამქვეყნებს ხვაშიადს: – მინდა წავყვე ვინმეს ისეთ ადგილას, სადაც მუდმივი სიხარული და ბედნიერებაა.

როცა ეს რეალურად არ ხერხდება, ოცნების იალქნებს შლის. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნიადაგს მოსწყდა. სინამდვილე და ოცნება ის ორი ფრთაა, რომელთა გარეშე გალაკტიონი ვერ იფრენს.

ხშირად გვიანობამდე ზის საქალაქო ბიბლიოთეკაში და თავაუღებლივ მუშაობს. განსაკუთრებით ახალ ფრანგულ და რუსულ პოეზიას უღრმავდება. გატაცებულია პოეტიკის საკითხებით. გამაოგნებელია თვითგანვითარების ტემპები. რასაც მავანი კვირეებს ანდომებს, იმას გალაკტიონი ერთ დღეში ითვისებს. ძლიერ შველის დემონური მახსოვრობა და ინტუიცია. ნახევარ ტონებში უგებს სხვას. ზოგჯერ კონკრეტულ ფრაზაში უფრო მეტს სჭვრეტს, ვიდრე ავტორი გულისხმობდა.

გალაკტიონი კვლავ სიღატაკის კუნზულზე ცხოვრობს. დრო და დრო ნავს გამართავს და მატერიკისაკენ მიისწრაფის, მაგრამ ხშირად შუა გზიდან უწევს დაბრუნება.

ჭიდილის დღეები გრძელდება.

განზრახული ჰქონდა მაისში დიდი სალამო ჩაეტარებინა სამტრედიაში, მაგრამ არ მოხერხდა. პეტრე გელეიშვილმა ურჩია – ივნისში გადაიტანეო და უხვი შემოსავალიც – 150 მანეთი ჰონორარი უწინასწარმეტყველა. ამის იმედით ფულს სესხულობს და ბაკურიან-წაღვერს მიეშურება.

ეს პირველი სერიოზული გამგზავრებაა დასასვენებლად (მხედველობაში არ მიიღება ორდღიანი ტურნეები პროვინციაში). გზა ორ პოლუს შორის: ქუთაისი – ჭყვიში, ჭყვიში – ქუთაისი განაცრისფერდა და თუ ასე გაგრძელდა, აღმოჩენებით გამოწვეული სიხარული გაიშვიათდება.

თავს არ უტყდება, მაგრამ ფაქტია, გადაღალა გაბმულმა შრომამ. წვრილმა ინტრიგებმა, ხელმოკლეობამ, ნაცნობმა გარემომაც კი...

ბაკურიანი და წაღვერი საოცნებო ოაზისებად ჩანან. თბილისისა და ქუთაისის რჩეული საზოგადოება ყოველ ზაფხულს იქითკენ მიეშურება. ისიც იცის გალაკტიონმა, თუ როგორ ეტრფიან ბორჯომის ხეობას ახალგაზრდა პოეტები, განსაკუთრებით კი ი. გრიშაშვილი.

უცხო გარემო, მომხიბვლელი საზოგადოება, მოულოდნელი ხილვები: იქნებ ზედმეტად მეოცნებეა გალაკტიონი? ყოველ

შემთხვევაში, ადგილზე ჩასული გრძნობს, რომ ზმანება იცრიცება-
რას იზამ? სადაც არ უნდა წახვიდე, საკუთარ თავს ვერ გაექცევი.

კვლავ დარია ხელი მელანქოლიამ. ხსნა ბუნებაში ეძებ-
ბევრს დადის ფეხით თუ ცხენით. ცხრა წყაროდან მზის
ნახა და აღტაცებული წერს: „დიდი ხნით მემახსოვრება იგიო".

ბაკურიანიდან წაღვერს გადაინაცვლა. აქ უფრო მეტად
მეღავნდება ქალაქური ყოფა. ქალები კორსეტებით, მამაკაცები კი
ჰალსტუხებით დადიოდნენ, მაგრამ ინტელექტუალური მაჯისცემა
უფრო ძლიერი იყო.

როგორ ატარებდა დროს?

...თუმცა არსებითი მაინც ისაა, რომ სწორედ წაღვერში დაწე-
რა: „თეთრი ლანდებით", „ალვები თოვლში", „ვერხვები" და სხვ.

1915 წელი იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ გალაკტიონი
აქვეყნებს წერილს „ჯ. ჯორჯიკია. თხზულებანი". ამ პატარა
ნაწარმოებზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ იგი
გალაკტიონის ერთ-ერთი პირველი რეცენზიაა და საგულისხმოა
არა იმდენად ობიექტის დახასიათებით, რამდენადაც კრიტიკოსის
ესთეტიკური შეხედულებების წარმოჩენით.

გალაკტიონს ჯ. ჯორჯიკია მიაჩნია განათლებულ, მწერლობის
და მამულის მოყვარულ, ზრდილობიან პიროვნებად. ყოველივე
ეს შემოქმედისათვის სასურველი თვისებებია, მაგრამ არა
გადამწყვეტი. არსებითი სულ სხვაა.

ახალგაზრდა მგოსანი არ იზიარებს კიტა აბაშიძის
მოსაზრებას, რომ ჯორჯიკია „უაილდის ტიპის მწერლობის
განმახორციელებელია ჩვენშიო". ამ სიტყვებს გალაკტიონმა
მისთვის დამახასიათებელი შორისდებული მოადევნა „ჰმ".
ეს ამოძახილი ცნობილი კრიტიკოსის დებულების არათუ
ჩვეულებრივი უკუგდებაა, არამედ ამგვარი კვალიფიკაციის
უხერხულობიდან მომდინარე გაოცებაც.

გალაკტიონი კარგად იცნობს ოსკარ უაილდის მემკვიდრეობას.
მას წაკითხული აქვს არა მხოლოდ „დორიან გრეის პორტრეტი",
არამედ მწერლის შესახებ არსებული კრიტიკული მასალებიც.
ქართველ პოეტისათვის მიუღებელია ინგლისელი კოლეგის
თვალსაზრისი – „ყოველი სახის ხელოვნება უსარგებლოა". და
იმასაც გრძნობს, რომ ეს ფაქტობრივად პარადოქსია, წინააღმდეგ
შემთხვევაში არ დაიწერებოდა თვით უაილდის თხზულებები.
გალაკტიონისათვის ცხადზე ცხადია ო. უაილდის სიმაღლე.
იგი ქმნის მშვენიერ სამყაროს და ინთქმება მასში. უაილდის
მტკიცებით, ცხოვრებაში არსებობს როგორც ზნეობის, ასევე
ხელოვნების კანონები. ისინი არ ემთხვევიან ერთმანეთს და, როცა

საქმე არჩევაზე მიდგება, უპირატესობა მეორეს უნდა მიენიჭოს.

ეს საკამათოდ მიაჩნია გალაკტიონს, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობს, რომ უაილდი, როგორც ფერმწერი, შეუდარებელია, მით უფრო სტილით. მისი ფრაზა უცხო ორნამენტებით ბრჭყვიალებს და, რაც მთავარია, ხასიათდება პოეტური ინტიმურობით. ისიც ფაქტია, რომ უაილდის ბევრი გამონათქვამი აფორიზმის თუ მახვილსიტყვაობის პეწით გამოირჩევა, ხოლო პარადოქსები ისეა აგებული, თითქმის სპობს კამათის შესაძლებლობას.

ჯ. ჯორჯიკია შორსაა ყოველივე ამისაგან. იგი არა თუ ხატავს, არამედ ჩამოთვლის. ამიტომაც აიტაცა გალაკტიონმა ერთი კეიმატი ჟურნალისტის გამონათქვანი – „რეცენზიული შემოქმედიაო".

ამდენად, ჯ. ჯორჯიკიას აღიარება უაილდის სკოლის წარმომადგენლად გალაკტიონს გაუგებრობად მიაჩნია... „მე ვამტკიცებ, რომ ჯ. ჯორჯიკია, სრულიად უბრალო, ჯერჯერობით უსახო და მართლაც ყოველგვარ პრეტენზიას მოკლებული მწერალია. ყოველი სიტყვა ზერელე ნათქვამია ამ მინიატურებში, ღრმა კვალს ვერ ამჩნევს ვერავითარი აღწერა ქალის ტანისა და თვით სქესობრივი L'idilio..."[1] გალაკტიონის აზრით, „თავი და თავია სიღრმე", რასაც მოკლებულია ქართული ბელეტრისტის თხზულებანი.

რეცენზიიდან ისიც ჩანს, რომ გალაკტიონი ჭეშმარიტ მწერალს ფილოსოფიის გვერდით აყენებს. ეს ნიშნავს: მხატვარიც მოაზროვნეა,მჩხრეკელი და განმსჯელი. იგი მოვლენათა უბრალო აღწერით კი არ უნდა იფარგლებოდეს, არამედ არსში წვდომას, ურთიერთობათა კანონზომიერების აღმოჩენას უნდა ცდილობდეს. ყოველივე ეს საფუძვლად უნდა ედებოდეს სახეთა შექმნას თუ ლირიკულ განწყობილებათა გამჟღავნებას. ემოციის განფენა სწორედ მაშინაა ეფექტური, როცა იგი ღრმა იმპულსებითაა ნასაზრდოები და ხშირ შემთხვევაში დილემური სიტუაციებიდან მომდინარეობს.

გალაკტიონის ძირითადი მოსაზრებები მისაღებია. აღსანიშნავია ისიც, ქართველი პოეტი ეროვნული ლიტერატურის საფუძვლიან ცოდნას ავლენს. ხსენებულ წერილში არსად არ არის ნახსენები იმპრესიონიზმი და სიმბოლიზმი, მაგრამ ნაწარმოების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ავტორი კარგად იცნობს მათ. გალაკტიონის ღრმა რწმენით, ქართული ლიტერატურა უნდა დაესესხოს მოწინავე ევროპულ მწერლობას. მაგრამ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 12.

ეს არ უნდა იყოს ბრმა მიმბაძველობა. იგი სასტიკად ებრძოლ ფსევდო-ევროპეიზმს და სამამულო მწერლობაში სუროგატების მომძლავრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე მსჯელობა იმანაც განაპირობა, ბატონ-ბატონ გვეჩვენებინა: რომ მგოსანი კარგად იცნობს „დაწყეველილ პოეტებს“ და მათ მიმდევრებს. ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1912 წელს გალაკტიონმა სპეციალური გამოკვლევა უძღვნა სიმბოლიზმს[1].

1915 წელს მზიანი დღეებიც საკმაოდ იყო. თუმდაც კ. ბალმონტთან შეხვედრები რად ღირს.

რუსეთის ერთ-ერთი უპირველესი პოეტი გემით მოგზაურობისას დაახლოვებია ოლივერ უირდროპს, რომელსაც გაუცვნია მისთვის ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. უნიჭიერეს მხატვარს მსწრაფლს შეუგრძნია რუსთაველის სიდიადე და აგზნებულა. დროთა განმავლობაში პოემისადმი ინტერესი გაღრმავებია და გადაუწყვეტია კიდეც რუსულად ეთარგმნა „სიყვარულის ცისარტყელა, ზეცისა და მიწის შემაერთებელი ცეცხლოვანი ხიდი“.

ქართველი საზოგადოება აღტაცებით შეხვდა ამ განზრახვას.

1914 წელს კ. ბალმონტი პირველად ეწვია საქართველოს. მეორედ 1915 წლის ოქტომბერში ჩამობრძანდა და ქუთაისიც მოინახულა. დიდი სამზადისი ჯერ კიდევ ზაფხულის მიწურულს დაიწყო.

პოეტები ბალმონტის ლექსებს თარგმნიან. პუბლიცისტები მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აშუქებენ. პ. იაშვილი საიდუმლოს უმხელს გალაკტიონს: ბალმონტის წიგნის გამოცემას ვაპირებ ქართულად და წინასიტყვაობის დაწერა ავტორს ვთხოვეთ.

ყველაფერი ბალმონტით გაიჟღინთა. ღრუბლებიც კი თითქოს მის სახელს წერენ ტატნობზე.

ქუთაისში სპეციალური კომიტეტი შეიქმნა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა სტუმრის მიღების პროგრამა. გალაკტიონი ამ კომიტეტის წევრად აირჩიეს. თანამემამულეთა ღელვა მასაც გადაედო.

არც ერთ სხდომას არ აკლდება. მორიდებით გამოთქვამს შენიშვნებს. დროდადრო ბალმონტის ლექსთა ნაწყვეტებს წარმოსთქვამს. აქებს „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს, ბრწყინვალედ ბრძანაო: რუსთაველი მზიდან მოდის, ბალმონტი

---

[1] იხ. ჩვენი გალაქტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია, 1993, გვ. 154-177.

კი მზისკენ მიდისო. სხვათა შორის, ბალმონტის შემოქმედებას ხაზგასმით უკავშირებდნენ მზეს. გრ. რობაქიძემ მისდამი მიძღვნილ ლექსს „დაჭრილი მზე"[1] უწოდა. ამგვარი დამოკიდებულება უსაფუძვლო როდია. გავიხსენოთ ბალმონტის ლექსთა კრებული, „ვიყოთ მზისდარნი", ან თუნდაც ფრთიანი გამოთქმა: Ум бледнеет без солнца.

გალაკტიონი, როგორც მთელი საქართველო თავს იხრის ბალმონტის წინაშე. „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა პოლიტიკურ ხარისხში აჰყავს. ამით ჩვენი სახელოვანი წარსული, ერის კულტუროსნობა და განათლებულობაც ცნაურდებაო.

არანაკლებ აფასებს დიდი პოეტის მეცნიერულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ბალმონტმა რუსეთი მოვლო საჯარო ლექციებით: „სიყვარული და სიკვდილი მსოფლიო პოეზიაში", „სიყვარულის ჯვაროსანი რუსთაველი", „დიდი იტალიელები და რუსთაველი", „პოეზია როგორც მისნობა" და სხვ. მისი საუბრები გამსჭვალული იყო საქართველოსადმი გულწრფელი სიყვარულით. ბალმონტმა მსოფლიო გიგანტებს დანტეს,პეტრარკას,მიქელანჯელოს ნაწარმოებებთან მიმართებაში განიხილა „ვეფხისტყაოსანი" და ნათლად წარმოაჩინა მისი საკაცობრიო ღირებულება.

„В звездной грозди четырех этих имен, сияющих, как полупрозрачные вязи, певучее имя Руставели мне кажется наиболее справедливо вознесенным"[2].

გალაკტიონს სხვა მხრივაც აინტერესებდა ბალმონტი. როგორც პოეტს კარგად იცნობდა. 1914 წელს ოლია ოკუჯავას სწერდა: ქალაქის ბიბლიოთეკამ ბევრი ახალი წიგნი მიიღო: მერეჟკოვსკის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ვიაჩესლავ ივანოვის და სხვებისო. თითოეულს საგულდაგულოდ ულრმავდებოდა.

და მიანც, როგორია იგი, სიმბოლისტთა ფალავანი? როგორ კითხულობს ლექსს,ყველაზე შთამბეჭდავად როდის გამოიყურება, პირად ურთიერთობაში რაზე ამახვილებს ყურადღებას?.. ეს და სხვა მსგავსი კითხვები არ ასვენებს.

გაახსენდა წაკითხული თუ გაგონილი: ბალმონტის ლირიკაში ქალური საწყისები მძლავრობს, ბრიუსოვთან კი მამაკაცურიო. ნეტავ ჩემს ლექსებში რას აღმოაჩენენ კრიტიკოსები?

5 ოქტომბერს კ. ბალმონტი ქუთაისში ჩამოვიდა. ძვირფას სტუმარს რაიონის სადგურში დახვდნენ. გალაკტიონმა სიტყვით

---

[1] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1915, №396.

[2] ლ. ანდღულაძე, ბალმონტი საქართველოში, 1972, გვ. 45.

მიმართა, რომელშიაც იგივე აზრი იყო გამოხატული, რაც შემდგ ლექსში ჩააქსოვა.

„შენ ლაჟვარდისკენ მონახე გზები,
შენ ჩაისუნთქე ხალისით ზეცა;
გრიგალებს, ქარებს ემიზეზები,
ქაოსმა თმები გადაგიკეცა“[1].

გალაკტიონი სამი დღე არ მოშორებია ბალმონტს. აღტაცებული იყო მისი უშუალობითა და გულწრფელობით, მოვლენების პოეტური აღქმით. მონუსხულივით შეჰყურებდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან ჩამომჯდარს, როცა წერდა: „Восхищенной страной Золотого руна“.

ბალმონტს არ უძნელდებოდა კონტაქტების დამყარება, ეს იმიტომაც, რომ უნიღბოდ დადიოდა. პირდაპირ აცხადებდა: ქუთაისი მაჯადოებს აღმოსავლური ბრწყინვალება-სიმსუყითა და ევროპული დახვეწილობითო. ეს უძველესი ქალაქი თითქოს მშველის კიდეც სამყაროს უცნაურობათა და კანონზომიერებათა შეცნობაშიო.

ხშირად ესმოდათ მის თანამგზავრებს: ზუსტად ისეა, როგორც იავაში, ძალზე გავს კაპრის ბუნებას, აქ უფრო მეტი სინაზეა, ვიდრე ვალენსიაში... ქუთაისიდან 7 ოქტომბერს გაგზავნილ ბარათში ბალმონტი, ე. ანდრეევას სწერს:

„...Сейчас за мной придут, и я отправлюсь на чествование. Будет музыка, речи, цветы и стизхи. Будет ликование, какого там в Рассии не знают. Вчерашнее мое выступление было сплошным триумфом. Театр был переполнен...“[2]

აქგალაკტიონის მონათხრობსაც გავიხსენებ. ეგზალტირებული პოეტი ყვებოდა: – ზოგიერთებს არ მოეწონათ ბალმონტისა და ქართველების დაახლოება. ერთმა ბობოლა რუსმა ჩინოვნიკმა პოეტს პროვოკატორიც უწოდა და, იცი, როგორ ვლეწეთ?!

არ დაუზუსტებია, თუ ვინ „ლეწა“. ვერც იმას ვიტყვით, რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია. ერთი კი აშკარაა: მსგავსი ტენდენცია ნამდვილად შეინიშნებოდა. თვით ბალმონტს დავიმოწმებთ: – ბორჯომის საკრებულოში გამოვდიოდიო – სწერს იგი ანა ივანოვას – სავსე დარბაზი სულგანაბული მისმენდა. და აი, როცა ვამთავრებდი საუბარს, მავანი პოლკოვნიკი, ცნობილი იდიოტი, რომელიც პირველ რიგში იჯდა, დგება და ზედმეტი ხმაურით გადის.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VII, გვ. 170.

[2] ლ. ანდღულაძე, ბალმონტი საქართველოში, 1972, გვ. 152.

ამას რა მოჰყვა? რა თქმა უნდა, ბალმონტის აღშფოთება და მრისხანე სიტყვა: „Я кончил и сказал несколько слов такого взнесенного гнева, что вся зала устроила мне продолжительную овацию"[1].

ბალმონტთან გატარებული დღეები მრავალმხრივ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ეს იყო ჟამი პოეტური აალებისა, ხალხში ამაღლებისა, თვითდამკვიდრებისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბალმონტი სურათს იღებს ვ. რუხაძესა და გ. ტაბიძესთან. შემთხვევითია? არამც და არამც. ახალგაზრდა პოეტების შერჩევა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ხდება.

გავიხსენოთ ისიც, რომ ახალგაზრდა ქუთაისელი მწერლებიდან სწორედ ვ. რუხაძე და გ. ტაბიძე მიავლინეს საჩხერეს აკაკის გამოსვენებაზე. მაშასადამე, საქმე გვაქვს გაბატონებულ შეხედულებასთან: გალაკტიონი ნიჭიერი და გამორჩეული ახალგაზრდა მგოსანია.

მართალია, ზოგჯერ მას ვ. რუხაძის შემდეგ იხსენიებენ, მაგრამ ეს ნაწილობრივ ამ უკანასკნელი ასაკობრივი სოლიდურობითა და პოეტური სტაჟით, ნაწილობრივ კი დემოკრატიულ ფენებთან დიდი სიახლოვითა და მისი შემოქმედების სოციალისტური მიმართულებებით აიხსნება. ხოლო ვისაც ჭეშმარიტი პოეზიის ხიბლი გაეგება, იგი ამგვარ შეპირისპირებას არც ახდენს; მისთვის გალაკტიონი მზეთამზეა. შემთხვევითი არ არის, რომ გრ. რობაქიძემ 1915 წლის ქართული ლიტერატურის ფრაგმენტული მიმოხილვისას ვ. რუხაძე არც კი გაიხსენა. ხოლო კ. გამსახურდია 1923 წელს ერთ კრიტიკოსს, რომელმაც ვ. რუხაძე სკოლის ხელმძღვანელად გამოაცხადა, მკაცრად შენიშნა: „ჩვენ არ ვიცით, რა სკოლა აქვს ვარლამ რუხაძეს ქართულ ლიტერატურაში. ან რა იდეოლოგიით გაუმარჯვნია მას საქართველოს მწერლობაში. მისი დამსახურება ეს არის, რომ მან ნაწილობრივად აკაკის და ნაწილობრივად ევდოშვილის ჰანგები და იდეები გადაიმღერა"[2].

დღეს ვ. რუხაძე მიეწყებულია. ეს კი მეორე უკიდურესობაა. მისი შემოქმედება უთუოდ იმსახურებს საფუძვლიან შესწავლას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეპოქის სპეციფიკის უკეთ შეცნობის აუცილებლობა განაპირობებს ამას.

გალაკტიონი იმდენად ზეობს, რომ მავანნი და მავანნი მის გვერდით ყოფნას ბედნიერებად თვლიან. ლიტერატურის

[1] ლ. ანდღულაძე, ბალმონტი საქართველოში, 1972, გვ. 170.

[2] კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი რვა ტომად, ტ. VIII, გვ. 177.

მოყვარულნი, მათი სახელი კი ლეგიონია, აღტაცებით ეგებებიან მგოსნის ახალ ლექსებს.

თითქმის დაკანონდა: გალაკტიონი ყველა დიდი პოეტური ზეიმის მონაწილეა. ზოგი სწორედ მის გამო ესწრება ლიტერატურულ საღამოს, რასაც კარგად გრძნობენ „მეცენატები" და აფიშაზე გალაკტიონის სახელს პირველ რიგში იხსენიებენ. ზოგჯერ ეს მასთან შეუთანხმებლად ხდება, რაც პოეტის აბობბქრებას იწვევს. ანალოგიურ შემთხვევებს პოეტი აღიქვამს არა მხოლოდ პირად შეურაცხყოფად, არამედ ლიტერატურული საქმის უპატივცემულობად.

დავესახოთ ერთ არცთუ გახმაურებულ ფაქტს. 1915 წელს გალაკტიონი აქვეყნებს „წერილს რედაქციის მიმართ": „ამას წინად შემთხვევით ერთ პატარა დაბაში მოვხვდი და ქუჩებში გაკრულ აფიშებზე ჩემის თვალით წავიკითხე: გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ესა და ეს მწერლებიო – ჩამოთვლილი იყო რამდენიმე მწერალი და მათ შორის მეც. ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, მე არავისთვის პირობა არ მქონდა მიცემული საღამოში მონაწილეობის მიღებაზე. ეს იყო მხოლოდ შანტაჟი. საღამოს ინკოგნიტოდ დავესწარი და გავიგონე, თუ როგორ გამოაცხადა ერთმა ჩემთვის უცნობმა პირმა: გალაკტიონ ტაბიძე ავადმყოფობის გამო საღამოში მონაწილეობას ვერ იღებსო. ეს ხდება პროვინციაში.

მოგეხსენებათ, ქუთაისშიაც ხშირად იმართება საღამოები და ძლიერ ძვირად ნახავთ აფიშებს, რომელზედაც ჩემი სახელი და გვარი არ იყოს გამოცხადებული. ყოველ ამგვარ აფიშის წაკითხვის შემდეგ მე სახტად ვრჩები: არავის არაფერი უთქვამს ჩემთვის და ისე კი მაცხადებენ"[1].

პოეტის აღშფოთება კანონიერია. მაგრამ განა შეიძლება ყველას ერთნაირად მიეზღოს? ბოლო აბზაცში მან ლახტი გადაჰკრა ი. გრიშაშვილსაც. „ამჟამადაც ხელში მიჭირავს ქუთათური გაზ. „სამშობლოს" ერთი ნომერი, რომელშიდაც სწერია: გაიმართება გრიშაშვილის საღამო, მონაწილეობას მიიღებენ ესა და ეს პირნიო და იმათ შორის მეც"[2].

ნუ დავივიწყებთ, რომ ი. გრიშაშვილი გალაკტიონის პატივისმცემელია, მისი ნიჭის დამფასებელი. ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ მათი ურთიერთობა ამხანაგურ

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 298.

[2] იქვე.

დამოკიდებულებაზე მეტია. ამიტომ, როცა პ. იაშვილმა ურჩია, განცხადებაში გალაკტიონის გვარიც შეეტანა, არ შეყოყმანებულა, მით უფრო, რომ პაოლო არწმუნებდა: გალაკტიონი „ჩვენია".

გალაკტიონის „განმარტებამ" ააღელვა და შეაწუხა ი. გრიშაშვილი. იგი საყვედურობს პ. იაშვილს: „ეს სულ შენ შემძღვენი, რა გინდოდა ჩემგან".

პაოლო პასუხობს: „შენ კარგათ იცი, რა მიზეზებითაც დაგაწერინე გ. ტაბიძე: ის იყო ჩვენი მეგობარი, აქამდის მაინც. მაგრამ სჩანს ახლა სხვა მეგობრები გაჩენია და რა გზაზედაც დაუყენებიათ მათ, იგი ამ შემთხვევიდანაც ჩანს. „თანამედროვე აზრში" მოთავსებულ წერილს ჯერ არ ვიცნობ. დღესვე წავიკითხავ და შენი თხოვნისგვარად წერილსაც მოვიწერები შენს სახელზე. შენ დაბეჭდე სადაც გსურს"[1].

გალაკტიონის რეაქცია ზოგიერთმა შეიძლება მოულოდნელად და არცთუ სულ მართლებურად ჩათვალოს, მაგრამ, ვინც პოეტის შინაგან სამყაროს იცნობს, ასეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეექმნას.

ამ შემთხვევაში ორი მიზეზი გადაეწნა ურთიერთს – პიროვნული და საზოგადოებრივი. ხსენებული ინციდენტით კარგად ვლინდება გალაკტიონის ხასიათი, საკუთარი ღირსების გრძნობა. იგი მხოლოდ ლექსში როდი აცხადებს – არავინაა ჩემი ტოლი და ჩემი მსგავსიო, არამედ ყოფაშიც ძალუმად ავლენს ამ ტენდენციას. პოეტი მოითხოვს საფუძვლიან პატივისცემას, მოკრძალებას, თაყვანისცემასაც კი. ასე რომ, სიცოცხლის მიმწუხრს მძაფრად გამქლავნებული ეს თვისებები ადრევე ცნაურდება, მაგრამ შედარებით შენიღბულად და უფრო ნაკლები კატეგორიულობით.

ალბათ, მსჯელობა უკმარი იქნება, თუ ერთ გარემოებასაც არ გავითვალისწინებთ. ცისფერყანწელებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო და განუყოფელი. ზოგ რამეს არც კი უთანხმებდნენ ერთმანეთს. თამამად მოქმედებდნენ ძმობის კანონიდან გამომდინარე. პ. იაშვილი ხაზს უსვამს კიდეც ამ გარემოებას: „ცისფერი ყანწები" ერთი პოეტია. ამაშია მისი ძალა[2].

გალაკტიონს არ შეუძლია სხვებთან განზავება.

უსამართლოა?

ულმობელია?

არა გვგონია. ერთი კი ცხაზდე ცხადია – ამაყი და დაუმორჩილებელია.

ამ პატარა შენიშვნაში იგრძნობა არწივის გამოხედვა და

[1] ჟურნ. „მნათობი", 1968, №10, გვ. 146.

[2] გაზ. „ბარიკადი", 1924, №1.

კლანჭებიც.

იქნებ ზედმეტი არ იყოს შემდეგი დეტალის გახსენებაც. 1914 წლის „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა ვრცელი წერილი ერთ-ერთ ახალგაზრდა თბილისელ პოეტზე. კრიტიკოსი დემოკრატიული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლად მიიჩნევდა მას, ი. ევდოშვილის, ია ეკალაძის, ვ. რუხაძის, ბ. ახოსპირელის, კ. მაყაშვილის გვერდით აყენებდა (გალაკტიონის ხსენებაც არ იყო) და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა.

ჩანს,ასეთ პოზიციას გაუღიზიანებია გალაკტიონი. ხსენებულ ფაქტში საკუთარი დამსახურების უგულებელყოფა თუ დაკნინება დაუნახავს და პროტესტიც მკაფიოდ გამოუხატავს. წერილში ჩართული იყო ახალგაზრდა მგოსნის პორტრეტი, რომელიც შეუფერადებია გალაკტიონს და, რაც მთავარია, პიროვნება რქებით „დაუმშვენებია“.

საქმე ისაა, რომ ეს პოეტი გალაკტიონის მახლობლად ითვლებოდა. სხვათა შორის, მათ ბოლომდე შეინარჩუნეს კარგი ურთიერთობა. არა მხოლოდ ტრაპეზს უსხდნენ გვერდიგვერდ, არამედ ცალკეულ შემთხვევებში მხარსაც უმაგრებდნენ ურთიერთს ლიტერატურულ ბრძოლებშიაც.

და მაინც: გალაკტიონი ულმობელია. აქაც ნათლად გამომჟღავნდა მგოსნის ხასიათი. როცა საკითხი პოეტურ ინტეგრალებს ეხება, გალაკტიონი უკომპრომისოა და ზოგჯერ ზედმეტად მკაცრიც კი.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გაღიზიანებული თავმოყვარეობაც წარმართველობს,ადამიანური სისუსტენი იჩენს თავს,მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის.

შეიძლება ითქვას, რომ 1915 წლის მიწურული და 1915 წლის დასაწყისი წყალგამყოფია. მხედველობაში გვაქვს ცისფერყანწელებთან ურთიერთობა. იქნება გალაკტიონი მათთან, თუ მარტო ივლის?

„განმარტება“ ქვეტექსტით გვაწვდის პასუხს ამ კითხვაზე. ეს პატარა შენიშვნა გაფრთხილებაც არის და ხელთათმანის გადაგდებაც: მე არავისში ავითქვიფები, არც არავის მივცემ უფლებას „მმართოს“.

ღრმად სწამდა, რომ იგი მოვლენილი იყო ამქვეყნად, რათა თავად ეკარნახა სხვებისათვის და არა... პირუკუ.

როგორც ვნახეთ, გალაკტიონი ქუთაისის ინტელექტუალურ ცხოვრებას ძალას და რიტმს მატებს. ამდენად, მოულოდნელი როდია,რომ უჩნდება სურვილი მწერალთა კავშირის დაფუძნებისა. ამისათვის ობიექტური პირობებიც არსებობდა.

მეოცე საუკუნის ქუთაისი აგრძელებს და ანვითარებს დიდ კულტურულ ტრადიციებს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 1915 წელს ამ ქალაქში ათზე მეტი პერიოდული გამოცემა და შვიდ ათეულზე მეტი წიგნი იბეჭდება. ადგილობრივი მწერლები უხვად აწვდიან მასალებს სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებსაც.

მსგავსი ინტერესებისა და ხასიათის შემოქმედნი ბუნებრივად ილტვიან ურთიერთისაკენ,რასაც მოსდევს ჯგუფთა ფორმირებების სურვილი. ხსენებული ტენდენცია მისასალმებელია, რადგანაც კორპორაციებს მეტად ძალუძთ ლიტერატურული პროცესების ანაკადება და შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესება. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამ გზაზე განსაკუთრებული ტაქტი და სიფრთხილეა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ჯგუფთა დაპირისპირება და ისედაც დაჩიხული საზოგადოებრივი ყოფის კიდევ უფრო გამწვავება.

ყველაზე გაბედულად, გამომწვევადაც კი, სიმბოლისტები მოქმედებენ, ისინი ქმნიან საკუთარ ორდენს და მკაფიოდ ემიჯნებიან სხვა ლიტერატორებს. მეორე მხრივ, ვ. რუხაძე, ნ. ჩხიკვაძე და მათი მსგავსნი რევოლუციურ-პოლიტიკური სექციის ფორმირებას ცდილობენ. თვალსაჩინოა სხვათა პრეტენზიებიც.

გალაკტიონი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს როგორც სიმბოლისტებთან, ასევე პროლეტარულ მწერლებთან. მის უღრმესსა და მრავალწახნაგოვან პოეზიაში სხვადასხვა ჯგუფისათვის ხელჩასაჭიდი მასალა მრავლად იძებნება. მაგრამ გალაკტიონი მაინც დამოუკიდებელია. იმ მქუხარე და წყალუხვ მდინარეს ემსგავსება, რომელიც მრავალ ნაკადულს იერთებს და მაინც თავისთავადი რჩება. მერე ფართო დელტად იშლება და უერთდება ზღვას.

გალაკტიონი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს. სამართლიანად ფიქრობს, რომ დაქსაქსული წრეების თუ განცალკევებულ შემოქმედთა გაერთიანებით ლიტერურული ცხოვრება მძლავრ კალაპოტში მოექცევა და ერთიანი ძალისხმევით საბოლოო მიზანიც უკეთ მიიღწევა.

მეორე მხრივ, სუბიექტური მოსაზრებაც იწვევს წინა პლანზე. პოლ ვალერის თქმისა არ იყოს, ჩვენი მტრების გამრავლება ჩვენი ზრდის პირდაპირ პროპორციულია. ისიც ფაქტია, რომ საზოგადოების თვალსაჩინო ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს გალაკტიონის ღირსეულად დაფასებას. გავიხსენოთ თუნდაც 1916 წლის დეკემბრის მარცხი, თითქმის ჩაშლილი ლიტერატურული საღამო.

სახარბიელო სურათი არც წინა წლებში იხატებოდა. ამიტო-

მაც წამოცდა ერთგან: „ღირს განა ქართველებისათვის თავის განწირვა?“

ეს ეგზალტირებული პიროვნების წამოძახილია, თორემ სხვა შემთხვევაში არც კი დასმულა მსგავსი კითხვა. გალაკტიონს კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი მისია და საშური ერთგულებითაც ეზიდება წამების ჯვარს. მთელი მისი ცხოვრება ერისათვის შეგნებული თავშეწირვის მაგალითია.

დიახ, გალაკტიონი მარტოდმარტოა. მის მიმართ სიმპათიების გამომჟღავნება მაინც არაპერმანენტულია. საჭიროა თანამოაბჯრენი. მით უფრო, როდესაც გარკვეული წრეების ლტოლვა პირველი ეშელონის დაკავებისაკენ დიდზე დიდია; როცა მავანი და მავანი თავისი მეგობრის გაღმერთებით ხელს უწყობს ტენდენციური საზოგადოებრივი აზრის შექმნას.

გალაკტიონმა კარგად იცის საკუთარი თავის ფასი. აკი პირდაპირ ამბობს: „მეფე ვარ და მგოსანი“ და ეჩვენება (არა, კი არ ეჩვენება, ნამდვილად გრძნობს), რომ ზოგიერთები მის გარიყვას, მეორეხარისხოვნებაში გათქვეფას თუ ნიველირებას ესწრაფვიან.

ჩნდება თვითდაცვის ინსტინქტი და მგოსანიც მისთვის დამახასიათებელი ნერვიული გატაცებით ცდილობს ვითარების შეცვლას. ამ გზაზე მას უპირველეს ამოცანად ესახება მწერალთა ასოციაციის მეთაურობა. მაშინ ძალები მის სასარგებლოდ გადანაწილდება. საზოგადოებაც მეტი პატივისცემითა და მოკრძალებით მოეპყრობა. ეს კი ესალბუნება მგოსნის თავმოყვარეობას.

გალაკტიონი არ გამორიცხავს,რომ მის წამოწყებას შეიძლება დიდი წინააღმდეგობა შეხვდეს. მაგრამ მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი. არსებითად უფროსი თაობის ლიტერატორებზე – დ. კლდიაშვილზე,ცახელზე,ი. ფანცხავასა და სხვებზე ამყარებს იმედს.

სხვათა შორის, გალაკტიონი ჭაბუკობიდანვე უდიდეს პატივისცემასა და მოკრძალებას ამჟღავნებდა დ. კლდიაშვილისადმი. დავესესხებით ადრეული წლების უცნობ ჩანაწერს: „ნამდვილი ნიჭი მწერლისა იმაში იხატება, როცა ცოტას ამბობს და ცოტათი ბევრ რამეს გვეუბნება, ბევრ რამეს გვიხატავს. დ. კლდიაშვილი ამ მწერლების რიცხვს ეკუთვნის. პატარაა მისი მოთხრობა „მრეველში“, მაგრამ ვინ იცის, რამდენ ფიქრთა და წარმოდგენათა აღმძვრელია იგი“.

ეს სიმპატია არ ყოფილა ცალმხრივი. დ. კლდიაშვილიც სიყვარულით პასუხობდა გალაკტიონს, რისი დასტურიცაა

მრავლისმთქმელი წერილი „შვენება და სიამაყე ლირიკული პოეზიისა“.

დიახ, გალაკტიონს იმედი აქვს „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლებისა. ამასთანავე დაჯერებულია, ბევრი ახალგაზრდა გაჰყვება.

პირველ რიგში დაზვერვით სამუშაოს აწარმოებს, რაც ძირითადად ცალკეულ პირებთან ნიადაგის მოსინჯვაში გამოიხატება. როცა მათ დაინტერესებას ამჩნევს, უფრო ვრცლად აყალიბებს თავის თვალსაზრისს და ამგვარი აგიტაცია-პროპაგანდიდან მომდინარე შედეგებს აჯამებს.

მეორე მხრივ, ეცნობა მსგავსი გაერთიანებების წესდებებს; თითოეულ მუხლს ჩაჰკირკიტებს და საკუთარი პროგრამის პირველ მონახაზს ქმნის.

მუშაობა დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. გალაკტიონი კარგად იცნობს ქუთაისის საზოგადოებას. გამორიცხული არ არის, რომ „ხმამაღალმა“ განცხადებამ ბევრი ააღელვო და გააღიზიანოს, რასაც, საფიქრებელია, საქმის ჩავარდნა თუ არა, შეფერხება მაინც მოყვეს. ამიტომაც ფრთხილობს. ამაზე მიგვანიშნებს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული ცნობაც: „ლიტერატურული წრის დაარსება განუზრახავთ ქუთაისში. თაოსნობს გ. ტაბიძე. წესდებას ამ მოკლე ხანში წარადგენენ დასამტკიცებლად“[1].

ამასვე იუწყება „სახალხო ფურცელი“: „ქუთათურ ახალგაზრდა მწერალთა ერთ ჯგუფს გ. ტაბიძის მეთაურობით განზრახვა აქვს დააარსონ მხატვრულ ნაწარმოებთა მოყვარული წრე“[2].

ინფორმაციებში წრე იხსნება. მაგრამ ეს სრულიადაც არ გულისხმობს ორდინალურ ლიტერატურულ სალონს. გაერთიანება საკუთარი წესდებითა და პროგრამით იმოქმედებს. იგი მძლავრ ორგანიზაციულ ერთეულად ჩამოყალიბდება.

გალაკტიონი უფრო შორს იხედება. მართალია, კორპორაციის პირველი ნაბიჯები მოკრძალებული იქნება, მაგარმ მომავალში ამ გაერთიანებამ მთელი დასავლეთ საქართველო უნდა მოიცვას და, ვინ იცის, იქნებ...

ჩვენთვის უცნობია, თუ როგორი სახე მიიღო წესდებამ, როგორ ჩამოყალიბდა ზოგადი დებულებები, წევრთა უფლება-მოვალეობანი, ასოციაციის სტრუქტურა და მართვის პრინციპები...

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №36, გვ. 16.

[2] გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, №385.

მაგრამ გალაკტიონის ბუნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი აგებული იქნებოდა დემოკრატიულ საწყისებზე, მაღალი ჰუმანიზმის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

სამწუხაროდ, გალაკტიონის ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. რა იყო ამის მიზეზი? მავნთა და მავანთა გულგრილობა. ზოგიერთი ლიტერატორის ხრიკები, თვით გალაკტიონის არათანმიმდევრულობა თუ სხვა? ეს საგანგებო კვლევას მოითხოვს. ერთი რამ კი ამთავითვე შეიძლება ითქვას.

გალაკტიონი ბუნებით არ იყო მომართული დიდი ორგანიზაციული საქმეების წასაძღოლად. არც სათანადო ნიჭი ჰქონდა და არც შესაბამისი დიპლომატია. რაც მთავარია, მოკლებული იყო ამ მხრივ აუცილებელ გაბმულ მუშაობის უნარს. საერთოდ, გალაკტიონი უჩვეულო გატაცებით ეკიდებოდა ყოველ სასურველ წამოწყებას, მაგრამ ბოლომდე ვერ ინარჩუნებდა, და არც შეეძლო შეენარჩუნებია, თავდაპირველი აგზნება-პათოსი.

მცირე ხანიც... და ზემოდან კვლავ მძლავრად მოისმოდა სხვა ზარების გუგუნი; პოეტური ძარღვი გასკდომამდე იბურცებოდა და ისიც ძირითადს უბრუნდებოდა — პოეზია უპირველეს ყოვლისა. სხვა საქმისათვის როგორ სწრაფადაც აალდებოდა, ისევე სწრაფად მინავლდებოდა. ეს იყო გენიოსისათვის ნიშანდობლივი ქმედება. რამდენადაც მთელი მისი არსება-გონება და ნიჭი ერთი კუთხით იყო მიმართული, მას ლოგიკურად არ შეეძლო პოეზიის მიღმა არსებულ საკითხებზე ხანგრძლივად და ჯიუტად შეჩერება. საკითხის მეორე მხარეც ფრიად საგულისხმოა. მოხმობილი ფაქტი კიდევ ერთი მეტყველი დადასტურებაა ქუთაისთან გალაკტიონის უგულითადესი კავშირისა, ამ „ზღაპრული ქალაქის"

---

[1] როგორც ირკვევა, ქუთაისში მომწიფებული იყო მწერალთა კავშირის ჩამოყალიბების იდეა და ერთ-ერთ პირველს გალაკტიონს გადაუდგამს შესაბამისი ნაბიჯი.

საგულისხმოა, რომ 1916 წელს კიდევ უფრო გამძაფრებულა ეს საკითხი. ივ. ეკალაძეს საგანგებო წერილი დაუბეჭდავს. საქმეც დასრულდა... „15 დეკემბერს ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში შესდგა ლიტერატორთა პირველი კრება. კრება გაიხსნა საღამოს 7 საათზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მგოსანი ცახელი, ხოლო მდივანი ი. ეკალაძე. კრების მომწვევმა ვასო ჭითავამ გააცნო დამსწრეთ საზოგადოების მიზანი...

* * *

აქვე ამორჩეული იქნა კომისია 5 კაცისაგან შემდგარი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საზოგადოების წესდება. კომისიის წევრებათ არიან: ი. ნიკოლაიშვილი, გ. ფარქოსაძე, მ. ბოჭორიშვილი, ვ. ჭითავა და ი. ეკალაძე" (გაზ. „საშობლო", 1916, №510).

გალაკტიონი ამ დროს მოსკოვშია.

(როგორც თავად იტყოდა) განუსაზღვრელი სიყვარულისა და, რაც მთავარია, ადგილობრივი ძალების უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალის აღიარებისა, სრულიად საქართველოს სამსახურში მათი ჩაყენებისა.

კარგად გვესმის, დიდი მოვლენები არ უნდა დაიჩრდილოს ყოფით-ბიოგრაფიული ფაქტებით. ეპოქალური ძვრებით შექმნილი ატმოსფერო ხაზგასმით უნდა წარმოჩინდეს. ამიტომაც საგანგებოდ ვჩერდებით პირველ მსოფლიო ომსა და ცისფერყანწელთა მოღვაწეობაზე.

1914 წელი...

გადატეხილი მერიდიანები და თვალებდათხრილი ქალაქები.

დელგმა და წყვდიადი.

ომმა კაცობრიობა შეაზანზარა. პრესა ბობოქრობს. სხვადასხვა პრიზმაში ტყდება მოვლენები, ზოგი ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვირის „პატრიოტულ" ლოზუნგებს, ზოგიც წყევლა-კრულვით იხსენიებს ომის გამჩაღებლებს. ვინ უშუალოდ საომარ ბატალიებზე წერს, ვინ კიდევ საზოგადოების შეძრწუნებიდან მომდინარე სულიერ ტკივილებზე. ისიც უნდა ითქვას, რომ არც თუ იშვიათად, ომის თემა საბაბია, რათა სულ სხვა ხასიათის ჩანაფიქრი გამჟღავნდეს.

1914 წელს იწერება ვაჟას მშვენიერი ლექსი „ფშაველი ჯარისკაცის წერილი". ამავე ხანებში ქვეყნდება არაერთი საშუალო თუ სუსტი მხატვრული ნაწარმოები. მაგალითად გამოგვადგება თუნდაც კ. ნიკოლაძის „მეომრებს".

„წინ გავსწიოთ, წინ, წინ, ძმებო!
დავამარცხოთ ჩვენი მტერი,
თუ რომ გვინდა ცოცხალ იყოს
ჭირნახული ჩვენი ერი!..
წინ გავსწიოთ, წინ, წინ, ძმებო!..
ხედავთ ცაში გაჩნდა ჯვარი!
ნიშანია: ღვთის წყალობით
გაიმარჯვებს ჩვენი ჯარი!.."[1] და ა. შ.

ამ ლექსისგან დიდად არ განსხვავდება რ. საჯავახოელის „დაჩხავლა" და სხვ.

არაფერს ვლაპარაკობთ პუბლიცისტურ წერილებსა და საჯარო გამოსვლებზე. სხვათა შორის, 1914 წლის მიწურულს გრ. რობაქიძემ წაიკითხა ლექცია „ევროპის ომი და რუსეთის იდეა".

დიახ, ბევრი ხაზგასმით გამოეხმაურა ომს. მაგრამ იყვნენ

[1] გაზ. „იმერეთი", 1915, №10.

ისეთებიც, რომელთა პოეტურ შემოქმედებაში ეს უზარმაზარი მოვლენა არ ან სუსტად აირეკლა.

1915 წლის 7 ივლისს პაოლო იაშვილი იოსებ გრიშაშვილს წერს: „...ომის შესახებ არაფერს არ ვკითხულობ და ალარ მაინტერესებს".

ახლა ტიციან ტაბიძეს დავუგდოთ ყური. იგი შენიშნავდა: ქართულ მწერლობაში ომი სათანადო სიძლიერით ვერ აისახა. მართალია, „დიდი უმეტესობა იმათგანი ეხლა ალბად მარტო ავტორებს თუ ახსოვთ". მხოლოდ ვაჟას „ფშაველი ჯარისკაცის წერილი" და კ. მაყაშვილის „რაინდ სამშობლოს" იმსახურებს მაღალ შეფასებას. ტიციანი დასძენს, მოველოდით, რომ ს. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, შ. ამირეჯიბი, ს. აბაშელი მონახავდნენ ახალ სიტყვებს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. „იქნებ ჯერ კიდევ ადრეა, იქნებ ჯერ კიდევ არ ამოქსოვილა მათ სულში ძაფები"[1].

„ომი ქართული მწერლობაში", საიდანაც ეს ამონარიდებია მოტანილი, 1915 წლის ოქტომბერში დაიწერა. იქნებ შემდეგ შეიცვალა სურათი?

რა თქმა უნდა, აუცილებელი არ არის მაინცდამაინც დიდი ტილო შექმნა. შეძლება სიტუაციიდან მომდინარე შთაბეჭდილებები სხვაგვარადაც გამჟღავნდეს.

არსებითია ავტორის პოზიცია ხელჩასაჭიდი დეტალებითა და შტრიხებით ჩანდეს.

რა მდგომარეობაა გალაკტიონთან?

ოთხი შეშლილი წელი და თითქოს სრული დუმილი. შეიძლება ვინმემ „სასახლე ძველი" გაიხსენოს:

„მოაქვს გაზეთი მოსამსახურეს,
შორეულ ომის მოაქვს ცნობები.
სალამოს წიგნი მთებმა დახურეს,
მე მშვიდ არეებს ვემშვიდობები"[2].

და კიდევ: 1918 წელს შეთხზულ ერთ ლექსში ასეთი ფრაზა გაიელვებს: „შემდეგ აჩრდილი ომის". ეს არის და ეს. მაგრამ აქ ხომ ხსენებაა ომის და სხვა არაფერი.

რჩება „დღითი დღე ყოფნა შეიქნა ძნელი", რომელსაც მიწერილი აქვს: „1916 წ.".

ამ ლექსში მართლაც აისახა ომის საშინელება, ის ტრაგედია, რომელიც სარეველში გასროლას მოჰყვა. მაგარმ მისი დაწერის თარიღი საეჭვოდ ჩანს.

საქმე ისაა, რომ „დღითი დღე ყოფნა შეიქნა ძნელი" არ

---

[1] გაზ. „საქართველო", 1915, №126.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 295.

შესულა 1950 წლამდე გამოცემულ გალაკტიონის არც ერთ კრებულში. რაც მთავარია, წერის მანერით, სტილით, მხატვრულად ის საგრძნობლად განსხვავდება გვერდით მოთავსებული ნაწარმოებებისაგან. უფრო მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ამოვრადნილია საერთო ნაკადიდან. ვფიქრობთ, „დღითი დღე ყოფნა შეიქნა ძნელი" დაწერილი უნდა იყოს 40-იან წლებში.

არალირიკული გადახვევა: გალაკტიონისათვის უცხო როდია თარიღებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. თუმცა ხმამაღლა აცხადებს: ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ, მაგრამ პრაქტიკაში ამ თეზისის განუხრელი დამცველი არ ყოფილა.

კარგად მახსოვს, ტომეულების მაკეტს ვადგენდით. ხუთწლედების მიხედვით აჯგუფებდა ლექსებს. როცა ერთ ციკლში თხზულებათა მცირე რაოდენობა აღმოჩნდებოდა, მექანიკურად გადმოჰქონდა სხვა ხუთწლედებიდან და თარიღსაც შესაბამისად ცვლიდა.

ახლა თავს ვიკავებთ იმის გარკვევისაგან, თუ რატომ იქცეოდა ასე. შეიძლება მისთვის, მართლაც, მთავარი იყო ლექსი, როგორც ხელოვნების ნიმუში და გარკვეული თვალსაზრისით დროზე მაღლა მდგომი. შეიძლება სხვა მოტივიც ამოძრავებდა... ფაქტი ისაა, რომ ამგვარი აღრევები ბევრზე ბევრია, რაც შეუნიშნავი არ დარჩენიათ ლიტერატურის ისტორიკოსებს.

გალაკტიონი თითქოს დუმს[1]. ცხადია, ამას ვერ მივიჩნევთ ომისადმი პროტესტის გამჟღავნების ფორმად.

ომმა გალაკტიონს, როგორც პიროვნებას, დიდი ტკივილები მოუტანა; გაუმუქა დღეები და გაურთულა ყოფა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არმიაში გაწვევის საკითხი რეალობად იქცა და პოეტი უკიდურესად შფოთავს. შეწუხებულია იმითაც, რომ მის პირველ წიგნს არასასურველი ამინდი შეხვდა. ომმა სხვა კალაპოტით წარმართა საზოგადოების ფიქრები და ინტერესები.

ჩემი პირველი წიგნით ქვეყნის აფეთქებას ვაპირებდი. მაგრამ ჩემს მაგივრად იგი გერმანიამ ააფეთქა – ამას მოგვიანებით იტყვის მწერალი.

მაგრამ გალაკტიონი ხომ მარტო პირადი ინტერესებით არ ცხოვრობს. მას აფიქრებს ნათესავ-მახლობელთა, მთელი კაცობრიობის ბედი. ის რომ ომისადმი ინდიფერენტული არ არის,

[1] „ჩვენ დეპეშებით
მივიღეთ ომი
და ოქტომბერი
მზა-მზარეული" (გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 215).

ამაზე მეტყველებს ბევრი ფაქტი, უპირველეს ყოვლისა კი, 1914 წლის 28 დეკემბრის ჩანაწერი.

„ქუთაისში პანიკაა. შეძლებულნი მცხოვრებნი უკვე გარბიან ქალაქიდან, რჩება მხოლოდ ღარიბი და ხელმოკლე მოქალაქეობა. იტაცებენ დეპეშებს, რომლებიც, მათი აზრით, ძლიერ ცოტა ცნობებს იძლევა ჯარების მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მაინც იძლევა. ქუჩაში ხან აქ, ხან იქ დაინახავთ ჯგუფ-ჯგუფად დამდგარ ხალხს, დეპეშების კითხვაში გართულს. ომისადმი ინტერესს აძლიერებს ქუთაისის დღევანდელი მდგომარეობა, გუბერნატორის მიერ ქუჩებში გაკრული განცხადებები, სადაც იგი ითხოვს, რომ დასცალონ ქალაქი, სასწავლებლებისა და საზოგადო დაწესებულებების საქმიანი ქაღალდები გეორგიევსკში (ჩრდილოეთ კავკასიაში) გადაიტანონ. ბევრმა მასწავლებელმა უკვე აიღო საგზაო ფული, რომელსაც ხაზინა ურიგებს მათ, ბევრი კი მალე აიღებს. დაბალი ხალხი ხანდახან ღრმად არის დარწმუნებული, რომ თათრები უკვე გაბაშვილის გორაზე დგანან. გუშინ ხმა გავრცელდა, მთას იქით დიდი სროლის ხმა ისმოდაო. ხალხი გავრცელებული ხმის სიყალბეში ვერავინ ვერ დაარწმუნა. ხანდახან დეპეშები ამბავს მოიტანდნენ, რომ რუსების ჯარმა სასტიკად დაამარცხა ოსმალები – „ოსმალების საარაკო დამარცხება“ – გაიძახოდნენ გუშინ დეპეშების გამყიდველები. ხალხი მაინც გარბის“[1].

შემდეგ საუბარია სახალხო რაზმელებზე. მწერალი შეშფოთებულია მათი მოქმედებით. „დრუჟინა“ შედგენილია მეტწილად უსაქმური თავადაზნაურობით, დანის მოტრფიალე კინტოებით და გამურული ლაქიებითო. „ამათგან მოსვენება არა აქვს ქალაქს“.

პოეტსაც შეხვედრია უსიამოვნება. ცოცხლად დაწერილ ესკიზში კარგად ჩანს „დამცველი ძალის“ ხასიათი და ინტელიგენტთა შეჯირვება.

სხვათა შორის, ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი უცნობი ფაქტის წარმოჩენა. გალაკტიონს დაუწყია ა. ბარბიუსის „ცეცხლის“ თარგმნა და რამდენიმე თავი გაუმართავს კიდეც. ამ ნაწარმოებში ფრონტის წინა ხაზის ამბები, ჯარისკაცთა ფსიქოლოგია უჩვეულო ოსტატობით არის ნაჩვენები. ომს არა მხოლოდ ხედავ, არამედ თითქოს ფიზიკურად განიცდი.

გალაკტიონის არჩევანი იმაზე მეტყველებს, რომ პოეტი თანაუგრძნობს ფრანგ ბელტრისტს, იზიარებს მისეულ კვალიფიკაციას.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 294.

მართალია, რომანის თარგმნა მოგვიანებით ხდება, მაგრამ იგი მაინც ანგარიშგასაწევ ფაქტად გვესახება.

ერთი სიტყვით, იმპერიალისტურ ომს გალაკტიონი გარეშე მაყურებლის თვალით არ უცქერის.

და მაინც, მის ლირიკაში ამ უზარმაზარმა მოვლენამ პირდაპირ-ხაზგასმითი ასახვა ვერ პოვა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს გარკვეული ფილოსოფიურ-ესთეტიკური კრედოს გამჟღავნებაა და ასეთი კითხვებიც დაებადოს: ხომ არ იზიარებს გალაკტიონი სიმბოლისტთა თვალსაზრისს „მსოფლიო სულის“ გამოხატვის თაობაზე, ხომ არ შეიცნობა პარალელური დაპირისპირება წარმავალისა და მარადიულისა? ან იქნებ დროის მიღმა სამყაროს სილამაზის ჩვენების ტენდენცია გამოკრთის? თითქოს აქ უნდა დაგვესვა წერტილი, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა. ჩვენ მხოლოდ ერთი ასპექტით წარვმართეთ კვლევა. არადა მეორე მხარის აქცენტირებაც აუცილებელია.

მართალია, პირველი მსოფლიო ომი ემპირიულად არ აისახა გალაკტიონის შემოქმედებაში, მაგამ მისი გავლენა უთუოდ უნდა ირეკლებოდეს.

ზემოთ ვაჟას ლექსი ვახსენეთ. იქ რეალისტის პოზიცია ცნაურდება, გალაკტიონი კი არარეალისტია. გალაკტიონი იყენებს მხატვრული აზროვნებისათვის ნიშანდობლივ, მაგრამ მეოცე საუკუნემდე ქართულ პოეზიაში არცთუ გავრცელებულ ხერხს, როცა მოვლენის მოვლენასთან, საგნის საგანთან დაკავშირება ხდება არა ობიექტური, ფიზიკური ნიშნებით, არამედ ასოციაციით, იმ განცდით, რასაც ისინი ბადებენ. ამ მხრივ უბრწყინვალესია გალაკტიონის მეტაფორები, შედარებები. ლოგიკურად თუ მივყვებით ამ მსჯელობას, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ომის შთაბეჭდილებანი გალაკტიონის იმჟამინდელ პოეზიაში ირიბად აისახა. ესაა შიშისა და რღვევის, გაურკვეველი მომავლის, არცთუ იშვიათად უიმედობის განწყობილების მოძალება. რა თქმა უნდა, მათ სხვა გარემოებებიც კვებავდა, მაგრამ ომი ერთ-ერთი უპირველესი მიზეზთაგანი იყო. ამ თვალსაზრისით თუ გადავხედავთ 1914–1918 წლების ლირიკას, ბევრი რამ გასაგები გახდება. სურათი რომ უფრო სრული იყოს, ერთიც უნდა გავიხსენოთ. 20–30-იან წლებში გალაკტიონი წერს მშვენიერ პოემას „იგი – არმია“, რომელშიაც ძალზე მეტყველი და ემოციური დეტალებით წარმოჩენილია ომის საშინელება. ესეც იმის დადასტურებაა, რომ პოეტის სულში ღრმად ჩაიბეჭდა 1914–1918 წლების ამბები და მერე და მერე მათი მხატვრულად

გარდასახვის აუცილებლობაც შეიქმნა.

ამ პერიოდის მეორე უდიდესი მოვლენა გახლდათ ცისფერყანწელთა ორდენის ჩამოყალიბება. მასზე არცოუ ცოტა ითქვა, მაგრამ სიმბოლისტთა დახასიათება არსებითად ცნობილი სტერეოტიპის მიხედვით ხდება, როცა ხარვეზთა გამახვილებით მთლიანად იჩქმალებოდა დამსახურება.

XIX საუკნის საქართველო იცნობს ლიტერატორთა დარაზმულ გამოსვლას. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი ყველაზე რეზონირებული და შთამბეჭდავი ცისფერყანწელთა მოვლინება იყო.

მწერალთა ამ ძლიერი კორპორაციის ჩამოყალიბება მოულოდნელი როდია. ტიციან ტაბიძე საფუძვლიანად ეცნობა ბოდლერს, რემბოს, მალარმეს, უაილდის, ბალმონტის, ბლოკის შემოქმედებას. პაოლო იაშვილი პარიზს მიემგზავრება და იქაურ წვენში იხარშება. ვალერიან გაფრინდაშვილი ჟამსა სტუდენტობისა მოსკოველ სიმბოლისტთა მრავალი გახმაურებული შეკრების დამსწრეა და ა. შ. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქართულ სიმბოლისტურ სკოლას მიმბაძველობა ედოს საფუძვლად. ცისფერყანწელები ადგილობრივი ყოფიდან ამოდიან. მათი სულიერი კატაკლიზმები, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ცხოვრების სირთულითაა შეპირობებული.

ტ. ტაბიძე აღნიშნავდა: **„ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმის სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელიაო“**[1].

მთავარი მაინც ისაა, რომ თერგდალეულთა სკოლამ ამოწურა თავისი თავი. ყოველი ახალი შინაარსი ახალ ფორმას მოითხოვს და ეპოქამაც მტკივნეულად დააყენა არსებულის გადასინჯვის, ძიებისა და აღმოჩენების, ორიგინალური ხერხების მომარჯვების საკითხი.

1916 წლის თებერვალში გამოვიდა „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი. ეს იყო ორგანიზაციულად უკვე შეკრული ჯგუფის პრინციპული და მძაფრი ლიტერატურული განაცხადი. ჟურნალის რედაქტორმა, პაოლო იაშვილმა, „პირველთქმაში“ მკაფიოდ ჩამოაყალიბა ქართველ სიმბოლისტთა ძირითადი სათქმელი. მანიფესტის ძირეული ანალიზი ჩვენს მიზანს არ შეაგენს. მხოლოდ რამდენიმე არსებით მხარეს შევეხებით.

„საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილობით და ოცნება დაკრგულ ხალხს ვასწავლით

---

[1] ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916, №1.

განწმენდილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისაკენ. ხაყვარელმა ნიმფებმა ასწიეს ფარდა ჩვენი სცენისა, და ვგალობთ ოქროთი შემოსილი განახლების აქტიორები უსხივო ხალხის წინაშე"[1].

ამ განცხადებიდან ყურადღებას ვამახვილებთ არა ანდრესატის არცთუ სულ მართებულ დახასიათებასა და ანდრესატის ზედმეტ გაბედულებაზე, არამედ ორდენის ამაღლებულ მისიაზე – ხალხის სამსახურისა და განახლების სურვილზე. ეს თვალსაზრისი არაერთგზის გაიხაზება წერილში.

„ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფურ ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა. უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე – ამაღლდეს ერი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას. ხალხი, რომელიც უარყოფს დიდების სურვილს, ჰგავს ავათმყოფს, რომელმაც იგრძნო კოცნა სიკვდილისა და კიდევ ელის სიცოცხლეში დაბრუნებას. ჩვენ ვკლავთ შიშს თავის ბნელ მანტიაში და ვუმღერთ რაინდობას, სიჭაბუკეს და ალურ სიხარულს"[2].

აქაც ხომ პატრიოტული ტენდენციის განფენაა. წინ არის წამოწეული მამულისა და ხალხის სიყვარული.

არსებულის უარყოფა არსებულის განახლებასაც გულისხმობს და ეს პათოსი მძლავრობს ჟურნალში.

ასეთი დებულების გვერდით გვხვდება განსხვავებული მოსაზრებებიც. მაგალითად, „გეწამს ყოველივე ორგია. ვადიდებთ დამსხვრეული მშვენიერებას, უარვყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაში"[3]. ან: „ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები..."[4] და ა. შ.

ახლა მოვუსმინოთ ცისფერყანწელთა თეორეტიკოსს ტიციან ტაბიძეს: „ცისფერი ყანწები" როგორც შკოლა თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად"[5]. და შემდეგ: „რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად ჩვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკვთება ქართული იდეა. საქართველოს ხელოვნების მომავალიც ამ იდეის გაშლით გაიზომება"[6].

---

[1] ჟურნ. „ცისფერი ყანწები", 1916, №1.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე, №2.

[6] ჟურნ. „ცისფერი ყანწები", 1916, №2.

ტიციანს სჯერა, რომ დაიწყო ქართული ხელოვნების რენესანსი. იგი ოცნებობს, დიდ მხატვარში ურთიერთს შეხვდნენ რუსთაველი და მალარმე. ეს მოსაზრება შეიძლება ასეც გავიგოთ: აუცილებელია კარჩაკეტილობის წინააღმდეგ ბრძოლა და მსოფლიო კულტურის მიღწევების ათვისება, ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს შერწყმა.

ტ. ტაბიძე აფიქსირებს ვიაჩესლავ ივანოვის გამონათქვამს – რუსული ხელოვნება ყვავილის ნაცვლად ხორბლად იქცა და დასძენს: ქართველი სამოციანელების მიერ შემოტანილი ეს ხორბალი ქერად აბიბინდაო.

ცხადია, აჭარბებს. ეს დებულება მოულოდნელად არ მოგეჩვენება, თუ ტიციანის ერთ-ერთ ძირად თეზისს გავიაზრებთ; რომ რუსთაველის შემდეგ ყველაზე დიდი პოეტი ბესიკია. ბესიკისათვის პირველობის პალმის მიკუთვნება იმან განაპირობა, რომ მის შემოქმედებაში ტიციანმა სიმბოლიზმის ნიშნები დალანდა.

შეუძლებელია იმ მოსაზრების გაზიარება, რომ ქართულმა პოეზიამ XIX საუკუნეში დეკადანსი განიცადა, რომ თერგდალეულებმა ლექსი დაასაჭურისეს. სამოქალაქო მოტივის წინ წამოწევა და თუნდაც პუბლიცისტური ლირიკის გაძლიერება სრულიადაც არ ნიშნავს მხატვრული აზროვნების შელახვას, პირიქით ლიტერატურის მრავალფეროვნების წარმოჩენას, ეპოქის მოთხოვნილებაზე პასუხის გაცემას გულისხმობს.

სიმბოლიზმის უარყოფით ნიშან-თვისებებზე როცა საუბრობენ, უწინარესად, მხედველობაში აქვთ სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისადმი გვერდის ავლა, სინამდვილის მეცნიერული შემცნების საჭიროების უარყოფა, ფორმალიზმის პრინციპების დაცვა, ბოჰემური არტისტიზმი და ა. შ. იმასაც მიუთითებენ, რომ ცისფერყანწელები არ ყოფილან ორთოდოქსი სიმბოლისტები. მათ ნააზრევსა და მხატვრულ პრაქტიკაში საკმაოდ იჩენს თავს ფუტურიზმის ნიშნები, რეალისტური თვალთახედვის ელემენტები და, რაც მთავარია, ეროვნული მოტივი.

ცისფერყანწელთა გამოსვლა იყო პროტესტი არსებულის მიმართ. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტური გახლდათ იგი.

ცისფერყანწელთა უკიდურესობა ჯოხის მეორე მხარეს გადახრას მოჰგავს. ამას კი დიდ მინუსთან ერთად გარკვეული პლუსიც ახლავს. მაგრამ ცისფერყანწელთა გამოსვლაში ხაზგასმული მაინც სხვაა, კერძოდ, გზნება ლიტერატურული ცხოვრების გადახალისებისა და მხატვრული ოსტატობის ახალ

საფეხურზე აყვანისა. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ ახალი ფორმების დამკვიდრება,როგორიცაა თუნდაც ტრიოლეტი, არამედ თვალსაჩინო ცვლილებები რიტმიკაში, – ბგერწერაში და ა. შ. არსებითია ის ევოლუცია, „რომელიც განიცადა ქართულმა პოეტურმა აზროვნებამ, სახეთა სისტემამ, მეტაფორისტიკამ... მოხდა მხატვრული, გამომსახველობით საშუალებათა მნიშვნელოვანი გამდიდრება“[1].

და ერთიც, რაც ჩვენი აზრით, ძალზე საგულისხმოა და საგანგებო შესწავლა-გააზრების საგანი უნდა გახდეს ეს არის ცისფერყანწელთა მიერ სიტყვაკაზმული მწერლობის, როგორც ასეთის, ჭეშმარიტი საგნისა და სპეციფიკის განსაზღვრის, მხატვრული ლიტერატურის,როგორც დამოუკიდებელი ფენომენის, სიწმინდის დაცვის მოთხოვნა.

როგორ შეხვდა საზოგადოება ახალგაზრდა შემოქმედთა გამოსვლას?

მკითხველთა ერთმა ნაწილმა დიდი უკმაყოფილება გამოხატა. აი რამდენიმე ამონაწერი პრესიდან.

„ქუთაისში გამოვიდა აგერ ახლა ქართველი სიმბოლისტების პატარა კრებული, რომლის მიმართულებაც გარშემოიწერება მდაბიო სქესობრივი მგრძნობიერობის გამომზეურებით. ეს – გარყვნილების აშკარა, თამამი ქადაგებაა“[2]. წერდა ისარი (ალ. წერეთელი).

მეორე ავტორი, ვინმე სტუდენტი, აღნიშნავდა: „რა ვუწოდო „ცისფერყამწელებს“,თუ არა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული გაკოტრების ნიმუში. თუ ეს ასე არ არის,გადაავლეთ მას თვალი, დიდი ჩაკვირვება არ დაგჭირდებათ: ყოველივე სისაძაგლე ფერად-ფერადი ასოებით არის ჩაბეჭდილი“[3].

ია ეკალაძის აზრით, „...ეს არც „ფუტურიზმია“, არც „სიმბოლიზმი“, მითუმეტეს, არც ახალი მიმართულება ჩვენს მწერლობაში, არამედ ეს არის ლიტერატურული გაბედულობა და სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულთა „პოეზია“ და სხვა არაფერი!“[4]

აღშფოთებულია ფილიპე მახარაძეც: „ცისფერი ყანწები“ არა თუ დუხჭირი მოვლენაა ჩვენ ცხოვრებაში, ეს უდიდესი ლიტერატურული დანაშაულიცაა“. და შემდეგ: „თქვენ შეგიძლიათ,

---

[1] გ. ასათიანი, პოეზია და პოეტები, 1963, გვ. 56.

[2] გაზ. „სამშობლო“, 1916, №304.

[3] იქვე, №305.

[4] იქვე, №341.

რანაირი „იზმი“ გინდათ ის დაარქვით ამ სიდუხჭირეს და გარყვნილებას, მხოლოდ ერთი გარემოება კი აქ აშკარა ხდება ყველასათვის. სახელდობრ აი რა: ეს ვაჟბატონები გზას გადამცდარან განსაკუთრებით სქესობრივი ანომალიის თუ დეფექტის ნიადაგზე“[1].

ცაცა დარახველიძე ცისფერყანწელებს ტაკიმასხარებს უწოდებს. ისინი უტიფრად ქადაგებენ გარყვნილებასო[2].

თაგუნა (შ. შარაშენიძე) „ეშმაკის მათრახში“ აქვეყნებს სატირულ ჩანახატს, რომელშიაც ცისფერყანწელებს „ხურუშიანებად“ იხსენებს[3]. ტექსტს ერთვის კარიკატურა – ტახტზე ნებივრად გაწოლილ შიშველ ქალს (ელიჩკა დარიანს – როგორც მიწრილია ქვემოთ) მუცელს ულოკავს შავი კატა, რომელსაც კაცის თავი აქვს (ზოგიერთებმა მასში რეალური პიროვნება შეიცნეს).

ამავე ნომერში დაიბეჭდა პაროდიები პაოლო იაშვილისა და გრიგოლ რობაქიძის ლექსებზე.

რაც მთავარია,მოვლენის კვალიფიკაციას მოსდევს უმკაცრესი განაჩენი, თითქმის მოწოდება ცისფერყანწელთა დათრგუნვისა. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის პოზიცია: „ცისფერი ყანწები“ მხოლოდ ავადმყოფური მოვლენაა ჩვენში და რაც ადრე მოისპობა ეს ავადმყოფობა, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენის მომავლისათვის“[4].

ისიც ფაქტია, რომ ჟურნალის ხელმძღვანელს ფიზიკური შეურაცხყოფა დაუპირეს და იგი კიტა აბაშიძემ იხსნა.

ვნებათა ღელვა, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვია „პირველთქმამ“ და ელენე დარიანის (პაოლო იაშვილის) ლექსებმა. რეცენზიებში ხაზგასმულია, რომ მანიფესტი სავსეა აბდა-უბდით, სიტყვების რახარუხით, ყოყოჩობით, ლანძღვით (მაგალითად მოაქვთ შემდეგი ფრაზაც: ბინძურის მზით გამთბარი ქვეყანა) და ა. შ.,რომ იგი შეურაცხმყოფელია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა, მთელი ერისა.

საქმე ისაა, რომ მახვილი გადატანილია „პირველთქმის“ ცალკეულ ადგილებზე. მანიფესტი დანახულია ჭუჭრუტანიდან.

რაც შეეხება ელენე დარიანის ლექსებს, ისინი სრულიადაც არ იმსახურებს პორნოგრაფიის იარლიყს. დავუკვირდეთ „ამ

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916, №56.

[2] იქვე.

[3] ჟურნ. „ეშმაკის მათრახი“, 1916, №12.

[4] გაზ. „სამშობლო“, 1916, №304.

მხრივ“ ყველაზე მეტყველ სტრიქონებს:

„დამეძინება... დათავდება ზანტი ზ-მორეგბა
და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ-ხელ-ულ-ა
უხლები;
ძილში ჩემს მუცელს ვიღაც ვაჟი ეამ-ბორება
და ვნებისაგან იღუნება ჩემი მ-უხლები“[1].

თანამედროვე მკითხველს ყოველივე ეს ჩადრიანი ქალის გრძელი კაბის მოულოდნელ აფრიალებად და კოჭის უეცარ გამოკრთომად მოეჩვენება.

სხვათა შორის,ელენე დარიანის ლექსები პაოლოს პირველად გალაკტიონის საღამოზე წაუკითხავს და მაშინაც აღშფოთებულა საზოგადოების ერთი ნაწილი. როგორც რეპორტიორი შენიშნავს, „ამ ლექსების კითხვის დროს რამდენიმე ქალი თეატრიდან გავიდა“.

ცხადია, დღევანდელი და ათიანი წლების საზოგადოების გემოვნებაინტელექტიმოვლენების აღქმის მანერა განსხვავებულია, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიდი ლიტერატურის ჭვრეტა მხოლოდ ერთი კონკრეტული ეპოქის ლორნეტიდან შეცდომაა.

ცისფერყანწელებს დამცველებიც აღმოუჩნდნენ. ამ მხრივ პირველი იყო „ზაკავკასკაია რეჩი“. თბილად მოიხსენია ისინი კიტა აბაშიძემაც, მაგრამ ყველაზე ერთგული მებჯრე მაინც გრიგოლ რობაქიძე გახლდათ. მან ქუთაისში წაიკითხა საჯარო ლექცია,რომელიც ასე დაიწყო: „მე ჟურნალში ვხედავ ახალ ხანას ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი სიტყვა ყოველთვის გაბედული იქნება და მე გამოვდივარ, არა მარტო დამცველის როლში, მე გამოვდივარ, როგორც მეგობარი ამ ჯგუფისა და შევეხები არა მძულვარებით, არამედ სიყვარულით მათ ნაკლს“[2].

მეორე რეპორტიორის თქმით, გრ. რობაქიძემ გააღმერთა ქართველი სიმბოლისტები, ჩვენი პოეზიის მხსნელებად დასახა ისინი. ლექტორს ტ. ტაბიძე პირწავარდნილ ნიცშეანელად მოუნათლავს.

არსებითად მაინც კრიტიკა მძლავრობდა. თუმცა ყოველივე ეს დიახაც ფიჩხი იყო,რომლითაც ლიტერატურული ინკვიზიციის კოცონი ვერ აბრიალდებოდა.

ამ შემოტევების გამო „ცისფერი ყანწების“ ხელმძღვანელობას ოდნავად არ შეუცვლია პოზიცია, არც გაყუჩებულა. პირუკუ, ბრძოლის ჟინითაა სავსე და ცდილობს საპასუხო დარტყმები

[1] ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916, №1.

[2] გაზ. „საშობლო“, 1916, №340.

მიაყენოს მოწინააღმდეგეებს. „ჩვენ გვინდა უფრო ვრცლად ვთქვათ ყოველივე ის, რისთვისაც ასე გიჟურად სწყევლიდა ჩვენს ალმანახს აღელვებული ხალხი“. ამიტომაც ვაარსებთ საკუთარ ყოველკვირეულ გაზეთს, რომლის პირველი ნომერი გამოვა აპრილის დამდეგს. ამ გაზეთში „...ვეტყვით ბატონ პროტესტანებს დაურიდებელ პასუხს იმ საოცარ წყევლისათვის, რომლის საგანი გახდა ალმანახი“[1].

ასეთი გაზეთი 1916 წელს არ გამოსულა, მაგრამ ცისფერყანწელები სხვადასხვა ფორმით მაინც ახერხებდნენ თავის დაცვას თუ შეტევას.

როგორია გალაკტიონისა და ცისფერყანწელების ურთიერთობა? ეს კითხვა არც ერთგანზომილებიანია და არც სიმწვავესაა მოკლებული (გავიხსენოთ ვ. ჯავახაძის, ტ. ჭანტურიას და სხვათა მოსაზრებები).

გალაკტიონი თავდაპირველად კარგ დამოკიდებულებაში იყო მომავალ ცისფერყანწელებთან. 1913 წელს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს სწორედ პაოლო იაშვილს აწვდის „ოქროს ვერძში“ გამოსაქვეყნებლად. ისიც ცნობილია, რომ პერსონალურ საღამოზე – „საქართველოს ყვავილები“ საგანგებოდ იწვევს პ. იაშვილს და პირველ სიტყვასაც უთმობს. პაოლომ ევროპაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე ისაუბრა.

გალაკტიონი ვ. გაფრინდაშვილის მხარდამხარ გამოდის ლიტერატურულ შეკრებაზე. ეს უკანსკნელი „მე და ღამეს“ თარგმნის რუსულად. გალაკტიონი არცთუ იშვიათად სერობს სიმბოლისტებთან. გავიხსენოთ 1914 წლის 24 ივლისს ოლიასადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიაც ტიციანთან ერთად გატარებულ დღეებზეა საუბარი.

ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ცისფერყანწელთა კიდობანში მოთავსებული განძეულთა მსგავსი ნიმუშები გალაკტიონთანაც გვხვდება. უფრო მეტიც, მისი ბევრი ლექსი წინ უსწრებს ახალი ძმობის წევრთა სიმბოლისტურ თხზულებებს.

როგორც ტიციანი მიუთითებდა, გალაკტიონს „პირველი წიგნის ნერვების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისას“[2]. გრ. რობაქიძეც ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებდა ერთ სჯარო ლექციაში: „გ. ტაბიძე უთუოდ წავა სიმბოლისტების გზაზე. მისი „ლურჯა ცხენები“ მისტიურია,

---

[1] გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916, №13.

[2] ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916, №1, გვ. 24.

მას მხოლოდ ფორმისა და შინაარსის ჰარმონია აკლია"[1].

ასე რომ, ლიტერატურული და წმინდა ადამიანური თვალსაზრისითაც ცისფერყანწელთა ლიდერები და გალაკტიონი საკმაოდ პოულობენ საერთოს. ამიტომ პ. იაშვილი თავს უფლებას აძლევს გალაკტიონი მეგობრად მოიხსენიოს. მრავლის მეტყველია ის ფაქტი, რომ ქართველ სიმბოლისტთა „უფროსი, დამხმარე და წამახალისებელი", როგორც თავის თავს გრ. რობაქიძე უწოდებს, „ცისფერი ყანწების" მეორე ნომერში დასტამბულ ლექსს „სონეტი ლოცვის", ამგვარ ქვესათაურს აძლევს: „ახალ მხედართ: ვ. გაფრინდაშვილს, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, გ. ტაბიძეს". გრ. რობაქიძე შემთხვევით არ დაასახელებდა გალაკტიონს ცისფერყანწელთა სამი უდიდესი წარმომადგენლის გვერდით. ვინ ვინა და მან ძალზე კარგად უწყოდა თითოეულის სპეციფიკა, ადგილი და დამსახურება ქართულ მწერლობაში.

ბევრის მთქმელია ისიც, რომ „ცისფერი ყანწების" პირველ ნომერში დაიბეჭდა XX საუკუნის ქართული პოეზიის ორი შედევრი „მთაწმინდის მთვარე" და „ლურჯა ცხენები". მოგვიანებით გალაკტიონმა ასეთი ვერსია შეთხზა: ხსენებული ლექსები შემთხვევით მოხვდა ჟურნალში, ჩემდა დაუკითხავად დასტამბესო. ეს განცხადება ზოგიერთმა მკვლევარმა ნაღდ ვერცხლად მიიღო, მაგრამ ფაქტებით სულ სხვა დასტურდება. როგორც მ. აბულაძე მიუთითებს, „...მაშინდელმა პერიოდულმა პრესამ, კერძოდ, გაზეთმა „მეგობარმა", გამოაქვეყნა ცნობა ჟურნალ „ცისფერი ყანწების" მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ და თან დაურთო იმ ავტორთა სია, ვინც მიიღებდა მონაწილეობას ამ გამოცემაში. ამ მწერალთა შორის ვხვდებით ორივე პოეტს – გალაკტიონ ტაბიძეს და იოსებ გრიშაშვილს. ამ სიაში მოხსენებულმა ყველა მწერალმა, გარდა ალექსანდრე აბაშელისა, ჟურნალ „ცისფერ ყანწებში" მართლაც დაბეჭდა თავისი მხატვრული თუ კრიტიკულ-ესეისტური ხასიათის ნაწარმოებები. ასეთი სარეკლამო ხაისათის ცნობა გაზეთ „მეგობარში" თითქმის ერთი თვის განმავლობაში იბეჭდებოდა და აღნიშნულ ავტორებს საკმაოდ ბევრი დრო ჰქონდათ, უარი ეთქვათ თავიანთი ნაწარმოების ბეჭდვაზე ამ ჟურნალში, თუ კი მათ ასეთი სურვილი დაებადებოდათ, როგორც, შესაძლებელია, მოიქცა ალექსანდრე აბაშელი"[2].

გალაკტიონის მიერ შემოთავაზებული ვერსია კიდევ ერთი მეტყველი დასტურია შემოქმედზე ხელისუფალთა უმაკრესი

[1] გაზ. „სამშობლო", 1916, №340.

[2] ნარკვევები მეოცე საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1974, გვ. 84-85.

და უმართებულო ზემოქმედებისა. ვაი, რომ, ცისფერყანწელობა ათეული წლების მანძილზე სალანძღავ სიტყვად ითვლებოდა. ამ ორდენის წევრები და მათთან დაახლოებული პირები შეუნელებელი თავდასხმებისა და გაბიაბრუების ობიექტები იყვნენ. გალაკტიონიც ვერ უძლებს ამგვარ ქილიკს, რომელიც ზოგჯერ აღვირახსნილ ლანძღვაში გადადის და, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებია, მისტიფიკაციით ცდილობს დარტყმების აცილებას.

რა ხდება „ცისფერი ყანწების" პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ? გალაკტიონი არა თუ შორდება, არამედ მწვავედაც უპირსპირდება ცისფერყანწელებს.

1916 წლის 15 დეკემბერს გალაკტიონი ოლია ოკუჯავას წერს: „სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილი. ძალიან დიდი ჩხუბი მოგვივიდა და ვუთხარით ერთმანეთს ისეთი სიტყვები,რომლებიც ამის შემდეგ დაახლოვების ნებას არ მოგვცემს. მე არ ვნანობ. ამ დღეებში გამოვა მეორე „ცისფერი ყანწები"[1].

პირველი სიტყვა მიგავნიშნებს, რომ ბზარი საკმაო ხანია არსებობს. ისიც გასაგებია, რომ გალაკტიონი „ცისფერი ყანწების" მეორე ნომერში არაფერს ბეჭდავს. სხვათა შორის, ამავე წერილში გალაკტიონი შენიშნავს: „ტიტე თურმე აქ ჩემზე ცოტათი ირონიულ წერილებს იწერება"[2].

როგორ აღვიქვათ ეს განცხადება? რეალობად თუ ეჭვად? იქნებ ენატანიობის შედეგმა იჩინა თავი (ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ 1916 წელს გამოაქვეყნა ტიციანმა „მარტოობის ორდენის კავალერი", გალაკტიონისადმი სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალული უბწყინვალესი წერილი). და კიდევ ერთი: გალაკტიონი განაგრძობს: „მე მთლად ნერვებად ვარ გადაქცეული. ძალიან მწარეა ჩემი ცხოვრება, ძალიან!" იქნებ ეს აღსარება ზოგიერთი ნიუანსის გარკვევაში დაგვეხმაროს.

გალაკტიონის წერილიდან გამომდინარე თითქოს ყველაფერი დამთავრდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ხომალდები ჯერ კიდევ არ დაუწვავთ. საქმე ისაა, რომ პაოლო მონაწილეობს 1916 წლის 23 დეკემბერს გამართულ გალაკტიონის საღამოში და არა როგორც ერთ-ერთი რიგითი წევრი, არამედ წამყვანი.

როგორ შევათანხმოთ ეს ფაქტები? მართალი არ ვიქნებით,თუ მხოლოდ დიდი პოეტის გადაბირების მცდელობას დავინახავთ. ამ შემთხვევაში პაოლოს ადამიანური, კეთილშობილური ზრახვებიც

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 521.

[2] იქვე.

ცნაურდება. სავარაუდოა,სიტუაციიდან გამომდინარე,გალაკტიონი დათანხმდა საღამოს იმგვარად წარმართვას, როგორც პაოლო ვარაუდობდა. სამწუხაროდ, ამ საღამომ დაძაბული სიტუაცია ვერ განმუხტა,პირუკუ,უფრო ნათელი გახადა გალაკტიონისა და ცისფერყანწელების დაშორიშორება. საფიქრებელია, ამას ხელი შეუწყო იმანაც,რომ შეკრება ულიმღამოდ ჩატარდა და კაცმა არ იცის,გალაკტიონმა რა და ვინ მიიჩნია მიზეზად.

კონფლიქტი განპირობებული იყო როგორც ობიექტური,ასევე სუბიექტური ფაქტორებით.

გალაკტიონი თავისი მსოფლგაგებითა და ლიტერატურული მრწამსით პრინციპულად ემიჯნებოდა ცისფერყანწელებს. მისი ხნული სულ სხვა იყო, რასაც კარგად გრძნობდა ფართო საზოგადოებაც.

„ცისფერი ყანწების" განქიქებისას კრიტიკოსები სინანულს გამოთქვამდნენ ჟურნალში გალაკტიონის ლექსების დაბეჭდვის გამო. „ვწუხვართ და ჩვენს გულის წყრომას ვუცხადებთ მგოსან გალაკტიონ ტაბიძეს, რომ ასეთ უნიადაგო და გამრყვნელ ჟურნალში მონაწილეობა მიიღო"[1] – წერდა ერთი.

„ვწუხვარ, რომ ჟურნალში მოჰყვნენ გ. ტაბიძე და ნ. ლორთქიფანიძე"[2] – აღნიშნავდა მეორე.

მივმართავთ გ. ტაბიძეს, ნ. ლორთქიფანიძეს, ი. ყიფიანს და ა. ფალავას, „რომელთა ადამიანობა ჯერ კიდევ გვჯერა, ჩამოხსნან ნიღაბი ელენე დარიანს და დაგვანახონ მისი ნამდვილი სახე"[3] – აცხადებდა მესამე.

ყველაზე რელიეფურად მაინც ფილიპე მახარაძემ გამოხატა საზოგადოების ერთი ნაწილის აზრი: „ვისაც გაგების უნარი სავსებით არ დაუკარგავს,მისთვის დღესავით აშკარა უნდა იყოს, რომ გალ. ტაბიძის საგრძნობლათ პესიმისტური მოტივებით გაჟღენთილ პოეზიას არაფერი საერთო არა აქვს ლოთი ძმაბიჭების ვაკხანალიასთან, ელენე დარიანის და გრ. რობაქიძის ტლანქ პორნოგრაფიასთან. მაგრამ აქ ერთი სამწუხარო გარემოებაა; გალ. ტაბიძის ორი ლექსი რაღაც მანქანებით სწორეთ გრ. რობაქიძის და ელენე დარიანის ლექსებს შუაშია მოთავსებული. როგორ მოხდა ეს, – ჩვენ არ ვიცით, ერთი რამ კი აშკარაა: ტაბიძის „მთაწმინდის მთვარე" და „ლურჯა ცხენები" პიდაპირი დისონანსი ანუ აშკარა წინააღმდეგობაა

---

[1] გაზ. „საშობლო", 1916, №305.

[2] იქვე, №341.

[3] გაზ. „ახალი კვალი", 1916, №14.

იმისა, რაც მოთავსებულია „ცისფერ ყანწებში“. საკვირველია, როგორ გამოეპარათ ეს, როგორც ვერ მიხვდნენ ეს აშკარა წინააღმდეგობა ან ერთი ან მეორე მხარე? ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ გვგონია, რომ კარგად გრძნობდეს თავის თავს – გალ. ტაბიძე ელენე დარიანების და გრ. რობაქიძეების კომპანიაში შაპიეუტისატ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი შეძლებს მის მიერ არჩეული გზით ბოლომდე სიარულს“[1].

ყოველივე ეს მეტყველებს, რომ გალაკტიონის რეიტინგი მაღალია. მის შემოქმედებაში ძალუმ სიფაქიზესა და ამაღლებულობას ჭვრეტენ.

გალაკტიონს არ შეეძლო გაეზიარებინა ცისფერყანწელთა ბევრი დებულება; თუნდაც „მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერების დავიწყება“,ლმობიერების უარყოფა,წარსულისადმი ხაზის გადასმა და ა. შ.

იყო სხვა მიზეზებიც. ყველაფრის ზუსტად აღნუსხვა აქ შეუძლებელია. ერთს კი ვიტყვი. ცისფერყანწელებმა მშობლიური ლიტერატურის მხსნელებად და რეფორმატორებად გამოაცხადეს თავი. გალაკტიონმა ეს საკუთარი ღვაწლის მიჩქმალვად მიიჩნია და უკიდურესად გაღიზიანდა.

თავიდანვე აშკარა გახდა,რომ ცისფერყანწელებს „...თავიანთი გზა ჰქონდათ, გლაკტიონს – თავისი! ეს გზები პარალელურად მიდის მომავალში! მთავარი გზა, რა თქმა უნდა, გალაკტიონის გზაა! დღეს ეს არაა საკამათო,მაგრამ განა მაშინ ყველამ იცოდა ეს! მითუმეტეს ვერ ირწმუნებდნენ ამას იოლად ცისფერყანწელთა ლიდერები – თავად ბრწყინვალე პოეტები!“[2] და გრძელდებოდა ჭიდილი, ხან აშკარა და მკაცრი ფორმით, ხან კიდევ წყალქვეშა დინებების სახით.

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ისე წავიდნენ ცისფერყანწელები და გალაკტიონი, რომ ყინული ვერ გალღვა. ამის მაგალითად იკმარებს ინტერვიუ კოლაუ ნადირაძესთან – ცისფერყანწელთა ერთგულების მეტრთან.. საუბარი 1988 წლის „განთიადის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა და საზოგადოების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია[3].

ჩვენს მიზანს სრულიადაც არ შეადგენს პოლემიკა,მით უფრო გარდაცვლილ ნიჭიერ პოეტთან. ეს გარკვეული თვალსაზრისით

---

[1] გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916, №56.

[2] ტ. ჭანტურია, უცნობი, ჟურნ. „მნათობი“, 1991, №2, გვ. 145.

[3] რ. თვარაძის ღია წერილი ალმანახ „განთიადის“ რედაქტორს, „ლიტერატურული საქართველო“, 1988, №11.

ამბიციურ გზად გვესახება. და თუ მაინც დავესესხებით კ. ნადირაძის რამდენიმე მოსაზრებას, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გალაკტიონისა და ცისფერყანწელების ურთიერთობას მეტად მოვფინოთ ნათელი.

ვითვალისწინებთ იმას, რომ რესპონდენტი ძლიერ მოხუცია. ვერ იხსნებს ცალკეულ ფაქტებს. მაგალითად „რა ჰქვია იმ პოეტს, ლეკებმა რომ გაიტაცეს?" თვითონაც არაერთხელ აღნიშნა, „მღალატობს მეხსიერებაო". დიახ, ბევრი რამ ავიწყდება, მაგრამ არ ავიწყდება ცისფერყანწელებისა და გალაკტიონის ადრინდელი შეხლა თუ ქიშპობა. მოვუსმინოთ ბატონ კოლაუს: „...აკაკის ეჯიბრებოდა გალაკტიონი! სად მოვა! კოწია გამსახურდიამაც გურამიშვილი გამოტოვა, ბატონო, და რუსთაველის მერე გალაკტიონი დაასახელა. მართალია, ეგ? კლოუნიადა! გალაკტიონი თავის თავში იყო დაჯერებული, რომ ის იყო ერთადერთი. მოწყალების თვალებით უყურებდა აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილს... Глубочайший провинциализм!

...არა, ზოგი ლექსი მართლა კარგი აქვს: „ნიკორწმინდა", „მთაწმინდის მთვარე"... „ლურჯა ცხენები" ბოდვაა. ქრიან ბოდვები და აბდაუბდები, პატივცემულო გალაკტიონ! პარვა უყვარდა! ლერმონტოვს პარავდა, ბალმონტსაც!

„დედაო ღვთისავ! მზეო მარიამ!" ეს აკაკია, მისგანაა წამოღებული.

„იყო შარლ ბოდლერი, მწარე და ძვირფასი!" რა შუაშია აქ ბოდლერი?

„ლირი ყველასგან მიტოვებული"... ეს სიყალბეა. ლირი ყველასგან მიტოვებული არ ყოფილა.

„ქარის ტოტები ჯერ არავის უხილავს!"[1]

უბირი და საქმეში ჩაუხედავი კაცი შეიძლება შეშფოთდეს. ხედავთ, ვინ ყოფილა გალაკტიონიო!

ნუ ავჩქარდებით. ისტორიამ ხომ ყველას მიუჩინა თავის კუთვნილი ადგილი.

ერთმა ფრიად ნიჭიერმა პოეტმა და ესეისტმა ხსენებულ ინტერვიუს „ღიმილისმომგვრელი" უწოდა. მართლაც, ძნელი არ არის კ. ნადირაძის დებულების გაქარწყლება. ჩვენს მიზანს სრულიად არ შეადგენს ღია კარების მტვრევა. ერთს კი მაინც შევნიშნავთ: ნუთუ მართლა გაუგებარია ჭეშმარიტი სიმბოლისტისათვის „ტოტი ქარისა". აქ ხომ „სიბრტყეთა შენაცვლების" ხერხია გამოყენებული.

მკითხველს ვთხოვთ, მოტანილი ციტატის არა მხოლოდ

[1] ჟურნ. „განთიადი", 1988, №1, გვ. 188.

დებულებას, არამედ სტილსაც მიაქციოს ყურადღება. იგი ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. არაჯანსაღი დამოკიდებულება აშკარაა.

კ. ნადიარაძემ ჯერ კიდევ 1920 წელსაც გაკენწლა გალაკტიონი. საბაბი იყო ი. იოსელიანის წერილი „გენიალური გალაკტიონი". კოლაუ წერდა: „რაც შეეხება კრიტიკულ ნაწილს, „გენიალური გალაკტიონის" მიღება ჩვენთვის ძნელია. გენიალობა ცოტა უხერხული პრივილეგია არის და სახიფათოც, რომ ასე ადვილად დაბოლოვდეს ს. ს-ანის მიერ პატენტის მიცემა და გენიალობის არსებობაზე ხელის დადება"[1].

როგორც ვხედავთ, ტონი მშვიდია. ვერც იმას ვიტყვი, პოეტს არ აქვს უფლება განსხვავებული აზრი ჰქონდეს მეორე პოეტზე. მაგრამ როცა დიდ და საინტერესო წერილში ორი წინადადებით მოიხსენიებ და თანაც ამგვარი აქცენტირებით, მკითხველთა დამოძღვრა ცალმხრივი ხდება.

სხვათა შორის, გალაკტიონს ძლიერ მოსწონდა ხსენებული წერილი და მის ციტირებასაც ახდენს ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ კ. ნადირაძემ ამავე ჟურნალში გალაკტიონის „თბილისი" კარგ ლექსად მოიხსენია, თუმცა დაიწუნა პირველი და მეშვიდე ტაეპები. ნაწარმოების დაწყება ბუნების აღწერით მოძველებულ მანერად მიაჩნია.

აქ შეიძლება ნიკა აგიაშვილის მონათხრობიც მოგვეშველებინა (იგი, ალბათ, თავის დროზე გამოქვეყნდება), მაგრამ სურათი, ისედაც ნათელია და არ ღირს მკითხველის გაღიზიანება იმ სკაბრეზული სიტყვებით, რომლითაც კ. ნადირაძეს გალაკტიონი დაუხასიათებია.

სავალალო ის არის, რომ ზოგიერთმა ყანწელმა მთლიანად გადაუსვა ხაზი გალაკტიონის შემოქმედებას. ჟურნა „მშვილდოსნის" პირველ ნომერში გამოქვეყნდა პრინციპული ხასიათის წერილი, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი: ახალი პოეტებიდან ნამდვილი ხელოვანნი მხლოდ პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილიაო.

გალაკტიონი?

არამც და არამც.

ხსენებული თვალსაზრისი ტოტდება და ყანწელების ერთ-ერთ ძირითად თეზისად ყალიბდება.

იქნებ შემდეგი გარემოების გახსენებაც არ იყოს ზედმეტი. ზოგიერთი ცისფერყანწელი შემთხვევას არ უშვებდა, კლანჭი არ გაეკრა გალაკტიონისათვის და პიედესტალიდან ჩამოგდება არ

[1] ჟურნ. „მშვილდოსანი", 1920, №2-3, გვ. 22.

ეცადა.

ერთი სახელგანთქმული მწერალი 1920 წელს,როცა პოეტიკის საკითხებზე მსჯელობს, საგანგებოდ ჩერდება გალაკტიონის სიტყვებზე. „ისე სავსე უხვ გრძნობებით" და იწუნებს „...ექვსი თანხმოვნის ერთი მეორის დართვით სტრიქონი სრულიად ნადგურდება"[1].

ცხადია, გალაკტიონთან იძებნება სუსტი სტრიქონები. მაგრამ განა ეს არის არსებითი? ხოლო როცა შეგნებულად ეძებ კნინს და ქართული ლირიკის რეფორმატორს არცთუ სასურველი პირების გვერდით იხსენიებ, ეს უკვე შეგნებული ანტიპათიის, არაობიექტურობის გამოვლენაა. სწორედ ეს ქმნის გადაულახავ წინააღმდეგობას და მტრობის საფუძველს. მცდელობა გალაკტიონის განაპირებისა და, საერთოდ, უგულებელყოფისა პერმანენტული და ძლიერი იყო.

ამიტომ ნუ გაგვაოცებს საპირისპირო რეაქცია, ნურც ასეთი გაელვებანი.

„სიკვდილს გადავრჩი არა ცხრაჯერა,
ცხრაჯერ მასაც კი შევებრძოლები.
დღემდე ვერავინ ვერ დამაჯერა,
რომ მე მჯობიან ჩემი ტოლები"[2].

ისტორიის ამ მღვრიე ფურცლების გადმოშლას გალაკტიონის ერთი ჩანაწერით დავსარულებ.

პოეტი იგონებს,თუ როგორი აღტაცებითა და აღფრთოვანებით შეხვდა ფართო საზოგადოება „მნათობში" „ასი ლექსის" გამოქვეყნებას. „მარტოდმარტო – პაოლოს თითქო სწყინდა რაღაც... იგი დადიოდა ხალხში და ებრძოდა საერთო განწყობილებას... მე მითხრეს, რომ ის გააფთრებულიაო... როდესაც რუსთაველის პროსპექტზე შევხვდი, მან მითხრა:

– აი, როგორ შეგყავს ხალხი შეცდომაში...

– როგორ თუ შეცდომაში?..

პაოლომ გადაიხარხარა:

– შენ დაბეჭდილი გაქვს არა ასი,არამედ ოთხმოცდათვრამეტი ლექსი... ორი ლექსი აკლია"[3].

ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმის გარკვევას, რამდენად ზუსტია ჩანაწერი. თუ იგი სიმართლეს შეიცავს, მაშინ პაოლოს ადგება ჩრდილი, ხოლო თუ გალაკტიონმა მიუშვა

[1] გაზ. „საქართველო", 1920, №82.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 469.

[3] იქვე, გვ. 379.

წარმოსახვის სადავეები, მაშინ ეს უკანასკნელი კნინდება. მაგრამ ორივე შემთხვევაში მკაფიოდ ვლინდება ცისფერყანწელთა და გალაკტიონის არასასიამოვნო ურთიერთობა.

ეს ურთიერთობა არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ პიროვნულ-მოქალაქეობრივი თვალსაზრისითაც საგულისხმოა. საქმე ისაა, რომ გალაკტიონი არ გამოირჩეოდა შემრიგებლური ბუნებით. შეცდომაში ნუ შეგვიყვანს მისი გაყუჩება, ყასიდად წარმოთქმული „ძამიკო", თუ შემწყნარებლური ღიმილი. იგი არასოდეს ივიწყებდა წყენას, მით უფრო ტკივილს. ძველის ყოველი გახსენება ღველფიდან ნაკვერჩხლის გამონათებას ჰგავდა. განსაკუთრებით შეუვალი იყო, როცა საქმე პრინციპულ საქმეებს ეხებოდა.

ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები, ალბათ, ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლიან ცისფერყანწელების ლიტერატურულ მემკვიდრეობას თუ საზოგადოებრივ საქმიანობას. ტრიუმვირატის წევრები ჭეშმარიტად დიდი პოეტები იყვნენ და ეს უნდა გაიხაზოს. მარტო ტიციანი რად ღირს. მისი ლირიკა მეოცე საუკუნის ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურას დაამშვენებდა.

ლირიკული გადახვევა: ტიციანის პოეზია დიდხანს მესამე ნაპირად დარჩა ჩემთვის. ამის მიზეზი მხოლოდ ის არ იყო, რაც შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა იგულისხმოს. უფრორე სუბიექტური განწყობილებები მძლავრობდა... ზაფხულობით სოფელში ჩასული ბავშვი არაერთგზის შევსწრებივარ სცენას. ტიციანის დედა, ელისაბედ ბებია, რიკულებიან აივანზე გადმოფენდა შვილის ტანსაცმელს და განწირული, მეორედ მოსვლის მაუწყებელი ხმით გაჰკიოდა: – შვილო, ტიტიკო, სადა ხარ ახლა?..

ეს მოთქმა შემზარავი იყო. ცა ბნელდებოდა, ჭათა გვიმები იმსხვრეოდა, ტანზე ბუსუსები მაყრიდა, ყურებში თითებს ვიცობდი და რიონისპირა ფაშანებისაკენ გავრბოდი. ასე და ამგვარად ტიციანი ჩემში შემოვიდა როგორც განწირულების და სასოწარკვეთილების სიმბოლო. შედეგიც საცნაური აღმოჩნდა. შეზღუდულობა იმ ასაკში დავძლიე, როცა პოეზიის ხიბლს ცოტათი ჩავწვდი.

მახსოვს, ტიციანის ძმამ, სიმონ ბიძიამ, დიდ დარბაზში ჩამკეტა და პოეტის წიგნები გადმომიწყო. მთელი დღე ვკითხულობდი, ვიზეპირებდი. ჩემს წინ უჩვეულო, მომხიბვლელი სამყარო გადაიშალა. ახლაც ბევრს ვფიქრობ ტიციანის ლირიკაზე. ასე მგონია მისი სიტყვები ბაგეებიდან კია არა, გაპობილი გულიდან ამოდის, მოთქრიალე სისხლს მოჰყვება. მკერდზე მიბნეული

მერი შერვაშიძე

ის ჩვეულებრივი მიხაკიც შედედებული სისხლის ასოციაციას იწვევს.

ტიციანის პალიტრა უჩვეულოა. ცალკეულ ლექსთა რაფინირება ხორკლიანი ფრაზებითაცაა მიღწეული, ალაგ-ალაგ სასაუბრო მეტყველება პოეტიზირებულია. განცდა გამძაფრებულია ლირიკული გმირის მიერ გადადგმული უკიდურესი ნაბიჯით. ტიციანის ზოგიერთი ლექსის წაკითხვა იქითკენ მიბიძგებს, რომ ქართული პოეზიის ბრწყინვალე სამკუთხედი შეეკრა: გრ. ორბელიანი, ტ. ტაბიძე, ლ. ასათიანი.

თითქოს არცთუ ცოტა ითქვა და დაიწერა ტიციანზე, მაგრამ ძირითადში აღტაცების დონეს მაინც ვერ გავცდით. ემოციების გამჟღავნებიდან მეცნიერულ ანალიზზე გადაუსვლელად კი შეუძლებელია ტიციანის სიდიადის სრულად წარმოჩინება.

მკითხველმა კიდევ ერთი გადახვევა უნდა გვაპატიოს. ცისფერყანწელთა ტრაგიკულ ბედზე მინდა შევჩერდე. ნურვინ იფიქრებს, რომ მხედველობაში მქონდეს მწერალთა სასახლის კიბეებთან პაოლოს თოფის ქუხილი ან ტიციანის ჯოჯოხეთური წამება, როცა ხეპრე გამომძიებლის შეკითხვაზე:

– კიდევ ვინ შედიოდა თქვენს ანტისაბჭოურ ჯგუფში?

ჯვარზე გაკრული პოეტი სარკასტულად პასუხობს:

– გიორგი სააკაძე...

(უვიცმა გამომძიებელმა გიორგი სააკაძის მოძებნისა და დაპატიმრების ბრძანება გასცა).

არა, ჩვენ სულ სხვა ფაქტები გვაქვს მხედველობაში. სულიერი განადგურება გაცილებით ადრე დაიწყო.

ერთხელ კიდევ უნდა ითქვას, რომ ცისფერყანწელები საშური ძმობითა და ურთიერთგამტანიანობით გამოირჩეოდნენ. ორდენის დაშლისა და ლიდერების დაღუპვის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ოჯახური ურთიერთობა, ხელის გაწვდენა. კარგად მახსოვს, ქალბატონ ნინო მაყაშვილს (ტიციანის მეულლეს) რომ ასაფლავებდნენ, გიორგი ლეონიძე გულწრფელად ღვრიდა ცრემლებს. უბრალ მიუყვებოდთ დაღმართს. თავად დაარღვია დუმილი: – ნინო ჩვენი უპირველესი დაი იყო. დაიხურა დიდი წიგნის კიდევ ერთი კარი...

ასე მგონია, ცისფერყანწელები იმ ქვეყნადაც აგრძლებენ მეგობრობას და ელდა მეცა, როცა „მნათობში" წვიკითხე მიმართვა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს: „...ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად სტოვებს და როზენბერგის ბანდებს ეკედლება ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი ამიერიდან ხდება სამარცხვინოდ

ყოველ საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისათვის.

ეს მწერალი არის გრიგოლ რობაქიძე.

ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღიდან საბჭოთა საქართველოში წესწყობილების დამყარებისა, ატყვილებდა რა ხელისუფლებას, მწერლობას და საბჭოთა საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნის და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს...

მისი ღალატის გამომჟღავნების შემდეგ ჩვენთვის აშკარაა, რომ ქართული საბჭოთა მწერლებისათვის ამ უჩვეულო საქციელს სარჩული წარსულშიც ჰქონდა. და ვინც გაიხსენებს რობაქიძის მუშაობას რუსულ შავრაზმულ პრესაში, მის ბულვარულ რომანს „ფალესტრას" და იდელისტურ-რელაისტურ წიგნს „გველის პერანგს" და მთელ მის მხატვრულ პროდუქციას, გამსჭვალულს გადაგვარებულ კლასთა იდეურ სიღატაკით და დაკნინებულს მხატვრული ფორმით, — მისთვის რობაქიძის ეს უმსგავსო და ბოროტი საქციელი გასაგები გახდება, როგორც ლოღიკური დაკვნა ამ განდიდების სენით შეპყრობილ, გადაგვარებულ პიროვნების მუშაობისა"[1].

პირველი შთაბეჭდილება გამაოგნებელია, რადგან მიმართვას ხელს აწერენ: პ. იაშვილი, ტ. ტიციანი. გ. გაფრინდაშვილი და ნ. მიწიშვილი. ისინი ხომ გ. რობაქიძის უერთგულესი შეგირდები და მეგობრები იყვნენ, მისი თავგამოდებული პატრიოტები.

მახსენდება გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილი პაოლოს ლექსი:

„მომართვა ჩემი, კარდინალო ჩვენი ორდენის,
იქნება მძიმე.
შენი შუბლი უფრო მძიმეა
ყველა ლექსებზე, რაც მე და შენ დაგვიწერია.
ქება შენ..."[2]

და შემდეგ:

„უწმინდესს გრიგოლს,
უნატრესს გრიგოლს,
უსაყვარელსს გრიგოლს,
უსმენთ სინდისით, სიმკაცრით მდიდარს"[3].

უფრო ადრე, 1916 წელს კი ტიციანი ასე მიმართავდა სათაყვანებელ პიროვნებას:

---

[1] ჟურნ. „მნათობი", 1935, №4, გვ. 188.

[2] გაზ. „ბარიკადი", 1922, №4.

[3] იქვე.

„ხარ მონათლული მეორეჯერ დანტეს ემბაზში
იყავი მეფე – ზეცას გიწერს ბედის მწერალი
დაცემის ორმო და ალდგომის თეთრი მწვერვალი
დიდების ცეცხლი მარად გინთებს საშეფო კარავს,
გამარჯვების მზეს უბედობა ველარ დაფარავს,
პოეტს, მეგობარს მაამაყებ მელექსეთ ბაში“[1].

ნ. მიწიშვილი კი გრ. რობაქიძეს „ქართული პოეზიის ტვინს“ უწოდებდა. სხვა ანალოგიური ფაქტებიც ტივტივდება და ლოგიკურად ჩნდება კითხვა: განა შეეძლოთ ზემოთ ფიქსირებული მიმართვის შეთხზვა?

– ფრთხილად მეგობარო, ვეუბნები საკუთარ თავს, თემიდა მკაცრი თვალით გვიყურებს.

და მართლაც, აქ ხომ ბოლშევიკების ხელწერა ცნაურდება. გილიოტინასთან მოყვანილი გმირები იძულებულნი არიან სიცოცხლის გადარჩენის საფასურად ფაქსიმილიები დაუსვან სხვათა შეთხზულ წერილს.

ამას კარგად გრძნობდა საზღვარგარეთ გადახვეწილი გრ. რობაქიძე და ამითაც აიხსნება ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებული დუმილი. იგი ბოლომდე დარჩა საღად მოაზროვნე პიროვნებად, არასდროს შეპარვია ეჭვი პაოლოსა და ტიციანის ძმობაში. ამაზე მეტყველებს ბერლინს გამომავალ გაზეთ „საქართველოში“ 1942 წელს დაბეჭდილი წერილიც.

გრ. რობაქიძე იგონებს ათიანი წლების მიწურულის ამბებს. როცა ბოლშევიკები აზერბაიჯანში შეიჭრნენ, მე ბაქოში ვიყავი. ორი თვის შემდეგ საქართველოს საელჩოს დახმარებით მოვახერხე თბილისში დაბრუნება,ცოლი კი ყაზახში ჩარჩა. „ერთ დღეს კი ბარათი მივიღე მისგან. მწერდა: „აქ გაჭირვებაა და შიმშილით ღონემიხდილი ბავშვი მომიკვდა; მომაკვდავმა ძუძუზე მიკბინა გამწარებით, როცა რძე ველარ იგემა; ან სად მექნებოდა რძე ძუძუ დაშრეტილს!“ ვკითხულობდი ამ შემზარავ სიტყვებს და ვგრძნობდი უსაზღვრო ტკივილს. ავირჩიე რამდენიმე წიგნი და გავეშურე მთავრობის სასახლისაკენ. მინდოდა წიგნები მთავრობასთან არსებულ წიგნსაცავისთვის მიმეყიდა, სანოვაგე მეყიდა და მყისვე დამშეული ცოლისათვის გადამეგზავნა. გზაში პაოლო იაშვილი შემხვდა. გაიგო ჩემი ამბავი. „არაფერია“, – მითხრა მან, „წიგნების გაყიდვა საჭირო არა, მე მოვაწყობ ყველაფერს. ამ წუთს პაოლო მართლა „მზის შვილი“ იყო

[1] ჟურნ. „კავკასიონი“, პარიზი, 1964, №9, გვ. 6.

ნამდვილი. დატრიალდა,იშოვა სადღაც ფული,იყიდა სანოვაგე და საღამოს,იმავე თუ მეორე დღეს აზერბაიჯანისაკენ გაეშურა. თან გაჰყვა ტიციან ტაბიძე,მიის განუყრელი ძმადნაფიცი. ფიქრობდნენ, როგორც მახსოვს, საზღვარზე ფოილის ხიდთან, ვინმეს გაატანდნენ ჩემი ცოლისათვის გადასაცემად. რეტდასხმული ვიყავი შვებისაგან. მეორე დღეს დაბრუნდნენ უკან და გავიგე შემდეგი: – ფოილის ხიდთან მაშუალი კაცი ვერ ენახათ ვერავინ; „მოეთაფლათ“ ჩვენი დარაჯები; ეს კიდევ არაფერი: „მოეჯადოებინათ“ საზღვრის მეორე მხარეზე თვით ბოლშევიკი დარაჯებიც კი. რა დაუდგებოდა წინ პაოლოს მზის თვალისაგან ნაშობ ხიბლს,განსაკუთრებით,თუ ამ ხიბლს ტიციანის ბავშვური მორცხვობით მეონავი შინაგანი ძალა დაერთოდა! და აი ასე, უნებართვოდ გადაელახათ საზღვარი, ჩასულიყვნენ აქსტაფაში, იქ მოენახათ კაცი, რომლისთვისაც მიენდოთ პაკეტის გადაცემა ჩემი ცოლისათვის ყაზახში“.

არა, ამ ამონაწერისათვის კომენტარის დართვა უხერხულია. ყველაფერი ცხადზე ცხადია.

ანდა გავიხსენოთ გრ. რობაქიძის ბარათი ბერძენი მწერლის ნიკო კამანძაკისადმი, რომელიც 1952 წლით თარიღდება. „თქვენ უკვე წარმოდგენილი გაქვთ, მე რა დღეში ვარ. რამდენიმეს კიდევ დავამატებ. ჩემი მშობლიური მიწა-წყლიდან სრულიად მოწყვეტილი ვარ. 1937 წლის შემდეგ ჩემი ახლობლების შესახებ აღარაფერი გამიგია. მხოლოდ 1939 წელს დედის გარდაცვალება შევიტყვე. ტერორმა დაქსაქსა ჩემი ახლო მეგობრები. პაოლო იაშვილმა, მზის პოეტმა და მზის ადამიანმა, ამავე დროს ჩემმა ძმამ და მეგობარმა საბჭოთა სატანური ზეწოლის შედეგად თავი მოიკლა 1937 წელს. თქვენ იცნობდით მას. თქვენ იცნობით ჩემს მეორე ძმას და მეგობარს პოეტ ტიციან ტაბიძეს. ის იმავე წელს თურქმენეთში გადაასახლეს. არ ვიცი ცოცხალია თუ არა. რომანისტი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელთანაც ვმეგობრობდი – ისიც ნაცნობია თქვენთვის – დახვრიტეს. დახვრიტეს აგრეთვე ჩემი სხვა მეგობრებიც, პოეტი ნიკო მიწიშვილი...“[1]

როგორც ვხედავთ, კონიუქტურის გათვალისწინებე აუცილებელია.

კომუნისტურმა დიქტატმა უკიდურესობამდე მიყვანა ადამიანები. იძულებულნი იყვნენ „ედიარებიანათ“ ის, რაც რასოდეს ჩაუდენიათ. ვისაც საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის ოქმი წაუკითხავს (1937 წლის მაისისა), იგი კიდევ უფრო შეძრწუნდება.

[1] ბიულეტენი, „გეორგია ელადა“, 1999, №5.

შემართულია ფეხზე ჩახმახი და პაოლო იაშვილი იძულებულია საჯაროდ განაცხადოს:

„მე უთუოდ ვიყავი დაკავშირებული ხალხის მტრებთან, არ ვიცოდი მათი ფარული ზრახვები, მაგრამ რომ გაშოშინა მოქლაქეობრივი გამბედაობა, სიფხიზლე, არ მშინებოდა მათი შურისძიების, გულახდილად მეთქვა თავის დროზე კავშირის ხელმძღვანელობისათვის ის, რაც ჩემს გამოსვლებში არ ვთქვი, ამით ავცდებოდი იმ მდგომარეობას, რომელშიაც დღეს ვართ"[1].

მე ვგმობ კავშირს ხალხის მტრებთა, ვადასტურებ, რომ ამ ურთიერთობამ მე ჩამომაცილა მწერლობას, წამიყვანა მრუდე გზით დ უფსკრულის პირას მიმიყვანა.

აშკარად ცრუობს, მაგრამ სხვა გამოსავალი არა აქვს.

მოდი, უფრო ღრმად გავიაზროთ დაწყეველილი 30-იანი წლების მოვლენები. სხვა ეპოქაში, ალბათ, სხვაგვარად მოიქცეოდა პ. იაშვილი. მას ვერავინ დასწამებს გულნამცეცობას. განთქმული ვაჟკაცი, ნაღდი რაინდი და ორიგინალური პოეტი დახშულ წრეში მოექცა. ამიტომაც ხსნის გზა თვითმკვლელობაში ეპოვა.

გალაკტიონთან ურთიერთობისას ცისფერყანწელებმა, ვფიქრობ, გადაჭარბეს. შეჭირვებული პოეტი მთელი ცხოვრება გრძნობდა თანამოკალმეთა ჩხვლეტას.

ახლა სხვა მხრივ შევხედოთ გალაკტიონისა და ცისფერყანწელების ურთიერთობას. გალაკტიონს ღირსეული მეტოქეები ჰყავდა და მათთან პაექრობა პოეტური ნერვის გამძაფრებას, მხატვრული ოსტატობის ამაღლებას, თვალსაწიერის გაფართოებას უწყობდა ხელს.

ეს არსებითია და მომავალში ამ კუთხითაც უნდა წარიმართოს კვლევა. ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვევა, ვინ ვის რა მხრივ დაესესხა, დაეწყვილა თუ აღემატა, მანამდე შეიძლება ზოგიერთი დასკვნა აპრიორული აღმოჩნდეს.

დიახ, გალაკტიონი გულდადგულ ადევნება თვალს ქართული მწერლობის განვითარებას. აანალიზებდა და ანზოგადებდა ცალკეულ პოეტთა მიღწევებს თუ ჩავარდნებს. ეს მისი მუშაობის სტილი გახლდათ.

1936 წელს ქართულად დაისტამბა ა. პუშკინის ლექსები და პოემები. გალაკტიონს ამ წიგნზე ფრიად მეტყველი წარწერა გაუკეთებია: მთარგმნელი (პ. იაშვილი – ნ. ტ.) ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს. მას ჩემი ლექსებიდან აქვს აღებული

---

[1] იხ. ფ. დანელია, „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას..." ანუ ზოგი რამ ჩვენი არქივიდან, გაზ. „დრონი", 1991, №30.

როგორც სალექსო ზომა,ასევე რიტმიც. ამით,რა თქმა უნდა,იგებს მთარგმნელი და ავტორიც.

ისიც მახსოვს: პ. იაშვილი ჯერ კიდევ არ იყო რეაბილიტირებული. გალაკტიონი კი დროდადრო იხსენებდა პაოლოს მიერ დაწერილ მათხოვარ ლეონტი კაჩაგარას ამბავს. მერე,როცა ტანჯული მწერლის რჩეული გამოქვეყნდა და „ფერადი ბუშტები“ წავიკითხე,ჩემთვის აშკარა გახდა: გალაკტიონს თურმე სიყვასიტყვით დაუმახსოვრებია ცალკეული ეპიზოდები.

ბარემ ერთ დეტალსაც გავიხსენებ: სკოლიდან დაბრუნებულმა ინფორმაცია მივაწოდე – ა. აბაშელის წიგნის „ოქროს საფეხურები“ დაბეჭდილა-მეთქი.

იმხანად ბინიდან გამოსვლას ეკრძალვოდა და დამავალა, დაუყოვნებლივ მეყიდა ორი ეგზემპლარი. მივუტანე. ერთი მე მაჩუქა,მეორე კი კაბინეტში შეიტანა და მცირე ხნით ჩაიკეტა.

გასაგებია, რა მიზნით და როგორი გულისყურით ჩაულრმავდებოდა წიგნს.

ბევრი რამ ითქვა. ახლა კი გალაკტიონის ლაბორატორიაში შევიხედოთ. როგორ მუშაობს? გვაინტერესებს არა მხოლოდ თხზვის პროცესი,არამედ მოსამზადებელი პერიოდიც. ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ მომენტებზე: ა) ზოგადი განათლება, ბ) ლიტერატურის კრიტიკული ჩხრეკა, გ) ქმნადობა.

ამ პერიოდში გალაკტიონი ეწაფება ფილოსოფიას. იგი გატაცებულია ა. შოპენჰაუერითა[1] და ფ. ნიცშეთი. რუსულად გამოცემული „ასე ამბობს ზარატრუსტა“ საგანგებოდ აუჭრელებია. ჩანსყოველ ფრაზასყოველ დებულებას ულრმავდება. ამავე დროს ეცნობა ვლადიმერ სოლოვიოვის ნაშრომებს... ეს დოკუმენტალურად დასტურდება.

დროის დიდ ნაწილს ქალაქის ბიბლიოთეკაში ატარებს. რამდენადაც გატაცებულია ფილოსოფიით, ბუნებრივია, სხვა მოაზროვნეთა წიგნებიც წაეკითხა.

მეორე მხრივ,პოეზიის თეორიას სწავლობს. ამაზე მეტყველებს ამონაწერები რუსულ-ფრანგული წიგნებიდან. გულდაგულ დაუმუშავებია 1910 წელს მოსკოვში გამოცემული ანდრეი ბელის „სიმბოლიზმი“...

თქვენ წარმოიდგინეთ, საცნობარო ლიტერატურასაც არ

[1] ცოტა მოგვიანებით იტყვის კიდეც:
„მე.ვისაც მტანჯველ აზრად გაუარს –
დაკმაყოფილდეს ისევ თბილისით,
ვინც ღამით დასწვავს შოპენგაუერს,
რომ უფრო მძაფრად იცხოვროს დღისით“ (ტ. I, გვ. 345).

ტოვებს უყურადღებოდ. ჩვენს ხელთაა ვ. რანცოვის „ხრონოლოგია ვსეობშჩეი ი რუსსკოი ისტორიი". ყდაზე წარწერაა: „გ. ტაბიძე. ბაკურიანი. 1916. თიბათვე". წიგნში აღნუსხულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ძველი, შუა, ახალი და უახლესი ისტორიის ყველაზე მნიშვნელობანი მოვლენები. თხრობა ლაპიდარულია. მაგალითად,

ქრისტეს დაბადებამდე 1388–1322 – რამზეს II დიდი. ეგვიპტის ხელოვნების ხელმეორედ აყვავების ეპოქა.

1320 – ებრაელთა გადასახლება ეგვიპტიდან.

1209–1244 – რამზეს III წარმატებითი ომი პალესტინასთან.

ვ. რანცოვის წიგნის შეძენა, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიგვანიშნებს, რომ გალაკტიონი ესწარფვის ცოდნის გაღრმავება-გაფართოებას და წარმატებითაც აღწევს მიზანს. მას ხომ დამახსოვრების დემონური ნიჭიც ჰქონდა. მაგრამ არანაკლებ საგულისხმოა სხვა მხარეც. ფიქსირებული ფაქტებისა და მოვლენების მიღმა გალაკტიონი ცხოვრების უმძაფრეს და უფაქიზეს ეპიზოდებს ჭვრეტდა. მისი ფანტაზია ფრთას შლიდა და პოეტური მაჯისცემა ძლიერდებოდა. ყველაფერი ეს კი, ადრე თუ გვიან, ორიგინალურად გაცხადდებოდა („სარკოფაგიდან დგება მუმია, რა სიჩუმეა, ჰაერი ლურჯი აბრეშუმია. ორხიდეები ეცემა ნილოსს, როს მწუხარება ქვიშაზე კვნესის...").

რაც შეეხება მხატვრულ ლიტერატურას, იგი გახლავთ არა გატაცების საგანი, არამედ ყოველდღიური „პური არსობისა". გადაუფურცლავს არ ტოვებს გახმაურებულ წიგნებს. თვალყურს ადევნებს პრესას და მრავალმხრივ აანალიზებს ნაირგვარ ლიტერატურას. ამ პერიოდში ბევრს კითხულობს ფრანგულად, განსაკუთრებით სიმბოლისტთა თხზულებებს. იწერს ციტატებს და აკეთებს შენიშვნებს. მაგალითად, ლექსს „ვინ არის ეს ქალი?" წამძღვარებული აქვს ოთხი ეპიგრაფი ფრანგულ ენაზე. შ. ბოდლერისა და ჰ. რენიეს სიტყვები ამოღებულია რემი და გურმონის წიგნიდან, „ყვავილები", ხოლო ჰ. ვერლენისა ამ უკანასკნელისვე ლექსთა კრებულიდან[1].

გალაკტიონი, პირველ რიგში, ანალიტიკოს-მჩხრეკელია. იგი ლექსს კითხულობს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორის ჩანაფიქრი შეიცნოს და ესთეტიკურად დატკბეს, არამედ იმ მიზნითაც, რომ პოეტის ოსტატობა გააცნობიეროს, მის მაგალითზე ისწავლოს და ამაღლდეს.

მგოსანს „თეატრსა და ცხოვრებაში" წაუკითხავს – გ.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 471.

ქუჩიშვილის ლექსი „ჩვენი ბუნება. ვაჟას ნატვრა“ და ქვემოთ მიუწერია „4“. ხელრთვაც იქვეა.

სხვა შემთხვევაში მეტი დაკონკრეტება იგრძნობა. მაგალითად, მიხ. ბოჭორიშვილის მინიატურაში „უმანკოება“ (ესეც „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა) გადახაზულია ფრაზის „წვიმის წვეთებით დასერილი ჰაერის სივრცე“ – მეოთხე სიტყვა („ჰაერი“), მართლაც სრულიად ზედმეტია.

უფრო საგულისხმოა პოეტური ასოციაცია – „შეპაექრებანი“. გალაკტიონი ყურადღებას ამახვილებს ლექსის ტექნიკაზე. ამ პერიოდის ჩანაწერები და შენიშვნები ადასტურებს, რომ მგოსანი გატაცებულია რითმათა ძიებით. იგი არა მხოლოდ უეცრად ამოტივტივებულ წყვილს აფიქსირებს, არამედ სხვათა ნაწრმოებების ცალკეულ სიტყვათა შთაბეჭდილებებიდან გამომდინარეც ქმნის რკალს, ულელს. მაგალითად, „თეატრსა და ცხოვრბაში“ (1916, №13) დაისტამბა გიორგი ლეონიძის „აპრილის შაირიდან“. გალაკტიონს ზოგი რამ არ მოსწონებია და გადაუხაზავს, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო საგულისხმო ისაა, რომ სტრიქონის თავზე „...და კარებს იქით ააკვნესა ვიღაცამ თარი“ – დაუწერია „ზამთარი“. ე. ი. „თარს“ „ზამთარი“ გაურითმა. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს გაბრიელ გოგუაძის „გლოვის ველთან“ დაკავშირებით. სიტყვა „პირნათელს“ გალაკტიონი ურითმავს „პირვანდელს“.

ამგვარი პარალელები მოულოდნელი არ არის ლექსთა გადაკითხვისას, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ იგივე მეორდებოდეს პროზაული ნაწარმოების გაცნობისას. გალაკტიონთან კი ამის მაგალითებსაც ვხვდებით. მას წაუკითხავს მიხ. ბოჭორიშვილის მინიატურა „სევდის სტრიქონები“ და ბევრი სიტყვისათვის მოუძებნია მეწყვილე. მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს. პირველ სვეტში მინიატურის სიტყვებია, მეორეში გალკტიონისა.

თოვლის რიდე	*მოისვრიდე*
მთა-ბარს	*ზღაპარს*
ამ დილით	*ნამდვილით*
ფერ-მიხდილი	*სიკვდილი*
ხვალ-კიდევ	*ალს კიდებს*
ამ რიგად	*დარეკა, დაარიგა*
მიდიოდა ის	*მაისს, უზენაისის*
არარაობას	*სანახაობას, ქანობი*
შეუსაბამო	*სალამო*
არ მყვარებია	*მიჰკარებია*

ასეთია რამ მხოლოდ ლექსით „დაავადებულ“, პოეზიაში განზავებულ პიროვნებას ემართება.

მოტანილ ნუსხაში მძლავრობს შერწყმის პრინციპი. აქ არის დაქტილური და ზედაქტილური რითმები; კლაუზულის საინტერესო ნიმუშები, დახურული და ღია წყვილები, შეჯგუნდული რითმა, მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ [illegible] მძლავრობს, გალაკტიონი მიისწრაფვის მდიდარი და ღრმა რითმებით შორს გადასწიოს ლექსის აკუსტიკური საზღვარი და შექმნას უმძალვრესი შთაბეჭდილების საფუძველები. რითმა ლექსის სამკაული როდია, იგი თხზულების ორგანული ნაწილია, რომელსაც არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ კომპოზიციური და მუსიკალური დატვირთვაც ეძლევა. რითმის ჟღერა ზოგჯერ გაცილებით დიდხანს რჩება, ვიდრე ამ სიტყვათა ინფორმაციასემანტიკით გამოწვეული ემოცია. ამიტომაც ელოლიავება მას გალაკტიონი.

ფიქსირებული მაგალითები გამონაკლისი არ არის. მაშასადამე, 1915-1916 წლებში გალაკტიონი არა მარტო ლექსწყობის თეორიას სწავლობს, არამედ პრაქტიკულად ინტერესდება რითმათა ქმნადობით და გვთავაზობს კიდეც გამაოგნებელ ერთეულებს.

ყველაფერი ეს მოსამზადებელი სამუშაოა, მაგრამ ისეთი, რომლის შედეგის განვითარების კონკრეტული დრო და ადგილი უცნობია. ხშირად თვით პოეტმა არ იცის, როდის დაიწყო ქმნადობის პროცესი, ეს იმიტომ, რომ დაგროვება ანუ რაოდენობრივი ცვლილება (იგულისხმება არა ოდენ ფაქტებისა და სიტუაციების გაშინაგანება,არამედ აზრის მოწიფებს,სულიერი შემზადება და ა.შ) უწყვეტლივ, მთელი ცხოვრების მანძილზე წარმოებს. და აი, დგება მომენტი, როცა თვისებრივი ცვლილება უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში ზოგიერთისთვის რაა იმპულსი და ზოგიერთისთვის რა.

კარგად თქვა ვ. კავერინმა: ახსნა იმისა, თუ როგორ იწერება წიგნი, თითქმის იმდენსავე ძალასა და უნარს მოითხოვს, რამდენსაც თვით დაწერა.

ჩვენც ნუ შევეჭიდებით ამჯერად ამ საქმეს. სათანადოდ არც დროა, არც ადგილი და... მაგრამ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა ხომ მაინც უნდა შევუქმნათ მოვლენაზე.

ანალიზისათვის ვირჩევით „მერის". ეს ლექსი 1915 წელს გამოქვეყნდა „თეატრსა და ცხოვრებაში" (№36). საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ხსენებული ნაწარმოები გალაკტიონმა მერი შერვაშიძეს მიუძღვნა. მასში ნამდვილი ფაქტის, პოეტის ცხოვრებისეული ტრაგედიის მხატვრული გარდასახვაა.

ერთი ცნობილი პიროვნება იმასაც წერს, თითქოს „გალაკ-

ტიონმა გულახდილად აღიარა, რომ მისი შეყვარებული და მისი პოეზიის მუზა მერი შერვაშიძე იყო", რომ „ჩემი ლექსი „მერი" მის ქორწილამდე სამი დღით ადრე დავწერე და გავუგზავნეო".

ამ ვერსიას სხვები ახალი დეტალებით, ნიუანსებით ავსებენ და ყველაფერს რეალობად სახავენ.

არსებობს სრულიად საპირისპირო თვალსაზრისიც.

მოდით, ჯერ თვით მერი შერვაშიძეს გავეცნოთ.

იგი აფხაზეთის მთავართა შთამომავალი იყო, რუსეთის დედოფლის ფრეილინა, ევროპულად განსწავლული ულამაზესი და უმშვნიერესი ქალბატონი. მისი ხიბლით გაოგნებულ იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს ხმამაღლა უთქვამს: „მკრეხელობაა, იყო ასეთი ლამაზი". მერი ერთხანს ქუთაისში ცხოვრობდა; ცხოვრობდა – არისტოკრატიული განკერძოებითა და შებურვილობით; მიმდინარე ყოფაზე ამაღლებული და მოფუსფუსე ქუთაისისადმი ნიჰილისტურად განწყობილი. ამიტომაც თქვა კოლაუ ნადირაძემ: „ვინ მიუშვებდა მასთან ან გალაკტიონს ან მე".

როგორც გადმოგვცემენ, მერი შერვაშიძეს ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიასში ჯვარი დაუწერია გიგუშა ერისთავზე და საზღვარგარეთ გამგზავრებულა. ცხოვრობდა პარიზს და იქვე მიიცვალა თითქმის 100 წელს მიტანებული.

ირკვევა, რომ მერი შერვაშიძე საერთოდ არ იცნობდა გალაკტიონს!

1980 წლის 18 აგვისტოს წყნეთში ქალბატონ მედეა ჯაფარიძეს, ჩვენს სასიქადულო მსახიობს შევხვდი. ის პარიზული შთაბეჭდილებებით იყო გათანგული და ყვებოდა გატაცებით, არტისტული ცეცხლით. აი, რა გვიამბო მან.

– პარიზში ყოფნისას გადავწყვიტე მენახა მერი შერვაშიძე. თავდაპირველად ეს არ მოხერხდა. მითხრეს გაციებულია და ვერ მიგიღებთო. ჭეშმარიტი არისტოკრატი ეკრძალვოდა სხვებთან გამოჩენას, თუ სათანადო ფორმას ვერ ინარჩუნებდა.

საფრანგეთში მეორედ ყოფნისას სურვილი ამისრულდა. ქართულ რესტორანში „ოქროს საწმისში" ვართ. მახლობელ მაგიდას მოხუცი ქალი უზის – ფრიად ნატიფი და შთამბეჭდავი.

– ვინ არის?

– მერი შერვაშიძე.

წარმადგინეს. იგი 90 წელს გადაცილებულია, მაგრამ არ ეტყობა. მთელს მის არსებას შინაგანი ცეცხლი და საკუთარი ღირსების შეცნობა ანათებს.

– ეს თქვენ ბრძანდებით, ქართულად რომ კითხულობთ ლექსებს?

ჩვენი საუბარი საკმაოდ თავშეკავებული და ზეარისტოკრატიული გამოვიდა. ცხადია, რუსულად ვმეტყველებდით.

მან ბრძანა:

– ამბობენ, თითქოს გალაკტიონ ტაბიძემ „მერი“ მე მომიძღვნა. არ არის მართალი. მე საერთოდ არ ვიცნობდი ტაბიძეს. არავითარი კავშირი არ მქონია მასთან.

– ქალბატონო მერი, აუცილებელი არ იყო ნაცნობობა. თქვენი სილამაზე იმდენად დამაბრმავებელი იყო, რომ შეიძლება შორიდანაც გამხდარიყავით შთაგონების წყარო.

მივხვდი, ჩემი ვერსია ხელს აძლევდა, სხვა შემთხვევაში ტრადიციულ-არისტოკრატიულ ოჯახში გაზრდილი ქალის მიუკარებლობას ჩრდილი ადგებოდა...

ამას წინად ბარათი მივიღე. მატყობინებს, მოხუცებულთა თავშესაფარში ვაპირებ გადასვლასო. მივწერე – დასასვენებელ სახლში ყოფნა გაგანთავისუფლებთ წვრილმანი საზრუნავისგან-მეთქი.

საოცრად უმწეონი არიან ეს ქართველი არისტოკრატები. ზოგი იმასაც ვერ ახერხებს, რომ... თავი დაიცვას.

პარიზში მელიტა ჩოლოყაშვილიც გავიცანი. იგი ტიციანის მუზა იყო. მელიტაც ძალზედ ლამაზია, მაგრამ მერის მაინც ვერ შეედრება. ეს უკანასკნელი ხორცშესხმული ანგელოზია, სინატიფისა და ქართული ჯიშის გამოხატულება.

დამეთანხმებით, საგულისხმო მონათხრობია.

გალაკტიონს არ დაუტოვებია დოკუმენტი, რომლითაც მისი და მერი შერვაშიძის რომანი ცნაურდებოდეს. როგორც მტკიცდება, მსგავსი რამ საერთოდ არ ყოფილა.

მაშ როგორ დაიწერა მერი?

ერთმა გამოჩენილმა პოეტმა გულახდილი საუბრისას მითხრა:

– ნუ გაგიკვირდებათ, გალაკტიონს კონკრეტულად არავინ უყვარდა. დიდი ხელოვანი შეტრფოდა არა ამა თუ იმ ქალს, არამედ ქალს საერთოდ: თაყვანს სცემდა არა ვინმე გიორგის თუ იოველს, არამედ ადამიანს საერთოდ.

ამ შემთხვევაში იგულისხმება ხელოვნებაში გამოხატული საგნის უპირატესობა რეალურ საგანთან შედარებით, მხატვრული განზოგადების სპეციფიკა და საერთო მაღალი იდეალებისადმი ერთგულება.

ახლა თვით გალაკტიონს დავუგდოთ ყური. იგი ბარათაშვილის ლირიკულ შედევრებზე შენიშნავს: „ამ ლექსებში („რად ჰყვედრი კაცსა“ და „მადლი შენს გამჩენს“ – ნ. ტ.), ამ შავ ლაბირინტში, შორს დაუსრულებელ სილაქვარდეში მოსჩანს სათაყვანებელი

ლანდი ბეატრიჩესი, მუდმივად სასურველი და მუდამ მიულწეველი იდეალი, ციური, ღვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი, უსხეულო ლანდი შორეულ ქალისა, შექმნილი სინათლისა, ალის და სურნელებისაგან, ღრუბელი, ოცნება, ანგელოსთა ქვეყნის ანარეკლი. ამ ქალს ბარათაშვილის ლექსში არ აქვს სახელი, მაგრამ შეიძლება განა ამ ბეატრიჩეში, ამ ლაურაში დავინახოთ რომელიმე ქალწული, ან ახლგაზრდა ქალი, რომელიც მხურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს სინამდვილეში?"[1]

ყველაფერი ცხადზე ცხადია. გალაკტიონი პრინციპულად მიჯნავს ერთმანეთისაგან ლექსის გმირს და რეალურ პიროვნებას. პირველი გაცილებით მაღალი, სრული და მრავალმხრივია. კაცმა რომ თქვას, იგი კრებსითი ერთეულია, ოცნება – იდეალის შესატყვისი.

ეს თვალსაზრისი გალაკტიონმა მკაფიოდ გამოხატა ცნობილ ლექსში „რაც უფრო შორს ხარ":

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ეტკბები!
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი – როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი – როგორც ედემი.

და თუ არა ხარ ის, ვისაც ვეძიერობ,
მე დღეს არ ვნაღვლობ, დაე, ვცდებოდე!
ავადმყოფ გულს სურს, რომ მას ოცნების
თეთრ ანგელოზად ველინებოდე.

დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
ცრემლით აივსოს ზღვა-საწყაული,
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული".

1915 წელს გალაკტიონი 24 წლისაა, ბევრის მხილველი და განმცდელი. არაერთგზის მოხიბლულა ლამაზი ქალით, საფუძვლიანი გატაცებაც ჰქონია. ბოლოს ნაღდი სიყვარულიც ეწვია. მაგრამ ყველაფერი ეს ცხოვრებისეული ფაქტებია და მათი გაიგივება ლიტერატურულ ფაქტებთან მართებული არ იქნება.

ამ პერიოდის გალაკტიონში მძლავრობს მარტოსულობა, რაც ნაირგვარად მჟღავნდება ლირიკაში. ფაქტობრივად, „მერიც" ამ

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 63.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 57.

მოტივს უკავშირდება.

რადგანაც პოეტს აწვალებს სიყვარულის ტრაგიკული განცდა, იგი უთუოდ უნდა გამოვლინდეს. ამისათვის აუცილებელია, როდია კონკრეტული რეალური სიტუაცია. ეს განცდა არც წამიერია. მაშასადამე, მხატვრის კონკრეტული პიროვნების ასლი.

მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს თხზვის ტრადიციულ მანერასთან, მხატვრულ გამონაგონთან, ფანტაზიით შექმნილის გარეალურებასთან და მისგან მომდინარე განცდებთან.

მერი მგოსნის სულის ნაყოფია და არა ბუნებისა (მერე პოეტიზირებული).

კიდევ ორიოდე სიტყვა მერი შერვაშიძეზე. იგი ძალზე პოპულარული იყო მთელს საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში.

1915 წელს პაოლო იაშვილი იოსებ გრიშაშვილს წერდა: „ოგონიოკში" მერი შერვაშიძის სურათი იყო. კარგი იქნება, თუ ქართულ პრესაშიც გადმოიბეჭდებაო.

ეჭვგარეშეა, გალაკტიონსაც ბევრი რამ ექნებოდა გაგონილი მერი შერვაშიძეზე. შეიძლება თვალიც მოუკრავს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ იძლევა უფლებას, იგი ლექსის პერსონაჟის პროტოტიპად გამოვაცხადოთ.

არ არის მოულოდნელი, უფრო მეტიც, საფიქრებელია, რომ მერი შერვაშიძემ ირიბი გზით მართლაც შეუწყო ხელი ლექსის შექმნას. მხედველობაში გვაქვს ფანტაზიის გაცხოველება, აღფრთოვანება, სილამაზის არსზე დაფიქრება და ა. შ. რაც სხვა ლამაზ ქალსაც შეეძლო.

სხვათა შორის, ლექსის პერსონაჟს შეიძლებოდა რქმეოდა თამარი, ქეთევანი, ნათელა და სხვ. მაგრამ ამით მოვლენის არსი არ შეიცვლებოდა, ნიუანსობრივი სხვაობა კი უთუოდ გამომჟღავნდებოდა. საქმე ისაა, რომ მერი ლიტერატურული სახელია. იგი გვხვდება ბაირონთან, შელისთან, ლერმონტოვთან, ბლოკთან და ა. შ. ამდენად, პერსონაჟი ასოციაციების გამოწვევის გზით „ევროპეიზმის" იერს და ამაღლებულობას იძენს. შემთხვევითი არ არის რომ ლექსის სათაური ლათინური ტრანსკრიპციით დაიბეჭდა – ღI. ამრიგად, ლექსის მერი არ არის კონკრეტული პიროვნება, არამედ პოეტის ფანტაზიით შექმნილი სახეა, მისი იდეალი და ხატება.

„მერიზე" საუბარი გაგვიგრძელდა და ბარემ ერთსაც ვიტყვით. ეს ლექსი გამოქვეყნებისთანავე აიტაცა ფართო საზოგადოებამ.

იზეპირებდნენ, ლიტერატურულ შეკრებაზე კითხულობდნენ და ა. შ. უფრო მეტიც, მის მიხედვით ცოცხალ სურათებს დგამდნენ. მოვუსმინოთ გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ რეპორტიორს:

23 დეკემბერს (1916 წ.) გაიმართა გ. ტაბიძის ტრადიციული საღამო. მხატვრულ განყოფილებაში „...ცოცხალ სურათად დადგმული იყო ლექსი „მერი“. თაღებს ქვეშ ჯვრის საწერად გამოწყობილი დგას ასული და თეთრ სვეტს მიყრდნობილი, ნაბადში გახვეული მოსჩანს თვით მგოსანი. ჭიანური უკრავს და ლოჟიდან ლექსს „მერი“-ს კითხულობს პაოლო იაშვილი...“[1]

ჩვენ ერთ მაგალითზე გავამახვილეთ ყურადღება. ცხადია, სხვა მეთოდითა და მანერითაც იწერება ლექსი.

ახლა ვნახოთ, როგორ სრულყოფდა გალაკტიონი პირველ მონახაზებს. კვლავ „მერის“ დავესესხოთ, მისი ვარიანტების მიხედვით ვიმსჯელოთ.

გალაკტიონი არა მხოლოდ ხედვის, სმენის და მოვლენების სიღრმეში წვდომის უჩვეულო უნარით გამოირჩევა, არამედ ვარიანტთა დამუშავების ნიჭითაც. მას შეეძლო საათობით მჯდარიყო საწერ მაგიდასთან, ვიდრე ლექსს კონდიციამდე არ მიიყვანდა.

ცვლიდა სიტყვებს, ტაეპებს, სტროფებს. ამოწმებდა რითმათა ჟღერადობას თუ სტრიქონთა ევფონიას, აზუსტებდა აზრის მკაფიობასა თუ სახელთა ორიგინალობას და ა. შ.

აი „მერის“ პირველი სტროფის რამდენიმე ვარიანტი.

თავდაპირველად ლექსი ასე იკითხებოდა:

„შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, ჩემო მშვენიერო მერი!
ვინ ასწეროს შენი სახის მაშინდელი ფერი,
ვინ ასახოს მისი იმ ჟამს უცხო კრთომა და იერი,
მაინც ტურფა, მაინც სათნო და უზომოდ მშვენიერი“.

სტრიქონები არათანაბარი სიგრძისაა – პირველი, მესამე და მეოთხე თექვსმეტმარცვლიანია, მეორე კი თოთხმეტმარცვლიანი. დისონანსი აშკარაა. აზრობრივი თვალსაზრისითაც შეინიშნება გაუმართაობა. „ჩემო“ ნაკლებ გამოხატავს ფაქტობრივ ვითარებას. გარდა ამის, იგი ფამილიარულად ჟღერს და გარკვეულად აფერმკრთალებს ამაღლებულ განწობილებას.

[1] გაზ. „ჩვენი დროება“, 1916, №242.

გალაკტიონი კარგად გრძნობს ყოველივეს და შესაბამისი შესწორებები შეაქვს ტექსტში.

„შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, მშვენიერო მერი!
ვინ ასწეროს შენი სახის მაშინდელი ფერი,
ვინ ასახოს იმ ჟამადი კრთომა და იერი,
მიანც ტურფა, მაინც სათნო, მაინც მშვენიერი“.

მეორე პწკარში „უზომოდ მშვენიერი“ შეცვლილია „მაინც მშვენიერით“. ამით ხაზგასმულია სიტუაციის თავისებურება. პერსონაჟი უდიდეს ტკივილს, სულიერ ტანჯვას განიცდის, რაც გამოწვეულია იძულებითი ჯვრისწერით. ამგვარ ვითარებაში იგი მაინც მშვენიერია. მაშასადამე, მოცემულ კონტექსტში „მაინც“ ინფორმაციულად გაცილებით ტევადია, ვიდრე „უზომოდ“.

ისიც აშკარაა, რომ ცვლილებამ სტრიქონი უფრო დინამიკური გახადა, სიტყვის მესამედ გამეორებით გრადაცია გაიზარდა.

არც ეს ვარიანტი აკმაყოფილებს მგოსანს და სტროფს საფუძვლიანად ასხვაფერებს.

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კრთობა,
მაგ უცხო სახის ელვა და ფერი
მწუხარე იყო ვით შემოდგომა“.

პირველი სტრიქონიდან ამოშლილია სიტყვა „მშვენიერი“, ეპითეტი ზედმეტ ხაზგასმად აღიქმება. გემოვნებიანი მკითხველი ნაწარმოების მთელი შინაარსიდან გამომდინარე ისედაც კარგად გრძნობს მერის სიმშვენიერეს.

ყურადღება მივაქციოთ სიტყვათა განლაგებას. მეორე ვარიანტის წყობა დარღვეულია და სრულიად სამართლიანადაც. მთავარი ის კი არ არის, როდის იწერდა მერი ჯვარს, არამედ ის, რომ ჯვარს იწერდა. ამიტომ დასაწყისში აქცენტირებულია არსებითი. გარდა ამისა, პირველი სტრიქონი მთავრდება იმ სიტყვით, რომლითაც იწყება მეორე. ეს დინამიკასა და სიმძაფრეს ქმნის. ლირიკული გმირის განცდის სიმძაფრეზე მიგვანიშნებს.

მეორე ვარიანტიდან მგოსანი მხოლოდ ერთ პწკარს ტოვებს და ისიც საკმაოდ ტრანსფორმირებულია.

რატომ უკუაგდო სამი სტრიქონი? ისინი მერის სიმშვენიერის წარმოჩენას ისახავენ მიზნად; მეორე და მესამე ირიბი გზით, მეოთხე კი პირდაპირი მითითებით. მაშასადამე, ჩანაფიქრის გაჭიანურებული გამოხატვა იგრძნობა.

მესამე ვარიანტში ახალი ინფორმაციული ნიუანსია

შემოტანილი: „თვლთა კრთომა“. მრავლის მთქმელია აგრეთვე „უცხო სახე“, მისი „ელვა და ფერი“, ე. ი. არეკლილი ტანჯვა. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ობიექტი ხასიათდება, არამედ სუბიექტიც: ლირიკული გმირი სწორედ ამგვარად ხედავს და არა სხვაგვარად. ახალ ვარიანტში ფიქსირებულია სიტყვა „მწუხარე“, რომელიც გვაცნობს პერსონაჟის შინაგან სამყაროს, თანაც მწუხარება შედარებულია შემოდგომასთან, რაც გზას უხსნის ასოციაციებს, აპერცეფციას და მხატვრული სახეც უფრო შთამბეჭდავი ხდება.

ერთი სიტყვით, მესამე ვარიანტი უფრო შეკრული და გამართულია.

ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი ვარიანტი თექვსმეტმარცვლიანია, მეორე თოთხმეტმარცვლიანი, მესამე კი ათმარცვლიანი. სალექსო სტრიქონების ამგვარი შეკვეცა შემთხვევითი როდია. პოეტი ეძებს განცდის სიმძაფრის გამოხატვის ოპტიმალურ ფორმას.

შაირი სიმდორეს ქმნის. ათმარცვლიანი პწკარები კი უფრო მოჩუხჩუხეა. სტრიქონიდან სტრიქონზე სწრაფი გადასვლა ხელს უწყობს რიტმის აჩქარებას და, მაშასადამე, ვნებათაღელვის მეტი სიმძაფრით გამჟღავნებასაც.

„მერის“ კანონიზირებულ ტექსტში „მაგ უცხო სახის“ ნაცვლად იკითხება „სანდომიანი ცის“. ნატურალური აღწერა შეცვლილია ბრწყინვალე მეტაფორით. ყოველივე ზემოთქმული იმის ნათელი დადასტურებაა, რომ გალაკტიონი დაუდალავად იღვწის და ფილიგრანულ ოსტატობასაც აღწევს. ისიც გავიხსენოთ, რომ ჯადოსნური ხელი აქვს, ერთი შეხება და ყველაფერი ოქროდ იქცევა.

დაძაბული მუშაობა ფრიად შედეგიანი გამოდგა. 1915 წელს სამოცამდე ლექსი იწერება, 1916 წელს კი ოცხმოცზე მეტი. ზოგი მათგანი შედევრია. მგოსანს ებადება სურვილი, ახალი პოეტური აღსარებანი ცალკე წიგნად გამოსცეს. ჩანაფიქრი ასეთია: ხელმოწერა დიდ დროს მოითხოვს. თუ იგი 1916 წლის დამდეგს დაიწყება, შეიძლება ნახევარი წელი გაგრძელდეს. ბეჭდვაც საკმაოდ გაჭიანურდება. მაშასადამე, შესაძლებელია ამ პერიოდში შეთხზული ნაწარმოებებიც შეიტანოს კრებულში. ასე რომ, ახალი წიგნი მოცულობით არაფრით ჩამორჩება პირველს.

პოეტი ანთებულია ამ იდეით. მოსვენებას კარგავს. სურს, რაც შეიძლება სწრაფად შეასხას ფრთები ოცნებას. მართალია,

ჯერ გამომცემელს არ მოლაპარაკებია, არც ზოგიერთი საკითხი გაურკვეია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის „თეატრისა და ცხოვრების" რედაქციაში ასეთი ინფორმაცია აფრინოს: „გალაქტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე ნაახალწლევს მთელ საქართველოში და რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში დაიწყება ხელის მოწერა"[1].

ხელმოწერა არ დაწყებულა. არც წიგნი გამოსულა, როგორც ჩანს, ამ ურთულეს საქმეს ვერ მოაბა პოეტმა თავი. 1916 წელი ძალზე დაძაბული აღმოჩნდა. ერთხანს რუსეთში იმყოფება და ამანაც გარკვეულად შეაფერხა ჩანაფიქრის განხორციელება. არსებითი მაინც ის არის, რომ ამ შემთხვევაში თავი იჩინა „პრაქტიკოსი" გალაკტიონის არცთუ უცხო თვისებამ – სურვილის რეალობასთან შეუწონასწორობამ. როცა ოცნება ყველაფერს ფარავს, პოეტი ეთიშება სინამდვილეს.

„მე თვით არ ვიცი, რა მემართება.
ვერ ვისწავლე ერთი წამით მაინც დაცხრომა!
მინდა, გადმიშვას ნისლმოხვეულმა
მთებმა, რომ დავინახო ქვეყნის
ყველა პოლუსები..."[2]



[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, №52, გვ. 16.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 116-117.

„მე, ნოემბერი და პეტროგრადი“

„ათოვს გამვლელებს და გულიე ბადებსაფარი
სად უნდა ნახო აქ თავის თავი? ბინადრობისა
ვიღაცა დაჭრის და ცეცხლს აჩაღებს,
მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი“.

გალაკტიონი

გალაკტიონის ცხოვრების მატეანიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ მოსკოვ-პეტროგრადის ამბები. ეს ოდისეა საყურადღებოა არა მხოლოდ ბიოგრაფიული ასპექტით, არამედ მგოსნის მსოფლგაგებისა და რევოლუციასთან მიმართების თვალსაზრისითაც.

ჯერ ცოტა უკან დავიხიოთ და კოტე მაყაშვილთან გაგზავნილი ბარათი გადავიკითხოთ. იგი 1915 წლის 25 აპრილს დაუწერია გალაკტიონს. „საქმე ის არის, რომ მომავალი ენკენისთვიდან მოსკოვში მსურს წასვლა შინიავსკის კურსებზე. მაგრამ მე ულარიბესი მშობლების შვილი ვარ, ამიტომ მინდა თხოვნა მივცე თბილისის სათ.-აზნ. ბანკს სტიპენდიის დანიშვნის ან ერთდროული დახმარების შესახებ“[1].

პოეტი სთხოვს ადრესატს,დაუზუსტოს არის თუ არა ვაკანტური ადგილი და რა გზით შეიძლება სანუკვარი მიზნის მიღწევა.

როგორც ვიცით, გალაკტიონს სემინარია არ დაუმთავრებია. ვერც გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა. არადა, ცოდნის გაღრმავების დაუოკებელი წყურვილი კლავს; უნდა, რაც შეიძლება მეტი აითვისოს, უფრო ღრმად ჩასწვდეს ცხოვრებას... მეორეც, უძვირფასესი პიროვნება – ოლია ოკუჯავა მოსკოვს აპირებს გამგზავრებას და გალაკტიონს სურს მასთან ერთად იყოს.

მარტის მიწურულს გალაკტიონი გაუჩინარდა, უფრო ზუსტად, ქუთაისიდან გაქრა. ძმამ რამდენჯერმე მიაკითხა, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაკვლია. პროკლე შეშფოთებულია და ნაცნობ-მახლობლებს სთხოვს დახმარებას. და აი, 7 მაისს მარია ხაჩატუროვას წერილს იღებს. „გალაკტიონი ქუთაისში არ ჩამოსულა და მეც ძალიან მიკვირდა მისი ამბავი. მაგრამ ეხლა გავიგე, რომ ჭიათურაში ყოფილა. იქ ჩემი დაა და იმან შემომითვალა, რომ აგერ ერთი თვეა აქ არისო. იმისთვის ნუ ჯავრობთ, კარგად არისო“.

გალაკტიონი ოლიასთანაა.

ერთი თვე! უღვინოდ თრობა და ღვინით სიფხიზლე...

ერთი თვე! მთვარის სონეტა და ღიღილოების ღიმილი.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 553.

ერთი თვე! სავსე თავდავიწყებითა და ოცნებებით...

ზემოთ მოსკოვს გამგზავრების ორი მიზეზი დავასახელეთ. მოდით, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ახალგაზრდა მგზავრს გარკვეულად აღიზიანებს და აბობოქრებს მავან და მავან თანატოლთა საქციელი. ისინი რუსეთის თუ უცხოეთის უნივერსიტეტებში ისმენენ ლექციებს. ამაყობენ კიდეც ამით და არცთუ იშვიათად ალმაცერი შემოხედვით უმასპინძლდებიან „პროვინციელებს“.

თავიდათვი პირველია და გალაკტიონი იბრძვის მიზნის მისაღწევად. სწორედ ამ პერიოდში არის დაწერილი ტიციან ტაბიძის ბარათი: „ძვირფასო გალაქტიონ! რატომ არი, რომ ერთ წერილს არ მომწერ. შენზე მითხრეს, რომ მოსკოვში მიდიხარ... როგორ არის საქმე? თუ როგორმე შეგიძლია მაქედან გამოსვლა, წამოდი, მერე ჩვენზე იყოს. შენ საღამოზე წავიკითხე ბევრი. ძალიან მინდა გავიგო, რა წიკითხა პავლემ. კარგი იქნება, თუ ჩამოხვალ. წერილი მაინც მომწერე. ალის და პავლუშასაც მოაწერიე.

გალაქტიონ, დროს დაყოვნება არ უნდა. თუ გინდა აქ ჩამოსვლა, იჩქარე. შენი ტიტე“.

ტიციანი მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია. ბევრი ნაცნობი და ამხანაგი შეიძინა. ხშირი სტუმარია ლიტერატურული შეკრებებისა და დაახლოებულიც არის სიმბოლისტებთან. ასე რომ, მას არა მხოლოდ მეგზურობის გაწევა შეუძლია, არამედ სხვა მხრივაც დახმარება.

გალაკტიონმა სხვა სპონსორიც შეარჩია – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ამ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას თხოვს შუამდგომლობას. შუამდგომლობა აღიძრა, მაგრამ საქმე ვერ მოგვარდა.

პოეტი მაინც არ კარგავს იმედს. მომდევნო წელსაც იწყებს იერიშს; ამჯერად უფრო ფართო ფრონტით. სურს საქმეში ნაცნობ-მახლობლები ჩართოს. ამიტომაც აწუხებს ვარლამ ბურჯანაძეს – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიის გამგეს, ამიტომაც ეხმიანება იოსებ გრიშაშვილს, ამიტომაც ეაჯება იოსებ იმედაშვილს[1].

„ძირფასო იოსებ! პატარა სათხოვარი მაქვს – იმედია

---

[1] იოსებ იმედაშვილისა და გალაკტიონის ურთიერთობა საგანგებო კვლევის საგანია. ნიჭიერმა ეურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ერთ-ერთმა პირველმა იწამა გალაკტიონის გენიოსობა და უშურველადაც გაუწოდინა ხელი. უფასოდ უგზავნიდა „თეატრსა და ცხოვრებას“, შეუფერხებლად უბეჭდავდა ლექსებს, ამხნევებდა და მფარველობდა. ი. იმედაშვილს ეკუთვნის გალაკტიონის მისამართით ნათქვამი, ესოდენ გავრცელებული ფრთიანი სინტაგმა: „თეთრი მეფე“.

შემისრულებ. მე მივემგზავრები ქალ. მოსკოვს. წერა-კითხვის საზოგადოებას გამოვუგზავნე განცხადება; თუ სტიპენდია არ მომცეს, არ ვიცი, როგორ იქნება იქ ჩემი ცხოვრება. [illegible] იოსებ! შეახსენე მანდ საზოგადოების წევრებს, აუხსენი, რომ [illegible] ღირსი ვარ სტიპენდიისა და იქნებ მეშველოს როგორმე. რამდენი ხანია არაფერი არ გამიკეთებია, რადგან მოუწყობელი ვარ, მაგრამ მოსკოვში კარგად ვიმეცადინებ, თუ ძალიან არ გამიჭირდა ცხოვრება. მაშ ველი დახმარებას გამგეობის წევრებთან... რომელიმე მეგობართან. ნაცნობი გეყოლებათ მათ შორის"[1].

ვინ როგორ გაისარჯა, ეს ჩვენთვის უცნობია. ფაქტი ისაა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადმინისტრაციულმა სექციამ სხვებთან ერთად გალაკტიონის კანდიდატურაც წარადგინა ფარული კენჭისყრისათვის. მაგრამ ამ საბოლოო ინსტანციაში პოეტმა ვერ გაიმარჯვა.

გალაკტიონის ეს სურვილი ძლიერ გახმიანდა, თანაც არა მხოლოდ ქუთაისში.

და აი, თებერვლის დამდეგს პოეტს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თავკაცი ესტუმრა. საუბარი კონფიდენციალურად ჩატარდა. სტუმარმა ნოე ჟორდანიას თხოვნა-დავალება გადასცა – სასწრაფოდ მიეტანა პეტერბურგში წერილი.

ამის შესახებ საგულისხმო ცნობას გვაწვის გალაკტიონის ძმა. პროკლეს 14 თებერვალს დღიურში ჩაუწერია: „ვიყავი ქუთაისში. გალაკტიონი ვანახე. ორი მანეთი მივეცი. ნ. ჟორდანიასაგან წასაღები წერილი მიჩვენა. პეტროგრადში აკაკი ჩხენკელსა და კარლოს მიუტანეო..."

ეს ცნობა საინტერესოა არა მხოლოდ სამი დიდი რევოლუციონერის ურთიერთობის შესასწავლად, არამედ ახალგზარდა მგოსნის პოლიტიკური პლათფორმის გასარკვევადაც.

ფაქტის რელობაში ეჭვი არ გვეპარება. საძიებელი სულ სხვაა. რამ განაპირობა ასეთი საპასუხისმგებლო საქმის მინდობა ჭაბუკი პოეტისათვის? ჯერ ერთი, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ გალაკტიონი სოციალ-დემოკრატიულ პრესაში თანამშრომლობდა. ჩანს აქედან გაიდო ხიდი პარტიის ლიდერებთან თუ თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. გალაკტიონს თავისიანად თვლიდნენ, რასაც ხელს უწყობდა ოკუჯავების რევოლუციურ

[1] გ. იმედაშვილი, მწერლის არქივში, „ლიტერატურული საქართველო", 1983, №19.

ოჯახთან მისი სიახლოვე.

მეორე: იქნებ გალაკტიონის პოეტობაც იყო ნავარაუდევი. საქმე ისაა, რომ ხელისუფლების ბევრი წარმომადგენლის აზრით, მგოსნები, მით უფრო ახალგაზრდები, შორს დგანან ცხოვრების დულილისაგან, ვარსკვალებს ელაციცებიანო. ამიტომ მათ არავინ გაუმხელს სერიოზულ საიდუმლოებებსო.

საფიქრებელია, იმასაც ითვალისწინებდა ანდრესატი, – გალაკტიონი ნაკლებ იქნება ჩხრეკის ობიექტიო.

გალაკტიონმა მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა სექტემბრამდე ვერ მოახერხა რუსეთს გამგზავრება. ამიტომაც ბარათი, ალბათ, სხვათა შემწეობით გადაიგზავნა სატახტო ქალაქში.

მაგრამ ეს სხვა თემაა.

ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ ნ. ჟორდანია სანდო კაცად თვლის გალაკტიონს. საფიქრებელია, ამანაც განაპირობა მოგვიანებით (1920 წ.) პოეტის მუშაობა „სახალხო გვარდიელის" პასუხისმგებელ მდივნად.

დავუბრუნდეთ გალაკტიონის განზრახვას. ფულის შოვნა ჭირს. ძირითადი საყრდენი ძმაა. პროკლე უკვე მასწავლებელია. თვიურად 50 მანეთს იღებს. ეს თანხა საჭამელ-სასმელისთვისაც ძლივს ყოფნის. მაგრამ იცის გალაკტიონმა, პროკლე ლუკმას მოიკლებს, ნემსის ყუნწში გაძვრება და ხელს გაუმართავს. ასეც ხდება, თვიურად 20 მანეთს პირდება.

ფინანსური საკითხები თანდათან გვარდება. ახლა სხვა საქმეებსაც უნდა დაადგას თავი. 8 აგვისტოს ტიციანმა სოფლიდან მოწმობები ჩამოუტანა. იგი მოსკოვს ბრუნდება და გამომშვიდობებისას ერთხელ კიდევ აფოქრიაქებს გალაკტიონს. ტიციანის მონათხრობით ფერი და ეშხი ემატება საოცნებო ქალაქს... ბიძაშვილები გეგმებს აწყობენ, დეტალებს აზუსტებენ. როგორც ტიციანი ირწმუნება, გალაკტიონი შეიძლება „ესთეტიური საზოგადოების" წევრადაც კი აირჩიონ.

საქმეს კარგი პირი უჩანს. გალაკტიონი მეცხრე ცაზეა.

20 აგვისტო არასოდეს დაავიწყდება. ამ დღეს გაზეთ „სამშობლოს" რედაქციაში ახალგაზრდები მოვიდნენ. ია ეკალაძეს ეუცხოვა მათი სიმრავლე.

– რამ შეგაწუხათ, ყმაწვილებო?

– გალაკტიონ ტაბიძის ნახვა თუ შეიძლება?

– ახლავე მოვუხმობ.

მცირე ხნის შემდეგ რედაქტორის კაბინეტში გალაკტიონი შემოდის. ახალგაზრდები ესალმებიან. პოეტი შეცბუნებულია; ერთი-ორისათვის თუ მოუკრავს თვალი. საფუძვლიანად არც

ერთს არ იცნობს.

მაღალი ვაჟი შეფუთულ ნივთს აწვდის.

– გავიგეთ, რომ მოსკოვს მიემგზავრებით. გეგონდა, რომ წარმატება გისურვოთ და საჩუქრად ეს ვერცხლისფერი კალამი მოგართვათ.

გალაკტიონს აურჟოლებს. ყმაწვილებს გულში იკრავს.

26 აგვისტოს ერთი დღით სოფელში ჩადის – დედას და ძამას ემშვიდობება. პროკლე 30 მანეთს აძლევს.

ოლიას ბილეთები უკვე შეუძენია.

გამგზავრების წინ ბაგრატის ტაძარი მოინახულა და მშობლიურ მხარეს გამოეთხოვა:

„გემშვიდობებით, მშობლიურო ჩემო გორებო,
თქვენც, ნანგრევებო ციხის და ტაძრის,
გემშვიდობებით! მეძნელება ეს განშორება,
როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის...
გემშვიდობები, მქუხარეო ზვირთო რიონის!
ყურს ვუგდებ ხმათა შენთა ჟღერებას,
რა ამბავს გატანს ჩემთან მთები კავკასიონის,
უბედობას თუ ბედნიერებას?
არ ვიცი იგი, მომავალი რას მექადება...
რაზე საუბრობს ქარი ზეკარის?
სამშობლო მხარე მე ბურუსში წინ მეხატება:
ადამიანი ზეცას შეხარის“[1].

ეს ლექსი ეხმიანება ი. ჭავჭავაძის „ყვარლის მთებს“. ფაქტობრივად გამგაზვრებასთან დაკავშირებული ეპიზოდი მეორდება, მაგრამ ერთიცაა. ილიას ლირიკული გმირი უფრო მკიცე და აქტიურია.

2 სექტემბერი. ღამის 2 საათი. ძმები რიონის სადგურში ხვდებიან ერთმანეთს. აბესალომი გზას ულოცავს და წვრილმანი ხარჯისათვის 5 მანეთს აძლევს.

თბილისი. მერე განჯა - და ბორბლების რახარუხს შეწყვილებული ბაიათები. ბაქოს შავი კოშკურები. კასპიის ზოლი და კავკასიის მთების ხორუმი. რუსეთის უკიდეგანო ველები და აკივლებული არყის ხის კორომები.

კუპეში ორნი არიან. ოლია ლაღობს. ზოგჯერ გალაკტიონის ლექსებს წარმოათქვამს და პიკანტურ ამბებს იხსენებს. ესათუთება საყვარელ კაცს. დროდადრო აფორიაქებს კიდეც. ხან ერთ მგზავრს გაესაუბრება, ხან ვაგონის კართან მდგომ

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 323.

ჯარისკაცს ულიმის. ქალი კეკლუცობს, ხმამაღლა იცინის და გალაკტიონიც ღიზიანდება.

14 სექტემბერს მოსკოვში ჩავიდნენ. გალაკტიონი იმავე დღეს ერთ ბარათს დედას უგზავნის, მეორეს ძმას.

„ძამაო აბესალომ! მე მოსკოვში ვარ. გზაში ძალიან დავიღალე და ეხლა ვისვენებ. მოვეწყვე როგორც იქნა. დაწვრილებით მოგწერთ, მხოლოდ ჯერ თქვენ მომწერეთ თქვენი ამბები ამ მისამართით: Москва. Большая Грузинская ул. Георгиевская площадь, дом 2-21, кв. 23. მე რომ დაგიტოვე ერთი მისამართი რატომ წერილი არ გამომიგზავნე? ველი წერილს.

მარადი შენი გალაკტიონი“.

ასევე ლაკონიურია დედისადმი გაგზავნილი ბარათი. ერთი კია. ძმასთან უფრო გულახდილია: „მოვეწყვე როგორც იქნაო“. დედას კი, არ შეშფოთდეს და სხვაგვარ ინფორმაციას აწვდის: „... აქ მშვენივრად მოვეწყვე“.

ორ თვეზე მეტი დაჰყო გალაკტიონმა მოსკოვს. რას აკეთებდა? უმჯობესია თვით პოეტს მოვუსმინოთ. აი როგორ ეხმიანება იგი ძმას: „შენი ორივე წერილი მივიღე. სალდათობამ ძალიან შემიშალა ხელი ყველაფერზე. ჯერ არსად არ ვარ, რადგან იანვარში უნდა დავბრუნდე ისევ ქუთაისში. მანამდე აქ ვრჩები და ვმეცადინეობ ხან შინიავსკის უნივერსიტეტში და ხან სხვაგან. ოჰ, როგორ არ მინდა დაბრუნება... რამდენი დრო დამიკარგავს ტყუილად. აქ, მხოლოდ აქ, შეიძლება მეცადინეობა. ახლა არ ვიცი როგორ იქნება ჩემი საქმე. პირობები ძალიან ცუდია. იწყება ზამთარი. ფული თითქმის სულ გამომელია და ჩემი სულიერი განწყობილება თანდათან უარესდება; წინანდელი აღფრთოვანება ეცემა. მგონია ხანდახან, რომ ეს უზარმაზარი ქალაქი უსათუოდ მიმსხვერპლებს, აქაურ ქართველებზე უსაზიზღრეს ადამიანებს ქვეყანაზე ვერ შეხვდები. მაგრამ ადვილად შეიძლება, რომ ასე პირველად მეჩვენება. ვწერ ძალიან ბევრს. ფული რაც შეიძლება სასწრაფოდ მომაშველე, რამდენიც იქნება სულ ერთია, აქ ცოტაც საჭიროა და ბევრიც. ძალიან, ძალიან მჭირდება. ოთახში ოცს ვიხდი. Большая Грузинская ул. Георгиевская площадь, дом 2021, кв. 23. ფულიც ასე გამოაგზავნე. აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ არ იცი, რა გელის ხვალ. ღმერთმანი, სჯობდა არ წამოვსულიყავი, მაგრამ რადგან წამოვედი ეხლა ჩემსას გავიტან, თუ მოვახერხე, ძალიან დავსუსტდი.

შენ რას აკეთებ? სწერ? კითხულობ? დედაჩემს მიწერე, რომ კარგად ვარ და ველი მისგან წერილს. შენ იყავი მაგრად და

ყოჩაღად, გული არაფერზე გაიტეხო. ვიყოთ – ვიბრძოლოთ“.

9 ოქტომბრით დათარიღებული ეს ბარათი არა მხოლოდ ფაქტთა აღნუსხვით არის საყურადღებო, არამედ სტრიქონთა შორის მიმალულ ღელვასა და მოსალოდნელ აფეთქებებზე მინიშნებით.

ქუთაისში ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა საზოგადოების ყურადღებას და საკუთარ ღირსებას. აქ კი...

გიგანტური მოსკოვი თითქოს ჩაყლაპვას უპირებს მგოსანს. უსახსრობა ორმაგად მძიმეა მოზიმზიმე ქალაქში. საწყაული თანდათან ივსება. „შენ არ იცი რა არის აქ გაჭირვება,– სწერს გალაკტიონი ძმას ერთი თვის შემდეგ, სადმე ან გაიყინები, ან შიმშილით ამოგხდება სული. მე შენ გეტყვი, ვინმე შეგიბრალებს: ყველას თავისი საქმე აქვს, დადიან, დარბიან, ფუსფუსებენ ბუზებივით. ივლი მთელი დღეების განმავლობაში და ერთ ნაცნობსაც ვერ შეხვდები, პირდაპირ გაიყინები... გაცივდები. ხედავ უზარმაზარ სახლებს, ამჩნევ თუ რამდენი სიმდიდრეა მათში... ყოველ წამს რეკავს ტრამვაი, ქროლავენ ავტომობილები, ძვირფასი ეტლები. ყოველ წამში გრძნობ, თუ რა საშინელი წყეველაა კაცისათვის ღარიბად დაბადება. მე არ მიყვარს ჩემს თავზე ლაპარაკი, მაგრამ ეხლა ვიტყვი: ვერავინ ვერ ამჩნევდა ამას, მაგრამ ჩემში ბევრი ცეცხლი იყო, ბევრი სიცოცხლე, ბევრი სულიერი ელვა. ეხლა ვგრძნობ, რომ თანდათან ვიცლები, ვბერდები...“[1]

ზემოთ მოყვანილ წერილში ჩანს სიღარიბით გულმოკლული პიროვნება, რომელსაც გაჭირვება ღრღნის. ამიტომ თხოვს ძმას, სასწარაფოდ მიაშველოს ფული. უფრო მეტიც, კი არ თხოვს, მოითხოვს. ინდივიდი დათრგუნულია და ეს მრავალმხრივ ვლინდება.

სულ სხვა სულისკვეთება შეინიშნება 17 ნოემბრის ბარათში. „ძმაო აბესალომ! შენგან გამოგზავნილი წერილები და ფული მივიღე. ძალიან დროზე მომისწრო. საზოგადოთ, ეხლა აქ ძალიან კარგად ეწყობა ჩემი საქმე. სრულიად მოულოდნელად, მე არც კი მითხოვია, აქაურმა ქართულმა საზოგადოებამ დამინიშნა სტიპენდია 30 მან. თვიურად ჯერჯერობით. შემდეგ შეიძლება 5 თუმანიც მომცენ. ფულს ვიღებ ყოველ ოცში. გარდა ამისა, მაქვს პატარა გაკვეთილი სამი საათის, ვიღებ თვიურად ხუთ მანეთს. გუშინ კიდევ გაზეთი წავიკითხე და გავიგე, რომ თბილისის თავ. აზნ. ბანკს ჩემთვის გადაუწყვეტია 300 მანეთის გამოგზავნა.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 495.

გასაკვირველია! მე ბანკისთვის არც კი მიმიმართავს. ალბათ კ. მაყაშვილმა მოაწყო. ამ დღეებში უსათუდო მივიღებ. აქ სუბუქ სამუშაო ადილს, თვიურად თერთმეტი თუმანი იქნება. მაშინ გაკვეთილს მივატოვებ. მაგრამ სამუშაო დრო 9 სათიდან 4 საათამდეა... მთელი ექვსი საათი... სრულიად ვერაფერს ვიმეცადინებ, მაგრამ რა გაეწყობა. ასე რომ, როდესაც იმ ადგილზე დავდგები მთლად მექნება თვეში 14 თუმანი და 300 მანეთი კიდევ ზედმეტი. არ ვიცი რატომ, მაგრამ, ყოველ წამში მგონია, რომ საიდანმე უფრო დიდი ფული მოვა... ერთიც ვნახო და გავმდიდრდი! ა? გამდიდრებამდე შორი გზაა,მაგრამ უსათუოდ მოხდება რამე. ასეთია ჩემი საქმეები.

საზოგადოთ თავს კარგად ვგრძნობ. საზოგადოება კარგად მეპყრობა. ყველაზე მეტად დავუახლოვდი აქ ერთ ქართველ ექიმს, ძალიან განათლებულს (პრივატდოცენტია მგონი) და სიმპატიურ კაცს „იმედში“ რომ „მე და ონისიმეა“, იმის ავტორის შვილს... ერთხელ ქართული საზოგადოების კრებაზე მოვიდა ჩემთან და გამეცნო. სხვათა შორის მითხრა: Вы можете рассчитывать на мою поддержку, когда будете издавать вторую книжку... ოხრად მდიდარია! ეხლა კიდევ აქ სანატორიას ხსნის.

სხვათა შორის, ის ოცდაათი მანეთი სტიპენდია იმან მოაწყო თურმე საზოგადოების გამგებობაში... ფული ისე მეძლევა, რომ არავინ არ იცის. გამგეობის თავმჯდომარემ, ექიმმა ზანდუკელმა ჩუმად მითხრა, რომ ეს ფული სავსებით შეუტანია ჩემთვის გამგეობაში იმ ასათიანს... ეს სტიპენდია სულ გაგრძელდება, რამდენ ხანსაც მინდა – ხუთ, ექვს წელიწადს.

გაკვეთილიც იმან მიშოვა. შემეძლო 75 მან. ამეღო, თუ ხუთ საათს ვამეცადინებდი... მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. სხვათა შორის, ეს გაკვეთილი იმით არის კარგი, რომ მთელ ზაფხულს კრიმში გავატარებდი ამ ბავშვთან ერთად. მაგრამ ზაფხულზე ხომ საქართველოში უნდა ჩამოვიდე. თუ რამე მიშლის ხელს, რომ ვიმოქმედო, ეს ისევ სალდათობაა. აქ იმნაირად მოვახერხე, რომ სულ არ მომითხოვენ. ჩემი პასპორტი ჩაწერეს, მაგრამ თეთრი ბილეთი არ წარმიდგენია (პასპორტში ხომ არაფერი არ არის). მწერალი არყით იყო მთვრალი და ეს არ შეუმჩნევია. მან ჩანიშნა, რომ მე ჯერ სრულიად არ ვარ მოთხოვნილი (пока не призывался). დანამდვილებით ვიცი, რომ აქ არ მომითხოვენ. მაისამდე არასგზით არ შემიძლია ჩამოსვლა, მაისში კი რას მიზამენ არ ვიცი... ბედზე ვარ მინდობილი. მაგრამ ამასთანავე ღრმად მჯერა, რომ ყველაფერი კარგად წავა. მე ხშირად ვყოფილვარ ასეთ მდგომარეობაში და ყოველთვის საიდანმე

ყოფილა შველა. ვნახოთ, რა იქნება ეხლა.

თავისუფალი დრო ცოტა მაქვს. მაგარმ ჩემს მუშაობასაც ვახერხებ. ეკითხულობ ძალიან ბევრს. აქ არის ერთი მუზეუმი რუმიანცევის, რომელშიდაც ყველანირი წიგნია, რაც კი გამოსულა დედამიწაზე... რუსული წიგნები ყოველნაირია.

თავისუფალ დროს დავდივარ ამ მუზეუმში... დავათვალიერე ტრეტიაკოვსკის გალერეა – რუსეთის გამოჩენილი მხატვრის სურათები. დიდებული რამეა. ვიყავი ალექსანდრე III მუზეუმში, სადაც საუკეთესო ქანდაკებები ინახება. ვიყავი რუმიანცევის ეტნოგრაფიულ მუზეუმშიც. ვიყავი სამხატვრო თეატრში (ჩეხოვის თეატრი). ვნახე იქაური საუკეთესო მსახიობი ქალი კნიპერი (ჩეხოვის ცოლი). უკეთეს თეატრს ვერ ნახავს კაცის თვალი. არსად ისე მხატვრულად და მომხიბლავად არ სდგამენ პიესებს – როგორც აქ. შესანიშნავ მომღერლებს, ლექტორებს, მსახიობებს, ბევრს მოვუსმინე. წარმოიდგინე, აქ ტყვილად ქუჩებში რომ იარო, ესეც დიდი სარგებლობაა. შესანიშნავი სტილის სახლები, საუცხოვო ბაღები, ძეგლები. გასაოცარია პუშკინის ძეგლი. სულ უბრალო, პუშკინის არაჩვეულებრივი პოზა, აქ სხვანაირ სახეს იღებს და გრძნობ თუ ვინ იყო პუშკინი. ვნახე კრემლი და სხვ. ერთბაშად ვერ ჩამოვთვალი ყველაფერს.

ვერ წარმოიდგენ რანაირად ველი ომის გათავებას... როგორც კი ეს მოხდება, ჩემი პირველი მიზანია მოგზაურობა... მთელ დედამიწას შემოვივლი... ქუთაისში ეს მე შეუძლებლად მიმაჩნდა, აქ ვგრძნობ, რომ ეს სულ ადვილი შესაძლებელია. მოსკოვი... ცოტა კიდევ იქით და პარიჟი, ლონდონი, ნიუ-იორკი... იტალია და ნორვეგია... სულ ცოტა ხანში რაფაელის სურათების წინ გაჩერდები ან ოსკარ უაილდის სამშობლოში გაქროლდები. არაფერი არ არის შეუძლებელი. ყველაფერი შესაძლებელია.

მე უკვე მზად მაქვს მეორე წიგნი, რომლითაც ყალყზე დავაყენებ მთელ საქართველოს. აი ნახავ! მალე კიდევ აქ გავმართავ ქართულ საღამოს, რომლითაც მთელ მოსკოვს ჩემებურად ავალაპარაკებ.

ვინ იცის, შეიძლება მალე ძალიან დიდი, ცნობილი კაცი გავხდე? შეიძლება მსოფლიოდ ცნობილი? რას იტყვი შენ ამ დებულებაზე? ა? ვითომ რამ უნდა შემიშალოს ხელი? მართლა, ვხუმრობ, მე სრულიადაც არ ვოცნებობ ამაზე.

ვერ წარმოიდგენ, თუ რა იაფია აქ წიგნები. მაგალითად, თვიური ჟურნალი სიმბოლისტების, შესანიშნავ ქაღალდზე დაბეჭდილი და არისტოკრატულად გამოცემული „Перевал"-ი ვიყიდე მანეთად. წარმოიდგინე თორმეტი დიდი წიგნი მანეთად. შიგ

ყველა თანამედროვე ცნობილი სიმბოლისტებია... რა წიგნიც გინდა, იმას იყიდი იაფად. ძვირფას რამეს ხანდახან, იაფად იყიდი. ამას წინად ორი მშვენიერი ვაზა, ოც მანეთად ღირებული ვიღაც რუსმა ქუჩაში ათ შაურად მომყიდა. ვაზები სხვას ვაჩუქე, რადგან ძალიან მოეწონა... წიგნებს კი ძალიან ბევრს ჩამოვიტან ზაფხულზე.

დედაჩემს წერილს გავუგზავნი... ყოველთვის მაწუხებს ის, რომ სანამდე იგი მიიღებს წერილს, ათასის ხელში უნდა გაიაროს... მისწერე შენ, რომ ხშირად ილოცოს ჩემთვის და ნუ იდარდებს ჩემზე, რომ მე მშვენივრად ვცხოვრობ.

როგორაა შენი სალდათობა? შენი სულიერი განწყობილება? სულ მოწყენილი ხარ, შე საცოდავო! ყველაფერში მეტი სიხალისეა საჭირო, თავდავიწყება, გატაცება, რისკი!

ფული არ მჭირდება. როდესაც დამჭირდება მე თვითონ მოგწერ. ჩემს მისამართს რა თქმა უნდა არ გააცხადებ. აქ ყოველ დღე თოვლია და ტიტეს ვხვდები ხანდახან. ძალიან მოწყენილია და ხანდრას ეძლევა. ამბობს, რომ ჭირივით შესძულდა მოსკოვი. აქაური ქართველი სტუდენტები ყველა დაგლახაკავებულია, დადიან და წუწუნებენ რაღაცაზე.

მშვიდობით! იყავი ყოჩაღად! მომწერე წერილები და ნუ გეწყინება თუ პასუხი დამაგვიანდეს... სწერ რამეს? ხომ არაფერი დაგიბეჭდავს? მომწერე ყველაფერი".

ინფორმაციისათვის: ბარათში მოხსენებული სიმპათიური ქართველი ექიმი მიხეილ მიხეილის ძე ასათიანია. შემდეგში სახელმოხვეჭილი მეცნიერი, ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი. ის მართლაც მუშაობდა ნეიროფსიქიატრიულ სანატორიუმში.

მიხეილ ზანდუკელიც (ოთარის ძე) ცნობილი პიროვნებაა, მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს თავკაცი. შემდეგში პროფესორი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში საკურორტო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ბარათის მიხედვით, გალაკტიონი კარგ საზოგადოებაში მოხვდა. მგოსანს კეთილი თვალით უყურებენ. აღიარებენ მის გამორჩეულობას.

პოეტი ბევრს მუშაობს. იღრმავებს ცოდნას და იხვეწს გემოვნებას. საგანგებოდ უღრმავდება სიმბოლისტთა შემოქმედებას. აანალიზებს XIX-XX საუკუნის კლასიკოსთა თხზულებებს. ხშირი სტუმარია მუზეუმებისა და თეატრისა. ყოველივე ეს ხელს უწყობს მისი პოეტური ნერვის გამძაფრებას.

წერილი იმითაც არის საგულისხმო, რომ გალაკტიონის ოცნებასა და სურვილებს ამზეურებს. მასში სვებედნიერი კაცი

ენამზიანობს. ახლა გავიხსენოთ წინა ბარათი – სრულად განსხვავებული განწყობა, ტენდენციები.

განა ათ დღეში შეიძლება ასეთი რადიკალური გარდატეხა მომხდარიყო? საეჭვოა. 17 ნოემბერს ცოტათი ეგზალტირებული გალაკტიონი ხომ არ უზის საწერ მაგიდას?

ღმერთო, მაპატიე და ასე მგონია, სასურველი რეალობად არის წარმოჩენილი. ეკონომიური სიძლიერე მირაჟია.

შეიძლება ოპონენტი შემომედავოს. აკი წერს ძმას „ფული არ მჭიდებაო". ეს იმით უნდა აიხსნას, რომ დღე-დღეზე მოსკოვიდან გამომგზავრებას აპირებს. შეჭირვებულად რომ ცხოვრობს, ამაზე არა მხოლოდ 6 ნოემბრის ბარათი მეტყველებს, არამედ 27 ნოემბრის ანონიმური წერილიც. უცნობი, საფიქრებელია, ოლია ოკუჯავას შთაგონებით, აი რას სწერს გალაკტიონის დედას:

„დიდათ პატივცემულო ბატონო!

გიძღვნით სალამას მოსკოვიდან, როგორც გალაკტიონის დედას, ბედნიერ დედას, რომელიც უნდა ამაყობდეს ასეთი შვილით, როგორიც არის ჩვენი მგოსანი გალაკტიონი. მე ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რადგან სრულიად თქვენთვის უცნობი ვინმე თავსე გაბეზრებდეთ იქნებ თავის წერილით.

მე ვარ ერთი გალაკტიონის ნაცნობთაგანი, რომელმაც ჩემი ხელი არ იცის. მე მას დიდ პატივს ვცემ, როგორც კარგ ადამიანს, ძლიერ და დიდ მგოსანს (და ვინ არ სცემს მას პატივს?). ეხლა მთელ საქართველოში მწერლებში მას პირველი ადგილი უჭირავს. მაგისთანა ახალგაზრდას რომ ასე მალე გამოეჩინოს თავისი დიდი ნიჭი, ჯერ საქართველოს არ ახსოვს და აწი კიდო თან და თან სულ წინ მიიწევს. კიდევ მსურს გულითადი სალამი უძღვნა გალაკტიონ ტაბიძის დედას!

გალაკტიონი აქ მეცადინეობს ბევრს. ცოტა დაღლილი არის, დასუსტებული, მაგრამ ეს ეხლა მისთვის კარგი არის. ოცდახუთ ნოემბერს ის წამოვიდა საქართველოში სალდათობის თაობაზე. მას ეხლა უნდა დაეხმაროთ, ბატონო, ყველა, თვარა სალდათობის ატანა მას სად შეუძლია, ისეთი სუსტია. აქ ძლიერი სიცივეები არის და წამოსვლის დროს უთხარით, რო მაქ იყიდოს თფილი პალტო აუცილებლათ, თორემ აქ ძლიერ ძვირია. ერთი სიტყვით ძაან თფილათ უნდა ჩამოვიდეს. ამას იმიტომ გწერთ, რომ თქვენ დააძალებთ; პატივსაც გცემთ და აასრულებს თქვენს სიტყვას. აქ მას ახლობელი არავინ ჰყავს, ყოველ წამში რომ მოაგონოს და თვითონ კი, როგორც ბავშვს არ შეუძლია თავის მოვლა, ისე მაგას. გთხოვთ, ბატონო, გალაკტიონს ამ წერილის არაფერი უთხრათ, რადგან დარწმუნებული ვარ, ეწყინება, თუმცა ვერ გაიგებს ვისი

მოწერილია. უკაცრავათ, შეგაწუხეთ. პატივისცემით".

დიახ! ნამდვილად არ ულხინს პოეტს. რუსული ზამთარი სულს უთოშავს. ფინანსებიც დაიშრიტა. სალდათობის საქმეც მოსაგვარებელია და ა. შ. განხილული წერილები არცთუ მცირე ინფორმაციას შეიცავენ, მაგრამ მგოსნის შემოქმედებით საქმიანობაზე მანიც ზოგად წარმოდგენას გვიქმნის. ჩვენთვის კი, უწინარესად, სწორედ ის არის საინტერესო, კონკრეტულად თუ რა სახის სამუშაოს ეწეოდა პოეტი.

საარქივო მანაცემებსა და სხვა სახის მასალაზე დაყრდნობით ნაწილობრივ ხერხდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

გალაკტიონს არ აკმაყოფილებს გამოქვეყნებულ ლექსთა ერთი ნაწილი. ისინი სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებენ და პოეტიც საგანგებოდ ულრმავდება მათ. ჩვენს ხელთაა გაზეთ „თანამედროვე აზრში" დასტამბული „ყოველ თეთრ ღამეს", რომელიც პოეტს საფუძვლიანად გადაუმუშავებია (ხელნაწერს ბოლოში ფანქრით ასეთი მინაწერი აქვს: „სათვისტომოდან არავინ ჩანს. ოლია იგვიანებს").

გალაკტიონი ახუსტებს დეტალებს, რანდავს ფრაზებს, ქმნის ორიგინალურ ტროპებს და თვალსაჩინოდ ტრანსფორმირებულ, თითქმის ახალ ნაწარმოებს გვთავაზობს.

ნათელი რომ იყოს რედაქტირება-თხზვის მასშტაბი და ხარისხი, ტექსტებს გვერდიგვერდ მოვიტანთ და ცვლილებებსაც გავხაზავთ.

ყოველ თეთრ ღამეს

ყოველ თეთრ ღამეს, მთვარიან ღამეს
ვიღაც სალამურს გრძნობით ატირებს,
ამ დროს შვალამის თეთრი ლანდები
დასთამაშებენ ტბის ვრცელ ნაპირებს,
ამ დროს ცა უფრო გამჭვირვალეა
და მთვარე რონინს უფრო ახშირებს
და გულიც ამ დროს უფრო ხშირად სცემს
და ცრემლიც თვალგან რბენას აპირებს.
მთებს სძინავს, სძინავ **მდინარის ზვირთებს,**
შორი სივრციდან ვერცხლივით ბზინავს
და ნაზი ჰანგი ჩვეულ ოცნების
დაუბრკოლებლათ მიჰქრის, მიფრინავს...
მე მჯერა, ვიღაც სპეტაკი გული,
უსმენს სალამურს, უსმენს და გმინავს,
ჩემებრ დაეძებს ნათესავ ლანდებს
და სძინავ არეს, უწყინრათ სძინავს[1].

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 444-445.

პრიმიტივი

ყოველ თეთრ ღამეს, მთვარიან ღამეს
ვიღაც სალამურს გრძნობით ატირებს
ვარსკვლავნი რთავენ ამ დროს მიდამოს:
უცხო ღელეებს, ცისფერ ნაპირებს.

გამჭვირვალე ცა თვალებს იტაცებს
და მთვარე რონინს უფრო ახშირებს
და გულიც ამ დროს უფრო ხშირად სცემს
და ცრემლი თვალთგან რბენას აპირებს.

მთებს სძინავს. სძინავს, **სძინავს მდინარეს,**
შორის სივრციდან ვერცხლივით მბზინავს
აფრთოვანება აგიჟებს თარებს
და ისარის ფრთით ფიქრი მიფრინავს.

და მჯერა: ვინმე განთიამდე
ისმენს **ამ ოხვრას და მწარე გმინვას,**
კივის... დაეძებს ნათესავს ლანდებს
დ ყველას სძინავს, სძინავს... ოჰ! სძინავს[1].

რატომ შეცვალა „სძინავს მდინარის ზვირთებს" სინტაგმით „სძინავს მდინარეს"? პოეტს არაბუნებრივად ეჩვენება ზვირთის დაძინება და სამართლიანადაც. სადაც ზვირთია, იქ ძილი გამორიცხულია. აზვირთება ანტიპოდია ძლისა. მდინარის ძილი კი გასაგებია. ამ შემთხვევაში ტალღა არ ჩანს, ზვირთი გამქრალია, ზედაპირს სიბლანტე გადაკვრია.

პოეტს ასევე არ მოსწონს მითითებული სტროფის მესამე და მეოთხე ტაეპები, რადგან ისინი მინორულ განწყობას უქმნის ფონს და რამდენადმე პროზაულადაც ეღერენ. გასწორებული ლექსი სიმძაფრითა და ხატოვანებითაც გამოირჩევა.

ბოლო სტროფის ტრანსფორმაციამ პრინციპული სიახლე მოგვცა – სუბიექტური „მეს" უკუგდება და „ვინმეს" შემოყვანა განზოგადების მასშტაბს ზრიდს.

სხვა ცვლილებებიც ლოგიკურია და გამართლებული.

ამ ერთ მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება განზოგადებული დასკვნის გამოტანა, რომ გალაკტიონი მართლაც, უშურველად იხარჯება, თავდაუზოგავად შრომობს.

ამჯერად არაფერს ვლაპარაკობთ სხვა ასპექტებზე – მასალის დაგროვებასა და ახალი ლექსის შემქნაზე.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. III, გვ. 266-267.

...მაშ ასე, 25 ნოემბერს გალაკტიონი სამშობლოსაკენ მოეშურება.

„რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ! – სწერს იგი ოლიას – როგორც კი გამოვსცდი როსტოვს, დავინახე ჩვენი ლურჯი ცა და ვიგრძენი მხურვალე მზე. აქ ეხლა გაზაფხულია, სითბოა. როგორც კი ჩამოვედი ქუთაისში, მაშინვე ღვინოს მივაშურე, ვსვამ და ვწერ ამ წერილს... რა ბედნიერ ვარ, რომ იცოდე...

დასწყევლოს ღმერთმა მოსკოვი! მე მალე ჩამოვალ ალბად, მაგრამ რა ეშველება სიცივეს, რომელიც მაქ არის? აქ ეხლა გაზაფხულია. ნეტავი ჩამოხვიდოდე! როგორ გამოცოხლდებოდი, ვერ წარმოიდგენ. შენ ეხლა მანდ გძინავს, მზე გჭირია! აქ ვგრძნობ მხოლოდ, რომ ღმერთი ვარ!"[1]

გალაკტიონი ბუნებით იყო დაუდგრომელი. ერთფეროვან, თუნდაც საამო ცხოვრებას აგრერიგად ვერ ეგუებოდა. ახლა ეგზალტირებულია, ჩქეფს, ბობოქრობს...

მეგობრები, მახლობლები... ღიმილი და პატივისცემა.

ერთი სიტყვით, თავით გადაეშვა ლიტერატურულ ცხოვრებაში.

დღეები რბიან ვით კამათელი.

შუქი და ჩრდილი, ჩრდილი და შუქი.

ცხოვრება მაინც აწეწილია. ერთი სამხრეთშია, მეორე ჩრდილოთში... ძლიერ ძლიერ ენატრება ოლია. ბარათებით ეხმიანება, ამხნევებს: უცილობლად გეწვევი, კარგ ოთახს ვიქირავებთ და ვიცხოვრებთ მყუდროდ, ყველასაგან დაშორებულიო.

დგება 1917 წელი.

ქუთაისში ქარიშხლის მომასწავებელი ღრუბლები იგრაგნება. იმპერიალისტური ომი მძვინვარებს და გალაკტიონი კვლავ იღებს არმიაში გაწვევის უწყებას. ერთხანს ახალგაზრდა მხატვარ ჩუდეცკისთან ცხოვრობს. სრული ბოჰემა.

თებერვლის დამდეგს დიდი უსიამოვნება შეემთხვა ბეგლარ ახოსპირელთან ერთად. სიმშვიდისა და წესრიგის დარღვევისათვის ორი კვირით პატიმრობა გადაუწყვიტეს. ძლივს დაუძვრა პოლიცმეისტერ ლავრენტი მახარაძეს. იმალება.

შემოქმედებითი პულსი კი მაინც ძალუმად ცემს. ერთბაშად ორი წიგნის გამოცემა განიზრახა – ქართულად და რუსულად. სწორედ ამ ხანებში დაუახლოვდა იგორ სევერიანინს. მოხიბლა მისმა უშუალობამ და განსწავლულობამ. იგორს მოსწონს გალაკტიონის ლექსები და შეპირდა კიდეც, ვთარგმნიო.

ახლა მთავარია ეს დაპირება შესრულდეს, სხვებიც ჩართოს საქმეში. რაც შეეხება წინასიტყვაობას, ოლიას დააწერინებს.

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 518-519.

ქართული წიგნის გამოცემა უფრო იოლად მოხერხდება. ლექსები საკმაოდ დაუგროვდა. ხელნაწერთა ნაწილი თან აქვს. ზოგიც ოლიასთან მოსკოვში. უთუოდ გამოაგზავნინებს.

გეგმები... სურვილები... მაგრამ მათ მიწყივ განხორციელება არ უწერიათ.

უჩვეულო გრიგალმა ყველაფერი ყირაზე დააყენა, როგორც თვითონ წერს: თებერვლის რევოლუცია ისე მოულოდნელად დააცხრა ქუთაისს, როგორც ქორი. მგოსანი აღგზნებულია. გადახალისდა, თითქოს სხვა კაცად იქცა, ახალი საზრუნავი გაუჩნდა. „აქ იმდენი საქმეები მაქვს და ისე დიდი საქმეები, რომ ნებას არ მაძლევს ასე ადვილად მივატოვო ქუთაისი"[1] – სწერს დედას. რაც მთავარია, აღფრთოვანებით ეგებება ახალი ეპოქის დაწყებას. ამის უპირველესი დასტურია გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" გამოქვეყნებული „დროშები ჩქარა!"

„გათენდა, ცეცხლის მზე ავნთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა.
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...
დროშები ჩქარა!"[2]

დასაწყისი განთიადისა. წინ დიდი გზაა. ამიტომაც იყრის მუხლს იმათ წინაშე, „ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით".

პოეტის გაგებით, თებერვლის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა ცარიზმის დამხობაში გამოიხატება. ლექსში „ათრობდა ხალხთა მწუხარება", რომელიც 1917 წლის 25 მარტს არის დაწერილი, არა მარტო წარსულის სურათებია გაცოცხლებული, არამედ მოხაზულია მომავლის კონტურებიც:

„ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება:
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!"[3]

გალაკტიონი გულწრფელია, ნაღდი და უშუალო. ეს ცნაურდება დედისადმი გაგზავნილ ბარათშიც: „ეხლა გამაგრდი, დედა! მთელი ქვეყანა გახარებულია თავისუფლებით. შენც უნდა

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 492.

[2] იქვე, ტ. II, გვ. 7.

[3] იქვე, გვ. 8.

იყო მხიარულად"[1].

სხვაგვარად არც შეეძლო. მსოფლმხედველობით, ცხოვრების წესით, მთელი არსებით იგი მეამბოხე იყო. პირადი და საზოგადოებრივი მძლავრად გადაეკვანძა ერთმანეთს და მშვილდის მოზიდვაც აუცილებელი გახდა.

დავიწყოთ იმით, რომ თავმომწონე ყმაწვილი ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა სიღარიბის და სოციალური უსამართლობის სუსხს. თავიდანვე სანატრელი ჰქონდა რიგიანი ბინა. გაცრეცილი ხალათით დადიოდა და ზოგჯერ უგრო'მოდ დარჩენილს პაპიროსის ნამწვავების შეგროვებაც უხდებოდა. ვალები და დამამცირებელი თხოვნა... ისევ ვალები და კვლავ თხოვნა.

უჭირდა დედას, უჭირდა ძმას, ხსნა არსაიდან ჩანდა.

მის ირგვლივ კი არცთუ ცოტანი ტკბებოდნენ ამა სოფლის სიამით. ისინი პირადი ღირსებით მუხლამდეც ვერ მიწვდებოდნენ გალაკტიონს და მაინც მაღლიდან დასცქეროდნენ.

რატომ ხდება ასე? – ეს კითხვა აწამებდა პოეტს.

საჭირო არ არის მაგალითების მოხმობა იმის საჩვენებლად, თუ რა მძიმე პირობებში ცხოვრობდა გალაკტიონი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, პოეტის უკმაყოფილებისა და აბობოქრების მიზეზად ოდენ პირადი ხვედრი მიგვეჩნია.

გალაკტიონი ხალხის ჭეშმარიტი მესიტყვეა, მისი სიხარულით ხარობს, მისი ტანჯვით იტანჯება. მას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს სოციალურ ავბედითობას, არ შეუძლია ინდიფერენტული იყოს ეროვნული ჩაგვრისადმი.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ 1905 წლის ამბები გალაკტიონმა გულთან ახლოს მიიტანა... მოთმინების ფიალა თანდათან ივსება. ადრინდელ ინსტიქტურ გაბრძოლებას გაცნობიერებულ-დასაბუთებული პროტესტი ენაცვლება. ამაში არცთუ მცირეა ოლია ოკუჯავას ოჯახის წვლილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურია ხსენებული ლექსების დაწერა. გალაკტიონი მზად იყო ბარიკადებზეც დამდგრაიყო. არ ვიცით, რამდენად ზუსტი მსროლელი იქნებოდა, მაგრამ როგორც ტრიბუნს, ალბათ, ბევრი ვერ გაუსწორებდა მხარს.

არალირიკული გადახვევა: ტაბიძეების ოჯახში იარალისადმი საოცარი სიძულვილი და შიში სუფევდა. არც სტეფანეს, არც ვასილს, არც აბესალომს და გალაკტიონს სანადირო თოფი რა არის, ისიც კი არ ჰქონიათ.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 492.

ეს შემთხვევითი როდია.

მახსოვს, 50-იანი წლების დამდეგს ჩემი უფროსი ძმა ვასილი და მე სოფელში კომშების ხეივანს ვბარავდით. ერთგან ბელტს ბალთების ნამსხვრევები ამოჰყვა. ორმო გავაღრმავეთ და ნაგანი ამოვარდა. დოლის ხუთი ნახვრეტი მიწით იყო გაჭედილი,ორმოში კი ტყვიები ჩაჟანგებულიყო. ჩანდა, საგანგებოდ დაეფლოთ სხვადასხვა ნივთი, მაგრამ, ნაგანის გარდა, თითქმის ყველაფერი მიწას შეეჭამა.

საიდან გაჩნდა? ეს კითხვა მთელი ზაფხული არ მასვენებდა. არდადეგების შემდეგ თბილისს დაბრუნებულმა ფრთხილად ჩამოვუგდე სიტყვა:

– იარაღს თუ ატარებდით?

გალაკტიონმა შეშფოთებით შემომხედა.

– იარაღს ერიდე, იარაღს ერიდე! – იმგვარად მითხრა, რომ საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა.

დავიჭირე ზუსტად ის ნოტი, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი მოკლე და შეფარვითი დამოძღვრისას:

– ღვინო საშინელებაა, ღვინოს უნდა ერიდო!

და მართლაც, არაერთგზის და არაორგზის ვხლებივარ ბაზარსა თუ ლუდხანაში,სასადილოსა თუ რესტორანში; ზოგჯერ ფხიზელს, ზოგჯერ შეჭიკჭიკებულს, ზოგჯერ გალეწილსაც, მაგრამ არ მახსოვს, თუნდაც ჭიქა ღვინო შემოეთავაზებინოს.

– ჩვენს ნოდარს ლიმონათი მოართვით!

რა იყო ეს?

ზრუნვა ჩემდამი?..

მეაბჯრის ფხიზლად ყოფნის სურვილი?..

ალკოჰოლისადმი შინაგანი ზიზღი?..

სიმთვრალის საშინელების ფილოსოფიური გააზრება?..

იქნებ ყველა ერთდროულად...

როგორც მემატიანე იტყოდა „პირველსაკე სიტყვას მოვიდეთ“.

ვერავინ უარყოფს, რომ 26 წლის გალაკტიონი რევოლუციას უმღერის. სხვა საკითხია,დარჩა თუ არა ბოლომდე ამ პოზიციაზე.

თებერვლის შემდეგ მოვლენები უსწრაფესად განვითარდა.

რუსეთი აფუსფუსებულ სკას დაემსგავსა. დარღვეულმა სამოქალაქო ცხოვრებამ, ეკონომიკის დაცემამ, გაურკვევლობამ და მოულოდნელობებმა ზოგი ევროპაში გატყორცნა, ზოგი შინ შეკეტა,ზოგას პროვინციაში მყოფი შორეული ნათესავი გაახსენა.

თბილისი და ქუთაისი გაივსო მოსკოვიდან და პეტერბურგიდან გამოხიზნული ქართველებით. ჭესმარიტად დიდი იყო მუდრო სავანისაკენ ლტოლვა და ამ დროს გალაკტიონი საპირისპიროდ

იქცევა – რუსეთისაკენ მიისწრაფვის. იგი ხომ წინა წელსაც იყო მოსკოვს. ჯვარს ეცვა მაშინ და შეუძლებელია ახლა იოლად დავიწყებოდა იმდროინდელი ტანჯვა და მაინც, გული ჩრდილოეთისაკენ მიუწევს. ამიტომაც იჩეჩავენ ზოგიერთები მხრებს და ირიბი ღიმილით ამტკიცებენ: – გალაკტიონი ახირებულია...

ვერ მიმხვდარა ამის მთქმელი, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი ობივატელი, რომ უზარმაზარ ხომალდს თვალუწვდენელი ოკეანე სჭირდება, რომ გალაკტიონს რუსეთში ეგზოტიკა არ იზიდავს, არამედ ცხოვრების არსში წვდომის, ყოფნა-არყოფნის პრობლემების გარკვევის, სინამდვილის მთელი არსებით შეცნობის სურვილი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სინთეტიკური ხედვის უარყოფას.

რევოლუცია სინამდვილის ზღვრული, ალტერნატიული გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა, სიცოცხლის მარადისობისა და ქმნადობის დადასტურებაა, ამიტომაც ლოგიკურია მისდამი ინტერესი. გალაკტიონის მუზაც ხომ ამ მარადიულ საკითხებს დასტრიალებს.

გალაკტიონი ფიქრობს, რომ რევოლუციამ შეიძლება განახლება მოიტანოს, მის სამშობლოს შუქი მოჰფინოს, ცხოვრება და ხელოვნება ააყვავოს. და აი, 1917 წლის აპრილში პოეტი კვლავ მიემგზავრება მოსკოვს. როგორ მოაგვარა ეს საქმე? შეიძლება რაღაც გროშები ლიტერატურული საღამოებიდან შემოუვიდა. ორიოდე მანეთი მახლობლებმა შეუგროვეს, თავადაც ისესხა... გამორიცხული არ არის, ოლიას ოჯახსაც გამოეჩინოს გარკვეული ყურადღება.

ჩვენს ხელთაა გალაკტიონის უცნობი წერილი, დათარიღებული 1917 წლის 30 აპრილით. იგი ელიზავეტოპოლიდან არის გამოგზავნილი. „ძვირფასო დედა! მე დიდი ხანია ქუთაისიდან გამოვემგზავრე, მაგრამ გზაში ცოტა ავად გავხდი და შეუძლებელი იყო მატარებელით მგზავრობა. დღეს მესამე დღეა ელიზავეტოპოლში ვარ. ამაღამ წავალ უსათუოდ. თურმე დიდი ამბებია მოსკოვში. ძალიან მიხარია, რომ იქ მივდივარ. მალე შიტყობთ, თუ როგორ მეხივით გავიგრიალებ მთელ დედამიწაზე... სულ დედას ვუტირებ მტრებს. სახუმარო კაცი არ ვარ მე.

დედა ჩემო, ჩემზე ბევრს ნუ იდარდებ.

აბესალომ! როგორც კი ჩავალ შეგატყობინებ იმას, რაც მითხარი:

იყავით კარგათ. მშვიდობით.

მარადის თქვენი გალაკტიონი“.

სადგურზე ოლია დახვდა და გალაკტიონი უზომოდ ბედნიერია. საუბრობენ თვალებით, ეესტითაც, მიმიკითაც...

პატარა მყუდრო ბინა და ოჯახური სითბო.

მეორე დღეს გალაკტიონმა ქუჩას მისცა თავი. მის თვალწინ თამაშდება დიდი მისტერიის ბოლო მოქმედებანი. პოეტი ბევრი რამის მხილველი და განმცდელია. ათვალიერებს ნაცნობ ადგილებს და ვერ ცნობს:

„სართულები ყეფდენ
როგორც ძაღლები.
სახლები ინგრეოდენ.
მათ ნაცვლად დადგა
იდუმალ შიშად:
ღრე,
ფლატე,
ქეიშა.
ჰგავს ტვერის ქუჩის
უსახეობა
ნგრეულ ხეობას –
სადაც არაა
ბილიკი არსად...“[1]

მოსკოვი უჩვეულო ცხოვრებით ცხოვრობს. მაღალი სამრეკლოდან ტყვიამფრქვევი კაკანებს. ქუჩა სავსეა უპატრონო მკვდრებით. მახორკა ოქროდ ფასობს. დიდ თეატრში ოპერა მიდის. ცირკში ქურდები მიტინგს მართავენ...

ხილულ-განცდილი ღრმად იბეჭდება პოეტის გონებაში და მერე გასაოცარ მხატვრულ სახეებში ირეკლება. სწორედ მაშინდელმა შთაბეჭდილებებმა მისცა ბიძგი ბრწყინვალე ტროპების აღმოცენებას: „სიბნელეში კი, თეთრად ელავენ ფანტასტიკური კრემლის კბილები“, „რუსეთი იმ რამეს ეგდო როგორც ხის კუნძი, ჯირკი, ტყეში – რომელსაც სცემენ ნაჯახს“, „მოსკოვი გუგუნებდა როგორც მუხა – და პირიდან აფრქვევდა ტყვიებს როგორც რკოებს“.

პოეტი მთლიანად იძირება მოსკოვურ ყოფაში. ზოგჯერ შაშხანით ხელში დგას სადარაჯოზე. ხან რიგს იცავს მაღაზიასთან, სადაც 50 გრამ პურს არიგებენ. გვიანობამდე რჩება თამბაქოს ბოლით გატენილ პატარა ოთახში და უსმენს რევოლუციონერებს.

ერთხელ უჩვეულო ამბის მოწმე გახდა. პუშკინის ძეგლთან

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. VIII, გვ. 99.

ფრონტიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს მიტინგი გაემართათ, ორატორები უბრალო ხალხური ენით ლაპარაკობდნენ. და აი, ძეგლის საფეხურზე ადის ინტელიგენტი, ოქროს სათვალეებიანი წარმოსადეგი მამაკაცი. პეტროგრადიდან იყო ჩამოსული, მჭერმეტყველი ჩანდა. დაგლეჯილ ფთარაჯებში გამოწყობილ, წვერგაუპარსავ ჯარისკაცებს რატომღაც არ მოეწონათ იგი. ძეგლის საფეხურიდან ჩამოაგდეს და გაგლეჯას უპირებდნენ. მაგრამ სად იყო და სად არა ჩოხიანი იმერელი გაჩნდა და თითქმის სიცოცხლის ფასად იხსნა უდანაშაულო კაცი.

ეს ამბავი შეფარული იუმორით აქვს აღწერილი გალაკტიონს ესკიზ-ჩანახატში „პუშკინის ძეგლთან“.

და რამდენი მსგავსი თუ უფრო მძაფრი შემთხვევის მოწმე იყო.

გადავიკითხოთ გლაკტიონის კიდევ ერთი უცნობი წერილი. მისი პირველი ნაწილი 11 ივლისს არის დაწერილი, მეორე კი 28 ივლისს.

„ძვირფასო დედა და აბესალომ!

თქვენი გამოგზავნილი წერილი მივიღე. დეიდის სიკვდილი ისე მეწყინა, რომ ვერ წარმოიდგენთ. აქ მე ახლა სრულიად მარტო ვარ და ყველაფერი ცუდი ამბავი ჩემზე განსაკუთრებულ მწარე შთაბეჭდილებას ახდენს. ეხლავე მეორე წერილს დავწერ და როგორც კი მიიღებთ, იმ დღესვე ჩადევით კონვერტში და გაუგზავნეთ.

მე ძლიერ კარგად ვარ და მეტად გახარებული იმით, რომ თქვენც არაგიშავთ-რა. ცხოვრებაში თავი და თავია, რომ ეჭვი არ უნდა შეიტანო შენს ბედნიერებაში და იმედში. ქვეყანაზე დაუსრულებელი არაფერია და ჩვენს ყოველგვარ გაჭირვებას ბოლო მოეღება. დადგება დრო და ყველა ვიგრძნობთ თავისუფალი, ბედნიერი და მშვენიერი სიცოცხლის სილამაზეს. ვიგრძნობთ, რომ თუ ვისმეს ეკუთვნოდა ბედნიერება, მათ შორის ჩვენც. პირადათ მე ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი უკეთეს მომავალში, მხოლოდ საჭიროა მუდმივი ბრძოლა მდგომარეობასთან. უამისოდ არაფერი არ იქნება.

ჯერჯერობით გაჩუმებული ვარ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნოემბრამდე ვერავითარ მონაწილეობას ვერ მივიღებ. ეხლა მთელი ჩემი დღეები და ღამეები მიდის მეორე წიგნისთვის მზადებაში. ნაწერებს ვასწორებ და წიგნს შინაარსის მხრით, მიუხედავად იმისა, რომ შიგ ცოტა ლექსები იქნება, ვერავინ წუნს ვერ დაუდებს. იანვრამდე, სიცოცხლეთ რომ დამიჯდეს, წიგნი დაბეჭდილი იქნება უსათუოდ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს

საიდუმლოდ იყოს. უკეთესია, როდესაც წიგნი მოულოდნელად გამოვა. ზოგიერთ ჩემ მტერს მაშინ თავზარი დაეცემა. მაგრამ ეს არაფერია. მტრები ვერაფერს დამაკლებენ.

ერთი სიტყვით, არ ვიცი რა მოხდება, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩემი მეორე წიგნით ყველაფერი გადაწყდება. მე ასეთ წიგნებს ბევრს ველარ დავწერ და ვაი თუ... ვერ დააფასონ. თუ ვერ დააფასეს, არც მაგაზე დამწყდება ძალიან გული. მე ჩემს ვალს მოვიხდი ხელოვნების წინაშე... ეს კი თავი და თავია.

28 ივნისი. წერილის მოწერა დამიგვიანდა, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. ასეთი იყო მდგომარეობა. მოსკოვი ეხლა დამშვიდებულია, მაგრამ ასე არ იყო რამდენიმე ხნის წინად. მოსკოვი აღელვების ცეცხლში იყო გახვეული. როდესაც ქუჩაზე მივდიოდი, მეგონა, რომ აღელვებულ ზღვაში მივდიოდი. მრავალ-ათასი მუშებისაგან შემდგარი დემონსტრაციები, მიტინგები, კრებები, და ყოველ წამს რაიმე ახლის მოლოდინი. პუშკინის ძეგლთან ყოველდღე მიტინგები იყო, ისე როგორც სკობელევის ძეგლთან, გოგოლის ძეგლთან, კრემლში; მანიფესტანტების ურიცხვი გროვა ყოველდღე მიეშურებოდა ტვერის ქუჩაზე, თეატრალურ მოედანზე, მინინისა და პოჟარასკის ძეგლთან მრავალი საუკეთესო ორატორები გამოდიოდნენ. მე თვითონ გავხდი მომწმე იმ დიდებული ოვაციებისა, რომელსაც უმართავდნენ კერენსკის, კაკი წერეთელს, მაქსიმ გორკის, ნ. მოროზოვს (შლისელბ.) და სხვ. მე თვითონ მრავალჯერ ვილაპარაკე მრავალი ხალხის წინ პუშკინის ძეგლთან და სიამაყით უნდა ვთქვა, ჩემი სიტყვები ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. რუსები საზოგადოდ ცივად ლაპარაკობენ, ისე თითქოს სემინარიას ღეჭავენ. მე კი შევიტანე ტემპერამენტი. მე ყოველთვის ბედნიერ მოგონებად დამრჩება სიტყვა პუშკინის ძეგლთან. როდესაც გაიგეს, რომ საქართველოს მგოსანი ვიყავი, სიტყვის გათავების შემდეგ ბევრი მომეხვია და სიმპატიური თვალით მიყურებდნენ. ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო.

ეხლა მოსკოვი დამშვიდებულია, რადაც საშინელი ბედისწერის მოლოდინში. ვნახოთ, რითი გათავდება ყველაფერი ეს.

ჩემი წიგნი უსათუოდ გამოვა – მე ამაში ეჭვი არ შემდის.

გარდა ამისა, ძალიან ბევრი მასალები მაქვს შეკრებილი დიდი ისტორიული რომანისათვის (ეს მასალები ბევრი სპეციალისტებისათვისაც უცნობია და საინტერესო).

გარდა ამისა, მაქვს მასალები მრავალი საინტერესო წერილებისათვის და ისტ. გამოკვლევებისათვის. მოსკოვის მუზეუმში მე ვიპოვე ბევრი მასალები საქართველოს წარსულის

გასაშუქებლად.

გარდა ამის, მზად მაქვს ბევრი წერილები ხელოვნებაზე (ქანდაკებაზე, პოეზიაზე, წარსულის გრძნობაზე და სხვ.)

მე ჩაფლული ვარ ბევრ საინტერესო წიგნებში, ისეთ წიგნებში, რომლებიც ჯერ არავის დასიზმრებია რამედ გამოეყენებია.

ყველაფერი ეს ჯერ არავის გადასცეთ. მე არ მინდა, იცოდეს ვინმე ჩემი მიზნები.

ამნაირად, ყველა ამის მოსაწესრიგებლად დრო არის საჭირო და მე საშუალება არ მექნება ჩამოსვლისა გაისის ივანობისთვემდე... მაშინ კი უსათუოდ ჩამოვალ, ენკენისთვიდან შევუდგები ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურის შესწავლას უნივერსიტეტში. ამასთანავე კიდევ სხვებისაც. მაგრამ ყველაფერი ეს დამოკიდებულია ლექსების მეორე წიგნზე, რანაირად მიიღებენ მას, როგორი გასავალი ექნება და სხვ... მომწერეთ, თუ რა აზრის ხართ ამის შესახებ თქვენ.

ჩემს სახელზე სამკითხველოს გახსნის შესახებ გავიგე თქვენი წერილებიდან და გაზეთებიდანაც (მე მომდის ოთხი ქართული გაზეთი: სოციალ-დემოკრატი, ერთობა, ალიონი და ჩვენი ქვეყანა). რა თქმა უნდა, ძალიან **польщены такой честью** და სხვა... იცოდეთ, არ შემარცხვინოთ, სამკითხველო არ დახუროთ უსახსრობის გამო (მეორეჯერ და მესამეჯერ კი ალარ დაარქმევენ ჩემს სახელს). საინტერესოა, რა თქვა დედაჩემმა, როდესაც ეს ამბავი გაიგო, ან გაუხარდა თუ არა?

სხვა ჩემზე რა უნდა მოგწეროთ? ეს არის ყველაფერი!

მომწერეთ სად არის ტიტე ან რას აკეთებს. თუ სადმე ნახოთ, გადაეცით, რომ მოუთმენლად ველი.

მომწერეთ სხვა ახალი ამბები.

მაგრამ ყველაზე უწინ თქვენი ამბები მომწერეთ. წერილს როცა დასწერთ თქვენი ამბავიც უნდა მოიწეროთ – დაწვრილებით. ამას განა ლაპარაკი უნდა?

სამკითხველოს ჩემს ჩამოსვლამდე უფრთხილდით. ძალიან კარგია, რომ სოფელში სხვა დაწესებულებებიც გახსნილა.

მაშ ასე, ყოჩაღად! მშვიდობით!

მარადის თქვენი გალაკტიონი".

ეს ბარათი უკიდურესად დატვირთულია ინფორმაციით და მრავალი დასკვნისაკენ გვიბიძგებს, უპირველეს ყოვლისა, ადრესატის პოლიტიკურ მისწრაფებებზე.

გალაკტიონი პატივისცემით იხსენებს თებერვლის რევოლუციის ლიდერებს.

ისიც ცხადია, რომ მიტინგზე გამოსული პოეტი მიმდინარე

საკითხებზე ისაუბრებდა და რევოლუციას დაუჭერდა მხარს.

ყურადღებას იპყრობს შემდეგი წინადადებაც: „ეხლა მოსკოვი დამშვიდებულია, რაღაც საშინელი ბედისწერის მოლოდინში". ოქტომბრის რევოლუციის სიმპტომები იგრძნობა და არასასურველი მომავალი მგოსნის შეშფოთებას იწვევს.

ირკვევა, რომ გალაკტიონი უზომოდ ბევრს შრომობს. მისი ინტერესების სფერო მრავალმხრივია. ცდილობს საფუძვლიანად შეისწავლოს ენები, მაგრამ ამისათვის დრო არ რჩება. დღე და ღამ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებშია. უხვი მასალა შეაგროვა ორიგინალური წერილებისა და გამოკვლევებისათვის.

რომანი, რომლის დაწერასაც აპირებდა, სხვაგანაც იხსენიება. სამწუხაროდ, მსგავსს ვერაფერს წავაწყდით ვერც არქივსა და ვერც პუბლიკაციებში. ჩანს, იგი არ გასრულებულა.

თავიდათავი ის არის, რომ მეორე წიგნი თითქმის გამართა. გალაკტიონი მასზე დიდ იმედს ამყარებს და სამართლიანადაც. დავუკვირდეთ შემდეგ წინადადებას: ამ წიგნით „მე ჩემს ვალს მოვიხდი ხელოვნების წინაშე". არა ქვეყნის, არა ხალხის, არა ეპოქის, არამედ ხელოვნების წინაშე. შემთხვევითია ასეთი აქცენტირება? არა გვგონია. „არტისტული ყვავილებით" ქართულ სიმბოლიზმს გვირგვინი უნდა დაედგას. ეს ყველაზე უკეთ უწყის გალაკტიონმა.

მივყვეთ ცხოვრების ტალღებს.

გალაკტიონი ერთხანს სპეციალურ კომისიაში მუშაობს, რომლის მიზანია ქალაქის მოსახლეობის აღწერა. შემდეგ იუსტიციის კომისარიატში იწყებს სამსახურს.

რაც მთავარია, სარეჟისორო კურსებზე ჩაირიცხა. გულმოდგინედაც მეცადინეობს. მართალია, აქ იკითხება დისციპლინები რეჟისურიდან დაწყებული გრიმის თეორიით და პრაქტიკით დამთავრებული, მაგრამ პროგრამები საკმაოდ შეკვეცილია. ერთსემესტრიანი კურსები არსებითად თეატრალური ხელოვნების მხოლოდ საფუძვლების ცოდნას აწვდის მსმენელებს.

გალაკტიონი კმაყოფილია. ბოლოს და ბოლოს რამდენადმე მაინც ისრულებს წადილს.

ხანდაზმული მგოსანი ტკბილად იგონებდა ამ სასწავლებლის ამბებს და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა კურსების დამთავრების მოწმობას.

რა თქმა უნდა, თავიდათავი პოეზიაა. რევოლუციამ სხვა ფერი მისცა მწერალთა ყოფას და სხვაგვარად აანაკადა ლიტერატურული ცხოვრება. ბობოქრობენ ფუტურისტები. ბევრს პირზე აკერია ა. კრუჩიონიხის სახელი. „ვიღაცამ მასში იპოვა

რუსული ახალი პოეზიის ლენინი". გალაკტიონი არა მხოლოდ გაოცებულია, არამედ შეშფოთებულიც ამგვარი პარალელით. იგი არ უარყოფს ა. კრუჩიონიხის პოეტურ ნოვაციებს. ჩანს, მის ბგერით და გრაფიკულ ზაუმებს ანგარიშს უწევს, მაგრამ დიდ პოეტად მაინც არ თვლის. „კრუჩიონიხი ერთი იმათგანია, რომელნიც ბუზებივით ირევიან სხვადასხვა „ფანტასტიკურ კაბაჩოკებში".

ეს მეტყველებს პოეზიის ნამდვილი ღირებულების შეცნობის ნიჭზე. ლიტერატურის არსისა და მნიშვნელობის სწორ გაგებაზე.

ვ. მაიკოვსკიც საკმაოდ სახელიანი ამ დროს. გალაკტიონი მისი პოეზიის საერთო შეფასებას იძლევა, თუმცა მხედველობაში უპირატესად მაინც ადრინდელი მაიაკოვსკი ჰყავს. „მე ჯერ კიდევ პირადად არ ვიცნობ მას. ვეცდები ვიყო ობიექტური. იგი ფუტურისტია". და შემდეგ ასეთ მოსაზრებას ავითარებს: იგი სრულად არაა ახალი რადაც. არც თანამედროვე ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. როდესაც იგი იერიშით მიდის პუშკინისათვის თუ პირველობის დაფნის წასართმევად არა, პუშკინთან გათანაბრების მიზნით მაინც — ეს მეტისმეტად სასაცილოა. თვითონ მაიაკოვსკის გამოდის პუშკინიდან ისე, როგორც ყველა პოეტები რუსეთისა".

ეს კიდევ ერთი დადასტურებაა კლასიკოსებისადმი გალკტიონის ერთგულებისა და, საერთოდ, ლიტერატურული პროცესების მართებულად გაგებისა.

გალაკტიონი ყველაფრით ინტერესდება. იშვიათ შემთხვევებსა თუ ყოფით დეტალებშიაც ეძებს პასუხებს საჭირბოროტო კითხვებზე. ყოველმხრივ ცდილობს ღრმად ჩასწვდეს მოვლენებს და მასშტაბური დასკვნები გააკეთოს. ამ პერიოდის მისი ცხოვრება ხასიათდება ძიებებით და ისევ ძიებებით. საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ერთ ამბავზე. გალაკტიონს არაერთხელ გაუხსენებია, რომ მოსკოვში იგი შეხვდა ი. სტალინს. ეს ფაქტი ძალზე ლაკონიურად ფიქსირებულიც აქვს ერთ მოგვიანო ჩანაწერში. პოეტის არქივში ვერ მივაკვლიეთ სტალინთან საუბრის თუნდაც მოკლე შინაარსს. ამიტომაც დავესესხები 1954 წელს ჩვენს შორის გამართული ერთი დიალოგის ზუსტ ჩანაწერს:

„— ძალზე კარგად მიმიღო სტალინმა. საქართველოს ამბებით ინტერესდებოდა, საერთო ნაცნობებიც მოიკითხა. მთელი საათი ვისაუბრეთ.

— ჰქონდა ამდენი დრო? — ვეჭვობ მე.

— საუბარი ხელს არ უშლიდა სხვა საქმეც ეკეთებინა. შემოდიოდნენ და გადიოდნენ ფარაჯიანი ჯარისკაცები...



– რით დამთავრდა თქვენი შეხვედრა?

– შემომთავაზა სასწრაფოდ შუა აზიაში გავმგზავრებულიყავი და სათავეში ჩავდგომოდი ბასმაჩების წინააღმდეგ შებრძოლ დიდ რაზმს.

– მერე?

– მეორე დღეს ავად გავხდი. ცუდად ვიყავი ჩაცმული... ისე, კაცმა არ იცის, იქ რომ წავსულიყავი, ეყოლებოდა თუ არა საქართველოს სახალხო პოეტი".

კარგად მახსოვს, როცა ამას ამბობდა თავს ოდნავ მაღლა წამოსწევდა. შუბლი ელარებოდა. ძნელი არ იყო შეგემჩნიათ, რომ სერიოზულად უძებნიდა გამართლებას, თუ რატომ არ წავიდა შუა აზიაში.

ეს ფაქტი დოკუმენტურად რომ არ დადასტურდეს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. მაშინ იგი პიროვნებაზე ტოტალური სახელმწიფოსა და ერთმმართველი პარტიის ზეწოლის არასახარბიელო კონიუნქტურის არგუმენტად გამოდგება.

მივყვეთ პოეტის ოდისეას.

ნევისპირა ქალაქიდან უჩვეულო ამბები მოდის. გალაკტიონიც ემშვიდობება მეუღლესა და პეტროგრადისკენ მიჰქრის. რატომ? არავითარი გადაუდებელი პირადი საქმე, არავითარი მატერიალური დაინტერესება. პეტერბურგში სამუმი მძვინვარებს და ისე ადვილად შეიძლება აორთქლდეს კაცი, როგორც უდაბნოში წვეთი. გალაკტიონი კი მაინც არ დრკება. ამჯერადაც თავს იჩენს ყველაფრის ხილვის და გათავისების დაუოკებელი სურვილი.

მინებჩალეწილი ვაგონი... მგზავრები იატაკზე, კიბეებზე, სახურავზე. ხრიალი, ხველება, ზოგჯერ სიმღერა, უფრო ხშირად წყევლა. გალაკტიონს თვალში ეჩხირება ნაყვავილარი ცალთვალა ჯარისკაცი. მას მკერდთან ფარაჯა უწითლდება – სისხლი, სისხლი! – ყვირის პოეტი. დაჭრილი ჰგონია. გადაუხსნა ფარაჯა და გადმოვარდა მაჯაში გადაჭრილი ქალის ხელი თითებზე ოქროს ბეჭდებით, ბრილიანტებით. ღმუილში გადასული რისხვა, მიასიკვდილეს და გადაისროლეს გაქანებული მატარებლიდან.

ფათერაკებით იყო სავსე მოგზაურობა. შებინდებისას გამოჩნდა პეტროგრადი „ასეთი კარგი და უდაბური". პოეტი ხედავს ქარვათა მორევში როგორ დაეშვა ფარდები და როგორ კანკალებს საღამო შიშით და რიდებით.

ორმოცი წლის შემდეგ გალაკტიონი იგონებდა: „ყმაწვილობისას ბევრს ვოცნებობდი ამ ზღაპრულ ქალაქში მოხვედრაზე. უნახავადაც ისე შევიყვარე იგი, რომ თვალდახუჭულს

შემეძლო ნევის პროსპექტზე გავლა (სხვათა შორის, გალაკტიონი აღტაცებული იყო ა. ბელის „პეტერბურგით“. დიდ ნაწყვეტებს სხაპასხუპით წარმოსთქვამდა და ავტორის ხატვის მანერაზე ამახვილებდა ყურადრებას). მაგრამ პეტროგრადში ჩასულს არც კი გამიხედავს ისაკის ტაძრისა თუ ფონტანისაკენ, სმოლნს მივაშურე.

პეტრეს ქალაქი სავსეა შეიარაღებული მეზღვაურებითა და მუშებით. ბევრი მათგან პულკოვოსთან ბრძოლის მონაწილეა. ყვებიან, ზოგჯერ უწმაწურადაც კი, კერნესკისა და კოლჩაკის განადგურების ამბებს. გალაკტიონი მუშათა და სტუდენტთა წრეში ტრიალებს. სურს უფრო მეტად ნასწავლეს ახალი ყოფის სპეციფიკას.

პეტროგრადში იყოს და ცარსკოე სელო არ მოინახულოს? ყველაფერს რომ თავის დავანებოთ, ის ხომ პუშკინის სიყმაწვილითაა განათებული. იქ ცხოვრობდნენ ჟუკოვსკი, კარამზინი, ვიაზემსკი, დელვიგი, კიუხელბეკერი და სხვ. ამჯერად ლიტერატურული ინტერესი ყველაფერს ფარავს და გალაკტიონი ზღაპრული ქალაქისაკენ მიჰქრის... ყოფილი ლიცეუმის შენობასწინ დიდხანს დგას. მერე პატარა არხზე გადებული ხიდის მოაჯირზე ჩამოჯდება და წარმოსახვას აფიქსირებს, სწორედ ასე დაიწერა „ოფორტი“.

„ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი,
რომ მოიხვიოს თეთრი ავდარი,
ამ სივრცეებში მყავს დამარხული
ზამთარი ცივი და ნაზავთარი.
მისი ელამ მზის თვალის ხილება
ეშორეება ჰაერს არეულს,
მხოლოდ ტყემლების აყვავილება
ხეებს რიდეებს ფენს სიზმარეულს.
ფერუმარულის სახით ცხედარი –
მარმარილო დგას, როგორც მუმია,
გაყინულია, თითქო, მხედარი
და იდუმალ სწუხს: რა სიჩუმეა!
რა სიჩუმეა! როგორ აჩნია
გზებს ნაკვალევი არ საამსოფლო,
რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია...
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“[1].

მოდით, გავითვალისწინოთ ერთი ცნობილი მეცნიერის

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 35.

შეგონება და მგოსნის პორტრეტის ძერწვისას მხოლოდ ბიოგრაფიული დეტალებით ნუ დავკმაყოფილდებით, „მაგ ლექსებითაც გამოხედოთ ფაქტებსა და მოვლენებს“.

მაშინ პირველი დასკვნა ასეთი იქნება: გარესამყაროს მოხილვის სურვილი გადაუფარავს შიდასამყაროს კვლევის პროცესს. „ოფორტს“ არაფერი აქვს საერთო რევოლუციურ თემატიკასთან და, საერთოდ, იმდროინდელ ამბებთან. ეს ლექსი კიდევ ერთი დადასტურება გალაკტიონის გლობალური ხედვისა, პოეტურ კოდთა ოსტატურად მოწოდებისა და უმძლავრესი შთაბეჭდილებების შექმნისა. „ოფორტი“ იმ ნაწარმოებებს არ მიაგავს, რომლებშიაც იდეის პირდაპირი, ხაზგასმით წარმოჩენა შეინიშნება. ალბათ, ნებისმიერ ალლოიან მკითხველს შეუძლია წარმოსახვით შეავსოს და გააღმავოს სურათი, თავისებურად გაშიფროს ზოგიერთი სახე. „ოფორტში“ მე ვხედავ ჩრდილოეთის პეიზაჟს და იმპერატორის სასახლის ბრწყინვალებას. ვგრძნობ ყველაფრის წარმაელობით გამოწვეულ ტკივილს და მამულის უსაზღვრო სიყვარულს.

ერთი კვირის შემდეგ მოსკოვს ბრუნდება. ცდილობს, არ დააკლდეს მნიშვნელოვან შეკრებებს. მოწმე გახდა გრაფი მირბახის მკვლელობისა. ესერების დაპატიმრებასაც შეესწრო.

ცხოვრება ჯერ კიდევ ვერ ჩადგა კალაპოტში. გადაიღალა, უჭირს. აქ დავესესხებით ერთ უცნობ წერილს. იგი დათარიღებულია 1918 წლის 14(1) იანვრით. „ძვირფასო დედა! პირველად ვისურვებ შენს ბედნიერ და დღეგრძელ სიცოცხლეს. გარდა ამისა, იმედია, ჩემს ამბავს იკითხავთ. ვარ ძლიერ კარგად, ერთად ერთი, რაც მაწუხებს, ეს თქვენი ამბავის უცოდინარობაა. პირდაპირ საოცარ და საშინელ დროში ვართ,მაგრამ ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, რომ ყველაფერი ასე აირევოდა; უბრალო წერილის გამოგზავნაც კი მოუხერხებელი გახდა, თორემ სხვას ვინ დაეძებს. ძვირფასო დედა, მხოლოდ თქვენი ამბავი მაწუხებს: სად ხართ, როგორ ხართ, ვინ იცის, რა გაჭირვებაში ხართ? ყოველდღე ვათვალიერებ გაზეთებს. საქართველოდან აქ არავითარი ცნობები არ მოდის, და რაც მოდის, რადაც არ არის დასაჯერებელი.

წერენ ოსმალეთის გამარჯვებაზე... და ვწუხვარ... ვაი,თუ ჩემს მშობლიურ ბუდესაც მიუახლოვდნენ-მეთქი.

არაფერი არ გამიკვირდება, ისეთი საშინელი დროა. რამდენი ხანია გადაწყვეტილი მაქვს აქედან წამოსვლა,მაგრამ დღემდე ეს მოუხერხებელი იყო. დღესაც გზაში ათასი გაჭირვება უნდა ნახო და, ისიც ვინ იცის, მიაღწევ თუ არა სამშობლომდე...

მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მე გადაწყვეტილი მაქვს შემოდგომამდე მოვახერხო წამოსვლა.

აქ სამსახურში ვარ (Комиссариат Юстиции). ჯამაგირს ვიღებ იმდენს, რომ საცხოვრებლად მყოფნის. გასაოცარი სიძვირეა დღეს აქ... რამდენი უბედურება მე აქ გადავიტანე, ვინ დათვლის, მაგრამ თქვენც არანაკლებ მდგომარეობაში ხართ, ალბათ. როდესაც ჩამოვალ – (თუ სახლი ისე დამხვდა, როგორც დავტოვე) ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ... საწყალო დედა! წარმოდგენილი მაქვს, რანაირად იქნები ეხლა შენ...

რას შვრება აბესალომი?

ხომ კარგად არის?

ვკითხულობ მხოლოდ, თორემ ვინ მომცემს ეხლა პასუხს.

მალე ყველაფერი უკეთესად იქნება, დედა. შენ არ შეშინდე, ყოჩაღად უნდა იყო.

მოსკოვში ჩემს გარდა ათასამდე ქართველია. სულ ყველა ისე გამდიდრდა, როგორც კრეზი. აბა? (კრეზი აბესალომს კითხე, რა არის).

დადიან მოსკოვში ეს ქართველები და ყველა ქართველებს თავი მოგვჭრეს, ისე იქცევიან.

ხომ იცი მდიდარი ხალხის ხასიათი, ყველა ფეხებზე კიდიათ. ვაჭრობენ ამ (სპირტით) და სხვა საქმე არაფერი აქვთ.

რას დავეძებ მათ...

მე ჩემი საქმე მაწუხებს. როგორმე რომ შემეძლოს წამოსვლა... რა დიდი სიამოვნებით დავტოვებდი აქ ყველაფერს დღესვე. დღესვე ჩავჯდებოდი მატარებელში.

მადლიანი კაცი გამოჩნდა და ეს წერილი მოაქვს... პირობას არ მაძლევს, რომ უსათუოდ ჩავიტანო...

მე მგონია, მოახერხებს...

დედა, როგორც კი ეს წერილი მიიღო, ძალიან გთხოვ, იმ დრესვე ტელეგრამით მაცნობო შენი, აბესალომის და ჩვენების ამბავი. შენი და აბესალომის ამბავი მაცნობე როგორმე უსათუოდ. ტელეგრამას უსათუოდ მიიღებენ, მოაღწევს, თუმცა დაგვიანებით. დააგვიანდება გზაში, მაგრამ არა უშავს რა.

ასე, ძვირფასო დედა...

ველი ცნობებს...

როგორმე ამ საშინელ და უბედურ დროს თუ უხიფათოდ გადავურჩით, შემდეგ არაგვიშავს რა... ღმერთი მოწყალეა. მე დიდი იმედი მაქვს მომავლის. ღვთისა და თქვენის დახმარებით მე არ დავიღუპები.

ჭკვიანად, გონიერად მოიქეცით ყველგან, დედა.

გადაივლის ეს ქარიშხალი, ცხოვრება დაწყნარდება და მაშინ ნახე, რა ბედნიერები ვიქნებით...

ნახვამდის, დედა ჩემო! უსათუოდ ასე მოიქეცი: ტელეგრამა გამომიგზავნე. ტელეგრამას მე უსათუოდ მივიღებ... შემომითვალე შენი და აბესალომის ამბავი.

აბესალომს სალდათობა ხომ არ შეხვდა? შემატყობინეთ ესეც.

მარადის და მარადის იქითაც შენი ერთგული შვილი გალაკტიონ ტაბიძე.

P. S. მე ეხლა ვცხოვრობ მოსკოვის ქართულ საზოგადოებაში (მშვენიერ ბინაზე). ტელეგრამა ასე გამომიგზავნეთ Москва. Поваренная 29/18, Галактиону Табидзе".

ბარათი ინტიმური ხასიათისაა და მასში არც უნდა ვეძებოთ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე ღრმა მსჯელობა. ამდენად, იგი ნაკლებ გამოდგება რევოლუციისადმი გალაკტიონის დამოკიდებულების გასარკვევად. ერთი რამ კი მაინც აშკარაა. აღტაცებითი პათოსი გამქრალია. ახალ ეპოქას გალაკტიონი იხსენებს „საშინელ და უბედურ დროდ". სწამს, რომ გადაივლის ქარიშხალი და ცხოვრებაც დაწყნარდება.

ბარათი არსებითად საგულისხმოა ისტორიული რეალობისა და ბიოგრაფიული მომენტების წარმოსადგენად, აგრეთვე დედისადმი უფაქიზესი გრძნობების გამხელის თვალსაზრისით.

მაშ, საკითხის გასარკვევად ძირითადად ლექსებს უნდა დავეყრდნოთ. გვიანი ჩანაწერები უფრო ფხიზელ და კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

მკითხველის ყურადღებას ერთ გარემოებაზე გავამახვილებთ. ხსენებულ ბარათში ორგზის ფიგურირებს ღმერთის სახელი: „ღმერთი მოწყალეა", „ღვთის და თქვენის დახმარებით მე არ დავიღუპები". ასეთი რამ იშვიათად ან თითქმის არ გვხვდება გალაკტიონის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. ჩანს, გალაკტიონი უკიდურესად შეჭირვებულია. „ვარ ძალიან კარგად" – დედის გასამხნევებლად დაწერილი ფრაზაა. სინამდვილეში არა მხოლოდ მატერიალურად, სულიერადაც დაუკმაყოფილებელია, დაბნეული.

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ: ქაოსმა გალაკტიონის წინაშე ისეთი პრობლემები წარმოშვა, რომლებშიც ვერ გარკვეულა, ბევრ კითხვაზე პასუხი ვერ მოუძებნია. ასეთ დროს, როგორც ჩვევია რიგით მოკვდავს, მთელს იმედებს ზენარზე ამყარებს.

მოსკოვური ამბები თითქოს შესაძლებლობას იძლეოდა, გაქცეოდა გულისგამაწვრილებელ ყოველდღიურობას. დიდი

ქალაქის ცხოვრების უნივეულო წესი,უცხო მოვლენები,საინტერესო შეხვედრები, ახალი შთაბეჭდილებები... მაგრამ გადის დრო და გალაკტიონი რწმუნდება,რომ გარე სამყაროს მრავალფერეოვნება საკმარისი არ არის შიდა სამყაროს ფერადოვნებისათვის, სიმშვიდისათვის. ისევ აწამებს ძველი კითხვები, ზოგჯერ ეჭვიანობს და საყვედურობს ოლიას,ხანდახან მრისხანებს კიდეც; ნაცნობებთან კვლავ გულდახშულია. ერთადერთი, რაც სიამეს ჰგვრის, პოეზიაა. ჩაიკეტება ოთახში და თავაუღებლივ მუშაობს. მერე საათობით იკარგება.

ოლია გრძნობს,რომ ასე დიდხანს ვერ გასტანს.

გალაკტიონს უფრო და უფრო ძლიერ ესმის ივერიის ზარების გუგუნი. ლურჯი ცა და მცხუნვარე მზე სამხრეთისაკენ იზიდავს. აქვე უნდა გავიხსენოთ პოეტის გულწრფელი გამონათქვამი: „ვგრძნობ მხოლოდ, რომ ღმერთი ვარ". ეს გალაკტიონის ეროვნული თვითშეგრძნების უმძაფრესი გამოვლენაა, მისი პოეზიისა და პიროვნების სინკრეტიზმის ხაზგასმა.

ბოლოს და ბოლოს, მეუღლისა და მისი გავლენიანი მეგობრების წყალობით მოხერხდა გერმანელთა ტყვეობიდან განთავისუფლებული ქართველი ჯარისკაცებით სავსე ვაგონში ადგილის შოვნა.

ეშელონი გრაფიკის გარეშე, ხან დიდი შეყოვნებით, ხან კიდევ წამიერი შეჩერებით მოძრაობს.

...გადამწვარი სოფლები, დანგრეული ქალაქები, „ყელგამოჭრილი მინდვრები"... უკრაინაში კვლავ შეუპოვარი ბრძოლებია. სადგურ ნეჟინში პოეტის თვალწინ გათამაშდა სისხლიანი დრამა. ჰაიდამაკებმა და გერმანელებმა ვაგზლის შენობაში გამაგრებული პარტიზანები დაცხრილეს.

გალაკტიონმა გაჭირვებით მოაღწია ოდესამდე. ბილეთი შედარებით იოლად იშოვა და გემი „დალანდით" საქართველოს მოაშურა.

„გემით „დალანდი" მოვდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გალვიძება გულს დარდად ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?
გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მოაპობდა გემი „დალანდი"
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი"[1].

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 36.

აქვე დავესესხებით გალაკტიონის კიდევ ერთ უცნობ ჩანაწერს: „გემით „დალანდით“ მე ვბრუნდებოდი სამშობლოში და მომქონდა ცრემლით სავსე ღამეებში სისხლით დაწერილი კაპიტალური რომანები, დაწერილი იმ დროს, როდესაც ჯერ არ მასვენებდა მიქელანჯელოს იდეა, გიგანტური „მთების ლანდშაფტის შექმნისა“. მახსოვს, დაღლილი ქარისაგან და დაფლეთილი ვიდექი გემის ბაქანზე. გაისმა ხმამაღალი ძახილი „გალაკტიონ!“ მზლავრი ტაშისცემა და დაუვიწყარი ოვაციები“...

ეს ამონარიდი იმ მხრივ არის საყურადღებო,რომ გალაკტიონის დიდ ჩანაფიქრს ამხელს,ჩანაფიქრს,რომელიც რევოლუციით იყო ნაკარნახევი. მიქელანჯელოს იდეით გატაცება მან საკუთარ ჟურნალშიაც დაადასტურა. რაც შეეხება კაპიტალურ რომანებს, ისინი საერთოდ არ შეთხზულა. საზეიმო შეხვედრის სურათიც ფანტაზიის ნაყოფია. მოგონებებში „შემთვევები 1918 წელს“ პოეტი მოგვითხრობს, რომ გემი ფოთის ნავსადგურში გაჩერდა. ხელისუფლება მას არ აძლევდა ნაპირზე გადმოსვლის ნებას. გაურკვევლობამ რამდენიმე საათს გასტანა.

ეს უფრო ახლოა სინამდვილესთან. მაგრამ ზემომოტანილ ციტატას მაინც ნუ წავიკითხავთ ზერელედ. იგი რელიეფურად ამხელს გალაკტიონის დიდ სწრაფვას თვითდამკვიდრებისა და ჰარმონიულობის მიღწევისაკენ.

პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, აბობოქრებულ რუსეთში გატარებული შვიდი თვე შვიდ საუკუნეს ედრებოდა. ეს იყო არა მარტო გრანდიოზული მოვლენების ხილვისა და განცდის ხანა, არამედ ღირებულებათა გადაფასების დაწყების პერიოდიც. შეიძლება ამაზეც მიგვანიშნებდეს ფრაზა: „მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ“.

რუსეთს გამგზავრება გალაკტიონისათვის არა არის მხოლოდ ფრთების გაშლა რომანტიკოსისა.

ნაპირისაკენ სწრაფვა მეზღვაურისა.

კვერთხის აღება პილიგრიმისა.

ეს იყო მძალვრი გამჟღავნება გენიალური პოეტის ბუნებისა, იმ თავისთავადობისა, რითაც ესოდენ განმაცვიფრებელია გალაკტიონი.

ჭეშმარიტი მგოსანი იქ უნდა იყოს, სადაც წყდება ხალხის ბედი, ქვეყნის განახლების საკითხი. გალაკტიონიც ასე იქცევა და ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ნერვი ძაფიც არ არის მასში არაპოეტის.

მაგრამ საუბარს აქ ვერ დავამთავრებთ.

გალაკტიონის მთელი შემოქმედება ფაქტიურად ადამიანური შეზღუდულობის გადალახვისაკენ სწრაფვაა, შეუცნობელ შეცნობისაკენ ლტოლვაა, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა. იგი ვერ დამშვიდდება, უხილავი თუ არ იხილა, მიუწვდომელს თუ არ მისწვდა, იდუმალი თუ არ შეიცნო. იგი ბობოქრობს, ეძებს, მიისწრაფვის და ამიტომაც ესახება საგულისხმოდ მოსკოვ-პეტროგრადი.

იქნებ სწორედ ეს გრგვინვა, სამყაროს შებარბაცება, ეს „არნახული აპოკალიფსი" ქმნის შესაძლებლობას სამანები გაადარღვიოს; იქნებ სწორედ სატახტო ქალაქებში იღება, თუნდაც წამიერად, ის სარკმელი, საიდანაც „საიდუმლო მხარეში" შეხედვის შესაძლებლობაც ჩნდება.

ვიდრე საბოლოო დასკვნის გამოტანას შევეცდებოდეთ, ერთ შენიშვნასაც გამოვთქვამ. გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემი მიხედვით, 1917-1918 წლებში პოეტს დაუწერია ორმოცდაათამდე ლექსი. სავარაუდოა, რომ ამავე პერიოდში იყოს შეთხზული ის ნაწარმოებები, რომელთაც პირობითი თარიღი უზით – 1919 წლის ივნისამდე. ასეთია დაახლოებით ოცდაათი. მაგრამ ამ ოთხმოცანდე ლექსიდან პრესაში 1917 წელს გამოქვეყნდა ოთხი, 1919 წელს – სამი, ხოლო 1918 წელს არც ერთი არ დაბეჭდილა.

ამ გარემოებაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ არ არის გამორიცხული, შემდეგ პერიოდში დასტამბული ზოგიერთი ნაწარმოების შეთხზვის თარიღი არაზუსტი იყოს. ჩვენ კი ამჯერად სწორედ 1917-1918 წლების მოაზროვნე გვაინტერესებს.

შემდეგ: 1917-1918 წლების პრესაში გამოქვეყნებული შვიდი ლექსიდან მხოლოდ ორია მიძღვნილი რევოლუციისადმი, თანაც თებერვლის რევოლუციისადმი. დანარჩენი ხუთი სულ სხვა ხასიათისაა.

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი დადებითად შეხვდა თებერვლის რევოლუციას, ან იქნებ უფრო ზუსტი იყოს: ძველის ნგრევას. ამაზე მეტყველებს „დროშები ჩქარა", „ათრობდა ხალხთა მწუხარება" და დედისადმი გაგზავნილი ბარათი. ოქტომბრის რევოლუციის შთაბეჭდილებები კი ასე ოპერატიულად არ არეკლილა, მეტსეულად არ დაფიქსირებულა.

ცოდვა იქნებოდა იმის თქმა, რომ პოეტი, რომელიც შვიდი თვე ცხოვრობდა ალმოდებულ რუსეთში, ვერაფერს ხედავდა და ვერაფერს განიცდიდა. მაშ რა მოხდა?

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გალაკტიონი ჯერ კიდევ

ვერ გარკვეულა ოქტომბრის აჯანყების არსში,მას დრო სჭირდება მოვლენების გასააზრებლად?

ეს ვარაუდი დიახაც არსებობს, მაგრამ საპირისპიროდ ხომ შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი 1917 წლის მაისიდან 1918 წლის ივლისამდე მოსკოვშია. სად უნდა გამოექვეყნებინა ლექსები? საქართველოში უბრალო ბარათის გამოგზავნაც კი ჭირდა.

სამშობლოში ჩასულს სხვა ვითარება დახვდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკა შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელები პრინციპულად გაემიჯნენ ოქტომბრის რევოლუციის თავკაცებს.

გარდა ამისა, გალაკტიონი წიგნს ამზადებს გამოსაცემად. ასეთ დროს კი იგი მთლიანად ჩანთქმულია ძირითად საქმეში, ნაკლებ ყურადღებას აქცევს სხვა საკითხებს.

ამიტომ უპრიანი იქნება, პირველ რიგში, „არტისტულ ყვავილებში" (1919 წ.) დაბეჭდილი ლექსები გადავიკითხოთ. ამ კრებულიდან ჩვენთვის საინტერესო ასპექტით ყურადღებას იპყრობს: „როგორ ებრძოდნენ ზარები ზარებს",„გემი „დალანდი" და „დაბრუნება" (სხვათა შორის, წიგნში 86 ლექსია შესული. იქნებ ღირდეს დაფიქრება შეფარდებაზე – ოთხმოცდასამი სამთან).

„როგორ ებრძოდნენ ზარები ზარებს" სევდით გვავსებს. ჩანს ტკივილი, დარდი, შეშფოთება... მართალია, დაეცა კრემლი – ტანჯვათა მიზეზი, მაგრამ ვითარება მაინც გაურკვეველია.

„დღითა და ღამით, დღითა და ღამით
გრგვინვით ებრძოდენ ზარებს ზარები.
მოსდა კიდეებს, გასცდა ნაპირებს
და გრიგალივით მოედო ქუჩებს,
სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის
ზვირთი, ყველაფერს ნაზიარები,
იდუმალ ფიქრთა ჯაჭვაწყვეტილი,
აღელვებული მორევის ქაფი,
არეულ ჯურღმულთ აღმოჩინებით,
ხავსე საზარლად მცურავი მკვდრებით –
მოედო ქალაქს, მოედო სოფლებს,
ისევ მონახა ბნელი სარდაფი.
შებოჭა ერთი მძლეველი ძალით
და გადალეკა აღფრთოვანებით"[1].

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 29.

ვინც ამ ლექსს მთლიანობაში გაიაზრებს, ეს კი ამგვარად უნდა მოხდეს, მას ნამდვილად გაუჭირდება დაასკვნას: აქ რევოლუციის ქებათა ქება იყოს.

„დაბრუნებაში" მე სულ სხვა განწყობა შევნიშნე: სამშობლოსაკენ მომავალი პოეტი იდუმალ მოლოდინს შეუპყრია. ის უკან – ჩრდილოეთისაკენ კი არ იხედება, არამედ წინ – სამხრეთისაკენ და მამულიც ამაღლებულად ეხატება.

„სადამოს ლანდები, ვით ბინდი ნიავის,
მიდამოს სდებია.
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
– ეს ჩემი სამშობლო მთებია!
მე რაღაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები...
ირგვლივ ზვირთებია
და გემი „დალანდი", რომლითაც ებრუნდები!"[1]

რაც შეეხება ლექსს „გემი „დალანდი", მასში ნახსენებია მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი, მაგრამ პირველ ადგილზე მაინც „შენ" – უძვირფასესი ოლია ოკუჯავა დგას. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ პოეტს თვალზე განსორების „მსუბუქი" ცრემლი ადგას. ახლაც რამდენჯერმე გადავიკითხე ეს ლექსი და გამოგიტყდებით, მაინც ვერ დავინახე, რომ მასში – ოქტომბრის სინათლე და სამშობლოში მისი შემოჭრის სურვილი ელავდეს.

ხსენებულ ნაწარმოებში პირდაპირ, პუბლიცისტური გზით არის გამჟღავნებული ავტორის დამოკიდებულება რევოლუციისადმი, როგორც ეს შეინიშნება თებერვლის ამბებთან დაკავშირებულ ლექსებში. მაგრამ არც ქვეტექსტებისა და რთული სახეების გაშიფრვა იძლევა იმის უფლებას, რომ მათში ოქტომბრის დიდი და მგზნებარე მომღერალი დავინახოთ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისი დავინახოთ.

სულ სხვაა შემდეგ პერიოდში გამოქვეყნებული ნაწარმოებები, რომელთა ანალიზს აქ არ შევუდგებით, მათი პათოსი კარგად არის ცნობილი.

არსებითი ის გახლავთ, რომ გალაკტიონმა უშუალოდ იხილა დიდი ამბები და მძაფრად აღიქვა ყველაფერი. იმ პერიოდში ნამდვილად კაცობრიობის პულსზე ედო ხელი (სხვა საკითხია, თუ როგორ შეაფასა). მას სრული უფლება ჰქონდა განეცხადებინა:

„...განვიცადე
რევოლუცია...

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 37.

მთელი სიმწარე მოვლენების
და მთელი სიტკბო,
რომ ეს სტიქია
უჩემოდ არ ჩატარებულა...
ო, რა თამამად
ცეცხლისკენ ველიდი"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთს გამგზავრება რომ არა, ალბათ, არ დაიწერებოდა „რამდენიმე დღე პეტროგრადში", „როგორ ებრძოდნენ ზარები ზარებს", „ქალაქი წყალზე", „ცეცხლი, მახვილი", „მოგონება ყრუ შესახვევისა", „ცხრას თვრამეტი" და სხვ.

შეიძლება არც ვ. ბრიუსოვის ლექსი თარგმნილიყო, რომელშიაც ვკითხულობთ:

„თოვლით დაფენილ რუსეთის ველებს
ჯერ არნახულმა ცისკარმა გაჰკრა"[2].

რაც შეეხება „ჯონ რიდს", მას ცინცხალ შთაბეჭდილებებზე აგებული ჩანაწერები უდევს საფუძვლად. პოემაში ფერმწერის ფუნჯით არის დახატული ალმოდებული რუსეთი. მძაფრად განიცდება ეპოქის მაჯისცემა. ცალკეული პასაჟები თითქოს ეკრანიდან გადმოდის.

რევოლუცია გალაკტიონის პოეზიაში წარმოჩინებულია, როგორც უდიდესი ისტორიული მოვლენა, ურთულესი და გლობალური ფენომენი. ლექსში „წერილი მეგობრებისადმი" ვკითხულობთ:

„ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები.
განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას — როგორ ჩვენი საქართველოა —
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?
ვულკანიური ორკესტრივით უნდა ისმოდეს
გრძნობათა ჩვენთა და ოცნებით ძლიერი ქნარი"[3].

გალაკტიონი 1917 წლის აბობოქრებას არ ზომავს მხოლოდ მოსკოვის მასშტაბით. მას საქართველოს ბედსაც უკავშირებს. პეტერბურგში ამოვარდნილმა სამუმმა სამშობლოსაც უნდა გადაუაროს. ეს ტენდენცია საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ <u>რუსეთ-საქართველოს</u> ურთიერთობის ილიასეულ კონცეფციას

[1] იქვე. ტ. VIII, გვ. 121.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 43.

[3] იქვე. გვ. 31.

ეხმიანება.

რღვევა, მოვლენების სწრაფი ცვლა, სოციალური ცხოვრების მჩქეფარე რიტმი ხელოვანის წინაშე მთელი სერიოზულობით აყენებდა გამოსახვის ახალი საშუალებების მიგნების საკითხს.

1922 წელს გალაკტიონი წერდა: „მეხუთე საუკუნის სტილი შვენის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, ისეთები, როგორიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენ ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტეხნიკურ საშუალებებს.

ჩვენ განვიცადეთ ახალი საქართველო, მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია.

არავინ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვები"[1].

გალაკტიონი არა მარტო გრძნობს ამის აუცილებლობას, არამედ სათანადო სიღრმითაც წარმართავს ძიებებს პოეტიკსი სფეროში. მან რევოლუციი მაჯისცემას შესაბამისი რიტმი მოუძებნა. ეს რელიეფურად გამჟღავნდა პოემაში „ჯონ რიდი". მოკლე ფრაზები, დატეხილი სტრიქონები, დეპეშური სტილი მომგებიანი აღმოჩნდა ბობოქარი დღეების ექსპესის გადმოსაცემად.

„მკვლელობა
პურის 1/8 გირვანქისათვის.
რეჟისორი გარდინი.
ფუტუისტების გაზეთები.
ლედა
კინოებში...
ვიკქელი...
კერენსკის მოწოდება და კრონშტადტი
გადატრიალებულ პეტროგრადში.
მზადება მოსკოვში, –
აპა, საცაა –
და ერთხელ, დილით –
ჯერ არ არის გათენებული,
ქუჩაზე მოძრაობაა.
იუნკრები, თეთრი გვარდია,
წითელი დროშა,

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 17.

დაჭრილნი მიჰყავთ
უნივერსიტეტის კლინიკაში"[1].

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფორმის და შინაარსის უჩვეულ თანხვედრასთან. გალაკტიონმა შეძლო მოვლენის არა მხოლდო შინაარსის გაცნობიერებით წარმოეჩინა რევოლუციის სტიქია, არამედ სტრიქონთა წყობითაც, ინტონაციების ცვლით, ნაწყვეტ-ნაწყვეტი პოეტური ასოციაციებით გაეადვილებინა მკითხველისათვის რევოლუციის ტემპისა და დინამიკის შეცნობა, მისი თავისთავადობის აღქმა.

ეს იყო აუცილებლობით გამოწვეული გადახვევა კლასიკური გზიდან, მისაღები სიახლე და არავითარ შემთხვევაში „პოეტური სუროგატი", როგორც ზოგიერთ მკითხველს მოეჩვენა. ამ თემაზე საუბარი შემდეგი მოსაზრებით უნდა დავამთავროთ: პირველ ხანებში გალაკტიონი ნაკლებ ან საერთოდ არ მიჯნავს ერთმანეთისაგან რევოლუციას, როგორც ასეთს, კონკრეტული რევოლუციისაგან.

მისი გაგებით, რევოლუცია საერთოდ გულისხმობს ძველის დამხობას და ახალი პროგრესული წყობილების დამყარებას. ამიტომაც ესალმება თებერვლის გადატრიალებას, თუმცა მრავალმხრივ არ აქვს გაცნობიერებული ამ აქტის ასპექტები, მისთვის ამჯერად ისიც საკმარისია, რომ ძველი დაემხო.

რაც შეეხება ოქტომბრის აჯანყებას, თავდაპირველად მისი სპეციფიკაც ნაკლებ ჰქონდა შეცნობილი და მასაც ზოგადი თვალსაზრისიდან გამომდინარე უდგებოდა. თუმცა ისიც შეინიშნება, რომ ამდენმა სისხლისღვრამ და ქაოსმა დააფიქრა, ნაწილობრივ დააბნია კიდეც. მაგრამ გადამწყვეტი რადიკალური დასკვნა არ გამოუტანია.

საერთოდ კი ამ პერიოდში გალაკტიონი უმეტესად და უმთავრესად მაინც სხვა თემებს დასტრიალებს, სხვა განწყობილებებით ცოცხლობს. საილუსტრაციოდ „პირიმზეც" გამოდგება.

„დავიწყებული ჭიშკრის კარბაზე
ხავსი, ყავრები და წვიმის წვეთი!
გაჭრა ათასი თეთრი დარბაზი,
გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი.

კუბო კი ლამით სავსეა ითთ

---

[1] იქვე. ტ. VIII, გვ. 91-92.

და წაქცეული სვეტები დგება:
ამოდის მთვარე და სამაითი
ფერმკრთალ ქალების მიმოდის წყება.

ცეკვავს სამეფოდ ნაქარგი ქოში
და ხელსახოცთა ქრიან ზღაპრები
და მეძახიან მშვიდ სამეფოში
მთები, სიზმრები და წინაპრები.
დილით დამჭკნარი არის ბალახი...
ზედიზედ ისევ ეცემა სვეტი.
გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბალი
და მწუხარება დამრჩა ასეთი"[1].



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 47-48.

„...ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“

„ფარულ ტკივილების ბალი დაფარული
ასეთ გრადაციით მიდის ფრთა – ზვიადი:
ღამე მარტოობის მტევნით დახურული,
ფარდა – იდუმალი, სარკე იშვიათი“.

გალაკტიონი

1918 წლის ივლისში გალაკტიონი საქართველოში ბრუნდება. უკან რჩება მოსკოვი და პეტროგრადი მუზეუმ-წიგნთსაცავთა ინტიმური ჩურჩულით და ქუჩების სისხლიანი ამოხველებით. მაგრამ ეს დაბრუნება სულაც არა ჰგავს კარის გამოხურვა-დაგმანვას, წარსულისადმი ფარდის ჩამოფარებას. ალმოდებული რუსეთის სიმხურვალეს პოეტი ისევ განიცდის.

საერთოდ, გალაკტიონი დაჯილდოებული იყო აღქმა-გააზრების უჩვეულო ნიჭით. ფაქტსა თუ სიტუაციას ყოველთვის მკვიდრად იბეჭდავდა სულსა და გონებაში. მათ არც ფერი აკლდებოდათ და არც ხმიანობა. ამიტომ იყო, რომ სასურველ ვითარებაში ძველ პირველგანცდილი უშუალობითა და სისავსით აღადგენდა.

ბრუნდება სისხლნაკლული დღეებით განაწამები, მაგრამ მაინც შემართული, შეტევისა და წინსვლის დაუოკებელი სურვილით აღსავსე, სიცოცხლეს დახარბებული.

ესეც მისი თვისება იყო.

„...მახსოვს დალონებულიცა და მხნეც, მწუხარეცა და აღფრთოვანებულიც.მაგრამ როგორადაც გულგატეხილი არ უნდა ყოფილიყო რაიმე გარემოებით, არასოდეს უკან არ იხედებოდა, თვალწინ ყოველთვის ნათელი მომავალი ეხატებოდა, დაბინდულ მთებს იქით მოწმენდილი ცის მომხიბლავ სილაჟვარდეს ჭვრეტდა...“[1]

ამას მოგვიანებით, 1959 წელს იტყვის მგოსნის მახლობელი, უახლოესი ქართული პოეზიის ერთ-ერთი მესაძირკვლე იოსებ გრიშაშვილი. მაგრამ ეს შეფასება მთლიანად ვრცელდება ახალგაზრდა გალაკტიონზეც.

მოსკოვში კოლოსალური მუშაობა გასწია; გაასრულა წიგნი „არტისტული ყვავილები“, რომელმაც მთელი ქვეყანა უნდა შეაბარბაცოს. ჩაფიქრებული აქვს რომანი და ლექსების ციკლი...

ლომი ნახტომისათვის ემზადება...

უწინარესად, ყოფითი საკითხებია მოსაგვარებელი. ფულზე კვლავ მწყრალადაა. როგორ, რა გზით უნდა მოიპოვოს პური

[1] კრებული „სადღეგრძელო იყო მისი“, თბ., 1973, გვ. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონი

არსებობისა?!

ცხოვრებისეული წვრილმანები სულს უწეწავს და მაინც ქედუხრელია. იცის, ყველაფერი პოეზიას უნდა ესაფეხურებოდეს. იცის, საკუთარ ლანდს ვერ გაექცევა.

ფოთიდან პირდაპირ ჭყვიშს მიაშურა. თითქმის ფერუცვლელი დახვდა იქაურობა. ეს იყო მხოლოდ, ყავარი შელანძღულა და სახლის გვერდით მობუბუნე ვაშლის ხე ქარს წაუქცევია.

დედა მხნედაა. კვლავ წელში გამართული დადის. და მაინც: გალაკტიონის თვალს არ გამოპარვია – მაკრინე დროდადრო ხელის მოხდენილი აკვრით თავსაფარში როგორ მალავს ჩამოცურებულ ფერშეცვლილ კულულებს.

რამდენიმე წუთში მთელი ეზო შემოირბინა. მერე იწყება მეზობლების მოჯარება. აივანზე ტევა არ არის. ზოგი ცაცხვის გრძელ სკამლოგინზე ჩამომჯდარა, ზოგიც რიკულებიან მოაჯირს მიყრდნობია.

– რაფერაა იქ საქმე, ბალშევიკებმა სულ მთლად გადახნეს მოსკოვი? – კითხულობს დიაკონი ისიდორე და ირიბად იღიმება.

– ეტლში ცხენების მაგივრად კაცებს აბამენ? – თვალებს აფაფხურებს არსენი.

– „ბუხანკა“ პურისათვის მართლა მთელი ღამით მოგყვება ლამაზი ქალი? – ცმუკავს ულვაშაბიბინებული დიმიტრი.

უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. აივანზე იუსტინე ამოდის. ეკრძალვიან სულიერ მამას.

– საკმაოდ შეცვლილხარ! – ამბობს იუსტინე და თვალებში მზეჩამდგარი შესცქერის ძმისწულს. მერე ლიტერატურაზე გადააქვს საუბარი. ისიც ძლიერ აინტერესებს ბრძენ კაცს, როგორ წარიმართება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.

იუსტინე მალე მიდის და კვალავ ირევა ერთმანეთში ჭორი და მართალი. ამასობაში მაკრინეს არაყი და ხილი გამოაქვს. წამიერი შეშმუშვნა:

– რეიზე წუხდები, შე ქალო. – კვალვ ყაყანი.

გალაკტიონი გულისყურით უსმენს მეზობლებს. მისთვის ახლა თავიდათავი ხალხის განწყობის, ფსიქოლოგიის შეცნობაა. ამიტომაც გზადაგზა თვითონ ამძაფრებს საუბარს.

მეორე დღეს ძმები სკოლაში გადავიდნენ. აქ შვიდარშინიან ოთახში სამკითხველო გაუხსნიათ, რომელიც გალაკტიონის სახელს ატარებს. ეს აბესალომის დამსახურებაა.

ასამდე წიგნი. პატარა მაგიდაზე გაზეთები...

– „საქართველო“ ექვთიმე კოპალეიშვილმა გამოგვიწერა მთელი წლით, „ერთობა“ – მაქსიმე ქაჯაიამ...

გალაკტიონმა თითქმის ყველა წიგნს შეავლო ხელი. მერე ღრმააზროვნად გადახედა ძმას. მიუხვდა აბესალომი, გალაკტიონი კმაყოფილია, რადგან საოჯახო წიგნთსაცავიდან ერთი ბროშურაც კი არ არის გადმოტანილი. ძმებს უცნაური, მოწიწებით-ტკივილიანი დამოკიდებულება ჰქონდათ საგვარეულო ბიბლიოთისადმი. წიგნს ცოცხალ არსებასავით აღიქვამდნენ, ეფაქიზებოდნენ, ეკრძალვოდნენ, ხშირი ხელშეხებით ფერი არ დაჰკარგოს, არ გახუნდესო. განათხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სოფლის სამკითხველოსათვის აბესალომს ახლად შეძენილი საკუთარი წიგნები შეუწირავს, უმეტესად სასკოლო ლიტერატურა.

– მკითხველი ბევრი გყავთ?

– არა! ახლა ყველა სათოხარშია. ვნახოთ,რა იქნება ზამთარში.

– როგორმე უნდა შევინარჩუნოთ, გავამდიდროთ – ამბობს გალაკტიონი. მაგიდასთან სკამს მიაჩოჩებს და კალამს იმარჯვებს.

„ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზ. შემდეგ მოწოდებას. „მოქალაქენო! სოფ. ჭყვიშში გაიხსნა უფ. წიგ-საც. სამკითხველო გალ. ტაბიძის სახელობაზე. გამგეობა სთხოვს ყველას, ვინც დაინტერესებულია ხალხში განათლების შეტანით, გაგვიწიოთ ყოველ მხრივ დახმარება“.

მერე ხმამაღლა კითხულობს „წერილს რედაქციის მიმართ“ და დასძენს: ამ განცხადებას გაზეთში გამოვაქვეყნებ.

იგი მართლაც უცვლელად დაუბეჭდეს „ალიონში“ (1918 წლის 29 ივნისს), თანაც თანამშრომლობა სთხოვეს.

ჭყვიშში სამი დღე დაჰყო. შემდეგ ქუთაისი. ძველი ნაცნობები მოიკითხა. უკმაყოფილო დარჩა. უღიმღამო ეჩვენა ქუთაისი. ეს დასკვნა მხოლოდ მოსკოვთან შეპირისპირების საფუძველზე როდია გამოტანილი. რაღაც მნიშვნელოვანი დაუკარგავს ქალაქს. პროვინციელის ქუდი თვალებამდე ჩამოუფხატავს. საგუბერნიო ცენტრი გაფერმკრთალებულა, კულტურული ცხოვრება მოდუნებულა. კონსტანტინე გამსახურდია,ვარლამ რუხაძე,სხვანი და სხვანი თბილისში დამკვიდრებულან. ცისფერყანწელებიც სატახტო ქალაქში ბობოქრობენ.

სევდამ დარია ხელი. აქ ნამდვილად ვერ გაძლებს. თბილისი უხმობს.

და აი, პოეტების შფოთიანი სამეფოც.

მოდით, ვიდრე გალაკტიონის ცხოვრების ბილიკებს გავყვებოდეთ, ეპოქსაც გადავავლოთ თვალი.

1917-1918 წლები.

ოკეანის დაუნდობელი მიმოქცევა.

აპოკალიფსი.

მსოფლიოს რუკა გადაფერადდა. გაქრა ავსტრო-უნგრეთის იმპერია, დაეცა რომანოვების ტახტი, დამოუკიდებლობა მოიპოვეს ჩეხეთმა, პოლონეთმა, ფინეთმა, ლიტვამ და ა. შ.

რუსეთში ბოლშევიკები აღზევდნენ. მაგრამ არავინ უწყის, რამდენ ხანს გასტანს მათი მძლავრობა. როგორც ტიციან ტაბიძე იტყვის: „ანთებული ცეცხლი ჯერ კიდევ არ დამქრალა და მომავალი უფრო მძიმდება ფანტასმაგორიით და კოშმარებით. გადამწვარ რუსეთის ველებიდან თოვლიან კვამლში იხედება საბედისწერო სახე ლენინის, რომელმაც მოგრიხა გაფრენილი ხელით რუსეთის ბედი და მოაწყო ჭინკების კარნავალი"[1].

ხსენებული წლები ფსიქოლოგიური რევოლუციის ხანაც არის. ამიტომაც შინაგანი წინააღმდეგობანი მძაფრდება. ეს კი თავის მხრივ ქმედების აუცილებლობას ბადებს.

რა ხდება საქართველოში?

სამხრეთის ფრონტი მოირღვა. ამიერკავკასიის სეიმი სუსტი და უდღეური აღმოჩნდა. თურქეთი ზედიზედ იტაცებს კავკასიის პროვინციებს.

ბათუმი და ახალციხე ანექსირებულია. სოჭში დენიკინი პარპაშებს. ვითარება უმძიმესია და აი, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა ცხადდება.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებლ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური

[1] გაზ. „საქართველო", 1918, №195.

განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე"[1].

იმავე დღეს ჩამოყალიბდა სამინისტრო ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით

იწყება ახალი ერა.

განწყობაც ამაღლებულია, რაც კარგად გამოხატა გ. ლეონიძემ ლექსში „26 მაისი".

„შვინდის დროშებით გავაგიჟებ ყომრალ მოედანს...
– დღევანდელი დღე საქართველოს ისევ მოიტანს.
ნელდება ცეცხლის კოშმარებში ოდრიკალები –
თეთრი ფიქრები მახვევია მადრიგალებად"[2].

1919 წლის თებერვალში აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაამტკიცა ახალი მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

პატრიოტული ინტერესები რამდენადმე ავიწროვებს ეროვნულ ცნობიერებას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც მძლავრობს.

მთავრობისადმი თანადგომა დიდია. ხელისფლებას საკმაოდ ჰყავს მოწინააღმდეგენი. ცხარედაც კამათობენ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დიდ უმრავლესობას ღრმად აქვს შეცნობილი ეროვნული ხელისუფლების არსი და მნიშვნელობა.

ლირიკული გადახვევა.

1919 წელი. ქობულეთი. ხალხით გაჭედილი მოედანი და გამეხებული ასკერები. ცენტრში ლაშმორღვეული ზარბაზანი, რომლის აყირავებული ლულა თითქოს მზეს ემუქრება.

– მოჰყავთ!..

[1] ოფიციალური დამატება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა", 1918, №1, 25 ივლისი.

[2] გაზ. „საქართველო", 1918, №10.

წამიერი ჩოჩქოლი და კვლავ სამარისებური სიჩუმე.

ხელგაკრული ახოვანი მამაკაცი ამაყად მოაბიჯებს, მისი გამოხედვა, შინაგანი ცეცხლი, თავდაჯერებულობა მოკრძალებას ბადებს.

თურქი ოფიცერი ბრძანებს და ზარბაზნის ლულაზე თოკს გამონასკავენ. მარყუჟი ავბედითად ქანაობს.

ხელგაკრული მამაკაცი სკამზე დგება.

თურქი ოფიცრის ხმა შორს ისმის:

– კიდევ გეკითხები: ვის უჭერ მხარს – ოსმალეთს თუ საქართველოს?

ავისმომასწავლებელი ერეოლა... ერთი სიტყვა და გადარჩება... ერთი სიტყვა და გადარჩება... მაგრამ...

ხელგაკრულ მამაკაცს თავი მარყუჟისაკენ მიაქვს...

– გაუმარჯოს დამოუკიდებლ სქართველოს!..

ასე დაიღუპა ქობულეთის სახალხო მთქმელი ხასან თხილაიშვილი.

– XX საუკუნის კიდევ ერთი ცოტნე დადიანი.

...ჩავდგეთ მდორე დინებაში.

დიახ, ეროვნული თვითშეგნება დიდია, მთავრობის მეთაურისადმი პატივისცემა უსაზღვრო. შემთხვევითი არ არის, რომ იაკობ ნიკოლაძე ნოე ჟორდანიას ბიუსტს ძერწავს, სანდრო შანშიაშვილი ლექსით ადიდებს, გაზეთ „ერთობის" პუბლიცისტი ბელადს უწოდებს, ხოლო მეორე ჟურნალისტი საქართველოს წმინდა სიმბოლოდ სახავს. მკვიდრდება სიახლე: ოფიციალური და არა მხოლოდ ოფიციალური შეკრებების, ლხინის ქამს პირველი სადღეგრძელო მთავრობის მეთაურს მიუძღვნან[1].

აქ ერთ უცნობ მასალას დავესესხები. ზემოთ მოტანილი დოკუმენტი ფურცელზე გარკვევით იკითხება: „ძღვნათ ნოე ჟორდანიას". აშკარაა გალაკტიონის განზრახვა – ლექსით შეეხმიანოს დიდ ნოეს.

გალაკტიონი გულწრფელად ინტერესდება ჟორდანიას ხასიათითა და მოღვაწეობით. აანალიზებს მის მოქმედებას, ცალკეულ ნაბიჯებს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბევრს კარგად ახსოვს ჟორდანია-მახარაძის გამოსვლა-ქმედება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ[2]. და თუ ამჯერად არ ხდება ძარღვის გაშიშვლება, ისევ

---

[1] გაზ. „ერთობა", 1920, №14.

[2] ცნობისათვის: 1920 წელს გამოცხადდა ხელმოწერა ნ. ჟორდანიას თხზულებათა თხუთმეტტომეულზე. პირველი სამი ტომი დაისტამბა კიდეც.



საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ გარკვეული ცვლილებები იგრძნობა ნ. ჟორდანიას აზროვნება-ქმედებაში. მოვიტანთ ერთ გაუხმაურებელ ინფორმაციას, რომელიც სერიოზული ჩაფიქრება-განჯისაკენ გვიბიძგებს. „კვირას, 18 იანვარს, დილის 11 საათზე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ინიციატივით მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთისა და დ. ყიფიანის ხსოვნის აღსანიშნავად. წირვა გადაიხადა სრულიად საქართველოს პატრიარქმა ლეონიდემ. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დესწრო. დესწრნენ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი"[1].

1919 წლის 5 აპრილს გალაკტიონმა „იმედში" შეიარა. ეს სასადილო სემინარიის ყოფილ შენობაში იყო მოთავსებული და ხელოვანთა თავშესაფარს წარმოადგენდა. განაპირა მაგიდას დავით კასრაძე უჯდა. იგი ჩვეული აღტაცებით არ შეგებებია მგოსანს და ეს უკანასკნელი ოდნავ შეცბა.

— პანაშვიდზე იყავი? — იკითხა დავითმა და პასუხს არც დალოდებია, ისე განაგრძო — დამაფიქრებელია, ფრიად დამაფიქრებელი.

— რა? — ჩაეძია გალაკტიონი.

— ნოეს საქციელი.

ნ. ჟორდანიას 12 წლის ვაჟი — ანდრია — გარდაიცვალა. მეყსეულად მოიხარა უბედური მამა. დაბნეული და სანტიმენტალური გახდა. დაიძაბა საზოგადოება. აგორდა ჭორი. როგორ დაკრძალავს? ეს კითხვა მოულოდნელი არ ყოფილა. გურიაში სოციალ-დემოკრატთა წაქეზებით ეკლესიები

[1] ამ ბრძოლის ექო კიდევ საგრძნობია. მაგალითად, 1920 წლის „საქართველოში" დაიბეჭდა ვარლამ ხუროძის რეცენზია სილოვან ხუნდაძის წიგნზე. კრიტიკოსი გაცხარებულია: — ს. ხუნდაძე ვერ ამჩნევს ილიას ნაკლს და ზედმეტად აქებსო (№77).

გაავერანეს. გურიას სხვა კუთხეებიც აჰყვა. ქრისტიანული წესით დაკრძალვას ბევრი ალმაცერად უყურებდა, ჩამორჩენილობად თვლიდა. და აი, ნოე ჟორდანია სასულიერო პირებს იწვევს. წესის აგება... ლოცვა... გალობა...

– რა არის ეს? იდეების ღალატი თუ ტრადიციის ერთგულება? – კითხულობს დავითი და ასკვნის – ერის სულის ძახილი!

ისიც გაიხსენეს,რომ მეორე დიდმა რევოლუციონერმა კარლო ჩხეიძემაც ქრისტიანული წესის უზუსტესი დაცვით დაკრძალა შვილი.

გვიან დაშორდნენ ერთმანეთს. პოეტს ფიქრები მოეძალა. სულ სხვა თვალით შეხედა წარსულს, სხვაგვარად გაიაზრა ის დისციპლინები, რომლებსაც სემინარიაში ასწავლიდნენ. მაშინ საღმრთო სჯულისა და კატეხიზმოს დაზეპირება იყო თავიდათავი. ახლა სხვა რამ იწევს წინ. სული და ხორცი. ხორცი და სიკვდილი. წუთისოფელი. რომელი ცხოვრება უფრო ნაღდია – ამქვეყნიური თუ მიღმური?

სული თუ მარადიულია, მაშინ ცხოვრება ხომ არ არის გარდასახეულება? თუ სიცოცხლე სულის სამოსია, მაშინ სამოსი ვერ იქნება მარადიული. იგი უნდა შეიცვალოს. მაგრამ როგორ?

ბუნებაში თუ კი არაფერი იკარგება, გარდაცვალება რატომ უნდა აღვიქვათ ტრაგედიად?

იქნებ სიკვდილი სულიერი განახლების წინა ეტაპია?

იქნებ სიკვდილი მარადისობაში გადასვლაა. მაშინ შიში უნდა დაითრგუნოს. ზეცაში სიანკარე და სიწმინდეა. ამიტომ გარდაცვალება სულაც არ უნდა იყოს საშიში. „სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა“.

უარყოფა და მტკიცება. მტკიცება და უარყოფა.

ნაირგვარი გაელვებები... ძველი ფიქრების წამოტივტივება.

საერთოდ, ეს საკითხები მთელი სიცოცხლე აწამებდა გალაკტიონს...

დავუბრუნდეთ ძირითადს.

საუკუნით მინავლებულ-დაბინდული სული აფეთქდა. დაგუბებულმა გრძნობამ სადინარი იპოვა. ამის დასტურად შემდეგი ფაქტიც გამოდგება. 1918 წლის დეკემბერში სომხებმა საზღვარი გადმოლახეს და ევრიელებიც იძულებულნი არიან მახვილი გააშიშვლონ. იწყება ნაციონალური აზვირთება.

„გუშინ თფილისში ხევსურთა რაზმი ჩამოვიდა. რაზმი აღფრთოვანებულია და მზადაა სამშობლოს დასაცავად“[1].

„თელავში ჩოლოყაშვილის თაოსნობით შესდგა ცხენოსანთა

[1] გაზ. „საქართველო“, 1918, №245.

პარტიზანული რაზმი, რომელიც ამ დღეებში გავა ბრძოლის ველზე. რაზმში ადგილობრივი გიმნაზიელებიც არიან"[1].

„ხუთშაბათს,26 ქრისტეშობისთვეს,ღამის 10 საათზე ბორელ მოხალისეთა რაზმი ჩამოვიდა. რაზმი დაახლოებით 500 კაცისაგან შესდგება"[2].

„გუშინ ქიზიყიდან მოხალისეთა ორი რაზმი ჩამოვიდა"[3].

„თბილისში მცხოვრებ რაჭველებმა და ლეჩხუმელებმა შეადგინეს რაზმი 3000 კაცამდე,რომელიც დაიცავს წესიერებას და საჭიროების დროს ბრძოლის ველზეც წავლენ.

რაზმი ხუთშაბათს,26 ქრისტეშობისთვეს,ე. დვალის მეთაურობით, შოთა რუსთაველის დროშით (წარწერა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,სიკვდილი სახელოვანი") და ეროვნულ სიმღერებით მივიდა სასახლესთან, სადაც მათ სიტყვით მიჰმართა პარლამენტის წევრმა ა. პაპავამ"[4].

უნივერსიტეტის სტუდენტებმა ერთხმად დაადგინეს ფრონტზე წასვლა[5].

ივანე ჯავახიშვილი საჯარო ლექციას კითხულობს საქართველო-სომხეთის საზღვრების შესახებ და პატრიოტული სულისკვეთებით ანთებს მსმენელებს[6].

პრესა თუშების საარაკო გმირობაზე მოგვითხრობს[7].

.....

დაზავება მალე მოხდა.

ვ. ჯულელი პარლამენტის სხდომაზე იტყვის: „გარდა ამისა, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ ბრძოლის ველზე ეკატერინოფილდთან, ბოლოს ხანჩინთან და შულავერთან, ჩვენ გავიმარჯვეთ მითაც, რომ ომი დროზე შევაჩერეთ და ორ მოძმე ხალხის დემოკრატიას შორის სისხლისღვრას ბოლო მოვულეთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ,სომხისა და ქართველ დემოკრატიას შორის ომით ჩატეხილი ხიდი კვლავ გამრთელდება"[8].

დაკარგული მხარეების შემოერთებისა და დიდი საქართველოს

---

[1] გაზ. „საქართველო", 1918, №248.

[2] იქვე. №251.

[3] იქვე.

[4] გაზ. „საქართველო", 1918, №251.

[5] იქვე. №242.

[6] იქვე. №246.

[7] გაზ. „საქართველო", 1919, №5.

[8] იქვე. №6.

ჩამოყალიბების იდეა-პერსპექტივა თანდათან მძაფრდება.

გაზეთები წერენ, რომ სოჭის ოლქი ძველი ჯიქეთია, და იქ მცხოვრებთა ნახევარს ქართველები შეადგენენ, რომ საჭიროა ამ მხარის შემომტკიცება. საგულისხმოა, რომ პარლამენტის სხდომაზე ხმამაღლა კითხულობენ ინგლისის დიპლომატიური მისიის მეთაურის ოუერის წერილს ნოე ჟორდანიასადმი. „თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მე დღეს მივიღე დეპეშა მოკავშირეთა უმაღლეს სარდლობისაგან კონსტანტინოპოლ'ში, რომლითაც იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობამ უბრძანა გენერალ დენიკინს დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები სოჭის ოლქიდან.

თქვენო აღმატებულებავ, კეთილი ინებეთ, ბრძანება მისცეთ საქართველოს ჯარს, არ გავიდეს ამ პოზიციებდიან, რომელზედაც ის ეხლა დგას"[1].

სამხრეთშიც თითქოს ღრუბლების გდაყრა არის მოსალოდნელი. პრესა იუწყება, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, ბერძნების შთაგონებით, ტრაპიზონის იმპერიის აღდგენა განუზრახავთ. ბერძნებს იმედი აქვთ, რომ საქართველო წინააღმდეგი არ იქნება ამ იდეის განხორციელებისა, თუ ლაზისტანის საკითხში შეთანხმდებიან.

ოფიციალური წრეების აზრი ასეთია: „ქართველი ხალხი თავისათ სთვლის მთელს ლაზისტანს, თვით ლაზებზეა დამოკიდებული რა ფორმით მოისურვებენ ისინი საქართველოს რესპუბლიკასთან კავშირის აღდგენას. მაჰმადიან ქართველებში ტრიალებს ერთი იდეა, რომელიც ამ თავად შეიძლება ყველაზე უფრო მისაღები იყოს გაერთიანების პროცესის უმტკივნეულოდ დასამთავრებლად: ეს არის იდეა სამაჰმადიანო საქართველოს კულტურული ავტონომიისა"[2].

ზემოთ ხსენებული იდეის პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია. დენიკინი არა თუ ტოვებს სოჭს, არამედ აფხაზეთში შემოიჭრა. თურქების წაქეზებით სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობაც კი ჩამოყალობდა, რომელმაც ბათუმის, ყარსის, არტაანის და სხვა ოლქების მცხოვრებელთა ნების გამომხატველად გამოაცხადა თავი.

ბევრ რამეს უნდა გაეწიოს ანგარიში. სიტუაცია მეტ თავდახრას მოითხოვს.

შემთხვევითი როდია, რომ 1920 წლის სექტემბერში დააყადაღეს ტიციან ტაბიძის მიერ ბათუმში გამოცემული გაზეთი „მთლიანი საქართველო". როგორც საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი

[1] გაზ. „საქართველო", 1919, №40.

[2] იქვე, 1919, №6.

ბრძანებს, იგი „...მიმართულია ჩვენთან კეთილგანწყობილი მეზობლის ოსმალეთის წინააღმდეგ და თავის შინაარსით [illegible] დაუშვებელი“[1].

მიუხედავად იმისა, რომ დიდი საქართველოს შექმნის იდეას განხორციელება არ ეწერა, იგი მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, თუნდაც ისტორიული მახსოვრობის გაღრმავება-გაძლიერებისა და ერის სულიერი შეკავშირების თვალსაზრისით.

იმასაც დავსძენ, რომ საბჭოთა რუსეთმა ოფიციალურად მიმართა ნ. ჟორდანიას მთავრობას, რათა საერთო ძალით შეეტიათ დენიკინისათვის. პასუხი ასეთი იყო: საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა. იგი სხვათა შინაურ საქმეში ვერ ჩაერევაო. ამან რუსეთს საგარეო საქმეთა კომისრის გ. ჩიჩერინის გამეხება გამოიწვია. ბოლშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ საქართველოს პარლამენტისთვის. ამ მხრივ ტიპიურია 1920 წლის მარტის ნოტა. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა ბრმა იარაღი იყო გერმანელთა ხელში და ამჟამადაც იმპერიალისტთა დაკვეთით მოქმედებს. ამიტომაც არ მიიღო ჩვენი წინადადება დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით ბრძოლის შესახებ. ნოტაში ნათქვამია, რომ ჟორდანია-გეგეჭკორი სისხლში ახშობენ სასახალხო მოძრაობას, დამსჯელ ექსპედიციებს აგზავნიან სოხუმში, შავი ზღვის გუბერნიაში და ა.შ.[2] ქვეტექსტი გამჭვირვალეა: რადგანაც საქართველოს ხელისუფლება ანტიდემოკრატიულია, ჩვენ გვმართებს ამ ქვეყნის მშრომელთა ინტერესების დაცვა. ნოტა თავისებური მუქარით მთავრდება: საბჭოთა მთავრობის ურთიერთობა საქართველოსთან დამოკიდებულია ნ. ჟორდანიას მომავალ ნაბიჯებზეო[3].

გ. ჩიჩერინის მიმართვა მართებულად არის გააზრებული და შეფასებული გაზეთ „ერთობის“ მეთაურ წერილში „...საბჭოთა რუსეთის „ნარკომის“ „ნოტების“ გონებრივი ავლა-დიდება ისე მცირეა, რომ სწორედ „კურდღელს აეკიდება“. ჭორები, ცილისწამება, ფაქტების გადამახინჯება, უძლური გესლი და

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1919, №93.

[2] საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობას სხვა დროსაც დასწამეს ცილი. ს. კიროვმა ნოტაც კი გაუგზავნა ჩვენს ხელისუფლებას: – თქვენ დაეხმარეთ და ბათუმიდან ყირიმში გაგზავნეთ დენიკინის ოფიცერ-ჯარისკაცები ვრანგელის დასახმარებლადო. საგანგებო კომისიამ, რომელშიც რუსეთის დელეგატებიც შედიოდნენ, დაამტკიცა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა.

[3] გაზ. „ერთობა“, 1920, №61.

თავდაუჭერელი დემაგოგია – აი მათელი მათი შინაარსი...

მართლა და რომელი შეგნებული მუშა ან რომელი თუნდაც საშუალო გლეხი დაიჯერებს, ვითომც ნოე ჟორდანიას მიელოცვა გაეგზავნოს ჯაფაროვისთვის ოსმალთა ჯარების მიერ ბაქოს აღების გამო? ან ვის არ გააცინებს ის დემაგოგიური სიცრუე, ვითომც ჩვენი მთავრობა „დრაკონისებურ ზომებს ღებულობდა" ტყიბულის მუშების წინააღმდეგ. ან ვის არ აღაშფოთებს ის ცილისწამებაჟვითომ საქართველოს მთავრობის თანხმობით გაეცეს ვისმეს ჩვენს რესპუბლიკაში შემოხიზნული „წითელარმიელები"? სიცრუის და ჭორიკანობის დაუშრეტელი ზღვაა ბ. ჩიჩერინის უკანასკნელი „ნოტა" და მათი ამოშრეტა შეუძლებელია"[1].

ერთ მტკივნეულ საკითხსაც ნუ ავუვლით გვერდს. ეს არის ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მრუდად იყო წარმოსახული.

საქართველოს საკუთარი ძალებით ნამდვილად არ შეეძლო იმჟამად დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამიტომაც მიმართეს უცხოელებს (1918 წლის მასიში გერმანელებს, ხოლო დეკემბერში ინგლისელებს). სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

ცნობილია, რომ ოსმალეთმა დაჟინებით მოითხოვა ჩვენს რკინიგზაზე საკუთარი ჯარების გატარება, სამხრეთ რაიონებში რეფერენდუმის ჩატარება და ა.შ. დასავლეთის დადებითი როლის უარყოფა შეუძლებელია[2].

1918 წლის ბოლოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცნეს ჩეხეთმა, უნგრეთმა, შვეიცამ, დანიამ, ნორვეგიამ. მალე მათ ევროპის დიდი სახელმწიფოებიც[3] შეუერთდნენ. ამ აღიარებას აღტაცებით შეხვდა ქართველი ერი. თავს ნებას მივცემ, მოზრდილი ამონარიდი მოვიტანო ნოე ჟორადანიას სიტყვიდან, რომელიც მან 1920 წელს წარმოთქვა დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომაზე.

„მოქალაქენო! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, მოულოცო

---

[1] გაზ. „ერთობა", 1920, №62.

[2] გავიხსენოთ, როგორი პასუხი გასცა გენერალმა კუკოლისმა მასთან მისულ ბათუმელ მუსულმანებს: კონფერენციის დადგენილებით ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს გადაეცა. „ყველა ის, ვინც საქართველოს ჯარს წინააღმდეგობას გაუწევს, ჩაითვლება ინგლისის მტრად და როგორც საქართველო, ისე ჩვენ სასტიკ ზომებს მივიღებთ დამნაშავეთა წინააღმდეგ" (გაზ. „ერთობა", 1920, №49). ეს მაშინ ითქვა, როცა ორი წლით ჩამოშორებული ბათუმი და მისი ოლქი კვლავ დაუბრუნდება დედასამშობლოს.

[3] საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულადაც ცნეს 1921 წლის 27 იანვარს.

საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხთა გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა. ამიერიდან ქართველი მიღებულია ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

ჩვენი დღეევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროთ, უშუამოვლოთ **გადაეჯაჭვა დასავლეთს** და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუძს არავითარ ძალღონეს...

დასავლეთი თუ აღმოსავლეთი — აი ესაა კითხვა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია, ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს. და თუ ბალშევიკები აღმოსავლეთს ებღაუჭებიან, ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა კავშირზე და ცნობაზე.

როგორც ხედავთ, საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარენ, ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცი, მტრები აყვირდებიან — იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვათ: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს (ხანგრძლივი ტაში)"[1].

რაკი საგარეო ურთიერთობაზე ჩამოვარდა სიტყვა, უპრიანი იქნება აქვე შეგვეფასებინა 1920 წლის სექტენბრის მოვლენები. მხედველობაში გვაქვს ევროპის სოციალისტური დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლა და მოსახლეობასთან შეხვედრა. მეორე ინტრნაციონალის ბელადმა კ. კაუცკიმ, ისეთმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ ე. ვანდერველდე, ბ. ნაკდონალდი, ტ. სოუ და სხვები, თითქმის მთელი საქართველო შემოიარეს. მათ აინტერესებდათ, რამდენად ისხამდა ფრთებს მათი ოცნება. ჯერ კიდევ ადრე გ. პლეხანოვმა აღნიშნა, რომ მთელს რუსეთში მარქსიზმის ორთოდოქსალური დამცველი მხოლოდ ქართული სოციალ-დემოკრატია არისო. მეორე ინტერნაციონალის თავკაცებიც ფრიად აფასებდნენ ნ. ჟორდანიას მოღვაწეობას.

ევროპელთა სტუმრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, საქართველოს ხელისუფლება და, რაც მთავარია, ფართო საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ქვეყნის შენების სწორი გზა ჰქონდათ არჩეული და ამას ჩვეულებრივი მოკვდავნი კი არა, მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული რევოლუციონერები უდასტურებდნენ.

„თქვენ იდეალების ქვეყანა ხართ..."[2] ამბობს ე. ვანდერველდე. „თქვენი ცდა, ცდა დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ არის

---

[1] გაზ. „ერთობა", 1920, №11.

[2] იქვე. №216.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტის
გალაკტიონ ტაბიძის
საღამო

სასეალმწიფო თეატრში

ოთხშაბათს, 3 მარტს

ივანე გოფაძთელი

წარმოსადგენი სიტყვის გილაკუნით ტაბიძის პოეზიის შესახებ.

პოეტების, მხატვრების:

ალექსი ნინა
ბარნოვი ვასილ
გრიგოლაშვილი ლუსი
დიდისი შალვა
ლაზარეთი შალვა
ინგოროყვა პაატა
ბაციაშვილი კოტე
ფალავანდიშვილი ლევანი
ჩიტაია ვერენა
ჩიტაია ტრიფონ
ტაბიძე გალაკტიონ
ზარანიკა შალვა
შიუკაშვილი ნიკო
ქუთათელაძე გიორგი

წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნაწყვეტებს

ა ღ ე ბ ო

[illegible]

ქალაქის ბანაკი

[illegible]

[illegible]

სამაგალითო ჩვენთვის და გისურვებთ, რომ არ ასცდენოდეთ ამ გზას"[1]. ეს სნოუდენის სიტყვებია. გავიხსენოთ კ. კაუცკის გამონათქვამიც: „ბათუმში მოსვლის შემდეგ ვიგრძენი, რომ თითქოს მე ვცხოვრობ არა უცხოეთში, არამედ, როგორც პაპა, თავის ღვიძლ შვილებსა და შვილიშვილებს შორის"[2].

ყოველივე ეს სიმხნევესა და ბრძოლის სტიმულს მატებდა ჩვენს მოღვაწეებს. მეორეც: სტუმრებმა მთელს ევროპას გააცნეს საქართველოს მოღვაწეები და ქვეყნის საერთაშორისო აღიარებას შეუწყვეს ხელი. აი რას ამბობს ჰიუსმნასი: „თქვენ გყავთ მთავრობა, რომელიც დინჯათ, თანდათანობით იბრძვის მოპოებულის განსამტკიცებლათ და ჩვენ ვიღებთ ვალდებულებებს ჩვენს თავზე ევროპაში მისვლისას ძალა დავატანოთ ჩვენს მთავრობებს, რათა საქართველოს მისცენ საშუალება განვითარებისა, როგორის ღირსიც არის ეს თავისუფალი ქვეყანა"[3].

ვიქტორ ნოზაძე იტყობინება ლონდონიდან: „...ინგლისელი სოციალისტები ფართო აგიტაციას აწარმოებენ საქართველოს შესახებ, როგორც სოციალისტურ კრებებზე, საერთო ჩვეულებრივ მიტინგებზე, ისე ლიბერალურ წრეებშიაც. მათ დღემდე უკვე დაბეჭდეს შვიდი წერილი სხვადასხვა ინგლისურ გაზეთებში და ჟურნალში. აპირებენ კვლავ განაგრძონ ასეთი მუშაობა და გააცნონ საქართველო

ინგლისის დემოკრატიას"[4]. არც სხვა ქვეყნის წარმომადგენლები გაყუჩებულან. მაგალითად, ბელგიურ გაზეთში „ ა აპლე" დაიბეჭდა ვრცელი წერილი „პირველი სოციალისტური მთავრობა".

ხაზგასმულია, რომ კ. კაუცკიმ სპეციალური წიგნიც კი დაწერა „სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში". როგორც ქართული პრესა იუწყებოდა, იგი სწრაფად უთარგმნიათ ხელნაწერიდან და უმოკლეს დროში გამოუციათ კიდეც[5].

ერთი სიტყვით, მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა ბევრი რამ გააკეთეს საქართველოს რესპუბლიკის პოპულარიზაციისათვის.

პოლიტიკური დაძაბულობა მატულობს. ყველაზე დიდი საფრთხე ჩრდილოეთიდან მოდის. გაჭირვებული და

[1] გაზ. „ერთობა", 1920, №216

[2] იქვე, №242.

[3] იქვე, №223.

[4] იქვე, №273.

[5] იქვე, №280.

გაბოროტებული მეზობელი ძალზე საშიშია.

მოვუსმინოთ მაქსიმ გორკის: „თმა ყალყზე მიდგება ყველა იმ შემზარავ სურათების ნახვით, რაც რომ რუსეთმა განიცადა, მაგრამ ის, რაც მოელის, იმასაც განვჭვრეტ და ამიტომაც ჩემს ვაებას არ აქვს საზღვარი. სადღაა მოსკოვი?

იგი სისხლისა და ტალახის ოკეანედ გარდაიქცა. აშმორებული წუმპეები, მოშხამული ჰაერი და უმწეო მშიერ-მწყურვალი ხალხი ერთადერთ მილონ მიაზმებით მსუნთქავი, აი დღევანდელი მოსკოვი. გაზაფხულზედ გამდნარმა თოვლმა რუსეთი დაუსრულებელ ჭაობად აქცია, ახლა დადგება ზამთარი და ჩვენ კი აღარ შეგვრჩენია რა, აღარც საჭმელი, აღარს სასმელი, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა არის წითელი რუსეთი და რა არის მისი მომავალი... არა, ჩემს მწუხარებას სიტყვებით ველარ გამოვხატავ“[1].

და მაინც, რუსეთი თანდათან დგება ფეხზე. მართებულად შენიშნავს ტიციან ტაბიძე, „იწყებს გამრთელებას რუსეთის იმპერია, მისი ნაწამები სულის დაგუბებული შურისძიება სასტიკი იქნება. საქართველო ისევ გარემოცულია“[2].

საკმარისია რუსეთი ოდნავ მოღონიერდეს და იმპერიალისტური ზრახვებიც მძაფრდება.

1920 წლის მაისში სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის. აი, ძირითადი პუნქტები:

„1) რუსეთი ყოველ დავის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თვითარსებობას და თავის ნებით უარს ამბობს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა საქართველოს ხალხისა და მიწა-წყლის მიმართ.

2) რუსეთი უარს აცხადებს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

3) საკითხი საზღვრების შესახებ გადაწყვეტილია საქართველოს ხელსაპრელ პირობებში“[3].

შეთანხმებას ჰქონდა აქილევსის ქუსლი. ეროვნული მთავრობა იძულებული იყო დათანხმებოდა საქართველოში ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაციას. ეს მუხუთე კოლონის გაძლიერებას ნიშნავდა.

მოსკოვი ხსენებული დოკუმენტით ცდილობდა თვალი

---

[1] გაზ. „საქართველო“, 1920, №110.

[2] იქვე, 1918, №187.

[3] გაზ. „ერთობა“, 1920, №104.

აეხვია ფართო საზოგადოებისათვის, დრო მოეგო და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში მოეხდინა საქართველოს ანექსია. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რუსეთის ელჩი ს. კიროვი ოფიციალურ (!) ამალით ჩამოდის თბილისში.

ბოლშევიკების გაზეთი „კომუნისტი" სისტემატურად ბეჭდავს წერილებს, რომელთა ავტორები ფაქტების დამახინჯებით, ტენდენციურ-მცდარი კვალიფიკაციით ესწრაფვიან ადგილობრივი ხელისუფლების ზღუდეების მორღვევას. მეორე მხრივ, სანიმუშოდ არის მიჩნეული ჩრდილოეთელთა ქმედება.

საქართველოს მთავრობა გულხელდაკრეფილი როდი ხედება ასეთ გამოლაშქრებებს. არა მხოლოდ საპირისპირო მასალები იბეჭდება, არამედ ქმედითი პრაქტიკული ღონისძიებების ტარდება შეთქმულებათა გაუვნებელსაყოფად. მაგალითად, 1920 წლის 8 აპრილს თბილისში დააპატიმრეს კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის 12 წევრი, რომელთაც განზრახული ჰქონდათ აჯანყების მოწყობა[2].

არსებული მდგომარეობა კარგად არის დახასიათებული ივანე გომართელის წერილში – „არსებული საქმე".

ავტორი კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით, მოვლენათა საფუძვლიანი განჩხრეკით არწმუნებს მკითხველს, რომ ბოლშევიკები ქართველი ხალხის მტრები არიან.

როცა ქვეყანას ძლიერ უჭირდა და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ოსმალების შემოტევა შეეჩერებინა, ბოლშევიკები აჯანყებებსა და გამოსვლებს აწყობდნენ, რითაც მომხდურებს უმართავდნენ ხელს. „სადაც კი ბოლშევიკები შედიან, ყველგან ერთი ათად ძვირდება პურიც და ფართალიც". საქართველოში რვასაათიანი სამუშაო დღეა, რუსეთში კი თერთმეტიანი და ა. შ.

წერილი მთავრდება მოწოდებით: „ამოუდექით ისევ ჩვენს მთავრობას გვერდში, შეასრულეთ ყოველი მისი მოწოდება, ბრძანება და როგორც აქამდინ გადაგარჩინათ ყოველგვარ ხიფათს და უბედურობას, აწიც ის გადაგარჩენთ.

გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, ჟორდანიას მთავრობას!

ძირს ყველა მისი მტერი და მოღალატე".

1920 წლის 12 გიორგობისთვის „საქართველოში" ვკითხულობთ: „აზერბაიჯანი ლენინს უჭირავს, სომხეთი – ქემალ ფაშას. დიდი ხანია, რაც ორივემ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს

[1] წერილში „ზავი რუსეთთან", რომელიც გაზეთ „ერთობას" 1920 წლის 22 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რუსეთი არ ასრულებსნაკისრ ვალდებულებას.

[2] გაზ. „ერთობა", 1920, №81.

და ხელი მიჰყვეს განთავისუფლებული ერების კვლავ დაშონებას. ამიერკავკასიაში დავრჩით მარტო ჩვენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი. საქართველოს აოხრებას ლამობს დღეს მოსკოვიც და ანგორაც... მაშ ვემზადოთ „ქუდზე კაცისათვის"[1].

ახლოვდება კოჯრის ტრაგედია. 1921 წლის 11 თებერვალს ლორეს რაიონში დაიწყო ამბოხების ინსცენირება. მისმა ხელმძღვანელებმა – ბოლშევიკებმა საქართველოს მშრომელთა სახელით დახმარება სთხოვეს საბჭოთა რუსეთს და დაიძრა მერვე, მეცხრე, მეთერთმეტე, მეცამეტე არმიები.

ქართველთა შეუპოვარი ბრძოლა საბოლოოდ მარცხით დამთავრდა. 25 თებერვალს ბოლშევიკები თბილისში შემოვიდნენ.

დაიგმანა კარ-ფანჯრები და დედაქალაქი სარკოფაგის დუმილ-სიცივემ მოიცვა.

მავანი და მავანი ამოიოხრებს: – მეტი სიფრთხილე და დიპლომატიური შორსმჭვრეტელობა რომ გამოეჩინათ საქართველოს ხელისუფალთ, უფრო ნაკლები მიმდობნი რომ ყოფილიყვნენ... იქნებ აგვეცდინა კატასტროფა... გულუბრყვილობაა!

მტერი ყოველი მხრიდან გვიტევდა – სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან,დარიალიდან,მამისონიდან,სოჭიდან... ამასთანავე ძალთა თანაფარდობა უკიდურესად უსწორო გახლდათ. ისიც არსებითია, რომ ოსმალეთის ჯარი აჭარაში შემოიჭრა...

ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ქვეყნის გადასარჩენად. ვერც ქართველ მეომრებს დავემდურებით. გავიხსენოთ თუნდაც 19 თებერვალის ბრძოლა იაღლუჯთან, როცა რუსეთის ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს და 1600 წითელარმიელი დაატყვევს. გავიხსენოთ სამხედრო სკოლის მოსწავლეთა – იუნკერთა გმირობა ტაბახმელასთან.

მთავრობას საყვედური ნამდვილად არ ეთქმის, პირიქით, მისი ბოლო ნაბიჯი აღტაცებსაც კი იწვევს – აჭარა რომ არ დაკარგულიყო, საქართველოს სახლვაო ჭიშკარი რომ არ ჩარაზულიყო, უშუალო და დაუნდობელ მტერს – საბჭოთა ჯარებს გზა გაუხსნა ბათუმისაკენ.

ერთი სიტყვით, დამოუკიდებლი საქართველოს დაცემა ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა.

სურათი სრული არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ იმ აჯანყება-გამოსვლებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დუშეთის, გორის და სხვა მაზრებში. ამბოხების გამომწვევი და სულისჩამდგმელნი ბოლშევიკები იყვნენ. ასე რომ, საქართველოს მთავრობას ბრძოლა უხდებოდა როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების წინააღმდეგ.

[1] გაზ. „საქართველო", 1920, №146.

ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით განიავებული იყო. მრეწველობა მოშლილი, სოფლის მეურნეობა სულს ღაფავდა. მატარებელი ფოთიდან თბილისში ჩამოსვლას ორი-სამი დღე უნდებოდა. ყოველივე ამას დაემატა მიწისძვრა, ეპიდემიები და ა. შ. მაგალითად, 1919 წელს სახადმა სოფელ პატარძეულის მოსახლეობა გაანახევრა. გაზეთებში ყოველდღე ქვეყნდებოდა ცნობები, რომ ქალაქის საავდმყოფოში მოიყვანეს 10 (12, 19) ხოლერით დაავადებული... ანდა: სოფელ ქვემო ნიჩბისში ათ კაცს შეეყარა ხოლერა და ა.შ.

გახშირდა ქურდობა, ავაზაკობა. გაზეთ „საქართველოს" რედაქცია იუწყება, რომ საღამოს ცხრა საათზე ექზარქოსის მოედანზე გაძარცვეს შინ მიმავალი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი. სხვა გაზეთში ვკითხულობთ, რომ ქურდები შეიპარნენ მხატვარ მოსე თოიძის ბინაში და პირწმინდად „გაასუფთავეს" იქაურობა.

უჭირს საზოგადოებას. ნიკო ნიკოლაძე იძულებულია, უმდიდრესი ბიბლიოთეკა (დაახლოებით 7000 ტომი), რომელიც ფოთში აქვს, დამფუძნებელ კრებას მიჰყიდოს.

მთავრობა ცდილობს ოდნავ მაინც გაუმართოს ხელი მაშვრალთ. 1919 წელს დამფუძნებელი კრების წევრს სიმონ ფირცხალავას დაევალა შეედგინა სია იმ მწერლებისა და ხელოვნებისა მუშაკებისა, რომლებიც უმძიმეს პირობებში იმყოფებოდნენ[1].

ისტორიის გადასახედიდან უფრო შეუცდომელი ხდება დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლთა საქმიანობის შეფასება. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ 1918–1921 წლები ერთ-ერთი საუკეთესო ხანაა მრავალსაუკუნოვანი ქვეყნის ისტორიაში. მისი მნიშვნელობა არა მხოლოდ წარსულის, არამედ აწმყოსა და მომავლის შედეგებითაც უნდა გაიზომოს.

მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა და სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილებისა, საანალიზო პერიოდი ხასიათდება ნაციონალური თვითშეგნების უნვეულო ზრდითა და ეროვნული ენერგიის ამოფრქვევით.

უდიდესი ნახტომი შეინიშნება განათლების, მეცნიერების, კულტურის თუ სხვა სფეროებში. ასრულდა სანუკვარი ოცნება – რუსიფიკაციას საყრდენი გამოეცალა და სკოლა გაქართულდა. ი. ჯავახიშვილის მესვეურობით დაარსდა ეროვნული უნივერსიტეტი. გაიხსნა კონსერვატორია, დაიდგა პირველი ქართული ოპერები და ა. შ. ძირეული ცვლილებები ხდება მწერლობაში.

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №227.



გალაკტიონი ამ მძაფრი ბატალიების მომსწრე და განმცდელია. ბუნებრივია, ყველაფრის მონაწილე ვერ იქნებოდა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ, როგორც ერის შვილი და ნამდვილი პოეტი, ინდიფერენტული ვერ დარჩებოდა არსებითი საკითხებისადმი. ზოგი რამ ძალზე ახლოს მიჰქონდა გულთან და აქტიურადაც ებმებოდა მათი მოგვარების საქმეში, ზოგს კი შედარებით ზედაპირულად აღიქვამდა.

მთავარი არ დაგვავიწყდეს.

წიგნში „გალაკტიონი – რედაქტორი და გამომცემელი" ვწერდით: „...ჩვენს ოჯახში ჩურჩულით ამბობდნენ – გალაკტიონი ერთხანს დაახლოებული იყო ნოე ჟორდანიასთან, მდივნის მოვალეობასაც კი ასრულებდაო"[1].

და აი, მოგვიანებით გაზეთ „საქართველოში" წავაწყდით ინფორმაციას, რომელიც ამ მითქმა-მოთქმის რეალურობას ადასტურებს.

„მთავრობის მდივნის დანიშვნა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მდივნათ მოწვეულ იქნა გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობათა აღსრულებათა აღსრულებას"[2].

ფაქტი საგულისხმოზე საგულისხმოა.

დრო ღრმა ანაბეჭდებს აკეთებს პიროვნების სულსა და გონებაში. ჩვენც ამ სარკმლის გამოღებას ვესწრაფვით. არც იმას ვიეიწყებთ, რომ ანაბეჭდის სიხშირე-სიძლიერე აღმქმელის ბუნებითაც არის შეპირობებული. ერთიც: სიტუაცია-მოვლენების გონებაში დაფიქსირება და პოეზიაში მათი გადატანა ყოველთვის თანხვდომი პროცესები როდია. ცალკეული ეპიზოდების განათება და პოეტური კვალიფიკაცია შეიძლება მათი აღქმიდან საკმაო დროის შემდეგ მოხდეს.

გალაკტიონს კარგად ჰქონდა შეცნობილი თავისი უპირველესი ამოცანა – საზოგადოების ამაღლება, სულიერი გაკეთილშობილება. ქმედებაც არსებითად ამ განასერით წარიმართა.

მოსკოვში გაჭირვებაგამოვლილი კაცი თბილისში თავს გაცილებით უკეთ გრძნობს. მეგობარ-ამახანაგების გარემოცვაშია. პატივისმცემელიც საკმაოდ ჰყავს, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ საგულდაგულო, სისტემატური წვრთვნაა საჭირო. ამიტომ ხშირად აღამებს წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკებში. ჯერჯერობით პროკლეს მიერ გამოტანბებული ფულით გააქვს თავი. ძმა მომავალშიც გაუმართავს ხელს, მაგრამ ხომ არ შეიძლება უსასრულოდ

[1] ნ. ტაბიძე. გალაკტიონი – რედაქტორი და გამომცემელი, თბ., 1997, გვ. 8.

[2] გაზ. „საქართველო", 1918, №243.

№ 1. 1920 წ. 12 დეკემბერი. ფასი 50 მან.



ეროვნული

ხალხალოზე გვარდიელი.

გაგრძელდეს ასე.

1918 წლის სექტემბრის დასაწყისში მტკიცე გადაწყვეტილებას: იღებს – პოეზიის საღამო გამართოს. ეს მრავალმხრივ სასარგებლოა. ჯერ ერთი, ეკონომიკურ მდგომარეობას გაიუმჯობესებს. საქმე ისაა, რომ არსად მუშაობს, ლექსებიც თითქმის არ იბეჭდება და ჰონორარი არ არის. მეორეც, აუცილებელია პოეტური მიღწევების დემონსტრირება. მესამეც, ქვეყანა სოციალურ-პოლიტიკური სატკივარით არის გათანგული. ასე თუ გაგრძელდება, შეიძლება სიტყვაკაზმული მწერლობა თითქმის დავიწყებას მიეცეს. ამიტომაც წინ იწევს დიდი საზოგადოებრივი ფუნქცია – ლიტერატურული პულსის აჩქარება.

პოეტური საღამოების გამართვა წესად იქცა. არცაა გასაკვირი. იგი შემოქმედთა სულის მოთქმის ერთ-ერთი საშუალებაა. მაგრამ ეს გზა დამრეცი და ეკლიანია.

წარმატებისათვის აუცილებელია ორგანიზაციული ნიჭი, თავდადებული შრომა, ჯიქური შეტევაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს.

1920 წლის შემოდგომაზე უნდა გამართულიყო ნოე ჩხიკვაძის საღამო,მაგრამ „ხალხის დაუსწრებლობის გამო“ ჩაიშალა. მეორედ დაინიშნა და აი, გიორგი ქუჩიშვილი თითქმის მოთქვამს: „პოეტებზე უბედური ხალხი საქართველოში ჯერ არ დაბადებულა.

არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ ბედი არ ულიმით.

ნ. ჩხიკვაძე ჩვენს თვალწინ, ჩვენი საზოგადოების უყურადღებობით დაიღუპა, მშიერ-მწყურვალი, მოუვლელი, უპატრონო“[1].

გ. ქუჩიშვილი ეაჯება მკითხველებს: მობრძანდით ამ საღამოზე, რათა ჩხიკვიძის ობოლ შვილებს ცოტათი მაინც გავუმართოთ ხელიო.

ხსენებული საშიშროება გალაკტიონსაც ელოდა. როგორ გაისარჯა მგოსანი? ეს ჩვენთვის უცნობია. პრესამ მხოლოდ განცხადება შემოგვინახა: კონსერვატორიის დარბაზში შაბათს, 5 ოქტომბერს გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისა საღამო, ბილეთები იყიდება წ.კ.ს. წიგნის მაღაზიაში[2].

ყურადღება მიაქციეთ ბოლო ფრაზას. ხომ არ ჩანს აქ უკანსკნელი გაბრძოლება? (საღამო ეს-ესაა დაიწყება,ბილეთების ნაწილი კი ხელუხლებელია).

სულ სხვა იყო 1920 წლის მარტში გამართული საღამო. საზოგადოებას ადრევე ეცნობა ამის შესახებ. რეკლამა

[1] გაზ. „ერთობა“, 1920, №236.

[2] იქვე, №213.

გონივრულად იყო მოფიქრებული. გაზეთ „ერთობის“ 27 თებერვლის ნოემრში პირველ გვერდზე შუა ორი სვეტის სამი მეოთხედი დათმობილი ჰქონდა განცხადებას.

მიჯრითი აგიტაციის სიძლიერე კარაგად არის ცნობილი. განცხადებაც ზედიზედ იბეჭდება 27, 28, 29 თებერვლის და 3 მარტის ნომრებში. ხსენებული ინორმაცია, სურათის გარეშე დაისტამბა მეორე პოპულარულ გაზეთში („საქართველო“).

იოლი როდია საუკეთესო ძალების მოზიდვა. ნუ დავივიწყებთ, რომ თითოეული ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. ჩანს, გალაკტიონი გატაცებითა და მონდომებით მუშაობს, რამაც განაპირობა გამარჯვება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკვე გამოცემულია „არტისტული ყვავილები“, რომელმაც ავტორს უპირველესი ლირიკოსის სახელი მოუპოვა.

რეპორტიორის სიტყვით, „საღამოს ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო, უფრო მრავალი კი უბილეთობის გამო გაბრუნდა“[1]. ეს ჰიპერბოლა როდია.

მგოსნის შემოქმედებისადმი ინტერესი მართლაც დიდია და ამან განსაზღვრა საღამოს გამეორება. „გალაკტიონ ტაბიძის მეორე დიდი საღამო – სახელმწიფო თეატრში გაიმართება ოთხშაბათს, 7 აპრილს. ბ-ნი აკაკი პაპავა წარმოსთქვამს სიტყვას ქართულ პოეზიაზე („ქარიშხლის ჩადგომისას“). საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და არტისტები: ვასო აბაშიძე,ვალერიან გუნია, ნიკო ერისთავი, რიურიკ ივნევი, კარა დარვიში, კოტე მაყაშვილი, ვარლამ რუხაძე, ტრიფონ რამიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, აკაკი ფალავა, გიორგი ქუჩიშვილი, შალვა შარაშიძე, გრიშა ჯაფარიძე და სხვ. სახელმწ. თეატრის ანტრეპრენიორის ევლახოვის მიერ დადგმული იქნება ოპერიდან „თავადი იგორი“ მესამე აქტი: „პოლონელების ბანაკი“ – ბალეტით. ოპერაში მონაწილეობას მიიღებენ სახ. თეატრის მომღერლები: პოლიაევი, როგაჩევსკი, იანსი, ვიშერემისკაია და სხვ. ბალეტში მონაწილეობენ: სახელმ. თეატრის პრიმა ბალერინა ბაუერ ზაგსი და ბალეტმეისტერი ვაკარეცი. დირიჟორობს კორშონი. ბილეთები იყიდება სახ. თეატრის კასაში“[2]. პროგრამა რამდენადმე გადახალისებულია. ეს საღამოც ჩატარდა, მაგრამ რა სიძლიერით, ჩვენთვის უცნობია.

აქ ერთი რამის გახსენებაც გვმართებს. გაზეთში „ახალი ნაკადი“ გამოქვეყნდა ტერენტი გრანელის პატარა წერილი, რომელიც ასე იწყება: „აპრილის შვიდს სახელმწიფო თაეტრში

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1920, №52.

[2] იქვე, №77.

კიდევ იმართება საღამო ჩვენი მსგოსნის გალაკტიონ ტაბიძისა[1]. მთავრდება მოწოდებით: „...ვისთვისაც საინტერესოა პოეტის პატივისცემა, მან, უეჭველია, საღამოზე დასწრების სახით უნდა მოიხადოს თავისი მოვალეობა"[2].

ამ წერილის კონკრეტული დანიშნულებაა საღამოს პროპაგანდა, მაგრამ იგი უფრო მნიშვნელოვანია ორიგინალური ხილვებით.

ტ. გრანელის შეხედულებით, „...გალაკტიონი მიმართულებით სიმბოლისტია, იგი ყოველთვის თავის განცდებს სიმბოლიურად გამოხატავს და მის ლექსებში უმთავრესად სიფაქიზისა და სინაზის მისტიციზმი გამოსჭვივის. გალაკტიონი ინდივიდუალიზმის ცეცხლით არის გამსჭვალული, მას სწამს მხოლოდ „მე", როგორც მსფოლიოს განუსაზღვრელი და განუყრელი ნაწილი"[3].

ამ პრინციპული მოსაზრების ილუსტრირება არ ხდება. საერთოდ, წერილისათვის დამახასიათებელია უმნიშვნელოვანესი თეზის-დებულებების ჩამოყალიბება-განფენა. ჩხრეკა-ანალიზის პროცესი, როგორც განზოგადების წინა საფეხური, იგულისხმება.

ტ. გრანელის დაკვირვებით, გალაკტიონის პოეზიაში წინ იწევს ირეალური სამყარო, რომელიც ხილულის ანარეკლია (და არა პირუკუ).

თავად ნიჭიერი ლირიკოსი შთამბეჭდავად განიცდის გალაკტიონის პოეზიის მთრთოლვარე რიტმს და მართებულადაც მიუთითებს, რომ გალაკტიონისათვის თავიდათავი მუსიკაა და განცდათა შეხამება, რაც აპირობებს ნაწარმოებთა ემოციურ-ესთეტიკურ ხიბლს.

კრიტიკოსი შედეგრად მიიჩნევს „ლურჯა ცხენებს", „რომლის ვრცელი დინამიკა უმაღლეს წერტილს აღწევს". ისიც არის აღნიშნული, რომ გალაკტიონი ასონანსის დიდოსტატია.

ტ. გრანელის წერილში პროფესიულად არის დახასიათებული გალაკტიონის ლირიკა.

ანალოგიური გამიზნულობისაა იოსებ იმედაშვილის „თეთრი მეფე". მისი პუბლიკაცია პრაქტიკული მოსაზრებით არის შეპირობებული – ერთხელ კიდევ შეახსენოს საზოგადოებას გალაკტიონის სიდიადე და მის საღამოზე დასასწრებად განაწყოს იგი. „...სილამაზის უმაღლეს განცდის და მშვენიერების თაყვანისმცემელნი უყურადღებოდ არ დასტოვებენ თეთრ მეფეს

[1] ტერენტი გრანელი, რჩეული, 1979, გვ. 400.

[2] იქვე, გვ. 401.

[3] იქვე, გვ. 400.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონი

– გალაქტიონ ტაბიძეს"[1].

აქაც მოწოდებას შემაპირობებელი დებულება უძღვის, მაგრამ, გრანელისაგან განსხვავებით, იმედაშვილს აქცენტი გრძნობაზე გადააქვს და მხატვრული სურათის განფენას ანიჭებს უპირატესობას.

„ხანგრძლივ ნაზამთრი ახალგაზაფხულს შესწრებიხართ თუ არა მთის მწვერვალზე მზის პირველ სხივებს,– აი გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის ელვარება და პირველი სალამი; გინახავთ თუ არა კამკამა, უმწიკვლო ქაფი, ან ბუჩქის ძირას ახლად ამოტყორცნილი ია, ახალ გაფურჩქნული ვარდი, ყნოსვას რომ უმანკო სურნელებით გიტკბობს, აი გალაქტიონის შემოქმედების შინაგანი ძალა; წყნარ მზიან ამინდში, დილით, გაგივლიათ შავ ზღვაზე და ჩაგიხედნიათ თუ არა მის კამკამა გულში, ან კიდეებში, ხავსით მოსილ ტინთა შორის ჩაისრებული მზის სხივი თვალის მომჭრელ მრავალ ფერადოვნებას რომ წარმოგიდგენთ, მთელი სიმდიდრე უძირო ზღვისა რომ ჯადოსნურად გეჩვენებათ, უმაღლესი განცდით რომ გატკბობთ და ვერ კი აგიხსნიათ, რა გრძნობაა, აი სწორედ ასეთია გალაქტიონის სამგოსნო ძალა"[2].

როგორც ვხედავთ, ნაირგვარი ხერხი და საშუალება იყო გამოყენებული, რათა 3 მარტის საღამო წარმატებით ჩატარებულიყო.

გალაკტიონი სხვათა ზეიმებსაც ამშვენებდა. მას მონაწილეობა მიუღია ი. გრიშაშვილის, გ. ქუჩიშვილის საღამოებში. 1920 წლის მაისში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის სასარგებლოდ გაიმართა სალიტერატურო დილა, ხოლო ამავე წლის ივლისში აზერბაიჯანთან ომის დროს დაღუპულ გვარდიელთა ოჯახების შესაწევად საღამო-სეირნობა. გალაკტიონი ორივე შეკრებაზე ბრძანდებოდა, გამორიცხული არ არის სხვა ღონისძიებებშიც მიეღოს მონაწილეობა.

ცხადია, მახლობელთა პატივისცემისა და მოქალაქეობრივი ვალია მოხდის მოტივი ამოძრავებდა მას. მაგრამ ამასთანავე მხედველობაში მისაღებია საკუთარი შემოქმედების ფართოდ გაცნობიერების, საკუთარი პერსონის წინ წამოწევის სურვილი.

შედევრები, რომელთაც ხალხი არ იცნობს, მიწაში დაფლულ განძს მოჰგავს. გალაკტიონმა კარგად იცის, რომ თავიდათავია მათი პოპულარიზაცია. წერს კიდეც: „რეკლამის ხერხები ღირსია უაღრესი შესწავლის, კლასიფიკაციის; ;კარგად გამოყენებულ

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1920, №8, გვ. 3.

[2] იქვე.

რეკლამას სრულ გამარჯვებამდე მიჰყავს პოეტი. რეკლამის პრაქტიკული მნიშვნელობა უფრო ძვირფასია, თუ იგი იყენებს სულ ახალსა და ახალ მიღწევებს, ჯერ კიდევ უცნობს ფართო მასისათვის..."[1]

საერთოდ, შეხვედრა-საღამოებისადმი გალაკტიონის დამოკიდებულება გამძაფრებულ-გადახრილი იყო. დიდი გულმოდგინებით ადგენდა გეგმებს, აზუსტებდა გამომსვლელთა რაოდენობას, საგანგებოდ განიხილავდა თითოეული კანდიდატის პლუს-მინუსს, უკვეთავდა სტენდებს, არჩევდა პლაკატებს, სურათებს. დღეში რამდენჯერმე მიაკითხავდა მასპინძლებს და ასეთი ინტენსივობით აოცებდა კიდეც.

ერთიც: ყოველთვის მოწადინებული იყო მიძღვნითი კედლის გაზეთი გამოეშვათ, რომელიც ზეიმის შემდეგ აუცილებლად შინ მიჰქონდა.

ასეთ დღეებში აფორიაქებული გახლდათ. მისთვის სხვა საქმე არ არსებობდა. მეტყვით: ეს გენიოსის თავისებურებაა. გეთანხმებით. მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამ მაინტერესებს, გარკვევა იმისა, თუ რა ამოძრავებდა პოეტს.

გალაკტიონი ნამდვილად ელოდა ფეიერვერკებსა და ქუხილს. არადა შეხვედრები საშუალოდ, ზოგჯერ ულიმლამოდაც ტარდებოდა. მგოსანი მაინც არ იტეხდა იხტიბარს. – ნახეთ,როგორ დიდებულად ჩატარდა. ასეთი შეხვედრა თვით აკაკისთვისაც კი არ მოუწყვიათ. უყვარვარ ხალხს...

ღრმად თუ ჩავუკვირდებით ამგვარ გამოთქმებს, შეიძლება ვიფიქროთ,რომ უფრორე საკუთარი თავის გამხნევებასთან გვაქვს საქმე. მოცემულ სიტუაციაში კი ეს მისთვის არსებითი იყო. ზედმეტად სწორხაზოვნად მოაზროვნე კაცმა შეიძლება იკითხოს: – დავიჯერო, გალაკტიონს ლოგიკური განსჯა ღალატობდა, კვლავ რომ ებმებოდა საღამოების გაწამაწია-ბატალიებშიო...

წყალქვეშა დინებებსაც მივადევნოთ თვალი.

გალაკტიონი სულაც არ ემსგავსებოდა სიზიფეს. ამგვარ შეხვედრებს უთუოდ ჰქონდა რეზონანსი. საზოგადოების თუნდაც მცირე ნაწილი ეცნობოდა მის შემოქმედებას. ეს კი მარადიული წყურვილის ეპიზოდურ დაკმაყოფილებად უნდა ჩაითვალოს. ნუ დავივიწყებთ, რომ გალაკტიონს ყოველთვის ამოძრავებდა დიდი განზრახვა – ავალაპარაკო ყველა ჩემს მიღწევებზე.

ამასთანავე არსებითია ის,რომ ამ შემთხვევაში იგი სულისთვის აუცილებელ საზრდოს, თუნდაც მცირედს, მაინც იღებს. ეს არის

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 321.

ალერსი, გამხნევება, სიყვარული, რაც ესოდენ სჭირდება ყველა მოკვდავს და მით უფრო მარტოსულს.

და კიდევ: ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს იყო „თვითრეალიზაციის“ თავისებური გზა, დაგროვილი ენერგიის ხარჯვის ერთ-ერთი ფორმა. პიროვნებისთვის ხომ აუცილებელია განტვირთვა,დროდადრო სხვა საქმეზე გადართვა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი შეიძლება სულაც არ იყო მეორე ასპექტის შედეგი.

ახლა სხვა კუთხითაც შევხედოთ ამ საზეიმო (და არა მხოლოდ საზეიმო) შეკრებებს. როგორია გალაკტიონის გარემოცვა? ეს პრინციპული საკითხია.

საერთოდ, ამ პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება ხასიათდება ჯგუფების, კორპორაციების, დასების სიმრავლით. მიზნის მისაღწევად აუცილებლად თვლიან ერთიანი ფრონტით შეტევას. მაგრამ ეს გაერთიანებები მყარ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ესთეტიკურ საფუძვლებს უნდა ეყრდნობოდენ. კ. ნადირაძემ იმიტომაც გააკრიტიკა „შვიდი მნათობი“, რომ ჟურნალის რედაქტორმა ერთიანობის ეს პრინციპი უგულებელყო. „ბარბაროსობაა მოთავსება ერთის მხრით გრ. რობაქიძისა, ნ. ლორთქიფანიძისა,და მეორეს – ს. შანშიავილისა და პ. კაკაბაძისა, ვინაიდგან მოუხერხებელია ერთის ზომით აღება იმნაირ პოეტებისა, როგორიც არიან გრ. რობაქიძე და ს. შანშიაშვილი“[1].

დიახ, ვის გვერდით არის გალაკტიონი?

ი. გრიშაშვილის საღამოს მასთან ერთად ამშვენებენ ო. თუმანიანი, კ. მაყაშვილი, ალ. აბაშელი. გ. ქუჩიშვილის საღამოზე ლექსებს კითხულობენ ვ. რუხაძე, ობელი მუშა, გ. ცეცხლაძე, ვ. შინატეხელი...

დაღუპულ გვარდიელთა პატივსაცემად გამართულ საღამოსეირნობაში მონაწილეობან: გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, ს. ფაშალიშვილი, ივ. ყიფიანი, პლ. ლეჟავა.

გადავხედოთ იმ ჟურნალებსაც, რომლებშიც გალაკტიონი იბეჭდება.

„თოლაბულისის სარტყელი“ კაბადონს უთმობს გ. ტაბიძეს, გ. ლეონიძეს, რ. გვეტაძეს, ს. კარმელს, ლ. მაჭავარიანს, რ. გოგოხიას, გრ. ცეცხლაძეს, კ. ებრალიძეს, გ. მეგრელიშვილს, შ. ლონდელს, ლიენა ლანდს.

„აისის“ (№2) თანამშრომლებია: გ. ტაბიძე, ლ. მაჭავარიანი. გ. ცეცხლაძე, შ. კარმელი, ვ. გორგაძე, კ. ჭიჭინაძე, ს. ლორდელი, გ.

---

[1] ჟურნ. „მშვილდოსანი“, 1920, №2-3, გვ. 21.

ზედელი.

„თბილისში“ გალაკტიონი გ. საგანელსა და ა. გაბუნიასთან ერთად იხსენიება.

1920 წელს „საქართველოს“ პირველ ნომერში ვკითხულობთ: „იანვარში გამოვა ყოველკვირეული ჟურნალი „მშვილდოსანი“. მონაწილეობენ: შალვა ამირეჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ევრეინოვი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, შ. კარმელი, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქელაძე, მ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ლელი ჯაფარიძე“[1].

როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ვარსკვლავების გარემოცვაშია გალაკტიონი. მაგრამ უფრო მეტად მაინც მეორე-მესამეხარისხოვანი კალმოსნების წრეში ტრიალებს. რა თქმა უნდა, გამორიცხულია თანამდგომთა შერჩევისას კნინის გათვალისწინება (სხვათა სისუსტის ფონზე ამაღლება) – გალაკტიონს არ სჭირდებოდა ეს. მაშ რა ხდება?

საქმე გვაქვს ურთულეს მოვლენასთან.

გალაკტიონი ჩაკეტილი კაცია, როგორც იტყვიან – მარტოობით მთვრალი. როცა სხვათა თვალსაწიერში არ არის, თავს ლაღად და გაბედულად გრძნობს.

საზოგადოებაში შეზღუდული და დამორცხვებულია. მართალია, ხშირად თამაშობს კომუნიკაბელური კაცის როლს, მაგრამ ძალზე იშვიათად აღწევს სასურველ შედეგს. საკუთარ ბუნებას ვერსად გაექცევი. მან კარგად იცის, რომ სხვაზე მაღლა დგას. აკი ამბობს: „მეფე ვარ და მგოსანი“. მისი ხილვები, სიზმრებიც კი სხვაგვარია. ყოველივე ეს აძნელებს ურთიერთობებს, მით უფრო, როცა ირგვლივ მყოფთ სურთ იგი თანატოლად ან ჩვეულებრივ მოკვდავად აღიქვან. გალაკტიონი შინაგანად ვერ ეგუება ძმაბიჭურ მიდგომას, პატარა კაცთაგან მომდინარე გატოლების სურვილს. ზოგჯერ ეჩვენება, რომ მავანი ალმაცერად უყურებს, მტრობს (ხანდახან მართლაც ასეა). ღიზიანდება და სხვათა ორდინალური ფრაზების „ორიგინალური

[1] ბევრი ბრწყინვალე პოეტია, მაგრამ როგორ მოხვდა გალაკტიონი მათ გვერდით? ცისფერყანწელებსა და გალაკტიონს შორის ხიდი ხომ ჩატეხილია. ვფიქრობ, გაუგებრობასთან ან შეიძლება Lapsus calamთან გვქონდეს საქმე. ფაქტია, რომ ამ ჟურნალში გალაკტიონს არაფერი დაუბეჭდავს.

გაშიფრვით“ ზვავს ააგორებს.

მეორე-მესამეხარისხოვან პოეტებთან ურთიერთობა შედარებით ეადვილება. ისინი შესციცინებენ, ესიყვარულებიან. მათში გალაკტიონი არა მეტოქეებს, არამედ თაყვანისმცემლებს ხედავს. ეს კი ათამამებს და აძლიერებს.

ამ პერიოდში გალაკტიონი ძალზე ახლოსაა გ. ქუჩიშვილთან. ერთად გამოდიან საღამო-შეკრებებზე, ერთად სერობენ და ხშირად ერთ ჭერქვეშ ათენებენ.

გიორგი უშუალო და ალალია, აღიარებს გალაკტიონის გენიოსობას.

რაც მთავარია, გიორგის ძმურად უყვარს გალაკტიონი. შეუძლია იჩხუბოს კიდეც მის დასაცავად.

გალაკტიონს ახლო ურთიერთობა აქვს ჟურნალისტ დავით პავლიაშვილთან და ვანო სარაჯიშვილთან.

არაერთხელ უამბნიათ ჩვენთვის: ზოგჯერ, ოპერის დამთავრების შემდეგ, ვანო, დათიკო და მე ვორონცოვის მოედანთან არსებულ სარდაფს მივაკითხავდით. ნაცნობი მიკიტანი მუხის კასრზე გვიშლიდა სუფრას. მივუსხდებოთ და გაგიხარნია... დაიწყებდა ვანო, ავყვებოდით მე და დათიკო. კედლები იბზარებოდა. გამვლელ-გამომვლელნი ჩერდებოდნენ. მიკიტანი ყურებამდე გახეული პირით დიდ დანაზე დაყრდნობილი მონუსხულივით იდგა დახლში. სარდაფში მყოფნი ჩურჩულსაც კი ეკრძალვიდნენ.

გალაკტიონს ბევრი აფასებდა. მას არა მხოლოდ პოეზიის მეტრად აღიარებდნენ, არამედ კაცობის საზომადაც. იგი ობიექტურია. როცა ალტერანტივური სიტუაცია იქმნება,ხმამაღლა და მიუკერძოებლად გამოხატავს თავის პოზიციას.

ამიტომ სთხოვა მას ნ. კურდღელაშვილმა იმ კომისიის წევრობა, რომელსაც უნდა გაერკვია, რამდენად ემთხვეოდა ვ. სანათაშვილის დაკარგული მოთხრობა გიორგაძის ავტორობით გამოქვეყნებულ „შაგულას“ (კალამგირობას ხომ არ ჰქონდა ადგილი).

სხვა დროსაც აურჩევიათ გალაკტიონი არბიტრად.

იყო ბოჰემური დღეები. დიონისესათვის ხელის გადახვევა და შორეული ქალის ეშხით თრობა. მაგრამ ყოველივე ეს გალაკტიონისათვის არასოდეს ყოფილა თავიდათავი. სწორედ 1920 წელს დაწერა:

„სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
პირადათ მე სიკვდილამდე მექნება –

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია – უპირველეს ყოვლისა!
პოეზია – უპირველეს ყოვლისა!"[1]

1920 წელი. 10 აგვისტო. გალაკტიონს რუსთაველის პროსპექტზე გერონტი ქიქოძე შეხვდა.

– სად დაიკარგე? კოტე მაყაშვილი გკითხულობს.

– რა მოხდა?

– არ ვიცი. გუშინ მითხრა: თუ გალაკტიონს სადმე გადაეყარო, სთხოვე დამიკავშირდესო.

აფორიაქდა გალაკტიონი. კ. მაყაშვილი ქართული ჯიშის განსახიერებად, არისტოკრატის სახე-ხატად მიაჩნდა და უდიდესი პატივისცემით, კრძალვით ეპყრობოდა. პოეზიაც ძლიერ მოსწონდა მისი. დავესეხებით ერთ დეტალს. 1914 წლის 2 მარტის „სახალხო გაზეთის" სურათებიან დამატებაში" კ. მაყაშვილის ლექსი დაიბეჭდა. როგორც ირკვევა, გალაკტიონს საფუძვლიანად გაუცვნია იგი და ფურცლის არშიაზე მიუწერია: „საუცხოო მუსიკაა, დიდებული აზრით". ხაზგასმულია ლექსის შემდეგი სინტაგმა – „ვთეს სიმღერებს".

თავის მხრივ კოტეც კეთილად იყო განწყობილი ახალგაზრდა პოეტისადმი, არაერთხელ შეუქია და დახმარებია კიდეც.

იმავე დღესვე მიაკითხა. უფროსი მეგობარი თავშეკავებული ღიმილით შეეგება. გალაკტიონს არ გამოპარვია, როგორ ოსტატურად აარიდა კოტემ თვალი უმცროსი კოლეგის დაბრეცილ ფეხსაცმელს.

– ვალიკო ჯუღელმა მთხოვა, რეკომენდაცია გავუწიო ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს, რომელიც ჟურნალის გამოცემაში დაეხმარება. შენზე შევაჩერე არჩევანი. ვფიქრობ, არ უნდა იყოს ურიგო საქმე. ჯამაგირიც გექნება და...

კიდევ უფრო მეტად ღელავდა გალაკტიონი, როცა გვარდიის შტაბში ვალიკო ჯუღელთან აუდიენციას ელოდა. ამ კაცის სიმამაცესა და თავგანწირულობაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ლექსებსა და მინიატურებს უძღვნიდნენ. ბევრი აღმერთებდა კიდეც. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა, როცა საზოგადოებამ ერთ-ერთი ქალაქისთვის მისი გვარის დარქმევა მოინდომა.

შეხვედრა მოკლე და საქმიანი იყო. ახლოდან ჯუღელი სულაც არ ჩანდა ისეთი მკაცრი, როგორიც გალაკტიონს წარმოედგინა. ლაპარაკობდა მოკვეთილი წინადადებებით. გამოხედვა მომნუსხველი და სულში ჩამწვდომი ჰქონდა, თითქოს

[1] გაზ. „ერთობა", 1920, №284.

გბურღავსო. ყოველგავრი შესავლისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა: – ჟურნალი ჩემს ხაზს გაატარებს. იმედია, ნაწერებს არ დამიწუნებ. გალაკტიონი თავდახრილი უსმენდა და მემდეგ, როცა ამ ფრაზას იხსენებდა, ვერაფრით გაერკვია, მეგობრული ტონით იყო ნათქვამი თუ ირონიით.

– პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას შეასრულებ – განაგრძო ჯულელმა – რედაქცია ჩემი კაბინეტის გვერდით მოთავსდება. რაც შეეხება ჯამაგირს, თვიურად 7300 მანეთი გექნებათ. დამატებით ოფიცრის „პაიოკსაც“ მიიღებთ.

– როდიდან შევუდგე საქმეს?

– ჟურნალის გამოცემის თაობაზე დადგენილება ჯერ არ მიგვიღია. ეს საკითხი გვარდიის კონფერენციაზე გადაწყდება. მაგრამ სათუო არაფერია. ხვალიდანვე შეგიძლიათ დაიწყო მუშაობა. როგორ ფიქრობთ, „სახალხო გვარდიელი“ ცუდი სახელწოდება ხომ არ არის?

– რას ბრძანებთ, დიდებულია.

– ჰო! ეს პოეტური კრებული როდია. ყველაფერი სადად და პირდაპირ უნდა ითქვას.

მერე ადიუტანტს მოუხმო.

– დღესვე მიეცით ერთი თვის ჯამაგირი.

გალაკტიონს მოეჩვენა, ხმაში სილბო და დაღლილობა გამოკრთა.

მგოსანი სიმპათიურად იყო განწყობილი გვარდიელებისადმი. საუკეთესო სტრიქონებიც უძღვნა.

„და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ.
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
საქართველო უპირველს ყოვლისა“[1].

ამიტომაც ადაპტაციის საკითხი არც დასმულა. იგი გატაცებით, ჩვეული ენერგიულობით ჩაება საქმეში.

1920 წლის აგვისტოში ჩატარდა სახალხო გვარდიის კონფერენცია. დადგენილების მესამე მუხლი ასეთი იყო: „მიღებულ იქნეს ზომები საკუთარი ყოველკვირეული ჟურნალის გამოსაცემად. ამისათვის საჭირო თანხა უნდა გამონახოს მთავარმა შტაბმა“.

დამფუძნებელ სარედაქციო თათბირზე გაირკვა, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრის განხორციელება ფინანსურ-ტექნიკური და სხვა მიზეზების გამო ვერ ხერხდებოდა. ამიტომ

[1] გაზ. „ერთობა“, 1920, №284.

გადაწყდა ჟურნალი ორ კვირაში ერთხელ გამოეცათ.

ვ. ჯუღელი ძლიერ დაკავებული გახლდათ ოპერატიული საქმეებით, გვარდიის იდეურ-პრაქტიკული ხელმძღვანელობით, თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა. ხან როდის მოიპარავდა წუთებს და ხან როდის. ამიტომაც გალაკტიონი ზოჯერ ღამის თორმეტ საათამდე ელოდა რედაქტორს.

ჟურნალი 12 დეკემბრისათვის უნდა გამოსულიყო – სახალხო გვარდიის შექმნის მესამე წლისთავზე. ქანცგაწყვეტამდე მუშაობდნენ. 8 დეკემბერს საზოგადოებას ეუწყა, რომ პირველი ნომერი უახლოეს დღეებში დარიგდებოდა. „შიგ მოთავსებული იქნება წერილები კ. კაცუკის, ვ. ჯუღელის, აკ. ჩხენკელის, ს. დევდარიანის, ი. გომართელის, ბ. თეკლათელის, ი. ცინცაძის. ლექსები: ტაბიძის, ქუჩიშვილის და ვ. რუხაძის, სურათები გვარდიის ცხოვრებიდან. ჟურნალი იქნება დაბეჭდილი ფერადი საღებავით. გაიყიდება კანტორა „განათლებაში“ მის აგენტებთან და გვარდიის შტაბში. ღირება 50 მან“[1].

ათი დეკემბრისათვის ჟურნალი უკვე დაბეჭდილია. იგი თექვსმეტგვერდიანია, ფერადი ილსტრაციებით.

რედაქციას ღრმად აქვს გააზრებული გამოცემის სპეციფიკა და დანიშნულება. რადგანაც ჟურნალი მთავარი შტაბის ორგანოა, წინ იწევს გვარდიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა და შრომითი ტრადიციების ჩამოყალიბება-განმტკიცების ტენდენციები. ამ ორი მხარის აქცენტირება თვით გვარდიის თავისებურებით არის მოტივირებული.

„...სახალხო გვარდია არ არის ჯარი. ჯარისკაცი მოწყვეტილია თავის საქმეს,თავის ხელობას და მისი ერთად-ერთი საქმე თოფია.

გვარდიელი კი ერთი და იმავე დროს ჯარისკაციც არის და თავის საქმის, თავის ხელობის კაციც. გაჩნდება საფრთხე, თოფს მოჰკიდებს ხელს და დადგება რესპუბლიკის დასაცავათ. გაივლის საფრთხე, თოფს მიაყუდებს და დაუბრუნდება თოხ-ნამგალს ან ჩაქუჩს.

გვარდიელი არის შეიარაღებული მუშა, შეიარაღებული ხელოსანი. შეიარაღებული იმიტომ არის, რომ გარშემო მტრები ახვევია და თავდაცვა ესაჭიროება.

იარაღი მხოლოდ თავდაცვისათვის – აი თვისება გვარდიელისა.

საომარი და სამუშაო იარაღის შეთვისება, შეთანხმება – აი თვისება გვარდიელისა.

სხვანაირათ ჩვენისთანა პატარა რესპუბლიკას არსებობა არ

---

[1] გაზ. „ერთობა“, 1920, №280.

შეუძლია"[1].

როგორც ვხედავთ, სახალხო პარტია პრინციპულად განსხვავდება შეიარაღებული ძლების იმ დანაყოფისაგან, რომელიც გვარდიად იწოდება და რომელიც რჩეულ ჯარისკაცთა გაერთიანებას გულისხმობს.

საქართველოს თავისებურებებიდან გამომდინარე დაძებნილია ბრძოლისა და შრომის შერწყმის ორიგინალური გზა. ამიტომაც იყო,რომ კ. კაცუკიმ მაღალი შეფასება მისცა სახალხო გვარდიის საქმიანობას. იგი აღნიშნავდა: ახალი ტიპის სახელმწიფოსათვის ამგვარი ფორმირების არსებობა აუცილებელია და საქართველოს რესპუბლიკის თაოსნობა ფართო მასშტაბით განზოგადებას იმსახურებსო.

რედაქციამ რამდენიმე ასპექტით წარმართა საქმიანობა.

I. წარმოჩენა იმ ძირითადის, რითაც გამორჩეულია გვარდია. ეს არის „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი", მამულისადმი თავდადება. ამ განასერით ნაირგვარი მასალა იბეჭდება. ერთ შემთხვევაში წინ იწევს სილოგისტური განსჯა. პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „სახალხო გვარდია ეს ჩვენი დემოკრატიულობის თავგანწირულობის,მისი მტკიცე ნებისყოფის ხორცშესხმულობაა"[2].

მეორე შემთხვევაში მოხაზულია გვარდიელთა პორტრეტები და მათი საქმიანობა მისაბაძად არის დასახული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ვ. ჯუღელის წერილი, რომელიც ვალიკო შარაშიძესა და სანდრო მაისურაძეს ეძღვნება. მოწოდებასავით ჟღერს აკ. ჩხენკელის თეზისი: „ხალხის შვილს უნდა ასულდგმულებდეს იდეალი, მხოლოდ მაშინ შესძლებს ის, თუ გარემოებამ მოიტანა, თავი შესწიროს საქვეყნო საქმეს"[3].

მესამე შემთხვევაში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა საბრძოლო ეპიზოდების გაცოცხლებას და ა. შ.

II. სამხედრო ოსტატობის სრულყოფისა და შრომითი საქმიანობის ჩვენება. ყურადღება მახვილდება როგორც საბრძოლო ტექნიკის დაუფლებაზე, ასევე დისციპლინის განმტკიცებაზე. მოთხრობილია ისიც, თუ როგორ შრომობს გვარდია. მაგალითად, ყარაიაში „ფართო მასშტაბით შეუდგა მოსარწყავი თხრილების გაყვანას, ტბების ამოშრობას და

---

[1] ჟურნ. „სახალხო გვარდიელი", 1920, №1, გვ. 60.

[2] იქვე. გვ. 5.

[3] იქვე.

აგრეთვე მალარიასთან ბრძოლას"[1].

III. გვარდიელთა კულტურულ-ინტელექტუალური და მორალური დონის ამაღლებისათვის ბრძოლა. სამართლიანად არის მითითებული, რომ კულტურა აძლევს გვარდიელს იმ შეგნებას, თუ ვის წინააღმდეგ და რატომ უნდა აღმართოს მახვილი.

როგორც ივ. გომართელი წერს, „გვარდიის ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება იქითკენ უნდა იქნეს მიქცეული,რომ გვარდიის ზნეობრივი სისპეტაკის გვირგვინს არსაიდან არავითარი ლაქა არ მოეცხოს.

ულირსი თუ ვინმე შემოიპარება, სასტიკი გაწმენდა.

გვარდია მარტო იარაღით არ იმარჯვებდა.

არა,გვარდიის იარაღი უძლეველი იყო იმიტომ,რომ იარაღთან ერთათ მტერს ებრძოდა გვარდიის სულიერი სიმტკიცე და ზნეობრივი სისპეტაკე"[2].

სხვა მნიშვნელოვანი თემებიც არის აქცენტირებული.

მკითხველთა მოსაზიდად ნაირგვარი ხერხია დაძებნილი. რედაქტორმა და პასუხისმგებელმა მდივანმა კარგად იციან, რომ სინამდვილის ობიექტური ასახვა ფოტოგრაფირებას როდი გულისხმობს. აუცილებელია იმის შემჩნევა და წინ წამოწევა, რაც ჩანასახის სახით არსებობს და პერსპექტიულია.

ჟურნალში მძლავრობს ჰეროიკული პათოსი, რასაც შესამჩნევად აძლიერებს მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები. მაგალითად გამოდგება ნაწყვეტი გიორგი ქუჩიშვილსი ლექსიდან.

„თამამად ძმებო,
ხალხის გმირებო.
თამამდ გასწით სისხლის საღვრელად!
დარწმუნდეს მტერი, რომ მთელი ერი
მზად არის თავის ქვეყნის სახსნელად"[3].

საბოლოო დასკვნის გამოტანამდე ერთი ფაქტის დაფიქსირებაც გვმართებს.

გალაკტიონის თანამშრომლობა „სახალხო გვარდიელში" უცნობია პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართათვის. ისიც საყურადღებოა, რომ მგოსნის არცერთ ავტობიოგრაფიაში (ისინი კი მრავლადაა), არცერთ დღიურში, არცერთ მოგონებაში ხსენებაც არ არის ამ ჟურნალისა. საოჯახო არქივი რომ არა, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ბურუსით იქნებოდა მოფენილი.

[1] ჟურნ. „სახალხო გვარდიელი", 1920, №1, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 11.

[3] იქვე, გვ. 8.

მთლიანად მოგვყავს გალაკტიონის უცნობი წერილი.

„ძმაო აბესალომ! მოგილოცავ დღესასწაულებს. შენს წერილებს ვიღებდი,უკანასკნელ ხანში კი რაღაც შეწყვიტე. რაშია საქმე? როგორაა დედა? მე წიგნის გამოცემა ვერ მოვახერხე. ეხლა ვხელმძღვანელობ (კრიზისის გამო) ჟურნალ „სახალხო გვარდიელს“. ვარ იქ მდივნად, და, მაშასადამე, ყველაფრად. კარგ განწყობაში ვარ საზოგადოებასთან. მაგრამ უფულობა მაინც კვადაკვალ მდევს. ჯამაგირად მაქვს 7300 მან და „პაიოკი“ გვარდიელისა. არა უშავს, გამოკეთდება.

მომწერე, რას შვებით, როგორია თქვენი სულიერი განწყობილება... ელით უკეთეს მომავალს, თუ იმედი დაკარგეთ სრულიად? მომწერე დედაჩემიხ შესახებ ყველაფერი.

გარდა ამისა,აი რა უნდა გთხოვო: ჟურნალ „ნოვოე სლოვო“-ში არის ერთი წერილი „История Каспара Гаузера“. ეს წერილი ძალიან მჭირდება. ამოხიე ჟურნალიდან და გამომიგზავნე. რაც ადრე გამომიგზვანი უკეთესია, რადგან მე ერთ წერილს ვწერ, სადაც ეს წერილი აუცილებლად საჭიროა.

შენი თარგმანის შესახებ იმედაშვილმა მითხრა, რომ მალე დაიბეჭდებაო, მაგარმ მალე ჟუნალი სულ მიახურა. მე ვუთხარი, რომ ხელნაწერი ჩემთვის მოეცა,მაგრამ რაღაც ვერ ელევა. ყოველ შემთხვევაში რამდენს არ ვეტყვი, სულ „გადმოგცემო“ მეუბნება.

შენ ხშირად გკითხულობენ შენი ძველი ამხანაგები. ბევრი აქ მოეწყო სამსახურში, მარა რაღა ასეთ მოწყობას: შიმშილით ხდება სული მთელ ტფილისს. აუტანელი სიძვირეა. ამ ზამთარს ყველა უშეშოდ ატარებს, არის ყინვა და თოვლი – ჯამაგირი კი არავის არ ყოფნის, ათასწილად უკეთესია ეხლა ყველასათვის სოფელი.

ასე, აბესალომ, მომწერე წერილი: ტფილისში სახალხო გვარდიის მთავარ შტაბთან, რედაქცია ჟურნალ „სახალხო გვარდიელისა“, ჩემთან.

ნახვამდის, აბესალომ, გული არ გაგიტყდეს. ენერგიით, ენერგიით და კიდევ ეენერგიით. ხომ იცი:

„თავგანწირულად, ლომივით
შეეებრძოლები ქვეყანას,
რას მომცემს ან რას დამაკლებს,
გული რომ დამწყდეს მისთანას“.
მარად შენი გალაკტიონი.
დედაჩემს უთხარი ცალკე წერილი მომწეროს“.

გალაკტიონის ასეთი გაყუჩება, საგულდაგულოდ მიჩქმალვა ფაქტისა გასაგებია. მგოსანი ხომ დამოუკიდებელი საქართველოს,

ე. წ. მენშევიკური მთავრობის, დამცველად და მეხოტბედ გვევლინება. ამ ამბის გახმაურების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ახალ ხელისუფალთ, კომუნისტებს უმკაცრესი ზომებისათვის მიემართათ.

ამრიგად, გალაკტიონი „სახალხო გვარდიელის" ერთ-ერთი სულისჩამდგმელია. მას ღრმად სწამს, რომ გვარდია უდიდეს საქმეს აკეთებს და ამიტომაც გულდაგულ იღვწის მისი ჟურნალის სრულყოფისათვის. უკვეთავს ლიტერატურულ მასალებს, ენობრივ-სტილისტურად თუ კომპოზიციურად სრულყოფს შემოსულ სტატიებს. რაც მთავარია, ადგენს ნომრის მაკეტს და ქმნის ჟურნალის გარეგან სახეს.

საერთოდ, პასუხისმგებელი მდივანი გამოცემის თანამშრომელთა თავისებური თანაავტორია.

ბუნებრივია, რომ გალაკტიონი დაკვირვებით კითხულობს ვ. ჯუღელის, ს. ჯიბლაძის, ა. ჩხენკელის თუ სხვათა ნაწარმოებებს და გამორიცხული არ არის, მათ იდეებსაც ითავისებდეს.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ პოეტი მაშინ დგება ქვეყნის სადარაჯოზე, როცა სამშობლოს ძლიერ უჭირს, როცა მავანნი და მავანნი აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარბიან. „სახალხო გვარდიელის" ბოლო, მეხუთე ნომერი 15 თებერვალს გამოვიდა. ამ დროს თბილისს უკვე აზანზარებს ქვემეხთა გუგუნი, გვარდია სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული.

არავითარი მერყეობა, არავითარი დაეჭვება. სწორედ ეს იდეური სიმტკიცე იყო მიზეზი იმისა, რომ ემიგრაციაში წასაყვან მწერალთა სიაში გალაკტიონის გვარიც მოხვდა.

გალაკტიონის თანამშრომლობა „სახალხო გვარდიელში" იმის დასტურია, რომ მგოსანი დამოუკიდებელი საქართველოს ერთგული ჯარისკაცია. სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენიც არის. მის შემოქმედებას ხომ წითელ ზოლად გასდევს ეროვნული მოტივი.

1917–1920 წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ძვრები ხდება. ახალმა ვითარებამ ახალი ამოცანები დასვა და მათი გადაჭრის საკითხიც პრინციპულად დააყენა. უმთავრესი ის გახლავთ, რომ შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირი. მართალია, ამ დროს არსებობდა სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება, მაგრამ მისი მოქმედების რადიუსი ვიწრო იყო, ხოლო საზოგადოებრივი რეზონანსი სუსტი. ამიტომაც შემთხვევითი არ ყოფილა, როცა ამ გაერთიანების ლიკვიდაცია და მისი ქონების მწერალთა კავშირისათვის გადაცემა მოითხოვეს.

1917 წლის შემოდგომაზე შეიქმნა საორგანიზაციო ბიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო, რომელმაც სერიოზული მუშაობა გასწია ყრილობის მოსამზადებლად.

ყრილობა ოქტომბრის დასაწყისში ჩატარდა.

ამ დროს გალაკტიონი უცხოეთში იმყოფებოდა, მაგრამ იმგვარი ოსტატობით, დეტალურად და ხატოვნად აუწერა კონსტანტინე გამსახურდიამ მაშინდელი ბატალიები, რომ პოეტს ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს თავად ესწრებოდა სხდომებს.

– რობაქიძემ მოითხოვა ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ კ. ბალმონტი მოგვეწვია. მე დიდ პატივს ვცემ ბალმონტს, მაგრამ მაინც უხერხულად მივიჩნიე ეს. მხარი დამიჭირა გრიშაშვილმა. თავს დამესხნენ პაოლო და ტიციანი მათთვის ჩვეული ყიზილბაშობით...

და შეხსნა კონსტანტინემ ქართული ენის ბნელი სარდაფის კარი. როცა გალაკტიონის გაკვირვებული მზერა დაიჭირა, თითქოს გამოერკვა: – ეხლა მეცინება. ეს ყოველივე ჩემთვის ხავსიანი ლოდებია.

ისე, უცნაური ხალხი ვართ ქართველობა, ჩემო გალაკტიონ, – განაგრძო კონსტანტინემ, – ზედმეტი თავმოხრა გვჩვევია, ადვილად ვენთებით და... 5 ოქტომბერს (1917 წ. ნ. ტ.) კაკი წერეთელი ჩამოვიდა საქართველოში და ატყდა აურ-ზაური. ღმერთო ჩემო, რას არ უწოდებდნენ: „დემოკრატიის არწივს", „სახალხო ტრიბუნს", „ქურუმს", „ერეკლე მესამეს" და ა. შ. მწერლებიც ჩაებნენ ამ ფერხულში. მოითხოვეს ჩვენი ყრილობა მისალმებოდა. აღშფოთება ვერ დავმალე და ბევრიც გავანაწყენე. კი, ბატონო, ნიჭიერი კაცია, სახელგანთქმული რევოლუციონერიც, მაგრამ, აბა მითხარი, საქართველოსათვის რა გააკეთა? არაფერი! ყოველთვის რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს.

ამას დიდი ექსტაზით, თვალებანთებული ყვებოდა კონსტანტინე. ისიც ხაზგასმით აღნიშნა: ყრილობაზე მე მოვითხოვე, რომ გოლოვინის პროსპექტს რუსთაველის სახელი დარქმეოდა.

გვიან ღამე დატოვეს ციცქნა ოთახი. გაგაცილებო – დაიქინა კონსტანტინემ. ნელა მიუყვებოდნენ ხეივანს და უსმენდნენ ღამეს, რომელიც არცთუ ნაკლებ საინტერესო ამბებს ყვებოდა.

გალაკტიონისათვის კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ მწერალთა ეიწრო ჯგუფური ინტერესები თანდათან ძლიერდებოდა. მაგრამ არსებითი მაინც ის იყო, რომ პირველი მტკიცე ნაბიჯი გადაიდგა დიდ გზაზე.

ყრილობის დახურვის დღეს უკნასკნელმა თერგდალეულმა ნიკო ნიკოლაძემ ხმამაღლა განაცხადა: მწერლობა ის იარაღია, რომელიც ერს ადუღაბებს, ხალხის სიყვარულით ყოველგავრი მსხვერპლი უნდა გავიღოთ. აუცილებელია დავძლიოთ ჯგუფური პატივმოყვარეობა,

შევერთდეთ და თავგამოდებით ვიშრომოთ მამულის ბედნიერებისათვის.

ეს საპროგრამო გამოსელა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონს ისიც ძლიერ ახარებდა, რომ მწერალთა კავშირის ერთ-ერთი თავკაცი კოტე მაყაშვილი იყო.

ზუსტად ვერ გეტყვით, როდის შეიტანა გალაკტიონმა განცხადება, როდის გახდა ფორმალურად მწერალთა კავშირის წევრი. საფიქრებელია, 1919 წლის მიწურულს მოხდა ეს. ერთი კი ცხადზე ცხადია, თავიდანვე ამ ორგანიზაციის სათავესთან დგება. ამაზე მეტყველებს თუნდაც 1921 წლის ნოემბრის ამბები, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

ახლა უმთავრესზე.

თხზულებათა აკადემიური გამოცემის მიხედვით, 1918 წლის ივლისიდან 1921 წლის თებერვლამდე გალაკტიონს პრესაში 13 ლექსი გამოუქვეყნებია, ხუთი – 1919 წ. რვა – 1920 წ. ამათ უნდა მიემატოს ორიოდე[1].

როგორც ვხედავთ, სიუხვე არ შეინიშნება. ამის უპირველს მიზეზად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ 1918 წლის მეორე ნახევარსა და 1919 წლის პირველ კვარტალში გალაკტიონი „არტისტული ყვავილების" გამოცემით არის დაკავებული. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, ამ დიდ საქმეშია შთანთქმული. ვერც იმას დავივიწყებთ, რომ ეკონომიკურად ძლიერ უჭირს და ლუკმა პურის ძიება რამდენადმე მაინც უკვეცავს ფრთებს. არის სხვა მიზეზებიც.

აღსანიშნავია, რომ 1919 წლის მარტში გალაკტიონი აქვეყნებს ორიგინალურ წერილს „თეატრები". იგი მგოსნის არც ერთ კრებულში, არც თხზულებათა თორმეტტომეულში არ შესულა[2]. ამდენად,

---

[1] გაზეთ „საქართველოში" ვკითხულობთ: „მოკლე ხანში გამოვა თბილისში ჟურნალ „აისის" მეორე ნომერი. ჟურნალში მოთავსებული იქნება იმავე პოეტთა ნაწარმოებები, რომელნიც პირველში იყვნენ: გალაკტიონ ტაბიძე, ლადო მაჭავარიანი, გრ. ცეცხლაძე, შ. კარმელი, ვ. გორგაძე, რ. გვეტაძე, ნ. ნადირაძე, სანდრო შიუკაშვილი და სხვ." (1820, №179).

მაშასადამე, გალაკტიონს „აისის" პირველ და მეორე ნომრებში დაუსტამბავს ლექსები, მაგრამ სახელდობრ რომელი?

აკადემიური გამოცემის ხელმძღვანელთათვის ისიც უცნობია, რომ ლექსი „სადაც ტყვეების ისმოდა დარდი" პირველად 1920 წელს გამოქვეყნდა „ახალხო გვარდიელში" სახელწოდებით „საქართველოს". ამ ჟურნალსა და აკადემიური გამოცემის მეორე ტომში დასტამბულ ტექსტებს შორის თვალსაჩინო სხვაობაა.

[2] ამ ნაწარმოებებზე ერთ-ერთმა პირველმა ი. ირემაშვილმა გაამახვილა ყურადღება.

უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. არადა,ძალზე საყურადღებოა გალაკტიონის თეატრალური შეხედულებების შესამეცნებლად. სხვა მხრივაც. მოგვყავს მთლიანად.

თეატრები

რეჟისორი. პიესა ჩატარდა ისე,როგორც შეფერის გამოცდილ რეჟისორს.

ჰამლეტი. არა! პიესა ჩატარდა ისე, როგორც შეჰფერის დახელოვნებულ მსახიობს.

რეჟისორი. თქვენო უმაღლესობავ!

ჰამლეტი. ასეა: მსახიობობა იბადება ზეშთაგონებიდან და არ საჭიროებს არავითარ ტეხნიკურ შენობას. უმაღლესი მიზანი თეატრისათვის არის სცენიური იმპროვიზაცია.

რეჟისორი. თქვენო უმაღლესობავ... ავტორი?

ჰამლეტი. გაერთიანება შემოქმედების დროს ავტორისა და აქტიორის იდეების: აი კიდევ უდიდესი მიზანი.

ოფელია. სცენაზე ვარ და არ მახსოვს შემთხვევა, რომ პიესა ჩატარებულიყო თეატრალური მოწყობილობის გარეშე. ვერც ერთი მსახიობი მაშინ როლს ვერ შექმნიდა. თქვენო ალმატებულებავ! არ იქნებოდა ჰამლეტი, რომ არ ყოფილიყვნენ დეკორატორები, ბუტაფორიები, კოსტიუმერები, სცენარისტები ან სუფლიორები? რეჟისორი მოწოდებულია...

ჰამლეტი. მოწოდებულია სცენარისტებისა და დეკორატორებისთვის!

რეჟისორი. აგრეთვე ჰამლეტისათვის.

ოფელია. ყველასათვის თქვენო უმაღლესობავ! აი ოსკარ უაილდის სიტყვები წიგნიდან „ნიღაბთა ჭეშმარიტება“: „თვითეულ თეატრალურ ორგანიზაციაში გაყვანილი უნდა იყო განაწილება შრომის და არა გონების. ფონი უნდა დარჩეს ფონად, ფერები კი ეფექტს უნდა დაუმორჩილდეს. ამას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც წარმოდგენას ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთი პიროვნება. ხელოვნების, განათება მრავალგვარია, მაგრამ მთავარი ძალა მხატვრული ეფექტისთვის მხოლოდ გაერთიანებაშია. ნამდვილი მხატვრული დადგმა ერთი შემოქმედის სულით უნდა იყოს გაჟღენთილი...“

ჰამლეტი. „ოფელია! წადი მონასტერში!“

ოფელია. მე მინდა ვსთქვა,რომ უმთავრესი პიროვნება თეატრში არც რეჟისორია და არც აქტიორი. ყველაზე უმთავრესი ისევ ჩვენი ძვირფასი თეატრია: უნდა ამაღლდეს იგი მაღალ ხელოვნებამდე!

აი რას ვუსურვებთ მას ყოველი ახალი სეზონის დასაწყისში“[1].

---

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1919, №1.

„თეატრებში“ გამჟღავნებულია ის დაპირისპირება, რაც ათიან წლებში შეინიშნებოდა.. ვინ არის წარმმართველი – დრამატურგი, რეჟისორი თუ მსახიობი?

გალაკტიონი კარგად იცნობს ამ პერიოდის თეატრალურ კონცეფციებს. არ არის გამორიცხული. მაქს ჰერმანის თეორიასაც ჩაღრმავებოდეს. ამ დიდ მეცნიერს რუსეთში საკმაოდ ჰყავდა მიმდევარი და,ალბათ,მოსკოვის სარეჟისორო კურსებზეც ხშირად გაისმოდა მისი სახელი.

რეჟისორული თეატრის კონცეფციით, სპექტაკლის წარმმართველი ფიგურაა რეჟისორი. უფრო მეტიც, იგი ავტორია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს მსახიობის უდიდესი როლის უგულებელყოფას, მაგრამ გარკვეული აზრით, არტისტი მაინც დაქვემდებარებულ შემოქმედად წარმოჩნდება.

თუ ამოვალთ იქიდან,რომ უპირველესია სასცენო პარტიტურის დადგენა, რათა ზუსტად მოხდეს გამომსახველი ფორმების შერჩევა, მაშინ ადვილგასაგები გახდება რეჟისორული თეატრის აზრი.

გალაკტიონი რეჟისორისკენ იხრება. ამიტომაც ესესხება ოსკარ უაილდს, რეჟისორი ერთი სურვილით უნდა მსჭვალავდეს მთელ სპექტაკლს, რათა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი მონოლითურ ნაწარმოებად აღიქმებოდეს.

ოფელიას ბოლო სიტყვები ღრმა დაკვირვებას მოითხოვს. აქ ლიტერატურული ხერხია გამოყენებული, როცა უარყოფა მტკიცების ფარდია.

„თეატრებში“ ირეკლება მოსკოვის სარეჟისორო კურსებზე განცდილი და ათვისებული. მთავარი მაინც ის არის, რომ იგი გაცხადებაა იმ კონცეფციის,გრძნობების,რომლებიც გალაკტიონს თეატრალურ სამყაროსთან აკავშირებდა.

საანალიზო პერიოდი უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ გალაკტიონისათვის,არამედ მთელი ქართული პოეზიისათვის. 1919 წელს გამოვიდა „არტისტული ყვავილები“ – წიგნი, რომელმაც ათვლის წერტილის ფუნქცია შეიძინა.

ეს კრებული უდიდესი ნიჭისა და ერუდიციის, დაძაბული შრომისა და ფილიგრანული ოსტატობის ნაყოფია. ცხადია, ყველაფერი ხელის ერთი დაკვრით არ გაკეთებულა. ვულკანის ამოფრქვევას ხანგრძლივი შინაგანი დუღილი უძღვოდა. გალაკტიონმა მრავალმხრივ გაითვალისწინა სამამულო მწერლობის მიღწევები. ამასთანავე საფუძვლიანად შეისწავლა როგორც რუსული, ასევე ევროპული, უპირატესად, ფრანგული პოეზია.

პირველ წიგნში უთუოდ დაილანდა პირამიდის კონტურები, მაგრამ მაინც დიდი გზა იყო გასავლელი, ვიდრე გიგანტური შენობა აიგებოდა. 1915–1918 წლები ძიებისა და გადაფასების ხანაც იყო. გალაკტიონმა ახალი სივრცეები მოიხილა, ანკარა ნაკადულებს დაეწაფა და უცხო ბილიკებს მიაკვლია. რაც მთავარია, მან უმაკცრეს ცხრილში გაატარა ძველი ნაწერები.

ცხადია, ეს არ ნიშნავს წარსულისადმი ხაზის გადასმას. შეინიშნება თემათა გამეორება, ასევე ხატთა მსგავსება. არც ცალკეული ფრაზეოლოგიური შეხვედრები გამოირიცხება. მაგალითად, პირველ წიგნში ფიქსირებული „ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა“ მეორე ტომში ამგვარი ვარიაციით გვხვდება: „ჩემს სამშობლოში მე მოვალე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდები“. ან კიდევ: „წაჰყე, მგოსანო... მშვენიერ ტანჯვას მაინც იპოვი“. „არტისტულ ყვავილებში“ – „მე ძლიერ მიყვარს მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის“. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ეს ანალოგიები. მთავარი ისაა, რომ ამ შემთხვევაში მკაფიოდ იგრძნობა ამაღლება, ე. ი. სინამდვილის ემპირიული ასახვიდან სიმბოლისტურ გააზრებაზე გადასვლა, რეალობიდან ზერეალობისაკენ ლტოლვა.

ამგვარი მიდგომა არა მხოლოდ ახალი ლექსებით ცნაურდება, არამედ ძველი ნაწარმოებების რედაქტირებითაც.

შევჩერდებით ერთ გახმაურებულ მაგალითზე. ლექსში „ალვები თოვლში“, რომელიც 1916 წელს გამოქვეყნდა „სხივში“, ვკითხულობთ: „როდესაც მთვარე თოვლიან ალვებს ათრობს ცისფერი ყინვის თასებით“. „არტისტულ ყვავილებში“ ეს ფრაზა ამგვარადაა მოწოდებული: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით“.

ყინვა ცისფერი და ყინვა ივლისისფერი. პირველი გასაგებია თუნდაც ფერთა ასპექტის გათვალისწინებიდან გამომდინარე. მეორე კი ალოგიკურად მოჩანს. სიტყვათა სემანტიკური დაკავშირება გამორიცხულია.

ამ მეტაფორაზე არაერთ მკვლევარს გაუმახვილებია ყურადღება.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ივლისისფერი“ მცხუნვარის, მძაფრის ასოციაციას ეყრდნობა, მაგრამ ამ თვალსაზრისსაც მოეპოვება მინუსი.

რეალობასთან უფრო ახლოსაა შემდეგი კონცეფცია, რომ საქმე გვაქვს სიმბოლისტურ ხერხთან, ალოგიზმით განწყობილების ამაღლებასთან, რასაც საბოლოოდ ირეალურთან მივყავართ. გართულებული მეტაფორის მომარჯვება ამითაა შეპირობებული.

სხვა საკითხია, თუ რამ შეუწყო ხელი აღნიშნული ტროპის შექმნას. სამართლიანად არის შენიშნული, რომ „უკვე მეორე წიგნზე მუშაობის დროს გალაკტიონი ეუფლება მოვლენათა გასაიდუმლოების ხელოვნებას და ამას თავის შემოქმედებით პრინციპად ხდის. ადრე დაწერილ ლექსებს იგი ამ თვალსაზრისით ასწორებს კიდეც („მერი“).

ზოგიერთი ლექსის რეადაქციულ სხვაობაზე დაკვირვება ნათელყოფს, აგრეთვე, ერთ საინტერესო გარემოებას. ლექსის პირველ ვარიანტს, როგორც რეალურ შთაბეჭდილებათა შედარებით უშუალო ანარეკლს – უფრო მეტად ეტყობა კონკრეტულ სინამდვილესთან სიახლოვე : სახეები უფრო საგნობრივი და ხელშესახებია. როცა პოეტი მეორედ და მესამედ უბრუნდება ლექსს, მაშინ, სადაც კი შესაძლებელია, მთლიანად სპობს კვალს რეალური შეგრძნებისას, რომელთაც მას პირველი შემოქმედებითი ბიძგი მისცეს“[1].

შემთხვევითი როდია, რომ „არტისტული ყვავილები“ მოცულობით ძლიერ ჩამორჩება პირველ წიგნს. ამ კრებულში ვერ მოხვდა პრესაში გამოქვეყნებული ბევრი ლექსი. მაგალითად,„რა სევდიან ნანას ამბობს ქარი“„მიყვარდა პანგი გრძნობით გამთბარი“, „ბედისწერა“, „აკაკის გარდაცვალების გამო“, „ფანტაზია“, „თეთრი ლანდები“, „კოშკი“, „შენი ღიმილი“, „დროშები ჩქარა!“, „ათრობდა ხალხის მწუხარება“ და სხვა. ზოგი დაწუნებულია არასათანადო მხატვრულობის, ზოგიც წიგნის ძირითადი ხაზისა და პათოსისაგან დაშორიშორების გამო და ა. შ.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი უმნიშვნელოვანესი ჩანაწერი. „პოეტმა უნდა გადაწყვიტოს ორი მთავარი პრინციპული ხასიათის საკითხი.

1. რომელი არის მის შემოქმედებაში საუკეთესო ლექსი,

2. როგორ უნდა დაალაგოს მან ამის შემდეგ ლექსები?

როგორც პირველი, ისე მეორე საკითხის გადაწყვეტა პოეტისაგან მოითხოვს დიდ სიფრთხილეს: პირველი საკითხის გამორკვევის დროს სრულიად ადვილია მრავალი შეცდომის დაშვება, მითუმეტეს, რომ ყველა, რაც კი დაწერილია, საყვარელია, როგორც შემოქმედება. მეორე საკითხისთვისაც არსებობს ჩვეულებათა მრავალი რიგი. 1. შეიძლება გადარჩეული ლექსები დაბეჭდო სრულიად დაულაგებლად, როგორც მიღებულია დღემდე. 2. შეიძლება დაალაგო ისე, რომ უმთავრესი ყურადღება

[1] ა. ხინთიბიძე, 20-იანი წლების ქართული პოეზიის სიახლენი, კრებული „მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიის ნარკვევები“, I, 1971, გვ. 79.

მკითხველისა მიქცეული იქნას ავტორის შემოქმედების ევოლუციაზე. 3. შეიძლება უბრალო ქრონოლოგიური წესით და მარავალი სხვა"[1].

ეს 1927 წელს არის ნათქვამი, მაგარმ თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ 1919 წელსაც გალაკტიონი ამ საკითხებს დიდი სერიოზულობით ეკიდება.

„არტისტული ყვავილები" აგებულებითაც განსხვავებულია პირველი წიგნისაგან. ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მეორე წიგნში გალაკტიონმა არ შეიტანა ბევრი გახმაურებული ლექსი, რაც კრებულის მონოლოთურობა-ერთხაზოვნების პრინციპით არის ნაკარნახევი. მეორეც, „არტისტული ყვავილები" აგებულია არა იმდენად ქრონოლოგიური პრინციპიდან გამომდინარე, რამდენადაც შემოქმედებითი ევოლუციის გათვალისწინებით.

კრებულში დაბეჭდილი პირველი ლექსი „შემოდგომა „უმანკო ჩასახების" მამათა სავანეში" ერთგვარი გასაღები და საწყისი ნოტაა, რათა წიგნის არსს მეტად ჩავწვდეთ და თემების განვითარებას ლოგიკურად მივყვეთ, ხოლო ბოლო ლექსი „დომინო" შემაჯამებელი აკორდია, მთელი კრებულის ღირსების წარმომჩენი. ჩვენ ხაზი გვიანდ გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გალაკტიონი ყოველთვის ასეთი პრინციპული არ ყოფილა კრებულების შედგენისას.

ერთი სიტყვით, „არტისტული ყვავილები" გამორჩეულია აგებულებით, თემათა განვითარებით, შინაგანი სისტემით, მუსიკალობით და განწყობილების კონტრაპუნქტუალობითაც. ქართულ მწერლობაში არცთუ ბევრია კომპოზიციურად შეკრული ასეთი წიგნი.

მგოსანი დიდხანს მუშაობდა „არტისტულ ყვავილებზე". არსებითად იგი მოსკოვში გამართა და კმაყოფილიც იყო. აკი ამბობს: „ასეთ წიგნებს ბევრს ველარ დავწერო". საქართველოში დაბრუნებისთანავე უპირველეს ამოცანად „არტისტული ყვავილების" გამოცემა დაისახა. ეს კი უმძიმეს საქმეს წარმოადგენდა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ამღვრეული პოლიტიკური სიტუაცია და ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირე.

პოლიგრაფიული წარმოება მინავლებული იყო. ძლიერ ჭირდა ქაღალდის შოვნა. საღებავები ქილა-ქილა უნდა შეეგროვებინა. კვალიფიციური ასოთამწყობები სოფლებში გაიხიზნენ და სტამბებში უმეტესად შემთხვევითი პირები ფართი-ფურთობდნენ.

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 72.

გალაკტიონმა შეუძლებელი შეძლო. ნაწილი ფულისა ისესხა, ნაწილი მომავალი წიგნის საფასურად მისცა. ერთმა შეძლებულმა ნაცნობმაც გაუმართა ხელი და საქმეც დაიძრა. მერე სასურველი სტამბაც გამოიძებნა, მუშებსაც დაუახლოვდა.

1919 წლის 28 მარტის „საქართველო" იუწყება: „იბეჭდება და სულ მალე გამოვა პოეტ გალაქტიონ ტაბიძის წიგნი". მსგავსი ცნობა მოთავსებულია აპრილის „თოლაბულისის სარტყელში", ხოლო ამავე ჟურნალის მაისის ნომერში ვკითხულობთ: „დაიბეჭდა და იყიდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. ტ. II". გაზეთ „ერთობის" ინფორმაციაში ფასიც არის დაფიქსირებული – 25 მანეთი. ისიც ხაზგასმულია, რომ რედაქცია დაეხმარება პროვინციაში მცხოვრებთ წიგნის შეძენაში.

გალაკტიონი შეეცადა არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ფორმითაც მიმზიდველი ყოფილიყო წიგნი. უარყოფილია პირველი კრებულის გაფორმების მანერა. გარეკანზე ჩარჩოში, რომელიც ორი პარალელური განსხვავებულპუნქტიანი შავი ხაზით არის შეკრული, ფიქსირებულია ძირითადი მონაცემები:

მგოსანს ბევრი უფიქრია სათაურის შერჩევაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ყოველივე ეს სხვადასხვა ფორმით მეორდება შიდა პირველ სამ ფურცელზე. მეოთხე ფურცელზე ეპიგრაფებია ფრანგულ ენაზე, ამონარიდები შ. ბოდლერის, თ. გოტიეს, პ. ვერლენის და ა. რენიეს ნაწარმოებებიდან. საგულისხმოა ისიც, რომ წიგნის ყოველ წყვილ გვერდზე ტექსტის ზემოთ ავტორის სახელი და გვარია დაფიქსირებული, ხოლო კენტ გვერდზე წიგნის სახელწოდება. ეს მეთოდი – გახანგრძლივებ-გამეორება ძირითადის აქცენტირებით არის მოტივირებული.

მგოსანს ბევრი უფიქრია სათაურის შერჩევაზე. შემთხვევითი არ არის, რომ კრებულს „GRANE AUX FLEURS ARTISTIQUES" უწოდა. როგორც თავად შენიშნავს: „წიგნის სახელწოდებაც კი ირონიულია: „თავის ქალა არტისტული ყვავილებით" – იგულისხმება თავის ქალა (სიკვდილი), არტისტული ყვავილები (ხელოვნება), სიკვდილი და ხელოვნება. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? – რა თქმა უნდა, ხელოვნებამ. რა არის ხელოვნება? ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახური...."[1].

პოეტი იმასაც დასძენს, რომ „ამ საკითხზე სწერდნენ ჩვენი კლასიკოსები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ასე მკვეთრად დაპირისპირებული სიკვდილი – სიცოცხლესთან, სიკვდილი

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 153.

ხელოვნებასთან, სიკვდილი – რევოლუციასთან"[1].

ეს სიტყვები მოგვიანებით არის დაწერილი და ფაქიზ დამოკიდებულებას, ფხიზელ ანალიზს მოითხოვს. მით უფრო, რომ სათაურისა და ეპიგრაფების შეპირისპირება რამდენამდე მაინც იწვევს მკითხველის გაორებას. ამჯერად ჩვენ სულ სხვა კუთხით გვინდა წარვმართოთ საუბარი. რამ განაპირობა სათაურად ფრანგული სიტყვების გამოტანა? ამით ხომ არ არის ხაზგასმული ფრანგი სიმბოლისტებისადმი თაყვანისცემა? (გავიხსენოთ: „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას"[2]). იქნებ სათაური ქვეტექსტით იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ კრებულით გალაკტიონი მსოფლიო მიღწევების დონეზე დგება და ამის ცნობა-აღიარებისაკენ მოგვიწოდებს.

როგორი იყო „არტისტული ყვავილებისადმი" სზოგადოების დამოკიდებულება? ამის გასარკვევად ყურადღებას ვამახვილებთ გამოხმაურებათა რაოდენობასა და დონეზე.

პრესამ გაცილებით ნაკლები ადგილი დაუთმო მეორე წიგნს, ვიდრე პირველს. მხოლოდ სამიოდე რეცენზია-ბიბლიოგრაფია დაისტამბა. „არტისტულ ყვავილებზე" ქართული პოეზიის არც ერთ გრანდს არ გაუმართავს ვრცელი მსჯელობა.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გამოჩენილმა ლიტერატორებმა ვერ იგრძნეს „ არტისტული ყვავილების" სიძლიერე და ხიბლი. მაშ რით აიხსნება გაყუჩება? ვფიქრობთ, თავი იჩინა ამ პერიოდისათვის არცთუ უცხო კნინმა – „ჩემზე უკეთ რად იმღერაო".

ნუ დავივიწყებთ, რომ ცისფერყანწელებსა და გალაკტიონს შორის ხიდი ჩატეხილია. მგოსანი არც სხვა პოეტებთან არის ხელგადახვეული.

ამჯერად მხოლოდ ფაქტს ვაფიქსირებ. მოვლენა საგანგებო შესწავლას მოითხოვს, რომლის დროსაც ორივე მხარის თავისებურება უნდა იქნეს გათვალისწინებული.

და მაინც: როცა თანამოკლამეების გალაკტიონისადმი დამოკიდებულებას ვშიფრავ, ყოველთვის მახსენდება აღმოსავლური სიბრძნე: რაც უფრო ჭკვიანია კაცი, მით უფრო ნაკლებად ჰყავს მეგობარი.

ახლა გადავხედოთ რეცენზიებს. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია ივანე იოსელიანის „გენიალური გალაკტიონი" იგი რამდენადმე ცილდება რეცენზიის ფარგლებს და

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 153.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 305.

პრობლემურ სტატიას უახლოვდება. მასში არა მხოლოდ არტისტული ყვავილების" შეფასებაა, არამედ გალაკტიონის მთელი შემოქმედების. კრიტიკოსი ცდილობს განსაზღვროს გალაკტიონის ადგილი სამამულო მწერლობის ისტორიაში და ამიტომაც სხვათა დამსახურებასაც აფიქსირებს, რაც ძირითად დაბეულებას დამაჯერებლობას მატებს. მთავარი მაინც ის არის, რომ დასკვნები გამოტანილია მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის მიღწევათა ღრმა გააზრების საფუძველზე.

ტენდენცია სათაურშივე არის გამჟღავნებული – „გენიალური გალაკტიონი". ფაქტი ზუსტად არის კვალიფიცირებული, მაგრამ ეპითეტმა მაინც გააღიზიანა ზოგიერთი.

კრიტიკოსის აზრით, „...გავიდა მამულიშვილური და პროგრამული პოეზიის ხანა. ახლა ქართული პოეზია ზეიმობს თავის ფერისცვალებას და ამ განახლების პირველი ჩუმი და წრფელი აღიარება ეს წიგნია: „Grane aux fleurs artistiques"[1].

ამ ამონარიდში თერგდალეულების მოღვაწეობის შეფასებაც იგრძნობა. ცხოვრება მწვავედ აყენებს პრობლემებს. არსებითია ღრმად ჩასწვდე მათ და ფეხი აუწყო. ილიამ კარგად განსჭვრიტა ვითარება და მოქმედების ზუსტი გზაც დასახა. პატრიოტული მოტივის წინ წამოწევა და ლირიკის გარკვეული დაპროგრამება დროის კარნახით იყო პირობადადებული. მაგრამ ვითარება შეიცვალა და ის, რაც ერთ ხანს მიმზიდველი იყო, მომდევნო ეპოქაში მოძველებული და უკუსაგდები აღმოჩნდა. „აკაკის მზეობამ ბევრი დააბრმავა. მისი მარგალიტები დაიტაცეს და დაახურდავეს. გახშირდა ტრაფარეტული „ფიალი-ტრფიალი", „ჭაღარა-ნაღარა". პოეტური შემოქმედება შაირობამდე დააქვეითეს"[2]. შაბლონმა არაერთი ნიჭი იმსხვერპლა.

ამ მართებული თვალსაზრისის აქცენტირება იმიტომაც სჭირდება კრიტიკოსს, რომ უკეთ წარმოაჩინოს გალაკტიონის წვლილი, დამსახურება.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ივ. იოსელიანმა გალაკტიონი კი არ დაუპირისპირა კლასიკოსებს, არამედ მათ ნიჭიერ მემკვიდრედ გამოაცხადა. „წარსულის პოეზიამ მას უანდერძა ბუნებრივობა, ესთეტიკური სიმტკიცე და ლიტერატურული სინდისიანობა"[3].

ამის აღნიშვნას მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან წარსულთან დამოკიდებულებას ზოგიერთმა

[1] ჟურნ. „ტფილისი", 1920, №1.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ლიტერატორმა მახინჯი სახე მისცა.

„საქართველოში მოდის დიდი მწერალი და [illegible] ულოცავს ერის ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლება-ჩვენს [illegible] თვალწინ ირღვევიან ხელოვნების დამჩრდილავი სოციალური პირობები და ამიერიდან ხელოვნება არ იქნება მარტო ბრძოლის საყვირი, არც სიბრალულისა და სათნოების ფსალმუნად იქცევა იგი. სილამაზე, მშვენიერება! – აი რა იქნება მისი მიღწევა, თავისუფლება ყოველგვარი დოგმატებისაგან! აი რა იქნება მისი დევიზი"[1].

ეს დებულება ორმხრივ საყურადღებოა. იგი ბაზისისა და ზედნაშენის დიალექტიკურ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. ამასთანავე დამოუკიდებელი საქართველოს პერსპექტივებს წარმოაჩენს. რაც მთავარია, უახლესი ლიტერატურის ძირითადი ფინქციის მართებულ განსაზღვრას შეიცავს.

ივ. იოსელიანმა მიუთითა, რომ გალაკტიონის პოეზიაში ურბანიზმი მძლავრობს. ამ თეზისში იგი ოდენ ქალაქური ცხოვრების ნატურალისტურ ჩვენებას როდი გულისხმობს; უფრო მნიშვნელოვან გარემოებას აფიქსირებს. ეს არის გალაკტიონის პოეზიაში დიდი ქალაქის რიტმის გამოვლენა. „პოეტის შემოქმედების წყარო – დიდი თანამედროვე ქალაქია, ქალაქი გიგანტი, სადაც კინემატოგრაფიული ჩქარი ცახცახით ცლიან სურათი სურათს, გრძნობა – გრძნობას, სადაც ყოველი ხვეული სავსეა „გამოუცნობი ქიმერებით".

გალაკტიონის ნერვიული სტილი და შფოთიანი სული – გადატანილი სახეა ტფილისის, რომელსაც ბედმა არგუნა იქცეს საქართველოს პარიზად..."[2].

მეორე ფრიად მნიშვნელოვანი დებულება რომელსაც კრიტიკოსი ავითარებს, ეს არის პესიმიზმისა და სევდის ურთიერთმიმართების საკითხი. განსახვავებით ბევრი კრიტიკოსისაგან, ივ. იოსელიანმა ამ მხრივაც ლოგიკურად შეაფასა გალაკტიონის ლირიკა. მას მოაქვს ნაწყვეტი ლექსიდან „პირიმზე" და „მამული".

„დავიწყებული ჭიშკრის კარბაზე
ხავსი, ყავრები და წვიმის წვეთი!
გაჰქრა ათასი თეთრი დარბაზი,
გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი".

.....

„გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბალი
და მწუხარება დამრჩა ასეთი".

---

[1] ჟურნ. „ტფილისი" 1920, №1.

[2] იქვე, №1.

დასკვნა მართებულია: „ოჰ! სრულიად არ შეიძლება ყოველივე ამას პესიმიზმი და ცხოვრების უარყოფა დაერქვას! პოეტის უნაზესი სევდა დიდი სიყვარულის და გრძნობათა სიჭარბის ნაყოფია“[1].

გასაზიარებელია შემდეგ თვალსაზრისიც: „გალაკტიონ ტაბიძემ შექმნა ჩვენში შკოლა წმინდა ესთეტიური (განა ეს ადვილი საქმეა?). მეორე მხრით, დღეს ფორმისა და სტილის დაძლევისათვის ბევრი ნიჭიერი ვირტუოზობს, მაგრამ გალაკტიონისებური ბუნებრიობა, მისებური სიმარტივით მიღწევა იშვიათია. საკმარისია დაასახელოთ ლექსები: თოვლი, შერიგება, პირიმზე, ატმის ყვავილები, მარმარილო, ანგელოზი პერგამენტით, ის, პარალელი, მთაწმინდის მთვარე, შიშველი, დღეები პეტროგრადში, შენ ერთი მაინც და სხვ. ლექსებში გესმით შოპენის მელოდიები; გხიბლავთ ისეთივე სირბილე და რიტმთა გრძნეულება, როგორიც შოპენის მუსიკაშია“[2].

საანალიზო წერილი გამორჩეულია გალაკტიონის პოეზიის ორიგინალურობის ჩვენებით, მისი ლირიკის ძირითადი შტრიხების აქცენტებით, დებულებათა გამოხატვის მიმზიდველი ფორმით. ივ. იოსელიანმა ხელი შეუწყო გალაკტიონის შემოქმედების თავისთავადობის გაცნობიერებას.

1920 წლის „ცისარტყელაში“ დაიბეჭდა ვარლამ ხუროძის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“. ეს კრიტიკული ცდა, როგორც ავტორი უწოდებს, საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ „არტისტული ყვავილების“ შეფასებასაც შეიცავს.

შესავალშივე აღნიშნულია, რომ მგოსნის „... ორივე წიგნი ძვირფასი მარგალიტებია ქართული ლიტერატურისათვის, ჩვენს ხელოვნებას უსათუოდ დიდი საგანძური შეემატა ამ ტომთა გამოცემით“[3].

გახაზულია ის ფაქტი, რომ გალაკტიონმა, როგორც ბარათაშვილმა, გაარღვია ეროვნული ზღუდეები. ქართველი მგოსანი, მსგავსად ბაირონისა, ინტერესდება ადამიანის არსებობის მიზნით, ეძებს ცხოვრების აზრს და მისი წუხილი საკაცობრიო სატკივარს უკავშირდება.

კრიტიკოსის შეხედულებით პესიმიზმი ნიშანდობლივია გალაკტიონისათვის. მაგრამ ოპტიმიზმიც არ არის უცხო.

---

[1] ჟურნ. „ტფილისი“, 1920, №1

[2] იქვე.

[3] ვ. რუხაძე, მოთხრობები, პუბლიცისტურ-პედაგოგიური წერილები, თბ., 1993, გვ. 284.

ამ თვალსაზრისით განიხილავს ორივე წიგნს და შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „... იმედიანობის ნაპერწკლები ჩვენი პოეტის ქმნილებებიდან მხოლოდ და მხოლოდ პირველ ტომში გამოსჭვივის. მეორე ტომი კი ნამდვილი შავი წიგნია, უიმედო, უსასოო"[1].

ფიქსირებულ დებულებას არაერთხელ იმეორებს და ვითარების ახსნასაც ცდილობს. იმ პერიოდში გავრცელებულ თეზისს იმრავლებს, რომ პირველი რევოლუციის დამარცხებამ რეაქციის გამძაფრება და ინტელიგენციის დიდი ნაწილის სულიერი დაცემა გამოიწვია. გალაკტიონი მეორე წიგნით მისტიციზმში ჩაეფლო. მისი „ლურჯა ცხენების" ფილოსოფიას ვერ გავიზიარებთ.

იბადება კითხვა: თუკი „არტისტული ყვავილები" შავი წიგნია, სევდითა და უიმედობით აღსავსე, რატომაა იგი დიდი საგანძური?

კრიტიკოსის დებულებიდან გამოვყოფდით შემდეგსაც: „ტაბიძის შემოქმედების მეორე ხანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად სიმბოლიზმის საკმაოდ დიდი გავლენაც უნდა ჩაითვალოს"[2].

ეს მართებული შენიშვნაა და საზოგადოებას უბიძგებს, გალაკტიონის ლირიკას ახალი კუთხით შეხედოს.

არსებითია ისიც, რომ კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს გალაკტიონის პოეტურ ოსტატობას. ამ მხრივ განუმეორებელიაო. „ტაბიძე ძლიერი და შეუდარებელია, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრის ღრმა აღბეჭდაში და მკვეთრად გადმოცემაში, ის იმ ხელოვნურ ხერხებში, რომელსაც ის ხმარობს. ხელოვანის ალღო იმდენად ძლიერია მასში, რომ თითქმის ყოველი ლექსი დასრულებული და უტენდენციო ხელოვნური ქმნილებაა"[3].

და შემდეგ: „მუსიკისა და რითმის მხრივ ტაბიძის პოეზია უმაღლეს წერტილზე ასულად უნდა ჩაითვალოს. ასეთი სადა, მომხიბლავი და ძალდაუტანებელი რითმა თითონ გრიშაშვილსაც კი არ მოეპოვება. ამ მხრივ პირდაპირ აკაკია ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურისათვის"[4].

ვარლამ ხუროძის მსჯელობაში შეინიშნება სოციალ-დემოკრატიული კრიტიკის დიდი გავლენა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ნიჭიერმა ლიტერატორმა იგრძნო გალაკტიონის სიძლიერე

---

[1] ივ. რუხაძე, მოთხრობები, პუბლიცისტურ-პედაგოგიური წერილები, თბ., 1993, გვ. 284.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 299.

ეროვნული

და შეეცადა თავისი ამაღლებული განწყობა მკითხველისთვისაც გადაედო.

„არტისტულ ყვავილებს“ ი. გრიშაშვილიც გამოეხმაურა ჟურნალ „ლეილას“ მეორე წიგნში იგი ახალი გამოცემების ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას ბეჭდავს და რამდენიმე აბზაცს გალაკტიონის ტომსაც უთმობს.

ავტორი გარკვეულად შეზღუდულია ჟანრის სპეციფიკით, მაგრამ რასაც ამბობს,ისიც საკმაოდ მნიშვნელოვანია განხილვის საგნის შესაცნობ-წარმოსაჩენად.

დასაწყისში ხაზგასმულია, რომ „ტაბიძე სხვანაირია. იგი ყველა ჩვენ პოეტზე უფრო ფანტასტიუტი ადამიანია“.

გამორჩეულობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიდიდეს. მაგრამ მოცემულ კონტექსტში ეს „სხვანაირობა“ აიღქმება როგორც ღირსება. ფანტასტიური ადამიანი (წავიკითხოთ: – ლირიკოსიც) ვერ იქნება სინამდვილის ორდინალური აღმქმელ-გამომხატველი. მან უნდა გაარღვიოს ყოველდღიური პროზის მოჯადოებული წრე და ვარსკვლავებს გაუწვდინოს ხელი. ი. გრიშაშვილმა კარგად მიგვანიშნა არსებითზე.

ისეთი ფაქიზი სმენისა და დახვეწილი გემოვნების პოეტს, როგორიც ი. გრიშაშვილი გახლდათ,შეუძლებელია გამოპარვოდა „არტისტული ყვავილების“ მუსიკალური დახვეწილობა. მაგრამ ამჯერად მთავარი სხვაა – გაამხელდა თუ არა ნაგრძნობ-ნაფიქრს და თანაც რა სიძლიერით.

მიმომხილველმა პირდაპირ მიუთითა, რომ გალაკტიონის „მეორე ტომი დიდათ განირჩევა მისი პირველი ტომისაგან“. ხსენებული დებულება გაშლილ-დასაბუთებული არ არის და მაინც მნიშვნელოვანია რამდენადმე დაფარული, მაგრამ არცთუ ძნელად გასაშიფრი ქვეტექსტით.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პირველ წიგნს თვალსაჩინო გამოხმაურება მოჰყვა, რომ 1914 წლის კრებულით გალაკტიონი პოეზიის ალამდართა მწყობრში ჩადგა, გასაგებია, რა დატვირთვა ექნება ზემოხსენებულ წინადადებაში განსაზღვრებას „დიდი“, ე. ი. „არტისტული ყვავილები“ ნახტომია პოეტის შემოქმედებაში.

და მაინც: ი. გრიშაშვილის რეცენზიაში უთუოდ იგრძნობა თავშეკავება. ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი შენიშვნაც: „როგორც მის პირველ ტომში,ისე აქაც მხოლოდ რამდენიმე ლექსია კარგი და ავტორის დამახასიათებელი“.

ჩვენ სხვანაირად ვფიქრობთ. კარგი ლექსი „მხოლოდ რამდენიმე“ კი არაა, ძალზე ბევრია. „არტისტული ყვავილები“

შედევრების აკიდია.

იმ პერიოდში ბევრს წერდნენ სალიტერატურო ენისა სიწმინდეზე. ლიხსიქითა მწერლებს უკიჟინებდნენ იმერეზმების, პროვინციული გამოთქმების შემოტანას. ი. გრიშაშვილი ამ თვალსაზრისით მკაცრად აკრიტიკებს ვ. გაფრინდაშვილს, ხოლო გალაკტიონის მისამართით აი რას ამბობს: „გალაკტიონ ტაბიძემ კი უკვე მოიხსნა თექა პროვინციალური (წინათ ჰქონდა: ცვენა) და როგორც ყოველი სემინარიელი და ნიჭიერი პოეტი უფრო მეტის სიყვარულით ეკიდება ქართულ ენას“.

ჩვენ ამ შენიშვნას აღვიქმათ არა მხოლოდ კონკრეტული ნიუანსით, არამედ უფრო გლობალური მნიშვნელობითაც. გალაკტიონი გამოცხადებულია სრულიად საქართველოს მგოსნად.

ი. გრიშაშვილის დებულებიდან ძალზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება შემდეგი: „არც ერთ პოეტს არ ეხერხება ასონანსები ისე, როგორც გალაკტიონს. ჩამოთვლა ნუ გვინდა. აფურცლეთ წიგნი და ირწმუნეთ“.

ამ ჭეშმარიტების დაფიქსირება კიდევ უფრო ზრდის გალაკტიონის ხიბლს და ავტორიტეტს.

დასასრულს ი. გრიშაშვილი აცხადებს: პირადათ მე მომწონს მისი „ლურჯა ცხენები“, „მერი“ და „პირიმზე“. ამ უკანასკნელში თინათინობს საქართველოს ყოფილი სევდა.

ეს ფრაზა ნამდვილად მოითხოვს ჩაღრმავებს. თუ ვიტყვით, რომ ი. გრიშაშვილი სამივე ლექსს ერთი დონისად მიიჩნევს და ამიტომ ათავსებს ერთ სიბრტყეზე, შეიძლება შეცდომა დავუშვათ. სად სიმბოლიზმის კლასიკური ნიმუში „ლურჯა ცხენები“ და სად რომანტიკული აფეთქების მშვენება „მერი“, რომელიც სიუჟეტიანი ლექსების რიგს განეკუთვნება და აკაკისებური წერის მანერით ხასიათდება.

დასახელებულ ლექსთა გამოყოფით ვფიქრობთ, ი. გრიშაშვილს გალაკტიონის პოეზიის სამი ნაკადის წარმოჩენა სურდა და იმის ხაზგასმა, რომ მგოსანი ყოველ განშტოებაში დიდებულია.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა მრავალმხრივ საყურადღებოა. პოეტმა იგრძნო პოეტის გულის ფეთქვა და მაღალი შეფასებაც მისცა კოლეგის ნაღვაწს.

როგორც ვხედავთ გალაკტიონის წიგნი სხვადასხვა პოზიციიდან იქნა შეფასებული. იყო ცალკეული ურთიერთგამომრიცხავი დებულებები, მაგრამ ძირითადი დასკვნა, რეზიუმე ერთნაირი გახლდათ: ტაბიძის სახით საქართველოს უნიჭიერესი პოეტი მოევლინა.

ახლა უფრო კონკრეტულად იმის თაობაზე, თუ რატომ მიგვაჩნია „არტისტული ყვავილები“ საეტაპო მოვლენად.

1. ჩვენს სინამდვილეში იგი პირველი ფართომასშტაბიანი სიმბოლისტური კრებულია, რომელშიც ძალუმად გამომჟღავნდა მოდერნიზმის თვისებები. წიგნში ბევრი ისეთი ლექსია, რომელთა დაშლა ლოგიკურ მსჯელობად და „ცნებების ენით თარგმნა“ შეუძლებელია. ისინი უჩვეულო ემოციურ ეფექტს იწვევს.

საქმე გვაქვს გართულებულ მეტაფორულ აზროვნებასთან. მძლავრობს სამყაროს სიმბოლისტური მოდელის პროექცირება. როგორც ვიცით, სიმბოლიზმი არ ცნობს კონკრეტულ საგნობრიობას, ერთგანზომილებიან მიმართულებებს. წინ იწევს ნიღაბი, უხილავის და მოუსმენელის ინტუიტურად წვდომის პათოსი.

„გალაკტიონის პოეზიაში ყველაფერი მრავალმნიშვნელოვანი და მრავალპლანიანია. გალაკტიონის საგნების ემპირიული თვისებებისადმი მკითხველი, ჩვეულებრივ, გულგრილია... გალაკტიონის ატმები, ატმის ყვავილები, ატმის რტო, ორი ჭადარი, ვერხვები, ალვები, შავი კუბო, ლურჯა ცხენები, თმაგაწეწილი ქარი, ყორნები, თოვლი, იისფერი თოვლი და ა. შ. და ა. შ. მხოლოდდამხოლოდ სიმბოლოებია და არა ემპირიული საგნები – მათ თითქოს მორღვეული აქვთ საგნობრიობის გამომკვეთი კონტურები, რაც სწორედ სიმბოლისტური პოეზიისათვისაა არსებითად დამახასიათებელი“[1].

გალაკტიონის არაერთ ლექსში თავიდათავია მუსიკა, მისგან მომდინარე შთაბეჭდილებანი. ეს მით უფრო გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმბოლიზმი ესწრაფვის უმაღლეს მუსიკალობას, მისი მეოხებით შთაგონებას.

ვერც იმას უგულებელვყოფთ, რომ ცალკეული პოეტური ხატები გასაღების როლს ასრულებენ, მაგრამ ან არ იცი ან ძალიან გიჭირსს, როგორ მოარგო ისინი ჯადოსნურ ბოქლომს. ერთსაც დავსძენთ: ზოგიერთი ლექსი იძლევა იმის უფლებას, რომ გალაკტიონის „ფერად სმენაზე“ ვისაუბროთ. ეს საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

სხვათ შორის, არცთუ ცოტანი გალაკტიონის პოეზიაში სიმბოლიზმის ცალკეულ ნიმუშებს ხედავენ. ისინი გამხოლოებული სახეების აქცენტირებას ახდენენ. ეს კი როდია თავიდათავი. არსებითია არა სიტყვის გაცოცხლება, ,

---

[1] ნოდარ კაკაბაძე, სიმბოლიზმი და გალაკტიონი, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1981, №4, გვ. 39.

არამედ აზროვნების ახალი წესის დამკვიდრება. ამის გარეშე არ არსებობს ნაღდი სიმბოლიზმი. ეს კი სწორედ „არტისტულ ყვავილებში“ გვეძლევა. აქ არა მხოლოდ ლექსიკის განახლება და პოეტური კონსტრუქციის ნაირგვარობაა, არამედ დაკვირვების საგნის ახლებურად წარმოსახვა, ახლებური მხატვრული სისტემა.

დადგა დრო, ისიც ვთქვათ, რომ დღეს ღიმილს იწვევს ჩვენში ადრე დამკვიდრებული შეხედულება სიმბოლიზმის პირწვარდნილ რეაქციულობაზე. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხელოვნება, ცხადია, ლირიკაც, ეს არის სამყაროს ურთულესი შემეცნების საფუძველზე მიღებული ახალი სინამდვილე. აქედან გამომდინარე, სიმბოლიზმი მეორე სანამდვილეს ქმნის, რომელიც არ ჰგავს ნამდვილს, მაგრამ მაინც რეალურია, გამომდინარე ხელოვნების სპეციფიკიდან.

ხაზი უნდა გაესვას შემდეგ ფაქტსაც: გალაკტიონის სიმბოლიზმი რამდენადმე განსხვავებულია. პოეტი ემიჯნება არაერთ ევროპელ კოლეგას და თვით ცისფერყანწელებსაც. გალაკტიონისათვის მიუღებელია ლოზუნგი: „...უარვყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს“[1]. იგი ყოველთვის ღრმა პატივისცემითა და მოკრძალებით ლაპარაკობს ბარათაშვილზე, ილიაზე, აკაკიზე. ეყრდნობა კულტურულ მონაპოვარს და მომხიბვლელად აღრმავებს, აფერადებს მას.

ასევე გალაკტიონი განილტვის სიმახინჯის აპოლოგეტებისაგან.

2. კრებული ყურადღებას იპყრობს მოტივთა ორიგინალობითა და სიღრმით.

მძალვრობს სინამდვილის დრამატული გააზრებ, რასაც არცთუ იშვიათად ტრაგიზმისაკენ მივყავართ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყველაზე ტიპურ სიმბოლისტურ ლექსშიც კი მარადიული ქროლვის, დაუდგრომელობის, შეუპოვრობის განცდა იწვევს წინ. ეს ფრიად ზრდის წიგნის ღირსებას.

გალაკტიონის დამოკიდებულება მარადიული თემებისა და ცნობილი მოტივებისადმი ორიგინალურია. მაგალითად, სიყვარული ეს არის ტანჯვით ამაღლება, ტრაგიკული განცდა, რაც ბოლოს და ბოლოს სულის გაფაქიზებას ესაფეხურება.

ახლა ვნახოთ, მამულისადმი ტრფობა როგორი სიძლიერითა და სიფაქიზით არის მოცემილი, ყალბი პათეტიკის გარეშე. მაგალითების მოხმობა შორს წაგვიყვანდა. დავკმაყოფილდეთ ტროპული მეტყველების ორი ნიმუშით: „ცვრიან ბალახზე თუ

---

[1] პ. იაშვილი, პირველთქმა, ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916, №1.

ფეხშიშველა არ გავიარე – რაა მამული?!". „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? ეს ჩემი სამშობლოს მიწაა". ეს ისეთი სახეებია, რომელთა მსგავსი საუკუნეში ერთი ან ორი იქმნება.

სხვა მოტივებზეც შეიძლებოდა გვესაუბრა.

3. „არტისტული ყვავილები" გამორჩეულია ვერსიფიკაციით. ეს, უპირველეს ყოვლისა, იგრძნობა მეტრის მრავალფეროვნებში. ფაქტია, რომ ვერლიბრის დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში ამ წიგნით დაიწყო. სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ „არტისტულმა ყვავილებმა" ასონანსურ და კონსონანსურ-დისონანსურ რითმებს ფართოდ გაუხსნა გზა. წიგნი ყელყელაობს შიდა რითმებითა და ორიგინალური შეწყვილებებით. მარტო ის რად ღირს, რომ სწორედ ამ კრებულში დაფიქსირდა „საუკუნის რითმა": სილაში ვარდი – სილაქვარდე. სხვა სიახლენიც საგრძნობია.

მართლაც, „არტისტული ყვავილები" თვალშეუდგამი სიმაღლეა. მასში ორიგინალურად გამომჟღავნდა გალაკტიონის პოეტური მრწამსი. რაც არის ნათქვამი, შინაგანი აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

ერთი სიტყვით, მგოსანი მნიშვნელოვნად ემიჯნება ბევრ სახელოვან წინაპარს. ჯერ ერთი, მან გააბატონა ცხოვრების სიმბოლისტური გააზრების წესი, მანერა და თავისებურად მოხაზა ლირიკის საზღვრები. მეორეც, მკვეთრად განასხვავა ურთიერთისაგან დროებითი და მარადიული ფასეულობანი. მისი გაგებით, ჭეშმარიტი ხელოვანი, უწინარეს ყოვლისა, პირველის მსახურია. პოეტი გარკვეული თვალსაზრისით უნდა ამაღლდეს ეპოქაზე. ამ თეზისში მხოლოდ ყოველდღიური მოვლენებისადმი მიმართება-არამიმართების საკითხი როდი ისმის. გალაკტიონი ღრმად სწვდება ცხოვრების არსს. მაგრამ ისიც კარგად გაეგება, რომ ხელოვნება სინამდვილისადმი პუბლიცისტური მიდგომა-ასახვას არ გულისხმობს. დიახ, იგი მხატვრულ ლიტერატურას აკისრებს არა კონკრეტული ყოფითი საკითხების მოგვარების ფუნქციას, არამედ საზოგადოების აღზრდას მაღალი იდეალებისათვის საბრძოლველად, ლაქვარდებისაკენ ლტოლვის განწყობით.

„არტისტულმა ყვავილებმა" ახალი თემატიკა მოიტანა, ძველი პრობლემების სამანები გადასწია, ლირიკული სამყაროს ჩარჩოები გააფართოვა. ადამიანის სულის სირთულის, სიღრმისეული შრეების ჩვენების ასეთი მასშტაბი იშვიათი იყო ქართული ლიტერატურისათვის. რაც მთავარია, მგოსანმა ჩვენს მიკროსამყაროში



დაასახლა ორიგინალური ტიპი არისტოკრატისა, პიროვნება დაუცხრომელი და მაძიებელი, რომლის უკმაყოფილება აწმყოთი და სწრაფვა უკეთესობისაკენ შორსაა მანერულობისაგან. ლირიკული გმირის ქმედება არსებითად სამყაროს განახლების ფილოსოფიურ ტენდენციას ეფუძნება.

„არტისტულ ყვავილებში" ძალუმად გამოიკვეთა ქართული ლექსის რეფორმა, პოეტური ნოვაციები. მაგრამ იმასაც დავსძენ, რომ ორიგინალური სათქმელისათვის ორიგინალური ფორმის გამონახვა მხოლოდ პოეტიკის სფეროთი არ შემოიფარგლა.

გალაკტიონის ახალი წიგნი, მხოლოდ მოპოვებულის შეჯამება როდია. ეს არის მომავლის- კონტურები, ფიქრები ამაღლებაზე, ქართული ლირიკის განვითარებაზე.

ვიდრე წერტილს დავსვამდეთ.

ისტორია ფაქტებს აფიქსირებს, პოეზია განწყობილებებს. ორივე შემთხვევაში თავიდათავი ისაა, თუ როგორია ეს ფაქტებ-განწყობილებები და რა სიზუსტე-სიძლიერით ვლინდება.

გალაკტიონის პოეზიაში ირეკლება მსოფლიო მოქალაქის და დიდი პატრიოტის განცდები, უნიჭიერესი და უფაქიზესი პიროვნების ვნებათაღელვა. რაც მთავარია, ეს ხდება რთულ და შთამბეჭდავ სახეებში. ამიტომაცაა მისი ლირიკა ესოდენ გლობალური და მარადიული.

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე"[1].



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 13.

„მეფე ვარ და მგოსანი“

„აირჩიეს იგი მხოლოდ,
რომ ზარები დარეკოს,
რომ სიმღერა მთად და ველად
გრგვინვით გადაარეკოს“.

გალაკტიონი

გალაკტიონის გამოსხივება დიდზე დიდია. მისი ლირიკით გამოწვეული შთაბეჭდილებები რეცენზიებში პუბლიცისტური ტენდენციებით არის გამჟღავნებული, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგრამ არის სხვა ასპექტიც, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია მგოსნის სიძლიერის შესამეცნებლად. მხედველობაში გვაქვს შემოქმედებითი ზეგავლენა. მოგბაძონ თანამოკალმეებმა, რომელთაც მეტოქეობის გრძნობა უკიდურესად აქვთ გამახვილებული, რომელთათვისაც დამახასიათებელია საკუთარი „მეს“ ხაზგასმით წინ წამოვა, ნიშნავს, რომ შენ სკოლის შექმნის უნარი და ძალა შეგწევს.

სამართლიანად მიუთითებს ირაკლი აბაშიძე: „მეოცე საუკუნის ახალ ქართულ პოეზიას სათავე გალაკტიონ ტაბიძემ დაუდო. ამიტომ ბუნებრივია, გალაკტიონ ტაბიძის გავლენა მეტ-ნკლებად შემდეგი თაობის თითქმის ყველა პოეტმა განიცადა, მით უმეტეს თავის პოეტურ სიჭაბუკეში“[1].

მიბაძვა აღიარების მძლავრი ფორმაა, განურჩევლად იმისა, ნებსით თუ უნებლიეთ ხდება ეს.

გალაკტიონმა არაერთი სიახლე მოიტანა და შეგირდებიც გამოუჩნდნენ. თავად შენიშნავდა: თანამედროვე ქართულ მწერლობაში პირველად მე გამოვიყენე ნაწილაკი „და“ ტექნიკური მიზნით. „...მე მივეცი ორგანიზებული ალიტერაციის სახე („თემი“, 1912 წ. „ახალი წლის ღამე“). ჩემს ცდას მოჰყვა მიბაძვები, რომელთაც აფსურდამდე დაიყვანეს კეთილი სურვილით გამოწვეული ჩემი წამოწყება... (ცუდ მიბაძვაზე საზიზღარი არრა არის რა)“[2].

ხსენებული მანერით მხოლოდ „ახალი წლის ღამე“ როდია დაწერილი. ამ თვალსაზრისით უთუოდ საყურადღებოა პირველ წიგნში შესული „...და გაფითრდა“, „ქალის ლანდი“, „თეთრ თოვლის ქვეშ“, „სიკვდილი“.

ეს შედარებით წვრილმანია. სხვა უფრო დიდი სიახლენი შემოგვთავაზა.

---

[1] გალაკტიონი, ახი ლექსი, 1959, გვ. 6.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 173.

გალაკტიონისაგან სესხულობენ თემებს, პოეტურ სახეებს, რიტმს, რითმას და ა. შ. ხაზგასმით აღნიშნავდა ალ. აბაშელი: გალაკტიონმა მთელი სახელმძღვანელო შექმნა პოეტიკისა. „ყველას შეუძლია ისარგებლოს იმ ახალის შემოღებით, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძის ლექსები გვაძლევსო"[1].

ცოტა მოგვიანებით ი. გრიშაშვილი წერდა: გალაკტიონი ასონანსი პირველი არშიყიაო...

უფრო ადრე ცისფერყანწელებმა ი. გრიშაშვილს უკიჟინეს: ფორმა ლექსისა „იღბალი დისონანსებით" გალაკტიონისაგან გაქვს წამოღებულიო.

იქნებ არც შემდეგი მაგალითი იყოს უმნიშვნელო. 1915 წელს გალაკტიონი ქმნის ბრწყინვალე ლექსს „ვიგონებ რა იმ მიქელ-ანჯელოს". მასში ასეთი სტროფია:

„ვიგონებ რა იმ მიქელ-ანჯელოს,
არაა ძნელი მთების დადნობა,
როცა ცისკარისკენ მაღალ ანგელოზს
ესაფეხუროს ლალის ტატნობა"[2].

როგორც ჩანს, ამ პერიოდში იწყება შემდეგი სახის სიტყვათქმნადობის პროცესი: „ესაფეხუროს", „ააზამბახებს", „ეალუბლება", „გალეჩაქდება", „ითანდათანა", „გაიადონა", „გადასოსნება" და სხვ. „ესაფეხუროს" იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგი გვხვდება ვალერიან გაფრინდაშვილის „სანტიმენტალურ ტრიოლეტშიც", რომელიც 1916 წელს არის შეთხზული.

„ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.
შენ სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა"[3].

არის სტრიქონები, რომელთა შინაარსობრივ-მხატვრული ეფექტი განუმეორებელია. ისინი ღრმად იბეჭდება მკითხველის გონებაში და აფორიზმის სიხშირე-სიძლიერით ხმიანებს. ასეთია „მამულის" ტაეპები:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული?!"[4]

ლექსი 1915 წელს დაიწერა. და აი, ოციან წლებში გრიგოლ რობაქიძე ქმნის რომანს „გველის პერანგი", რომელშიც

[1] ჟურნ. „ახალი ცისკარი", 1916, №1, გვ. 9.

[2] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 287-288.

[3] ვ. გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემები, თარგმანები... 1990, გვ. 43.

[4] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 283.

ანალოგიური ფრაზა გაიელვებს. „კარგია: როცა ცხელი ტერფებით ცვრიან მოლზე გაივლი დილით“[1].

ზედმეტი არ იქნება იმის გახსენება, რომ 1948 წლის 3 ენკენისთვეს, როცა გალაკტიონი ჯერ კიდევ არ არის შესული ლომის ზოდიაქოში, გრიგოლ რობაქიძე ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „გალაკტიონი: – მდინარე განგი. შუადამისას ნავები დასრიალებენ. ნავებში – ლანდები. ათასს ლანდში ერთი არის მომთვარული. მიყვარს მისი მთვარეული სიზმარი“[2].

ამ დახასიათებაში კარგად ჩანს როგორც ხელოვნების რობაქიძისეული განცდა, ასევე გალაკტიონის ლირიკის გამაოგნებლობა. გრ. რობაქიძემ გალაკტიონი განგს შეადარა. ეს არ არის მხოლოდ სიდიდესა და სიმძლავრეზე მინიშნება. განგი საღვთო მდინარედ არის მიჩნეული. ის ინდოელთა ამამაღლებელია, გარკვეული აზრით, მათი სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელიც.

საგულსიხმოა, გრ. რობაქიძე გალაკტიონის პოეზიიდან არა სოციალურ მოტივებს და სინამდვილის მატერიალისტურ აღქმას გახაზავს, არამედ სიზმარისებურ ხილვებსა და მთვარისეული შთაბეჭდილებების ესთეტიკას.

ყურადღებას გავამახვილებთ ერთ აზრობრივ პარალელზეც. ლექსში „თოვლი“ 91916) გალაკტიონი ამბობს:

„ჩემს სამშობლოში მე მოველ მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები“[3].

1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ იბეჭდება გრ. რობაქიძის წერილი – „მოქანდაკე ნიკოლაძე“, რომელშიც ვკითხულობთ: „თბილისი მხოლოდ უდაბნოა მოქანდაკისათვის“[4].

ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ამ ასპექტით შალვა კარმელიც ეხმიანება გალაკტიონს. „სხვა უდაბნოა საქართველო და ქუთაისი“, ეს ციტატა 1921 წელს გამოცემული „ბაბილონიდან“ მოვიტანეთ.

კიდევ ერთი პარალელი:

„ჩაწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!“[5]

გახსოვთ, ეს გალაკტიონის ცნობილი ლექსიდანაა – „ცამეტი

[1] გ. რობაქიძე, გველის პერანგი, ფალესტრა, 1988, გვ. 226.

[2] ხელნაწერი ინახება ზაზა აბზიანიძის ოჯახში.

[3] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 301.

[4] გაზ. „ბახტრიონი“, 1922, №22.

[5] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 314.

წლის ხარ". იგი 1916 წელს არის შეთხზული.

ახლა გადავიკითხოთ 1927 წელს დაწერილი ტიციან ტაბიძის „რიარია".

„დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას"[1].

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებს: „გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება"[2].

ეს, უწინარესად გონიდან მოდის. ფრიად განსწავლული და ლოგიკურად მოაზროვნე შემოქმედის დასკვნაა.

„მე არაერთხელ გამლვიძებია ღამით და გალაკტიონი მომლანდებია"[3]. ეს კი გრძნობათა სფეროდან მოდის.

ორივე შემთხვევაში ბატონი კონსტანტინე გულწრფელია.

ხსენებული სიტყვები პოეტის სიკვდილის შემდეგ არის დაწერილი, მაგრამ,როგორც ირკვევა,ამგვარ აღტაცებას კ. გამსახურდია ადრეეე ამჟღავნებდა.

1923 წელს გალაკტიონს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ჩემი დამოკიდებულება გრიშაშვილთან ცოტათი უმჯობესდება,ტიციანთან უმჯობესდება. შესაძლოა გაფრინდაშვილთან გაუმჯობესდეს, შესაძლოა პაოლოსთანაც და გრიგოლთანაც. ჩემი დამოკიდებულება ლეო ქიაჩელთან საუცხოოა. მან სთქვა, რომ ლექციას დაამზადებს ჩემზე... გამსახურდია მიწოდებს გენიოსს. მისთვის მე უფრო ძვირფასი ვარ, ვინემ დოსტოევსკი..."

ჩანს, კ. გამსახურდია ისე ეწაფება გალაკტიონის ლირიკას და იმგვარი სიძლიერით განიცდის გენიოსის გამოსხივებას, რომ ზოგჯერ რემინისცენციებიც კი ჩნდება.

კ. გამსახურდიას „დიდ იოსებში" ასეთ ფრაზას წავაწყდი: „გადაჭყვა მარტი უხეირო ქარებს"[4].

ეს მოთხრობა 1926-27 წლებით თარიღდება. ათი წლით ადრე, უფრო ზუსტად, 1915 წელს კი გალაკტიონი თხზავს საქრესთომატიო ლექსს „შერიგებას". იგი ასე იწყება: „ტოტებს ქარისას გადაჭყვა მარტი".

პარალელი ფრიად საგულისხმოა.

ისევ 1915 წელი.

„გაისმა შორი სროლის ხმა მთაში
და მონადირემ დაკოდა შველი.

---

[1] ტ. ტაბიძე, თხზ., სამ ტომად, ტ. I, გვ. 101.

[2] კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი რვა ტომად, ტ. VI, გვ. 681.

[3] იქვე, გვ. 680.

[4] კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი რვა ტომად, ტ. II, გვ. 161.

სალამო იწვა ხავერდის ყდაში,
ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი[1]

დიდი ხნის შემდეგ, კერძოდ, 1932 წელს ილო მოსაშვილის ნარკვევში „სათავიდან შესართავამდე" გალაკტიონის ამ სახის შემდეგი ვარიაცია გვხვდება: „დუღაბის ყდაში ჩასმული ალაზანი".

ისიც უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ სიტყვიერი თანხვედრა ფიქსირდება, არამედ მოვლენებისადმი მიდგომის გალაკტიონისეული მანერა და ფაქტთა გააზრების პათოსი.

ბევრის მთქმელია ისიც, რომ ზოგიერთი ევროპელი პოეტი გალაკტიონის „ენითა და სტილით" ითარგმნება.

არცთუ იშვიათია იმიტაცია. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ანზორ სალუქვაძის „იმიტაცია გალაკტიონ ტაბიძის პოემის „ჯონ რიდი"[2].

მსგავსი ძიებანი შორს წაგვიყვანდა[3].

ჩვენს მიერ მოხმობილი მაგალითები, რომლებიც შერჩეულია სხვადასხვა მხარისა და ნიუანსის გათვალისწინებით, ვფიქრობ, წამოყენებული მოსაზრების გასამაგრებლად გამოდგება. და ბოლოს: გვინდა დავესესხოთ ოთარ ჭილაძეს:

„მე არ მეგულება ჩვენს თანამედროვეობაში მეტ-ნაკლები შესაძლებლობის, განათლებისა და გაქანების პოეტი (რა თქმა უნდა,
ჩემი ჩათვლით), გალაკტიონის გავლენა რომ არ განეცადოს. გავლენა, კარგი გაგებით, კეთილშობილური აუცილებლობა, განვითრებასა და წინ წასვლას გულისხმობს, რადგან სულში ტოვებს კვალს და არა სახეზე"[4].

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი რეზონანსი დიდია. მაგრამ ყველაზე უკეთ თვით გალაკტიონმა იცოდა საკუთარი პოეზიის ხიბლი და მნიშვნელობა. ისიც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ თანატოლებზე მაღლა იდგა. ეს არა ოდენ ინტუიციური წვდომის, არამედ სიღრმისეული ანალიზის შედეგიც გახლდათ.

ვიმეორებთ: გალაკტიონი დაჯილდოებული იყო მიგნებისა და მოვლენათა არსში წვდომის საშური ნიჭით. შეეძლო დეტალით მთელი სამყაროს დახასიათება და ჩანაფიქრის

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 284.

[2] გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937, 24. VII.

[3] ამ თემაზე იხილეთ ჩვენი „გალაკტიონისეული ხილდვები და ასოციაციები", საქ. ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები, II, 1999.

[4] მ. კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, 1977, გვ. 657.

ფეირვერკისეული მომხიბვლელობით გამოხატვა. ამიტომაც მოითხოვდა ღრმა პატივისცემას, ზოგჯერ მუხლმოყრასაც კი. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გენიოსისათვის ნიშანდობლივი არაორდინალობიდან გამომდინარე სრულიადაც არ ერიდებოდა ხმამაღალ განცხადებებს.

ჯერ კიდევ „მთაწმინდის მთვარეში" ბრძანა: „რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები". ეს არ არის მოულოდნელი გაელვება, რის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ ქვეტექსტით სავსე ლექსი „აუზთან".

„შენ გელის დაფნა, შენ დიადი დიდება გელის,
პოეტო: არვინ არ ყოფილა ესდენ ძლეული"[1].

ახლა გადავიკითხოთ „შერიგება":

„ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი,
ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:
მე – მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,
მყინვარს – უმძიმეს იაგუნდებით"[2].

სამივე ლექსი 1915 წელს არის დაწერილი. მაშასადამე, მოვლენის მყარ და საფუძვლიან გააზრებასთან გვაქვს საქმე.

ეს ხაზი ძლიერდება და 1916 წელს პოეტი დაჯერებით ამბობს:

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა"[3].

პირად წერილებშიც გაცხადებულია, რომ იგი სწორუპოვარია. დღიურებშიაც არაერთგზის გაიელვებს ასეთი ფრაზა: ჩემი ვარსკვლავი ყველაზე კაშკაშაა, ჩემი დიდება გარდუვალია.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, თუ ჩნდება სურვილი მგოსანთა მეფად კურთხევისა.

პოეტების მეფის არჩევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ტიტულის ერთ-ერთი პირველი მფლობელი ყოფილა X საუკუნის სპარსელი პოეტი ონსორი[4]. ევროპაში პოეტთა მეფის არჩევას გასული საუკუნის მიწურულს ჩაეყარა საფუძველი „С конца прошлого столетия избранние короля поэтов приминяется во Франции, где первым избранником

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. I, გვ. 282.

[2] იქვე, გვ. 276.

[3] იქვე, გვ. 324.

[4] ვ. ჭურდიანი, პოეტი – მეფე, „ბურჯი ეროვნებისა", 1996, №5(10), გვ. 6.

был Поль Верлен, вторым Стефан Малларме. Поэтический престол после смерти Малларме перешел к Леону Диржу, а после смерти Диржа кролем поэтов был избран Поль Фор, символист"[1].

გალაკტიონისთვის უცნობი არ ყოფილა ფრანგთა ტრადიცია.

დადგა დრო, ისიც ვთქვათ, რომ 1918 წელს გალაკტიონი მოსკოვში დაესწრო იგორ სევერიანინის არჩევას პოეტთა მეფედ. სევერიანინს კარგად იცნობდა ჯერ კიდევ ქუთაისიდან. მაშინ რუსი პოეტი დაპირდა, რომ მის ლექსებს თარგმნიდა. და აი, 27 თებერვალი. პოლიტექნიკური მუზეუმის დიდი დარბაზი. გლაკტიონი მოხარულია სევერიანინის გამარჯვებით. გულწრფელად ულოცავს. ამ ცერემონიალზე დასწრება გარკვეული სტიმული, ერთგვარი ბიძგია 1921 წლის ბატალიისა.

საქართველოში პოეტების მეფის არჩევაზე საუბარი ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო. ტიციან ტაბიძე წერილში „უმეფობა – ლიტერატურული ტრაური" ამ წესის დამკვიდრებას მოითხოვდა და ევროპელთა მაგალითით იმაგრებდა ზურგს. გრ. რობაქიძემ განსახვავებული პოზიცია დაიკავა. „ამას წინად ახალგაზრდა მწერალი ტ. ტაბიძე თითქო სევდით ამხილებდა, რომ ქართულ პოეზიაში მეფე აღარ არის. ამასთანვე „მეფის არჩევის" ჩვეულებასაც ახსენებდა. ჩემის აზრით იგი ჩვეულება დასაგმობია (თუ გინდ საფრანგეთშიაც მოხდეს): კენჭის ყრით საპოლიტიკო საკითხი თუ გადაწყდება (თუმცა ესეც საცილოა თეორიულად), პოეზიის საკითხი კი – „რა მოგახსენოთ". წარმოვიდგინოთ: ერთს დანტე მოსწონს ერთი, ათასს „სხვას" – მეორე. როგორ გადასწყვეტთ?! აქ კენჭის ყრა აბსურდამდე მიგიყვანთ"[2].

„ფრაგმენტები", საიდანაც არის მოყვანილი ეს ციტატა, იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მასში თანამედროვეობის უპირველეს მგოსნად ი. გრიშაშვილი იხსენიება. ამრიგად, თუ კი ჩატარდებოდა რობაქიძისადმი არასასრუველი არჩევნები და მას აიძულებდნენ მონაწილეობა მიეღო კენჭისყრაში, საფიქრებელია, გვირგვინი გრიშაშვილისათვის დაედგა.

გრ. რობაქიძის სკეპტიციზმს სხვებიც იზიარებდნენ. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ მგოსანთა მეფის არჩევას.

„ახალი ცისკრის" რედაქციამ განიზრახა სათაეში

---

[1] გაზ. „ბორბა", 1921, №21.

[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916, №469.



გალაკტიონი

ჩადგომოდა ამ საქმეს და სათანადო ანკეტებიც კი დაბეჭდა. ისინი უნდა დარიგებოდა მგოსნებს, ბელეტრისტებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს და საზოგადო მოღვაწეებს. რედაქცია იმასაც იუწყებოდა, რომ კენჭისყრის საიდუმლოება სასტიკად დაცული იქნებოდა. „უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპაში ასეთ მოვლენას დიდის სიმპატიითა და თანაგრძნობით ეპყრობიან.

საჭირო‍ა ჩვენი საზოგადოების მოწინავე ელემენტები წამოყენებულ საკითხს მეტი პატივისცემით მოეპყრონ და მეტი ანგარიში გაუწიონ.

აქვე ვაცხადებთ, თუ ვინმეს რაიმე აზრის გამოთქმა სურს აძღრულ საკითხის შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ გაზეთის საშუალებით"[1].

ამ თაოსნობას უარყოფითად გამოეხმაურა „სამშობლო". გზეთში დაიბეჭდა ელო ანდრონიკაშვილის „მგოსნის არჩევა". ავტორის აზრით, ასეთ საქმეში ანქარება არ შეიძლება. ტიტული მეფის 200 კაცმა კი არ უნდა მიანიჭოს მგოსანს, არამედ ხალხმა, თანაც პოეტის ხანგრძლივი მოღვაწეობის გათვალისწინების საფუძველზე, როგორც აკაკი წერეთელთან დაკავშირებით მოხდა.

ეფიქრობთ, გაიგივებულია ორი სხვადასხვა მოვლენა. ერთია პოეტთა მეფის საჯაროდ არჩევა და ამ წესის დამკვიდრება, რაც ლიტერატურული ცხოვრების ანაკადება-გამძაფრებას იწვევს და მეორეა მასების საერთო და ხანგრძლივი სიყვაულის გამჟღავნება შესაბამის ეპითეტსა თუ მეტაფორაში.

ე. ანდრონიკაშვილის განცხადებით, პოეტთა მეფის არჩევას „სალონურ-ჟურფიქსული" ხასიათი ექნება და იგი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. ხომ შეიძლება ფართო საზოგადოებამ არ გაიზიაროს ჟიურის დასკვნა და „სულ სხვა ვისმეს მიუძღვნას ტახტად მისი გრძნობა? ხომ შეიძლება ესე მოხდეს?"

მაშ იმ ეხლა არჩეულს რად ვაყენებთ ასეთს უხერხულ მდგომარეობაში?

ამის დრო თავისით მოვა და...

ისევ ხალხს ვაცალოთ არჩევნები"[2].

ე. ანდრონიკაშვილის წერილს ერთვის რედაქციის მინაწერი, რომ იგი „სრულიად იზიარებს" ავტორის აზრს.

როგორც ჩანს, ამ წერილმა და სხვა ფარულმა თუ აშკარა შეტევებმა „ახალი ცისკრის" წამოწყება ჩაშალა. მაგრამ პოეტთა მეფის არჩევის საკითხი მაინც არ მოხსნილა.

---

[1] გაზ. „სამშობლო", 1916, №304.

[2] გაზ. „სამსობლო", 1916, №308.

შემთხვევითი არ არის, რომ პოეტთა მეფის წოდების მოსაპოვებლად ტიციან ტაბიძე წერს ლექსს „ცხენი ანგელოზით“. მისთვის ეს ტიტული არ უბოძებიათ, მაგრამ ფაქტი თავისთავად ძალზე მეტყველია. იგი არა მხოლოდ მოვლენის ბუნებრიობას გახაზავს, არამედ იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მეფის გვირგვინისათვის ბრძოლა გამძაფრებული იყო.

ინტერესს კორონაციისადმი ისიც აძლიერებდა, რომ ევროპამოვლილი ინტელიგენტები ხშირად რომანტიკული ფერებით წარმოსახავდნენ ამ ცერემონიალს.

კოლაუ ნადირაძის გადმოცემით, გერონტი ქიქოძე თურმე დასწრებია ფრანგი პოეტების მეფედ პოლ ფორმის არჩევას. ალბათ, სენადალეული ლიტერატორი ბევრს უბნობდა ამის შესახებ და გარკვეულად აღვივებდა მგოსანთა მეფის არჩევის სურვილს.

„არტისტული ყვავილების“ გამოქვეყნების შემდეგ გლაკტიონი გენიოსად აღიარეს და მეგობრებმა გადაწყვიტეს, იგი პოეტთა მეფედ აერჩიათ. ეს გალაკტიონის თანხმობით, უფრო მეტიც, მისი ერთგვარი წაქეზებითაც მოხდა.

საერთოდ, გალაკტიონისათვის უცხო არ იყო გამორჩეულობისაკენ ლტოლვა. ამის მიზეზი და ლოგიკური საფუძველიც ჰქონდა. მაგრამ ხშირად ვერ ითვალისწინებდა რეალურ ვითარებას, სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციას... გათვლაშიც ცდებოდა და ამიტომ რამდენამდე ემსგავსებოდა კეთილშობილ ლამანჩელს.

თვალი გადავავლოთ მის დღიურებს, ჩანაწერებს, თუნდაც 1943 წლის თხოვნა-შუამდგომლობას. იგი გალაკტიონის შეთხზულია და სურდა მწერალთა კავშირის სახელით გადაგზავნოდა მთავრობას.

ამ წელს სრულდება 35 წელი სამწერლო ასპარეზზე გალაკტიონ ტაბიძის გამოსვლისა და ვშუამდგომლობთ თქვენს წინაშე, რათა მას

1. გაუდიდდეს პერსონალური პენსია (1000 მანეთი).
2. დაერქვას თბილისის ერთ-ერთ თვალსაჩინო ქუჩას გალაკტიონის სახელი.
3. დაერქვას ქ. სამტრედიას – საგალაკტიონო.
4. დაჯილდოვდეს პოეტი ავტომობილით.
5. მიეცეს კეთილმოწყობილი სახლი.
6. უზრუნველყოფილი იქნას სპეცმომარაგებით.
7. ნება დაერთოს პირველი იანვრიდან გამოსცეს ყოველკვირეული ჟურნალი სახელწოდებით „გალაკტიონის

ჟურნალი“.

გალაკტიონი ნამდვილად იმსახურებდა ამას, მაგრამ როდის ითხოვს? გაგანია ომის პერიოდში, როცა საკუთარი მანქანა ორსამ კაცს თუ ჰყავს, როცა მოსახლეობას პურის ტალონებზე გაცემული 400 გრამით ძლივს გააქვს სულიროცა სუბნორდინაციის ინსტიტუტი მეტად მკაცრია და მწერალი ქვედა ეშელონშია.

არ გაგვიტაცოს ამ გადახვევამ. დავუბრუნდეთ პოეტთა მეფის არჩევას.

წამოწყება შორსმჭვრეტელობას, სიფხიზლეს და დაძაბულ შრომას მოითხოვდა. როგორც ირკვევა, აქტიურობდნენ გ. ქუჩიშვილი, ი. იოსელიანი, გ. საგანელიძე, მიხ. ბოჭორიშვილი.

ერთ ჩანაწერში, რომელიც მოგონება-ესკიზის გეგმას წარმოადგენს, გალაკტიონი მიგვანიშნებს საგანელის თავდადებაზე: „12 გიონი აწყობს ორგანიზაციას პ. მ. არჩევას. 13. გიონის შეტაკება ყანწელებთან“[1].

გიომ საგანელი ერთხანს ცისფერყანწელებთან იყო დაახლოებული. შემდეგ გალაკტიონს მიეკედლა. ბოჰემური ბუნების კაცს და საოცრად გულწრფელ პიროვნებას თავდავიწყებამდე უყვარდა გალაკტიონი. შეეძლო მისთვის ქუჩურ აყალმაყალშიც ჩარეულიყო და მკლავიც გაემართა. გალაკტიონი შესძრა ამ ნიჭიერი პოეტის თვითმკვლელობამ.

ინიციატორების ძირითად დასაყრდენს ახალგაზრდობა წარმოადგენდა. საქმე რიგიანად წარიმართა და აი, 1921 წლის 25 იანვარს (და არა 27-ს, როგორც ზოგიერთები წერენ) მოხდა გალაკტიონის არჩევა პოეტთა მეფად.

29 იანვარს „ბორბაში“ ვკითხულობთ: „25-ого января литературная молодожь Грузии произвела выборы «Короля поэтов». Пожизненно возведен в это почетное звание самый достойный из поэтов – Галактион Табидзе, имеющий громадное влияние на всю современную поэзию Грузии “ და შემდეგ: „Галактион Табидзе был избран единогласно. Присутствующие молодые поэты устроили ему шумную овацию“[2].

ახლა მოვუსმინოთ აკაკი ბელიაშვილს: „თანამედროვე ქართულ პოეზიაში მას ბადალი არ ჰყავდა. ეს თავიდანვე ვიგრძენით ახალგაზრდა დამწყებმა მწერლებმა და, როცა 1920 წელს ერთხელ თავი მოვიყარეთ, გალაკტიონი პოეტების მეფედ გამოვაცხადეთ. საამისო სიგელიც დავწერეთ, და ეს სიგელი მის

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. XII, გვ. 275.

[2] გაზ. „ბორბა“, 1921, №21.

არქივში დღესაც ინახება"[1].

ეს იყო გალაკტიონის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და ბედნიერი დღე.

მოხდა ის, რაზეც კარგა ხანია ოცნებობდა. იგი მთვრალია წარმატებით. უკვე მეტად შეუძლია ფრთების გაშლა... ახალი იმპულსი, ახალი შთაგონება, ახალი ვალდებულებანი...

...შინ აფორიაქებული დაბრუნდა.

მეორე დღეს მეგობრები ესტუმრნენ. სახელდახელოდ გაიშალა სუფრა. მალე უჩინარი წევრიც – დიონისეც შემობარბაცდა და... იყო ლაქვარდებში განავარდება. ღიმილად იღვრებოდა გერგისელი, ენაწყლიანობდა საგანელი (იგი მხოლოდ უზანგის დამჭერი როდი გახლდათ). როცა გალაკტიონმა ლექსის კითხვა დაიწყო, ყველაფერი ათინათინდა. ჰოდა, ვინ გაბედავდა ეთქვა, რომ ეს ციცქნა ოთახი „როტონდას" ჩამოუვარდებაო.

გუშინაც იყო ლხინი, მაგრამ ტრაპეზთან სხვადასხვა ტემპერამენტისა და მსოფლგაგების ადამიანებიც აღმოჩნდნენ. ზოგიერთ მათგანს არ უძნელდებოდა ლოთობა და არც უხეშობაში შეტოპვა. დღეს კი ფერი ფერს.

გალაკტიონი სვიანია. მაგრამ სიტუაცია უფრო და უფრო იძაბება. ქარიც მალე ამოვარდება და გატყდა ღიმილი ტუჩის, გაჩნდა შეშლილი ფერი.

საზოგადოების ნაწილი გალიზიანებულია. ეს, უპირველეს ყოვლისა, პოეტთა გარკვეულ ფალანგაზე ითქმის.

– ვინ აირჩია მგოსანთა მეფედ? ეს მწერალთა კავშირის დასტურით უნდა მომხდარიყო. – გაიძახიან ერთნი.

– ბურჟუაზიული, უკუსაგდები ჩვეულებაა! – მრისხანებენ მეორენი.

– ნეტა რა დაუჯდა? – ქილიკობენ სხვანი.

რაც მთავარია, მოწინააღმდეგენი გამომწვევად იქცევიან, არც არის გასაკვირი. ბევრის ცნობიერება დანისლულია ალოგიკური წარმოსახვებით და უსამართლო დასკვნებით. სუბიექტური მინარევებისაგან განთავისფლება კი ნამდვილად ჭირს.

მაგრამ ჯვარზე გაკვრა იჩქითად, 1921 წელსვე არ მომხდარა. მოწინააღმდეგენი ვერ შეეგუენ გალაკტიონის გამეფებას. დრომ ვერ გაანელა მათი ვნებათაღელვა. პირიქით, დენთი თანდათან მატულობს. საკმარისია ასათნის გაკვრა და ინკვიზიციის კოცონი აბრიალდება.

ამის საბაბიც მიეცათ.

---

[1] კრებ. „სადღეგრძელო იყოს მისი", 1973, გვ. 26.

1922 წლის ზაფხულში გალაკტიონმა განიზრახა ოპერის თეატრში გრანდიოზული საღამოს ჩატარება. აფიშებიც დაბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე, რომელშიაც იგი იხსენიება „საქართველოს პოეტების მეფედ“. ეს კი მეტისმეტიაო-და...

სიცოცხლის მიმწუხრს გალაკტიონი იგონებდა, თუ როგორ ხევდნენ აფიშებს, როგორ წააწყდა ამ საქმეში გართულ სამ ფუტურისტს (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ) და „დაულეწა ყბები“, როგორ გაირეკა თხებივით“.

ეს მაინც დეტალია. მოწინააღმდეგეებმა მწერალთა კავშირის საბჭოს შეუტიეს, რატომ სათანადო ზომებს არ იღებო. ხეწოლა დიდზე დიდი აღმოჩნდა და კ. მაყაშვილი 23 ივნისს საგანგებო სხდომას იწვევს. დაადგინეს: „მოისმინეს რა გალაკტიონ ტაბიძის საღამოს აფიშების შინაარსი, სადაც გ. ტაბიძე თავის თავს პოეტების მეფედ აღიარებს, საბჭოს სრულიად შეუფერებლად მიაჩნია ასეთი საქციელი საბჭოს წევრისა და პოეტის სახელისათვის და უცხადემს მას საყვედურს, მით უმეტეს, რომ გ. ტაბიძე არც ერთი ორგანიზაციის ან საზოგადოების მიერ არ არის არჩეული პოეტების მეფედ.

ვინაიდან საზოგადოებაში ხმებია გავრცელებული, თითქო ეს საღამო იმართებოდეს საბჭოს ინიციატივით, გამოცხადდეს პრესაში, რომ საბჭოს არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ამ საღამოსთან“[1].

დამეთანხმებით, საკმაოდ მკაცრი განაჩენია. ამ დადგენილებით საერთოდ ანულირებულია გალაკტიონის მეფობა. რაც მთავარია, ქვეტექსტით ისიც მეტყველდება, რომ წოდების მინიჭება სახელმწიფოს, მთავრობის პრეროგატივაა. ვფიქრობთ, აქ ზემდგომთა ხელწერაც უნდა იგრძნობოდეს. გამორიცხული არ არის, როგორც დღეს იტყვიან, ზემოდან ზარმაც უკარნახა კ. მაყაშვილს ხსენებული საკითხის განსახილველად გამოტანა.

შეპირისპირებისთვის: პოეტთა მეფედ ალექსანდრე ბლოკის არჩევაში, რომელიც 1911 წლის 10 დეკემბერს მოხდა პეტერბურგში, რესტორან „ვენეციაში“, სულ ხუთი კაცი მონაწილეობდა: დიმიტრი კუზმინ-კარავევი, ვასილი გიპიუსი, ოსიპ მანდელშტამი და კიდევ ორი[2]. გალაკტიონის კორონაცია კი ფართო საზოგადოების დასტურით მოხდა.

25 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა „წერილი

---

[1] საქ. ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღ. I, საქმე 29, ფ. 25.

[2] მ. ჭურდიანი, პოეტი-მეფე. „ბურჯი ეროვნებისა“, 1996, №5(10), გვ. 10.

გალაკტიონი და გიორგი ქუჩიშვილი

რედაქციის მიმართ", რომელსაც ხელს აწერს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო. ყველაზე ... საზოგადოებაში ხმა დადის თითქოს გალაკტიონ ტაბიძის საღამო (რომელიც იმართება დღეს საოპერო თეატრში) ეწყობა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მონაწილეობით, საბჭო იძულებულია განაცხადოს, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ საღამოსთან. საღამო იმართება კერძოდ, გ. ტაბიძის ინიციატივით"[1].

განცხადება მშვიდი და აკადემიურია. კ. მაყაშვილი მაინც გალაკტიონისკენ გადმოიხარა. ამ განცხადებაში სიტყვაც არ არის დაძრული იმ მკაცრ განაჩენზე, რომელიც გალაკტიონს გამოუტანეს (საყვედური).

აზვირთება დიდია. მოწინააღმდეგენი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან, იმართება ცხარე ბაასი და ისახება ბრძოლის გეგმა. შედეგი?

იმავე „კომუნისტში" დაიბეჭდა ერთი ცნობილი პოეტის „ღია ბარათი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს". ავტორი აღშფოთებულია გალაკტიონის საქციელით და მოითხოვს მკაცრი ღონისძიების გატარებას. მისი აზრით, გალაკტიონის მოქმედებას „...ეძლევა რაღაც იაფი, ცირკის ხასიათი, რომელიც შეურაცხყოფს ქართული ლიტერატურის ღერძს და ეს ხდება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თვალწინ და მისი სახელითაც.

თუ ეს ასეა და ამ სასკანდალო საქმეს მწერალთა კავშირის საბჭო ხელმძღვანელობს, მაშინ სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ასეთი განცხადების გამოქვეყნებამ როგორც ქართულ მწერლობაში, ისე საზოგადოებაშიც...

ამიტომ მწერალთა ერთი ჯგფის სახელით გეკითხებით: – თუ მართლა საბჭოს რაიმე კავშირი აქვს ხსენებულ საღამოსთან და იგი აპირებს ამ „დაგვირგვინებას", რომელი სტატუსის მიხედვით ხელმძღვანელობს და რა მიზანი აქვს მას ასეთი „დინასტიის" დაწყებით?

ხოლო თუ ეს შანტაჟი კერძო, უპასუხისმგებლო პირისგან ხდება, რა ზომას იღებს მწერალთა კავშირის საბჭო თავისი შეურაცხყოფილი სახელის აღსადგენად და ასეთი კრიმინალური ტიპის თავის წრიდან განსადევნათ?"[2]

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1922, №142.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1922, №142.

ყურადღება მიაქციეთ ბოლო ფრაზას. კიდევ კარგი, რომ ჯერ არ დამდგარა 1937 წელი, თორემ ასეთი შერისხვის შემდეგ გალაკტიონს გულაკიც კი საოცნებო გაუხდებოდა.

ამ გამოლაშქრებამ არა მხოლოდ გალაკტიონი, არამედ მთელი საძმო, პატიოსანი ლიტერატორები შეაშფოთა და ააფორიაქა. თვით „კომუნისტის" რედაქციაც კარგად მიხვდა, თუ სად უმიზნებდა ავტორი და უხერხულობა იგრძნო, ამიტომაც აღნიშნავს სქოლიოში – წერილის კილო მკაცრიაო.

გალაკტიონი უკიდურესად გააღიზიანა ამ გამოლაშქრებამ და მწერალთა კავშირის საბჭოს სთხოვა, ოფიციალურად გაეცა პასუხი „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილის ავტორისათვის.

3 ივლისს შეიკრიბნენ საბჭოს წევრები: კ. მაყაშვილი, ლ. ქიაჩელი, ობოლი მუშა (ს. თვარაძე), ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია და ი. აღლაძე. იმსჯელეს გალაკტიონის თხოვნასთან დაკავშირებით. ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ როგორი პოზიცია დაიკავა. მაგრამ ერთი ცხადია, სხდომა მშვიდად არ ჩატარებულა, რაზეც მიგვანიშნებს დადგენილება: „ვინაიდან ხმები შუაზე გაიყო, საკითხი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, რომელზედაც მეტი საბჭოს წევრი გამოცხადდება"[1].

შემდეგ სხდომაზე ამ თემას არ დაბრუნებიან.

გალაკტიონმა ძალზე მტკივნეულად განიცადა თავდასხმები, რადგან პოეტთა მეფედ არჩევა კანონზომიერად მიაჩნდა. ეს არ იყო ამბიცია, გვირგვინისკენ უსაფუძვლოდ ხელის გაწვდენა. გენიოსი კუთვნილ დიდებას მოითხოვდა. ჩვენს ხელთაა დიალოგის ფორმით დაწერილი ჩანახატი, რომელიც უცნობია საზოგადოებისათვის. იგი ცხელ გულზე შეუთხზავს გალაკტიონს.

***

„ქიმერა. ხელმწიფეო, თვითეული თქვენი ლექსი შედევრია. ყველა თანამედროვე პოეტს იყიდის და გაყიდის. ეს ფაქტია, მაგრამ თქვენ ხშირად იქცევით უტაკტოდ...

გალაკტიონი. ქიმერავ, ნუ შიშობ. გალაკტიონი უფრო შორსგამჭვრეტია, ვინემ ზოგს ჰგონია. იგი ნაბიჯს არ გადადგამს მოუფიქრებლად.

ქიმერა. დალოცვილო მეფეო, გაგემართათ საღამო. ფულები ხომ გექნებოდათ, მეფეც იქნებოდით და პატრიარქიც. ხელმწიფეო, ამას კი ვიტყვი, რომ რაღაც ახალი მხოლოდ თქვენით დაიწყო

[1] უახლესი ისტორიის არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფონდი 8, აღ. I, საქმე №29, ფ. 25.

ქართულ პოეზიაში. შეცდომაა, როცა თქვენი მტრები სმას ავრცელებენ, თითქოს თავისი თავი თქვენვე გამოიცხადეთ პოეტების მეფედ. არის საამისო დოკუმენტები?

გალაკტიონი. ქიმერავ, შენ კიდევ რაღაცას მალავ.

ქიმერა. (ამოიღებს კიდევ გაზეთებს) ნუ მიწყენთ, ხელმწიფეო, აი გაზეთი „ბორბა", 1921 წლის. ნება მიბოძეთ წავიკითხო (კითხულობს)...

გალაკტიონი. ქიმერავ, ეს საუცხოო დოკუმენტია. ეს ამბავი მას შემდეგ რაც მე დავბეჭდე წიგნი: „Cr'ane aux fleurs artistiques" შეიძლება ეს წიგნი ვისმეს სხვას ეკუთვნოდეს, ქიმერავ?

ქიმერა. მეფეო, არ შეიძლება გკითხოთ, მაინც რა უნდათ თქვენგან პოეტებს?"

მართლაც და რა უნდათ? ამ კითხვას დღესაც არ დაუკარგავს სიმწვავე.

შემთხვევით არ ვამახვილებთ ყურადღებას კითხვაზე. სხვაა, როცა მავანი გეკითხება და სხვაა, როცა იგი შენივე სულიდან მოდის, შინაგანი მოთხოვნილებაა. ამ დროს პიროვნება მეტ-ნაკლებად თავისუფალია გარედან ზეწოლისაგან, რამდენადმე მაინც ნიღაბჩამოხსნილია და პახუხიც გაცილებით გულწრფელი გამოდის.

მეორეც: როცა კითხვა თავად გებადება და პასუხსაც შენვე ეძებ – ეს აზროვნების გამძაფრება-გამახვილებისა და სინამდვილის ფილოსოფიური შეცნობისაკენ ლტოლვის მაჩვენებელია.

დიახ,გალაკტიონი არ ხსნის ფრჩხილებს,თუ რა უნდათ მისგან პოეტებს. ისე კი,ჩვენთვის უცნობი არ არის მისი თვალსაზრისი.

– შური, ძამიკო, შური!

აქ წერტილის დასმა მართებული არ იქნებოდა. გასათვალისწინებელია სხვა გარემოებანიც. ერთი კი ცხადია: ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო და ეს მოწინააღმდეგე მხარეების ახირებად არ უნდა მივიჩნიოთ.

ნაღდი პოეტი ვიოლინოს დაჭიმულ სიმს მოჰგავს. მხოლოდ ასეთ სიმს შეუძლია ზღვრულად წმინდა და ოპტიმალურად მჟღერი ჰანგი გამოსცეს. მაგრამ ასეთი სიმი ძალზე ადვილად წყდება, თუ სათუთად არ მოვეპყარით. გალაკტიონმა გაუძლო. რადგან სიმართლე მის მხარეზე იყო. ღრმად სწამდა,რომ პოეტთა მეფის გვირგვინი სწორედ მას ეკუთვნოდა.

გავიხსენოთ „ჯონ რიდის" ეპიგრაფი: „ვუძღვნი ამ წიგნს ძვირფას რიგს პოეტებისას, რომელთაც გამომაცხადეს პოეტების მეფედ 25 იანვარს 1921 წელს,რევოლუციიდან დაბრუნების შემდეგ".

ეს 1924 წელს იწერება. ასევე საგულისხმოა ცნობილი ლექსის „სადღეგრძელო იყო მისი“ ერთ-ერთი გვიანდელი ვარიანტი:

„სადღეგრძელო იყოს მეფის –
გალაკტიონ ტაბიძის...
- - - - - - - - - -
ვინც ტრიუმფის იყოს ღირსი,
ღირსი მზის გათენების,
სადღეგრძელო იყოს მისი
დღის და ლურჯა ცხენების“[1].

გალაკტიონი მთელი სიცოცხლე ამაყობდა, რომ იგი პოეტთა მეფედ აირჩიეს. მახსოვს, არაერთგზის, განსაკუთრებით როცა ამაღლებულ განწყობაზე იყო, ჯიქურ მიმართავდა მავანთ და მავანთ, ზოგჯერ უბირ დახლიდარსაც კი, რომლისთვისაც პოეზია უცხო ხილი იყო: – იცით, მე ვინ ვარ? – კაროლ პოეტოვ! რატომღაც ყოველთვის რუსულს ესესხებოდა. შეიძლება შთაბეჭდილების გასაძლიერებლადაც.

ჩვენ ზემოთ საზოგადოების ერთი ნაწილის თვალსაზრისი დავაფიქსირეთ. მაგრამ იყვნენ სხვები, თანაც გაცილებით მრავლად, რომლებიც არა მხოლოდ ცნობდნენ გალაკტიონის მეფობას, არამედ აღტაცებულნიც იყვნენ მისი კურთხევით.

გავიხსენოთ გიორგი ქუჩიშვილის სიტყვები:

„ჩემს პროცესიას ამშვენებდეს გალაკტიონი.
გვარათ – ტაბიძე და ტიტულით მეფე-მგოსანი.
მის ლექსთა თქმაზე ქვითინებდეს ძველი სიონი
და მწუხარებით დაიბუროს მზე სხივოსანი“[2].

ყოველივეს ეს გულს ეფონებოდა.

მაშ ასე: გალაკტიონს ხელთ უპყრია პოეტთა მეფის სკიპტრა. ეს კურთხევა პირველი და ერთადერთია ქართულ სინამდვილეში. პროტესტები ვითარების არსს ვერ ცვლის. ფართო საზოგადოება გალაკტიონის მხარეზეა. თავადაც, როგორც ვნახეთ, კანონიერად თვლის ამ არჩევას და ბედნიერია. თუმცა, მოდით, უფრო ფრთხილნი ვიყვეთ, სიტყვა ავწონოთ. ბედნიერება რელატიურია.

საქმე ის გახლავთ, რომ გალაკტიონთან მძლავრობს ბედნიერების რომანტიკული გაგება – პერმანენტული სწრაფვა ამაღლებისა და სრულყოფისკენ, რაც დაუსრულებელი პროცესია.

კონკრეტული მიზნის მიღწევით სრული ბედნიერება არ

---

[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 333.

[2] „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, №1, გვ. 3.

მოიპოვება. იგი მირაჟსა ჰგავს – უახლოვდები, უახლოვდები და მაინც ვერ აღწევ.

აი, სწორედ აქედან მომდინარე ტრაგიზმი უნდა იყოს გალაკტიონისთვის მთავარი და არა კონკრეტულის მიულწევლობით დაბადებული სევდა. აკი ბრძანებს:

„სულს სწყურია საზღვარი როგორც უსაზღვროება“.

ახლა სხვა კუთხითაც შევხედოთ პოეტთა მეფედ არჩევას.

ხასიათი ქარიშხლიან დღეებში იძერწება, იწრთობა. ეს პერიოდი კი გალაკტიონისათვის ნამდვილად იყო კონფლიქტური, რამაც გარკვეულად განსაზღვრა შეუპოვრობის გრძნობის გამძაფრება.

„ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.
ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები“.[1]



[1] გ. ტაბიძე, თხზ., ტ. II, გვ. 102.

სარჩევი

„ზღურბლზე სათქმელი“ 6
„სადღაც შრიალებს ჭაობი ჭყვიშის“ 8
„არ მოსწრებიხარ შენ მშობელ მამას“ 41
პაპა 42
მამა 44
დედა 51
ბიძა 63
ძმა 70
„ვიგონებ ყრმობას“ 104
„ქუთაისო! მშვენება შენი“ 122
ძველი და ახალი მებრძოლი 156
„ღმერთო, რად გამაჩინე!“ 161
„მაქვს უნარი გულმოდგინედ შრომისა“ 220
„ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს“ 284
„ვინ არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“ 318
„შენ ხომ ბედუინი ხარ“ 357
„სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი“ 397
„მე, ნოემბერი და პეტროგრადი“ 460
„...ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“ 498
„მეფე ვარ და მგოსანი“ 555

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგამომცემლო სარეკლამო კომპანია
საუნგე

თბილისი 0177, ქუთათელაძის 18,
ტელ/ფაქსი:(995 32) 39 55 87
e-mail:saungeo@gmail.com

274.705
3